ამ წიგნს ვუძღვნი ჩემს ჭიათურელ მეგობრებს,
რომლებმაც გაჭირვების ჟამს არ მიმატოვეს.

ჩემო ძვირფასო მკითხველო, ამ წიგნში პატიმრობის პერიოდში, ციხე-კოლონიების მოსამსახურეთა და დამნაშავეთა სამყაროს — კანონიერი ქურდების „ომის“ ფონზე აღწერილი მაქვს ოდესღაც ებრაელის, ჩემი უფროსი მეგობრის, სულიერად უწმინდესი ადამიანის მიხეილ მარკის ძე პავშის გაუგონარი წამება.

აქ მოყოლილი ამბები ჩემი თვალით ნახული და განცდილია.

დავრწმუნდი, ადამიანები უბედურების ჟამს შიშვლდებიან, რისი ხილვაც, უმეტეს წილად საზარელია.

© მ. ხუნწარია

ბ ა ზ ა რ ი

(ანუ შესავლის მაგივრად)

ნაცრისფერი ცა უფრო მოიქუფრა. აწეწილი ღრუბლები ერთმანეთს უსწრებენ. დამძიმდნენ. დაბლა დაიწიეს, თითქოს თავისი მძიმე ფეხი ცოდვილ მიწაზე უნდა დადგანო.

წვიმს.

წვიმს გაუთავებლად. წვიმს მომაბეზრებლად და მონოტონურად. ასე იცის აქ, დასავლეთში, წლის ამ დროს.

ადამიანები, ავტომანქანები. ეტლები, ურმები წვიმით გალუმპული პირუტყვით... ყოველი მიიჩქარის. ავტომანქანამ ჩაიქროლა. ახალგაზრდებმა აირიდეს, გაცრეცილპალტომოსხმულმა მოხუცმა ვერ მოასწრო გაცლა. ტალახი შემოესხა. ქალმა მდურვით აღსავსე მზერა გააყოლა, პასუხად ავტომანქანიდან გაისმა თავხედური ხარხარი...

ქალაქის ამ ადგილას წითელი ფერის ჭიშკარია. ქუჩიდან მოდენილი ადამიანთა მდინარე ბორგვით შედის ჭიშკარში.

ბაზარი...

გამყიდველები და მყიდველები. მუშები და ინტელიგენტები. ქურდები და მილიციელები. სნეულები და მათხოვრები. მოდიან, რომ გაყიდონ და იყიდონ, გამოიძღონ კუჭი (ეს ასე სჭირდება სიცოცხლეს), რომ განაგრძონ შთამომავლობა, იკითხონ რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ისმინონ ბახის „მესა“...

ჭიშკართან ფეხმორთხმული ზის და ჩახლეჩილი ხმით მღერის, თუ ტირის ბრმა. ეს ლექსია, თუ რაღაც მსგავსი ლექსისა, რომელშიც ახალგაზრდა ხეიბარი მოსთქვამს თავის ცხოვრების ტრაგიკულ ბედზე: როგორ დაეღუპა მამა, დედას როგორ ამოხდა სული ფაშისტების სამეძაო სახლში. ეს ნამდვილი ამბავია — საშინელი სულის ტკივილი. ეს არ წერია გაზეთებში, არც ჟურნალებში და არც წიგნებში და არც არასოდეს დაიწერება. ხეიბარი მღერის გაშვერილი ხელით. იქნებ, ვიღაცამ გაიმეტოს გროში. გვერდით უზის ცალფეხა, მისი გზის მაჩვენებელი. ბრმამ ახედა ცას. რატომღაც მოეჩვენა, რომ მზე ანათებს (ასე ემართება, როდესაც აგონდება დედა), ძველი სიზმარივით ამოტივტივდება ცნობიერებაში: წევს ქათქათა ლოგინში და დედა ალერსით უყვება ზღაპარს, ცეროდენა როგორ მოხვდა ბორბოტ სულებთან. და აი,ახლა თავისი თავი ამ

ზღაპრის გმირი ჰგონია. ზღაპარი კი დასრულდა კეთილად, მის ჯუბედურებას კი ბოლო არ უჩანს!... ახედა ცას, მზე ჩამქრალიყო?!

ზის წვიმაში ბრმა გაშვერილი ხელით და გაჰკივის ბედით წყალნაყარ ტკივილზე. ადამიანები მიიჩქარიან. გაცრეცილ ნაცრისფერპალტოიანი მოხუცი ქალი შეყოვნდა. ხეიბრის რამდენიმე სიტყვამ მომაკვდავი ჩიტივით ჩაუფრინა... წარმოუდგა: ფრონტზე გამგზავრების წინ შვილის გაღიმებულ სახეზე სევდაჩაძირული თვალები... შემდეგ აღარც უნახავს.. როგორი ბედი ერგოთ?! ქმარი ოცდაჩვიდმეტში დაუხვრიტეს, ერთადერთი შვილი კი სამშობლოს შეეწირა. გული დაუმძიმდა.

— რისთვის ამდენი მსხვერპლი?

— რატომ უნდა ეწირებოდეს სპეტაკი სიცოცხლე ვიღაცის სურვილს?!

— ვინ დააწესა ასეთი უსამართლობა?!

მეოცე საუკუნე:

ლენინი!

სტალინი!

ჰიტლერი!

ჩერჩილი!

რუზველტი!

ომი დასრულდა. ვინ იცის რამდენ მილიონ ადამიანს დაუბნელდა მზე მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცეები ვერ მორიგდნენ. სწორედ ის ვიღაცეები ცდილობენ ერებს დაავიწყონ ღირსეულთა სახელები, რისთვისაც ქალაქებსა და ქუჩებს არქმევდნენ უცხოთა გვარებს.

პოლიტიკა:

გაბატონებული კლასის კეთილდღეობის დვრიტა. მმართველებად აღზევებულნი აცხადებენ — „ხალხის ბედნიერებისათვის ვიბრძვით“ და ხალხის ნაამაგარით ნებივრობენ. დრო კი შეუსვენებლად მიედინება.

ჰკივის მეოცე საუკუნე:

სისხლი სჭირდება გველეშაპს!

ვიღაც იძახის: რისთვის ამდენი სისხლი? (ეს დედის გულია).

ვიღაც ამბობს: უსისხლოდ ვერ იცოცხლებს მგელი! (ეს ბუნებაა).

ისმის სატანას საშინელი ხარხარი: ადამიანებს ყველაზე მეტად სჭირდებათ სისხლი!... მოხუცმა მწარე ფიქრებს თავი დააღწია, მოიწმინდა სიმწრის ოფლი, მუჭანარი თითებით მოაკლო თავის, ისედაც მცირე, ყულაბას თეთრი ფული და ბრმას ჩაუდო გაშვერილ ხელში... ასე ცხადად არასოდეს არ უნახავს შვილის გაღიმებული სახე. ყელი შეეკრა, რაღაცამ დახრჩობა მოუნდომა, სასტიკი ტკივილი იგრძნო, შვებად მოვლენილი ცრემლი ლოყაზე ღრმა ნაოჭთან შეყოვნდა, იქ კი წვიმამ მოუსწრო და ლაფში ჩარეცხა წუხილის ეს საოცარი მარგალიტი. მოხუცი შეერია ადამიანთა ზღვას.

ბაზრის ფარდულები — წითელი, ლურჯი, ყვითელი, თეთრი და კიდევ სხვადასხვა ფერის. პატარ-პატარა და მრავალი. უთვალავი ფარდული, იყიდება ყველი, ფქვილი, მწვანილი, ხორცი, არაყი, ღვინო, ქიშმიში, კარტოფილი, მწნილები თავისი საოცარი არომატით, ხილით სავსე თაროები მრავალფეროვან ხალიჩას მოგაგონებენ. ფერის სიმრავლე იტაცებს თვალს.

ხორცის რიგი:

რკინის კაუჭებზე ჰკიდია თეთრი ფერის ცხიმით შეფერადებული წითელი ხორცი, სისხლდაწურული ლურჯი ვენებით. კაუჭებზე ჰკიდია რამდენიმე საათის წინ დაკლული ძროხა. ამ დაკლულმა სიცოცხლემ ვიღაცა უნდა იხსნას სიკვდილისაგან. საუკუნეთა სივრცეში კი ისმის ძუძუს მოწყვეტილი ხბოს ბღავილი. შეშფოთებული ცდილობს აიწყვიტოს თოკი, რომლითაც მიაბა პატრონმა. ზრდის, რომ თავის დროზე მასაც გამოჭრას ყელი. ძროხამ სიკვდილის წინ მოასწრო დაბღავლება. რა იყო ეს ხმა, გაფრთხილება თუ საუკუნოდ განშორების სასოწარკვეთილი ძახილი?

ბღავის შეშფოთებული ხბო, დედა უნდა, დედის თბილი რძე. რატომ აებურძგნა ბალანი? უფრო მეტი ხნით რამდენჯერ მოუშორებიათ დედა, მაგრამ ასეთი გაურკვეველი ტკივილი არასოდეს არ უგრძვნია. რა ხდება? საიდან გაუჩნდა მკერდქვეშ მოძრავი საშინლად მძიმე და ცივი ლოდი (ეს ლოდი ხბოს ნატკენი გულია.) ამ დილით დედა დაუკლეს.

— დედააა! — ბღავის ხბო...

არავინ არ ეპასუხება, მხოლოდ იყნოსა ნიავს მოყოლილი შემზარავი დახუთული მლაშე სუნი, რომელიც დედის ძარვებიდან გადმოედინა.

— დედააა!.. — ბღავის ხბო. კაცმა სისხლიანი დანა ჭუჭყიან ჩვარს შეაწმინდა, და აბეზარ პირუტყვს სახრე გადაუჭირა.

ასეთი ყოფილა პირუტყვის არსებობის წესი: ის უნდა დაიკლას.

რამდენი ათასეული საუკუნეა დაიწყო სიცოცხლე, მაგრამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გარეშე არასოდეს არ ყოფილა არსებობის შესაძლებლობა — ასე ინება უზენაესმა!... ამიტომაც ბრუნავს და ბორგავს ვეება დედამიწა. ჩვენ კი ადამიანები სამართლის დასამყარებლად ვქმნით კანონებს (იქნებ ადამიანებს როდისმე, მართლაც, ეშველოს — აღმოიფხვრას ბოროტება და დამკვიდრდეს სიკეთე?) ადამიანებო!

... ჩვენო გონებავ უსუსურო! როგორ შეიძლება იცოცხლოს მგელმა შველის სიცოცხლის გარეშე?!... როგორ შეიძლება იცოცხლოს გველმა, თუ ბაჭიას არ მოუსწრაფა სიცოცხლე?!..

როგორ შეიძლება იცოცხლოს ერთმა მეორის სისხლის გარეშე?! როგორ შეიძლება დაეყრდნო იმას, რაც წინააღმდეგობას არ გაგიწევს?!

უზენაესო, შენ შესძელ შეგექმნა მკვდარი რიცხვებისაგან ჭეშმარიტებით აღსავსე ჯამთა, თუ სხვაობათა საოცარი ჰარმონია. შენ

შესძელ შეგექმნა მშვენიერება და ნეტარება, სიყვარული და თავისუფლება. მაშ, რისთვის დაგჭირდა რღვევა, სიძულვილი და სიმახინჯე?

რისთვის!!!

რა საჭირო იყო სიცოცხლე, თუ კი სიკვდილს დააწესებდი?

...დახლში დგას წითური ყასაბი. სისხლჩამდგარი ცალი თვალით არჩევს ხორცის ნაჭერს. ცდილობს, არჩეული ისე დაჭიდოს რკინის კაუჭზე, რომ მოიზიდოს მყიდველის თვალი. თაფლზე დამიზნებული ბზიკივით ატრიალებს დაწითლებულ ცალ თვალს და კაუჭიდან კაუჭზე უცვლის ხორცის ნაჭერს ადგილს.

ხორცი ყიდის ხორცს!

ადამიანების ზუზუნში გაისმის მაწანწალა ძაღლების გნიასი, ღრენა, ყმუილი, ყეფა და წკმუტუნი.

ადამიანები გაერიდნენ. და კვლავ ყეფა და წკმუტუნი, ღრენა და ყმუილი. მშიერი ძაღლების ხროვამ ადგილი ინაცვლა. კიდევ ღრენა და ყეფა. კიდევ შეიცვალა ადგილი, აბობოქრდა. მეტი ყეფა და მეტი ღრენა. ხროვამ გოროზად ჩაიარა. ბოლოში ლასლასით მისდევს შიმშილით დასუსტებული ფინია. ვიღაცამ წიხლი ჩასცხო. ძაღლი ტკივილისაგან დაიკლაკნა, შეჰყმუვლა, წკმუტუნით თუ ტირილით გაეცალა ბოროტს. ვიღაცეები იცინიან. ეამათ პირუტყვის ტკენა. ცოტაც და ფინიას ძვლებზე გადაფარებულ ტყავს ძალა არ ეყოფა... ჩასკუპდა. ხროვამ ადგილი შეინაცვლა: ძვლებზე გადაფარებული ტყავის ორი მშიერი თვალი დაკვდომია ცალთვალა ყასბის ხორცს. ასე შორიდან ყურება არის მისი სიცოცხლე. ყურება და ნატვრა ხორცის ნაჭრისა. ულაპოს ნერწყვი და კიდევ შორიდან უყუროს... რამდენიმე საათი და შიმშილი მოუღებს ბოლოს. აგერ სულ გვერდით რკინის კაუჭზე ჰკიდია მისი სიცოცხლე — ხორცის ნაჭერი. მაგრამ არა, ამ ნაჭერს მისთვის არავინ გაიმეტებს. ო, როგორ უნდა სიცოცხლე, მაგრამ ძალა აღარ ჰყოფნის და ცალთვალა ყასბის ხორცს, შიმშილისაგან დასუსტებული ფინიას ორი სევდიანი თვალის მზერა შორიდან დაკვდომია.

... ყასაბს ბრაზი ერევა. ცალი თვალი ხანჯალივით უელავს, იწყევლება, ბრაზობს და წუხს მყიდველი არ დამიფრთხოსო... შესაშინებლად გირი მოუქნია. ფინიას არ ჰყოფნის ძალა, გაქცევას ვერ ახერხებს. ოდნავ წამოიწია. დაიწკმუტუნა და ორი მშიერი თვალით კვლავ დააკვდა ხორცს. ასე შორიდან ყურება არის მისი სიცოცხლე. ძლივს მოახერხა ჩაეყლაპა პირში მომდგარი ნერწყვი. ცალთვალას ნერვები ეშლება. კიდევ ერთხელ მოუქნია გირი. საბრალომ კიდევ ერთხელ წამოსწია ტანი, ვედრებით მიაყმუვლა, თითქოს ითხოვს, ყურებას მაინც ნუ მიშლითო და კვლავ დააკვდა ყასბის ხორცს მისი ორი მშიერი თვალი.

ფიქრი ვიღაცის გონებას წვავს: ნუთუ მხოლოდ იმიტომ გაჩნდა ეს პატარა და კეთილი, უწყინარი და ერთგული არსება, რომ

შიმშილმა მოუღოს ბოლო?... ყასაბს მხოლოდ ერთი დარდი აქვს: სარფიანად გაყიდოს ხორცი.

...ო, როგორ წყურია სიცოცხლე — ერთი ლუკმა, რომელიც არავის არაფერში არ დააკლდება, მას კი — ამ საბრალო არსებას სიკვდილისაგან დაიხსნის. ო, როგორ უნდა იხილოს კიდევ ერთი მხიარული და მაძღარი დილა. ყასაბს ბოღმა ახრჩობს. ეშინია არ დაუფრთხოს მუშტარი. ცალი თვალიდან ნაპერწკლებს კვესავს. ორი მშიერი თვალი კი ემუდარება სიცოცხლეს... ამ დროს ბაზარში შემოდენილ ადამიანებს გამოეყო მელიის ქურქში გამოხვეული ქალი. ღიმილით გაპობილი ტუჩებიდან მოუჩანს მარგალიტებივით ჩამწკრივებული კბილები. შედებილ წამწამებქვეშ, ცისფერ თვალებში იმალება ვნება. სახე უღიმის. საამო რამ თუ აგონდება?... საამო არა აქვს მოსაგონარი. ეს „უმანკო“ ღიმილი დიდი არტისტული შრომის შედეგია. ეძია, დიდხანს ეძია სარკეში და იპოვნა. ახლა დადის ამ ნაპოვნი ღიმილით. ეს მას სჭირდება, რომ უკეთ მოიზიდოს მრუში მამაკაცები. ეს პროფესია ბედმა მას საარსებოდ არგუნა, თუ თვითონ აირჩია?! აგონდება: ვიღაც შეუყვარდა. ბიჭსა და გოგოსაც ახრჩობდათ ვნება... ითმინეს, ითმინეს და ბოლოს გაუწყდათ მოთმინების ძაფი. მოხდა ის, რაც ჯერ არ უნდა მომხდარიყო. ზეციურმა სიყვარულმა ხორცი შეისხა. მერე კი სიწმინდე სიმრუშედ იქცა და ვნების ოკეანეში დაიღუპა. შემდეგ?. აღარ უნდა მოგონება... აი, უკვე რამდენი წელიწადია დადის ამ სარკეში ნაპოვნი ღიმილით, რომელიც სახეზე მოირგო, როგორც მიწა შეითვისებს! სარეველას ნერგს.

მოდის ახოვანი მამაკაცი.

ქალს მოეწონა, ნიშანში ამოიღო. ქურქი გაისწორა. მიდის, მხრების ოდნავი შერხევით შეეხსნა ქურქი. გამოუჩნდა ვარდისფერი სხეული. თვალებში უფრო ღრმად ჩაუდგა თბილი ვნებამორეული მზერა. მამაკაცი უახლოვდება. ქალმა წამწამები დახარა სწორედ ისე, როგორც ეს სჩვევია გულწრფელ სიმორცხვეს... გაუსწორდა. ქალმა თითქოს მხოლოდ ახლა შეიმჩნია შეხსნილი გულმკერდი. მამაკაცის დასანახად მანიკიურიანი თითებით შეიკრა, მაგრამ საოცრება... უხილავმა ძალამ მეტად გამოაჩინა ვარდისფერი სიფაფუქე... კაცმა გულგრილად ჩაუარა. ქალის სახეზე იმედის გაცრუებამ იფეთქა ისე, როგორც მეთევზის სახეზე წყლიდან ცარიელი ბადის ამოღებისას. ქალს სახე კუშტი გაუხდა. გაქრა ნაპოვნი ღიმილი. ეჭვი შეეპარა თავის ჯადოსნურ სილამაზეში. ბოროტმა აზრმა ტვინი დაუგესლა: ათი წლის წინათ ეს მამაკაცი ასე გულგრილად ვერ ჩაუვლიდა...

ნუთუ?..

სიბერე?!...

ფიქრმა მორიელივით დაგესლა...

ადამიანი — არსება აღჭურვილი ღვთაებრივი თვისებებით — გონებით.

მორალი: ზნეობრივი ნორმების ჩამოყალიბებული სისტემა, რომლითაც პიროვნება დაკავშირებულია საზოგადოებასთან, განასხვავებს ადამიანს ცხოველისგან!

საუკუნეთა სიცარიელეში ისმის სატანას გულშემზარავი ხარხარი: ო, რამდენი საერთო აქვს მორალით აღჭურვილ ადამიანს და მორალის გარეშე დარჩენილ პირუტყვს?!

და აი, ხორცს ყიდის ხორცი!

... ხორცის საყიდლად მოვიდა ხორცი!

... ქალი მიადგა ხორცის რიგს. მისულს ცალთვალამ ალერსით ნაფერი, მრუში მზერა შეაგება. ქალმა ხორცის ნაჭერს წიწკიანად წაავლო ორი მანიკურიანი თითი და აბზეკილი ტუჩებით კეკლუცად იკითხა: -„რა ღირს?“. ყასაბს კისრის ძარღვები დაებერა. ქონიანი სახით გაუღიმა, დაჭყლეტილი ხმით ძლივს წარმოთქვა: „თქვენთვის უფასოდ“.

„ცუდი ხორცია“ — იცრუა ქალმა და ეს ისე უთხრა, თითქოს ამ პასუხშიც რაღაც გასამრჯელო ეკუთვნოდა. „ეს აიღეთ“, — საუკეთესო ნაჭერი ჩამოხსნა წითურმა. ყასბის შუშის თვალი უსასრულეთს მიშტერებია, ჯანმრთელი კი ოდნავ შეხსნილ გულმკერდიდან ამონათებულ ვარდისფერობას. მამაკაცს გააჟრჟოლა. ქალმა „იუცხოვა“ თავხედის მზერა. შეიკრა ქურქი, მაგრამ გულისპირი ძეტად გაეხსნა. ქალი ოდნავ მოიხარა. წითურის დასისხლიანებული ცალი თვალი გაალმასებული კობრასავით ჩასრიალდა ძუძუებს შორის ღრმულში.

„მზერა მოვიპარე“, — იზეიმა ყასაბმა.

„ძალაც ექნება და ფულიც“, — დაკმაყოფილდა ქალი.

„ამიწონეთ ეს ნაჭერი“, — ჩონგურის სიმივით შეირხა ქალის ხმა.

„ახლავე გენაცვალე“, — მოახერხა თქმა და ასწია არჩეული ნაჭერის ჩამოსახსნელად იდაყვამდის წაკაპიწებული ხელი.

ხორცი შეეხო ხორცს!

მამაკაცს შეაცივა. ქალმა იგრძნო გამარჯვება. „ზეიმი“ არ შეიმჩნია, მაგრამ პასუხად ხელი წამით შეატოვა. ოდნავ მოიხარა. ასპიტის მზერა ახლა მეტი სითამამით ჩასრიალდა ქალის უბეში.

ყასაბი მეტად გახელდა. ქარქაშიდან ამოწვდილი ხანჯალივით უელავს ცალი თვალი. საოცარმა სითბომ ფეხის ფრჩხილებამდის დაუარა.

... საცოდავი ფინიას ორი სევდიანი თვალი კვლავ დაჟინებით გასცქერის ხორცს. ყასაბმა არჩეული ნაჭერი ქაღალდში შეახვია. ქალმა მეტი ინდომა და კიდევ რამდენიმე წამით შეატოვა თბილი ხელი გახელებულს.

... ხურუშმა აიყარა ფაფარი.

... ყასაბს არ ახსოვს რა უთხრა, არც ქალს გაუგონია სიტყვები, თუმცა ორივემ იცის — დღეს ისინი ერთმანეთს შეხვდებიან.

... ქაღალდი შეიხსნა. ხორცის ნაჭერი ლაფში ჩაეშვა. ქალმა შეჰკივლა „ვაიმეო“ და დაეყრდნო მრუშის სისხლიან მკლავს. მამაკაცს ყელიდან ხარის მაგვარი ხროტინი დასცდა. (ეს იყო მისი სიხარული).

იცინიან — (ეს არის მრუშთა კუნტრუში).

ხორცი ხორცის სიახლოვით ნეტარებს — (ეს არის „სიცოცხლე“).

საბრალო ფინიას ბედმა გამოუწოდა ხელი. სულ ორ ნაბიჯზე ლაფში გდია მისი სიცოცხლის ხსნა — ხორცის ნაჭერი. მოიკრიბა უკანასკნელი ძალა — ტალახში ამოლუმპული არსება აბრეშუმის წინდებიან ფეხებსშუა გაუძვრა ქალს. დააცხრა ხორცის ნაჭერს. ქალმა შეჰკივლა, ღიმილი გადაეცალა, სახე რისხვით აენთო. ძაღლი იქვე მახლობლად ჩასკუპდა. ვერა და ვერ მოახერხა ხორცის ჩაყლაპვა. ყელი შეეკრა. ვერ გახსნა პირი. უნდა ჭამა, მაგრამ კრიჭა არ ეხსნება. ვნების ცეცხლით რეტდასხმულმა ცალთვალამ ძლივს დააღწია თავი უხილავიხ ბორკილს... ჩაიჩოქა. ცხვირსახოცით უწმინდავს აბრეშუმის წინდებს... ო, როგორ უნდა ბარძაყზე ოდნავ მოუთათუნოს ხელი. შუშის მკვდარი თვალი თითქოს ნებართვას ითხოვს... მოჯადოვებული ხელს ზევით მიაპარებს. ვნების ხანძარმა იფეთქა. მამაკაცმა დაჰკარგა კონტროლი. მხოლოდ ერთი სურვილი — მოუთათუნოს!... ქალმა სისხლიანი ხელი შეაჩერა თავისი ფაფუკი ხელით. ყასაბმა მაინც მოასწრო თბილი და ნაზი სხეულის ალერსი. ქალმა კრძალვით ჩასჩურჩულა: „სირცხვილია, გვიყურებენ“. ვნებამორეულმა მამაკაცმა შეგუბებული და მორჩილი ხმით უპასუხა: „გენაცვალე“. ქალმა იგი წამოაყენა. წითურს ყოველი ნაკვთი უცახცახებს. შემდეგ, როცა გონს მოეგო, გირი ფერდში მოარტყა ფინიას, რომელმაც შიშით ლუკმა არ გამივარდესო, ტკივილის გამოსახატავად პირის გაღებაც ვერ გაბედა. ყრუდ მიაწკმუტუნა. ეს იყო სიცოცხლის დაკარგვის შიშით აკრძალული ჩუმი ტირილი.

შიმშილი სიკვდილის პირობაა!

ლუკმა ძალაა!

ძალა სიცოცხლეა!

... ხროვამ იყნოსა დავარდნილი ლუკმა. ღრენა-ყეფა-გნიასით ქარიშხალივით გადმოიქროლა და თავს რისხვად დაატყდა საბრალო ფინიას. ვერ მოასწრო ლუკმა ჩაეყლაპა. მისი საცოდავი წკმუტუნი ჩაიძირა გოროზ ღრენა-ყეფაში.

გაგულისება.

ცოფი და სიგიჟის ჟინი.

რისხვა!

ბრძოლა არსებობისათვის. ხროვა შეიკრა. შემჭიდროვდა. ერთ ვეებერთელა მოძრავი ძაფის მორგვად იქცა. ხან საით გადაგორდება და ხან საით. ვიღაც მოცლილმა ინტერესისათვის ქვა ესროლა.

ხორვა უფრო მეტად შეიკრა. იმატა ლრენამ, კბენამ. ბორგავს და ბრაზობს.

ხარხარი...

კივის მეოცე საუკუნე: ბრძოლა არსებობისათვის!

სასწაული!

რა მოხდა?

მრისხანება შიშმა შესცვალა.

პანიკა!

შეშინებული ხროვა წკმუტუნით დაიშალა.

... კუდამოძუებული ძაღლები გარბიან!

ვიღაცამ მიაძახა: „მეძაღლია“!.. ფინიას დაგლეჯილ გვამს დაჰყურებს მხარზე სასროლბადეაკიდებული ახმახი. ქაჩალ თავზე: ალაგ-ალაგ ფოლადის მავთულის მაგვარი ჭაღარაგარეული შავი თმა. გაბურძგვნილ წარბებქვეშ ტბაში ბანაობს ორი შავი გვილი. (ეს მისი თვალებია).

ძვლავაც შეძახილი: „მეძაღლია“... ახმახის პირიდან გამოჩნდა ყვითელი ლობიოსავით მრგვალი მეჩხერი კბილები. ეს მისი ღიმილია. კისერზე ვარდისფრად უჩანს ოფლისა და ჭუჭყისაგან დახეთქილი ზოლები. „მეძაღლიამ“ გაზინთული ქუდით მოიწმინდა წვიმის წვეთები. დგას ადამიანის მაგვარი და სინანულით დასცქერის ძაღლის უკვე გამოუსადეგარ ძვლებზე გადაფარებულ ტყავს.

ტლაპოში გდია ხროვის მიერ დაგლეჯილი სიცოცხლე. დარჩა მხოლოდ უსასრულეთში დაკარგული ორი სარკედქცეული თვალის გაშეშებული მზერა.

აღარც შიმშილი, აღარც მაწანწალობა. აღარც ნატვრა, გამოიძღოს კუჭი. აღარც შორიდან მზერა და ნერწყვის ყლაპვა. მხოლოდ მარადისობა და საუკუნე გარინდება, გაშეშება... გაშეშება დარჩენილი დროის გარეშე.

ბაზრის ღვინის რიგიდან მოისმა ჩოჩქოლი. მოაბოტებს და ბოხი ჩახლეჩილი ხმით მღერის ქალი:

«налила мне рюмку водкий
и сказала пей
это будет слаще меда,
станит веселей»...

ვიღაცამ დაუსტვინა. მოდის მკერდზე არყით სავსე ბოთლმოყუდებული ბომბორა ქალი, მკერდგაღეღილი, არყით შეხურებული ვერ გრძნობს სიცივეს.

დაწირპლული მღვრიე თვალები უაზროდ იყურებიან. სადღაც მიდის, მაგრამ არ იცის სად. მოძრაობს დავიწყებული ქვეტექსტით. შეჩერდა. რისთვის?.. ვერ გაერკვა... რაღაც უნდა, მაგრამ ვერ მოიგონა. იტანჯება. უნდა... მოაგონდა: არაყი უნდა მოსვას. ხელის ცახცახით ცდილობს ბოთლი ტუჩებთან მიიტანოს... ბოთლი გაუვარდა... ქვაზე დაიმსხვრა. არაყი ტალახში ჩაიღვარა.

კრეკილი: „Мама“!

... ღმუილის მაგვარი გმინვა. გოდებს ვით შვილგარდაცვლილი დედა.

ბაზარი იცინის!

ბაზარი ხარხარებს!

ქალი კი მოსთქვამს. ცრემლები და გოდება. დაჰკარგა... დაიკარგა!!! უეცრად, თითქოს შავკუპრმოდებულ ცაზე მზემ გამოანათა. ქალის სახეზე ეშმაკურმა ღიმილმა ინათა. ასე იციან ბავშვებმა, როდესაც მიუხვდებიან უფროსებს, თუ გამოიჭერენ ტყუილში. ჩაიჩოქა. საჩვენებელი თითით უხილავს სიყვარულით დაემუქრა. ხრინწიანი ხმით აღმოხდა: «Врешь, не возмешь»! მიგიხვდიო... და ქალი დაეწაფა ლაფში ჩაღვრილ არაყს.

ბაზარი იცინის!

ბაზარი ხარხარებს!

... ატეხილ ლაფში ჩაეძინა ხორცის ზვინს. შუშის ნამსხვრევებით დასერილ სახეს სისხლი შეხმობია. ტუჩების ნაპირებზე მშრალად ფუჟფუკებს სპირტის სიმხურვალით შესქელებული დუჟი. კაბა ბარძაყს შერჩენია და ვარდისფერ სხეულზე სასირცხო ადგილი მუქდება.

ქალები ქალს გაეცალნენ.

ბამბაკაცები:

მდაბირნი გულით ხარხარებენ.

მრუშნი ნანობენ, რატომ არ არისო სიბნელე. გარეგნულად წესიერნი, სხვებისათვის შეუმჩნევლად ცდილობენ, დაცემულისაკენ გააპარონ მზერა: იქნება თვალი მოეკრაო სანუკვარს.

ვიღაცამ გადააფურთხა.

ბაზარი იცინის!

ბაზარი ხარხარებს!

სურათი ცოცხლად დაიხატა: ადამიანის დაცემის აპოგეა, ეს შედეგი შექმნა ყოფამ, ადამიანთა ყოფამ.

ბაზრის ჭიშკართან გაჩერდა სატვირთო მანქანა. ორი თოფიანი ჯარისკაცი ძარაზე დარჩა. ჩაკუნცხული პატიმრები ინტერესით აცეცებენ თვალებს, იქნებ ნაცნობს მოეკრაო თვალი. ერთი ჯარისკაცი პატიმარს გამოჰყვა; სწრაფად მიირბინეს ღვინის რიგთან. ნაყიდი ორი ბოთლი არაყი, პური და შაშხის ნაჭერი პატიმარმა მოხერხებულად ჩაიტენა უბეში.

ბადრაგს სახე გაებადრა.

პატიმრები გახალისდნენ. მანქანა დაიძრა. წვიმამ დაუშვა.

„ბორილა“

დრო!

— საოცარი ფაქტორი, მატერიის არსებობის საშუალება. დრო მარადისობის საზომი და ნაწილია. დრომ მიითვალა მილიონი სა-

უკუნე და კიდევ მიითვლის ვინ იცის რამდენს. დროის გარკვეულ მონაკვეთში ცხოვრობს ადამიანი და ამ დროშივე ქმნის საზოგადოებას.

დრო ასევე არის სივრცის არსებობის საშუალება. სივრცე კი მოძრაობის არსებობის საშუალებაა. მოძრაობა არის პრიმიტიული ფორმა სიცოცხლისა.

მოძრაობა დროის მონაკვეთში განვლილი გზის ნაწილია, ამ ნაწილის დასაწყისიდან დამთავრებამდე.

ვინაიდან მოძრაობა არის პრიმიტიული სიცოცხლე, რაც მოძრაობს, ის უნდა გარდაიქმნას (გაიზარდოს). ის, რაც არ გარდაიქმნება, სრულყოფილია და მარადიული.

მარადიული მხოლოდ ერთია:

ღმერთი!

ყოველი, რასაც აქვს დასაწყისი, უნდა დასრულდეს, მაგრამ რაკი ყოველი ეკუთვნის ღმერთს, არ შეიძლება მოისპოს, ამიტომ სიცოცხლე მოძრაობის შედეგად გამოდის დროის სამყაროდან და გადადის ღმერთის სამყაროში — მარადიულში. ქართველმა კაცმა სიკვდილს მიგნებულად უწოდა გარდაცვალება.

გარდაცვალების შედეგად „ცოცხალი" იცვლის სახეს — გადადის მარადიულში, რჩება ღმერთთან.

დრო არის მატერიალური და რადგან არის მატერიალური, სულ მოკლე ხანში შეგვეძლება მისი შენახვა, სურვილისამებრ მისი რომელიმე ნაწილის ამოღება დროის ყულაბიდან და ხილვა. ხილვა თამარისა თუ დავითისა, ანუ ადამიანთა საწყისი დროის სურათების. ყოველი ადამიანი თუ არსება ცოცხლობს დროში, რომელიც მას მიუზომა ზენამ. და მოძრაობს მანამ, სანამ მოზომილი დრო არ ამოიწურება.

დღესდღეობით დროის შენახვა ვისწავლეთ მეტად პრიმიტიული ხერხით: ეს არის ისტორია. ჩვენ ვისწავლით მომავალი დროის ხილვასაც, თუმცა სრულყოფას ვერ მივაღწევთ, რადგან ეს უკანასკნელი აღარ დაგვჭირდება, ვინაიდან განვლილი იქნება ჩვენს მიერ დრო — ჩვენ უკვე ვიქნებით დროის გარეშე. შევალთ ღმერთის სამყაროში — მარადიულობაში.

დღეს დადგა ჩვენი დრო.

მეოცე საუკუნე.

* * *

კოლხეთში დიდი ტყეა, ტყე უღრანი — ტახისა და მგლის თავშესაფარი.

შრიალებს ტყე ჭაობში და ისუნთქავს ნოტიოს. ლიჭიანით და კატაბარდებით ისეა დახლართული, როგორც ეშმაკის ხელით არეული ძაფის ნასკვი, თუ დაშლილი გორგალი. კატაბარდა-ლიჭიანს შაშვი ვერ ატანს, მხოლოდ ტახის უხეში სხეული თუ გადლეტს.

ცოცხლობს ტყე დროის შიშით ელდანაკრავი და იგონებს ბებერ ლეგენდებს: ოჩოკოჩზე, თუ ტყაშმაფაზე, ალნარკიაზე, თუ ანარკიაზე, მისანთა შელოცვების სასწაულთმოქმედებაზე, თუ მამლუქებად გატაცებულ ქართველთა ცრემლიან ტკივილებზე... სულ ახლოს კი დაგუბებული ბრაზით მიედინება ღონიერი რიონი... და თუ მრისხანებამ საზღვარს გადააცილა ერთის ფეხის დაკვრით გადაევლება მიწანაყარ დამბას, რომ უკუნ ღამეში ხის ხუხულას ადგილი შეუცვალოს და ააწიოკოს მძინარი მეგრელის სახლობა.

სუნთქავს ულრანი ტყე მძიმე ფიქრებით დახუნძული.

სუნთქავს ტყე, დრო კი მიედინება.

პროფესიონალმა ქურდმა უნდა მოიპაროს. იპარავ, ესეიგი ციხეში სხვაზე ხშირად ხვდები. ამიტომაც ციხე ქურდებს ეკუთვნით. ქურდებს ყველა სხვა საქმიანობა ეკრძალებათ. საბჭოთა კანონმდებლობით სასჯელმისჯილს ათავსებენ შრომაგასწორების კოლონიაში, რომ დამნაშავემ დანაშაული შრომით გამოისყიდოს. თუ დანაშაული შრომით უნდა გამოისყიდო, უნდა იმუშაო, ქურდს კი მუშაობა ეკრძალება: მუშაობისათვის ქურდს ქურდები „აფუჭებენ" — ჩამოერთმევა კანონიერი ქურდის უფლებები და, პირიქით, თუ კოლონიის ხელმძღვანელობამ ქურდი ვერ ამუშავა, „გააფუჭებენ" კოლონიის უფროსს. ყველა აქედან გამომდინარე, კოლონიაში ყველაზე დიდ დანაშაულად ითვლება მისჯილის მიერ სამუშაოზე უარის თქმა. ამიტომაც კოლონიებში მიმდინარეობს ომი ქურდებსა და კოლონიის ხელმძღვანელებს შორის. თუ ქურდი უარს აცხადებს მუშაობაზე, უფროსს უფლება აქვს მოახდინოს მასზე დაწოლა — ჩასვას „კარცერში", სასჯელის მოსახდელ განსაკუთრებულ საკანში, შეუზღუდოს ულუფა. საგანგებოდ ამყოფოს ნისტიან და ცივ საკანში, გადააგზავნოს განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიაში. ან გააგზავნოს საწინააღმდეგო „მასტების" (სახეობა) ზონაში. ძირითადში ერთმანეთს გადამტერებული არიან „კანონიერი" და „გაფუჭებული" ქურდები. (გაფუჭებულად ითვლება ქურდული წესების დამრღვევი ქურდი). ამ ორი სახეობის შეხვედრისას ხდება შეტაკებები, რომლებიც უმეტეს შემთხვევებში ტრაგიკულად მთავრდება. არის სხვა ორიენტაციის კოლონიებიც (რაც დამოკიდებულია თვით კოლონიის უფროსზე და მის კონტინგენტზე). ქურდის მისვლას ზოგი კოლონიის უფროსი კეთილგანწყობით ხვდება. რასაც აქვს თავისი გამართლება. იმ ზონაში, სადაც ქურდი იმყოფება, ყოველი პატიმარი მისი გავლენის ქვეშაა. იქ არ შეიძლება პატიმარმა პატიმარს მოპაროს, უდანაშაულოდ სცემოს, წაართვას, დააბეზღოს. ასეთ ზონაში ყველაფერი გაიზომება ქურდული წესების მიხედვით. თავის მხრივ ქურდები პატივს სცემენ „რაბოტიაგებს" — მუშებს. ვინაიდან მუშა-კოლონიაში დამნაშავენი ცხოვრობენ შედარებით „კარგად", ეძლევათ ფულის სამაგიერო ჩეკები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქურდიც უკეთ ცხოვრობს. ასეთი ვითა-

ება აწყობს კოლონიის ბევრ უფროსს, რადგან მათზე დაქვემდებარებულ დაწესებულებებში წესრიგს თვით პატიმრები იცავენ.

კოლონია, სადაც ჩვენს მიერ აღწერილი ამბავი ვითარდება, სწორედ ასეთი ორიენტაციისა იყო.

... იმ დღესაც წვიმდა.

სამუშაოს მწარმოებლის გამოუცხადებლობის გამო ბადრაგმა „პრასტოი“ გამოაცხადა (ასეთ შემთხვევაში დამკვეთი კოლონიას გაცდენილ დღეს ასი პროცენტით უნაზღაურებს).

„დამნაშავენი“ ხაროობენ.

ტყეში, მიტოვებულ ფაცხის გარშემო, ბადრაგს პატიმრებისათვის აკრძალული ზონის მისანიშნად წითელბაბთაშებმული ჯოხები ჩაუსვიათ. ერთ „სანდო“ პატიმარს ცეცხლის დასანთებად ტყიდან ხმელი ფიჩხი მოქონდა, მეორეს კი თხრილიდან „ბალანდის“ (პატიმართა სალაფავი) მოსახარში წყალი.

ფაცხაში, ამ საქონლისათვის მოწნულ დიდ ფარეხში მყოფთ, ორ სხვადასხვა კუთხეში დაუნთიათ ცეცხლი. ერთის გარშემო სხვედან „დახადიაგები“ (ასე ეძახიან შიმშილით დაუძლურებულებს), ეს საცოდავები ისე არიან მისავათებულნი, არა თუ მუშაობა, სიარულიც კი უჭირთ, მაგრამ სამუშაოზე გასვლის პროცენტი, რომ მაღალი იყოს, ძალით ერეკებიან. ერთი, რომელსაც სხვაზე მეტი ძალა შერჩენოდა, ცდილობდა სულის შებერვით გაეღვივებინა ახლადდანთებული ცეცხლი. შედარებით ღონიერნი ცეცხლის გარშემო მოკალათებულიყვნენ, უფრო სუსტები კი უკან, ფეხზე მდგარნი, ცეცხლს უფიცხებდნენ ხელის გულებს, რომ შორიდან მოეტაცათ სანუკვარი სითბო. აქ საუბრის თემა ერთი იყო—ვინ სად და როგორი საჭმელი ჭამა. კარგი მენიუს აღწერის შემდეგ გაეხმოდა აღტაცებული შექება „ნიჭიერი“ მთხრობელისა.

მეორე ცეცხლს მისხდომოდნენ კუნთმაგარნი და მათ მიერ პატივცემული „ფაშისტები“ (ასე უწოდებენ ყოფილ თანამდებობის პირებს). პატიმრებს „ფაშისტები“ მაინც და მაინც არ უყვართ, მაგრამ, რადგან მათი უმრავლესობა ადგილობრივი მცხოვრებელია და ხშირად მოსდით მსუქანი „პერედაჩები“ (საჭმელი), პატივისცემით ეპყრობიან. თავის მხრივ „ფაშისტებიც“ ქურდებს უყურებენ ეგრეთწოდებულ „ვიდილკას“ (ნაწილს მიღებულიდან), რის შემდეგ არავის უფლება აღარ აქვს მოსთხოვოს თუნდაც ცოტა რამ. საერთოდ ქურდი ყოველთვის ცდილობს ზედმეტი ლუკმა გაუყოს „რაბოტიაგებს“, რითაც ის იხვეჭს სახელსა და პატივისცემას. „ფაშისტების“ უმრავლესობა ან არ მუშაობს, ან მუშაობს მედღეებად, საკუჭნაოებში, ზონისშიდა მაღაზიებში, საწყობში და ა. შ. მიუხედავად ამისა, მაინც თავს ვალდებულად თვლიან ქურდებს მიართვან თავიანთი წილი. ეს მაშინაც კი, როდესაც „ფაშისტი“ გაყავთ ბადრაგში, სადაც ის თოფით ადგას თავისნაირ პატიმრებს და ასე იხდის სასჯელს, რადგან პატარა დანაშაულისათვის მას ჯვლავ ზონაში აბრუნებენ და ვაი მას, თუკი სადმე თოფით ხელში ყოფ-

ნისას რამე ისე არ გააკეთა, როგორც წესდება მოითხოვს. ამიტომაც ქურდულ კოლონიებში „ფაშისტებიც“ ისევე იქცევიან, როგორც უმრავლესობა, რომელსაც ადგას პატიმრის საშინელი უღელი.

ვინც არ უნდა იყოს, როგორი ღონიერიც არ უნდა იყოს, ვერასოდეს ვერ შეირგებს თუნდაც საკუთარ ნაშრომს, თუ კი ის ისე არ მოიქცევა, როგორც მოეთხოვება ქურდულ ზონაში მყოფს, აქ ყველა სარგებლობს ერთი კანონით. აქ არ ედგომება მხოლოდ „ბოზებს“ — დამსმენთ. საერთოდ ასეთი ტიპის ხალხს და მილიციაპროკურატურაში ნამუშევრებს თვით ციხის ადმინისტრაცია განსაკუთრებულ ზონაში ათავსებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შურისძიების მიზნით ვიღაც ვიღაცას საგანგებოდ ჩააყუდებს.

ცეცხლთან მსხდომნი გულისყურით უსმენენ „ბაჭიას“, რომელიც ყვება პატიმრებისათვის საგულისხმო ამბავს, „ინტელიგენტმა“ თუ როგორ წააგო „პრისტავკა“ (დათქმულ დროზე მოსატანი ვალი) „კრისასთან“ და დროზე ვერ ჩააბარა. ასეთი საქციელის შედეგად კანონიერ ქურდს „აფუჭებენ“, კანონიერი ქურდის გაფუჭება ციხის ცხოვრებაში კი განსაკუთრებული მოვლენაა, ისევე როგორც ცეკას მდივნის მოხსნა ჩვენს ცხოვრებაში. ამ შემთხვევაზე ზოგი რას ყვებოდა და ზოგიც რას, თუმცა აქ მყოფნი ყველაზე მეტად „ბაჭიას“ უჯერებდნენ, რადგან ყველამ იცოდა, რომ „ბაჭია“ „კრისას“ „შესტიორკა“ — მოჯამაგირე იყო. „ბაჭიაც“ გრძნობდა თავის უპირატესობას სხვა მთხრობელთა წინაშე, ამიტომაც ცდილობდა მეტად გამობრძმედილი და მცოდნე კაცის გამომეტყველება მიეღო.

„ბაჭია“ უკვე მერამდენედ ამტკიცებდა, რომ „ინტელიგენტი“ შეცდა. აბა, როგორ გინდა, წააგე, ჩააბარე! ქურდისთვის სხვა სიტყვა არ არსებობს, თუმცა ყოფილი ქურდი ბათუმელი, სახელად კაკია, რომელიც რაღაც ცოდვისათვის „გაეფუჭებინათ“, მაგრამ მაინც არ ეშვებოდა ქურდულ ცხოვრებას და „ინტელიგენტს“ მიტმასნებული დაბეჯითებით ამტკიცებდა:

— „ინტელიგენტს“ თამაშის წინ რომ არ გაეფრთხილებინა, ფული, რომელსაც გეთამაშები ქალაქში „ნაშასთან“ მაქვსო, მაშინ სხვა საქმე იყო...

— თუ ჰქონდა, რათ არ მოიტანა?

— კაცი ციხეშია, ქალი ქალაქში, რა იცი რა მოხდა?

— ვიცი, ჰქონდა ფული?

— შე ბემურაზო, ამას „ინტელიგენტზე“ ამბობ?

— „კრისა“ ნაკლები ხომ არ გგონია?

— „ინტელიგენტმა“ კალიმაში ორი „სროკი“ მოიხადა, სამჯერ „პაბეგში“ იყო, „თამბეგასთან“ ასი ათასი „პრისტავკა“ წააგო და დროზე ადრე ჩააბარა.

— „კრისა“ ორჯერ იყო გადასახლებაში...

— შენ ეგ თქვი, სად იყო?

— ციხე ციხეა!

— სად „ინტელიგენტის“ სახელი! აზრზე მოდი, ხიდზე გადი...

— ერთი რამ ვიცი, „კრისამ“ კაცობა გამოიჩინა...

— რომელი კაცობა?

— ჩაბარების ვადა დღეს საღამომდის გადაუტანა...

— ჩააბარებს კიდეც და იმასაც გავიგებთ, გუშინ რომ ჩაებარებინა, ხელი რამ შეუშალა? — არ ცხრებოდა კაკია.

— ღმერთმა ქნას, მე რა „ინტელიგენტის“ მტერი კი არ ვარ.

— „ინტელიგენტს“ ფულის მოსატანი „ქსივი“ (წერილი) „გორილასათვის“ გაუტანებია, — საუბარში ჩაერია ახალგაზრდა „ფაშისტი“, რომელსაც მისი ცეცხლივით წითელი თმებისა და სახის ფერისათვის „რიჟას“ ეძახდნენ.

— „გორილამ“ თქვა, ორჯერ ვიყავი „ხავერაში“ (სახლი) არავინ დამხვდაო.

— „ინტელიგენტი“ დღეს თვითონ უნდა წავიდეს...

— ვინ გაუშვებს, — კვლავ საუბარში ჩაერია „რიჟა“.

— ფული თქვი, თორემ ჩვენს უფროსებს გაშვება არ გაუჭირდებათ, — ცინიკურად განმარტა ალმასკომის ყოფილმა თავმჯდომარემ.

— ამ დილით „რაზვოდი“ (სამუშაოზე დაგზავნა) არც კი იყო დამთავრებული, როდესაც „გორილამ“ „ინტელიგენტი“ წაიყვანა.

— „ინტელიგენტმა“ იცის თავისი საქმე, — საუბარში ჩაერია კუნთმაგარი ჭაბუკი, რომელიც საცოლის მკვლელობაზე იჯდა.

— „ინტელიგენტს“ ამ „პრისტავკისათვის“ არც ცხელა და არც ცივა... — ჩაილაპარაკა „რუსომ“...

— რაო, — იფეთქა „ბაჭიამ“, — „პრისტავკას“ წაგება და არ ჩაბარება ქურდისათვის სიკვდილია!

— „ინტელიგენტი“ ცხრათავიანი კი არ არის, იმან იცის რასაც აკეთებს...

— გაკეთება ერთია, წააგე — ჩააბარე!

— ჩააბარე, ჩააბარე, ჩააბარებს!

— როდის, „სროკი“ გუშინ გავიდა?

— შენ იცი, რომ რუსთავის კოლონიაში „მუჟიკებმა“ „ინტელიგენტს“ ათიათასი შეუგროვეს?

— კარგი რა, — ნათქვამი არ დაიჯერა „რიჟამ“ და მსუქნად გადააპურჭყა.

— იცი, „ინტელიგენტს“ რა პატივს სცემენ? — თავისას არ იშლიდა „რუსო“.

— უფრო დიდი ქურდებიც მინახია, მაგრამ წაგებული ვალის გადასახდელი ფულის შეგროვება არ გამიგონია.

— „სასალოვკის“ (შიმშილობა) დროს „ინტელიგენტი“ მთელ „პერესილკას“ (გამანაწილებელი ციხე) საკუთარი ხარჯით ინახავდა. — თავი გამოიდო კაკიამ.

— ეგ მეც გამიგია, — კვერი დაუკრა „ბაჭიამ“. და რადგან „კრისას“ „შესტიორკა“ ამას ადასტურებდა, ეს საკითხი გადაჭრილად ჩათვალეს და ამაზე ლაპარაკი აღარ წამოჭრილა.

სადღაც შორს გაისმა ორი გასროლის ხმა, რაც პატიმრის გაქცევის მაუწყებელი იყო. ყველამ ყური ცქვიტა.

— გაქცევა. — ჩაილაპარაკა ვიღაცამ. უფროსი ბადრაგი — „დათუნია“ დამფრთხალი შემოვარდა, მას თან მოჰყვებოდა ქერა ჯარისკაცი.

— დასხედით! — გაისმა „დათუნიას“ გაბზარული ხმა. პატიმრები დასხდნენ. ყოველმა მათგანმა იცოდა: ასეთ შემთხვევაში, ეს ერთი შეხედვით თბილი და დამთმობი ადამიანი დაუნდობელი იყო. — დათვალე! — უბრძანა მან ჯარისკაცს. — ჯარისკაცი თვლას შეუდგა, სანამ თვლა მიმდინარეობდა, ფაცხაში მკვდარმა სიჩუმემ დაისადგურა. ბოლოს ეტყობა ქერამ მეტი რწმუნებისათვის გადაამოწმა, რის შემდეგაც მოახსენა:

— ყველა სახეზეა!

— ჩემი ბრძანების გარეშე ფაცხიდან გასვლა არავინ გაბედოს! — თქვა და ქერა ჯარისკაცთან ერთად გავიდა გარეთ.

რადგან პატიმრებს აუკრძალეს გარეთ გამოსვლა, ყველა მათგანის ინტერესი სწორედ ფაცხის გარეთ იყო მიმართული, როგორმე თვალი მოეკრათ ან გაეგოთ, მაინც რა ხდებოდა.

ჩია ტანის ბრიგადირმა „დათუნიას“ თხოვნით მიმართა: სასმელი წყალი არ გვაქვსო, რაზედაც „დათუნიამ“ მოკლედ უპასუხა: „თვითონ მოიტანე“. ბრიგადირი ვანო კოზმავა ვედროთი შევიდა ტყეში...

კატის სიმარდითა და სიმსუბუქით ტყიდან გამოვიდა დიდი კვადრატული ფორმის დაკორძილკუნთებიანი, ორმოცს წელს მიღწეული შავგვრემანი მამაკაცი.

— „გორილა“ — გაისმა ფაცხიდან ხმა.

კვადრატულ ტანზე შემოდგმული ბომბორა თავი გავარვარებული მუგუზალივით შეტრიალდა. ორი ნაკვერჩხალივით ანთებული თვალი ეძებდა — ვინ დაუძახა... კვლავ გაისმა: „გორილა“! — ამჯერად უძრავად დარჩენილ მუგუზაოზე მხოლოდ ყურები შეტრიალდნენ. ბრაზით ანთებულმა კვადრატმა ფეხი წამოჭარა კუნძს. შეიფორთხილა, ეტყობა ეტკინა, მაგრამ არ შეიმჩნია.

— „გორილა“!.. — გაისმა იგივე ხმა, რომელსაც მოჰყვა უწმაწური გინება და პატიმართა ხარხარი. პასუხად მუგუზალმა მრგვალი და მეჩხერი ყვითელი კბილებიდან მრავალსართულიანი ბილწი გინება მაზუთივით გადმოანთხია.

— „გორილა“! შენი დედა!..

— „გორილა“!

— „გორილა“! — ახლა უკვე ყვიროდა რამდენიმე ხმა, რასაც თან სდევდა პატიმართა გულიანი ხარხარი. კვადრატულმა ტანმა უჩქარა ნაბიჯს. ეტყობა გაცლა ამჯობინა... წამით თითქოს სამყა-

რო გაირინდა. წვიმაც შეწყდა. უეცრად ტყიდან მოისმა შეშინებული მამაკაცის ყვირილი: „მიშველეთ“!. ფაცხაში მყოფნი მისცვივდნენ კარებს. ყოველი ცდილობდა დაენახა, რა ხდებოდა. ორმა გარეთ გამოსვლაც კი შესძლო. „დათუნიამ“ თოფი გაისროლა.

— შედით, თორემ! — ჩახმახი შეაყენა უფროსმა ბადრაგმა და ლულა კარში მდგომთ მიუშვირა. პატიმრები ზედახორად შეცვივდნენ ფაცხაში. კარებს არ მოშორდა მხოლოდ კუნთმაგარი, საცოლეს მკვლელი.

— შედი, თორემ!

— რა გინდა, ჩემს ზონაში ვარ!

— შედი, თორემ! — ისევ დააჩხარუნა თოფის საკეტი „დათუნიამ“.

— შენც რა გაახურე! ვერ ხედავ გაცოფებულია? — ცდილობს კარებიდან გამოიყვანოს კუნთმაგარი მკვლელი „ბაჭიამ“. ამასობაში ტყიდან გამოჩნდა კოზმავა, რომელსაც მივარდა „დათუნია“. რამდენიმე სიტყვის შემდეგ „დათუნიამ“ ფაცხის ირგვლივ დატოვა სამი ჯარისკაცი, თვითონ კი მიჰყვა მიმავალ კოზმავას.

კოსტია ბესსმერტნი

დამნაშავეთა სამყაროში მომხდარი ყოველი განსაკუთრებული შემთხვევა საოცარი სისწრაფით ვრცელდება. წარმოიდგინეთ, ციხეში მყოფნი, რომლებიც იზოლირებულნი არიან „თავისუფალი“ სამყაროსაგან, და რომლებთანაც არ უნდა ჩააღწიოს მათთვის აკრძალულმა ინფორმაციამ, ის აკრძალულიც კი უფრო ადრე და ზუსტად აღწევს, ვიდრე მათთან, ვისთვისაც განკუთვნილია ესა თუ ის ინფორმაცია. ამჟამადაც ასე მოხდა. ყველა ციხესა და კოლონიაში იცოდნენ, რომ ინტელიგენტმა“ „კრისასთან“ „პრისტავკა“ ოცდაათი ათასი მანეთი წააგო. მკვლელობაზე კი ორი ერთმანეთის საპირისპირო ვერსია გაჩნდა. „კრისა“ ამტკიცებდა, „ინტელიგენტმა“ „პრისტავკის“ გასტუმრება ვერ შესძლო და ამიტომ გაქცევით სცადა თავის შველა. მაღალი გოგიას მტკიცებით, „ინტელიგენტს“ ფული მისმა ძმაკაცმა „წიპაიამ“ დათქმულ ადგილზე მიუტანა, მაგრამ „გორილამ“ ვერ გაუძლო დიდი თანხის ცდუნებას და გაქცევის ინსცენირებით მოჰკლაო. ამ ვერსიას ისიც ეჭვებდა, რომ კითხვას, „ინტელიგენტი“ როგორ მოხვდა იმ ადგილას, სადაც მოჰკლეს, ვერავინ ვერ გასცა დამაჯერებელი პასუხი. რაც შეეხება გამომძიებელს, როშელსაც ეს საქმე გადასცეს, იგი სიმართლის დადგენაზე მეტად ფულის დასაკუთრებაზე ზრუნავდა. ამ სურვილის ხელისშემწყობი პირობაც გაუჩნდა, ძიება თუ დაადგენდა, „ინტელიგენტი“ ფულისათვის მოკლესო, მაშინ პასუხი უნდა გაეცათ კითხვაზე: ამხელა თანხა რისთვის დასჭირდა პატიმარს საპატიმროში, რაც არცერთ შემთხვევაში ხელს არ აძლევდა კოლონიის ხელმძღვანელობას, ამიტომ ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს, რათა ძიება „გორილას“ სასარგებლოდ წარმართულიყო. სიმართლის დადგენა მხოლოდ კოლონიის უფროსის ოპოზიციაში მყოფ ერთ ოფიცერსა და ქურდებს სურდათ. ერთს თანამდებობა უნდოდა, მეორეს ქურდის მკვლელობისათვის საპასუხო დარტყმა მიეყენებინა მართლმსაჯულებისათვის, რაც დიდად გაუთქვამდა სახელს დამნაშავეთა სამყაროს.

„გორილა“ მკვლელობის მეორე დღესვე ციხეში გადაიყვანეს.

პარასკევი დღე იყო. კოლონიაში ეტაპს ელოდნენ. ქურდები დიდი მონდომებით ემზადებოდნენ დამნაშავეთა სამყაროს ერთ-ერთი სახელგანთქმული კოსტია ბესსმერტნის შესახვედრად.

ქურდებს ჰქონდათ ყველაფერი ის, რაც ეკრძალებოდათ: მორფი, ანაშა, „ჩიფირი“, არაყი, ასევე სხვადასხვა ხარისხის ძეხვეული, მაღალ გოგიას შამპანური და ხიზილალაც კი ეშოვნა. ერთ „კუტოკს“ (ერთი პატარა ჯგუფისთვის გამოყოფილი ადგილი) სომეხი „კრისა“ თავობდა. მეორეს მაღალი გოგია. პირველობას ორივე იჩემებდა, ამიტომაც ერთმანეთში თამაში ჰქონდათ გამოცხადებული. სწორედ ამ თამაშის ომმა შეიწირა „ინტელიგენტი“.

ცივმა ზღვაურმა, შავი ზღვის სანაპიროდან კუპრივით შავი ორუბლები გადმორეკა. დაბნელდა. ვახტში სინათლე აენთოთ. მოსულმა მანქანამ ერთი ხმამაღლა შეჰღმუვლა, მომაკვდავივით შეტოკდა და გაჩუმდა. ორი შაშხანიანი ჯარისკაცი მიწაზე მსუბუქად ოაეშვა. ერთი შაშხანაშემართული ძარაზე დარჩა. გაისმა უფროსი ბადრაგის წრიპინა ხმა: „თითო-თითოდ ჩამოდით!“. ჩამოსული პატიმრები, იქვე ვახტთან ჩაკუნცხულნი ელოდებიან, როდის გამოიძახებს მათ გვარს ვახტიორი.

შიშველ პატიმრებს ჩხრეკენ ვახტიორები.

წვიმამ დაუშვა.

ულრან ტყეში შემორაგულ ერთ პატარა შიშველ ფართობზე მდგარ რამდენიმე ბარაკში ოთხასი პატიმარი ცხოვრობს. დამნაშავეთა სამყაროს გარს არტყია ეკლიანი მავთულის ოთხმაგი ღობე. ღობეებს ქვეშ გაფხვიერებულ მიწას ყოველ დილით ფარცხავენ, რომ პირველსავე შეხებაზე დაემჩნას ნატერფალი. ამ ნაწილს აკრძალულ ზონას ეძახიან. ღობის მავთულში გატარებული დენი უზრუნველყოფს შემხების სიკვდილს. ზონის კუთხეებსა და შუა ნაწილში ოჩოფეხებზე აღმართულია პროჟექტორებით აღჭურვილი საყარაულო კოშკურები. გუშაგებს ყოველ ოთხ საათში ცვლიან.

ყოველ თხუთმეტ წუთში კოშკურებიდან ისმის ზარის ხმა.

იწყებს პირველი: დან, დან, დან...

ეპასუხება მეორე: დან, დან, დან...

შემდეგ მესამე, მეოთხე და ასე რიგრიგობით გუშაგები ღამეს ამცნობენ თავიანთ სიფხიზლეს.

დან!

დან!

დან!

შუაღამე გადასული იყო. ხანგამოშვებით გაისმის ზონაში მოარული მორიგეების მიერ გაღებული კარების ჭრიალი. შემდეგ მედღეეების პატაკი: „ყველაფერი რიგზეა“... მორიგე მახვილ თვალს გაავლებს ორ-ორ სართულიან საწოლებზე, დღის შრომით გადაღლილ, ღრმა ძილში წასულთ და განაგრძობს გზას.

ყველას სძინავს. არ სძინავთ ღამის მორიგეებსა და ქურდებს. ნომერ ორ ბარაკში ერთი კუთხე გამოირჩევა. კედელს ამშვენებს იაფფასიანი, მაგრამ საამო ფერებით დაჩითული გობელენი — შიშველი ქალები, რაღაც საშუალო საუკუნეების დამახინჯებული მიმსგავსება. აქ, ამ დასჯილ მამაკაცთა სამყაროში, ქალის უბრალოდ ხილვაც კი ახსენებს, რომ იქ სადღაც ზონის გადაღმა, არსებობს უდიდესი ნეტარება — ქალი. ერთმანეთზე დაგებული რამდენიმე ლეიბი საწოლს ფაფუკად ხდის. ბუმბულის ბალიშებზე ფეხმორთხმით სხედან მაღალი გოგია და კოსტია ბესსმერტნი. დაბალზე სუფრაა გაშლილი. გვერდით საწოლზე, რომელიც „ინტელიგენტს“ ეკუთვნოდა, ზის „კრისა“. არყით გამობრუებულები ახლა ანაშით კაიფობენ.

გარედან ისმის საგანგაშო სტვენა. შემდეგ მედღეევის ჩახლეჩილი ხმა: „ატას!“ შეკრებულობამ გოგიას მიაპყრო მზერა. მზერაში ისმის უსიტყვო კითხვა: „დავიმალოთ?“. აქ მყოფთა შორის ერთს სახეზე კუნთიც არ შეუტოკდა. ეს კოსტია ბესსმერტნია. პასუხად გოგიამ მაგარი „ნაფაზი“ უდარდელად ბოლომდის ჩაისუნთქა. ყველანი მიხვდნენ, გოგიკ იყო პასუხისმგებელი. არავინ არ ადგა. მოწონების ნიშნად კოსტია ბესსმერტნის გაეღიმა, ეს იგრძნო გოგიამ, ვითომც არაფერიაო და უფრო ღირსეული სახე მიიღო.

კოლონიაში ათ საათზე, გასაყრისის ზარის შემდეგ, პატიმრებს ყოველგვარი მოძრაობა ეკრძალებათ. ეკრძალებათ წიგნის კითხვაც. პატიმარს უნდა ეძინოს.

ღამის მორიგეებმა, რომელთაც რეჟიმის უფროსი კაპიტანი რუსია მიუძღოდა, ნომერ ორ ბანაკს გვერდი უქცევეს. რუსიას არ ეკუთვნოდა ზონაში მორიგეობა, მიუხედავად ამისა, ეტაპის დღეს ის ყოველთვის ზონაში ატარებდა.

ქურდები ღრეობდნენ. რუსიამ შეგნებულად აარიდა თავი, რადგან იცოდა ქურდებს „ინტელიგენტის“ მკვლელობაზე ექნებოდათ მსჯელობა. რასაც მსტოვრები სიტყვა-სიტყვით მიუტანდნენ.

ქურდები საპატიო შეკრებაზე დაშვებულნი ყურადღებით უსმენდნენ.

„კრისამ“ კიდევ ერთხელ გაიმეორა თავისი ნათქვამი:

— რა უნდა ვთქვა, წააგო ოცდაათი ათასი? წააგო. იმ დღეს უნდა მოეტანა? უნდა მოეტანა. სად გარბიხარ? რატომ გარბიხარ?.. ვერ იშოვე? გაქცევით გინდა თავი იხსნა?..

— რა იცი რომ „ინტელიგენტი“ შენთვის მოსაცემი ფულისათვის არ მოკლეს? — ცხარობდა მაღალი გოგია.

— არ ვიცი, — ფრთხილად უპასუხა „კრისამ“.

— აი, რომ არ იცი, ამიტომ კაცს ჩრდილი არ უნდა მიაყენო!

— ვა, მე ასეც შემიძლია ვიფიქრო და ისეც, შენ რათ მიშლი მე, როგორც მინდა ისე ვიფიქრო? — თავისი აზრი მოეწონა „კრისას“.

— ქვეყანამ იცის, „ინტელიგენტი“ აღმსრულებელი იყო!

— მე ვთქვი, რომ არა მეთქი?

— არა, სიტყვას არ ამბობ, მაგრამ თავი ისე გიჭირავს, რომ ასე ვამოდის!

— ვეყოთ წყლის ნაყვა, — ღირსებით წარმოსთქვა კოსტია ბესსმერტნიმ, — დაუკავშირდებით „წიპაიას“ და ყველაფერი გაირკვევა.

ამ სიტყვების შემდეგ კრინტი დიდხანს არავის დაუძრავს. ანაშიან თამბაქოს ღრმად ისრუტავდნენ. მაღალი გოგია მოკლულ ძმაკაცის სახელზე ზრუნავდა, „კრისა“ კი — როგორმე ჩრდილი მიეყენებინა „ინტელიგენტისათვის“, იქნებ ამით რამე შეემატა თავისი არც თუ ისე პრესტიჟული სახელისათვის.

იმ ღამეს დაადგინეს „წიპაიასთან“ შეხვედრა.

თუ ბარაკის ერთი კუთხე შედარებით, მაგრამ საცხოვრებლად მაინც ასატანი გახლდათ, იქვე გვერდით ღუმელის ირგვლივ გასაშრობად ეკიდა რამდენიმე ათეული წყვილი სველი ფეხსაცმელი. ღუმელის სიმხურვალით ატეხილი ორთქლი ნისლივით ებურა მბჟუტავ ნათურას. მწვავედ იგრძნობოდა ფეხის ოფლის სპეციფიკური სუნი. მძიმე იყო შეგუებული ჰაერი. მაგრამ აქ მცხოვრებთ, საზოგადოების მიერ მოძულებულთ, სუფთა ჰაერზე მეტად სანუკვარი სითბო და დასვენება უფრო ჭირდებოდათ.

ერთი შეხედვით, ყველას ეძინა, მაგრამ ადამიანებს ცხოვრებაში უჩნდებათ დარდი, რომელიც იქცევა ფიქრად და ღრღნის სულს, როგორც ჭია ჯიშიან ხეს. ღრღნის და არ ასვენებს. მოსვენებას ვინ ჩივის, ქრისტესავით ჯვარზე აკრავს. ამბობენ, ფიზიკური ტკივილების ატანა უფრო ადვილია, ვიდრე მღრღნელი ფიქრებისო. ტკივილებს თავისი დრო აქვს, გადაიტან დროის იმ მონაკვეთს და მორჩა, გაგივლის. ფიქრი კი ტკიპასავით ჩაგეჭიდება და არ გასვენებს არც ერთ დროს, არც ერთ საათსა და წუთს.

ბუნებამ ადამიანი განსაკუთრებული თვისებით დააჯილდოვა: რაც უნდა დიდი უბედურება დაატყდეს თავზე, რაც გინდა საშინელი არ იყოს, იგი ადამიანებს დრო და დრო მაინც უმსუბუქდებათ. ზოგჯერ საქმეს გადააყოლებენ გულს, ზოგჯერ ვიღაცის სულელური მოქმედება მოჰგვრით ღიმილს. სწორედ ამ თვისების გამო უძლებს ადამიანი წილხვედრ უბედურებას.

ფიქრებში ჩაძირული ყოფილი მასწავლებელი ერთ წერტილს მისჩერებოდა. ახალგაზრდა კარგი ტანისა და ლამაზი სახის კაცს ჯერ ბავშვობა მოაგონდა: დედა, მამა, ბებია, გაუთავებელი ალერსი. შემდეგ — როგორ დააპატიმრეს მამა, როგორ ჩხრეკდნენ სახლს, ეძებდნენ, დიდხანს ეძებდნენ, რას — თვითონ არ იცოდნენ.

ეძებდნენ იმიტომ, რომ საჭირო იყო ეპოვნათ რაღაც. შემდეგ, როგორ დაამთავრა სკოლა. შევიდა ინსტიტუტში. მასწავლებლობა, მსახიობობა. მერე — იჯდა თავის ოთახში და მეზობელი ოთახიდან ესმოდა სიმღერა. — საოცარი ციური ხმა... შემდეგ სიყვარული და უძილო ღამეები... აგონდება დედის. სიტყვები: „შვილო, გაანებე თავი, ეს გოგო არ არის ის, ვისაც შენ ხედავ“.

„რატომ არ დავუჯერე დედას, რატომ?“

ო, როგორ უმძიმს ფიქრი დღევანდელ ღამეს!

ღმერთო, რატომ არ შეიძლება მცდარი ნაბიჯის წაშლა, ისე, როგორც ეს შეიძლება ქაღალდზე წაშალო დაწუნებული აზრი? რატომ არ შეიძლება დღეს, შეცვალო ნაბიჯი, მოსპო შენს მიერ მონანიებული დანაშაული, რომელიც სურვილების წინააღმდეგ გადაგადგმევინა საკუთარმა ხორცმა.

საზიზღარო ხორცო, როგორ გვიბნელებ გონებას!

„რატომ არ დავუჯერე დედას, რატომ?“ — ტანჯავდა სინანული...

„ო, რომ შეიძლებოდეს“, მცდარი ნაბიჯის გადაშლა — განაგრძობდა ფიქრს — „რამდენით ნაკლები ცოდვა იბოგინებდა დედამიწაზე“!

უსასრულეთში გაისმა სატანას შემზარავი ხარხარი: გადაშლა რომ შეიძლებოდეს ბოროტიც გადაშლიდა და უფრო მეტად დაამძიმებდა ისედაც ცოდვილ დედამიწას!

ო, როგორ მეზიზღები, ჩემო ცოცხალო მძორო!

ღმერთო ჩემო, ეს მძორი ხომ მე ვარ, — თავზარი დასცა საკუთარმა აზრმა.

არა, არა, წარმოდგენა არ მაქვს, ჯოჯოხეთში რა უნდა ხდებოდეს ამაზე მეტი?!

გვერდით საწოლიდან, საბანი გადაიძრო და წამოდგა დაბამბული ჯუბითა და თექის ჩექმებით მწოლიარე კაცის მაგვარი. თავზე და პირზე იმდენი ჭაღარა თმა ჰქონდა, რამდენიც შეიძლება ამოუვიდეს ათ დღეში. ჭუჭყით სავსე ფრჩხილები ფრინველის მსგავსად მოკაუჭებული. ჩიკ-ჩიკით მივიდა ღუმელთან. ცეცხლს ხელები მიუფიცხა. თამბაქოს ნამწვს მოჰკრა თვალი. აიღო. ყოფილი მასწავლებელი ფიქრებს მოსწყვიტა. მასწავლებელს უკვირს: ბარაკში საამოდ თბილა, მაშ რატომ წევს ლოგინში ჯუბითა და ჩექმებით? — კაცისმაგვარმა ნაპოვნი გამოხვეული წეკოს ნამწვი შეათვალიერა, შემდეგ ნაკვერჩხლით წაუკიდა და ჩიკ-ჩიკით გავიდა გარეთ.

ღმერთო, რატომ ეცემიან ადამიანები ასე სასტიკად? — ფიქრობს ახალგაზრდა კაცი, — რამ მიიყვანა ეს საცოდავი ამ დღემდის?.. ადამიანი ხომ სიყვარულის ნაყოფია. ამ საცოდავის მშობლებსაც ვინ იცის როგორ უხაროდათ თავიანთი პირმშოს დაბადება. რა შეემთხვა ასეთი, რამ მიიყვანა ამ დღემდის? რამ დაჯაბნა

ასე, რატომ დანებდა ბედს, როგორც გველის ხახაში მოხვედრილი ბოლბეშო? უეცრად ცოცხალი არსების მსგავსად გამოეცხადა შიში: ბრა მელის? გააჟრჟოლა. ხედავს: მიცვალებული დედა სადღაც ასვენია. ტირის. მისვლა უნდა და მიალერსება, მაგრამ ათასი მაჯლაჯუნა არ აკარებს. ეძახის დედა, ეძახის, მაგრამ ვერ დგამს ნაბიჯს. ყვირის. ითხოვს შველას...

საკუთარმა გულისძგერამ გამოაღვიძა. ფიქრით გაწამებულისათვის ძილს თვალი მოუპარია. შვებით ამოისუნთქა. საშინელებაა მარტოდ მიტოვებული მოხუცი...

კაცისმაგვარი ჩიკ-ჩიკით შემოვიდა. მიუფიცხა ხელები ცეცხლს. შემდეგ ჩამოჯდა თავის საწოლზე.

— მეგობარო, — წაიჩურჩულა მასწავლებელმა, — აიღე, — გაუწოდა მთელი სიგარეტი. ამ საქციელით გაკვირვებული კაცისმაგვარი ლოგინში უსიტყვოდ შეძვრა.

— აიღე! — კვლავ მოფერებით მიეძალა მასწავლებელი. კაცისმაგვარი დუმს. — აიღე, ნუ გრცხვენია!..

— არ აიღებს, — გაისმა საწოლის ზედა სართულიდან ბოხი ხმა.

— რატომ? — გაუკვირდა ახალგაზრდას.

— ეს ხომ ცოცხალი ლეშია — პავში არასოდეს არაფერს არ გამოგართმევს, არც გთხოვს. არაფერი არ აქვს და არც უნდა რომ ჰქონდეს. ტანზე არ იხდის, არც იცვამს. ძალით ბანენ და კრეჭენ. არ შეგეკითხება და არც პასუხს გაგცემს. ერთმა უფროსმა სცადა ძალით ემუშავებინა, ექვსი თვე ჰყავდა კარცერში. ვიღაცამ თქვა სიკვდილი უნდაო, უფროსსაც შეეშინდა, სურვილი არ ავუსრულოვო და შეეშვა, — თავის ნათქვამზე თვითონვე ჩაიქირქილა. — თუ არ გენანება მომაწევინე, — სხვათაშორის მიმართა ახალ მეზობელს.

— ინებეთ, — სიგარეტი გაუწოდა გაოცებულმა ყოფილმა მასწავლებელმა. ზედა სართულზე მწოლმა გამოართვა. ოცდაათი წლის ჯანიანი ახმახი მძიმედ დაეშვა იატაკზე. საცვლების ამარა მიუჯდა ღუმელს და გააბოლა.

— რა ხანია ასეთი არომატული სიგარეტი არ მომიწევია, — თქვა და რამდენიმე ნაფაზით დაწურა მთელი სიგარეტი. — განიცდი? შეეკითხა იმ იმედით, რომ საუბარს გაუბამდა.

— არა! — ნაძალადევი გულგრილობით მიუგო ყოფილმა მასწავლებელმა და დახუჭა თვალები. ახმახი თავის საწოლს მიუბრუნდა. რამდენიმე წუთში გაისმა მშვიდი ხვრინვა.

დილას ყოფილი მასწავლებელი ვერ გაერკვია, ის ღამე ფიქრებში გაატარა, თუ ნახა სიზმარი.

დილის ექვს საათზე გაისმა ზარის ხმა — ნიშანი დამნაშავეთა სამუშაო დღის დასაწყისისა. პირველი ზარი ჩასაცმელად და ხელპირის დასაბანად, მეორე საუზმისათვის...

გამეტებით ისმის პირველი ზარი. ასეა, როდესაც რეჟიმის უფროსი ღამეს ზონაში ატარებს, მეხანძრე — პატიმარი ზარის რეკით, მუყაითი აღმსრულებელის სახელს იხვეჭს.

ბარაკებიდან ისმის მორიგე ზედამხედველის ყვირილი: „ადექით!“, პასუხად კადნიერთა მრავალსართულიანი გინება და გაუბედავთა უკმაყოფილო ბუზღუნი.

პირსაბანთან რიგი, მოქნარება, სიცილი და კვლავ გინება, გინება, როგორც საუბრის აუცილებელი ატრიბუტი. გინებით ამკობენ წინადადებას, აძლიერებენ შინაარსს. აქ გინებით ფასდებიან.

გაისმა მესამე ზარის ხმა, ბრიგადირთა შეძახილები, ეწყობიან ვახტის გასასვლელ ჭიშკართან, რათა ცხვრებივით თვლით ჩააბარონ და ჩაიბარონ (ვაი, თავო ჩემო, სანამდი დაეცი!). ეწყობიან და თვითეულმა იცის თავისი ადგილი, ისე როგორც მანქანის ძარაზე სხედან ტრასაზე გასამგზავრებლად.

დაგვიანებულები მორბიან. ზოგი რას ისწორებს ზოგიც რას. ამ დილას ვახტის კარების გაღებას აგვიანებენ. პატიმრები გუმანით გრძნობენ, ხდება რაღაც განსაკუთრებული.

სიცილი — საუბარი. მწკრივები აირივნენ, საუბარი კოლექტიურ ყაყანში გადაიზარდა.

დგანან.

წვიმამ დაუშვა.

რეჟიმის უფროსმა გამოაცხადა: „დაბრუნდით თქვენ-თქვენს ბარაკებში, სანამ ჩემი ბრძანება არ იქნება. სხვის სექციაში ყოფნა ჩაითვლება რეჟიმის დარღვევად. დაიშალეთ!“

ხალხმა იღმუვლა.

განარებული პატიმრები ხმაურით გაეშურნენ თავთავიანთ სექციებში.

იყო ბჭობა. ვინ რას ამბობდა და ვინ რას, თუმცა სინამდვილე არავინ იცოდა რა ხდებოდა.

იცოდნენ ერთი: მოხდა რაღაც განსაკუთრებული, სხვა შემთხვევაში ხელმძღვანელობა სამუშაოს არ გააცდენდა.

საშუალო ტანის, ეკლის მსგავს ცისფერთვალებას, ჩიკ-ჩიკით მიმავალი კაცისმაგვარი ფეხებში გაეხლართა. ქერამ წიხლი ჩასცხო. კაცისმაგვარს ეტკინა. წაიბორძიკა. ქერამ იუკადრისა ერთის დარტყმით როგორ ვერ წავაქციეო და მეორედ ჩასცხო.პავში მოიკუნტა. გულქვამ კიდევ ჩასცხო...

— რისთვის ასეთი სიმკაცრე, — გაიფიქრა ყოფილმა მასწავლებელმა, მაგრამ კითხვას პასუხი ვერ მოუძებნა...

ქერამ წაქცეულს ახლა სახეში ჩასცხო... კიდევ, კიდევ!

არავინ გამოექომაგა. უდანაშაულოს. ასე გადის წამები. მასწავლებელი წამოხტა. მუშტი სახეში ჩასცხო გულქვას. ქერამ სცადა პასუხის გაცემა. მოუქნია. ქომაგმა აიცდინა, „ბოქსიორმა“ (ასე ეძახდნენ ქერას) სხვა რომ ვერა გააწყო, ტანსაცმელზე ჩამოებღაუჭა. მეორე დარტყმამ „ბოქსიორი““ იატაკზე გაშოტა.

გაისმა მოწონებისა და კმაყოფილების ხმები: „ახია“, „ეგრე უნდა“, „აბა, რა ეგონა“, „ყველა კი არ შეგარჩენს“!

ყოფილი მასწავლებელი ზედამხედველმა კარცერში წაიყვანა. გაჰყვნენ პატიმრები. გზადაგზა უხსნიდნენ, საქმე როგორ იყო.

— სექციაში! — იყვირა ზედამხედველმა.

ქომაგნი მოშორდნენ.

კაცისმაგვარმა სისხლი მოიბანა. ჩამოჯდა თავის საწოლზე.

— მაგარი ბიჭი ჩანს, — ბოხი ხმით ლაპარაკობს დაკუნთული ახმახი.

— დარტყმაც ასეთი უნდა და სამართალიც, — პასუხობს მეზობელი.

— მაგი ბევრს დაამტვრევს რქებს, — გუგუნებს ახმახი.

ჩხუბი და მისი შინაარსი არც კოსტია ბესსმერტნისა და მაღალ გოგიას გამოჰპარვიათ.

— როგორ ბედავს ქერა, ასე ნებაზე რომ მიუშვია ხელები, — ვილაცას საყვედურობს მაღალი გოგია.

— ქურდულ „ლაგერში“ წესრიგზე ქურდებმა უნდა აგონ პასუხი, — დამრიგებლურად ასკვნის კოსტია.

— საღამოს ავუგებ წესს, — დაიმუქრა მაღალმა.

„ბოქსიორის“ ცემის შემსწრენი ჯგუფ-ჯგუფად ბჭობდნენ. ერთნი ამბობდნენ, ახალმოსულის სიყოჩაღეზე და სამართლიანობაზე, მეორენი ირწმუნებოდნენ ქერა არ შეარჩენსო...

გრიგალის მომასწავებელი ქარივით შემოვარდა ჯერ „ლოქო“ — პატიმარი მეხანძრე. შემდეგ მორიგე ზედამხედველმა ფაციფუცით დაიარა სექციები. ყოველს აფრთხილებდა თუ რამე აკრძალული გაქვთ, გადამალეთო. შემდეგ თვით რეჟიმის უფროსმა რუსიამ დაიარა: გულაგიდან გენერალი გვეწვიაო. ეს ამბავი, მართლაც, მოვლენა იყო, ჩვეულებრივ აქაურობას თბილისიდან თუ მოინახულებდა რომელიმე უფროსი, აქ კი გულაგიდან (კოლონიების მთავარი სამმართველო). ასეთ პიროვნებას საქართველოს ციხე-კოლონიების სამმართველოს უფროსი თუ შეჰბედავდა გამცილებლად გაყოლას. მართლაც, წითურ მსუქან გენერალს, რომელიც ზედმეტი ცხიმისაგან ქლოშინებდა, უკან ფარშავანგის მრავალფეროვანი კუდივით მოჰყვებოდნენ სამმართველოს უფროსი, შემდეგ მოადგილე, კიდევ ვიღაც-ვიღაცეები, მათში ერთ-ერთი კაპიტანი ქალი — ექიმი ყველაზე თამამად ესაუბრებოდა „ძვირფას“ ზემოდან მოვლენილს. ქალის ყოველ წინადადებაზე გენერალი თითქოს დნებაო, მოკრძალებით პასუხობს, ეტყობა, მეტად სიამოვნებდა კაპიტანი მანდილოსნის კეკლუცობა.

სასადილო—კლუბის სცენისმაგვარ შემაღლებულის კედელზე სასწრაფოდ ჩამოკიდეს ძერჟინსკის სურათი. დარბაზს ავსებენ ბრიგადირები და მათი მოწინავეები, მედღეველები და ზონის სხვა მომსახურენი.

„კევეჩეს“ (კულტ-საგანმანათლებლო ნაწილი) უკან ლანდივით მოყვება „კევეჩე“ პატიმართა მხრიდან. „სტანისლავსკი“ — ასე ეძახდნენ ამ აწურულ აყლაყუდას. ზონაში ყველას ჰქონდა მოსმენილი მის მიერ მოყოლილი დღიურები. სწორედ ამ მონაყოლის გამო არ სცემდნენ პატივს. მასხარადაც კი იგდებდნენ, რადგან წარმოდგენა არ ჰქონდათ რა არის რეჟისორი. დაწერილის სცენაზე გამეორებას, აბა, რა უნდაო, ფიქრობდნენ ისინი, ალაპარაკე ის, რაც წიგნში წერია! მათი აზრით რეჟისორი თეატრში ყველაზე დაბალი თანამდებობა არის. ამიტომაც იგივე თეატრის გამნათებელს ვასკა-„სვეტილნიკს“ მეტ პატივს სცემდნენ მისი გაქნილი ენისა და ანეგდოტებისათვის.

კულტურულ-აღმზრდელობითი ნაწილის კაპიტანმა წყლით სავსე გრაფინი და ჭიქა მაგიდაზე დადგა. შემდეგ კმაყოფილებით გადახედა დარბაზს, რომელიც ასე ჰგავდა თაფლზე შესეულ ბზიკების გამწარებულ გუნდს.

გენერლის მოლოდინში დარბაზი საუბრობდა.

გენერლის ჩამოსვლას ზოგი მომავალ ამნისტიას უკავშირებდა და ასაბუთებდა კიდეც ისე დამაჯერებლად, რომ აგერ ყოფილი ბუღალტრის გარშემო შემოკრებილნი უსმენენ და იჯერებენ. დაჯერებულთ ფეხის ფრჩხილებამდის უვლის საამო ჟრუანტელი— თავისუფლება. გვეღირსა ეს დღეც, ო, ფიქრობენ გახარებულნი. „მაგრამ მე რომ ბრძანებულებით მაქვს თხუთმეტი წელი“, — შესძრა საკუთარმა ფიქრებმა ყოფილი სამმართველოს უფროსი. ეს წყეული ბრძანებულება, — ფიქრობდა იგი, — ნახევარზე მეტი ფული მინისტრმა შეჭამა და არაფერი უთხრეს, მე კი თხუთმეტი წელი და ისიც ბრძანებულებით. შემპირდა დაგიხსნიო? იქნება ესაა ის შეპირებული დღე?

... აყრიან შეკითხვებს ყოფილ ბუღალტერს, ისიც პასუხობს. იგონებს და პასუხობს, პასუხობს ისე, როგორც თვითონ სჯერა, პასუხობს ისე, როგორც ზოგიერთის შეკითხვას უხდება.

— მცოდნეა, ამბობენ მასთან განმარტებისათვის მისულნი.

— მცოდნეა, ამბობენ და კიდევ და კიდევ მეტი განმარტებისათვის ეკითხებიან, რომ აღივსონ გული, რომ მოეშვათ ცოტათი მაინც.

ამნისტიის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ბანაკს, ეს კი ხელს აძლევს უფროსობას, რადგან ამნისტიის მომლოდინენი ნაკლებად ფიქრობენ გაქცევაზე. ზარმაცნი იწყებენ თავდადებულ შრომას. იქნებ დაგვიფასონ და მოგვიყენონ ამნისტიაო.

შემოსრიალდა ახლა უკვე ხუთად მოკეცილი „სტანისლავსკი“.

— მოდიან! — მოახსენა კაპიტანს და იქვე სადღაც მახლობლად ჩაიკარგა.

„მოდის“ — ყურები გამოიბა სავსე სასადილო-კლუბმა.

შემოდიან ზედამხედველები, რიგდებიან კლუბ-სასადილოს კედლებთან, უკან მოჰყვება ბადრაგ-ჯარისკაცთა ოცეული, იკავებენ „სტრატეგიულ“ პოსტებს. შემდეგ დაძაბული პაუზა.. შეირყა დარბაზი, გაქანებული ორთქლმავალივით შემოქანდა ქლოშინა გენერალი. დარბაზი ფეხზე დგება. „კევეჩე“ გენერალს უჩვენებს მის სავარძელზე. უკან მიჰყვებიან სამმართველოს უფროსი, შემდეგ მოადგილე, კოლონიის უფროსი. სცენაზე ადგილი აღარ არის, ამიტომ რეჟიმის უფროსი, დაცვის უფროსი, ოპერ-რწმუნებული და დანარჩენები იქვე მახლობლად ეწყობიან, ზოგმაც იკადრა და პატიმართა მიერ დათმობილ ადგილზე ჩამოჯდა.

— დასხედით, — მოწყალებასავით ბრძანა არყით გაჟღენთილმა გენერალმა. ყველანი ჩოჩქოლით დასხდნენ, — მოიყვანეთ!— ისე მიუგდო ეს სიტყვა გენერალმა კოლონიის უფროსს, როგორც ძაღლს მიუგდებენ ძვალს. უფროსმა ანიშნა დაცვისა და რეჟიმის უფროსებს, მათ დირიჟორის მსგავსად აიქნიეს ხელი და ერთი ძაფის სიმივით აეწყვენენ და მწკრივად გაჰყვნენ ზედამხედველები და რამდენიმე ჯარისკაცი.

კიდევ ვინ უნდა მოვიდეს? გაჩნდა უსიტყვო კითხვა. ისმის. რაღაც დაძაბული, რომელსაც ხმა არა აქვს და მაინც ისმის, — ესმის ადამიანის რომელიღაც ორგანოს. ესმის შინაგანად, რაც უფრო მეტად ძაბავს ვითარებას. და განა მარტო ერთ ვიღაცას, არა, მთელს დარბაზს. ძაბავს თვით კოლონიის ხელმძღვანელობასაც.

მოლოდინი.

წუთები.

დრო ითვლის. მოლოდინი გრძელდება. დაძაბულობა მატულობს. კულმინაცია!... დასცხა მსუქან გენერალს, ოფლი ცხვირსახოცით მოიწმინდა. ვერ ისვენებს: რატომ გაუგრძელდათ მოყვანა? აწუხებს... ღელავს უფროსი. ადგა. გადის. მას მიჰყვება სამმართველოს უფროსი და მისი მოადგილე. დარბაზმა იგრძნო რაღაც განსაკუთრებული, მაგრამ ჯერ ვერ გაერკვა რა მოხდა. კიდევ რამდენიმე წამი და წუთი...

არ მოდის! — უსიტყვოდ გაისმა.

არ მოდის — უსიტყვოდ პასუხობს დარბაზი.

არ მოდის, არა, არა!

არ მოდის, არა, არა, არა.

ხდება საოცრება, გულაგიდან ჩამოსულ გენერალს არ ეახლა ქურდების ატამანი კოსტია ბესსმერტნი. გასაოცარია, თუ ბედის ირონია, გენერალს არ ეახლა ქურდი?!

ღელავს უკვე გენერალიც. იფეთქა კიდეც, მაგრამ აქ ტვინში დარჩენილმა რომელიღაც ფხიზელმა უჯრედმა უკარნახა: დროზე თავი შეიკავოს, არაფრად ჩააგდოს ქურდის თავხედობა. თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო. ან სხვანაირად როგორ შეიძლებოდა? თუმცა სახის ისეთი გამომეტყველება აქვს, გულში კი მაინც სხვანაი-

რად, სრულიად საწინააღმდეგოს ფიქრობს. — „ვინ არის ეს ნაძერალა, რომ ასე იგდებს მას—გენერალს! გულში შეუკურთხა კოლონიის ხელმძღვანელობას. არა, როგორი რიხით მპირდებოდნენ მოვიყვანთო. უქნარები, მაგათი დედა... თუმცა რა, მაგათ ისეთ საყვედურს მივარტყამ, რომ შეიძლება ჩინიც კი დაუწიონ. კი, კი, ყველაფერი ხდება. არა, როგორ შემარცხვინეს, მე-გულაგის გენერალი!„— ფიქრმა ატკინა გული ადამიანს, რომელმაც ტკივილები საერთოდ არ იცის რა არის, თუ არ ჩავთვლით ტკივილად, ნაბახუსევი არაყს რომ ვერ იშოვის.

— იქნებ, ძალით მოვიყვანოთ? — იძლევა წინადადებას კოლონიის უფროსი.

— არავითარ შემთხვევაში, — ყველას გასაგონად პასუხობს ქლოშინა სტუმარი — განა არ იცით, პოლკოვნიკო, ფიზიკის კანონი, მგონი ლაუაზიესი, რაც უფრო მეტია დაწოლა, მით უფრო მეტია წინააღმდეგობა, ფილოსოფიურად პასუხობს რომელიღაც ქურდისაგან ნასწავლ სიბრძნეს, — მერე რა, თუ შეეშალა და ნიუტონის მაგივრად ლაუაზიე ახსენა. იქნებ არც იმ ქურდმა იცოდა ვისია ეს კანონი?!

აქ კი პატივისცემითა და მოწიწებით შეჰყურებს „ფიზიკოს“ გენერალს ზედამხედველი ბარდა თორია, რომელსაც სკოლაში მხოლოდ სამი კლასი ჰქონდა ნასწავლი. უკვირს, თუ ასე მცოდნეა, რა ჯანდაბად უნდოდა პატიმართა გენერლობა?

— არ მოდის! — გაწყრა გენერალი, მაგრამ სახეზე წყრომა არ შეიმჩნია. — ეხ, თქვე ფსიქოლოგებო, — სიტყვით უსაყვედურა, ხოლო თვალებით დაემუქრა სამმართველოს უფროსს. — იცოდით, რომ არ მოვიდოდა, თქვენ კი მარწმუნებდით... აწი მე ვიცი, — ხმალივით მოიქნია სიტყვები, — ამათ თათბირი ჩაუტარეთ, — დაასრულა საყვედური ქლოშინით.

ვის და რაზე ჩავუტაროთ? — იკითხა გარცებულმა კოლონიის უფროსმა.

— პოლკოვნიკო, ვის და რაზე თუ არ იცით, კარგად ყოფილა თქვენი საქმე, — გაწყრა მოსული.

— მესმის! ამოაფრქვია გონსმოსულმა და აკაციის სარივით გაიჭიმა.

ზონის გვერდით დგას უფროსის რეზიდენცია. კაბინეტში ყველაფერი ბრწყინავს. გენერლის ბრძანებით აქ შეუკრებიათ კოლონიის ხელმძღვანელობა. მოწინავე ბადრაგი და პატიმრები. მაგიდასთან მდგარ ერთ სავარძელში ზის გენერალი, მის წინ დგას მეორე ცარიელი.

— შემოიყვანეთ ბესსმერტნი! — კინაღამ სიტყვებმა დაახრჩო ქლოშინა, თვითვე გაუკვიდრა, ეს რა მომივიდაო.

შემოიყვანეს სუსტი ტანის, საშუალოზე ოდნავ მაღალი, დაახლოებით ოცდათხუთმეტი წლის შავგვრემანი. სწორი სახის ნაკვთებით, ოდნავ მოჭუტულ თვალებში ელავს: თავდაჯერებულობა და სიამაყე, დაუნდობლობა და სიკეთე. საუბრის დროს უბრწყინავს ერთი ოქროს კბილი. კარცერებში ხშირად ჯდომისაგან სახის ფერი ავადმყოფურად თეთრი. დახვეწილი მანერებით. ძალზე მშიერიც კი აჩქარებული არ აიღებს ლუკმას. გარეგნულად მშვიდი. საჭიროების შემთხვევაში დენთივით ფეთქდება. შავ სვიტრზე აცვია შავი კოსტუმი, ფეხებზე შავი ქრომის ჩექმები. საერთოდ რაღაც ინტელიგენტური. შემოვიდა თავისუფლად. გაჩერდა.

— დაბრძანდით, — ზედმეტი და მოგონილი თავაზიანობით მიმართა გენერალმა.

— გმადლობთ, — მხარი აუბა ქურდმა, თან ეშმაკურად თვალი ჩაუკრა იქ მსხდომთ და თავისუფლად, თითქმის თავხედურად ჩაეშვა წინ მდგარ სავარძელში.

— კოსტია, მიბრძანეთ მამათქვენის სახელი.

— გენერალო, შეგიძლიათ პირდაპირ კოსტია მიწოდოთ, ასე მეძახიან ჩემი მეგობრები და ამით არაფერი დამკლებია.

— ნება თქვენია. მინდა გაგესაუბროთ.

— ბრძანეთ.

— მაინტერესებს რა აზრისა ხართ სიცოცხლეზე და რა უნდა აკეთოს ადამიანმა თავის სიცოცხლის მანძილზე?

— ვინაიდან ადამიანს სიცოცხლე მხოლოდ ერთხელ ეძლევა, უნდა აკეთოს ის, რაც მას მოესურვება.

— შენ იქნებ ქვეყნის გადაწვა მოისურვო?

— უნდა გადავწვა, — უყოყმანოდ მიუგო ქურდმა.

— ნუთუ ამ ქმედებას ნორმალურად თვლი?

— გენერალო, ალექსანდრე მაკედონელი, დიქტატორი სულა, უზურპატორი ნაპოლეონი, ლენინი, სტალინი, განა ყველა ესენი სწორედ იმისათვის არ ადიდა ისტორიამ, რომ სწვავდნენ ქალაქებსა და სისხლში ახრჩობდნენ მილიონებს? — გენერალს თითქოს სილა გააწნესო. დაიბნა. ოჰო, გაიფიქრა მან, ეს არამზადა ნაკითხი ყოფილა და რადგან უწიგნურ ჩიხოსანს ამ პაექრობაში გამარჯვების იმედი დაეკარგა, გადაწყვიტა: „არა, ამასთან ფილოსოფიური“ კამათი არ ივარგებს, შევრცხვები. კამათი ცხოვრებისეული ჩარჩოთი უნდა წარვმართო. დაიწყო აზრის გამოსათქმელი სიტყვების ძებნა... ჯიბიდან ამოიღო გაუხსნელი პაპიროსი „ყაზბეგის“ კოლოფი. ნეკა თითის ფრჩხილით გახსნა. ერთი ამოიღო. მოსრისა. მუნდშტუკით დაბერტყა. სანთებელათი მოუკიდა. ღრმად ჩაისუნთქა. მხოლოდ ახლა მოაგონდა, რომ ინტელიგენტის როლს თამაშობს, კოსტიას კი არ მიაწოდა. შეცბა. გაეღიმა.

— მაპატიე, შენმა სიტყვებმა ისე დამაფიქრეს, რომ პაპიროსის შემოთავაზებაც კი დამავიწყდა, — მოიბოდიშა და კოლოფი გაუწოდა.

— გმადლობთ, — ირონიული ღიმილით მიუგო ქურდმა, — სხვადასხვა მარკისას არ ვეწევი, მავნებელია, სიტყვის მოგებით

უპასუხა, ხოლო დასტურად, ძვირად ღირებული უცხოური სიგარეტი „კემელის“ ახალთახალი დასტა ამოიღო. გენერალმა გაოცება ვერ დაფარა. ამ სიგარეტს მოსკოვში ძლივს შოულობს, ამ ოხერმა, აქ, სადაც დაკარგულ მხარეს საიდან მოახერხა. გამარჯვებულმა კოსტიამ კი განაგრძო, — ნუ გიკვირთ, გენერალო, როგორც ხედავთ, კოსტია ბესსმერტნის „გამოსასწორებლად“, — ხაზგასმით წარმოთქვა ეს ორი სიტყვა, — თქვენი ქვეშევრდომი ჩინოსნები საკმაოდ გულმოდგინებით ემსახურებიან, — ეს უკვე მეორე ხილა იყო გენერლისათვის, რომელიც თვით გენერალმა და მის ირგვლივ მდგარმა „აღმზრდელებმა“ უსიტყვოდ „შეიტყაპუნეს“. ხოლო მათ შორის მყოფი რეჟიმის უფროსს კაპიტანს გააცია, ამ ოხერმა ჩემი გვარიც არ დაასახელოსო.

— ვერც გაამტყუნებ, — გენერლის დუმილში განაგრძო ბესსმერტნიმ, — სამსახურში ძალზე ცოტას უხდით!

— ცოტას? — იკითხა დაბნეულმა ქლოშინამ.

— დიახ, ცოტას, და ასეა მთელს თქვენს რევოლუციით მონაპოვარ იმპერიაში.

— იმპერიაში? — სიტყვის შეეშინდა გენერალს.

— სხვა რა შეიძლება ეწოდოს სახელმწიფოს, სადაც ყოველი ადამიანის სუნთქვაც კი კრემლის თვლაზეა აწყობილი?

— ყოველი ღებულობს იმდენს რამდენსაც იმსახურებს, — გაუხარდა გენერალს, რომ პოპულარული სიტყვები მოიხმარა, მაგრამ წარმოთქვა მკაცრად და საქმიანად.

— საწყობის გამგეს, რომელიც მილიონი მანეთის ღირებულ საქონელს პატრონობს, განა ას მანეთს უნდა უხდიდნენ?

— აკი მოგახსენეთ, ყველა ღებულობს იმდენს, რამდენსაც იმსახურებს!

— გენერალო, ადამიანებს ცხოვრება უნდათ!

— იცხოვრეთ, ვინ გიშლით?

— ასი მანეთით?

— თუ კი მეტს არ იმსახურებს?

— იცით, რომ ამ ასმანეთიან მამის შვილმა, რომელსაც მშობლებმა სურვილი ვერ შეუსრულეს, ველოსიპედი მოიპარა, თქვენ კი მას ხუთი წელი მიუსაჯეთ!

— საბჭოთა კანონით, აქლემისა და ნემსის ქურდი ერთნაირად ისჯება, — სიტყვა „მოუჭრა“ გენერალმა.

— რა თქმა უნდა, ერთია. თქვენს მიერ მისჯილნი, აქ მოიხსმენენ დამნაშავე აკადემიკოსთა ლექციებს, ხოლო შინ დაბრუნებულნი, მიღებულ თეორიულ ცოდნას ხორცს შეასხამენ. ან რატომ არ უნდა დაიწყონ ქურდობა? განა თქვენს ფაბრიკა-ქარხანაში, თუნდაც თავდადებული შრომისათვის ერთი კვირის სამყოფს თუ უწყალობებთ, მიპასუხეთ, დანარჩენი სამი კვირა რითი იცხოვროს?

— როგორ ცხოვრობენ მილიონები? — ნიშნისმოგებით შეეკითხა გენერალი.

— მონურად! მონობა კი ყველას არ შეუძლია. ასე რომ, გარყვნას თვით სახელმწიფო იწყებს!

— ცდები, ყოველ სახელმწიფოს გააჩნია კანონი, რათა საზოგადოება დაიცვას დამნაშავეებისაგან!

— გეთანხმებით...

— ხოლო ყოველ დანაშაულს აქვს ზომა თავისი სასჯელისა, რომელსაც დამნაშავე შრომა-გასწორების კოლონიაში იხდის.

— შრომა-გასწორების?

— დიახ, რადგან მჯერა, შრომა აკეთილშობილებს ადამიანს!

— კი, მაგრამ დამნაშავეს დანაშაულის ჩადენა ვინ აიძულა?

— როგორ თუ აიძულა?

— დიახ, აიძულა თქვენმა სახელმწიფო სისტემამ!

— სისტემამ? — ძლივს გაიმეორა თავზარდაცემულმა გენერალმა.

— დიახ, იმ ასმა მანეთმა, რომელიც არ ყოფნის მოთხოვნილებათა თუნდაც მინიმუმის დასაკმაყოფილებლად. ძაღლი მაშინ წუწკდება, როდესაც პატრონი აშიმშილებს!

ქლოშინამ შეშინებული სახით გადახედა სიმართლის გაგონებით თავზარდაცემულ ქვეშევრდომებს, რომლებსაც პრაქტიკულად ჰქონდათ გამოცდილი ჯამაგირის უკმარისობა და იცოდნენ, თუ პატიმარს არ მიუტანდნენ შინაგანაწესით აკრძალულს, ყოველ მათგანს ელოდა უმოწყალო შიმშილი. ეს იცოდა გენერალმაც. მაგრამ ობედურება ის გახლდათ, ამის ხმამაღლა თქმა ყოველი მათგანის ცოცხლად დასამარებას ნიშნავდა. ამიტომაც გენერალმა მოკლედ მოუჭრა:

— კოსტია, მოდი, თავი დავანებოთ, ვინ რამდენს ღებულობს, ამას ჩვენ არავინ არ გვეკითხება, ვილაპარაკოთ იმაზე, რაზედაც გვეკითხებიან — შენზე!

— კეთილი. დაიდევით ხელი გულზე და მიპასუხეთ, მართლა გჯერათ, რომ ყველა პატიმარი დამნაშავეა?

— შეიძლება გამოერიოს გამონაკლისის სახით... — გენერალს საკუთარი სიტყვები გაუკვირდა. როგორ შეიძლება გაფიქრებაც კი იმაზე, რომ საბჭოთა სახელმწიფოში შეიძლება დაისაჯოს უდანაშაულო ადამიანი? — ღმერთო, ეს რა წამოვროშე, კიდევ უფრო მეტად შეშინდა გულაგელი და შეცდომის გამოსასწორებლად სიტყვებს დაუწყო ძებნა, რომლებიც ასე გაუძვირდნენ. ქურდი მიუხვდა გენერალს შეცბუნების მიზეზს და ინტერესით დაუწყო ლოდინი პასუხს. მოსულმა აზრმა გენერალს სახე გაუნათა. დინჯად და მზრუნველად დაიწყო:

— კოსტია, არ დაგიმალავ ძალიან მესიმპათიურე, მითხარი, რა გინდა იმისათვის, რომ მჯობა დაიწყო. მითხარი, როგორი პირობები გინდა შეგიქმნა?

— ასეთი რამ რომ მინდოდეს, მე თვითონ შევიქმნიდი.

— გამიგე, შენგან სულ მცირეს მოვითხოვ, უბრალოდ, ხელი მოკიდე ნაჯახს ან ნიჩაბს. ნორმას არავინ არ დაგიწესებს. მხოლოდ ხელი მოკიდე. — კოსტიას დუმილი ჩინოსანმა თანხმობის ნიშნად ჩათვალა და ამიტომ პოეტური მგზნებარებით განაგრძო, — მომეცი საშუალება დაგეხმარო დროზე ადრე განთავისუფლებაში. ამის პირობას მე გაძლევ, გულაგის გენერალი!

— მზრუნველობისათვის დიდი მადლობა. მაინტერესებს, თქვენს ცხოვრებაში უპირველესად და უმთავრესად რა მიგაჩნიათ?

— პატიოსანი შრომა, — ლოზუნგის რიხით წარმოსთქვა გენერალმა.

— მე კი ეს უკანასკნელი სასტიკად მეკრძალება.

— ვინ გიკრძალავს?

— ქურდული კანონი!

— განა თავისუფლება არაფერი ღირს?

— გააჩნია ვის როგორ ესმის თავისუფლება.

— თავისუფლება ერთია, ციხის გარეთ!

— სულერთია სად, მე თავისუფალი მაშინ ვარ, როდესაც იმას ვაკეთებ რაც მე მინდა!

— მაშ, გარეთ ყოფნა არაფრად გიღირს? — გაოცდა გენერალი.

— როგორ არ ღირს, მაგრამ მე ქურდი ვარ და ჩემი კანონი უფრო მეტად მიღირს!

— კოსტია, დაფიქრდი, ერთ წელიწადში განთავისუფლდები, არ დაგავიწყდეს, კიდევ რვა წელი გაქვს დარჩენილი... შეირთავ ცოლს, გეყოლება შვილები, შვილისშვილები...

— გექნება მანქანა, ტელევიზორი... — სიტყვა გაუგრძელა ბესსმერტნიმ.

— დიახ, დიახ...

— რასაც თქვენ მპირდებით, გენერალო, მხოლოდ იქ არის!

— იქ, სად? — გულუბრყვილოდ იკითხა ქლოშინამ.

— ამერიკაში, გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, მოკლედ საზღვარგარეთ, აქ კი მხოლოდ შრომა, წვალება და შიმშილი!

აფეთქდა გენერალი, მაგრამ მალე გონს მოეგო, მოაგონდა თავისი მისია, თუ კავშირში განთქმული ქურდი კოსტია ბესსმერტნი მუშაობას დაიწყებდა, მას ბევრი დამნაშავე მიბაძავდა, რაც შრომა-გასწორების ორგანოების პრინციპული გამარჯვება იქნებოდა, ისიც იცოდა, ამ საქმისათვის ორდენი და ჩინით ამაღლება აუცილებელი იყო, ამიტომ თავი შეიკავა და სანამ ამ „გადარეულის“ მომათვინიერებელ პირობას მოიგონებდა, გადაწყვიტა მასთან სიტყვებით ეკენწლავა.

— ე, ჩემო კარგო, მე რომ დამარწმუნო, ამისათვის მარტო მაღალფარდოვანი სიტყვები როდი კმარა?

— სიტყვები, ეს ხომ თქვენ გჩვევიათ.

— ჩვენ? — გაეღიმა ქლოშინას.

— დიახ, თქვენ და ისიც ხალხის წინაშე, კრებაზე ან ლენინის დაბადების დღისადმი ძალად შეკრებილ მიტინგზე! — ეს კი მეტისმეტად ეჩვენა, მაგრამ ჩინის ამაღლების ხათრით თავი მაინც შეიკავა.

— ასეთი ლაპარაკით, პოლიტიკური სტატიის აკიდებაც არ არი ძნელი, — დაემუქრა გენერალი.

— არ გამიკვირდება, ეს ხომ თქვენი მოვალეობაა, — უდარდელად და თავხედურად მიუგდო სიტყვები ბესსმერტნიმ.

— ჩემი სამსახური შენისთანების აღზრდაა, — მკაცრად და ღირსებით მიუგო გენერალმა.

— რომ აღზარდო, თვით უნდა იყო აღზრდილი, — წაუწიწაკა კოსტიამ. ბუნებით წითური ქლოშინა მეტად გაწითლდა, გაიბერა, მაგრამ სასწრაფოდ კიდევ ერთხელ მოუხმო მოთმინებას და უმწარესი სიტყვები ღრმა ამოსუნთქვას გააყოლა. იქ მყოფ ჩინოსნებს გააცია: „ეს რა აკადრაო“. ყოველი მათგანის თვალებში ერთი თხოვნა იყო: „ბრძანე და უდიერს აქვე დავგლიჯავთო“ — და ეს სურვილი შათ მზერაში ისე მოჩანდა, როგორც დაჭერილი მგლის გარშემო ჯაჭვებით დაკავებული ძაღლების ყეფა. იქ მყოფთა წინაშე მისი პრესტიჟი რომ არ დაკარგულიყო, გენერალმა თავი ირონიით გააქნია. ოდნავ პაუზის შემდეგ დინჯი და ბრძნული ტონით დაიწყო.

— ვერ გამიგია, რას გაძლევს შენი ქურდული კანონი?

— თავისუფლებას!

— სიცოცხლის ნახევრის ციხეში გატარებას თავისუფლებას ეძახი?

— ციხე ეს ხომ ჩემი სამყაროა!

— შენი?

— დიახ ჩემი. აქ მე ჩემი კანონებით ვცხოვრობ, და ყოველი ის, ვინც ჩემს სამყაროში მოვა, იცხოვრებს მხოლოდ ამ კანონებით!

— საინტერესოა, როგორია ეს შენი კანონები?

— გეტყვით; აქ არ შეიძლება ქურდობა, წართმევა, ერთის მიერ მეორის დაჩაგვრა...

— შენი სიტყვით აქ არ იპარავენ?

— არავითარ შემთხვევაში და თუ ვინმემ გაბედა სასტიკად დაისჯება...

— განაგრძეთ. მე გისმენთ.

— აქ არ ღებულობენ ქრთამს, სძულთ მლიქვნელობა, ენის მიტანა, დაბეზღება, თუ ქურდს აქვს, აქვს მთელ კოლონიას...

— გამოდის დაგიმყარებია კომუნიზმი?

— ღმერთმა გვაშოროს, — გულწრფელად აღშფოთდა ქურდი.

— მაინც რატომ?

— იმიტომ, რომ თქვენ და ჩვენ ერთმანეთის საპირისპირო — სხვადასხვა სამყარო ვართ!

— მაინც რაში გამოიხატება ეს ჩვენი სხვადასხვაობა?

— თქვენ დამბეზღებლებს აწინაურებთ, ჩვენ ვკლავთ. თქვენთან დაბეზღება — ჩეკისტობა საამაყო პროფესიაა, ჩვენთან დაბეზღება საზიზღრობაა.

— დამნაშავის მხილება განა დაბეზღებაა? — გაჭარხლდა ჩინოსანი.

— უბედურება იმაშია, რომ დაბეზღება მხილებისაგან ვერ გაგირჩევიათ!

— როგორ?

— ჩვენ დაბეზღებას ვეძახით, როდესაც მოვა ვიღაც და ჩუმათ ყურში ჩაგაწვეთებს, ამან და ამან ესა და ეს გააკეთაო, მხილებას კი ვეძახით, როდესაც დამნაშავეს საქვეყნოდ პირში მიახლი ბოროტება შენ ჩაიდინეო!

— შინაარსი ერთია, ჩემო კოსტია, — ირონიით ამოიქლოშინა გენერალმა.

— თქვენთან უმეტესობა პარტიაში პრივილეგიებისათვის შედის და არა იდეისათვის. თქვენთან ქრთამი და დაბეზღება დაკანონებულია. თქვენთან კანონი მხოლოდ ქაღალდზე იწერება, ჩვენთან კი კანონი ცოცხლობს.

— ჩვენთან სახელმწიფო სამართალია, — ბრაზი ვერ დაფარა ჩინოსანმა.

— ვიცი თქვენი სამართალი. არასრულწლოვანთა კოლონიიდან, როგორც კი შეუსრულდება თვრამეტი წელი ოქ, ამ ჯოჯოხეთში მოგყავთ, თვეობით გაწამებული, ჯერ კიდევ ტუჩებზე რძეშეუმშრალი, გამანაწილებელ ციხეებსა და ეტაპებში შიმშილით ქანცმილეული ბავშვები. მოგყავთ იმ სამყაროში, სადაც ცხოველადქცეული ოც-ოცი წელიწადი ქალუნახავი შიმშილით დაცემულ უმანკო კრავს ერთი ულუფა პურისათვის ქალის მაგივრად ხმარობს!

— აკი ჩვენთან უსამართლობა არ ხდებაო?

— ახლაც იგივეს გიპასუხებთ, არ ხდება. ეს დანაშაული თქვენი კანონის სინდისზეა. იმის სინდისზეა, ვინც ოჯახის პატრონს ასი მანეთი დაუნიშნა, ვინც ბავშვი ველოსიპედის ქურდობისათვის ჩასვა ციხეში და აშიმშილა. ვინც ჯერ კიდევ უსუსური, თქვენივე სასტიკი კანონებით გაცხოველებულებს ჩაუგდო ხელში. ისიც იცოდეთ, ეს უკანასკნელნი სარგებლობენ რა თქვენი წაყრუებით, დავრდომილთა სისუსტით, ამ მხეცობას მსხვერპლის ნებით ჩადიან. ბავშვი ვერ უძლებს ამდენ შიმშილს და მზად არის, ერთხელ გაძღომისათვის დათმოს თავისი თავი. გაიგეთ, სიმკაცრით ისეთ დღეშდის მიგყავთ, ვეღარ აზროვნებენ!

— შიმშილი არაფერ შუაშია! — იფეთქა საშინელი ბრალდებით გაოგნებულმა გენერალმა.

— ცდები, გენერალო, შიმშილმა ლენინგრადის ბლოკადის დროს ადამიანს ადამიანის ხორცი აჭამა!

— რას მიბრძანებთ, დამნაშავეებს სანატორიუმები გავუხსნათ?

— არა, ბატონო გენერალო; უბრალოდ უნდა იცოდეთ: არ შეიძლება ცოცხალ ადამიანს აუკრძალო შარდზე გასვლა, არ შეიძლება აუკრძალო ჭამა და ქალის მოთხოვნილება. გაიგეთ, ვერ წარმართმევ იმას, რაც ბუნებამ დაუკანონა. ეს არ არის განცხრომა, ეს აუცილებელი მოთხოვნილებაა, ისევე როგორც წყალი და ჰაერი, — გენერალი ჩიხში მოექცა, მაგრამ იხტიბარი მაინც არ გაიტეხა.

— არ დაგავიწყდეს, გულაგის გენერალს ელაპარაკები! — თქვა და ამაყად გადახედა სარივით გაჭიმულ ქვეშევრდომ ჩინოსნებს.

— არც თქვენ დაგავიწყდეთ, თქვენს წინაშე საერთაშორისო ქურდი კოსტია ბესსმერტნია!

— საერთაშორისო? — სიტყვა ირონიით გააგრძელა გენერალმა, — და მერე ვინ მოგანიჭა ესოდენ „საპატიო“ წოდება?

— ეს სახელი ბესსმერტნის ფულით და მლიქვნელობით არ მოუპოვებია, როგორც თქვენ ბიძია ლენინის ორდენი. ამ სახელისათვის, მე საბჭოთა საზღვარი გადავლახე და სტამბოლში ბანკი გავქურდე!

— და ეს გმირობად მიგაჩნია?

— თქვენი გაგებით გმირობაა, თუ ადამიანს პირფერობით თავს მეგობრად მოაჩვენებ, მოინდობ და სულში ჩაუძვრები, გაიგებ რას ფიქრობს და შემდეგ დააბეზღებ?

— თუ კი სახელმწიფოს საზიანოდ ფიქრობს?

კოსტიამ სარკასტულად გადაიხარხარა.

— რა გაცინებს? — იკითხა გენერალმა, რომელმაც ბრაზი ვეღარ დაფარა.

— სასაცილო არ არის, თქვენ ვინც თავისუფლებას ქადაგებთ, ადამიანს მხოლოდ თავისუფალი ფიქრებისათვის ციხეში ალპობთ?

— მიპასუხე, იმუშავებ თუ არა? — ძლივს დაასრულა სიტყვა მოთმინებადაკარგულმა წითურმა.

კამათში გავიმარჯვე, — გაიფიქრა ქურდმა. ახლა დაბოლოებაა საჭირო. კმაყოფილებით გაიზმორა. სავარძელში უფრო მოხერხებულად მოკალათდა. ფეხი ფეხზე გადაიდო და საათის ქანქარასავით დაიწყო ქნევა. თან ირონიით უღიმის.

— იმუშავებ თუ არა? — ბრაზით შეჰღრინა გულაგის წარმომადგენელმა.

— გენერალო, კოსტია ბესსმერტნიმ რომ იცოდეს, ამ ფეხის ქნევაც კი რაიმე სარგებლობას მოუტანს თქვენს სახელმწიფოს, ამასაც შეწყვეტს!

— მომაშორეთ! — ღრიალა გაცოფებულმა და აფეთქებული ბომბივით გავარდა კარებში.

იმ დღიდან კოსტია ბესსმერტნის „გმირობის“ ამბავი დამნაშავეთა სამყაროში მეხივით გავარდა, „შრომა-გასწორების“ დამარცხებული მსახურნი კი ფიქრს მისცემოდნენ, როგორ და რა გზით გამოესწორებინათ გაფუჭებული საქმე.

გენერალმა მივლინება რამდენიმე დღით გააგრძელა, რადგან ასე ხელცარიელი ვერ ჩავიდოდა საბჭოეთის დედაქალაქში. გაცოფებული წყევლა-კრულვას უგზავნიდა არამზადა ბესსმერტნის. არა, ეს რა დღეში ჩააგდო? როგორ გაუბედა ამ მაწანწალამ! ისე გათავხედდა, თავისუფლებაც კი იუკადრისა გულაგის გენერლისაგან!.. ფიქრებით გამწარებულს გულში ხანჯალივით ესობოდა თავხედის მიერ წარმოთქმული სიტყვები: „კოსტია ბესსმერტნიმ რომ იცოდეს, ამ ფეხის ქნევაც კი რაიმე სარგებლობას მოუტანს თქვენს სისხლით მონაპოვარ სახელმწიფოს, ამასაც შევწყვეტო!“. შეეშინდა, ჩემს ფიქრებს ვინმე ხომ არ ისმენსო. ძალაუნებურად მიმოიხედა. რომ ვერავინ შეამჩნია, საკუთარ თავზე მოუვიდა გული. ეგ რა სისულელეები მოდის თავშიო — აბა, განა ვის ძალუძს სხვისი ფიქრების მოსმენაო... არა, ვიღაც ქურდსა და მაწანწალას როგორ შევარჩინო, ასე გაბიაბურება! სულს ამოვაძრობ შიმშილით! — იყვირა გონებაში... რეჟიმის უფროსი თვინიერი ბიჭი ჩანს, მიზეზს გამონახავს, რომ ცემით სული ამოხადოს. მუქარამ კმაყოფილება მოჰგვარა. სიამოვნებით გაბადრულს შიგნეულში სითბო ჩაეღვარა.

როგორც კი შეაღო გენერალმა კაბინეტის კარები, თითქოს ელოდაო, რეჟიმის უფროსი კაპიტანი ფეხზე წამოუხტა.

— დაჯექი, — წესით დადგენილი პატაკის მოხსენება არ აცალა მოსულმა. კაპიტანი შიშმა შეიპყრო, — ვინმემ ხომ არ დამაბეზღაო. წამით გაიხსენა უკანასკნელ თვეს ჩადენილი დანაშაულებანი. არა, კრიმინალის საბაბი ვერ იპოვა. დამშვიდდა. ალბათ, „ინტელიგენტის“ საქმეზე თუ მკითხავს რასმესო, გაიფიქრა და გულისყური მიაპყრო მოსულს. უკვე იმაზე ზრუნავდა, როგორ ეპასუხა მიმდინარე საქმეზე, რომ სასწორი თავის მხარეზე გადეწონა.

— კაპიტანო, — გააგრძელა პაუზა. კაპიტანმა კი ჩათვალა, რომ ვალდებული იყო მზადყოფნა გამოემჟღავნებინა.

— კაპიტანი რუსია გისმენთ, ამხანაგო გენერალო! — და ისედაც გაჭიმული კიდევ უფრო მეტად გაიჭიმა. მოსულს მოეწონა ქვეშევრდომის მზადყოფნა.

— დაიმახსოვრე, — ალერსით დაიწყო, — ჩემი სახით შენ იქ, მოსკოვში, გყავს ძლიერი მფარველი!

— გმადლობთ, ამხანაგო გენერალო, — ეს ისე წარმოთქვა, თითქოს ლითონის სიტყვები ავტომატიდან გადმოაფრქვიაო.

— აღმასრულებელი მუშაკი ჩანხარ.

— მზად ვარ ვემსახურო საბჭოთა კავშირს! — გადმოაფრქვია გაჭიმულმა.

— კარგია! — თავისთვის ჩაილაპარაკა გენერალმა და განაგრძო, — სამშობლოსა და პარტიის ინტერესების შელახვისათვის ბესსმერტნი დაუსჯელი არ უნდა დარჩეს!

— კარცერში მიზის! — კაპიტანი გენერალს მიუხვდა, — არც ლოგინი მივაცემინე და არც ულუფა, — სიტყვა ულუფაზე, გენერალს ჩახედა თვალებში, ხომ არ მიწყენსო, რადგან წესით ამის უფლება არ ჰქონდა.

— ყოჩაღ, მაგრამ ეს არ კმარა... მიზეზი შენ უნდა გამოძებნო!

— ამხანაგო გენერალო, თუ ნებას მომცემთ კარგი წინადადება მაქვს.

— გისმენთ?

— მოგეხსენებათ, კანონიერი და გაფუჭებული ქურდები მოსისხლე მტრები არიან.

— ვიცი.

— ჩვენს ციხეში, გაფუჭებული ქურდი, ზედმეტ სახელად „იაზვა“ ზის.

— რა ჩაიფიქრე?

— კოსტია შევუშვათ კამერაში?

— მოერევა?

— ნაფლეთებად აქცევს!

— ყოჩაღ, იფიქრე რომ უკვე მაიორი ხარ!

— ვემსახურები საბჭოთა კავშირს! — იყვირა ჩინის მომატებით გახარებულმა რუსიამ.

— მაშ, წამო ვნახოთ, როგორ ხასიათზე ბრძანდება საერთაშორისო ქურდი ბესსმერტნი.

ციხე

ქალაქ ფოთში, ქალაქის ცენტრში, მაღალი ქვის გალავნის გადაღმიდან მოსჩანს ორსართულიანი ქვის შენობის სახურავი და თუნუქის „სადრუნჩეებიდან“ აფარებული ფანჯრების ზედა ნაწილი. მოსჩანს როგორც თეჯირის უკან, ფეხის წვერებზე წამოწეული დაბალი კაცის თვალები, რომელსაც ძლიერ აინტერესებს, რა ხდება თეჯირის მიღმა. ქუჩის მხარეს გალავნის კედელში ჩატანებულია რკინის ჭიშკარი, ჭიშკარი ცალფა კარია ილუმინატორის მსგავსი მრგვალი გამოსაჭვრეტით.

შუადღე ახლოვდება. ციხეს თუხთუხით მოადგა „ჩორნი ვორონი“ — პატიმართა გადასაყვანი დახურული სპეცმანქანა. კაბინიდან ვამოსულმა უფროსმა ბადრაგმა სასიგნალო ღილაკს ხელი დააჭირა. გამოსაჭვრეტში გამოჩნდა მორიგის ორი მღვრიე თვალი და კვლავ დაიკეტა. ცოტაც და ჭრიალით გაიღო ჭიშკარი. მანქანა შეევიდა ციხის ეზოში. კარები დაიხურა. უფროსი ბადრაგის ბრძანებით

ბით გაიღო მანქანის კარი, საიდანაც რიგრიგობით გადმოსულმა შაშხანიანმა ჯარისკაცებმა დაიკავეს საბრძოლო მდგომარეობა. მეოთხემ გააღო მანქანის შიდა კარი.

გაისმა ბრძანება: „თითო-თითოდ გადმოდით!“ — პირველი, საზურგე ჩანთით ხელში გადმოვიდა ყოფილი მასწავლებელი. სიბნელიდან გამოსულს მზემ თვალები მოსჭრა. ახალგაზრდამ ნატკენი თვალები მოჭუტა. მაგრად მოუჭირა ქუთუთოებს და გააღო. მზერა მოავლო ციხის სევდიან ეზოს და პირქუშ ნაცრისფერ შენობას, სადაც ადამიანების ღიმილი საოცრად ჰგავს ხისგან გამოთლილ თოჯინების ღიმილს — სამყაროს, სადაც სიცოცხლის ნიშანი მხოლოდ იმედია და ოცნება. ახალგაზრდას მოჰყვა კაცისმაგვარი. ჩია არსებას, დაბამბული ჯუბიდან თავი ისე მოუჩანს, როგორც საშუალო საუკუნეების რაინდს მძიმე ფოლადის აბჯრიდან. გაუკვირდა ახალგაზრდას, რა ხდება? თითქოს კაცისმაგვარს ვერ ცნობს? უკვირს: იგივე გაუპარსავი სახე, ჭუჭყით გამოტენილი ფრჩხილები, თოკით ამოკრული კოლონიის ფეხსაცმელები და ჩაჩაჩული ტილოს შარვალი... რა მოხდა, რატომ ჰგონია ეს კაცი სხვა? აკვირდება და ჩიკ-ჩიკა მართლაც სხვაა. რატომ?! ეს ხომ ის არის მიხაილ მარკოვიჩ პავში!.. მის განურჩეველ გამოხედვაში, რომლითაც ის თითქმის ცხრა წელი ცხოვრობდა კოლონიაში, დღეს ხალისის სხივი ჩამდგარა. პავში გვერდით დაუდგა ყოფილ მასწავლებელს.

— შემდეგი! — გაისმა უფროსი ბადრაგის ხმა. მანქანიდან გადმოვიდა კოსტია ბესსმერტნი. თავისუფლად, ლაღად, მოჭუტული თვალებით მზერა შემოავლო ნაცნობ ეზოს...

— რიჟკოვ, ივან სერგეევიჩ! — გადაშლილ საქაღალდეში ამოიკითხა უფროსმა ბადრაგმა.

— მე ვარ, — მანქანიდან გადმოვიდა, მხარზე ხურჯინივით ორი ვეებერთელა ტომარა გადმოკიდებული „ქერა“. მძიმე ტომრები, შელახული ღირსებით, დადო მიწაზე.

— რა გაქვს მაგაში? — იკითხა ციხის მორიგემ.

— ჩემია, — გაისმა კოსტიას პასუხი. ბადრაგმა მორიგეს გადასცა ქერას საქმე, ბესსმერტნი კი ციხის ეზოში ისე იდგა, როგორც მეცხრამეტე საუკუნის მწერლების მიერ აღწერილი რუსი მებატონე თავის მიწაზე.

— მომყევით! — ციხის მორიგეს უსიტყვოდ მიჰყვნენ პატიმრები.

მბჟუტავი სინათლით განათებულ გრძელი ტალანის ორივე მხარეს, რკინის კარებით ჩაკეტილი კამერებია, მრგვალი საჭვრეტებით, საიდანაც მორიგეები უთვალთვალებენ პატიმრებს. ტალანში უმეტეს შემთხვევაში სიჩუმეა, ზოგჯერ თუ გაისმის სიცილი, რომელიც ხარხარში გადადის, ასე ხდება, როდესაც ციხეში პირველად ჩავარდნილს რაიმე ოინს მოუწყობენ, რომ შემდეგში, თვით მან სხვა ახლად ჩავარდნილს მოუწყოს. ასეთ შემთხვევაში თვით მორიგეებიც არ თაკილობენ გართობას.

უმეტესად სიჩუმეში გადის ტალანის დღეები, მაგრამ თუ ჩხუბი მოხდება, ატყდება მორიგეების სირბილი, რომ რეჟიმის დამრღვევი კარცერში დროულად განამარტოონ. გრძელ, ნახევრად ბნელ ტალანში დგას სპეციფიკური სუნი, ისეთი, როგორიც იცის რკინიგზის ვაგზლის შენობაში.

ყოველ ციხეს „მოუხელთებელ“ პატიმრებისათვის აქვს განსაკუთრებული რეჟიმის საკანი, განსხვავებული ჩვეულებრივისაგან. სინათლის სიმცირით და ჰაერის სიმძიმით აქ მყოფთ, შემცირებული აქვთ სასეირნო დრო, უკრძალავენ „პერედაჩას“, ამანათების მიღებას, წერილების მიღება-გაგზავნას. ასეთი კამერიდან ხმაც ნაკლები გამოდის.

საერთო კამერაში, ცემენტის იატაკიდან დაახლოებით სამოცი სანტიმეტრის სიმაღლეზე, კედლიდან კედლამდის გაჭიმული ორი მეტრი სიგანის ხის ნარები (საწოლი). ფანჯრიან კედელთან ადგილი, როგორც წესი, ეკუთვნის ქურდს, ან თუ ქურდი არ არის ყველაზე ღონიერს, შემდეგი ადგილები „ღირსების“ მიხედვით ნაწილდება. შემოსასვლელ კარებთან დგას „პარაშა“ (მოსასაქმებელი კასრი). კამერაში ყველაზე ცუდი ადგილი ორია: „პარაშასთან“ და ნარებს ქვეშ.

აქ ნებით არავინ ჯდება, აქ პატიმრები სვამენ: მილიციის ყოფილ მუშაკებს. ინფორმატორებს, დამბეზღებლებს, „ზაიგრინებს“ (წაგებულები, რომლებმაც ვალი დროზე ვერ ჩააბარეს), „პაიკის“ ქურდებს. (ულუფა), პატიმრის ან მეგობრის ცოლის გამბახებლებს, აქ სვამენ ყველა იმას, ვინც დაარღვევს პატიმრების მიერ ციხეში თუ გარეთ დადგენილ წესებს. ასეთია ციხე — საზოგადოებრივი კანონის დამრღვევთა შიდა სამყარო.

ყოველ კამერაში ირჩევენ მამასახლისს, რომელიც მოვალეა მორიგე ზედამხედველების ცვლის დროს (ეს ხდება დილა-საღამოს) მოახსენოს, რამდენი კაცია კამერაში, მოახსენოს ყველა საგანგებო შემთხვევაზე. უმეტესად კამერა წყვეტს, როგორ და რა უნდა მოახსენოს მომხდარ ფაქტზე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყოველ კონფლიქტს, განსაკუთრებული შემთხვევების გამოკლებით, თვით პატიმრები აგვარებენ.

ქურდებმა ჯერ კიდევ წინა კვირას იცოდნენ ბესსმერტნის ციხეში შემოსახლების მიზეზი, ამიტომაც ყოველი მათგანი ცდილობდა ეშოვნა დეფიციტური სასმელ-საჭმელი, ნარკოტიკული საშუალებანი, მოსაწევი, თუ „ბარახლო“ (ტანსაცმელი), რათა თავი მოეწონებინა მთელს კავშირში განთქმული ატამანისათვის. განსაკუთრებული მზრუნველობით იმარაგებდნენ იარაღს.

მიუხედავად იმისა, რომ ციხის სპეცსამსახური დიდის კონსპირაციით ინახავდა თავის მომავალ გეგმებს, საიდუმლომ გაჟონა და ქურდებმა გაიგეს, რომ სწორედ აქ, ამ ციხეში, უნდა შეჯახებოდა დამნაშავეთა სამყაროს ორი მოპირისპირე მხარე — „კანონიერი“ და „უკანონო“ ქურდები.

ორივე მხარე ასე უსიტყვოდ ემზადებოდა საომრად.

ქურდებმა იცოდნენ, რომ დაპირისპირების ავტორი გულაგელი გენერალი — ივანე ვლადიმერის ძე როდიონოვი იყო.

გამარჯვების ორივე მხარეს სჯეროდა, რადგან პირველ მხარეს — „კანონიერ“ ქურდებს კოსტიას გულადობისა და საზრიანობის იმედი ჰქონდათ, მეორე მხარეს — „გაფუჭებულ“ ქურდებს კი „იაზვას“ ფიზიკური ძალისა და ვერაგობის სჯეროდათ. და ისიც აიმედებდათ, რომ გენერალი მათ მხარეზე იყო.

წინა დღეს „იაზვა“ ციხის რეჟიმის უფროსმა თავის კაბინეტში მოაყვანინა. დარწმუნებულმა ამ ორი „მასტის“ (სახეობის), ერთმანეთისადმი სიძულვილში, დაურიდებლად გააცნო უფროსების გადაწყვეტილება: კანონიერი ქურდი კოსტია ბესსმერტნი უნდა მოეკლათ.

„აღმზრდელმა“ და „აღსაზრდელმა“ აქვე შეიმუშავეს მოქმედების ოპერატიული გეგმა. „იაზვამ“ იცოდა, რომ კოსტია დანის ხმარების უბადლო ოსტატია. მისი მოქმედების არსენალიდან დანა უნდა ამოეღოთ. გადაწყვიტეს ჩაეტარებინათ სასტიკი „შმონი“ (ჩხრეკა). „იაზვას“ სწამდა, უდანოდ დარჩენილ ბესსმერტნის ჩვილი ბავშვივით გაუსწორდებოდა.

შინაგანაწესით უსიამოვნო შეტაკებებისაგან დასაცავად, კამერაში თუ კოლონიაში შესახლების წინ პატიმრებს „ვაგზალში“ (ოთახი) სტატიებისა, თუ სურვილის მიხედვით ახარისხებენ: „კანონიერ“ ქურდებს და მათ მიმდევრებს ერთად. „უკანონოებს“ ერთად, ორგანოებში ნამუშავრებს ცალკე. ხშირად ხელმძღვანელობა (ეს საიდუმლოდ ხდება) „კანონიერთა“ წინააღმდეგ აწყობს დივერსიას, შეაპარებს „უკანონოებს“, (რადგან „კანონიერი“ მოუხელთებელია, „უკანონო“ კი დამყოლი), განაწყენებულმა გულაგელმა გენერალმა ახლაც ამ გზით გადაწყვიტა ბესსმერტნიზე შურისძიება.

ასეთი დანაშაულისათვის პასუხსაც კი არ აგებინებენ, რადგან უფროსთან შეთანხმებით რომელიმე ზედამხედველი „შეცდომას“ თავის თავზე აიღებს. რა მოხდა: შეეშალა და ვიღაცეები შეუშვა იქ, სადაც მიზანშეწონილი არ იყო. მორჩა, ეს იყო და ეს, ასეთ ცოდვილს სადმე მახლობელ ობიექტზე გადაიყვანენ, ხშირად დაწინაურებულსაც კი.

ნახევრად ბნელ კამერაში პატიმრები სამ „კუტოკად“ (პურის მჭამელთა ჯგუფი) ისხდნენ. ერთ „კუტოკში“ ყოფილი ბუღალტერი დამახინჯებულად ყვებოდა დიუმას „გრაფი მონტეკრისტოს“. სულგანაბული მსმენელები, სიტყვა არ გამოგვრჩესო და პირში მისჩერებოდნენ. მეორე „კუტოკის“ ერთი წევრი, სხვა კამერიდან შემოყვანილს, თვითნაკეთი ბანქოს ქაღალდით ეთამაშებოდა (ციხეში, როდესაც უფროსობა ადგილზე არ არის, მორიგეებს ხელის მოსათბობად, კამერიდან კამერაში პატიმრები გადაჰყავთ, მიუხედავად იმისა, რომ ეს სასტიკად აკრძალულია). მესამე „კუტოკი“, რომელიც ფანჯარასთან იყო განლაგებული, ქურდების იყო, თუმცა მათ შორის „კანონიერი“ ქურდი მხოლოდ ერთი „მეგრელო“

იყო. სხვები ქურდებს მიტმასნებული და მომავალი ქურდები ნიკა და აზატა იყვნენ. ამ ორს ქურდობა უკვე კარგა ხნის დაწყებული ჰქონდა, არ შეესისხლხორცებინათ ქურდული კანონები, არ იცოდნენ ამ კანონების ცხოვრებაში გატარება, ამიტომ ქურდებში გადიოდნენ „ნახევარ ფეერში“ — ქურდია, მაგრამ ხმის უფლების გარეშე. ორნიც — იბრაგიმი და ჯანო მკლავის ძალით გამოირჩეოდნენ, თანაც მისდევდნენ ქურდულ ტრადიციებს, ამიტომაც „მეგრელოს“ „კუტოკში“ სჭამდნენ პურს.

„მეგრელო“ საკმაოდ ცნობილი იყო თავისი საქმიანობით და ქურდული კანონების ცხოვრებაში გატარებით. არასწორი მოქმედებისათვის მას რამდენიმე ქურდი ჰყავდა გაფუჭებული. ეს უკანასკნელი დროს უქმად არც აქ კარგავდა, მომავალ ქურდებს ნიკას და აზატას ასწავლიდა ქურდული კანონებით ცხოვრებას, უყვებოდა განთქმული ქურდებისა და თავის თავგადასავლებს, აცნობდა, თუ რა ევალებოდა „კანონიერთა“ და „უკანონოთა“ შეტაკების ჟამს. „მეგრელოს“ რჩევით ყოველ მათგანს კამერის სამალავში იარაღი ჰქონდა გადამალული.

გაისმა გასაღების რაჩხუნი. კარები გაიღო. კამერაში პირველი კოსტია ბესსმერტნი შემოვიდა. ერთი თვალის მოვლებით კამერაში მყოფი ოცდაერთი კაცი სათითაოდ აღიქვა. ამ ერთი შეხედვით იმასაც მიხვდა, რომ აქ საფრთხე არ ემუქრება.

— ვა, ვის ვხედავ! — იყვირა გახარებულმა „მეგრელომ“ და გულთბილად გადაეხვია მოსულს.

— კიდევ აქა ხარ? — იკითხა გაკვირვებულმა კოსტიამ.

— ძველი საქმეები გამომიჩხრიკეს, ალბათ, მალე ტაშკენტში გადამაგზავნიან, — თავმოწონებით განმარტა ციხეში დიდი ხნით დარჩენის მიზეზი და მოსული თავის ადგილთან მიიყვანა. კოსტიას უკან მიჰყვა მისი ნივთებით დახუნძული „ქერა“.

— სად დავდო? — იკითხა „ქერამ“.

— აქ დააგდე, — იყო ბესსმერტნის მოკლე პასუხი. „ქერამ“ კოსტიას ფეხებთან დადო ნივთებით გაძეძგვილი ტომრები.

შემდეგ შემოვიდნენ ყოფილი მასწავლებელი და ჩიკ-ჩიკა — მიხეილ მარკოვიჩი.

მასწავლებელმა თვალით დაუწყო ადგილს ძებნა, კოსტია მიუხვდა.

— ჩვენთან დაჯექი, მასწავლებელო! — კოსტიას სიტყვაზე მასპინძლებმა მოსულს ადგილი დაუთმეს. მასწავლებელი და მიხეილ მარკოვიჩი იქვე მოთავსდნენ.

— ვინ არიან? — იკითხა „მეგრელომ“.

— კარგი ბიჭი ჩანს და მკლავიც კარგად ერჩის, რაც მთავარია სამართლიანია. — კოსტიას სიტყვა კანონი იყო „მეგრელოსათვის“, ამიტომაც სიმპათიით განიმსჭვალა მოსულთა მიმართ.

— სტუმრებს პური ეშიებათ, — აზატას გადაულაპარაკა „მეგრელომ“.

— ახლავე! — აზატამ გადმოიღო სუფრა და გაშალა. ნიკამ „ზაკაშნიკიდან“ (შავი დღისთვის შემონახული) დაიწყო დელიკატესების სუფრაზე ამოლაგება. კამერაში მსხდომთ შეპარული ხედვა კოსტიადან საჭმელზე გადაიტანეს. რამდენიმე წუთში მართლაც რომ კოსტიასათვის საკადრისი სუფრა გაიშალა.

— ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი! — პირჯვარი გადაისახა „მეგრელომ“, თანაც მოხერხებული მოძრაობით ოქროს ჯვარი გამოაჩინა.

— კარგად ცხოვრობ, — სუფრა მოუწონა ატამანმა.

— არაუშავს, — თავი მოიკატუნა მასპინძელმა, თანაც აზატას მიმართა, — მიუტანე! — მოჭრა კარგა მოზრდილი შაშხის ნაჭერი პურის შუაზე გაჭრილი გორა. აზატამ ნათქვამი სწრაფად აღასრულა.

— გმადლობთ, „მეგრელო“! — გაისმა ასეთი მოსაკითხით გახარებული ყოფილი ბუღალტრის ხმა.

— ყოჩაღ, აი ეს ნაღდად ქურდული ჟესტია! — ქმედება მოუწონა ბესსმერტნიმ „მეგრელოს“.

— აბა, როგორ, ერთ ბედქვეშა ვართ!

— სწორე კაცი ბრძანდები, ჰარიფს თავი უნდა შეაყვარო...

— სუფრა მზად არის, — მოახსენა აზატამ.

— მაშ, დავსხდეთ. — სუფრას მიუსხდნენ კოსტია და „მეგრელო“.

— დასხედით! — „მეგრელომ“ მიმართა უმცროსებს. აზატა და ნიკა დასხდნენ.

— რა შორიდან დგახართ, დასხედით, მოიპატიჟა კოსტიამ ყოფილი მასწავლებელი და მისი თანამეინახე. კოსტია ასე, უცნობებთან, პურის ჭამას ციხეში ერიდებოდა, მაგრამ ახლა გული უგრძნობდა, რომ აქ მახეს უგებდნენ, ამიტომაც ცდილობდა პატიმრების გულის მოგებას. ყოფილი მასწავლებელი კი ნამდვილად გამოადგებოდა.

— გვეპატიჟებიან, დავსხდეთ, ბატონო მიხეილ! — ჩიკ-ჩიკა და მასწავლებელი მიუსხდნენ ნარზე გაშლილ სუფრას.

ალბათ, უკვე დროა, გავიგოთ ყოფილი მასწავლებლის სახელი და გვარი: ილია თოფურია. სენაკში დაბადებული და თბილისში გაზრდილი. ოცდაჩვიდმეტ წელს მამა ციხეში ცემით მოუკლეს მხოლოდ იმიტომ, რომ მეგობარ სახალხო კომისარზე ცილისმწამებლურ ჩვენებას ხელი არ მოაწერა... შემდეგ აერია გზა. ციხე საამაყო ადგილად მიიჩნია და აი, მისმა პირველმა „სიყვარულმა“ ხუთი წლით განაშორა ერთადერთ მეგობარს — დედას.

— დავლიოთ? — ჩუმათ იკითხა „მეგრელომ“.

— რა გაქვს? — თვალები გაუბრწყინდა კოსტიას.

— ნაღდი რუსული!

— კამერა? — პატიმრებზე ანიშნა კოსტიამ.

— კარგი ბიჭები არიან.

— მოიტა! — იყო გახარებული ბესსმერტნის თანხმობა.

საჭვრეტიდან, ბრძანების კვალობაზე თვალყურს ადევნებდა მორიგე. ოპერატიული გეგმით ყოველგვარი ალკოჰოლური თუ სარკოტიკული საშუალებათა მიღება უნდა ეცლიათ, მთვრალი და სარკოტიკებით გაბრუებული ქურდების მოსპობა ადვილად მოხერხდებოდა. ნებაზე მიშვებულ პატიმართა ღრეობამ შუაღამემდის გასტანა.

კამერას ეძინა. არაყმა მომავალი ქურდებიც დააძინა. „მეგრელო“ და კოსტია თავიანთ მომავალ პრობლემებზე მსჯელობდნენ.

— ... შენ რომ „ქერას“ მუშტებიდან დამიცავი, იმ დღეს მე ადამიანობა დამიბრუნდა, — მიხეილ მარკოვიჩს თვალები გაუბრწყინა — სირჩა არაყმა, რომელიც ქურდული სუფრიდან ერგო, ძარღვებში სისხლი ძველებურის სილაღით აუმოძრავდა, ისე, როგორც ზამთრის ყინვით გათოშილ ჩიტუნებს გაზაფხულის მცხუნვარე მზე. — ცხრა წელი და შვიდი თვეა, რაც ამ ჯოჯოხეთში ვიმყოფები და ჯერ არასოდეს ასე არ მომსურვებია თხრობა ჩემს საშინელ წარსულზე.

ყოფილი მასწავლებელი მხოლოდ ახლა მიხვდა, თუ რამ შეცვალა საბრალო მოხუცი. იპოვნა ადამიანი, რომელმაც ის სულიერი მარტოობისაგან იხსნა.

კომუნისტური ყბადაღებული იდეოლოგია ბეჯითად ცდილობს დაამტკიცოს, რომ ციხე თუ კოლონია დამნაშავეთა გამოსასწორებელი დაწესებულებაა. — არა და არა! ღვთის წინაშე ვაცხადებ, აქ ადამიანებს მონად აქცევენ, გამოსასწორებლად კი საჭიროა „დამნაშავეს“ ასწავლო ცივილიზებული საზოგადოების მიერ აღიარებული წესებით ცხოვრება.

როგორ შეიძლება პატიმარი გამოასწოროს შიმშილმა, თუ სიცივემ, რომელსაც ასე გულმოდგინედ და ხელოვნურად უქმნიან „აღმზრდელები“? აქ დადგენილი კანონით, დღის განმავლობაში ულუფის რაციონი ნორმალური ადამიანისათვის დილის საუზმედაც არ იკმარებდა. — ან რომ იცოდეთ, რა და რა ხერხებს არ მიმართავენ, სამათხოვრო ჯამაგირზე მყოფი ციხის მოსამსახურენი მხოლოდ იმისათვის, რომ პატიმარს პურის ნატეხში გამოსცანცლონ უკანასკნელი გროში.

(ღმერთო ჩემო, რა საშინელი ჯოჯოხეთია საბჭოეთი?!)

ნარებზე მწოლ ილიას ფიქრებმა გული დაუმძიმეს. გამოერკვა. გაღიმებული პავში მოელის მის პასუხს. ახალგაზრდას შერცხვა. ფიქრებმა გაიტაცეს და ვეღარ გაიგო რას ეკითხებოდა მოხუცი.

— რაო, ფიქრებმა გაგიტაცეს?

— ბატონო მიხეილ, თქვენ, მე და ეს ხალხიც საშინელ ჯოჯოხეთში ვართ!

— გეთანხმებით და მაინც მჯერა, ამ ჯოჯოხეთშიც შეიძლება სიცოცხლე, თუ გიყვარს. ახალგაზრდას მოაგონდა დარჩენილი მოხუცი დედა. ის უპასუხოდ დაეთანხმა სიცოცხლისაკენ შემობრუნებულს.

ეძებდნენ იმიტომ, რომ საჭირო იყო ეპოვნათ რაღაც. შემდეგ, როგორ დაამთავრა სკოლა. შევიდა ინსტიტუტში. მასწავლებლობა, მსახიობობა. მერე — იჯდა თავის ოთახში და მეზობელი ოთახიდან ესმოდა სიმღერა. — საოცარი ციური ხმა... შემდეგ სიყვარული და უძილო ღამეები... აგონდება დედის. სიტყვები: „შვილო, გაანებე თავი, ეს გოგო არ არის ის, ვისაც შენ ხედავ“.

„რატომ არ დავუჯერე დედას, რატომ?“

ო, როგორ უმძიმს ფიქრი დღევანდელ ღამეს!

ღმერთო, რატომ არ შეიძლება მცდარი ნაბიჯის წაშლა, ისე, როგორც ეს შეიძლება ქაღალდზე წაშალო დაწუნებული აზრი? რატომ არ შეიძლება დღეს, შეცვალო ნაბიჯი, მოსპო შენს მიერ მონანიებული დანაშაული, რომელიც სურვილების წინააღმდეგ გადაგადგმევინა საკუთარმა ხორცმა.

საზიზღარო ხორცო, როგორ გვიბნელებ გონებას!

„რატომ არ დავუჯერე დედას, რატომ?“ — ტანჯავდა სინანული...

„ო, რომ შეიძლებოდეს“, მცდარი ნაბიჯის გადაშლა — განაგრძობდა ფიქრს — „რამდენით ნაკლები ცოდვა იბოგინებდა დედამიწაზე“!

უსასრულეთში გაისმა სატანას შემზარავი ხარხარი: გადაშლა რომ შეიძლებოდეს ბოროტიც გადაშლიდა და უფრო მეტად დაამძიმებდა ისედაც ცოდვილ დედამიწას!

ო, როგორ მეზიზღები, ჩემო ცოცხალო მძორო!

ღმერთო ჩემო, ეს მძორი ხომ მე ვარ, — თავზარი დასცა საკუთარმა აზრმა.

არა, არა, წარმოდგენა არ მაქვს, ჯოჯოხეთში რა უნდა ხდებოდეს ამაზე მეტი?!

გვერდით საწოლიდან, საბანი გადაიძრო და წამოდგა დაბამბული ჯუბითა და თექის ჩექმებით მწოლიარე კაცის მაგვარი. თავზე და პირზე იმდენი ჭაღარა თმა ჰქონდა, რამდენიც შეიძლება ამოუვიდეს ათ დღეში. ჭუჭყით სავსე ფრჩხილები ფრინველის მსგავსად მოკაუჭებული. ჩიკ-ჩიკით მივიდა ღუმელთან. ცეცხლს ხელები მიუფიცხა. თამბაქოს ნამწვს მოჰკრა თვალი. აიღო. ყოფილი მასწავლებელი ფიქრებს მოსწყვიტა. მასწავლებელს უკვირს: ბარაკში საამოდ თბილა, მაშ რატომ წევს ლოგინში ჯუბითა და ჩექმებით? — კაცისმაგვარმა ნაპოვნი გამოხვეული წეკოს ნამწვი შეათვალიერა, შემდეგ ნაკვერჩხლით წაუკიდა და ჩიკ-ჩიკით გავიდა გარეთ.

ღმერთო, რატომ ეცემიან ადამიანები ასე სასტიკად? — ფიქრობს ახალგაზრდა კაცი, — რამ მიიყვანა ეს საცოდავი ამ დღემდის?.. ადამიანი ხომ სიყვარულის ნაყოფია. ამ საცოდავის მშობლებსაც ვინ იცის როგორ უხაროდათ თავიანთი პირმშოს დაბადება. რა შეემთხვა ასეთი, რამ მიიყვანა ამ დღემდის? რამ დაჯაბნა

ასე, რატომ დანებდა ბედს, როგორც გველის ხახაში მოხვედრილი გომბეშო? უეცრად ცოცხალი არსების მსგავსად გამოეცხადა შიში: რა მელის? გააჟრჟოლა. ხედავს: მიცვალებული დედა სადღაც ასვენია. ტირის. მისვლა უნდა და მიალერსება, მაგრამ ათასი მაჯლაჯუნა არ აკარებს. ეძახის დედა, ეძახის, მაგრამ ვერ დგამს ნაბიჯს. ყვირის. ითხოვს შველას...

საკუთარმა გულისძგერამ გამოაღვიძა. ფიქრით გაწამებულისათვის ძილს თვალი მოუპარია. შვებით ამოისუნთქა. საშინელებაა მარტოდ მიტოვებული მოხუცი...

კაცისმაგვარი ჩიკ-ჩიკით შემოვიდა. მიუფიცხა ხელები ცეცხლს. შემდეგ ჩამოჯდა თავის საწოლზე.

— მეგობარო, — წაიჩურჩულა მასწავლებელმა, — აიღე, — გაუწოდა მთელი სიგარეტი. ამ საქციელით გაკვირვებული კაცისმაგვარი ლოგინში უსიტყვოდ შეძვრა.

— აიღე! — კვლავ მოფერებით მიეძალა მასწავლებელი. კაცისმაგვარი დუმს. — აიღე, ნუ გრცხვენია!..

— არ აიღებს, — გაისმა საწოლის ზედა სართულიდან ბოხი ხმა.

— რატომ? — გაუკვირდა ახალგაზრდას.

— ეს ხომ ცოცხალი ლეშია — ბავში არასოდეს არაფერს არ გამოგართმევს, არც გთხოვს. არაფერი არ აქვს და არც უნდა რომ ჰქონდეს. ტანზე არ იხდის, არც იცვამს. ძალით ბანენ და კრეჭენ. არ შეგეკითხება და არც პასუხს გაგცემს. ერთმა უფროსმა სცადა ძალით ემუშავებინა, ექვსი თვე ჰყავდა კარცერში. ვიღაცამ თქვა სიკვდილი უნდაო, უფროსსაც შეეშინდა, სურვილი არ ავუსრულოვო და შეეშვა, — თავის ნათქვამზე თვითონვე ჩაიქირქილა. — თუ არ გენანება მომაწევინე, — სხვათაშორის მიმართა ახალ მეზობელს.

— ინებეთ, — სიგარეტი გაუწოდა გაოცებულმა ყოფილმა მასწავლებელმა. ზედა სართულზე მწოლმა გამოართვა. ოცდაათი წლის ჯანიანი ახმახი მძიმედ დაეშვა იატაკზე. საცვლების ამარა მიუჯდა ღუმელს და გააბოლა.

— რა ხანია ასეთი არომატული სიგარეტი არ მომიწევია, — თქვა და რამდენიმე ნაფაზით დაწურა მთელი სიგარეტი. — განიცდი? შეეკითხა იმ იმედით, რომ საუბარს გაუბამდა.

— არა! — ნაძალადევი გულგრილობით მიუგო ყოფილმა მასწავლებელმა და დახუჭა თვალები. ახმახი თავის საწოლს მიუბრუნდა. რამდენიმე წუთში გაისმა მშვიდი ხვრინვა.

დილას ყოფილი მასწავლებელი ვერ გაერკვია, ის ღამე ფიქრებში გაატარა, თუ ნახა სიზმარი.

რუკაზე უჩვენებსო ადგილებს, ხელი ჯერ ერთ მხარეს გაიშვირა, შემდეგ მეორეს და განაგრძო, — არ ვიცი სიჩუმეში რამდენმა ხანმა გავლო. თავშეფარებულთ სიცოცხლე მხოლოდ სირენის გასაყრისის ხმაზე მოაგონდათ. შვებით ამოისუნთქეს. ჯერ ნელ-ნელა, თითო-თითოდ, შემდეგ თითქოს უხილავმა მათრახი გადაუჭირაო, თავპირის მტვრევით დაიწყეს ბომბსაფარიდან გამოსვლა: დაიწყო დაკარგულთა და მოკლულთა ძებნა, გაპატიოსნება და ვიში. — პავშიმ შეისვენა. მისი პატიმრობის პერიოდში, დღეს პირველად შეხვდა ისეთ ადამიანს, რომელთანაც შეიძლება თქვას თავისი გასაჭირი. ადამიანებს კი საოცარი თვისება სჭირთ — თუ თქვი, მოგეშვება. პავში ამას გრძნობდა და ამიტომაც, როგორც შეეძლო, ისე უყვებოდა.

— ჩვენი სახლის ადგილზე ნანგრევები დაგვხვდა, — განაგრძო პავშიმ, — ნადეჟდას ისტერიული ტირილი აუვარდა. გაფითრებული კლავა გაოგნებული უყურებდა ნანგრევებად ქცეულ სახლს, სახლს, სადაც დაიბადა და გაიზარდა. ბავშვი უყურებდა და ვერ მიმხვდარიყო. უბრალოდ გუმანით გრძნობდა — მოხდა რაღაც საშინელება და მერე რამდენიმე წლის შემდეგ გაიგებდა, რომ ამ საშინელების სახელი მშობლების დაკარგვაა, შიმშილი და სიცივეა, რომ ამ საშინელებას ჰქვია მარტოობა და დამცირება... მე ეგოისტური გრძნობა დამეუფლა, ჩვენი ოჯახისა და მილიონთა უბედურების მხილველს, გულში ბედნიერების სითბო ჩამეღვარა: მე, ნადეჟდა და კლავა ერთად ვიყავით...

— ვინ იცის, იქნება დღეს ჩვენც ბედნიერნი ვართ? — ამბობს ილია.

— აქ, ბედნიერნი? — უკვირს ყოფილ მღვდელს, რომელიც ასევე უსმენდა პავშის.

— განა უწყით, რას გვიქადის ხვალინდელი დღე? — პასუხობს სტუდენტი.

— სამაგიეროდ, — პავშის ირონიულად გაეღიმა, — ზეგ გვეცოდინება. რა მოგველის ხვალ! — პავშის ჩია ტანზე მრგვალი თავი გვერდზე გადაიხარა, საიდანაც ახალგაზრდას შესცქეროდნენ სიყვარულის ერთგული ებრაელის ჭკვიანი თვალები.

— ახლა სად არიან თქვენები? — იკითხა ილიამ.

პავშის სახეზე საშინელი ტკივილები აღიბეჭდა. მთხრობელს დიდი ნებისყოფა დასჭირდა თავისი მწუხარების დასაფარავად... სახეზე ცივმა ოფლმა გადაასხა. გაფითრდა.

— რა მოხდა, მიხეილ მარკოვიჩ? — ეკითხება გაოცებული ყოფილი მასწავლებელი.

მძიმე პაუზა...

— არ შემიძლია მოყოლა, მაპატიეთ უნდა წამოვწვე...

ილია თოფურია მიხვდა, პავშის გაუჭირდა წარსულის მოგონება, რატომაც უფრო დასამშვიდებლად ალერსით მიმართა:

— ნუ მოყვებით, მოისვენეთ...

პავში უსიტყვოდ წამოწვა, მაგრამ თვალებს არ აშორებდა ახალგაზრდას...

— ... სხვა დროს... როგორც საჭიროდ ჩათვალოთ...

გაჩუმდა პავში, გაჩუმდნენ ყველანი...

ოცნებითა თუ ფიქრებით გამოწვეულ დუმილში, ილიას ძილმა თვალი მოპარა...

— ... ილია!

პავშის სიტყვამ თოფურია ძილისპირულ ეიფორიიდან გამოარკვია:

— დიახ, მიხეილ მარკოვიჩ?

— გაგაღვიძე, მაპატიე!

— არა, არა, უბრალოდ ფიქრებს გავყევი.

— ჩემი წარსული ისე მძიმეა, რომ დავიწყე და მოყოლა ვეღარ შევძელი...

— არაუშავს, როდისმე სხვა დროს...

— წარსულის მოყოლა იგივე აღსარებაა, მონანიებით კი ადამიანს უმსუბუქდება...

— განა რა ცოდვა გაქვთ ასეთი?

ხანგრძლივი პაუზა.

— უნებლიე ცოდვა მაქვს, რომელიც, ღმერთია მოწმე, არა და არ მინდოდა. ვცადე და ვერ მოვყევი, ეს კი საშინელებაა, ილია, ერთი სათხოვარი მაქვს?

— ბრძანეთ?

— შენ პირველი ხარ ვისაც გავუბედე ჩემი წარსულის გამხელა, მაგრამ წარსულის სურათები ერთმანეთს უსწრებენ...

პავში შეჩერდა. ილია მიხვდა რაღაცის თქმას ერიდებოდა.

— ნუ მერიდებით, მითხარით როგორც მეგობარმა მეგობარს...

პავშის სახე გაუხალისდა.

— გმადლობთ. სამაგიეროს ღმერთი გადაგიხდის, — ზურგჩანთიდან ამოიღო შავი მუშამბის ყდიანი რვეული, — წაიკითხე, აქ ხალასი სიმართლე წერია!

— გმადლობთ ნდობისათვის, — ახალგაზრდამ რვეული გამოართვა. პავში უსიტყვოდ საბანში გამოეხვია. თოფურიას კი ინტერესი გაუღვივდა: „რა ცოდვა უნდა ჰქონდეს ამ უწყინარ ადამიანს“... გადაშალა რვეული და დაიწყო კითხვა:

„1941 წლის 23 აგვისტო. წუხელის ღამით ნადეჟდა და კლავა თავიანთი ბარგი-ბარხანით გემ „გრუზიაში“ ჩავსვი. მე კი მეორე დღეა ჩემი ახალი დაწესებულების ეშელონს მოვყვები“...

ილიას აკურატული ხელით ნაწერის კითხვა არ უჭირდა, ბალიში უკეთ მოირგო და განაგრძო კითხვა:

„1941 წლის 31 აგვისტო.

ნეტავ, როგორ არიან ჩემი ნადეჟდა და კლავა?... როგორ ჩააღწიეს. ჩვენ უკვე მეათე დღეა ეშელონით მოვდივართ. გერმანელები თითქმის ყოველ ორ საათში თვითმფრინავებით თავს გვესხმიან. მადლობა ღმერთს, ჩვენს ეშელონს ჯერ ვერა დააკლეს.

დაღამდა. დაიწყო მგზავრობის მეთერთმეტე ღამე. სიბნელეში ოვითმფრინავები ისე საშიშნი აღარ არიან. ახლა შუაღამეა. ბაგიდაზე ჭრაქი ბჟუტავს. მოვრჩი სააღრიცხვო სამუშაოებს. დღეს რვა დაჭრილი გარდაიცვალა. ხვალისათვის მათ ულუფას სამზარეულოს გამოვაკლებ.

საბრალო ბიჭები, მშობლებს, ალბათ, დღესაც ცოცხლები ჰგონიათ, მე კი მათ ულუფას შემოსავალში ავიღებ.

ვინ მოიტანა ეს საშინელი ომი?!

მუსიკასავით ჩამესმის მატარებლის ბორბლების მონოტონური ტაკა-ტუკი...

ორთქლმავალი ყვირილით სხვის მიწაზე მიმაქანებს. სად არის ჩემი მიწა? რატომ განდევნეს ებრაელები თავიანთი მიწიდან? ღმერთო, რა ცოდვისათვის მიმოფანტე მოსეს რჯული დედამიწაზე?!

ბედნიერია ერი, რომელსაც სამშობლო გააჩნია. ასე სასტიკად ვინ დაგვწყევლა, ყველას აქვს უფლება გაგდევნოს თავისი მიწიდან და მართალიც იქნება, რადგან ეს მიწა მისი საკუთრებაა!

ღმერთო ჩემო, რამდენი რბევა და სისხლი გადაიტანა ჩემმა საცოდავმა წინაპარმა!

ამბობენ ებრაელთა დარბევა საქართველოში არასოდეს არ მომხდარაო. მე დღეს იმ მიწას უნდა შევაფარო თავი. ერთ ქართველს ვიცნობდი. ხშირად ვხვდებოდი ოდესაში. ერთხელ ღვინითაც კი გამიმასპინძლდა. იქნება შემხვდეს კიდეც?...

ნეტავ, თუ ყველა ქართველი ასეთია?"...

„1941 წლის, 10 ოქტომბერი.

ჩვენი დაწესებულება ქალაქ ქუთაისში დაფუძნდა, აქედან ვხელმძღვანელობთ დასავლეთ საქართველოს ყველა ევაკოჰოსპიტალს.

წუხელის ნადეჟდა მესიზმრა: სახეს ვერ ვხედავდი, მაგრამ ვიცოდი, რომ ეს ნადეჟდა იყო...

დილით. მეტად გახარებული ავდექი, ალბათ იმიტომ, რომ სიზმარში ნადეჟდა ვნახე.

მზიან დილას ყვავილზე დაიბადა. სიცოცხლის ნექტარივით მთვრალი მთელი დღე დაფარფატებდა. მზის ჩასვლისას, დაღლილს, ჰაეროვანი ფრთების ცახცახით ჩაეძინა. ღამე საოცარ სიზმრებში გაატარა. დილით მზის პირველმა სხივმა გამოაღვიძა. სიხარულით აუთრთოლდნენ ოცნებასავით მსუბუქი ფრთები, მაგრამ ზაფხულის ნამით დამძიმებულებმა ტანი ვერ აზიდეს.

დიდი იყო სიცოცხლის წყურვილი. მოიკრიბა უკანასკნელი ძალა. შემოჰკრა ხალიჩად დაქარგულ მსუბუქ ფრთებს. ოდნავ აიწია და იქვე დაეცა სულთმობრძავი, საუკუნოდ და სამუდამოდ.

და მეც ვფრენ შენი სიყვარულით ფრთაშესხმული. და მეც ვივსები სიცოცხლის ღვთიური თილისმით. და მეც დავიძინებ საუკუნო და მარადიული ძილით, მაგრამ არასოდეს ამ ძილს არ ვუწოდებ სიკვდილს, რადგან შენ მიყვარხარ ჩემო ძვირფასო!"...

დღიურით ატეხილ ფიქრებს აყოლილმა თვალი მოწყვიტა რვეულს: ღმერთო ჩემო, რამდენ ტკივილს იტევს ამ კაცის გული?..

რა საოცრადაა მოწყობილი წუთისოფელი, რატომაა შესაძლებელი ამ ნათელ ქვეყანაზე, სადაც ამდენი მშვენიერება სუფევს, ადამიანი ასე საშინლად გაუბედურდეს?... ნუთუ მხოლოდ ტკივილებისთვის დავიბადეთ?!...

ვიბადებით, ვსწავლობთ მეგობრების, ნათესავების სიყვარულს. შემდეგ? საშინელებაა, საყვარელი ადამიანების სიკვდილით ეწამებით!

გამაგებინე ღმერთო, რა არის ყველაფერი ეს? რას ემსახურება? რისთვის არის საჭირო?!

ნუთუ სხვანაირად არ შეიძლებოდა?...

თოფურია ჯვლავ მიუბრუნდა დღიურის კითხვას.

„1941 წლის, 15 ოქტომბერი.

ნადეჟდა და კლავას, ჩემი ძველი ნაცნობის ნაცნობთან, ქალაქ ფოთის ნავსადგურის პასუხისმგებელ მუშაკთან გრიგოლ ხორავასთან უნდა შევხვედროდი. ხორავა, ეს სიმპათიური კაცი მოვძებნე, მაგრამ მან არაფერი არ იცის. მეპატიჟა. არ იქნა და ვერაფრით ვერ დავაჯერე, რომ დალევა არ შემიძლია...

გული ცუდს მიგრძნობს...!"

„1941 წლის 3 ნოემბერი. ქუთაისთან არის პატარა ქალაქი ცხაკაია, იქვე, სულ ორ კილომეტრზე კურორტი მენჯი, ამ კურორტის ერთ შენობაში მოთავსებულია ჩვენდამი დაქვემდებარებული ჰოსპიტალი № 2458. აქ, რევიზიის დროს წავაწყდი ოდესელ ნაცნობს, რომელიც ნადეჟდა და კლავასთან ერთად გემების ერთი ქარავნით მოემგზავრებოდა, მაგრამ სხვა გემით — „არმენიით". ხაიმ პერეცი საშინელი ტრაგედიის თვითმხილველი აღმოჩნდა. ღამით სადღაც სოჭის რაიონში, ფაშისტების თვითმფრინავები თავს დახმიან ფოთისაკენ მომავალ გემთა ქარავანს. სამი გემიდან ორი მის თვალწინ ჩაიძირა. იმ ორში ერთი გემი „გრუზია" იყო.

ნადეჟდას გადარჩენის იმედი იოტისოდენაც არ მრჩება, რადგან ვიცი, ოდესაში დაბადებულმა, გემის კაპიტნის ქალიშვილმა ცურვა არ იცოდა... და მაინც წერილობით მივმართე საევაკუაციო ბიუროს... გემი „გრუზიადან" ვინმე ხომ არ გადარჩენილა. პასუხს ველოდები".

„1941 წლის 28 დეკემბერი... პასუხი მივიღე, უარყოფითი, მაგრამ მე მაინც იმედს არ ვკარგავ."

„1942 წლის, 11 აპრილი.

თითქმის წელიწადია ვწერ ყვილგან. დღემდის რაღაც იმედი მრჩებოდა, იქნებ გადარჩნენ. დღეს საკავშირო ცენტრალურ საევაკუაციო ბიუროდან მივიღე პასუხი: იმ საშინელ ღამეს დაღუპული ორი გემიდან არავინ არ გადარჩა...

საღამოა, ვზივარ ჩემს ოთახში. მტანჯავენ საშინელი ფიქრები: სიკვდილს ვერავინ და ვერაფერი ვერ გამოასწორებს. ჩემთვის ყველაფერი დასრულდა.

არავინ არ გაიმეტებს ნუგეშს.

ო, როგორ უნდა გულს გასკდომა.

სად ხარ სიკვდილო?

დაქცეული ღამე და ჩემი სასოწარკვეთილი ფიქრები; სიკვდილმა წამართვა ნადეჟდა და კლავა. ერთადერთი გზა მრჩება, თავი უნდა მოვიკლა“.

„1942 წლის, 2 მაისი.

გადავწყვიტე: ხვალ აღარ ვიქნები.

თეთრ სარეცელზე დაასვენებენ ჩემს ცხედარს. ტუჩებზე ორი დამჭკნარი იის ყვავილი და ორი სხივჩამქრალი სარკედ ქცეული თვალის უსასრულეთში ჩაძირული მზერა.

არავინ არ გაიგონებს არვის მწუხარე მოთქმას.

შეიკრიბებიან მეგობრები. იქნება ნაცნობების საპატიო დუმილი.

წუხს ლისტის მეორე რაფსოდია.

გარინდება.

მთვარე აუშვებს მკრთალ აფრებს და კვლავ გადასერავს ღაზეულ ზეცას.

ისმის შოპენის სამგლოვიარო მარში.

და კვლავ ჩემი სანთელქმნილი სახე. ტუჩებზე დამჭკნარი ორი იის ყვავილი...

არა, შენ ცრემლებს ვერ დამაპკურებ. ჩემო სიყვარულო, მე შენთან მოვდივარ!

ჰაეროვნად სუნთქავს სევდა.

გათავდა. მორჩა ყველაფერი.

მშვენიერება სიჩუმედ იქცა.“

რა საშინელი ყოფილა სიკვდილზე ფიქრი, ფიქრობს ილია თოფურია და აგრძელებს დღიურის კითხვას:

„1942 წელი“... — გადასწორებული თვე და რიცხვი ვერ ამოიკითხა. — „ღამე საშინელ ფიქრებში გავატარე. დავრწმუნდი, გაუთავებელი ტანჯვისაგან მხოლოდ თვითმკვლელობა მიხსნის. უნდა გადამეწყვიტა როგორ მომეკლა თავი, რადგან რევოლვერით სიკვდილის მეშინოდა, უცებ რომ არ მოვკვდე?... ტანთ გამაჟრჟოლა... მდინარეში თავის დახრჩობა ვამჯობინე...

და კვლავ საშინელი ფიქრები: ნეტავ თუ იციან ადამიანებმა, როგორ ღამეს ატარებს ის, ვინც თვითმკვლელობაზე ფიქრობს?

საოცარია, გადავწყვიტე სიკვდილი და მაინც ველოდები დილას. რატომ? განა სულ ერთი არ არის თავს დღისით მოვიკლავ თუ ღამით? მაგრამ გული სიკვდილს მაინც დღისით მირჩევს, ალბათ, იმიტომ, რომ სინათლე ეკუთვნით ცოცხლებს და მე ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ.

იმ ღამეს ფიქრები და სიზმრები ერთმანეთში ამერია.

დილით ადრე ავდექი. მოვემზადე ისე, როგორც სამსახურში წასასვლელად: პირი გავიპარსე, სუნამოც კი წავიცხე—ჩემი ნადეჟდას საყვარელი სუნამო „ლორიგანი“, მაგრამ არ მისაუზმია. ცის აღმოსავლეთი ვარდისფრად ალეწილიყო.

მივდივარ...

მზეც ამობრწყინდა. გამიღიმა თავისი მომხიბვლელი ჯადოსნური ღიმილით. მიკვირს, მზე ხომ ცოცხლებს ეკუთვნით, მაშ, მე რატომ ვგრძნობ მის შეუდარებელ მშვენიერებას?... მივხვდი, მე ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ, სიკვდილისათვის საჭიროა დრო!

და მე კიდევ უფრო ავუჩქარე ნაბიჯს.

მივდივარ თავის დასახრჩობად. მაგონდება: მე და ნადეჟდას რა განუსაზღვრელად გვიხაროდა ჩვენი სიყვარულის ნაყოფის კლავას დაბადება. მახსოვს ჯერ კიდევ სამშობიაროში ბრილიანტის თვალიანი ბეჭედი მივართვი... როგორ გაუხარდა!

რა მოხდა?

თქვენი თავი სიკვდილმა წამართვა და მე დავრჩი მარტო. ნუთუ ვერ ხედავთ, ჩემთვის აღარ არსებობს სინათლე და სიხარული. გესმით, მე წუხილად გადავიქეცი!?

საშინელებაა!

ღმერთო!

არა, არა, ასე აღარ შემიძლია, მეც თქვენთან მოვდივარ!... ჩემი ფეხით მოვდივარ იმ გზაზე, რომელზეც ადამიანები ძალით მიჰყავთ!

იმისათვის რომ თქვენთან მოვიდე, ჩავიდენ უდიდეს ცოდვას, მოვკლავ ადამიანს და ის ადამიანი ვიქნები მე!

ჩემო ძვირფასებო!

მივიჩქარი. გზაში შემხვდურთ ყურადღებას არ ვაქცევ. მივდივარ და ჩემთვის ამქვეყნიური აღარ არსებობს.

მივდივარ. ჩქარი ნაბიჯით...

ჩემს წარმოდგენაში მზესავით აინთო ჩემი ნადეჟდას მოღიმარი სახე, სწორედ ისეთი, როგორიც იყო ჩვენი ქორწინების ღამეს. მინდა მოვიგონო ჩვენი ბედნიერების დამსწრეთა სახეები, მაგრამ ვერ ვახერხებ.

მივუახლოვდი თეთრ ხიდს. შევდგი ფეხი.

რიონი შემომხვდა ცისფერი და გახარებული.

ხიდის მოაჯირს დავეყრდენი. ცელქი ტალღები ირეკლავენ მზის მხიარულ სხივებს. წყლის ზედაპირზე ინფრა სხივების საოცარი კარნავალია. ღმერთო, ნუთუ შეიძლება ასეთმა ზღაპრულმა სილამაზემ ადამიანს მოუსწრაფოს სიცოცხლე?!

...გადავეშვი...

ჰაერში წამები მივფრინავ. უკან მომყვება ვიღაც ქალის კივილი.

მაგონდება: რაღაცეებს ხელებით ვეპოტინები, როგორც კოშმარულ სიზმარში ხდება და ხელის ჩაჭიდებას ვერ ვახერხებ...

როდესაც გონს მოვედი, თავს მადგნენ თეთრხალათიანი ექიმი როზენბეგი და მეპის უფროსი გენერალი ისაი ავენირის ძე ზაკი.

რა მოხდა?

ვიგონებ...

ვიგონებ გონების მთელი დაძაბვით. თავის დახრჩობა მინდოდა? მივხვდი, მე უბედურმა ეს უკანასკნელიც ვერ მოვახერხე. ამიტყდა საშინელი ტირილი...

შორიდან მესმის ექიმის ხმა: „ნერვულ სტრესშია, მიეცით დასამშვიდებელი.“

„1942 წლის, 18 მაისი.

ჰოსპიტლიდან ერთ კვირაში გამომწერეს. ყველანი მიცნობენ, ცდილობენ რაღაცით შემიმსუბუქონ მდგომარეობა. მესალმებიან. განსაკუთრებით აქტიურობს მეპის ექიმი რახილ აიზიკოვნა. (მგონი მეარშიყება კიდეც. სულელი).

შეკითხვებზე პასუხს არავის არ ვაძლევ. ეს არ არის ჩემი პროტესტი ვინმეს მიმართ. გამიგეთ, არ შემიძლია ლაპარაკი. თითქოს დავმუნჯდი. ზიზღს მგვრის ჩემი საკუთარი ხმა.

მეკითხებიან და მიყვებიან, მიყვებიან და მეკითხებიან...

გაოგნებული შევყურებ და ვდუმვარ. მესმის მათი ხმა, მაგრამ შინაარსი ჩემამდის არ დადის. მაწუხებს ერთადერთი ფიქრი: „რა უნდათ ჩემგან?“...

ვდუმვარ ჯიუტად. არა, ჯიუტად კი არა, უბრალოდ არ შემიძლია ლაპარაკი. ეს საშინელებაა, მაგრამ ასეა და მე სხვანაირად არ შემიძლია.

ჩემი საცხოვრებელი ოთახი ქალაქიდან ჰოსპიტალში გადმოიტანეს. ალბათ, თუ ჰგონიათ, აქ თავს უკეთ ვიგრძნობ,

სულელები.

ყველგან, სადაც არ უნდა ვიყო, ჩამესმის შოპენის სამგლოვიარო მარში ფორტეპიანოზე რახმანინოვის შესრულებით. მესმის ცხადად, როგორც საკონცერტო დარბაზში მჯდომს. მესმის და განვიცდი. უბედურებით გათანგული ჩემი გული სავსეა წუხილის ქარებით. საკუთარი თავის შებრალებით გადმოღვრილი ისეთსავე შვებას მგვრის ვით დაჩირქებული სხეულის ნაწილიდან გამოშვებული ბალღამი. დიახ, მომეშვება და ვგრძნობ საოცარ სიმსუბუქეს — მეძლევა საშუალება თუნდაც ნაწილობრივ დავემსგავსო ცოცხალ ადამიანს.

მიყვებიან იმიტომ, რომ ცდილობენ გამართონ...

მეკითხებიან იმიტომ, რომ უნდათ გაიგონ. მე კი ჯიუტად ვდუმვარ, არა ჯიუტად კი არ ვდუმვარ, უბრალოდ არ შემიძლია ვაკეთო ის, რაც სჭირდება ცოცხალ ადამიანს. მრჩება შთაბეჭდილება, მართალია, მე თავის მოკვლა ვერ შევძელი, მაგრამ ეტყობა, რაღაც მაინც მოვახერხე — დიახ, მე ნაწილობრივ მკვდარი ვარ და ვეძებ ჩემთვის საფლავის მაგიერს — სიმარტოვეს.“

„1942 წლის, 21 მაისი.

ხუთშაბათ დილას გაუბედავად, მაგრამ მაინც გავემგზავრე რიონისაკენ. თან მიმაქვს ორფუთიანი გირი და მისი ტანზე შემოსაბმელი თოკი, რომ დახრჩობაში თავს დავეხმარო.

მზიანი დარია. საკმაოდ ცივი ქარი თმებს მიჩეჩავს. რიონი მეჩვენა მკაცრი. შემეშინდა. მდინარეს თვალი ვერ გავუსწორე და თითქმის სიხარულით გამოვბრუნდი. გირი და შემოსაბმელი თოკი აქ დამრჩა.

იმ დღეს მივხვდი, თავს ვეღარ დავიხრჩობდი. იმ წუთიდან დავიწყე ფიქრი, როგორ მომეკლა თავი... სხვა ხერხით“...

რა საშინელებაა გინდოდეს სიკვდილი და გეშინოდეს, ნუთუ შიში სიკვდილზე მეტია?.. თოფურიამ განაგრძო კითხვა:

„... დეკემბრის მზიანი დილაა. დილა მაისისას ჰგავს. საოცრად თბილია. გეგონება ქარიან ქუთაისში ქარს არასოდეს დაუქროლია. საოცარი ქვეყანაა საქართველო: შუა ზამთარში შეიძლება გათენდეს მაისის დილა. აქ ხალხიც საოცარია — სამეზობლოში ერთის გასაჭირი ყველას გასაჭირია. ყოველი ცდილობს რაღაც წვლილი შეიტანოს სხვისი ჭირის შემსუბუქებაში. ვის როგორც და რამდენიც შეუძლია. ახლახანს მოკვდა ერთი ფრონტზე წასულის დედა. დაობლდნენ პატარები, სამეზობლომ გააპატრონა უპატრონო მიცვალებული. პატარები კეთილმა მეზობლებმა შეიფარეს.

საქართველოს ბუნებასავით წარმტაცია თვით ქართველი კაცის ბუნება — განუზომლად სტუმართმოყვარე. იქნება არც კი დამიჯეროთ: მასპინძელი თვით დარჩება მშიერი, მაგრამ ღირსეულად შეხვდება სტუმარს. მისი სადარდებელი ერთია: არ შერცხვეს! ყველაზე მეტად გასაოცარი კი ის არის, მეზობლის სირცხვილს ყველა თავისად თვლის. ქართველმა თუ შეიტყო, მეზობელს სტუმარი ეწვია, ყოველგვარი დაძახების გარეშე გაუწვდენს დახმარების ხელს. და ეს ასე მაშინ, როდესაც ქვეყანა ომის საშინელ ცეცხლშია გახვეული და ლამის ყოველ ოჯახს შიმშილი ურჩხულივით წამოსდგომია თავს.

არ მასვენებს ფიქრი. როგორ ცხოვრობს ეს ხალხი მშვიდობიან პერიოდში?!

ამ მშვენიერ დილას უფროსმა ყველანი სამხედრო ტრიბუნალზე წაგვასხა. გინდა არ გინდა, ყველა უნდა დასწრებოდა, ასეთი იყო ბრძანება ზემოდან.

ექვს „დივერსანტს“ ასამართლებდნენ, მათში ერთი ადგილობრივი ქართველი იყო, რომელიც ფრონტზე მტრის მხარეს გადასულა და გერმანელებმა ამ რამდენიმე დღის წინ თვითმფრინავით დესანტად გადმოსხეს.

პატიმართა განაწამები სახეები მიცვალებულებს მახსენებენ... შეშინებული თვალები როგორ ჰგვანან მახეში მოხვედრილ ნუკრისას.

ექვსივემ იცის, რომ სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა ელის. მოსამართლისა და პროკურორის ცივი თვალები ისე უყურებენ ვით ყასბისა დასაკლავ პირუტყვს.

მორჩილება უძლური პატიმრისა კანონის მრისხანე წარმომადგენლის წინაშე.

გასაოცარია ჩვენი სახელმწიფოს კანონი: ვინც სხვაგვარად აზროვნებს, ციხეში ცოცხლად უნდა დაიმარხოს ან მოკვდეს!

მე ფიქრებს გავყევი. ჩემი ნადეჟდა და კლავას მოგონებას კვლავ თვითმკვლელობამდის მივყავარ. ყველაზე საშინელი კი ის არის, დავრწმუნდი: თავის მოკვლა არ შეშიძლია...

ფიქრებიდან გამომაფხიზლა ქალის კივილმა. ეს იმ ერთი „მოღალატე“ ქართველის დედაა...

ტრიბუნალმა ექვსივეს დახვრეტა მიუსაჯა.

ადამიანებო, რა მკაცრნი ვართ ერთმანეთის მიმართ და რა უსუსურნი სიკვდილის წინაშე!?

... როდესაც ჯარისკაცმა თოფის კონდახის კვრით წინ წაიგდო სიკვდილის შიშით გაოგნებული, მე სასიხარულო აზრმა გონება გამინათა: დახვრეტა! მე ხომ ჩემს უფროსებთან ერთად მილიონებს ვფლანგავ? საკმარისია ჩემს თავს ვუჩივლო და მე დაძხვრეტენ!

ღმერთო მიშველე!

გახარებული მივრბივარ ჩემს ბინაში. მეზობლებს ვურიგებ დეფიციტური პროდუქტების მარაგს. უკვირთ, რამ გაახარაო ეს კაცი!?

ჩემს თავზე ვწერ საჩივარს. ყველა დანაშაულს ჩემს თავზე ვიღებ.

რა ბედნიერებაა, მე დამხვრეტენ!

მეშველა, ზეიმობს ჩემი დატანჯული სული!

საჩივარი იმ დღესვე ჩავაგდე საფოსტო ყუთში.

ნადეჟდა, კლავა, ჩემო ძვირფასებო, სულ მალე მეც თქვენთან მოვალ!“

რა საოცრად შეტრიალდება ზოგიერთის ბედი — ფიქრობს ილია თოფურია და განაგრძობს დღიურის კითხვას:

„1942 წლის 23 დეკემბერი. ვზივარ ჩემს კაბინეტში. ოც დღეზე მეტია ველოდები რეაგირებას ჩემს საჩივარზე. საოცარია ადამიანის ბუნება, ვეძებ სიკვდილს და მაინც ვზრუნავ სიცოცხლეზე, ვჭამ, ვსვამ, დავდივარ, ვმოქმედებ. რისთვის ყოველი ეს, მე ხომ სიკვდილი განვიზრახე?!

რა ძალა გქონია სიცოცხლევ, რომ სიკვდილის მოსურნეც თავისდაუნებურად შენზე ზრუნავს?!..

შეშინებულმა მორიგემ ძლივს გამაგებინა, უფროსი მეძახის.

გავიარე დაჭრილებით გადატვირთული რამდენიმე დერეფანი, ეზოთი გავდივარ ცენტრალურ შენობაში. უფროსის კაბინეტის კარებზე ვაკაკუნებ. მესმის უცნობის ხმა: „შემოდი!“

შევდივარ. უფროსის მაგიდას ვიღაც უცნობი უზის, ეს კუზნეცოვია, საველე პროკურატურის გამომძიებელი.

— ჩვენზე საჩივარია, — მეუბნება დამფრთხალი მეპის უფროსი ისაი ავენირის ძე ზაკი.

— იყოს, — აუღელვებლად ვპასუხობ.

— ეს ამხანაგი გამოგყვებათ, მიეცით ყველა საჭირო საბუთი, რომელსაც მოგთხოვთ.

— წამობრძანდით! — ეუბნები და მიმყავს ჩემს კაბინეტში. ვარჩევ დანაშაულის მეტყველ საბუთებს. ვულაგებ მაგიდაზე.

— თქვენ ჯერჯერობით არ მჭირდებით, — მეუბნება და თან მიწვდენს ქაღალდს, — წაიკითხეთ და მოაწერეთ!

ვკითხულობ, ხელს ვაწერ, რომ ძიების დაუკითხავად არ დავტოვებ ქალაქს.“

შუაღამეა. ილიამ გადახედა პავშის, — ადამიანი, რომელიც ასე გამწარებული ეძებდა სიკვდილს, სძინავს. რა მოხდა? — ფიქრი არ ასვენებს ილიას და განაგრძობს კითხვას:

„1942 წლის 29 დეკემბერი. დილიდან ვღელავ. ერთი კვირაა, რაც აბრამ კუზნეცოვი საბუთებში იქექება, პასუხი კი არ ჩანს. გამომძიებლის მოსვლის დღიდან მეპის სასადილოში ვიკვებები იმ იმედით, რომ წუთი წუთზე დამაპატიმრებენ.

არ მასვენებს ერთი ფიქრი: რას უცდის?

...როგორც იქნა უფროსი მიბარებს. გახარებული მივიჩქარი. თან ვემზადები პასუხებისათვის: „ყველაფერი მე გავაკეთე“, „არაფის არაფერს არ ვაძლევდი“, „ჩემი ინიციატივით“,... კაბინეტში გაუფრთხილებლად შევდივარ.

— დამიძახეთ?

— გილოცავთ, — გახარებული მეუბნება მეპის უფროსი.

— რას? — ვერ ვხვდები, რას მილოცავს. უფროსი ჩუმათ ჩამჩურჩულებს:

— ვერ აღმოაჩინეს!

— რატომ? — გაკვირვებას ვერ ვფარავ.

— ისე ოსტატურად გაგიკეთებია... ყოჩაღ! — გახარებული ზაკი თავს ვერ იკავებს და მეხვევა, მკოცნის — ვიცოდი, მწამდა შენი განუმეორებელი ნიჭის...

— ნუთუ, მართლა ვერაფერი აღმოაჩინეს?

— წაიკითხე! — მეუბნება და მაწვდის გამომძიებლის დასკვნის ასლს.

— რაღა არის წასაკითხი, — ვეუბნები და ნირწამხდარი დავეხეტები ქალაქის მტვრიან ქუჩებში. დიდი ფიქრის შემდეგ, საღამოს განმეორებით ვწერ საჩივარს, დანაშაულზე მეტის მინიშნებით.

და კვლავ ლოდინი.

ლოდინი გაუთავებელი.

დროსაც სცოდნია ჯორივით გაჩერება, ურტყი რამდენიც გინდა, არა, ფეხს ვერა და ვერ ააჩქარებინებ!

ო, როგორ ნელა და გულის გამაწვრილებლად მიიზლაზნება დრო, როდესაც ელოდები, როდესაც გეჩქარება.

ჩემი დრო თითქოს გაჩერდა და აღარ იძვრის.

ო, რა საშინელებაა ლოდინი!“

„1943 წლის, 23 იანვარი... მეპის უფროსის კაბინეტში მაგიდაზე დახვავებულია ბუღალტრული საბუთებით გაბერილი საქა-

ლალდეები. აქ არიან მეპის უფროსი. ისაი ავენირის ძე ზაკი, კომისარი ხიკოლოზ აშოთას ძე სარქისოვი, მომარაგების უფროსი ვალენტინ ნიკოლოზის ძე დანკო და თვით პროკურატურის გამომძიებელი აბრამ დანიელის ძე კუზნეცოვი.

— ვიღაც საჩივრებით ჩვენზე გაუთავებლად აწუხებს პროკურატურას! — ძეუბნება მეპის უფროსი.

— კიდევ დაწერეს? — ვიკვირვებ ნათქვამს და თან ვფიქრობ: „მგონი მეშველა!“

— მაგრამ სიმართლეს ვერაფერს ვერ ვუზამ, რაც არ გაგვიკეთებია, რას გვიპოვიდნეს? — თავს იწონებს გახარებული ზაკი.

ამ სიტყვებმა, თავზე თითქოს ვეებერთელა სიმძიმის ტომარა დამცხესო. გული შემეკუმშა. დავიბენი, არ ვიცი როგორ და რა ძოვიმოქმედო. ეტყობა სახეც შემეცვალა, ყველანი შეშფოთებულნი ძიყურებდნენ.

ალბათ, თუ ეგონათ შემეშინდა, რატომაც ჩემი დამშვიდება სცადა:

— როგორც ყოველთვის, ბუღალტერიაში ყველაფერი წესრიგშია, — მამშვიდებს ისაი ავენირის ძე, თან ეშმაკურად ჩამიკრა თვალი და მიჩურჩულებს, — კიდევ ერთხელ გავაცურეთ.

— განა ინტრიგანები ცოტანი არიან, — საუბარში ჩაერთო ნიკოლოზ აშოთას ძე.

— მე როდესაც მიხეილ მარკოვიჩი ავირჩიე, — მიმართა ისაი ზაკმა პროკურატურის გამომძიებელს, — ვიცოდი, ვისაც ვანდობდი ამხელა საქმეს! — თავს იწონებს უფროსი.

— ჩვენი მიხეილი ბუღალტერიის შეუდარებელი ოსტატია, — სიტყვას უდასტურებს მეპის კომისარი.

არც აბრამ დანიელის ძეს რჩება სასაყვედურო, ვინაიდან საბუთები სრულ წესრიგშია...

მე გონება გადამიტრიალდა. ვფიქრობ: „დავიღუპე, არ დამხვრეტენ!“ — რა მოვიმოქმედო არ ვიცი. დაბნეულმა სხვა ვერაფერი ვერ მოვახერხე, მოვბრუნდი უსიტყვოდ კარებისაკენ.

— მიხეილ მარკოვიჩ, საით?

— წავალ... — დაბნეული ვპასუხობ.

— დარჩით, მომჩივანი ინტრიგანების ჯინაზე ერთი ლაზათიანად წაუპურმარილოთ!

ვიგრძენი სისხლი როგორ მომაწვა, გული გრიგალივით აბორგდა. სიტყვებმა გადამრია: „მე სიკვდილს ვეძებ, ეს კი საქეიფოდ მპატიჟებს!“ — ჩემს გონებაში რაღაც გადატრიალდა, თითქოს ვეებერთელა სიმძლავრის ყუმბარა აფეთქდაო და ეს ყუმბარა ვიყავი მე. საყელოში ვეცი პროკურატურის გამომძიებელს. თან ვანჯღრევ დაბნეულ კაცს, თან ვყვირი: „მოდი, ნახე,“ — ვშლი საქაღალდეებს, რომელშიც ყოველი ფურცელი ნაცნობია, როგორც ფერით ასე შინაარსით. ვუჩვენებ. ცხვირთან მივუტანე, რომ უკეთ დაინახოს. თან ვაყოლებ სიტყვებს: „აჰა, ნახე, გატანილია ასოთხმოცი ათასი, აი ას სამოცი ათასი, აი ექვსასი ათასი, რატომ ვერ

ჩედავ? რამ დაგაბრმავა?... და შენ კიდევ პრეტენზიები გაქვს რომ გამომძიებელი ხარ?!...“

ჩემმა დაუჯერებელმა აფეთქებამ, იქ მყოფნი დააბნია, ვერცერთი გონს ვერ მოეგო. კუზნეცოვს კი თვალები აეხილა!...

— შეიშალა! — იყვირა სასოწარკვეთილმა ზაკმა.

— ექიმი!— ექიმის მოსაყვანად დაფეთებული გავარდა კომისარი.

მომმარაგებელი ვალენტინ ნიკოლოზის ძე დანკო, ხან კარებს მივარდება, ხანაც ფანჯარას და კვლავ უკან ბრუნდება, თითქოს ეს არის შესაძვრომ ხვრელს ეძებსო...

საღამოს ყველანი პატიმრობაში აგვიყვანეს. ისაი ზაკის სამაღარიჩო სუფრას სპეცთანამშრომლები მიუსხდნენ.

მთელ ძიების პროცესში, ვცდილობდი, ყოველი დანაშაული ჩემს თავზე ამეღო. მე ჩემი დახვრეტისათვის ვზრუნავდი და ყოველ ღონეს ვხმარობდი, რათა ჩემი თანამონაწილეები საქმეში არ ჩამეთრია, მაგრამ საგულდაგულოდ მოწყობილი ექსპერტები საპირისპიროს ამტკიცებენ, ამას ისიც დაემატა, თვით გაფლანგვის მონაწილემ დანკომ დახვრეტის შიშით აღიარა დანაშაული — ბრალი მეც მიმიძღვისო. უარზე იდგნენ ზაკი და სარქისოვი.

დაპატიმრების ორი თვის შემდეგ მოეწყო სამხედრო ტრიბუნალი. ხალხით გაჭედილ დარბაზში, ბადრაგს თითო თითოდ შემოვყავართ, დასუსტებული და ფერმკრთალი, შიშით თვალებგაფართოებული პატიმრები. მე ყველაზე ბოლოს შემომიყვანეს ჩემი ბედით სახეგაბადრული. ხალხმა იზმუვლა. მწყევლიდნენ. ერთმა კარგმა ნაცნობმა მომაფურთხა კიდეც. ისმოდა შეძახილები: „დამსმენი!“, „გამყიდველი“, „სიკვდილი მაგას!“...

დარბაზში გაისმა ქალის ქვითინი. ერთი, მეორე... ესენი ჩემი ძველი მეგობრების ზაკის, სარქისოვის და დანკოს ოჯახის წევრებია. ადამიანები, რომლებიც ათეული წლები მიცნობდნენ, ვუყვარდი და პატივს მცემდნენ, მე კი დღეს გავხდი მათი ოჯახის დამაქცევარი.

...მოსამართლის შეკითხვებზე ყველა დანაშაულს ჩემს თავზე ვიღებ. კატეგორიულად განვაცხადე: ვმოქმედებდი მარტო, ყველასაგან დამოუკიდებლად. დარბაზში დამსწრეთა სიმპათია ჩემსკენ გადმოიხარა. გავხალისდი, თუ კი შეიძლება ჩემს მდგომარეობაში მყოფი საერთოდ გახალისდეს. საოცარი ფსიქოლოგიისა თუ თვისების ყოფილა ადამიანი, თითქოს იმისთვის, ვინც სიკვდილს ეძებს, ყველაფერი დამთავრებულია, სხვა აღარაფერი არ უნდა ადარდებდეს. სიკვდილი ხომ ყოველგვარ კავშირს წყვეტს სიცოცხლესთან?! თურმე ნუ იკითხავთ, არა, სიკვდილის გზაზე მიმავალიც გრძნობს და არჩევს ერთმანეთისაგან კარგსა და ავს, სასიამოვნოსა და საწყენს, მაგრამ ეს თვისება ყველას როდი შემორ-

ჩება. საბრალო ზაკს სიკვდილის შიშმა წაართვა მეტყველება. ის ცოცხალ ლეშად გადაიქცა. სარქისოვსა და დანკოს პირიქით, ისე გაუძლიერდათ სიცოცხლის დაცვის წყურვილი, რომ ყოველგვარ ღონეს ხმარობდნენ სასჯელის ასაცილებლად, მეტად უსუსური არგუმენტებით ცდილობდნენ ჩადენილი დანაშაულის უარყოფას, რასაც გამოცდილი თავმჯდომარე კარგად ხედავს და ხშირად ღიზიანდება კიდეც.

— დახედეთ ამ საბუთს, — ვეუბნები მოსამართლესა და პროკურორს, — აი ჩემი ხელმოწერა, ფული მე გავიტანე!

— ყოჩაღ! — ჩემი სიტყვებით აღტაცებული ყვირის ვიღაც დარბაზიდან.

— ეს ვისი ხელმოწერაა? — მიჩვენებს ზაკის ხელმოწერას თავმჯდომარე.

— ჩემი!

— როგორ, თქვენ ზაკის მაგივრად მოაწერეთ?

— დიახ.

— ესე იგი, ითაღლითეთ?

— დიახ, ეს მე გავაკეთე.

პროკურორი ქაღალდებში პოულობს საჭირო დოკუმენტს, წინ დაუდებს მოსამართლეს.

— პავში ცრუობს, პატივცემულო მოსამართლე, აი, ინებეთ, ექსპერტების დასკვნა, ეს ხელმოწერა ეკუთვნის ავენირ ზაკს!

— რატომ შეგყავთ ტრიბუნალი შეცდომაში, განა არ იცით, რომ სიცრუისათვის სასჯელი გიმძიმდებათ? — მეუბნება გაკვირვებული მოსამართლე.

— არ შემყავს შეცდომაში, ექსპერტი შეცდა, რადგან მე უკეთ ვიცი, ხელმოწერა ჩემია!

— ეს ხელმოწერა ვისია? — სარქისოვისა და დანკოს ხელმოწერაზე მეკითხება თავმჯდომარე.

— ჩემი!

— ორივე?

— ორივე!.

— სტყუის! — ყვირის გაკვირვებული და გაბრაზებული პროკურორი, — ექსპერტიზა შეცნიერებაა და არ შეიძლება შეცდეს!

— ეს ქაღალდია, მე კი ცოცხალი ადამიანი ვარ! — ვპასუხობ სახელმწიფო ბრალმდებელს.

— თქვენ შეგიძლიათ იცრუოთ, ქაღალდი კი არ იცრუებს, რადგან მას პირი არ აქვს!

— ამ შემთხვევაში, როგორც დამნაშავეს მე მეტი დამეჯერება, ვიდრე ვიღაცის მიერ შედგენილ ქაღალდს! დიახ, მე არ მსურს სხვებმა ჩემი დანაშაულისათვის აგონ პასუხი!

დარბაზი თანამიგრძნობს. მე ვგრძნობ ამ თანაგრძნობას და მიხარია, მჯერა, რომ დამხვრეტენ... რა ბედნიერებაა, როგორც იქნა ვეღირსე! სულ მალე მივალ ჩემს ნადეჟდასთან და კლავასთან.

ამ ფიქრებით გახარებულს გამეღიმა. და ეს იყო ღიმილი სიკვდილით კმაყოფილი კაცისა.

პროცესის მიმდინარეობის დროს სულ უფრო მეტად და მეტად იძაბება ვითარება. მე მიხარია, რომ ყოველ ღონეს ვხმარობ ჩემი მეგობრების სიცოცხლის გადასარჩენად. მართალია, რაღაც სასჯელს მაინც ვერ აიცდენენ, მაგრამ მჯერა, სიკვდილისაგან დავიცავ, ვფიქრობ და გახარებული შევყურებ უმწეო სახეებს.

საოცარია, საპირისპირო ბედი და სურვილები ჰქონიათ ადამიანებს: მე მწადია სიკვდილი, ჩემი მეგობრები და მათი ოჯახები კი საშინელ ტრაგედიას განიცდიან, — მათ თავს დაატყდათ სიკვდილი, სიცოცხლეში ყველაზე საშინელი უბედურება, რის შემდეგ ვერაფერი ვერ გამოსწორდება. და ეს უბედურება მე, მათმა მრავალი წლის მეგობარმა, მოვახვიე თავს...

დარბაზი ისმენს ჩემს სიტყვას, მაგრამ არავის ეჭვადაც არ გაუვლია, რომ ეს ნაბიჯი გადავდგი ჩემი სილაჩრის გამო, ვერ მოვახერხე თვითმკვლელობა. ამ უკანასკნელის სურვილმა კი ისე დამაბნია, რომ ვერც კი გავითვალისწინე ჩემს გვერდით მყოფი მეგობრების მომავალი... აწი გვიანაა. ერთადერთი რასაც შევძლებ, ჩემს თავზე ავიღო დანაშაული.

ღმერთო, არსთა განმგებელო, რა შეიძლება იყოს შენზე დიდი ერწამსი? რა შეიძლება იყოს ჩვენი მშობლების, და-ძმის, თუ ცოლ-შვილის და მეგობრებზე დიდი სიყვარული, და თუ სიკვდილი იქ მიმიყვანს, რატომ არ უნდა ვესწრაფოდე მას?!"...

ილიას ცუდი სინათლის გამო უჭირს კითხვა, მაგრამ ინტერესმა სძლია და განაგრძო კითხვა ამ საოცარი თავგადასავლისა:

„სასამართლო განაჩენის გამოსატანად გავიდა, სიკვდილის შიშით დამბლადაცემული, ჩემი ყოფილი მეგობრები თავჩაქინდრულნი სხედან. ვიღაცამ ჯარისკაცს სთხოვა, პატიმრისათვის პაპიროსი „ყაზბეგის" კოლოფი გადაეცა. ბადრაგმა ლამის თავში კონდახი უთავაზა. ასეთმა მკაცრმა დამოკიდებულებამ ისედაც მძიმე სიტუაცია უფრო მეტად დაძაბა.

ლოდინი.

სიხარულით ველოდები განაჩენს — მჯერა დამხვრეტენ... წარმოიდგინეთ, წავიღიღინე კიდეც, რაც ხმამაღლა გამომივიდა. ჯარისკაცი, რომელიც თავზე მადგა, შეშინებული უკან იხევს. არ დამავიწყდება მისი სახე, რომელზეც ასე ნათლად აისახა ცხოველური შიში... გაკვირვებული, მაგრამ დახვრეტის მოლოდინით გახარებული ვუცქერ, რამ შეაშინა?.. მომეჩვენა, რომ თმა ყალყზე დაუდგა... დაუჯერებელია სიმღერამ შეაშინოს ადამიანი!.. მაშ, რამ, რამ შეაშინა?.. უეცრად წარმოვიდგინე: მიცვალებულმა, რომ წაიღიღინოს, რა მოუვა იქ მყოფს?.. ალბათ, ამ საცოდავს მეც მიცვალებული ვგონივარ და ამიტომ შეეშინდა!.. ჩემი ღიმილით თავზარდაცემულმა უფროს ბადრაგს მოახსენა „მღერისო" და ისიც შიშნარევი თვალებით გაკვირვებული მიყურებს... მიყურებს ცო-

ცხალს, მაგრამ ეტყობა სულ სხვა აზრი გაუჩნდა. ჰგონია, რომ სიკვდილის მოლოდინის შიშმა გონება დაშიკარგა.

დრო კი ძალზე ნელა მიედინება...

საოცარია, როდესაც გიჩქარება დრო ძალზე ნელა მიდის, სამაგიეროდ, როდესაც რაიმეს მოახლოვების გეშინია ელვის სისწრაფით მოდის!

დღეს ჩემთვის დრო შეჩერდა...

შემოსული სამხედრო პირი, მკაცრი სახით ხმამაღლა აცხადებს: „ადექით, სასამართლო მოდის!“

ყველა, დარბაზში მყოფი, როგორც ერთი, ფეხზე დგება.

ო, რამდენი გული ცემს, დარჩენილი იოტის ოდენა იმედით: „იქნებ არ დამხვრიტონ?“

გაყვითლებული და მსუქანი სახის მოსამართლეს ხელთ უჭირავს განაჩენი.

დარბაზში მკვდარი სიჩუმეა. მესმის საკუთარი გულის ცემა.

მიხარია: მე დამხვრეტენ!

მოსამართლე იწყებს განაჩენის კითხვას. მესმის სიტყვები: „უმაღლესი“... „სსრკ“... „ტრიბუნალი“, მაგრამ სიტყვებს შორის კავშირი ჩემამდის ვერ აღწევს. მონდომებით ვძაბავ გონებას, ყურსმენას, მაგრამ საოცარი რამ ხდება, განაჩენის აზრი ვერ გავიგე... შემეშინდა, ხომ არ შევიშალე?.. ხმა მესმის, სიტყვებსაც თითქოს ვარჩევ, მაგრამ შინაარსი ვერ გამომაქვს...

ასე რამდენიმე ხანი... ვხედავ თავმჯდომარემ პირველი გვერდი ჩაათავა, დაიწყო მეორე, მესამე... მგონი ჩემი გვარიც ამოიკითხა... დარბაზიდან მესმის შეკივლება, შემდეგ შეუკავებელი ხმამაღალი ტირილი... ერთი, მეორე, მესამე...

ხმამაღალი ტირილით განრისხებულმა თავმჯდომარემ თვალებიდან ცეცხლი გადმოაფრქვია, მის გამოხედვაში იკითხება: აქ სიკვდილის განაჩენს კითხულობენ, აქ ტირილი არ შეიძლება!

ვიღაცეები გაიყვანეს.

ფეხზე ძლივს მდგომი დამნაშავეები დარბაზში მყოფთ შეშინებულები შეჰყურებენ. მიცვალებულს რომ შეეძლოს საკუთარი თავის დანახვა, ზუსტად ასეთ სახეს ნახავდა, როგორნიც აქ, ამ საბრალდებო სკამზე სხედან.

ეს იყო საშინელება!

ეს იყო სულის ნგრევა!

ეს იყო სიკვდილის მოლოდინი, ანუ ფსიქოლოგიური წამების აპოგეა!

რა მომდის, რატომ არ მესმის?.. ნუთუ დავყრუვდი?.. დარბაზში მყოფნი აირივნენ... ვიღაც ჩემთან მოდის... ჩემდა გასაკვირად, ბადრაგი მოსვლას არ უკრძალავს... ვხედავ, სხვებს არავინ არ მიაკარეს... რა ხდება?

ნაცნობი სახე მიღიმის, მის სახელს ვერ ვიგონებ... მგონი მაკოცა კიდეც... ხელში პაპიროსების კოლოფების დასტა უჭირავს და მჩრის... რაშია საქმე, რა ხდება?.. მელაპარაკებიან, მე კი სიტყ-

ვები არ მესმის. მილოცავენ... რას?.. ერთი, მეორე, მესამე... ეს ჩემი ყოფილი თანამშრომელი ქალია.

ტირილი...

ბადრაგს სათითაოდ გაჰყავს პატიმრები.

შეკივლება...

მეც გავყავარ. ვიღაც მიყვირის: „გილოცავ!“

მივყვები ჯარისკაცს და მიხარია: მე დამხვრეტენ!

საღამოს ციხის ოპერმა განაჩენზე მომაწერინა ხელი, თან მიხსნის, ტრიბუნალმა ყველა მონაწილეს სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა მიუსაჯა, მე კი, როგორც დიდი თანხის გაფლანგვის საქმის გამხსნელს, სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა ათი წლის პატიმრობით შემიცვალეს.

„რა?“

ოპერის პასუხი ბოლომდის ვერ მოვისმინე, გულწასული სტაციონარში წამიყვანეს. დიდი ნერვული ტრავმის გამო, გონს მხოლოდ ათი დღის შემდეგ მოვედი.

ექიმებს სჯერათ, გონება, დახვრეტის ათი წლის პატიმრობით შეცვლის სიხარულმა დამაკარგვინა... ან ვინ, ან როგორ უნდა დაიჯეროს, რომ მე ცოცხალი ადამიანი, გარანტირებული ბინით, ჩაცმა-დახურვით, საჭმელ-სასმელით ვესწრაფი სიკვდილს?!“...

ილიამ დღიურს თვალი მოსწყვიტა. მიეცა ფიქრებს. აოცებს პავშის პიროვნება, როგორ უნდა უყვარდეს ცოლი, რომ თავი ასე გადასდოს სასიკვდილოდ და რა უბედური უნდა იყო, რომ შენი მიზეზით, შენს მაგივრად დახვრიტონ შენი მეგობრები, რომლებსაც ასე განუსაზღვრელად უნდოდათ სიცოცხლე?!

„რა უბედური ყოფილა“, — ფიქრობს ილია თოფურია, — „ან როგორ გაუძლო ასეთ საშინელ ფსიქოლოგიურ ტრავმას?!“...

ილიამ კითხვა დაასრულა. დღიურის შინაარსმა შეზარა. „რა საშინელება გადაუტანია ამ საბრალოს?“ — ფიქრობს ახალგაზრდა, — „როგორ უნდა გიყვარდეს, რომ ასე გასწირო თავი? — თვითონვე უკვირს თავისი ფიქრი, — ალბათ, ასეთი სიყვარულით უნდა გიყვარდეს. აბა რა არის ამაში ცუდი?“. გახედა პავშის.

— მიხეილ მარკოვიჩ, გძინავთ?

— არა, — ჩურჩულითვე გაისმა პასუხი.

— წავიკითხე...

— მერე? — იკითხა პავშიმ და გულმა საგულეში ისეთი ბაგაბუგი ატეხა, გეგონებოდა საკირეში ურიებით კლდეს ანგრევენო.

— დიდი ტრავმა გადაგიტანიათ...

პავშის მწარედ გაეღიმა.

— უბედურება ის კი არ არის, როდესაც სიცოცხლე არ გინდა და სიკვდილს ეძებ, უბედურება ყოფილა, როდესაც ეძებ სიკვდილს და ვერ პოულობ!.. საშინელებაა უცრემლოდ ტირილი. საშინელია ასეთი ერთი წუთიც კი, მე კი თითქმის ათი წელი მომიწია ასე უცრემლოდ...

პავშიმ ცრემლებისაგან თავი ვერ შეიკავა.

— დამიჯერეთ, — მუდარით წარმოთქვა მან. — თავში ერთი წუთითაც აზრადაც არ მომსვლია ჩემი საჩივრის შემდეგ, თუ რა ბედი ეწვეოდა ჩემს მეგობრებს. თვით საჩივარშიც და მიკეთებულ ჩვენებებშიც ყველა ბრალდება ჩემს თავზე ავიღე, სასამართლო პროცესზეც, ყველას გასაგონად განვაცხადე, ყველა ხელმოწერა ჩემია მეთქი... ექსპერტიზამ ყველა ჩემი სურვილი თავდაყირა დააყენა. გადავრჩი მე, რომელიც ვეძებდი სიკვდილს, დახვრიტეს ისინი, რომელთაც სწყურიოდათ სიცოცხლე!

პავში უეცრად დაპატარავდა, მუდარად ქცეულმა ადამიანის სახემ, ხელაპყრობილმა შეჰღაღადა ზეციურს: „ღმერთო, რისთვის ესოდენ წამება?“. სიტყვა გაუწყდა. მოეშვა. ჯანგბადის ბალიშივით დაიჩუტა. ადამიანი, ალბათ, ასე მთლიანად მაშინ ცარიელდება, როდესაც მას სანუგეშოდ სიკვდილიც არ რჩება.

პავში ბავშვივით ქვითინებდა. ილია თოფურიას არ უცდია დამშვიდება, რადგან იცოდა, დაგუბებული დარდის ერთადერთი მალამო ცრემლია.

ჩამოვარდა დუმილი.

დუმილი ხანგრძლივი.

დუმილი შინაარსიანი. არავინ უწყის როგორ ხდება, როდესაც დუმილი ორ ადამიანს ერთსულად აქცევს. ალბათ, ზეციურის საოცრებას ძალუძს, ასე ორი სხვადასხვა რწმენისა და რჯულის ადამიანი ერთსულად, ერთ სისხლად და ხორცად აქციოს. ამ ერთ ბედქვეშ მყოფ უბედურებს არც ფიცი დაუდია ერთმანეთის წინაშე და არც სხვა რამ რიტუალი ჩაუტარებია. ეს მოხდა ისე — დუმილმა აქცია ისინი ერთსულად და ყოველ მათგანს სჯეროდა, რომ ამ წუთიდან ერთიმეორისათვის თავს დადებს. ასეთი რამ იშვიათად ხდება, მაგრამ ეს ხდება გაჭირვების ჟამს. ალბათ, ასეთი დუმილი ღვთის ნაბოძები ძალაა უბედურთა სანუგეშებლად?!

პავშიმ, წააკითხა რა ილიას თავისი დღიური, აისრულა წადილი. ჩაახედა თავის წარსულში და დაანახა: ფრჩხილები ჭუჭყით ამოტენილი და ზამთარ-ზაფხულ ტანსაცმლიანად ლოგინში იმიტომ წვებოდა, რომ ხელი ჩაიქნია ყველაფერზე.

ეს იყო აღსარება. თითქოს მოეშვა. ამიტომაც დღეიდან მოიჭრის ფრჩხილებს და აღარ ჩაწვება ტანსაცმლიანად ლოგინში!

...ფული ეს ის მაგიური ძალაა, რომელსაც ბევრმა ცოლ-შვილიც კი ანაცვალა. პავშიმ პირიქით, საყვარელი ადამიანების დაღუპვით შეძრწუნებულმა, ნაშოვნი მილიონები გადაყარა და პროტესტის ნიშნად უარი განაცხადა ცხოვრებისეულ სიამეებზე.

პავშისათვის ლამაზი და საამო აღარაფერია!

პავშისათვის მზემ დაკარგა სითბო და მთვარემ ნათება!

ჰკივის ტანჯული სული: „მიხეილ პავშიმ უარი თქვა სიცოცხლეზე, თქვენ კი, ადამიანებო, ვერ გაიგეთ უდიდესი ტკივილი, ტაკიმასხარა გეგონათ და ამიტომ ხარხარებდით!“

„ვის დასცინოდით? ვის ამცირებდით? ვის ურტყამდით? იდიოტებო, თქვენ ყველანი ერთად რომ გაერთიანდეთ, იმდენს ვერ შეაგროვებთ, რამდენიც მე — მიხეილ პავშიმ ერთი ხელის მოსმით სანაგვეში გადავყარე!“

„მე ის ვარ. ვინც ნებით გადაყარა მილიონები!“

„მე ის ვარ, ვინც სიცოცხლეზე უარის თქმა შესძლო!“

ასე ღაღადებდა პავშის სული უდაბნოსა შინა, ხოლო ჩია კაცის ტანჯულ სახეზე სადღაც სულის სიღრმიდან ამოსული უტეხი ჩაინდის რწმენა იხატებოდა.

ო, როგორი სიდიადე ბრწყინავდა მის ღამენათევ, დაღლილ თვალებში.

ჩიას გაეღიმა — ეს იყო სიამაყის ტრიუმფი.

— ჩემი საშველი სიკვდილი იყო, — განაგრძო პავშიმ, — მაგრამ მე უბედურს ბედმა მეტი მომთხოვა.

— ნუ სცოდავ, ყოველი ის, რაც წუთისოფლად ბედმა გარგუნა, იქ, ღვთის სასუფეველსა შინა, ნეტარებად შეგებრუნდება...

— მიხეილ მარკოვიჩ, თქვენ იგონებთ მილიონები მქონდაო?

— ასე იყო, — ამაყად მიუგო პავშიმ.

— რამდენი?

— ათი მილიონი, — მშვიდად მიუგო ჩიამ.

— მერე ვის დარჩა?

— მთავრობას, — კიდევ უფრო მშვიდად მიუგო მიხეილ მარკოვიჩმა.

— არ მესმის, — გაისმა კოსტია ბესსმერტნის უკმაყოფილო ხმა, — ამდენი ფული სატანას რატომ ჩაუგდე ხელში?

— როდესაც ადამიანი სიკვდილს ეძებს და ვერ პოულობს, მაშინ მას ნუ მოსთხოვ იმ გონებას, რითაც უნდა აზროვნებდეს ჩვეულებრივი მომაკვდავი.

— მე იმ ფულს გაჭირვებულებს დავურიგებდი! — გულწრფელად განაცხადა ქურდმა.

— შენ? — კითხვისგან თავი ვერ შეიკავა მამა თედორემ. კოსტიას კი გაკვირვება თითქოს არც შეუმჩნევიაო.

— ბავშვობიდან არ მასვენებდა ოცნება, მხსნელად მოვვლინებოდი გაჭირვებულთ!

— დიდია ღმერთი! — ღაღადით აღმოხდა მამა თედორეს.

— არ დაგიმალავთ, ეს წყურვილი ისე ძლიერ ზის ჩემში, რომ მის აღსასრულებლად მკვლელობასაც არ მოვერიდებოდი.

— ფუი, ეშმაკს, ფუი, ეშმაკს, — შეშინებულმა მღვდელმა პირჯვარი გადაისახა.

— განა ასეთი საშინელი რამ ვთქვი?

— მკვლელობაზე საშინელი სხვა რა უნდა იყოს?

— მამაო, განა საშინელებაა, ერთის ხელში დაგროვილი სიმდიდრე გაჭირვებულებს გაუნაწილო?

— სიცოცხლის საფასურად?

— თუნდაც!

— შენ ვინ მოგცა უფლება, ერთის სიცოცხლის სანაცვლოდ სხვები აბედნიერო? სიცოცხლე ხომ ღმერთის ნაბოძებია!

— თუ გაგიწევია ასეთი დახმარება? — ინტერესი ვერ დაფარა ილია თოფურიამ.

— ორჯერ, თუ სამჯერ... ალბათ, გიკვირთ, მეტჯერ რატომ არაო? არ იფიქროთ ფული არ მქონდა. მქონდა, მაგრამ ქალები და ღვინის ეშხით ატეხილი ორგიები ისე ჩამითრევდნენ, რომ ყოველივე იმას, რაც ჩემს სულს წყუროდა, რამდენიმე დღისა თუ კვირის შემდეგ მხოლოდ სინანულით ვიგონებდი.

— არ ხარ ცუდი კაცი, მოგიტეოს უფალმა ცოდვანი შენნი!

— თავს ნუ იწუხებთ, მამაო, ჩემს ცოდვებს მე გავუძღვები!

— წუთისოფლით გათამამებული, იმ ქვეყნად ცოდვებს ნუ გაიადვილებ!

— საინტერესოა, იქ ასეთი რა ხდება? — დაუფარავი ირონიით იკითხა კოსტია ბესსმერტნიმ.

— იქ არ არის დრო, არ არის სივრცე, არ არის განზომილება. იქ არ იციან სიახლოვე და სიშორე, იქ არ არის მცირე და დიდი.

იქ არც სიმაღლეა და არც სიგრძე.

იქ სამყარო დროის გარეშეა.

იქ არ სჭირდებათ სიტყვა. იქ, ყველამ იცის, ვინ რას ფიქრობს და იფიქრებს. იქ ყველა ყველაფერს ერთნაირად ხედავს. იქ ყველას შეუძლია, თუნდაც მთელი განვლილი საუკუნის ყოველი წამის ერთი შეხედვით აღქმა. იქ წარსული, აწმყო და მომავალი როგორც ერთ სარკეში, ერთი შეხედვით ჩანს.

იქ დედა-შვილობა, და-ძმობა, ცოლ-ქმრობა, მეგობრობა მხოლოდ სიკეთით სავსე დამოკიდებულებაა. იქ არ იციან რა არის მტრობა.

იქ მხოლოდ სიხარულია, — მარადიული ნათება.

იქ ყველაზე დიდი სასჯელი ამქვეყნის მოგონებაა.

— მამაო, ბნელ სამარეში საიდან ამდენი სინათლე და სიკეთე? — იკითხა ატამანმა.

— მიწაში მძორი რჩება, სულის დროებითი მატარებელი, სული ზეცაში მიდის.

— როგორია სული, ვინ ნახა? — გაისმა ვიღაცის შეკითხვა.

— რაკი სულის ხორცთან გაყრის ჟამს ვერ ვხედავთ, უნდა ვიფიქროთ — გამჭვირვალეა.

— მაშ, რატომ ვხედავთ გამჭვირვალე მინას?

— ისევე როგორც ვერ ვისმენთ ეთერში გადაცემულ ადამიანის ხმას, ისევე, როგორც მილიონობით სახეები დაბრრიალებენ ატმოსფეროში, მაგრამ ვერ ვხედავთ, სანამ არ ჩავრთავთ ტელეეკრანს, ასევე ვერ ვხედავთ სულს!.. მწამს, თუ ზენამ არ ინება მეორედ მოსვლა, ოცდამეერთე საუკუნეში, კაცობრიობა გამოიგონებს სულის სათვალთვალო აპარატს.

— ჭამა-სმა? — იკითხა გაკვირვებულმა კოსტია ბესსმერტნიმ.

— დროის გარეშე მყოფ სამყაროში სიკეთით იკვებებიან.

— ნუ მიწყენთ, მამაო, მოსაწყენი ყოფილა თქვენი ქვეყანა.

— ფუი, ფუი, ეშმაკს! — მღვდელმა უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა და მოყვა ლოცვას.

— თქვენ ხომ მორწმუნე ბრძანდებით?

— კი, ვარ.

— განა ღმერთი არ კრძალავს თვითმკვლელობას?

— კრძალავს, — დარწმუნებით თქვა პავშიმ. — მაგრამ ცხოვრებაში არის მომენტი, როდესაც ადამიანი ღმერთსაც აღუდგება! — შემდეგ ცივი ირონიით განაგრძო, — ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უკნაური გრძნობა დამეუფლა, ასე მეგონა, ღმერთზე დიდი ვიყავი!

მოთვინიერება

ციხის უფროსის კაბინეტში, კედელზე სტალინისა და ძერჟინსკის პორტრეტები ჰკიდია. საწერ მაგიდასთან მდგარ სავარძელში გულაგის გენერალი ზის, ამ მაგიდას მიდგმულ გრძელ მაგიდას უზის „ინტელიგენტის“ მკვლელობის საქმის გამომძიებელი ხორა აშორდია. შიშით თვალების დახამხამების ეშინიათ სარივით გაჭიმულ ფეხზე მდგომ ციხის უფროსსა და ოპერს.

ასეთი სურათით კმაყოფილმა გენერალმა დროზე და გონივრულად გააანალიზა მოსალოდნელი ვითარების სირთულენი.

ზის და ფიქრობს გენერალი: უკუღმართი ხალხია ქართველები, თურმე მათთან მეგობრული დამოკიდებულებით მეტს ისარგებლებ, ვიდრე ბრძანებითა და მუქარით.

გენერალმა თითქოს მხოლოდ ახლა შეამჩნიაო მის წინაშე გაჰიმულად მდგარნი.

— ამხანაგებო, დაბრძანდით! — ალერსით და მზრუნველობით მიმართა ფეხზე მდგომთ.

— გმადლობთ, — ჩაიბურტყუნა ოპერმა და წამსვე მიუსკუპდა მაგიდას.

— გმადლობთ, ამხანაგო გენერალო! — წარმოთქვა ციხის უფროსმა ნოე თორიამ, თან საყვედურით გადახედა უზრდელ ძიკა სერგიას, რომელიც პირველსავე მიპატიჟებაზე მიუჯდა მაგიდას, თვითონ კი უფრო მეტად გაჭიმულმა განაგრძო დგომა.

გენერალმა სიამოვნებით აღიქვა ციხის უფროსის მოკრძალება, ამიტომაც მეტის მოფერებით გაუმეორა:

— დაბრძანდით, ნოე ბარდგუეევიჩ!

— გმადლობთ, ამხანაგო გენერალო! — ჩაუპატაჯა ციხის უფროსმა და პატივისცემის ნიშნად მხოლოდ ნახევარი საჯდომით ჩამოჯდა სკამზე.

ჰოი, მლიქვნელნო და მშიშარა მანჭურთებო! თქვენი უზნეობის გამო რამდენ დამამცირებელ საქციელს ჩადიხართ! — ღმერთო დიდებულო, აბა, როგორ უნდა ენახა ან მიმხვდარიყო გულაგელი გენერალი, რომ ციხის უფროსი ნოე თორია, მისდა საპატივცემულოდ ნახევარი საჯდომით იჯდა თავისუფალ სკამზე!?

გენერალმა მეტად საქმიანი იერი მიიღო:

— როგორ მიდის ძიება? — საკუთარი სურვილის წინააღმდეგ გამომძიებლისადმი მიმართვა მაინც მბრძანებლური გამოუვიდა.

შავგვრემანმა ნაყვავილარმა დინჯად აიღო საქაღალდე. გახსნა რამდენიმე ფურცელი გადაშალა და ხმამაღლა წარმოთქვა:

— აღიარა!

„აღიარა?“ — ერთხმად წამოცდა გაოცებულ ქიხის უფროსს და ოპერს.

— მაგრამ პირობით! — შემდეგი სიტყვები დაამუხრუჭა გამომძიებელმა.

ჩინოსანს გაბადრული სახე მოეღუშა.

— ეს კიდევ რა პირობას თხოულობს?

— რომ მკვლელობისათვის სასჯელს არ დავუმატებთ, — სიტყვები დამარცვლა შავგვრემანმა.

— ამაზე შემდეგ, წამიკითხეთ მისი ბოლო ჩვენება! — მკაცრად წარმოთქვა გენერალმა და გულის არეში მოწოლილი ქლოშინი მუცელში გადაიტანა.

„მოვკალი ფულის დასაკუთრების მიზნით“, — „გორილას“ ჩვენებიდან ამოიკითხა ნაყვავილარმა.

— ფული სად არის? — მკვირცხლად იკითხა გენერალმა და პასუხის მოლოდინში მსხვერპლზე ჩასაფრებული ფოცხვერივით გაინაბა.

სიწუწკეში გამოქნილი აშორდია მიუხვდა ჩინოსანის შეფარულ ზრახვას, ეამა, რომ სწორედ ის სიმი შეუტოკა, რომელიც მას ჭირდება. სადღაც მისი ბრწყინვალების წინაშე უპირატესობაც კი იგრძნო, გაუხარდა და სიხარულის დასაფარავად სიტყვები ქვასავით უტყვი სახით წარმოთქვა:

— დამალული აქვს.

— სად? — მოუთმენლად იკითხა გენერალმა.

— გვეტყვის...

— როდის? — კითხვას ლამის სული ამოაყოლა გულაგელმა.

— როგორც კი გარანტიას მიიღებს.

ზემოდან მოვლენილს „გორილას“ ულტიმატუმი არ ესიამოვნა, მაგრამ თავის ძალაში დარწმუნებულმა, დამსწრეებს ირონიულად გაუღიმა, ეშმაკურად თვალი ჩაუკრა და დაბალი ხმით ჩაუმარცვლა:

— შევპირდეთ?..

— არ გამოვა!

— რატომ? — პირველმა წინააღმდეგობამ გააკვირვა გულაგელი ჩინოსანი.

— ის დამნაშავეა. ჩვენ კი კანონის დამცველები, ჩვენგან მისი მოტყუება მეტი დანაშაული იქნება!

— ზღაპრებს ჰყვები, აშორდია! — იფეთქა გენერალმა.

— ზღაპარი კი არა საბჭოთა სამართლის პრესტიჟი, ამხანაგო გენერალო! — გამომძიებელმა წარმოსთქვა ეს სიტყვები და გა-

მარჯვების ნიშნად ღიმილით ორი ოქროს კბილი მგლის ეშვებივით გამოაელვა.

— მაშ რას აპირებთ? — დაიბნა გენერალი.

— თქვენს ბრძანებას ველოდები, — ჩინოსანმა დაბნეულობა ვერ დაფარა, აშორდიამ კი განაგრძო, — თანხა, ოცდაათი ათასი მანეთია, ამხანაგო გენერალო!

— ოცდაათი? გაოცება ვერ დაფარა გენერალმა, თითქოს ამ საქმეში თანხის ეს რაოდენობა პირველად ესმისო.

— კარგა დიდი თანხაა, — გაბედა სიტყვის თქმა ოპერმა, ქიხის უფროსმა კი შიშით გადახედა თუმანივით წითელ გულაგის წარმომადგენელს, რას იტყვისო ზემოდან მოვლენილი.

— ბევრჯერ ვისმინე საქმეში ფიგურირებული თანხის რაოდენობა, მაგრამ მართალი გითხრათ, რეალური არ მეგონა და არც ახლა მჯერა!

— რეალურია, ამის პირობას მე გაძლევთ! — ნაყვავილარი სახის გამომძიებელმა სასიამოვნოდ გამოაელვა ოქროს ეშვები.

— მაშ, რაღას უცდით?

— საქმე იმაშია, რომ, — შეპარვით დაიწყო აშორდიამ გულისნადების გამომქცევნება, — თუ ფულს გამოვაჩენთ, ძიებამ მთელი რიგი უსიამოვნო კითხვებს უნდა გასცეს პასუხი.

— რა კითხვებია ასეთი? — გაოცდა ჩინოსანი.

— „ინტელიგენტს“ კოლონიაში რისთვის დაჭირდა ამდენი ფული?

— არ მესმის, რატომ არის უსიამოვნო კითხვა? — გულწრფელად გაოცდა გენერალი.

— იმიტომ, ამხანაგო გენერალო, რომ, — შეპარვით გააგრძელა სიტყვები ნაყვავილარმა გამომძიებელმა, — საქართველოში, თქვენს ჩამოსვლას ბევრი „აქტიროვკით“ (ავადმყოფობის აქტით) განთავისუფლება დაემთხვა!

— არ მესმის, ჩემთან რა კავშირი აქვს? — გენერალს სახეზე გაუთვითცნობიერებელი შიში აღებეჭდა.

— შეიძლება იფიქრონ, — გამომძიებელმა გამაფრთხილებლად დაუწია ხმას და შემდეგი სიტყვები, გენერლის თვალისათვის თვალი რომ არ მოუშორებია, ისე დაამუხრუჭა.

— რა უნდა იფიქრონ? — გენერალმა დაკარგა რიხი.

— რომ ეს თანხა თქვენთვის იყო განკუთვნილი!

— ჩემთვის? — ამ პასუხს არავითარ შემთხვევაში არ მოელოდა გულაგის წარმომადგენელი.

— დიახ, სწორედ თქვენთვის! — გამომძიებლის პირის ღრუდან მგლის ეშვებმა მომაკვდინებლად გაიელვა. გენერალს მოეჩვენა, რომ ჯოჯოხეთში მოქმედმა სატანამ გაუღიმა, სულის სიღრმეში გაუაზრებელი შიში და შფოთი შეეპარა. წითურ სახეზე მსუბუქმა სილურჯემ გადაურბინა. დანა ქიჩას ვერ გაუხსნიდა.

აშორდია-გამომძიებელმა ნამდვილად იცოდა, გენერალს საქართველოში „აქტიროვკით“ განთავისუფლებისათვის, დიდი თან-

ხები ჰქონდა აღებული. საჭირო შემთხვევისათვის საბუთიც გააჩნდა. აშორდიამ მშვიდად გაუღიმა და ჩურჩულით უთხრა:

— დიახ, სწორედ თქვენთვის იყო განკუთვნილი! — გენერალს მოაგონდა საკავშირო პროკურორის მოადგილესთან უთანხმოება. მოგონებამ შეეშალა: „ვაი, თუ მახე დამიგესო“.

— რატომ უნდა იფიქრონ? — შიშით ამოილუღლუღა დამბლადაცემულმა და დაპატარავებულმა.

— მოგეხსენებათ, ნათქვამს დამტკიცება უნდა.

— რა თქმა უნდა! — გამოცოცხლდა გულაგელი.

— მაგრამ ჩვენს ქვეყანაში კაპიკია ეშვმიტანილი ჩეკისტის ფასი!

— რას მირჩევთ? — თქმა გაბედა დაქცეულმა გენერალმა.

გენერლისა და გამომძიებელ აშორდიას შემყურე, შიშით გათავებულ ციხის უფროსსა და ოპერს ხან ცხელი ოფლი ასხამდათ და ხან ცივი, მაგრამ რაკი საკუთარი თვალით იხილეს აშორდიას მიერ ორთავე ბეჭზე გართხმული ურჩხული, თავისუფლად ამოისუნთქეს.

— თქვენი დიდი რეპუტაციის გადასარჩენად ფული უნდა გადავმალოთ!

— „ინტელიგენტის“ მკვლელობა?

— ამხანაგო გენერალო, „ინტელიგენტი“ გარბოდა. „გორილამ“ ორჯერ გააფრთხილა, მესამედ ესროლა და მოკლა!

— ფული?

— ორად ორი გზა გვრჩება.

— რომელი და რომელი?

— ან უნდა დავწვათ ან უნდა გავიყოთ!

თითქოს ბალახზე ცილმა გადაისისინაო. ამ წუთამდის მაღალი ჩინოსანი გენერალი-მბრძანებელი, მისი ქვეშევრდომების — დაბალ ჩინოსანთა თანატოლი და თანამოზიარე გახდა.

უმაღლეს ჩინოსანს გაუტოლდა ყველაზე დაბალი ჩინის ოფიცერი რუსია.

ოო, რა მაგიური ძალა ჰქონია ადამიანთა სამყაროში უსაშინლეს სენს — ფულს!

თურმე ადამიანიც ქამელეონის მსგავსაო. მდგომარეობის მიხედვით იცვლის ფერს. რამდენიმე წუთის წინ შიშით ლურჯ-ყანგის ფერი გენერლის მსუქანი სახე, როგორც დიდი ბედნიერების ქამს ხდება, ახლა ვარდისფრად ბრწყინავდა.

გაირკვა: ფული უნდა გაეყოთ. ერთი იყო გაურკვეველი, რას მოიმოქმედებდა ამ ფულის პატრონი, „ინტელიგენტის“ მკვლელი „გორილა“.

— ხომ შეიძლება, პროცესზე ტვინი გადაუბრუნდეს და გვამხილოს? — ფრთხილობს ჩინოსანი.

— არ მგონია ქურდის მკვლელობისათვის სასჯელი აიკიდოს.

— ხომ ექნება საშუალება?

— ექნება!

— არ მესმის, სათუოდ რატომ გავიხადოთ საქმე? — და იქ მსხდომთ გენიოსის იერით გადახედა.

— რა წინადადება გაქვთ?

— დაბეზღების ყველა შანსი უნდა მოვუსპოთ!

— მოვკლათ? — გენერლის სითამამით გაოცდა აშორდია.

— ციხეში მკვლელობა? — შიშით ჩაიბურტყუნა ციხის უფროსმა.

— სისხლი! — ოპერმა თითქოს ხელი შეიხოცაო სველ პირსახოცზე.

— ამხანაგებო, არ გინდათ ეს მაღალფარდოვანი სიტყვები: მკვლელობა, სისხლი, ბოლოს და ბოლოს ჩეკისტები ვართ! მითხარით სხვა ვინ დაიცავს საბჭოთა კანონს?

„ეჰე, მკვლელობა თუ კანონის დაცვაა“, გაიფიქრა ტანში სიცივეგამჯდარმა ციხის უფროსმა.

— სწორია, — გენერალს დაეთანხმა ციხის ოპერი.

დამსწრეთა დუმილით გახალისებულმა გენერალმა კი განაგრძო:

— რადგან ჩეკისტები ვდგავართ საბჭოთა კანონის სადარაჯოზე, ჩვენს წინაშე წამოიჭრა კითხვა, ვინ არის „გორილა“? ეპასუხობ, „გორილა“, იგივე ზებო დარჩია, გაურკვეველი ეროვნების, რომელმაც გვარი გამზრდელისაგან მიიღო, კაცს, ადამიანზე მხოლოდ სახე მიუგავს, ყველა დანარჩენი მასში მხეცურია. არ ვეჭარბებ, ჩაიხედეთ მის საქმეში. ორჯერ გაასამართლეს, პირველად მეზობლის, ხაზს ვუსვამ, მეზობლის მკვლელობისათვის, მეორედ ბოროტი ხულიგნობისათვის. ყველამ კარგად ვიცით, სინამდვილეში ეს იყო ძარცვა! და ბოლოს აგერ, ჩვენს თვალწინ, სასჯელის მოხდის პერიოდში პატიმარმა-ბადრაგმა, ხელის ჭუჭყისათვის (სასწაულად დაიმანჭა ჩინოსანი) სიცოცხლეს გამოასალმა მისსავე ბედქვეშ მყოფი „ინტელიგენტი“. მიპასუხეთ, ასეთი ადამიანის სიცოცხლე რა სარგებლობას მოუტანს ჩვენს ნათელ კომუნისტურ საზოგადოებას? უყოყმანოდ ვპასუხობ: არავითარს! ჩვენ ვიცით, კანონს არც თვალები აქვს და არც ყური, ის ჩვენით ხედავს და ჩვენით ისმენს.

— ლოგიკურია, — პაუზის შემდეგ დაეთანხმა ზორო აშორდია და კმაყოფილების ნიშნად ორი ოქროს ეშვი გამოაელვა. წახალისებულმა გენერალმა კი განაგრძო:

— ვინ არის „იაზვა?“ ოცდათხუმეტი წლის ორმეტრიანი, ეს ადამიანის მსგავსი მხეცი, რომელმაც ქურდობა თვრამეტი წლისამ დაიწყო. ჩვიდმეტი წლის განმავლობაში რვაჯერ გაასამართლეს. ამ ხნის მანძილზე ექვსჯერ გაიქცა, ეს ნადირი იმდენად აუტანელია. რომ ქურდებმაც კი გარიყეს!.. და ბოლოს, კოსტია ბესსმერტნი, ორმოცი წლის კაცი, რომელიც თექვსმეტჯერ გაასამართლეს. მათ შორის ორჯერ სასჯელის უმაღლესი ზომით — სიკვდილით. საერთო ჯამში მიუსაჯეს ასთვრამეტი წელი. დაუკვირდით, ამ ნაძირალამ რვა წლისამ დაიწყო ქურდობა...

— რვა წლისამ? — გაოცდა ციხის უფროსი.

— საქმეში თორმეტი წერია, — გაბედა ოპერმა თქმა.

— ოთხ წელს არ აქვს მნიშვნელობა, ისე პატარა იყო, რომ ვინმე ჯიბგირი, ალიოშა „ჩორნა“, ძვილმანებში გადაცმული ხელში აიყვანდა, ჩადგებოდა მატარებელში ამსვლელთა რიგში და საცოდავი ხმით გაიძახოდა: „გზა მიეცით ბრმასა და ხეიბარს“, ხოლო კოსტია ბესსმერტნი ამ „საცოდაობით“ გაოგნებულ ხალხს ჯიბიდან აცლიდა მთელი წლის ნაოფლარსა და ნაამაგარს. აი, ვინ არის კოსტია ბესსმერტნი!

მე გეკითხებით, ვინ ვართ ჩვენ? — გენერალმა თვალები ციხის უფროსს გაუსწორა. შემოხედვით გათამამებულმა ციხის უფროსმა, სლოკინით ამოგდებული ლუკმასავით შეაგება სიტყვა:

— ადამიანები.

— არა, შენ მიპასუხე, ამხანაგო უმცროსო ლეიტენანტო, — მიმართა ოპერს.

— მართლმსაჯულები! — განმარტა კაცად ქცეულმა.

— არა! თუმცა კი, მაგრამ მაინც არა, თქვენ მიპასუხეთ, — გაუსწორა თვალები ნაყვავილარ ზოროს.

— ჩეკისტები!

— არა, ჩვენ ვართ შრომა-გასწორების, დაუკვირდით სიტყვას. შრომა-გასწორების დაწესებულების მუშაკები. ჩვენ უნდა აღვზარდოთ, ანუ გამოვასწოროთ. ახლა მიპასუხეთ, ამ სამში რომელი ერთი გასწორდება? არ მინდა პასუხი, რადგან პასუხი ერთია: არცერთი! ჩვენი ნათელი იდეებისათვის მებრძოლი კომუნისტური საზოგადოება უნდა განთავისუფლდეს ამ მავნე სიმსივნისაგან!

ოთხთა ჩანაფიქრი რომ კარგად დასრულებულიყო, „გორილასათვის“ გარანტია უნდა მიეცათ: „ინტელიგენტის“ მკვლელობისათვის სასჯელს არ დაუმატებდნენ, რომლის საფასურად უკანასკნელს გატაცებული ფული უნდა გამოეჩინა. ამის შემდეგ მოსპობდნენ, „გორილას“ მკვლელობას კი კოსტია ბესსმერტნის დააბრალებდნენ.

ოთხეულის ჩანაფიქრის განხორციელებას „იაზვას“ ხელით აპირებდნენ და ვინაიდან საშიში იყო მკვლელობის მოწმის ცოცხლად დატოვება, მითუმეტეს ისეთი ადამიანისა, როგორც იყო „იაზვა“ — გაფუჭებული ჭურდი, ადამიანი, რომელსაც ამ ქვეყანაზე წმინდა საკუთარი თავს იქით არაფერი გააჩნდა.

იმავე დღეს ციხის უფროსის ნოე თორიას კაბინეტში, ივივე ოთხეულის თანდასწრებით დასაკითხად მოიყვანეს „გორილა“.

... გენერალს მოეჩვენა, რომ შემოიყვანეს ბიზონი. პატიმარი ღელავდა. მაგრამ საკუთარ ძალასაც გრძნობდა (სჯეროდა, ფული ყველას აინტერესებდა), ამიტომ მისი გამოხედვა, მართლა, იმ ბიზონის მზერას ჰგავდა, რომელსაც გასაქცევი გზა მოუჭრეს და ახლა, უნდა თუ არა, მტერს უნდა შებრძოლებოდა.

ციხეს „გორილას“ სახის ბრინჯაოს ფერი ავადმყოფურად გაეფერმკრთალებინა.

ბიზონი როგორც სასროლი ბადით დაჭერილი მხეცი მოიკუნტა, დამფრთხალმა და დაბნეულმა გაუბედავად გადახედა იქ მყოფთ.

— დაჯექი ზებო, — შემოსულს ნება დართო გამომძიებელმა. თითქოს შორს უფსკრულიდან ჩაესმაო საკუთარი სახელი. მუგუზალს სინათლე ოდნავ ჩაუქრა და დაჯდა ისე, რომ შეპარული ეზერა არ მოუშორებია გენერლისათვის, რომელსაც პროექტორებივით უკაშკაშებდნენ სამხრეებზე დამაგრებული ვარსკვლავები.

„გორილას“ სწამდა ამ ვარსკვლავების პატრონს მისი სიკვდილის განაჩენის გამოტანაც შეეძლო და განთავისუფლებისაც.

გამომძიებელმა გახსნა საქაღალდე, დაიწყო ფურცლებში რომელიღაც დოკუმენტის ძებნა. იპოვა. მუგუზალი, თუ ზებო დარჩია, თუ ბიზონი ნანობს: ვინ დაწყევლა ასე სასტიკად, ჯერ ორმოცი წელი ორც კი შესრულებია, მან კი უკვე ორი მკვლელობა მოასწრო და რვა წელი სასჯელის მოხდა.. ვაი, თუ კიდევ დამიმატონ? პატიმრის მკვლელს ვინღა გამოუშვებს ცოცხალს?. ფიქრმა გული ჩაუწყვიტა. დღეს უკვე მერამდენედ კითხულობს ცოლის გამოგზავნილ წერილს (რომელიც გამომძიებელი აშორდიას ინიციატივით დაწერინეს). ქალი ნატრობს მეუღლის დაბრუნებას... მან კი სცემა, სცემა ტყუილუბრალოდ. სამართლიანი ყოფილა ღმერთი, აკი დააპატიმრეს!

წუხელის გამზრდელი ოტია დარჩია ეზმანა. ღვთისნიერი კაცი. გაიხსენა, ღამით მძინარს როგორ მოპარა ფული. მეორე დღეს იმ საცოდავმა, რა გაიგო გაზრდილმა ფული მომპარაო, იტირა. ეს ვინ გამიზრდიაო. ისიც მოიგონა, ბიძაშვილ გოგონას როგორ წაავლო აკოკრილ ძუძუში ხელი და იმან რომ სილა გააწნა. ახლაც ჩაესმის ბიცოლა ელპიტეს გაბზარული ხმა: „მგელს როგორც გინდა მოეჭიე, ის მაინც ტყისკენ იყურებაო“.

ზის გამომძიებლის წინაშე ზებო დარჩია, თუ „გორილა“, თუ ვეებერთელა მუგუზალი და ნანობს, მაგრამ უცებ მოაგონდა, რომ წინა ღამეს დაკითხვაზე გამომძიებელი აშორდია შეჰპირდა, თუ ფულს უჩუმრად გამოაჩენ, მკვლელობისათვის სასჯელს არ დაგამატებთო. პირობის სიმტკიცეს ფულის ძალა აიმედებდა, თანაც არ ასვენებდა მწარე ფიქრი: „რისთვის მოვკალი ის საცოდავი, თუკი ფული ამათთვის უნდა მიმეცა?“

„ძაღლები, — ფიქრობდა „გორილა“, — მაცალონ და ამათაც არ შევარჩენ მაგ სისხლით ნაშთან ფულსო“. შეკრთა. შეეშინდა განზრახულს არ მიმიხვდნენო და დამფრთხალმა მიმოიხედა.

— რას გაჩუმდი, შენს საქმეზე მოსკოვიდან გენერალი სპეციალურად ჩამოფრინდა, — ატყუებდა დარჩიას გამომძიებელი.

— ჩემი? — შეშინებულმა შეხედა გენერალს და უფრო მეტად ჩაქრა. როგორც ლოკოკინა შეხებისას შედის ნიჟარაში, სცადა დამალვა, მაგრამ ვერ მოახერხა, მორჩილად დახარა თავი.

გამომძიებელმა როგორც კი შეამჩნია რომ ღელავს, სცადა მეხმარება:

— ჰო, დინჯად, მოიფიქრე და მოჰყევი!

— კი, ახლავე მოვყვები...

— ნუ ღელავ. არ იჩქარო, დაუფიქრდი და ისე მოყევი, გაიხსენე, ჩვენ როგორ მოვილაპარაკეთ, — შეახსენა ოქროს ეშვებიანმა.

„გორილამ“ ღრმად ამოისუნთქა და დაიწყო ჩვენების მიცემა:

— თუ არ ვცდები, ეს იყო თებერვლის ცხრამეტი რიცხვი. ობიექტზე ვმუშაობდით, სანამ შესვენება დაიწყებოდა პატიმარმა იგორ კასიმოვმა, იგივე „ინტელიგენტმა“, საჭიროებისათვის უფროსი ბადრაგის მიერ მიჩნეულ ადგილზე გაყვანა მთხოვა. როგორც კი გავშორდით აკრძალულ ზონას, პატიმარმა მოშორებით მინდორში ორმოზე მიმითითა, მე ნება დავრთე, მაგრამ პატიმარი ვაცდა რა ნაჩვენებ ადგილს, სიტყვიერად შევძახე — შეჩერდი! მან ძითხრა ახლავეო და გაიქცა, მე მეორედ შევძახე: შეჩერდი, თორემ ვესვრი, მან სირბილს უმატა, მე გავისროლე. ვხედავ მაინც გარბის, მეორედ ვესროლე, ის შემობრუნდა და დაეცა, ეს იყო და ეს.

— დაწევა ხომ არ გიცდია? — ცდილობს სასურველი სიტყვების ამოქაჩვას აშორდია.

— როგორ არა, გავეკიდე კიდეც, მაგრამ ისე ჩქარა გარბოდა, რომ მივხვდი ვეღარ დავეწეოდი და მაშინ იყო რომ ვესროლე, — დაასრულა ჩვენების მიცემა „გორილამ“.

— ხომ გესმით, ამხანაგო გენერალო? — შავგვრემანმა ნაყვავილარმა ოქროს ეშვები გამოაელვა.

— მოწმეები გყავთ? — მეტად საქმიანი იერით იკითხა გენერალმა.

— დიახ, — მორჩილად უპასუხა ჩამქრალმა მუგუზალმა.

— ინებეთ, მოწმეების ჩვენებებიც, — საქაღალდე გაუწოდა გამომძიებელმა.

ჩინოსანმა ყურადღებით გადახედა ჩანაწერებს:

— თუ ასე არის, რას ერჩით ამ კაცს, სასჯელი კი არა ვადამდე განთავისუფლება ეკუთვნის.

გენერლის სიტყვებმა ისე სასიამოვნოდ და დამაჯერებლად გაიხმოვანა, რომ პატიმარი ლოკოკინის ნიჟარიდან გამოსულ ლომის სიხარულს დაემსგავსა.

უეცრად „გორილაში“ ადამიანი აღდგა. დიახ, რადგან ყოველ დამნაშავეში, ყველა შემთხვევაში რჩება ადამიანური, რომელსაც მისჯილნი პატიმრობის პერიოდში ინახავენ როგორც ზამთრის ტანსაცმელს თაკარა სიცხეში. გადანახული ადამიანური ამ წუთას დაუბრუნდა დარჩიას და განა მარტო დაუბრუნდა? ადამიანურმა მის განადგურებულ ფსიქიკაში პირველი ადგილი დაიკავა, როგორც სათნომ და კეთილმა. ამ წუთას ზებო დარჩია უმწიკვლო არსება იყო — ადამიანი, რომელსაც ნატრობდა მისი გამზრდელი ოტია დარჩია.

საოცარია, ადამიანთა ბუნება, როგორ ხდება, რომ დროის ერთ მონაკვეთში მეტად სათნო და კეთილი, დროის მეორე მონაკვეთში სასტიკად და ბოროტად გარდაიქმნება?!

ღმერთო, ვინ და რა განაგებს ასეთ ადამიანთა სულებს?!

ვინ, ან რა ძალა წარმართავს მათ აზროვნების საჭეს?!

იქნებ, მართლაც ორი ძალა მოქმედებს სიცოცხლის სამყაროში — კეთილი და ბოროტი? და ყოველი მათგანი ცდილობს დაისაკუთროს მერყეევი ადამიანის სული?!

ამ წუთას უმანკო ბავშვივით სუფთა და უმწიკვლო ზებო დარჩია ისე გულწრფელად შესციცინებდა გენერალს, რომ ჩინოსანს შეეშინდა, რადგან ასე ახლოს არასოდეს უნახავს ასეთი სათნო და გულწრფელი ადამიანის თვალები.

ზორო აშორდია გაერკვა რა სიტუაციაში, გენერალს სიტყვა სწრაფად შეაწია:

— დიახ, ამხანაგო გენერალო, თქვენი წინადადება მეტად საგულისხმოა და, თუ ნებას დაგვრთავთ, ჩვენ ყველანი პატიმარ დარჩიას წარვაყენებთ ვადამდე ადრე განთავისუფლებაზე.

— მზად ვარ დავწერო შუამდგომლობა! — რიხით წარმოთქვა ჩინოსანმა.

აქ იფეთქა აღტაცებულმა გამომძიებელმა:

— კიდევ ვინ იტყვის, რომ მკვლელობისათვის მეორედ და მესამედ ნასამართლევი დამნაშავენი არ სწორდებიან!

— ბრწყინვალეა! — თავი ვერ შეიკავა აღტაცებულმა გენერალმა.

— ეს ხომ თქვენი აღმოჩენაა ამხანაგო გენერალო! — „წაუპადხალიმა“ აშორდიამ.

გენერალს კი გონება საოცარმა იდეამ გაუბრწყინა: მართალია, კოსტია ბესსმერტნის „გამოსწორება“ ვერ შეძლო — ჩაუვარდა, სამაგიეროდ განა იმაზე ნაკლებია, ორჯერ მკვლელობაზე ნასამართლევის გამოსწორება?

— დიახ, — იყვირა სიხარულით საზღვარს გაცილებულმა, — ხვალვე შევუდგები დისერტაციის წერას, თემის სათაურიც შერჩეული მაქვს: „მკვლელობისათვის ორჯერ ნასამართლევის შემობრუნება სათნოების გზაზე!“ თან დაამატა, დაწერეთ შუამდგომლობა, მე ხელს ვაწერ!

ზებო დარჩიას თავზე ჭერი შეირყა. შეტოკდა, შემდეგ ყველაფერი ყირამალა შეტრიალდა და თავისი სიცოცხლის ორმოცი წლის მანძილზე სათნოებამ პირველად შეუღონა გული.

ზორომ წყალი შეაშხაპუნა „გორილას“ ყვითელაპკგადაფარებულ სახეს, თვალები გაახილა.

— რა მოგვიდა, ვაჟკაცი არ ხარ? — ჩასაქრობად განწირულ ცეცხლს რომ შეუჩიჩხინებენ, ისე შეუჩიჩხინა სიტყვები ზორო აშორდიამ ზებო დარჩიას.

პასუხად მუგუზალი ოდნავ გაღვივდა, სადღაც დაკარგულ სიღრმეში აენთო — ეს იყო მისი ღიმილი. ოპერმა და ციხის უფროს-

მა წამოაყენეს „გორილა“, თუ მუგუზალი, ბიზონი, თუ სათნოება!?...

— შენს ცოდვის მიზეზს — ფულს, როდის ჩაგვაბარებ? — ცოტა ეხეშად, ცოტა უკმეხად და ცოტა ირონიით იკითხა შაგვერემანმა და ნაყვავილარმა გამომძიებელმა.

— როდესაც ინებებთ, — რატომღაც გული ჩაწყდა „გორილას“.

— ხომ გესმოდა, რა თქვა ღმერთის ტოლმა კაცმა. — გადაშალა საქაღალდე. — აი, საბუთები, მისი შუამდგომლობა, მოწმეების ჩვენებები, ჩვენი დასკვნა. მითხარი, სხვა რა არის საჭირო?

— ეს თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, — მორჩილად მიუგო პატიმარმა.

— სვალ! — თქვა და კმაყოფილმა გამოაბრწყინა ოქროს ეშვები.

ზებოს თვალები ხედავდნენ ღიმილით გახსნილ გამომძიებლის ბაგეებს, საიდანაც ელავდა ორი ოქროს ეშვი.

უღიმის ადამიანს ადამიანი და ეს ღიმილი როგორ ჰგავს ყასბის ალერსს, როდესაც სასაკლაოზე მიჰყავს პირუტყვი.

ზებოს შეეზარა. ტანში სამარის სიცივე გაუჯდა, მაგრამ არ იცოდა რატომ და როგორ. ერთი კი იყო: არ ეამა, როდესაც გამომძიებელმა გასამხნევებლად ხელი მხარზე მოუთათუნა.

„გიურზა“ და „პერეპიოლკა“

შუადღეს გადაცდა. ნასადილევი პატიმრები საღამოს საპირფარეშოში გაყვანის მოლოდინში თავ-თავიანთ ფიქრებს მისცემოდნენ. გაისმა კარების გასაღების რახუნი. თვალყური ყველამ იქით მიაპყრო. კარებში შემოვიდა ნასვამი „გიურზა“, რომელსაც შემოჰყვა ტომრებით დატვირთული რამდენიმე პატიმარი.

— **Браток Костья, живем!** — დაიძახა, შემდეგ მსუბუქი და მოხდენილი მოძრაობით ჩეჩოტკის ტაქტს აყოლილი ხელებისა და ფეხების რიტმული ტაპატაპუპით, კამერის კარებიდან კოსტიას საწოლ ადგილამდის ცეკვით მივიდა, იქ მყოფთ თვალი ჩაუკრა. უეცრად მოწყვიტა. ცეკვას დაუსვა წერტილი. კოსტიას არტისტული რევერანსი გაუკეთა და ხმამაღლა დაიძახა:

— **К ногам земного бога!** — შემოსულებს გამოეყო სახენაიარევი, შუატანის, სხეულის ყოველი ნაწილი ტატუირებული წაბლისფერთმიანი და დატენილი ტომარა კოსტიას ფეხებთან დადო.

— მოგებული ხარ? — ჩუმად იკითხა ქურდების ატამანმა კოსტიამ.

— მთელი გამანაწილებელი ციხის სიმდიდრე შენს ფეხებთან მომირთმევია, — ნახევრად ხუმრობით, სიმართლე მოახსენა მოსულმა.

— ეტყობა, კარგა დიდი თანხა დაგითრევია?

— ფული თვრამეტი ნაჭერი (ნაჭერი ათასი მანეთია), სამი რიყა ბაკა (რიყა ნიშნავს ოქროს, ბაკა — საათს), რვა რიყა ბეჭედი, ერთი მათგანი ბრილიანტის თვლით, ბარახლო (ტანსაცმელი) ულეველი, სულ ინდიგოსა და კავერკოტის და, რაც მთავარია საჩხვლეტი, სასმელი და მოსაწევი რამდენიც შენს სულს მოესურვება.

— ვის მოუგე?

— პიტერელ „ბარადას“ (პიტერს ქურდები ლენინგრადს ეძახიან).

— „ბარადას“? — კოსტიამ ეჭვი ვერ დაფარა.

— ბოლოს და ბოლოს გავამწარე ის წურბელა. — „ბარადა“ განთქმული მოთამაშე იყო, რომელსაც კავშირში ბადალი არ ჰყავდა, „გიურზა“ კი საშუალო, ამიტომაც უსიამოვნოდ ეეჭვა „გიურზას“ მოგება. ვუმანით იგრძნო ხიფათი და როგორც შველი ტყეში მგელს იეჭვებს, გაფრთხილდა. ბესსმერტნი დაიძაბა. უყურებდა, თითქოს უსმენდა „გიურზას“ სიტყვებს, ფიქრებით კი ვარიანტებს არჩევდა, რა შეიძლება მომხდარიყო. როგორც ქურდს „გიურზას“ ენდობოდა, მაგრამ არ ასვენებდა ეჭვი, ასე დიდი მოგება და ისიც პიტერელ „ბარადასთან?“... კი ხდება, მაგრამ ამდენი არაყი და ნარკოტიკები?.. ფიქრებმა უსიამოვნო ბურუსში გამოახვიეს... ხომ შეიძლება „გიურზას“ ავტორიტეტით ვიღაცამ ისარგებლოს?.. ირწმუნა და გაფრთხილდა!..

„გიურზა“ — ანტონ მაქსიმეს ძე რუდაკოვს — თავისი დაუნდობელი და ცბიერი, მაგრამ სამართლიანი და მახვილი გონების გამო შეარქვეს. დამნაშავეთა სამყაროში ხმარობდნენ გამოთქმას: „გიურზას ნაკბენი სასიკვდილოა“!

ვინც ამ კაცს იცნობდა, იცოდა — უამრავი ქურდი ჰყავდა გაფუჭებული — დანაშულს არავის აპატიებდა. მის გასაფუჭებლად ბევრი ეძებდა მიზეზს, მგრამ ამაოდ. ასეთ დევნაში „გიურზამ“ ორმოცს მიაღწია.

„გიურზა“, როგორც პროფესიონალი ქურდი, არ იყო გამორჩეულად ძლიერი, ზოგჯერ ბედი არ წყალობდა, ზოგჯერ მოუქნელობის გამო ვარდებოდა, სამაგიეროდ ციხე-კოლონიებში შიშის ზარს სცემდა სხვა მასტებს. თვით ქურდებიც იყენენ დაძაბული — ეშინოდათ არ გამოეჭირა შეცდომაში.

ამბობენ — ხუთასკაციან ზონაში მარტოდმარტომ ნაჯახით ორასზე მეტი გაფუჭებული ქურდი დაიფრინაო. ასევე „გიურზას“ ანგარიშზე იყო ერთ დროს განთქმული, შემდეგ გაფუჭებული ქურდის „ვალეტის“, „ივან სტრაშნის“, „დიკი კაბანის“ მკვლელობა. მასვე მიაწერდნენ „მურის“ უდიდესი საქმეთა გამომძიებლის, ქურდების გამამწარებლის პოლკოვნიკ როდზიევის მკვლელობას:

„გიურზა“ ქურდებთან იყო ფრთხილი, რაც შეეხება სახელმწიფო კანონის დამცველებს, ტყვიასავით ეშინოდათ მისი. ბევრ-

ჯერაც მოუნდომეს „გასაღება“, მაგრამ ამაოდ, დაგებული მახიდან თავი ყოველთვის მშვიდობით დააღწია.

იმასაც ამბობენ — ერთმა კოლონიის უფროსმა ფული გამოსტყუა, მან კი სამაგიეროდ ცოლი გაუბახაო.

— Прошу в дом! — ირონიით, მაგრამ ინტელიგენტურობით მიიპატიჟა ფიქრებით სულ სხვაგან მყოფმა ბესსმერტნიმ.

— კეთილი იყოს ჩვენი ფეხი! — „გიურზამ“ ჩაიქირქილა და კოსტიას საპირისპიროდ ნარებზე გაშლილ ლოგინზე ფეხმორთხმით წამოსკუპდა. თან განაგრძო საუბარი:

— Ширятся будем, курить или пить?

— ატამანმა ეტყობა რაღაც გადაწყვეტილება მიიღო, ამიტომაც დაუფიქრებლად მიუგო:

— Пить! — „გიურზამ“ წამსვე მბრძანებლური ლაზათით დაიძახა:

— „Перепелка“, накрывай стол! — მოსულებს გამოეყო. ოცი-ოცდაერთი წლის ახალგაზრდა, ლამაზი სახის, ქალური იერითა და მიხრა-მოხრით. ვოლაცამ განგებ წამოსდო ფეხი. „პერეპიოლკამ“ შეპკივლა და გამოსახა გრაციის ზექალური პოზა, ატყდა სიცილი. ბიჭქალას თვალებსა და სახეზე ენება გამოესახა, რომელზეც ეწერა: „მე თქვენი სიამოვნებისათვის დავიბადე“. წარმოუდგენელია, მაგრამ თვით ქუჩის ქალი მასზე მეტი მამაკაცურია.

„მაგარი მუშტი“ თავიდან ზიზღით უყურებდა ამ მამაკაცისა და ქალის ზნეობრივ ჰიბრიდს, თუმცა, რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, იჯერებდა „პერეპიოლკას“ სასიამოვნო ქალობას. სადღაც სიმპათიაც კი გაუჩნდა. „პერეპიოლკამ“ „მაგარ მუშტს“ თვალები დაუთბო. ილია თოფურიას საკუთარი თავის შერცხვა. ბიჭქალამ პარკიდან ამოღებული ჭრელი გობელენი ქალური გრაციით ნარზე გაშალა.

დაიწყო სუფრის მორთვა. აწყობდნენ სხვადასხვა სახის ძეხვეულებს, შებოლილ ლორს, თევზებს, კონსერვებს, შოკოლადს. იქვე დადგეს რამდენიმე ჭიქა.

— Пусть каждый куток накроит стол, сам «Гюрза» угощает. Держите! — დაიძახა და თითოეულ „კუტოკს“ თითო არაყი გადაუგდო... აჰა ესეც, დაიძახა და არაყს ძეხვიც მიაყოლა.

— Стол накрыт! — თავის დაკვრით მოახსენა „პერეპიოლკამ“.

— Первое слово хозяйну дома, богу земли и ада Безсмертнему! — სთქვა და კოსტიას შეუვსო ჭიქა, თან „პერეპიოლკას“ ანიშნა სხვებსაც დაუსხიო...

— Неволья это наша судьба, — დაიწყო კოსტიამ, — Мы, жульики маленькие боги нашей планеты, от жизни берем наше и чужое — все что нам нравится, но за это расплачиваемся кровью и жизнью. Мы способный, даже в страшных муках безпордонно веселится, так поехали к самому дяволу!

თქვა და მოზრდილი ჭიქიდან სავსე არაყი ერთი ყლუპით გააქრო.

სადღეგრძელომ ქურდების აღტაცება გამოიწვია, ყველამ ერთხმად შესვა, არც სასტიკი ბედით განაწყენებული მიხეილ პავში დარჩენილა გულგრილი, რადგან უბედური თავის „ბრწყინვალე“ საზოგადოებას აქ, ამ „ნაძირალებთან“ ყოფნას არჩევდა.

განა რატომ თქვა მიხეილ პავშიმ სიცოცხლეზე უარი?

განა, ცივილიზებული — ეგრეთწოდებული „პატიოსანი“ ადამიანების მიერ ატეხილმა ომმა არ იმსხვერპლა მისი სიყვარული?

განა, „პატიოსნებმა“ იმისთვის არ მიუსაჯეს, რომ საყვარელი ადამიანების გარეშე ვერ შეძლო სიცოცხლე და ამიტომ სიკვდილის ნება არ დართეს.

რა დააშავა ამ ჩიტ კაცმა, გარდა სპეტაკი სიყვარულისა?

პავშის გარკვევით ესმოდა, უკუნი ღამით გამოქანდაკებული რქიანი ეშმაკის „მეგობრული“ რჩევა: „სულელო, სჯობს შენ მიატაცო სიცოცხლისაგან ყოველი, ვიდრე მათ, ვინც შენ ასე დამცირებული მიგატოვეს „ნაძირალების“ ფსკერზე.

ჩიკ-ჩიკას საკუთარი ფიქრის გაუკვირდა. ეიფორიულმა გრძნობებმა ფრთებით აიტაცა და სადღაც ოცნების ვარდისფერ ღრუბლებში წარმოუდგა ორი მოღიმარი სანუკვარი სახე — ნადეჟდა და კლავა. იკინიან. სიხარულმა გული გაუთბო. კლავა წამსვე გაჰქრა, დარჩა ნადეჟდა პავლოვნა, მაგრამ რატომღაც მოღუშული. რაშია საქმე?

მოაგონდა — ევაკუაციის ღამეა, ეთხოვებიან.

დამძიმდა გული. რა ხდება? კიდევ უფრო მეტად დამძიმდა!

უეცრად ვარსკვლავებს მოწყვეტილი, ძაფივით წვრილი შავი გველი სულში შეუსრიალდა. ხან იგორგლება და ხანაც იშლება. ქვემძრომმა საშინელი სისინით დაუშხამა ნეტარი წამები: „ნადეჟდა ვერ გაიღიმებს, ის კლავასთან ერთად, შავი ზღვის ფსკერზე, სადღაც ოდესასა და სევასტოპოლს შუა წევს, თევზებისა და კიბორჩხალების საკორტნელად.

შეაჟრჟოლა.

ღმერთო, რა საშინელებაა: რა დანაშაულისათვის კორტნიან კიბორჩხალები ჩემი საყვარელი ირსების სახეს?

არ დაიჯერა საკუთარი ფიქრი.

ვეებერთელა პლანეტაზე მარტოობა იგრძნო. ნადეჟდას სახე სადღაც გაქრა.

არა, ვერ გამოერკვა, რა ხდება?

წამით დაავიწყდა ვინ არის, რა ხდება, სად არის.

ნაირ-ნაირი ფერების ვარსკვლავები ერთმანეთში აირევნენ... ილია თოფურიას ხელით გამოწვდილმა არაყით სავსე ჭიქამ ამქვეყნიურ სინამდვილეს დაუბრუნა.

ის ციხეში ქურდებთან ღრეობს.

დაცალა სავსე ჭიქა. მზე ჩაუდგა გაციებულ ჩია ტანში.

ზოგმაც სული ვერ მოითქვა. აუვარდათ ხველება, რასაც უმალ გამოცდილ მსმელთა სიცილი მოჰყვა და გამოუცდელთა დამორცხვებული აცრემლებულ თვალთა ღიმილი.

ილია თოფურია უკვე მესამეს სვამს.

კოსტიამ შეამჩნია ილიას არაყზე მიძალება, ამიტომაც სხვების შეუმჩნევლად ჩასჩურჩულა:

— ჩვენ არ ვსვამთ! — ილია მიუხვდა ბესსმერტნის ჩანაფიქრს. საჭირო იყო სიფხიზლე. ამასობაში აზარტში შესულმა „გიურზამ“ დაიძახა:

— „Горбатый“, давай любимую! — დაახლოებით ოცდათხუთმეტი წლის, ნაადრევად სმისგან სახედანაოჭებულმა კუზიანმა, სევდიანი, ჩახლეჩილი, მაგრამ სასიამოვნო ტენორი ააყოლა გიტარის ნაზ და მშვიდ ბგერებს:

«Далеко, из калымского края,
Шлю Волюха тебе я привет.
Как живешь ты моя дорогая?
Напиши поскорее ответ...»

კამერა გაილურსა. ღამის სიბნელეში ჩაძირული ციხე უსმენდა საამო ტენორს. უხილავი ბედნიერების აკვანში ირწეოდა პატიმრის მიტოვებული გული. წარსულით მოწოლილი მეწყერი დაბრჩობას უქადდა ობოლ სულს.

ო, რა ტკბილია ნეტარი წუთების მოგონება!

აგონდებათ დედა, თუ ცოლი, შვილი, თუ და-ძმა!

აგონდებათ პირველ სიყვარულთან პირველი სიახლოვე. ჩაესმით არგენტინული ტანგოს მომაჯადოებელი ჰანგები...

ზოგსაც?

ნაქურდალით აწყვეტილი ღრეობა!

უმეტესობას?

აღრჩობს პატიმრის განუმეორებელი სევდა. არყის ეშხში შესული ციხის კარუზო კი განაგრძობს:

«Я живу близ Охотского моря,
Где кончается Дальный восток.
Я живу без нужды и без горя.
Строю новый в стране городок».

ღამე კიდევ უფრო მეტად გაშავდა. ციხე კიდევ უფრო მეტად გაილურსა. წამით გულმაც შეწყვიტა ძგერა. „გიურზა“ არაყს დაცემამდის მიეძალა.

სიჩუმეში ისმის დაბალი ხრინწმოკიდებული საამო ხმა:

«Воровать я на время отстану,
Чтоб стобою, красотка, пожить.
Любоватся твоей красатою
И Калымскую жизнь позабыть».

ილია თოფურია ვარსკვლავივით მოსწყდა აქაურობას და სულ მარტოს ჩაესმოდა უხილავი ანგელოზის ჩურჩული:

დედივ ნანა მიმღერე,
შენი ტკბილი ნანინა,
დედივ, დამაიმედე,
თორემ ყოფნა არ მინდა.
დედივ, გული დამძიმდა,
სულსაც შფოთი აწუხებს,
დედივ, ყოფნა არ მინდა,
მოდი, მომინახულე.
რა უცხოა ეს მხარე,
სულაც ვერ ვეგუები.
რა ცივი და მდუმარე,
შენ რომ არ მეგულები.
დედივ, ნანა მიმღერე.
შენი ტკბილი ნანინა.
დედივ დამაიმედე,
თორემ ყოფნა არ მინდა.

„თავისუფალი“ სამყაროს მიერ დავიწყებული ციხე უსმენდა სიმღერას. სიმღერას უსმენდნენ კამერის კარებს ყურმიყრდნობილი გულაგელი გენერლის და ზორო აშორდიას გუნდიც.

„გიურზამ“ მორიგი სადღეგრძელო შესვა, რასაც „გარბატის“ თავაწყვეტილი ახალი სიმღერა მოყვა:

«Осенний знойный ветерочик,
От чего ты дуешь холодно?
Гуляй моя детка на свободе,
А мне за решеткой суждено»...

ისინიც კი, ვისაც სიკოცხლეში, არა თუ არასოდეს არ მოუპარავს, არამედ არც გაუფიქრებია ამ სიმდაბლეზე, სიმღერისა და არყის ეშხით შეზარხოშებულნი თავიანთ თავს ქურდული სამყაროს წევრებად თვლიდნენ. ბოლო სტრიქონს: «А мне за решоткой суждено»..

მთელი კამერა ერთსულოვნად აღტაცებული იმეორებდა.

კოსტიას უკვირს, ასეთ ღრეობასა და ხმაურზე რატომ ხმას არ იღებენ მორიგეები? ამ კითხვამ ქურდს ეპეები გაუღვივა...

კოსტიამ „მაგარი მუშტი“ გააფრთხილა: „მე „ლიპად“ დავიძინებ. ყურადღებით იყავი.

— გასაგებია, — უპასუხა თოფურიამ და თავის საწოლზე წამოწვა.

ამასობაში „გიურზამ“ კოსტიას არაყი რამდენჯერმე დააძალა, ხოლო როდესაც დაჟინებული უარი მიიღო, თავისი მოკაკული თი-

თით ანიშნა, დამეთანხმე, მე გავიმარჯვეო, რასაც კოსტიამ თანხმობით უპასუხა.

— Я поехал, — თქვა და ქურდი დასაძინებლად მოეწყო.

შუალამე გადასული იყო. გარედან დრო და დრო ისმის ციხის დარაჯთა გადაძახილი და ზარების დანგ-დანგ.

კამერაში ერთი შეხედვით ყველას ძინავს, რასაც ადასტურებს სხვადასხვა ნოტებზე ამღერებული ხვრინვა. არყის ამონასუნთქს და პირიდან ნასაქმს კიდევ უფრო მეტად ამძიმებს ფეხის ოფლის სპეციფიკური სუნი და „პარაშის“ „არომატები“. ოდნავ მოშორებით, იმ ადგილიდან, სადაც კოსტია ბესმერტნის ძინავს, მოისმა მამაკაცის შეგუებებული კრუსუნი, შემდეგ დათოკილი მოძრაობის ხმაური და მძიმე სუნთქვა... ვიღაც მუხლებზე წამოდგა. შარვალი შეიკრა. თავის ქვეშ მამაკაცის უკანალი დატოვა, რამდენიმე მძინარს გადაბობღდა და დაწვა. ცოტა ხანში „პერეპიოლკამ“ შარვალი აიწია. როგორც იწვა ისე დარჩა. პირუტყვული გრძნობით გადაღლილი ნებივრობდა. ეტყობა თავი ჯერ კიდევ ვერ დაეღწია ექსტაზისაგან, რომელმაც მამაკაცური ღირსების სირცხვილის გრძნობა დიდი ხანია დაუკარგა, ბოლოს ძლივს მოახერხა შარვლის აწევით შიშველი სხეულის დაფარვა. მომხდარი აქტით იმდენად იყო გადაღლილი, თუ რმაყოფილი. რომ პოზის შეცვლას არ აპირებდა.

საოცარია, მამაკაცთან სიახლოვისას, თუ რომელიმეს სასურველად არ მინებდებოდა და გახელებული „პარტნიორი“ მუშტს ჩასცხებდა ან მტკივნეულად გადაუგრეხდა კიდურის რომელიმე ნაწილს, ეს მისი მახინჯი სიამოვნების კულმინაცია იყო.

კვლავ სიჩუმე და სხვადასხვა ხმებზე ხვრინვა.

დახუთული მძიმე ჰაერი, არყისა თუ პირიდან ნასაქმისა და ფეხის ოფლის სუნით გაჟღენთილი.

სიზმრები.

და კვლავ სიზმრები.

დრო კი განუკითხავად მიედინება, რომ მიითვალოს აქ მომწყვდეულთა სიცოცხლისათვის განკუთვნილი წლები.

ყველას აკლდება სიცოცხლე.

ასეთია დრო. დრო უმოწყალოა, დრომ არ იცის რა არის შესვენება. დრო არასოდეს არ ისვენებს. დრო ყოველთვის მიედინება.

ვიღაცამ კარებში გასაღები ფრთხილად გადააბრუნა. საკანის კარი ოდნავ გაიღო. ქურდების კუტოკიდან ვიღაც ფრთხილად წამოდგა — ეს აზატაა. მიმოიხედა. „პარაშასთან“ განგებ უდარდელად და ზმორებით მივიდა. თითქოს ეს არის უნდა მოისაქმოსო, მაგრამ ეს მოგონილია. კვლავ მიმოიხედა. დარწმუნდა — ყველას სძინავს. უეცრად გამოამეორავნა თავისი სურვილი — კარებში გაუჩინარდა. კვლავ გაისმა გასაღების ფრთხილი ჩხაკუნი.

კარები ჩაიკეტა.

კამერაში გუბედ დგას არყის ამონასუნთქისა და „პარაშის“ არომატებით დახუთული ჰაერი.

სიჩუმეს არღვევს სხვადასხვა ნოტებზე ხვრინვით გამოცემული ბგერები.

გარედან ისმის დარაჯების გადაძახილი და ზარების უსუსური დანგ, დანგ, დანგ...

კვლავ გაისმა კარებში გასაღების ფრთხილი ჩხაკუნი.

სინათლე ჩაქრა.

თითქოს ღამის უდაბნოში გრიგალი ამოვარდა. ისმის ფეხშეველა, სწრაფად მოსიარულეთა ხმა. შემდეგ ჭიდილი. მძიმე სუნთქვა. წინააღმდეგობა. ბრძოლა და დანებება.

მთელს ციხეში გაისმა პანიკური ყვირილი:

„თავს დაგვესხნენ!“

კამერა ფეხზე დადგა.

ბნელა.

პანიკა!

არავინ არ იცის, რა ხდება.

არ იციან, ვინ ვის ებრძვის.

უაზრო ჭიდილი. განწირვა. დანებება და სიკვდილი.

და კვლავ ბრძოლა და გაბოროტება.

თითქოს ჯოჯოხეთში ცოდვის ქვაბი თუხთუხებს.

დაჭრიან უხილავი ლანდები და თესავენ სიკვდილს.

სატანა ხარხარებს.

უჩინარი ქაჯები როკავენ.

კორიდორში გაისმა მოკლე ბრძანებები და პასუხები.

ციხეში საგანგაშო ზარს ჩამოჰკრეს.

ლანდები ამოძრავდნენ. ვიღაცეები კარებში გაცვივდნენ.

ტალანში ვიღაც ყვირის: „რა ხდება?“

აინთო სინათლე.

კამერაში შემოსასვლელი და ციხის ყველა გასასვლელი შაშხანიანი ჯარისკაცებით არის ბლოკირებული. დაცვა საბრძოლო მდგომარეობაშია.

ციხის უფროსი, გამომძიებელი და ოპერი კამერის შემოსასვლელში დგანან. შემოვიდა მომხდარით თავზარდაცემული, დაბნეული გულაგელი გენერალი.

ცხადია, მის მიერ დაგეგმილი ოპერაცია ჩაიშალა, შედეგი კი ჯერ კიდევ არავინ იცის, შედეგი, რომელზეც დამოკიდებული იყო, როგორც პირადად მისი, ასევე ციხის თანამშრომლების მომავალი ბედი.

საშინელი სურათის შემსწრეებს სიტყვის დაძვრა უჭირთ.

იატაკზე გდია ტკივილებით სახედაბრეცილი, თვალებგაშეშებული „გიურზა“, მისსავე მკერდზე პირქვე დამხობილია „იაზვას“ გვამი. უმოძრაო სხეულის ზურგზე ბეჭქვეშ მოსჩანს მოწითალო ფერის ნიშანი, სიკვდილის ოსტატის მიერ მიყენებული ჭრილობისა.

— ციხიდან არავინ არ გავიდეს! — ბრძანა გენერალმა და პაუზის შემდეგ დაუმატა, არავინ არ შემოუშვათ!

ბრძანების შესასრულებლად ვიღაცა ჩოგნით დარტყმული ბურთივით გავარდა.

— დანითაა მოკლული! — ამბობს ზორო აშორდია და ხელით ანიშნებს „იაზვას“ ზურგზე მიყენებულ ჭრილობაზე.

— დიახ, დანით, — დაბნეული ეთანხმება ციხის ოპერი ძიკა სერგია.

— თუ ხედავ, რომ ზურგში აქვს ჭრილობა? — ამბობს გენერალი.

გამომძიებელი ჭრილობას გულისყურით ათვალიერებს:

— ნათელია, ჭრილობა ზურგში აქვს მიყენებული.

— ეტყობა, ვიღაც ჩასაფრებული ელოდა? — ეპვი გააღრმავა გულაგელმა.

გამომძიებელი გენერალს ჩანაფიქრს მიუხვდა და შინაარსის საშინელებით გაფითრებულმა ძლივს წაილუღლუღა:

— ეს შეუძლებელია!

— შეუძლებელია! — მიაკნავლა ციხის უფროსმა ნოე თორიამ.

— ფაქტი ჯიუტია! — მტკიცედ დაასკვნა გენერალმა და უმატა ქლოშინს.

— არა, კამერაში დანა არ იყო! — ყველას გასაგონად წამოცდა ციხის ოპერს.

— განსაკუთრებული „შმონი“ (ჩხრეკა) ორჯერ ჩავატარეთ! — ადასტურებს გამომძიებელი.

— ცუდია! — უკმაყოფილოდ ასკვნის ჩინოსანი.

— ცუდი? — გაიკვირვა გამომძიებელმა აშორდიამ.

— დიახ, ცუდი, რადგან ეტყობა იმათ ჩვენზე მეტი იციან კაპიტანო! — მკაცრად მოუჭრა გულაგელმა, რომელსაც დაავიწყდა რომ მისი სულის გასაღები სწორედ ამ არასიმპათიურ სახის კაპიტანს უჭირავს ხელში, ამიტომაც სასწრაფოდ სცადა ბოლო სიტყვების შერბილება.

— გაერკვიეთ და მიპასუხეთ, რა მოხდა, ამხანაგო აშორდია.

— წარმოდგენა არ მაქვს, — უპასუხა დაბნეულმა კაპიტანმა.

... შესაზარია მუცელგაფატრული „მეგრელოს“ გვამი, რომელიც გაშეშებული თვალებით მიშტერებოდა კარებს. ჭრილობიდან ჯერ კიდევ სდიოდა სისხლი. გაჭრილი ნაწლავიდან კი მსუქანი მატლივით მოიზლაზნება უპატური. ვიღაცის კიდევ ერთ გვამს თავი ნარქვეშ დარჩენია. გაისმა შიშის შოკიდან გამოსულის კვნესა.

ვიღაც ითხოვს შველას:

— მიშველეთ!

— სად არის ექიმი? — იღრიალა გენერალმა. ყველანი აქ იყვნენ, გარდა ექიმისა. ციხის ოპერს — ძიკა სერგიას შეაჭრჭოლა, რადგან მხოლოდ ახლა მოაგონდა, რომ ოპერაციის წარმატებით დამთავრებაში დარწმუნებულმა ციხის ექიმის თანაშემწე დაითხოვა. თვით ექიმი, ციხის უფროსის მეუღლე კი თბილისში იყო გამოძახებული. აბა, მოკლულ კოსტია ბესსმერტნის ექიმი რაში დაჭირდებოდა?! ექიმის გაგონებაზე ვიღაცეები გაიქცა-გამოიქცნენ.

— დაჭრილები სტაციონარში! — ახლა უკვე კაპიტანმა გასცა ბრძანება.

ჯარისკაცებმა საკაცეებით დაიწყეს დაჭრილების გაყვანა.

— ყოველი დაჭრილი, ყოველი პატიმარი მკაცრად გაჩხრიკეთ! — ბოლმით აღმოხდა გულაგელს.

— ეს კუთხე გაანთავისუფლეთ. ყველანი საპირისპირო მხარეს გადადით! — გასცა ბრძანება ციხის ოპერმა.

— მომხდარით გაოგნებულმა პატიმრებმა დაიწყეს გადაბარგება.

— „ბარახლო“ ადგილზე დატოვეთ! — ყვირის ციხის უფროსი.

პატიმრებმა უსიტყვოდ დატოვეს დაკავებული ადგილები.

— დანა უნდა მოიძებნოს! — მუქარით წაისისინა გულაგის სიკვდილის ოსტატმა.

გენერალი რატომღაც დარწმუნებული იყო, მისი ხსნა დანის პოვნას შეეძლო. ამ წუთას თითქოს კედელი გაიხსნა... შუა საკანში იდგა სახეგამძინარევი კოსტია ბესსმერტნი.

— შენ? — გაოცება ვერ დაფარა ჩინოსანმა.

— ჩემს ჯანმრთელობაზე არ შეწუხდეთ, გენერალო, — თქვა, მიუახლოვდა და თითქოს ყურში ჩასჩურჩულაო, — ჩხრეკა ჩემით დაიწყეთ! — დაასრულა სათქმელი და გვერდით ამოუდგა გენერალს.

— იქით, დადექი! — ზიზღნარევი შიშით წარმოთქვა ქლოშინამ და გვერდზე დადგა.

კოსტია კი. მშვიდად განაგრძობს ტანსაცმლის გახდას.

გენერალმა ასეთ მძიმე მომენტში წონასწორობა დაკარგა. მოეჩვენა, რომ ბესსმერტნი დასცინის.

— იზოლიატორში! — იყვირა, გენერალმა, არაადამიანური ხმით.

— ხელი! — მკაცრად დაიძახა ბესსმერტნიმ, — კიდევ ერთი ნაბიჯი და ციხე „შუმოკს“ დაიწყებს! — მისკენ გადადგმული ნაბიჯი გაუშეშდა ციხის მორიგეს. ყოველი მათგანი გენერლის ბრძანებას ელის.

— რას მომჩერებიხარ, აასრულეთ ბრძანება! — კამერაში მყოფი ციხის მორიგეები და რამდენიმე ჯარისკაცი მისცვივდნენ გაშიშვლებულ კოსტიას.

— „პალუნდრა!“ — იყვირა კოსტიამ. ციხის გასათბობ მილებზე გაისმა პირობითი ნიშნებით კაკუნი. ეს ილია თოფურიას და მიხეილ პავშის ნიშანი იყო. მოძალადეებს კარებამდისაც არ დასცალდათ ბესსმერტნის მიყვანა.

მთელ ციხეში გაისმა ჯამების, კარების, ფანჯრების, ფიცრების ბრახუნი, ატყდა ხმაურის საშინელი გრიგალი.

ამაოდ დარბოდნენ მუქარით მორიგეები და ჯარისკაცები. ნიშანი მიცემული იყო. ციხე სოლიდარობას უცხადებდა კოსტია ბესსმერტნის.

„შუმოკი“ დაიწყო.

— რას უდგეხართ? — სხვისი ხმით იყვირა გენერალმა.

— ფრთხილად, გულაგელო ვირთხა, საღამოს რესპუბლიკის ყველა ციხე დაიწყებს „შუმოკს“. არ დაგავიწყდეს, კოსტია ბესსმერტნისთან გაქვს საქმე! — თქვა ატამანმა.

ყოველ დღე ათასობით ადამიანი კვდება, გული კი მხოლოდ ნათესავ-მეგობრებს შესტკივათ, სხვებისთვის სიკვდილი ჩვეულებრივი ამბავია.

„გიურზას“ — ანატოლ მაქსიმეს ძე რუდაკოვის — სიკვდილზე არვის დაწყდებოდა გული, რადგან უპატრონო ბავშვთა სახლში იყო გაზრდილი. „მეგრელოს“ მამა, რეპრესიების ჟამს ციხეში დაღუპა, დედამ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დევნით გაწამებულმა — სადღაც სვანეთის ყრუ სოფელში მოისწრაფა სიცოცხლე.

ვისღა უნდა სტკენოდა გული?!

ღმერთო, რა ცოდვისათვის ასე გზის არევა და დაქცევა?!

რისთვის?

რატომ?

... და ცრემლისა და გოდების ნაცვლად, ციხეში, ქვის იატაკზე უპატრონოდ გდია „მეგრელოს“ მუცელგაფატრული შიშველი ვვამი, რომ საღამოს უსახელო ციხის სასაფლაოს მიაბარონ.

ო, რა სიხარული იყო ოჯახში მის დაბადების დღეს!

ადამიანებო, შეხედეთ რა ხდება დედამიწაზე და ნუღარ ეძებთ ჯოჯოხეთს სხვაგან!

არც დანარჩენი ორის სიკვდილისათვის იტკივებდა თავს ვინმე, რადგან ერთს ბებია დარჩა ცოცხალი, მეორეს დეიდა, რომლებიც მახლობლის სიკვდილს მხოლოდ რვა თვის შემდეგ გაიგებენ.

ერთადერთი იყო, საბჭოთა კანონი, რომელსაც ჰქონდა მიზეზი გული „სტკენოდა“, ან „სირცხვილი“ მაინც ეგრძნო, მაგრამ თვით კანონის დამცველის, უმაღლესი ჩინოსნის გენერალ-მაიორი როდიონოვის მოქმედებით, კავშირში ყველაზე „ძვირფას განძს“ ადამიანს — გამოსწორების ნაცვლად სიკვდილი ერგო.

სახელმწიფო უდიდესი და ურთულესი ერთეულია, რომელიც თავის საზოგადოების მიერ შექმნილი კანონებით აზროვნებს და ცხოვრობს.

ყოველი საზოგადოება ქმნის კანონებს, თუმცა იგივე საზოგადოება არადამაკმაყოფილებლად ასრულებს მის მიერ შექმნილს. ეტყობა ასეთი დამოკიდებულება კაცობრიობის საერთო უბედურებაა. ადამიანი თავის ბუნებით ეწინააღმდეგება თავის თავს.

ამის დასტურია დამნაშავეთა დიდი რაოდენობა, ამის დასტურია კანონის დამცველთა თვითნებური დამოკიდებულება დამნაშავეთა მიმართ. „აღმზრდელი“ როდიონოვისათვის პატიმარი მონასაკუთრება იყო, და თუ მასთან რაიმე წინააღმდეგობას წააწყდებოდა, შეეძლო ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე ხელეყო მისი სიცოცხლე.

... ასე რომ, ყოველი სახელმწიფოს განსაკუთრებული, მისთვის დამახასიათებელი, დამოკიდებულება გაიჩინა, როგორც საზოგადოების, ასევე ცალკეული პიროვნების მიმართ, რაც მის მიერვე შექმნილ კანონებში გამოიხატება.

კოსტია ბესსმერტნი ადვილად მიხვდა გენერლის მიერ პრიმიტულად დაგებულ მახეს. შინაგანაწესით სასტიკადაა აკრძალული საკანში სპირტიანი სასმელებისა და ნარკოტიკების შეტანა, თუმცა, რა დასამალია, მკერეჯამაგირიან ციხის მოსამსახურეთა მოქრთამვით ამასაც ახერხებენ. აქ კი რამდენიმე ათეული ლიტრი არყისა და ნარკოტიკების შეტანის გაუმართლებელი „ნებართვა“ გულაგელი გენერლის ამ მცდარმა ნაბიჯმა გააფრთხილა ქურდების ატამანი, ასევე საეჭვო იყო „გიურზას“ პიტერელ „ბარადასთან“ მოგება. „ბარადას“ წაგებაში ბესსმერტნიმ გუმანით ქლოშინა გენერლის ვერაგული ხელი შეიცნო, ამიტომაც სასწრაფოდ შეუდგა კონტრღონისძიების გატარებას.

კოსტია კარგა ხანს ეჭვობდა აზატას ინფორმატორობას, ასევე შემთხვევაში ქურდები უბოდიშოდ კლავენ ქურდს, ბესსმერტნიმ კ აზატა საკუთარი მიზნებისათვის გამოიყენა. მოხერხებულად აწვეთებდა რა საჭირო ინფორმაციას, თავის სასარგებლოდ ამოქმედებდა ციხის ოპერსამსახურს.

იმ ღამესაც ასე მოხდა, ატამანი ნასვამი აზატას დასანახად დაწვა თავის საწოლზე, ხოლო შემდეგ ყველას შეუმჩნევლად ადგილი ეიცვალა, მის ადგილას კი სრულიად შემთხვევით მთვრალი „გიურზა“ დაწვა.

ბესსმერტნიმ სიმთვრალე და ადრე დაძინება აზატას შესახედად გაითამაშა. მას არ ეძინა, არ ეძინა არც მის ახალ მეგობრებს — „მაგარ მუშტსა“ და „ჩიკ-ჩიკას“.

საკუთარი ეჭვებით გაფრთხილებული კოსტია თვალყურს შორიდან ადევნებდა, ხედავდა აზატა როგორ გავიდა ღია კარში, ხოლო როდესაც „იაზვას“ შემოსვლა შეამჩნია, მისთვის ყველაფერი ნათელი გახდა:

ეჭვი არ იყო, ციხის ხელმძღვანელობამ ქურდების დასახოცად „ბოზები“ შემოუშვა, კოსტია ბესსმერტნი და მისი მომხრეები მზად იყვნენ თავდასაცავად.

მარცხიანი ოპერაციის შემდეგ გენერალი ხსნას ბესსმერტნის თითების ანაბეჭდიანი დანის პოვნაში ხედავდა, მაგრამ ქურდის მიერ ატეხილმა „შუმოკმა“, გულაგელი ჩინოსანის ყველა იმედი წყალს გაატანა.

დილას „ამერიკის ხმამ“ მსოფლიოს აუწყა: „ფოთში ოთხი პატიმრის მკვლელობისათვის პატიმრებმა გაფიცვა მოაწყვესო“.

საბჭოების გაგებით, ეს უკვე პოლიტიკური სკანდალი იყო — სკანდალი, რომლის მიზეზი გულაგელი გენერალი თავისი „აღმზრდელობითი“ მეთოდის გამო გახდა.

დაფაცურდნენ მოსკოვში, საქმის გამოსაძიებლად ზედამხედველობითი პროკურორი მოაელინეს. ჩამოსულის პატიმრებთან შე-

— ახლავე! — აზატამ გადმოიღო სუფრა და გაშალა. ნიკამ „ზაკაშნიკიდან“ (შავი დღისთვის შემონახული) დაიწყო დელიკატესების სუფრაზე ამოლაგება. კამერაში მსხდომთ შეპარული ხედვა კოსტიადან საჭმელზე გადაიტანეს. რამდენიმე წუთში მართლაც რომ კოსტიასათვის საკადრისი სუფრა გაიშალა.

— ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი! — პირჯვარი გადაისახა „მეგრელომ“, თანაც მოხერხებული მოძრაობით ოქროს ჯვარი გამოაჩინა.

— კარგად ცხოვრობ, — სუფრა მოუწონა ატამანმა.

— არაუშავს, — თავი მოიკატუნა მასპინძელმა, თანაც აზატას ვიმართა, — მიუტანე! — მოჭრა კარგა მოზრდილი შაშხის ნაჭერი ჰურის შუაზე გაჭრილი გორა. აზატამ ნათქვამი სწრაფად აღასრულა.

— გმადლობთ, „მეგრელო“! — გაისმა ასეთი მოსაკითხით გახარებული ყოფილი ბულალტრის ხმა.

— ყოჩაღ, აი ეს ნაღდად ქურდული ჟესტია! — ქმედება მოუწონა ბესსმერტნიმ „მეგრელოს“.

— აბა, როგორ, ერთ ბედქვეშა ვართ!

— სწორე კაცი ბრძანდები, ჰარიფს თავი უნდა შეაყვარო...

— სუფრა მზად არის, — მოახსენა აზატამ.

— მამ, დავსხდეთ. — სუფრას მიუსხდნენ კოსტია და „მეგრელო“.

— დასხედით! — „მეგრელომ“ მიმართა უმცროსებს. აზატა და ნიკა დასხდნენ.

— რა შორიდან დგახართ, დასხედით, მოიპატიჟა კოსტიამ ყოფილი მასწავლებელი და მისი თანამეინახე. კოსტია ასე, უცნობებთან, პურის ჭამას ციხეში ერიდებოდა, მაგრამ ახლა გული უგრძნობდა, რომ აქ მახეს უგებდნენ, ამიტომაც ცდილობდა პატიმრების გულის მოგებას. ყოფილი მასწავლებელი კი ნამდვილად გამოადგებოდა.

— გეპატიჟებიან, დავსხდეთ, ბატონო მიხეილ! — ჩიკ-ჩიკა და მასწავლებელი მიუსხდნენ ნარზე გაშლილ სუფრას.

ალბათ, უკვე დროა, გავიგოთ ყოფილი მასწავლებლის სახელი და გვარი: ილია თოფურია. სენაკში დაბადებული და თბილისში გაზრდილი. ოცდაჩვიდმეტ წელს მამა ციხეში ცემით მოუკლეს მხოლოდ იმიტომ, რომ მეგობარ სახალხო კომისარზე ცილისმწამებლურ ჩვენებას ხელი არ მოაწერა... შემდეგ აერია გზა. ციხე საამაყო ადგილად მიიჩნია და აი, მისმა პირველმა „სიყვარულმა“ ხუთი წლით განაშორა ერთადერთ მეგობარს — დედას.

— დავლიოთ? — ჩუმათ იკითხა „მეგრელომ“.

— რა გაქვს? — თვალები გაუბრწყინდა კოსტიას.

— ნაღდი რუსული!

— კამერა? — პატიმრებზე ანიშნა კოსტიამ.

— კარგი ბიჭები არიან.

— მოიტა! — იყო გახარებული ბესსმერტნის თანხმობა.

საჭვრეტიდან, ბრძანების კვალობაზე თვალყურს ადევნებდა მორიგე. ოპერატიული გეგმით ყოველგვარი ალკოჰოლური თუ ნარკოტიკული საშუალებათა მიღება უნდა ეცლიათ, მთვრალი და ნარკოტიკებით გაბრუებული ქურდების მოსპობა ადვილად მოხერხდებოდა. ნებაზე მიშვებულ პატიმართა ღრეობამ შუაღამემდის გასტანა.

კამერას ეძინა. არაყმა მომავალი ქურდებიც დააძინა. „მეგრელო“ და კოსტია თავიანთ მომავალ პრობლემებზე მსჯელობდნენ.

— ... შენ რომ „ქერას“ მუშტებიდან დამიცავი, იმ დღეს მე ადამიანობა დამიბრუნდა, — მიხეილ მარკოვიჩს თვალები გაუბრწყინა — სირჩა არაყმა, რომელიც ქურდული სუფრიდან ერგო, ძარღვებში სისხლი ძველებურის სილაღით აუმოძრავდა, ისე, როგორც ზამთრის ყინვით გათოშილ ჩიტუნებს გაზაფხულის მცხუნვარე მზე. — ცხრა წელი და შვიდი თვეა, რაც ამ ჯოჯოხეთში ვიმყოფები და ჯერ არასოდეს ასე არ მომსურვებია თხრობა ჩემს საშინელ წარსულზე.

ყოფილი მასწავლებელი მხოლოდ ახლა მიხვდა, თუ რამ შეცვალა საბრალო მოხუცი. იპოვნა ადამიანი, რომელმაც ის სულიერი მარტოობისაგან იხსნა.

კომუნისტური აბადაღებული იდეოლოგია ბეჯითად ცდილობს დაამტკიცოს, რომ ციხე თუ კოლონია დამნაშავეთა გამოსასწორებელი დაწესებულებაა. — არა და არა! ღვთის წინაშე ვაცხადებ, აქ ადამიანებს მონად აქცევენ, გამოსასწორებლად კი საჭიროა „დამნაშავეს“ ასწავლო ცივილიზებული საზოგადოების მიერ აღიარებული წესებით ცხოვრება.

როგორ შეიძლება პატიმარი გამოასწოროს შიმშილმა, თუ სიცივემ, რომელსაც ასე გულმოდგინედ და ხელოვნურად უქმნიან „აღმზრდელები“? აქ დადგენილი კანონით, დღის განმავლობაში ულუფის რაციონი ნორმალური ადამიანისათვის დილის საუზმედაც არ იკმარებდა. — ან რომ იცოდეთ, რა და რა ხერხებს არ მიმართავენ, სამათხოვრო ჯამაგირზე მყოფი ციხის მოსამსახურენი მხოლოდ იმისათვის, რომ პატიმარს პურის ნატეხში გამოსცანცლონ უკანასკნელი გროში.

(ღმერთო ჩემო, რა საშინელი ჯოჯოხეთია საბჭოეთი?!)

ნარებზე მწოლ ილიას ფიქრებმა გული დაუმძიმეს. გამოერკვა. გაღიმებული პავში მოელის მის პასუხს. ახალგაზრდას შერცხვა. ფიქრებმა გაიტაცეს და ვეღარ გაიგო რას ეკითხებოდა მოხუცი.

— რაო, ფიქრებმა გაგიტაცეს?

— ბატონო მიხეილ, თქვენ, მე და ეს ხალხიც საშინელ ჯოჯოხეთში ვართ!

— გეთანხმებით და მაინც მჯერა, ამ ჯოჯოხეთშიც შეიძლება სიცოცხლე, თუ გიყვარს. ახალგაზრდას მოაგონდა დარჩენილი მოხუცი დედა. ის უპასუხოდ დაეთანხმა სიცოცხლისაკენ შემობრუნებულს.

დრო!

დრო მიედინება.

დრომ არ იცის შესვენება...

... ეშველა, გაეხსნა სასუნთქავი. გუდასავით გაიბერა და ბრაზიანი სიძულვილით აღსავსე თვალებით დააკვდა ბესსმერტნის მკრთალ სახეს.

— რაო, „კრასნაია რიბა!“ — ქურდმა გესლით მიმართა მოძულეს, — არ მოგეწონა ჩემი შეკითხვა?... ეს სასაკლაო ხომ შენ მოაწყე?

გენერალი შიშმა და ბრაზმა ერთდროულად გააქვავა. ქურდმა კი განაგრძო:

— „ძვირფასო“, შენ და შენი ამალა, ჩემთვის დაგებულ მახეში გაებით?, — პროკურორმა იცოდა საქმის ნამდვილი ვითარება, მაგრამ „ჯილდო“, რომელსაც გულაგელი შეპპირდა არ აძლევდა სიმართლის მოძიების საშუალებას.

— მე ჯერ დანას ვეძებ! — მკაცრად მიუგო, ქერათმიანმა, ეღალთვალება და ცხვირდაჭყლეტილმა პროკურორმა.

— მოქალაქე პროკურორო, დამიჯერეთ, თუ ძიებას სწორედ წარმართავთ დანა გამოჩნდება.

— დანა, სად?

— აქ, კამერაში!

— კამერაში?

— გაძლევთ პატიოსანი ქურდის სიტყვას!

— გიმეორეთ ჩხრეკა! — იღრიალა ცხვირჩაჭყლეტილმა და თვალებიდან სიძულვილის მწვანე სინათლე გადმოანთხია.

ყოველი ადამიანი ზოგჯერ რომელიმე ცხოველს ემსგავსება. ო, ამ წუთას ციხის მსახურნი როგორ ჰგავდნენ, გაცოფებულ ბალანაბურძგვნილ ძაღლების ხროვას. დაუჯერებელია, მაგრამ საკანში გაისმა ღრენა, მათ მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა ხროვის არეულ ყეფას ჰგავს. აწეული ტუჩებიდან კბილები ეშვებივით უელავენ. შეშიხებული პატიმრები კუდამოძუებულნი მიეკვრნენ კედელს, რომელსაც „ცოდვილთათვის“ გასაქცევი გზა მოეკრა.

ღმერთო ჩემო, თურმე როგორ შეიძლება მდგომარეობამ ადამიანი ცხოველს დაამსგავსოს!

... კოსტია ბესსმერტნის ღიმილნარევი ირონია განასხვავებდა ყველა იქ მყოფთაგან.

— ათასჯერ რომ გაჩხრიკოთ დანას ვერ იპოვით, — მტკიცედ განუმარტა ქურდმა.

სამართალდამცავებმა კიდევ რამდენიმეჯერ ჩაატარეს ჩხრეკა, მაგრამ ვერ იპოვეს.

— სად არის დანა? — მკაცრად იკითხა პროკურორმა.

— დამალვა ჩვენი საქმეა, ძებნა თქვენი, — გამომწვევად მიუგო ატამანმა.

— გამოაჩინე დანა, თუ გინდა სასჯელი შეგიმსუბუქდეს!

— დიდი შეღავათია, ათი წლის ნაცვლად ცხრას მომცემთ?... გაიგეთ, ამას ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა. მე მაინტერესებს — რა მოელის მოქალაქე გენერალს!

— გენერალი რა შუაშია? — ისე იკითხა ეღალთვალებამ თიქოს ქურდის კითხვას ვერ მიუხვდაო.

— „იაზვა“ ჩემს ძოსაკლავად მან შემოაგზავნა!

— რა? — გაოგნდა პროკურორი.

— რისთვისაც საბჭოთა კანონით ამ „ღვთაებრივ“ პერსონას, არც ისე მცირე სასჯელი ეკუთვნის!

— „შენ“..:: — რაღაც უნდა ეთქვა პროკურორს, მაგრამ ქურდმა სიტყვა არ დაასრულებინა.

— სანამ მიუსჯიდნენ, პარტიიდან გარიცხავენ და მხოლოდ ამის შემდეგ აქ, ამომისვამენ.

— ძიება გვიჩვენებს, — არაფრად ჩააგდო პროკურორმა ქურდის სიტყვა.

— მჯერა ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს!

— რადგან ძაღლი მიწოდე, ვეცდები სიტყვა გაგიმართლო, — დაემუქრა პროკურორი.

— არ დაგავიწყდეს, ძიების დასამთავრებლად კიდევ ორ დღეს გაძლევ!

— მემუქრები? — შეჰღრინა ჩინოსანმა.

— და მაშინ, „რიჟაია პიოსინა“, კოსტია ბესსმერტნის დაძახებაზე, რესპუბლიკის ყველა ციხე ატეხს „შუმოკს“!

ქურდული წესით, ქურდს არ შეიძლება ჰქონდეს სახლი. არ შეიძლება ჰქონდეს ოჯახი, არ შეიძლება ჰყავდეს ცოლი. მისი კანონიერი სახლი ციხეა, ხოლო გარეთ სახლიც იქაა, სადაც დაუღამდება. ციხეში თუ კოლონიაში ყოველი ქურდი ირჩევს „ჰარიფებს“ (არაქურდებს), რომლებმაც მიღებული „პერედაჩი“. პირველად მას უნდა ძიუტანონ, ის აირჩევს „თავის წილს“ და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია „ჰარიფს“ მისი კუთვნილება სურვილისამებრ მოიხმაროს.

რაც შეეხება ბესსმერტნის, მას სხვა შეხედულება ჰქონდა, მართალია, არც ის უარყოფდა, რომ ქურდების სახლი ციხეა, მაგრამ რიგითი პატიმრების თუ ჰარიფების და კანონიერი ქურდების დამოკიდებულება თავისებურად დააკანონა: ქურდმა „ჰარიფის“ სიმპათია სამართლიანი საქციელით უნდა დაიმსახუროს, რის შემდეგაც „ჰარიფი“ არ დააყოვნებს „მოსაკითხის“ გაგზავნას.

ამბობენ, ომის პერიოდში შიმშილობის ჟამს გამანაწილებელ ციხეში, კოსტას საბარგო მანქანებით უგზავნიდნენ ქურდები „პერედაჩს“, რომელსაც იგი, თავის მხრივ მთელ ციხის პატიმრებს უნაწილებდა.

მიაჩნდა: რაკი ქურდებმა საშემოსავლო პროფესიად ქურდობა აირჩიეს, ამიტომ არც ციხეში აქვთ მუშაობის უფლება. (თუ ციხე-

ში იმუშავებს, გარეთ რაღად უნდა ქურდობა, რომ დაიჭირონ?) აქ ქურდები „ჰარიფებმა“ უნდა არჩინონ და თუ კი ქურდი არასამართლიანად მოექცევა, რომელი „ჰარიფი“ ისურვებს ქურდებთან სამოყვარეო დამოკიდებულებას? ამით კი ჩვენი მოწინააღმდეგე მასტები ისარგებლებენო.

ბესსმერტნის მიაჩნია, ქურდმა მის გარეშე მყოფი სამყარო, თავისი პროფესიის მაღალი ხელოვნებით უნდა მოხიბლოს.

კვირა დილა გათენდა. სექტემბრის დილის მზე უჩვეულოდ აცხუნებდა. დღეს, ციხის ისედაც სევდიანი სამყარო, უფრო მეტად დასევდიანებულიყო, რადგან შაბათს, მოსკოვიდან ჩამოსულმა უფროსობამ, ურჩ პატიმართა დასჯის მიზნით, პერედაჩის მიღება აკრძალა.

მათი რწმენით სასჯელის სიმკაცრით გამწარებული პატიმრები სხვა პატიმრებს აიძულებდნენ დაეთმოთ, რაც ხელს შეუწყობს ძიებას.

ამ უაზრო გადაწყვეტილებით შეშფოთებული აშორდია სასტუმროში დილა ადრიან ეწვია მოსკოველ სტუმრებს:

— წყალში გადამიყარეთ მთელი ნაშრომი! — უკმაყოფილოდ უსაყვედურა ოქროს ეშვებიანმა.

— რატომ? — გაოცდა გენერალი.

— რაღაც ვერ გავიგე თქვენი მსჯელობა! — შეჰღრინა შენიშვნით თავმოყვარეობაშელახულმა პროკურორმა.

— როგორ, — შეედავა ზორო აშორდია, — როგორ არ გესმით, პირიქით, ხელი უნდა შეუწყოთ „პერედაჩის“ მიღებას!

— იქნებ იმიტომ, რომ „ბუნტის“ წყალობით, მსოფლიოში მოგვეჭრა თავი? — არ ცხრებოდა პროკურორი.

— გაიგეთ, „პერედაჩის“ მიღებით, პატიმრებს მიმოწერის საშუალებას ვაძლევთ!

— მიმოწერის? — დაეჭვდა შავფორმიანი.

— მიმოწერამ შეიძლება ძიებას მეტად საინტერესო ცნობები მისცეს!

გენერალი გაშრა. „ეჰე“, — გაიფიქრა მან, — „მგონი ჭკუასთან ახლოს არის“.

გგონიათ, რომ... — სიტყვა არ დაასრულა დაეჭვებულმა მესამე კლასის მრჩეველმა.

— დარწმუნებული ვარ! — მტკიცედ მოუგო გამომძიებელმა.

ასეთ შემთხვევაში, თქვენი პასუხისმგებლობით! — დარწმუნებულმა აშორდიას სისწორეში, შემრიგებლურად დაუთმო პროკურორმა.

— ვეთანხმები, — დარწმუნებით დაუდასტურა გენერალმა.

კვირა დილის მოულოდნელმა ცნობამ, გახარებული მერკულალოვი შემოიფრინა მთელი ციხე.

ლიოხა

„პერედაჩის“ მიღებას დღესასწაულობენ პატიმრები.

საქმიანი ეერით დარბის დაბალი ტანის, წვრილშუბლა, ჭაღარაშერეული მამაკაცი ჩაზნექილი ცხვირით. ტუჩები — კუს მსგავსი. უჩვეულოდ დიდყურა. მიშველ წარბებქვეშ ჭრილებიდან უელავენ ჟღალი თვალები. ჭორფლიან სახეზე ძავი ფერიჭამიები. ტანი — მოკლე. მოკლე ხელები და ფეხები. სიარული არა აქვს გამორჩეული. სირბილი აქვს სასაცილო. ხმა წრიპინა და გაბზარული. საუბარი გაუმართავი.

ეს ეროვნებით გაურკვეველი სუბიექტი, თითქმის ყველა კავკასიურ ენაზე ლაპარაკობს, ასევე რუსულზეც, მაგრამ გამართულად ვერცერთზე, ამიტომ ძნელია გაიგო, რომელია მისი მშობლიური ენა.

მანეთზე გაგეგზავნება, ათ შაურად გაგყიდის. და მაინც კამერაში თუ დერეფანში დილიდან საღამომდის გაისმის:

„ლიოხა, აქეთ!“

„ლიოხა, ოცდამეთერთმეტეში!“

ხარობენ პატიმრები: ყოველი მათგანი მოუთმენლად ელის გაიგოს სახლის ამბავი.

ნელნელა ივსებოდა ლიოხას ბეღელი, მას ხომ ყოველი „პერედაჩიდან“, როგორც წესი ეკუთვნის წილი!

დილას უფროსებმა მკაცრად გააფრთხილეს „ლიოხა“: წერილი ყველასაგან უნდა მიიღოს, მაგრამ ადრესატს მანამ არ გადასცემს სანამ ოპერს არ უჩვენებს.

დილის ათ საათზე დაიწყო ამანათების მიღება.

„პერედაჩს“ უმეტესად ადგილობრივი მაცხოვრებლები ღებულობენ, აქ დაწესებული წესით, თითო ლუკმა ყველა „კუტოკს“ ეგზავნებოდა.

გაიღო რკინის კარებში დატანებული სარკმელი. გაისმა ლიოხას გაბზარული ხმა: „თოფურია!“.

ყოფილი მასწავლებელი იმ მომენტში მივიდა კარებთან, როდესაც წუწკ ზედამხედველს ხელი მეგრულ ხარჩოში ჩაეყო. ეტყობა, ერთი ნაჭერი უკვე ამოეღო, რადგან ყვითელი კბილებით იღეჭებოდა.

ილიამ გამოართვა ქვაბი. შემდეგ ლიოხას დაუძახა:

— მოიწი!

— რა გინდა? — იკითხა. ხარჩოს წვენით ხელ-პირ მოთხუპნულმა; და ძლივს მოახერხა დაუღეჭავი ნაჭრის გადაყლაპვა.

— რაღაც უნდა გთხოვო, — საიდუმლოდ წაუჩურჩულა „მაგარმა მუშტმა“.

— მალე მითხარი, — და იმ იმედით, რომ პატიმარი დიდ საიდუმლოს გაანდობდა, თავი ძლივს შემოჰყო ვიწრო სარკმელში.

თოფურიამ არც აცია არც აცხელა, ღონიერი მკლავებით შედარებით ვიწრო ქვაბი თავზე მოარგო.

მთელ ციხეში ისმოდა ქვაბით დაგუბებული ლიოხას ჩხავილი. „მაგარ მუშტს“ ღონიერი მკლავებით ეჭირა წუწკის ქვაბწამოცმული თავი.

„მიშველეთ!“ — ივედრება მახეში გაბმული ზედამხედველი. პატიმრები ისტერიულად ხარხარებენ.

გაისმა შეძახილები:

„არ გაუშვა!“

„დააღრჩვე!“

ყვირილზე მეორე მორიგე ზედამხედველმა კაკოიამ მოირბინა. რა ნახა ამხანაგის გასაჭირი, სცადა ლიოხას თავის უკან გამოგლეჯა.

ტკივილებით გამწარებულმა უფრო ხმამაღლა იყვირა: „მომკლეს“!

„აღმზრდელის“ სასაცილო-სატირალმა მოქმედებამ შეჰყარა ციხის უფროსობა...

როგორც იყო, ლიოხას თავი ქვაბიდან გამოანთავისუფლეს. კაკოიამ პირის დასაბანად წყალი მოურბენინა.

ოპერის — ძიკა სერგიას შეკითხვაზე — „ეს რა ჩაიდინეო“, — თოფურიამ აღშფოთებულმა აუწყა: „წვნიან ხარჩოში ბინძური ხელი ჩამიყოო.“

საერთოდ ცნობილია, რომ სირცხვილისაგან თავის დასაცავად ტანსაცმლით იფარავენ სასირცხვო ადგილს. ბევრიც მოძალებულ სურვილზე უარს ეუბნება საკუთარ თავს. ბევრსაც სძულს სიწუწკე, „ფარულად“ მოიმოქმედებს... მიუსწრებენ და გაწითლდება. ბევრი ასეთ წუთებს სიკვდილს არჩევს. სინანულით განიკვდის, ეს რა დამემართაო. მაგრამ სირცხვილი არ გააჩნდა დამნაშავეთა ამ „აღმზდელს“. სულიერად ღატაკი კომუნისტი ლიოხა ერთი გაგებით არსებობდა: მხოლოდ არ დაესაჯათ!

ამიტომაც პასუხი არ დააყოვნა:

„წვენში წერილი მომეჩვენა“ო. ის, რომ რამდენიმე ნაჭერი დაუღეჭავად გადაყლაპა ამაზე პასუხი არ საჭიროებდა.

კამერიდან ისმოდა მრავალსართულიანი უწმაწური გინება. ზედამხედველის საჭიელით აღშფოთებული პატიმრები ბილწსიტყვაობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. რა ეპითეტებით არ ამკობდნენ სახელმწიფო „აღმზრდელს“.

დგას მიხეილ პავში ლიოხა „აღმზრდელის“ მოქმედებით გაწითლებული და უკვირს: „ეს რა ხალხში მომიწია ცხოვრებამო?“.

პატიმარ ილია თოფურიას კი ბრაზი აღრჩობს: „ამ ზნედაცემული „აღმზრდელის“ აღსაზრდელი მე როგორ უნდა ვიყოვო“.

„კამერა გასეირნებაზე!“ — ბრძანა იუსტიციის მესამე კლასის მრჩეველმა.

კამერიდან პატიმრების გამოყვანა თითო-თითოდ დაიწყეს. ოპერაციის ჩანაფიქრით, ყოველ პატიმარს იქვე დერეფანში ჩხრეკდნენ, რის შემდეგ ყველანი ეზოში სასეირნოდ ჩაჰყავდათ.

დაიწყო ცარიელი კამერის ჩხრეკა. უკვე მერამდენედ ფატრავ-

დნენ: ბალიშებს, ლეიბებს, საეჭვო ადგილებზე გლეჯდნენ ნარგებს, ბათქაშს აცლიდნენ კედლებს.

ფანჯრის ქვემოთ, კედელთან, ზედამხედველმა პუგომ საბანი გადაწია... ლოგინში ყელგამოჭრილი აზატა წევს. საშინელება, რომელიც უბედურს სიკვდილის წინ ეწვია, თვალების გაფართოებულ გუგებსა და სახის ნაკვთებზე აღბეჭდოდა.

გაისმა შეშინებული პუგოს ხმა:

— კაცი მოკლეს!

— ვინ? — გაცოფდა პროკურორი.

— რას როშავ! — იღრიალა გენერალმა.

მკვლელობის ადგილას პირველ პროკურორი მიიჭრა, მეორე — წითური გენერალი. მათ მიყვნენ გამომძიებელი ზორო აშორდია და ოპერი ძიკა სერგია. დაბალი ჩინოსნები სელაპებივით წელავდნენ კისერს, რათა ეხილათ საზარელი მკვლელობა. ბოლოს ტელეფონით დაკავებულმა ციხის უფროსმაც მოაღწია.

ხშირად მცდარი ნაბიჯის დასაფარავად თვით კანონის დამცველები ჩადიან შეგნებულ დანაშაულს. დანაშაულის ჩადენა, ალბათ, ყოველ ადამიანს უჭირს, ამიტომაც, თუ „შეცდომამ“ მშვიდობით ჩაიარა, დღესასწაულობს მშვიდობით გადარჩენას. გადის დრო, აანალიზებს თავის ნამოქმედარს და თუ დარწმუნდა, დანაშაულმა ოდი შემოსავალი მისცა, და ეს დანაშაული ქრთამით თვით უფროსების მიერ იქნა მიჩქმალული, ადამიანი ირყვნება! — დანაშაული იქცევა სისტემად, როგორც შემოსავლის წყარო!

პროკურორს ყელგამოჭრილი აზატას ნახვამ თავზარი დასცა, რადგან თვით აზატას და გამომძიებლის ზორო აშორდიას გაფრთხილების მიუხედავად, პატიმარი კამერაში პირადი პასუხისმგებლობით შეაგდებინა. მესამე რანგის მრჩეველი დარწმუნებული იყო, იხილავენ რა სასტიკად ნაცემ და ნაგვემ აზატას, მის ინფორმატორობაზე ეჭვს არავინ მიიტანდა. ახლა კი მკვლელობის მიზეზი პირადად პროკურორი იყო. დიახ. უნდა სცოდნოდა, ან რჩევისათვის მაინც ეგდო ყური. მომხდარი მკვლელობის შემდეგ, ინფორმატორის კამერაში დაბრუნება არ შეიძლებოდა.

მოსკოვიდან მოვლინილი იუსტიციის მესამე კლასის მრჩეველისათვის შექმნილი მძიმე ვითარების გამოყენება ქლოშინა გენერალმა საკუთარი მდგომარეობის გამოსასწორებლად სცადა.

— იაკოვ ლვოვიჩ. — გამარჯვებულის ირონიით მიმართა გენერალმა, ამ მდგომარეობით დათრგუნულ პროკურორს. — თქვენც ისეთივე მკვლელი ხართ, როგორც მე. — რაკი პროკურორი დუმდა, აანგრძო. — შევეშვათ ამბიციებს. მეგობრულად ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელი. სხვა შემთხვევაში ქაობი, რომელშიც შევტოპეთ, ორთავეს შეგვიწოვს!

— რა წინადადება გაქვთ? — მორჩილად იკითხა მესამე კლასის იუსტიციის მრჩეველმა.

— მკვლელობა უნდა დავფაროთ.

— რას უშვრები ადგილობრივ ხელმძღვანელობას?

— მე მომანდვთ.

— პატიმრები?

— თუ ბესსმერტნის დავიყოლიებთ, დამიჯერეთ, საქმე დამთავრებულია.

—... გონს დღესაც ვერ მოვსულვარ, — მწარედ გაეღიმა პროკურორს, — როგორ ვერ გავითვალისწინე.

— ნუ ქენჯნით სინდისს, ბოლოს და ბოლოს თქვენ ხომ არ მოგიკლავთ? ქურდებმა მოკლეს ქურდი ინფორმატორი. გაიგეთ, ექიმი ჭიან კბილს სპობს! საზოგადოებას კიდევ ერთი ნაძირალა გამოაკლდა. ეს ხომ თქვენი და ჩემი დამსახურებაა?

— მოსკოვში რა პასუხი ჩავიტანოთ?

— თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, ჩვენს უფროსებს გემრიელი ლუკმა ყოველთვის საჭირო აზრს გამოათქმევინებს... შემდეგ კი, რამდენიც უნდათ იმდენი წერონ. იქ ყველა სამართლის უმაღლესი ინსტანციაა.

ამ დიალოგის შემდეგ არც მესამე კლასის იუსტიციის მრჩეველს, არც გულაგელ გენერალს, აზრადაც არ მოსვლიათ, თუნდაც ერთი წამით, საკუთარი თავი კანონის სარკეში ჩაეხედვინებინათ.

ერთსაც და მეორესაც თავი საზოგადოებისათვის თავდადებულ მებძოლად მიაჩნდა. დარწმუნებული იყვნენ — ქრთამი ის „მსხვერპლია", რომელსაც ეს ორი „პატიოსანი" მოქალაქე სწირავდა ნათელი კომუნისტური საზოგადოების სიკეთეს!

— როგორ ფიქრობთ, სად მალავენ დანას? — იკითხა გახალისებულმა პროკურორმა.

— წარმოდგენა არ მაქვს, — გულწრფელად მიუგო გენერალმა.

— მე მგონი...

— სად? — აენთო სულწასული ჩინოსანი.

— რომელიღაც თანამშრომელი უწყობს ხელს.

— მაშ თქვენ ფიქრობთ...

— სხვა ვარიანტი არ არსებობს!

— მართლაც, არა, როგორ ვერ მოვისაზრე?

— თურმე ამოცანის ამოხსნა სულ უბრალოდ შეიძლება.

— ახლავე ჩხრეკა! — იღრიალა ნათელი აზრით ფრთაშესხმულმა გენერალმა.

დილიდან, აზატას მკვლელობის შემდეგ, დანის ძებნით გადაღლილი გენერლისა და იუსტიციის მესამე კლასის მრჩეველის წინაშე, როგორც ფოლადის არმატურით გამაგრებული კედელი, ისე აღიმართა გამოცანა: პატიმრები სად მალავენ დანას?

ვერც ერთსა და ვერც მეორეს, ვერც მათ გვერდით მყოფ ციხის ხელმძღვანელობას ვერ აეხსნა მიუხედავად იმისა, რომ ყოველი პატიმარი და კამერის ყოველი კუნჭული განხრეკილ იქნა კრიმინალური მეცნიერების თანამედროვე მეთოდებისა და ხერხების დაცვით, რატომ ვერ აღმოაჩინეს დანა?!

ყოველ მათგანს ცეცხლის ალივით სწვავს კითხვა: სად მა-

ლავენ დანას, რომლითაც მოკლულ იქნა კამერაში ძიების მიერ შეგზავნილი პატიმარი — „ნასედკა":

... საუბრობდნენ, ბრძანებებს იძლეოდნენ, თათბირობდნენ. სვამდნენ, ჭამდნენ, თითქოს ჩვეულებრივ მიედინებოდა სიცოცხლე, მაგრამ წუთითაც არ ტოვებდათ ფიქრი: „სად არის დანა?"

საღამოს გამომძიებელმა ზორო აშორდიამ მოსკოვიდან წარმოგზავნილნი, დანის ძებნით გადაღლილი გონების გასანიავებლად, ფოთის ნავსაყუდის რესტორანში დაპატიჟა.

დაღლილი მზე, ჰორიზონტზე ვეებერთელა ნაკვერჩხლად ქცეული ზღვის მოლივლივე ტალღებზე აფრქვევს ცეცხლისფერ სხივებს. შემდეგ, თანდათანობით წითელი ფერი სილურჯეში გარდაიცვალა.

კიდევ წუთები...

წამები...

და ზღვის იქითა სამყაროში მზე დაიღუპა.

მოვლენილმა უკუნმა დაიწყო სუნთქვა.

აიშალნენ მოარული ლანდები.

სევდამ აიდგა ფეხი.

ასე, სინათლის სიკვდილით დაიწყო სიბნელის სიცოცხლე!

ბატონად მობრძანებულ ღამეს არ ნებდება ადამიანებით ფეხმოკიდებული ნაპირი. გონების ნააზრით ჟფეთქებული ლამპიონები უხვად ღვრიან სინათლეს.

მოარული ფუსფუსი.

სიცილი და საუბარი.

უდარდელნი და დარღიანნი, ყველანი ერთად, ერთი მიწის ზურგზე, სხვადასხვა გრძნობებით და შეხედულებებით, თუ დამოკიდებულებით.

გემის მისადგომზე ზღვის ტალღების ტყაპუნს ერთვის რესტორნიდან მოღწეული მუსიკის ნაზი ჰანგები და თეფშებისა და ჭიქა-დანა-ჩანგლის წკრიალი.

კვლავ საუბარი, ზოგჯერ დაცდენილი სიცილი.

ასეა აქ ყოველთვის საღამოს დასაწყისის ჟამს.

შემდეგ?

შემდეგ, როდესაც რუმე საბოლოოდ გამეფდება, აიწყვეტს ნუნუას ეშხით გათამამებულთა ხმამაღალი და მოურიდებელი ლაპარაკი, შეძახილები, თუ ყვირილი, ვით ადიდებული მდინარე იფეთქებს მუსიკა. შეშლილი საცეკვაოები და სევდის მომგვრელი ვალსები.

შემდეგ?

შიშველი სიყვარულის ბგერების კომპოზიცია და რომანსების წუხილი.

ო, როგორ აღიქმევა ყოველივე ეს სპირტით გათანგულ გონებაში.

საოცარ განწყობილებას გადაჰყავხარ ეიფორიით მოვლენილ სამყაროში

მასპინძელი აშოდია შემოუძღვა რესტორანში სტუმრებს.

სხვადასხვა მაგიდიდან გაისმა ზოროსადმი მისალმების შეძახილები. ყველა თავისკენ ეპატიჟება „საშერო“ გამომძიებელს. ზორო თავშეკავებული და კმაყოფილი თავმოწონებით, თავს უკრავს და ხელის დირიჟორული ჟესტით ანიშნებს, სტუმრებს ვახლავარო.

დრო მიედინება.

წუთები დროს ითვლიან!

კითხვას ვიღაც საიდუმლოდ განმარტავს: „ციხეში მომხდარი მკვლელობის გამოსაძიებლად მოსკოვიდან ჩამოსულ გენერლებს მოპყვებაო“.

პატივცემული გაოცება.

და კიდევ: ინტერესითა და გაუთვითცნობიერებელი შიშით გაფართოვებული თვალების მზერა.

რესტორნის მთავარმა ადმინისტრატორმა სტუმრები ლაჟვერდული ღიმილით მიიყვანა მათთვის განკუთვნილ ქათქათა მაგიდასთან.

ზორომ მენიუ მოითხოვა, ნახევრად მელოტმა შავგვრემანმა ადმინისტრატორმა, რომელიც სამბოს მოჭიდავეს უფრო ჰგავდა: კვეხნით განუმარტა:

— ყველაფერს მოგართმევთ, მხოლოდ ისურვეთ!

გენერალს სახე გაებადრა: არაყი, ხიზილალა, კარაქი და შაი პური ექნებათო.

პროკურორი თავშეკავებულად გაოცდა: „არა, მოსკოვში ასე თქმას ვერ გაბედავენო“, — გაიფიქრა მან და ინტერესით დაუწყო თვალის დევნება, თუ როგორ ამკობდა სუფრას მოხდენილი ტანის ლამაზი სახის, მაგრამ რესტორნის აღვირახსნილი ცხოვრებით გაუხეშებული, რუსი ოფიციანტი ქალი. ზორო ხან რას უძახდა „სასიყვარულოდ“ და ხან რას, თეთრი წინსაფრიანი ქერა კი, სტუმრებს უხვად უფრქვევს მრუმ ღიმილს, რომელიც ძარღვებში საამო სითბოდ ეღვრება ჩინოსნებს.

დადგა დელიკატესებით დახუნძლული სუფრა.

— რას დალევთ? — იკითხა მასპინძელმა.

— არაყს! — ახალა ქლოშინამ.

ქართულ ღვინოს, — თავშეკავებით თქვა პროკურორმა.

ზორო აშორდიამ, იუსტიციის მესამე კლასის მრჩეველის ჭიქა „მუკუზანით“ აავსო. გენერალი არ დაელოდა მასპინძელს, თვით აივსო არყით ჩაის ჭიქა.

აშორდიამ, როგორც მასპინძლის წესი მოითხოვდა, დააპირა პირველი სადღეგრძელოს თქმა. მაგრამ ჩინოსანმა სიტყვა არ დააცალა:

— „პოეხალი“! — თქვა და ორმოცგრადუსიანი სითხით სავსე ჩაის ჭიქა გააქრო ყვითელ დალაქულ წითურ ხახაში.

უხერხულობამ დაწვა იუსტიციის მრჩეველი.

აშორდია შეცბა. გენერალმა — „ეშჩო ნადაო“ — და თვალის დახამხამების სისწრაფით მეორეც გადაუშვა...

...გადაცდა კარაქიანი ხიზილალით წაცხმული შაი პურის ლუკმა. სუნთქვა შეეკრა. ჯერ გაიბერა, შემდეგ გაიჭინთა, თვალები გადმოკაკლა. წითური გალურჯდა...

კვდება!?

ზორო გონებას მოეგო, ზურგზე მაგარი მუშტი უთავაზა...

კიდევ!

კიდევ!

კიდევ!

გენერალს გაეხსნა სუნთქვა. მოეშვა, სილურჯემ გადაუარა და სახეზე ოფლის წვეთებმა გამოჟონა..

გენერალმა, ცხვირსახოცისათვის, ჯიბეში ჩაიყო ხელი...

ვიღაცამ მუსიკოსებს საცეკვაო „ხევსურული“ დაუკვეთა. ორკესტრმა აიწყვიტა, ძარღვებში იფეთქა სისხლმა. მთვრალმა „მოცეკვავემ“, მოცეკვავისნაირად მხოლოდ შეკიბლება და ხელების გაშლა მოახერხა. გაისმა ტაში და ღიპიანი აჯაგლაგდა...

... გენერალი გაშრა:

გაქვავდა.

გაქვავდა და ფერი ეცვალა. აშორდიამ სიტყვის თქმა ვერ შეეხებედა.

— რა მოხდა? — იკითხა შეშფოთებულმა პროკურორმა.

მდუმარე გენერლის სახეზე, სიკვდილივით საშინელი შეშფოთება აისახა.

წამები!

წამები დ პაუზა გრძელდება.

— რა მოხდა? იმეორებს შეშფოთებული პროკურორი.

— დანა! — კბილებიდან დასცდა წითურს.

— რა დანა? — დაიბნა იუსტიციის მესამე კლასის მრჩეველი.

— დანა? — ცივმა ოფლმა გადაასხა აშორდიას.

— დანა! — გაიმეორა სასოწარკვეთილმა გენერალმა და ჯიბიდან ამოღებული ფინური სტილის დანა მაგიდაზე დაანარცხა.

— საიდან? — იკითხა მეტად გაოცებულმა პროკურორმა.

— დაქტილოსკოპიაზე! — იღრიალა გაცოფებულმა ჩინოსანმა.

რესტორანში მსხდომთა მზერა გამომძიებელ ზორო აშორდიას მაგიდას დააკვდა. პროკურორმა ხელსახოცით ფრთხილად აიღო ციცი იარაღი.

სამთავენი სწრაფად გავიდნენ.

კითხვა — „რა მოხდა“ — დარჩა გაოცებული რესტორნის დარბაზში.

ულირსი იდეა ულირს თავისუფლებაზე მეტი ღირს

გენერალმა ციხის უფროსის კაბინეტიდან ყველანი დაითხოვა. რადგან ბესსმერტნის უნდა შეხვედროდა. აზრებს ალაგებდა — როგორ და საიდან დაეწყო საუბარი. ოთახში გაიარ-გამოიარა. კარგა ხანს აკვირდებოდა ახალშეკერილ ჩექმებს. „ძალზე გაფარჩხული ფეხები რომ არ მქონდეს“... მაინც მოეწონა საკუთარი ფეხები. ას-

წია თავი — კედლიდან შემოეგება გამჭოლი მზერა — ეს ძერჟინსკის პორტრეტია. მოფრენილი ფიქრი ბელურასავით ჩამოაჯდა მხარზე: „როგორ დაუწყებდა საუბარს თვით ფელიქს ედმუნდის ძე“... ყოყმანი შეეტყო. ეჭვიც შეეპარა: არა, ჩეკას დამაარსებელი არ იკადრებდა ქურდთან საუბარს. ახლა საკუთარ თავში შეეპარა ეჭვი—მაშ მე?... არა, არა, სხვა გამოსავალი არ აქვს, თუ თავის გადარჩენა უნდა, უნდა შეხვდეს. თვალწინ წარმოუდგა ციხეში ხანგრძლივად ნაჯდომი ფერმკრთალი სახე. შეკრთა, რადგან ქურდების ატამანთან შეხვედრაზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული, მათ შორის მისი ბედიც. შეეშინდა — უარი რომ მითხრას?... ისეთი ჯიუტია!... დილას ბრძანება გასცა, სანამ შემოიყვანდნენ, მკაცრად უნდა გაეჩხრიკათ. კი, კი, სიფრთხილე აუცილებელია. განა ამ ნაძირალამ არ გააცურა და მერე როგორ, დანის აღმოსაჩენად კამერას დღეში ხუთჯერ აჩხრეკინებდა, დანას კი თურმე თვით გულაგელი გენერლის ჯიბეში მალავდა!... წაეკიდა სირცხვილის ცეცხლი. დაიჯერა: ეს კაცი სატანაა!... ისეთი თავზეხელაღებული, როგორიც კოსტია ბესსმერტნია, ყველაფერს მოიმოქმედებს. თან ფრთხილობდა, თანაც თავისივე აზრების უკვირდა: „რატომ უნდა მეშინოდეს, მე ხომ თავისუფლებას ვთავაზობ? სხვა რა შეიძლება იყოს პატიმრისათვის თავისუფლებაზე უფრო ძვირფასი?... თუ ჭკუა აქვს, მადლობა უნდა მითხრას. სიტყვა მადლობამ ბესსმერტნისთან ათსაათიანი უნაყოფო საუბარი მოაგონა. გაიხსენა, ქურდი საათის ქანქარასავით როგორ აქანავებდა ფეხზე გადადებულ ფეხს, როგორი ირონიით უღიმოდა. „გარეწარი“ — იმდენი ხალხის წინაშე როგორ შეარცხვინა! განრისხდა — „თავისუფლების კი არა, სიკვდილის ღირსია!“ უეცრად პროკურორთან საუბრის მოგონებით ბრაზი დაუშოშმინდა — აკი იკისრა ბესსმერტნის დაყოლიება?!

არა, რისი იმედით იკისრა ამხელა ტვირთი? განა არ იცოდა ქურდის ტვინგადაბრუნებული აზროვნება? განა სულ რამდენიმე დღის წინ არ იყო, რომ ვერ დაიყოლია? მის გონებაში აზრი აზრს ცვლიდა: „რვა წელიწადი დარჩა მოსახდელი, მე კი თავისუფლებას ვთავაზობ!“. იმედმა დაეჭვებით გათოშილი გული გაუთბო. დაიჯერა: თავისუფლება დაიყოლიებს!.. დაიჯერა და კარგ ხასიათზე დადგა. წითური სახე გაებადრა. ქლოშინი შეუწყდა... „მაგარი თულფი მიჭირავს — თავისუფლება ყოველი პატიმრის სანუკვარი ოცნებაა“!..

შემოსულმა ბადრაგმა მოახსენა:

— ამხანაგო გენერალ-მაიორო, თქვენი ბრძანებით მოვიყვანე პატიმარი ბესსმერტნი.

— შემოიყვანეთ!—მოგონილი სიმშვიდით მიუგო და შინაგანად აფორიაქებულს ვერ გადაეწყვიტა, პატიმარს ფეხზე დამდგარი დახვედროდა, თუ დამჯდარი. ბოლოს მაინც დამჯდარი არჩია. აბა, გენერალი ქურდს ფეხზე ამდგარი ხომ არ შეხვდებოდა? საკარძელში მოხერხებული პოზა მოიძებნა.

შემოიყვანეს პატიმარი. გაჭიმული ბადრაგი გაირინდა. ქურდი თავისუფლად იდგა. არ ესიამოვნა, „რაც არ უნდა იყოს, გენერალი ვარ“, — ფიქრობდა ჩინოსანი, — „საიდან ამდენი თავხედობა?“ — შეხედა ქურდს და ნაძალადევად გაუღიმა. შემდეგ ღიმილითვე მიმართა:

— დაბრძანდი, კოსტია!

— გმადლობთ, — ზრდილობიანად მიუგო პატიმარმა და მისთვის განკუთვნილ სკამზე თავისუფლად დაჯდა.

— ღაგეტოვეთ! — ბრძანებით მიმართა ბადრაგს ჩინოსანმა.

— არის დაგტოვოთ, — გაჭიმული ჯარისკაცი კიდევ უფრო მეტად გაიჭიმა და გავიდა.

— მინდა დაგარწმუნო, — დაიწყო საუბარი გენერალმა, — შენთვის მხოლოდ კარგი მინდა.

— გმადლობთ, მოქალაქე გენერალო.

— დამიჯერე, სანამ გენერლის ჩინს მივაღწევდი, ბევრი საჩელგანთქმული ქურდი შემხვედრია. გულახდილად გეტყვი, შენ არცერთ მათგანს არ გავხარ. შენში რაღაც ინტელიგენტური, ვაჟკაცური და პრინციპულია, რითაც ჩემი სიმპათია დაიმსახურე.

— გმადლობთ, მოქალაქე გენერალო.

— მოქალაქე გენერალო, მოქალაქე გენერალო, კოსტია, სიტყვა მოქალაქე კიდევ რვა წელს უნდა იძახო!

— სწორი ბრძანებით, სანამ სასჯელს არ მოვიხდი, უფლება არ მაქვს ამხანაგო დაგიძახოთ.

ჩინოსანი შეცბა, რადგან ქურდმა სიტყვა ამხანაგო ხაზგასმით წარმოთქვა, ვერ მიხვდა გულწრფელად ეუბნებოდა, თუ დასცინოდა.

— გინდა ერთ კვირაში გაგანთავისუფლო?

კოსტიამ კითხვას კითხვითვე უპასუხა:

— საფასურად რას მთხოვ?

— სულ უბრალო რამეს...

— მაინც?

ქლოშინამ, რა კი დაინახა პატიმრის მკაცრი, დაძაბული სახე, ვერ გაბედა პირდაპირ ეთქვა სათქმელი. გადაწყვიტა, ჯერ „ფილოსოფიურად“ დაემუშავებინა:

— მოგეხსენება, მიცვალებულს ვერ გააცოცხლებ!

— ჭეშმარიტებას ბრძანებთ.

— აი, ცოცხალს კი ყველა მდგომარეობაში ეშველება.

— ალბათ...

— რატომ ალბათ?

— არის მდგომარეობა, როდესაც... — გენერალმა სიტყვა შეაწყვეტინა.

— მოდი, კონკრეტულად შენზე ვილაპარაკოთ!

— გენერალო, თუ ისევ იმ ძველ „პესნებს“ დამიწყებ, გულახდილად გეტყვი, არ ვარ მათი მოსმენის განწყობილებაზე.

— არა, არა, — იჩქარა განმარტება, — ამჟამად არ შევეხები შენს ქურდულ პრინციპებს, რამდენიც გინდა იმდენი ძარცვე!

აქ უკვე ბესსმერტნიმ იუკადრისა გენერლის სიტყვა, რატომაც წამსვე განუმარტა:

— მე ქურდი ვარ და უნდა მოვიპარო, ძარცვავენ და კლავენ ისინი, ვისაც ქურდობა არ შეუძლია!

— გინდა მითხრა, ქურდი ქურდს არ კლავს? — ირონიით დაუსვა კითხვა გენერალმა.

— ვკლავთ ქურდული კანონის დარღვევისათვის. თქვენსავით ქრთამს არ ვიღებთ, — იყო ქურდის პასუხი.

— მართალი ხარ, — შეცბა გენერალი.

— თუ ასეა, ბრძანეთ!

— შენც მეთანხმები, მიცვალებულს ვერ გააცოცხლებ, ცოცხლებს ყველა მდგომარეობაში ეშველება, — მექანიკურად გაიმეორა თავისი ნათქვამი სიტყვები. მხოლოდ ახლა შეამჩნია, უჭირს მთავრის თქმა. გაუკვირდა, რატომ? განა თავისუფლებას არ სთავაზობს?!

— ვისმენთ, — შეახსენა ქურდმა ფიქრებში წასულ გენერალს.

— თავი დავანებოთ, ვინ და რა მიზეზით, თქვენს კამერაში ოთხი კაცი მოკლეს.

ქურდი მიხვდა, გულაგელი რაღაცაში გარიგებას ითხოვდა, ამიტომაც პირდაპირ პირში მიახალა:

— მითხარით, რას ითხოვთ ჩემგან?

— დამოწმებას!

— რისი?

— რომ მკვლელობა მოხდა, თამაშის დროს ატეხილი ჩხუბის ნიადაგზე!

— მე რომ არ მითამაშია?

— არაფერში არ გაგრევ, მხოლოდ დამიმოწმე!

— არ შემიძლია...

— რატომ?

— „ბოზების“ მიერ დახოცილ ძმაკაცებს ვუღალატო?

— სამაგიეროდ თავისუფლებას მიიღებ!

— არა, გენერალო, არ შემიძლია.

— ისინი ხომ მკვდრები არიან?

— სამაგიეროდ მე ვარ ცოცხალი და, როგორც კანონიერ ქურდს, არ მეკადრება მათი სისხლით ნაყიდი თავისუფლება!

— კოსტია, მეგობარო, მოეშვი ილუზიებს, მიწაზე დაღგი ფეხი!

ქურდს ირონიულად გაეღიმა:

— გენერალო, განა მიწაზე ფეხის დადგმა სიცრუესა და თაღლითობას ნიშნავს?

გაშრა ჩინოსანი, ეს რა უთხრა? საიდან ამ ნაძირალაში ასეთი აზრები?.. დაიბნა. რა უპასუხოს? ფიქრობს, მაგრამ თავში სიტყვები არ მოსდის. მთელი ცხოვრება ეხით აღზევებულს, ენა დაება. ძთელი თავისი ცხოვრების მანძილზე პირველად დაფიქრდა: „მე სამართლის დამცველი გენერალი, დამხაშავე — რეციდივისტს ვთხოვ სიყალბეში დამოწმებას?!“ — თავის თავი სადღაც უფსკრულში წარმოუდგა. შეეშინდა. დაძაბა გონება. აზრებს იკრებს... „კოსტია ხომ ქურდია, გარეწარი, სხვისას იპარავს. დიახ ქურდობა მისი სინდისია. ეს ის კაცია, რომელიც ან უნდა გამოსწორდეს, ან ჭოკვდეს!.. არა, ეს ნაძირალა არასოდეს არ გამოსწორდება, მაშასადამე, უნდა მოისპოს, რაც პირადად მას, როგორც კანონის დამცველს ევალება. როგორც კანონის დამცველმა ნაძირალებისაგან გაასუფთაოს კომუნისტური საზოგადოება... მაგრამ, ახლა როგორ ძოიქცეს? როდესაც მკვლელობა თავისი მიზეზით მოხდა? კოსტიამ რომ დამოწმებაზე უარი თქვას, როგორ უშველოს თავს?.. შეიშალა ეს ოხერი: ერთ სიტყვაში თავისუფლებას ვაძლევ, ეს კი ასე გულგრილად მეუბნება უარს“ — საბჭოთა სასამართლოს უმაღლეს ჩინრსანს ვერ წარმოედგინა, როგორ შეიძლება ჭკუათმყოფელმა კაცმა, რომელსაც კიდევ რვა წელი პატიმრობა აქვს დარჩენილი, რაღაც პრინციპებისათვის უარი თქვას თავისუფლებაზე?

მოაგონდა პროკურორისათვის მიცემული პირობა — ბესსმერტნის მე დავიყოლიებო. რატომ, რისთვის შეჰპირდა ამ იდიოტის დაყოლიებას? რა უთხრას?.. დაიწყება ძიება. კოსტია და ყველა პატიმარი დაადასტურებენ, რომ გაფუჭებული ქურდი „იაზვა“ და ქურდის მკვლელი პატიმარ-ბადრაგი „გორილა“, ციხის შინაგანაწესის აკრძალვის მიუხედავად, ღამის სამ საათზე შეუშვეს, არყითა და ნარკოტიკებით გაბრუებულ ქურდულ კამერაში. დაიწყება დაკითხვები: საიდან, ვინ, როგორ შემოიტანა არაყი და ნარკოტიკები, ან ვინ და რა უფლებით შეუშვა შუაღამეს გაფუჭებული ქურდი „იაზვა“ და ქურდის მკვლელი „გორილა“. ფაქტს ვერსად წაუხვალ, ციხის ვერცერთი თანამშრომელი ვერ უარყოფს. თვალწინ წარმოუდგა ზორო აშორდია, ნოე თორია, ძიკა სერგიას სახეები... შეაჟრჟოლა. რა თქმა უნდა, ერთმანეთის ტყავს დაიცავენ. ან რატომ უნდა აიღონ თავიანთ თავზე სხვისი დანაშაული?.. თანაც ამდენი კაცი პირზე რომ დაადგება, შენ გვიბრძანეო, როგორ გინდა უარყო? ვინ დაგიჯერებს?.. ჩაწყდა გული. მორჩა შენი გენერლობა!.. ღმერთო, რა მეშველება?.. შეიპყრო სასოწარკვეთილებამ... ღმერთო, საკუთარი ფიქრი გაუკვირდა, აკი ღმერთი არ არისო?.. უეცრად, თითქოს უკუნ გვირაბში მზის სხივმა შემოანათაო: ეს ვისი სახეა, ასე ვნებით რომ ულიმის? მაცა, მაცა, ეს ხომ მინისტრის მდივანი კლავდია ალექსანდროვნა იუდინაა?.. კარგ საჩუქარს მიართმევს. სამაგიეროდ ის მინისტრთან უშუამდგომლებს. „გორილას“ მოცემული თანხით გაუსწორდება. მინისტრი ყველა ინსტან-

ციაზე მაღალია, მითუმეტეს, რომ მისი ცოლის ძმა ცენტრალურ კომიტეტში ერთ-ერთი განყოფილების გამგეა. მერე, რამდენიც გინდა, იმდენი წერონ!

მოეხსნა ტვირთი. ფერდაკარგული მოვიდა ფერზე. ლამის მოპირდაპირედ მჯდარ ქურდს ჩაეხუტა:

— შენი ნებაა, რაც მოგივა, შენს თავს დააბრალე! — დაიმედებულმა უკმაყოფილოდ უთხრა ქურდს.

— გენერალო, არასოდეს გამიკეთებია ისეთი რამ, რისი დაბრალებაც სხვისთვის დამჭირვებოდეს! — ღირსებით მიუგო ბესსმერტნიმ.

— ინანებ, მაგრამ გვიან იქნება, — დაემუქრა ჩინოსანი.

— მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ყველაფერს იკადრებთ და ძალაც თქვენს მხარეზეა, მაინც არ გამოგივათ!

— დაგაჩოქებ! — ღრიალა გაცოფებულმა გენერალმა.

— ცდები, „ჩემო საყვარელო“, გაიწყდება, მე კოსტია ბესსმერტნი ვარ!

სიბრაზით გენერალს ქლოშინი აუვარდა. ზარის ღილაკს მაგრად დააჭირა ხელი. ბადრაგი შემოვიდა.

— წაიყვანეთ კამერაში! — თავშეკავებით ბრძანა ჩინოსანმა.

კოსტია უსიტყვოდ გაჰყვა ჯარისკაცს.

„ხვალვე მოსკოვში!“ — თავისთვის ჩაილაპარაკა და ოთახიდან გავიდა.

„სმეხი“

იმ საშინელი ღამის შემდეგ, როდესაც ღრეობა მკვლელობით დასრულდა, თითქოს ყველა პატიმარმა ფერი იცვალა. შიშჩამდგარმა თვალებმა არ იცოდა რა მოხდა. არ ასვენებდათ კითხვები: ვინ შემოუშვა „იაზვა“ და „გორილა“?, რატომ მოკლეს „გიურზა“ და „მეგრელო“? ერთი რამ იყო ცხადი: მოხდა, ორი სხვადასხვა ფერის — კანონიერი და უკანონო — ქურდების შეტაკება. ისიც ცხადი იყო, მკვლელობა ციხის ხელმძღვანელობის სცენარით წარიმართა. არ იცოდნენ ერთი რამ, ვის მხარეზე იყვნენ სცენარის ავტორები, თუმცა ბესსმერტნი ყოველგვარი ეჭვის გარეშე ამტკიცებდა: სასაკლაო გენერალმა და მისმა დამქაშებმა მოაწყვეს.

პატიმრებს ყველაზე მეტად აშინებდათ ხვალინდელი დღე. ყოველი მათგანი ელოდა ძიების შედეგს, რომელიც მოსკოვიდან ჩამოსულმა მესამე კლასის იუსტიციის მრჩეველმა გააგრძელა, მაგრამ რატომღაც, აზატას მკვლელობის შემდეგ შეწყვიტა.

ორშაბათი დღე იყო. ციხის ფანჯრის „სადრუნჩეში“ შემოპარული მზის ერთადერთი სხივი ქვის კუბოში მწოლ ცოცხალ მიცვალებულებს ამცნობდა: გარეთ მზიანი დარია.

ფიქრებით ღამენათევ პავშის ეძინა. ჭერს მიშტერებული ყოფილი მღვდელი ხანგამოშვებით თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა. ნახევარი ტანით კედელს მიყრდნობილი ილია თოფურიას ერთმანეთს თითებგადაჭდობილი ორივე ხელი თავქვეშ ამოედო. ახალგაზრდა კაცის არსება ფიქრებს გაეტაცა. მოგონებაში ეხატებოდა ბავშვობის სურათები: დედა ძილისწინ უმღერის ნანას. ბოროტ სულებზე უყვება ზღაპარს, რომელიც აუცილებლად კეთილად მთავრდება... ილია თავისუფლად ამოისუნთქავს. კიდევ ცოტაც და ძილის მშვიდ სამყაროს მიეცემა უცოდველი ბავშვური გონება. მოაგონდა მზიანი დილა: დედა ემუდარება შეჭამეო თოხლოდ მოხარშული კვერცხი... „რა ბედნიერი ვიყავი“ — ტკივილით გაიფიქრა. „არა, რა საოცარია, ბედნიერების ჟამს ადამიანი ბედნიერებას რატომ არ აფასებს?“

ვიღაცის იდუმალი ხმა პასუხობს: „ბედნიერს სად სცალია ბედნიერების დასაფასებლად?“

ჩაწყდა გული?!.

პავშიმ სიზმარში იყვირა: „მიშველეთ!“. ილია ფიქრებიდან გამოერკვა. რამდენიმეჯერ შეანჯღრია. მძინარემ თვალები გაახილა. დაბნეულმა მიმოიხედა. მიხვდა. სიზმარი ნახა. უხერხულად გაეღიმა.

— რა გესიზმრა, მიხეილ მარკოვიჩ? — მზრუნველად მიმართა ახალგაზრდამ.

— თურმე სიზმარშიც შეიძლება იყო ბედნიერი.

— რა ნახეთ ასეთი?

— მე და ნადეჟდა ანდრეევნა სადღაც მწვანე, საოცარი სინათლით განათებულ მინდორზე ვიყავით. ვეკითხებოდი, სად ხარ ამდენი ხანი მეთქი. ის ტიროდა და პასუხს არ მცემდა. შემდეგ მინდორი უამრავი ხალხით გაივსო. ვცდილობდი ნადეჟდა გვერდით გამეყვანა. უცებ საიდანღაც გამოჩნდა ვეებერთელა დათვი. შეშინებული ნადეჟდა შველას მთხოვდა. რა არ ვიღონე, მაგრამ ხელ-ფეხი ვერ გავაძრიე... აღარ ვნანობ სიკვდილისაგან გადარჩენას, თუნდაც იმ ბედნიერებისათვის, რომელიც სიზმრად ნახულმა რამდენიმე წამმა მომანიჭა, — გაეღიმა, — ამბობენ, გემზე მოსალოდნელ ხანძარს, ვირთაგვები ინსტიქტით გრძნობენ და ცეცხლში ამოხრუკვას ზღვაში თავის დახრჩობას არჩევენო — მე, ადამიანს, ჩემი უსუსური და ბეცი გონების ნაცვლად, იმ საზიზღარი ვირთაგვის ინსტიქტი რომ მქონოდა, დღეს ასეთ უბედურებას არ შევესწრებოდი. — პავშიმ ცრემლები ვერ შეიკავა.

— თქვენი მეუღლე ცოცხალია, — გაისმა გვერდით მწოლი ყოფილი მღვდლის საამო ბარიტონი.

— რა? — გაგონილის შეეშინდა პავშის.

— თქვენი მეუღლე ცოცხალია, — ვიოლონჩელოს ტკბილ ხმასავით გაიმეორა ყოფილმა მღვდელმა.

— რას მერჩი, მამაო! — მიაკვნესა პავშიმ.

— თავს ნუ იტანჯავ, ძმაო ჩემო, ღმერთმა სიზმრით გამცნო შენი ბედნიერება!

— შემიბრალე! — ძლივს აღმოხდა ეს ერთსიტყვიანი მუდარა. თვალთაგან გადმოსკდა ცრემლების ღვარი და ბედნიერებით ატე-

ხილ ტკივილებს რომ ვერ გაუძლო, თავი ახალგაზრდა მეგობრის კალთაში მინდობილად ჩარგო. უბედური მდუღარე ცრემლებით ტიროდა. ილიამ და ყოფილმა მღვდელმა დუმილი არჩიეს.

ღმერთო დიდებულო რაოდენ დიდი თანაგრძნობაა ზოგჯერ დუმილი?!

გაისმა გასაღების ჩხაკუნი. კარი გაიღო. საკანში შემოვიდა პატიმარი ივანე სამსონის ძე დუნაევსკი, იგივე „სმეხი“.

მისი პირველი მნახველი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ამ ფერმკრთალ, დიდი ენერგიით სავსე ახალგაზრდას შეუძლია ასე გულწრფელად აცინოს გვერდით მყოფი. ეს მოუსვენარი, ქერა კაცი, ყოველ მდგომარეობაში იგონებდა ახალ-ახალ ოინებს. გამუდმებით, იმის ცდაში იყო, პატიმრისთვის მძიმე წუთები გაექარწყლებინა. ეს ცხრამეტი წლის ჯიბგირი, როგორც ქურდულ სამყაროში, ასევე მისი ატამანის — კოსტია ბესსმერტნის ხდობით სარგებლობდა, უყვარდა ყველას — ქურდსაც და არაქურდსაც. წარმოიდგინეთ, ციხის უფროსობის სიმპათიასაც კი იმსახურებდა. ვინ იცის, საკანში შუაღამე ატეხილ ხარხარს რამდენჯერ განურისხებია მორიგე, რომელიც შემდეგ ყოველთვის გაღიმებული გასულა. ამიტომაც შეარქვეს „სმეხი“ — სიცილი. ამ მარად მხიარულ უმაწვილს არასოდეს დაუთმია უფროსობისათვის. მიაჩნდა, როგორც ქურდმა, ყოველთვის უნდა აკეთოს ის, რასაც თვლის საჭიროდ და არად მიაჩნდა ციხის შინაგანაწესი.

საავადმყოფოში ერთი თვის წოლის შემდეგ, დღეს პირველად დაუბრუნდა თავის ძველ საკანს. შემოსული ქურდებთან მივიდა, კოსტია „სმეხს“ ესაუბრებოდა, ცალი ყურით კი პავშის კამათს უსმენდა.

— მიხაილ მარკოვიჩ, ვიყოთ გულახდილი, დანაშაული თქვენც მიგიძღვით? — ჩაერთო პავშისა და ყოფილი მღვდლის კამათში სტუდენტი.

— მე, რაში? — გაოცდა პავში.

— აკი თქვენვე ბრძანეთ, მილიონებს ვშოულობდიო?

— ჩემო კარგო, თუ იცი, რომ ჩვენს სახელმწიფოში ადამიანთა შრომის ღირებულება ნულთან არის გათანასწორებული?

— ვერ გავიგე, რისი თქმა გინდათ?

— საბჭოთა კავშირის სახელმწიფო გერბს ჩაქუჩი და ნამგალი იმიტომ ახატია, რომ მას მუშურ-გლეხური ქვეყანა ჰქვია, სინამდვილეში კი დავუკვირდეთ რა ხდება: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მუშაკი, თუ რაიკომის ინსტრუქტორი ხუთჯერ და ათჯერ მეტს ღებულობს, იმ მუშასთან შედარებით, ვისი სახელმწიფოც ეს არის. მეტიც, გამგეს იმ საწყობისა, რომელშიც მილიონობით მანეთის საქონელი ინახება, იმდენად მცირე ხელფასი აქვს, რომ სულ მცირე სამსულიან ოჯახს ერთი კვირაც ვერ შეინახავს. ისმის კითხვა, რითი ირჩინოს თავი? პასუხი ერთია: უნდა მოიპაროს!.. ასე, რომ დღევანდელი ცხოვრების კანონით, ოჯახი რომ მი-

ნიმუმით მაინც უზრუნველყო, ან თანამდებობის პირი უნდა გახდე, ან უნდა მოიპარო! თანამდებობას ვერ ეღირსები, თუ პარტიის წევრი არ ხარ, ხოლო პარტიაში რომ მიგიღონ, მლიქვნელი ან მაბეზღარა უნდა იყო. ვიფიქრე, ვიფიქრე და დაბეზღებასა და მლიქვნელობას ქურდობა ვარჩიე!

— ბრაო, მიხეილ მარკოვიჩ! — გაისმა პავშის ფილოსოფიით აღტაცებული კოსტია ბესსმერტნის შეძახილი.

მეორე „კუტოკში“ ხულიგნობისათვის გასამართლებული წოწორია გაცხარებული ეკამათებოდა გამფლანგველ ჯოხაძეს:

— ... თუ მოინდომებენ მეტსაც გიზამენ.

— რა უნდა გიყოს იმ ხალხმა, ვისაც კამერაში დანა ვერ უპოვნია?

— გაიხსენე, რა უქნეს „კრისას?“

— რა უქნეს?

— ერთ ღამეს, ვითომც დაკითხვაზე გაიყვანეს, ერთი მაგრად სცემეს, თან დანა ხელში ძალად ჩაუდეს, რომ მისი თითების ანაბეჭდი დამჩნეოდა... შემდეგ ის დანა ვითომც კამერაში იპოვნეს. ახლა მიდი და ამტკიცე, დანა შენი რომ არ არის!

— მოეშვით წყლის ნაყვას! — მოკამათეებს ურჩია ყოფილმა მასწავლებელმა.

ქურდების ატამანი გრძნობდა, გენერლის ერთი კვირით გაქრობა ახალი შემოტევის მომასწავებელი იყო. სწამდა, რაკი მკვლელობა პირადად გენერლის ბრძანებით მოხდა, ყველა საშუალებით ეცდებოდა დანაშაული პატიმრებისათვის გადაებრალებინა, კერძოდ ქურდებისათვის. „საიდუმლო“ ცნობის თანახმად ძიება დილას განახლდებოდა... ქურდს გამოცდილება კარნახობდა: იმარჯვებს ის, ვინც პირველ დარტყმას მოახერხებს.

ქურდებმა ითათბირეს, რის შედეგადაც მიიღეს გადაწყვეტილება, რომელიც ჯერ საიდუმლო იყო.

წესით ყოველ დილა-საღამოს სართულის მორიგე, პატიმრებს თვლით აბარებს შემცვლელ მორიგეს. ქურდებმა, თათბირის შემდეგ გადაწყვიტეს „დარტყმისთვის“ სწორედ ეს მომენტი გამოიყენონ:

— ძმებო, კოსტიას თქვენთან სიტყვა აქვს! — ჩვეულებრივი ღიმილით მიმართა კამერაში მსხდომთ „სმეხმა“. კამერა გაილურსა.

— ჩემი თხოვნაა, კამერაში ვინც არ უნდა შემოვიდეს, ფეხზე არავინ არ ადგეს. შეგიძლიათ ამისრულოთ ეს თხოვნა?

კამერაში გაისმა ერთსულოვანი: „შეგვიძლია!“

— გმადლობთ.

— ძამასახლისი? — იკითხა ვიღაცამ.

— მე გთხოვეთ, არავინ! — გაუმეორა კოსტიამ და თავის ადგილს მიაშურა.

ერთი „მეორე“ მხარე ბარიკადებს აგებდა მეორის წინააღმდეგ.

დღემ დაძაბულ ვითარებაში ჩაიარა. უფროსებთან კონფლიქტი

ბეერს აშინებდა, ბევრიც ინტერესით ელოდა, რა მოხდებოდა. „სმეხმა“ ყველა კამერა გააფრთხილა, პირობით ნიშანზე დაეწყოთ „შუმოკი“.

ვახშამი ახალი დამთავრებული იყო. გასაღების ჩხაკუნის ხმაზე კამერაში მყოფთ მზერა კარებს დააკვდა. შემოსული ზედამხედველები გაშეშდნენ, ფეხზე არავინ არ ადგა. დაბნეულად აცეცებდნენ თვალებს, ვერ მიმხვდარიყვნენ რა ხდება. ბოლოს როგორც იყო კაკოია გონს მოეგო:

— ადექით!

არცერთი პატიმარი არც კი გაინძრა.

— ახლავე ადექით! — წრიპინა ხმით სცადა ყვირილი ლიოხამ. მაინც არავინ ადგა.

— ადექით, თორემ ინანებთ! — სცადა შეშინება ზედამხედველმა.

— დამიჯერეთ, ამ ამბავმა უფროსების ყურამდის თუ მიაღწია, არ დაგადგებათ კარგი დღე! — დაემუქრა კაკოია.

— მოსკოვმა გენერალს და პროკურორს განსაკუთრებული უფლებამოსილება მიანიჭა — სიტყვები ბომბივით ისროლა ლიოხამ. პატიმრები არც კი განძრეულან.

— ადექით! — ყვირილით ხმა ჩაუწყდა იმერელს.

— ადექით, თორემ! — ქშენითა და თვალების ბრიალით სცადა დაშინება ლიოხამ... თავს დაადგა ლილით ვაჭრობაზე მისჯილ იოსებას. შეშინებულმა თითქოს სცადაო წამოდგომა, მაგრამ პატიმართა დაძაბულ სახეებს რომ წააწყდა, ჯდომა არჩია.

— მაშ, ასე ხომ? — იყვირა იმერელმა.

— არ ადგებით? — ჩაიწრიპინა ლიოხამ.

— კარგი! — დაიმუქრა კაკოიამ და კარების მიჯახუნებით მიყვა დერეფანში ჭინჭის ბურთივით გავარდნილ ლიოხას.

— ლიოხა, კარები არ დაამსხვრიო! — სიცილით მიაძახა ვიღაცამ.

— კაკოია, შენი დედა... — ცხრასართულიანი გინება მიაყოლა ხულიგანმა.

კაკოია, ეტყობა შემობრუნდა, რადგან ძალიან ემწარა გინება, უნდოდა დაეხახა, რომელმა შეაგინა ასე მწარედ, მაგრამ ხარხარითა და სტვენით დაყრუებული სარკმელს გაეცალა.

სიცილი დიდხანს არ განელებულა. ზოგი რას ამბობდა და ზოგიც რას. ზოგსაც შიშით ენა ჩავარდნოდა.

— იოსება, დაგენაცვლე, რა იყო კინაღამ რომ ადექი?

— არც მიფიქრია ადგომა, შარვალი გავისწორე, — კვლავ ატყდა სიცილი.

— იოსება, ხომ არ ჩაგისვრია? — არ ეშვებოდა მეზობელი.

— მაგნაირების რომ იოსებას ეშინოდეს, რაღათ უნდა სიცოცხლე! — კვლავ სიცილი.

ხმაური ჯერაც არ იყო დამცხრალი. გაიღო კარები. შემოსულ-

მა ციხის ოპერმა ძიკა სერგიამ შეიკრა წარბები, მოიღუშა, თვალები ბრიალით შემოავლო კამერას:

— ადექით! — ბრძანა. ბრძანა და გაოცდა: ადგომას არავინ აპირებდა. ოპერს ასეთი ვითარება ჯერ არ შეხვედრია. „ეს მშიშრები მაინც რამ გააგულრანა“, — ფიქრობდა ოპერი „როგორ მოიქცეს?“ — რომ ვერაფერი მოისაზრა. კვლავ უფრო მეტად და მონდომებით ააბრიალა თვალები.

— ოტელო! — მიაძახა ვიღაცამ. ძიკა დაიბნა, მაგრამ ყვირილი მაინც მოახერხა:

— ადექით!

— დეზდემონაც გვყავს შენთვის! — ძიკა დააშოშმინა „სმეხმა“.

— გამოდი, დეზდემონა! — სტუდენტმა ხელის კვრით გამოიყვანა „პერეპიოლკა“. ისიც არ დაიბნა, ქალს საოცრად დამსგავსებული შუა კამერაში დადგა. მომხდარით დამბლადაცემულმა ოპერმა განძრევაც ვერ მოახერხა. გაისმა შექსპირის ოტელოდან „პერეპიოლკას“ ქალური ხმით წარმოთქმული სიტყვები:

— „ბატონო ჩემო, ისე მოიქეცი, როგორც შენი გული გაგონებს, ყოველ შენს სურვილს მზად ვარ, რომ დავემორჩილო“. „პერეპიოლკამ“ მორჩილად დახარა თავი.

— მაშ, ასე? — მიაღრინა გაცოფებულმა ოპერმა და ტყვიასავით გავარდა კარებში. მას მიჰყვა კაკოია-ლიოხას დუეტი.

— ბარო, „პერეპიოლკა“!

— ოტელო გაქრა!

— შარვალი ჩახადე მაგ ოხერს, მართლა ქალი ხომ არ არის! — შარვალზე ეპოტინება ხულიგანი...

კამერა ხარხარებს.

— იქნებ გენერალმა მოგვაკითხოს, — გაინაზა „პერეპიოლკა“.

— ოტელოს ღალატობ! — კვლავ ხარხარი.

— ერთი მაჩვენა შენი და იმ მძორის სიყვარული! — სიცილით იჭაჭება სტუდენტი.

ხარხარებს კამერა. დღესასწაული გაუთენდათ პატიმრებს.

„ნაღდი მსახიობია, ეს ოხერი“... — კვდება სიცილით ხულიგანი.

კარები დგაფუნით გაიღო. კამერაში შემოლაგდნენ: ოპერი, გამომძიებელი, ციხის უფროსი, ლიოხა, კაკოია. შემოსასვლელთან დარჩა რამდენიმე ჯარისკაცი. ხმა არავის არ ამოუღია. ბესსმერტნი ისე იყო წამოწოლილი, თითქოს აქ არაფერი ხდებაო. „სმეხი“ ეშმაკურად ჭუტავს თვალებს, ეტყობა რაღაც ონავრული აქვს ჩაფიქრებული.

კამერა მოლოდინშია რა მოხდება, ზოგსაც კი შიშით გული გაელია.

აღრენილ გენერალს შემოჰყვა განრისხებული იუსტიციის მესამე კლასის მრჩეველი.

— ადექით! — იყვირა გენერალმა. კამერა არ განძრეულა. გე-

ნერალმა ქლოშინით მოავლო თვალი გასუსულ კამერას. შეშინებულ პატიმრებს მიაპყრო სიძულვილით აღსავსე მზერა.

არა, ვერცერთმა ვერ გაუსწორა თვალი გულაგელ ჰიდრას, და მაინც ღიმილი არ მოშორებია ორ სახეს, — კოსტიამ გენერალს თვალი-თვალში გაუყარა...

წამები...

წუთები...

შემდეგ „სმეხის“ თავხედური, ირონიული ღიმილი...

შეტევაზე გადასვლა სცადა იუსტიციის მრჩეველმა:

— იცოდეთ, ციხის შინაგანაწესის დარღვევისათვის ყოველ თქვენთაგანს დაემატება სამი წელი ციხე! — მკაცრად განმარტა პროკურორმა.

პატიმრები არ განძრეულან, უფრო გაილურსნენ. გაცოფდა წითური ცერბერის სული:

— ადექით! — არაადამიანურ ყვირილს, ჩინოსანმა ლამის გულღვიძლი ამოაყოლა. არა, პატიმრები არ აპირებენ ადგომას. კიდევ უფრო მეტად გაცოფდა გენერალი, — ადექით! — ისტერიულად აღმოხდა გულაგელს.

ამასობაში „სმეხმა“ გაიხსნა შარვალი, ამოიღო თავისი „საოხრე“...

კამერაში შემოსულმა „უფროსებმა“, ჯიბგირის ქმედება უცებ ვერ გაითვითცნობიერეს, — „სმეხმა“ კი, იმიტაციით თითქოს გიტარის სიმებს ხელი ჩამოჰკრაო, ტკბილი და მოურიდებელი ხმით დაამღერა: „საბაკა ლაილა, ზა ხ.. კუსაილა“...

გავარდა მეხი!

— დაგხვრიტავ! — იკივლა დაცინვითა და შეურაცხყოფით განგმირულმა ჩინოსანმა.

ერთის მხრივ — სიცილი. ხარხარი!

მეორეს მხრივ — შეურაცხყოფილი სულის კივილი.

გაოგნებული ქვეშევრდომნი, ვერ ბედავენ თვალი გაუსწორონ მბრძანებელს.

დიახ, საშინელი დამარცხებაა, როდესაც შეურაცხყოფილი გულზე სკდება, შეურაცხმყოფელი კი იცინის. „სმეხმა“ სწორედ სიცილით მოსპო გენერალი. ამ ასოცკილოგრამიან კაცს დაავიწყდა ყოველივე ის, რასაც უფრთხილდებოდა, რასაც შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე, რამაც მიანიჭა განუსაზღვრელი უფლებები: პარტიულობა, თანამდებობა, უმაღლესი ჩინი, ცოლ-შვილი. ქამარზე მოისვა ხელი, სადაც ჩვეულებრივად ჰქონდა იარაღი.

არ აქვს! მოაგონდა: კამერაში იარაღიანად შესვლა აკრძალულია. შურისძიების წყურვილმა დარტყმული ბურთივით გააგდო კარებში...

ის იარაღზე გარბოდა!

შეურაცხყოფით დაბრმავებული სხვა არაფერზე ფიქრობდა: ოღონდ მოესპო „სმეხი“ და კოსტია ბესსმერტნი!

კამერა გაირინდა. ნაწილი იცინის, უმეტესობა უფროსობის მომავალმა რისხვამ დაადამბლავა.

პავში ცდილობს გონს მოეგოს, ცდილობს გაათვითცნობიეროს რა მოხდა, თვალი გადაავლო სპექტაკლს, რომელიც იშვა აღსაზრდელთა დამოკიდებულების შედეგად.

პავშის გონებაში აზრები აზრებს ელვის სისწრაფით ცვლიან, ერთმანეთში ირევიან სიტყვები: სახელმწიფო, კანონი, თანამდებობა, ბელადი, პარტია, დანაშაული, პატიმარი, აღსაზრდელი, აღმზრდელი, კომუნიზმი, ლიტერატურა, ადამიანები, ბოროტი, კეთილი, და კვლავ საზოგადოება და მისი კონსტიტუცია, კანონი, დანაშაული და სასჯელი.

არეული სიტყვებიდან აზრი გამოიკვეთა: სპექტაკლის ჟანრი კომიკური ტრაგედიაა, ხოლო შინაარსის პატარა რეზიუმე ასე იკითხება: კომუნისტები, გულაგის გენერალი და მესამე კლასის იუსტიციის მრჩეველი, თავიანთი უფროსებითა და ქვეშევრდომებით — ვერაგი მრისხანე, თვითნება სულები, მონად შობილნი, ბუნებით ხარმაცნი და დაცემულნი, ფიზიკურად ადამიანთა მსგავსთა ხროვა, სიწუწკისა და უსირცხვილობის უხვად ნაყოფმოსხმული ხე.

გულაგის სისტემა: ბოროტების სახელმწიფოს მფეთქავი გული — ცოცხალი მაკეტი დანტესეული ჯოჯოხეთისა.

კომუნიზმი: სოციალურ დამსმენთა, უსაქმურთა და მლიქვნელთა დროება, ანუ დედამიწის ერთ მეექვსედზე გამეფებული ჩეკას იმპერია.

ი ო ს ე ბ ა

იქ, ციხის ჯურღმულში მყოფნი ვერ ხედავენ მზეს. აქ, სადღაც ბუნების მიერ ნაბოძებით გრძნობენ დიდებულ დარსა თუ დამაღონებელ ავდარს.

დღეს პატიმრები გრძნობენ: გარეთ წვიმაა.

საშინელებაა, როდესაც სიცილს ვერ იკავებ, მაგრამ შიშით იძულებული ხარ შენს თავს აუკრძალო, რადგან სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდნილს შეუძლია სამუდამოდ, ანუ დიდი ხნით მაინც გაგაუბედურო — ღვთის მიერ მოზომილი სიცოცხლე, რამდენიმე წლით შეგიკვეცოს. ისტერიული სიცილი კი ისეთია, რაც გინდა დიდი ნებისყოფის პატრონი იყო, თავს ვერ შეიკავებ.

ლილით ხელზე ვაჭრობისათვის რვა წელ მისჯილი იოსებას წასკდა სიცილი, რადგან ვერ გაუძლო „სმეხის“ მიერ მოწყობილი სპექტაკლის ფინალით გაოცებული ბითური გენერლისა და მისი თანმხლებ პირთა იდიოტურ გამომეტყველებას.

არა, არა, ამის აღწერა სიტყვებით შეუძლებელია. ის სახეები, თვალები პირადად უნდა გეხილათ.

დიახ, იხილა და ვერ გაუძლო — წასკდა საბრალო არსებას გულწრფელი სიცილი. სიცილი გამძვინვარებულმა გენერალმა დაცინვად მიიღო, აღივსო შურისძიებით ბოლმა-წითური. აკი დაემუქ-

რა, იუსტიციის მესამე კლასის მრჩეველი: ციხის შინაგანაწესის დარღვევისათვის სამ-სამ წელიწადს დაგიმატებთო. და აი, ახლა შიშს აუტანია იოსება. ან როგორ არ უნდა ეშინოდეს, როდესაც ძლივს მოუხერხეს სასჯელის განახევრება. საბრალო იოსებას დაზეპირებული აქვს, რამდენი წელი, თვე, თუ დღე დარჩა მოსახდელი. იცის და მაინც, საოცრად სიამოვნებს დღეში რამდენჯერმე ყველაფერი გადათვლის.

და ასე, ყოველ დღე, როგორც გობსეკი მოფერებით თვლიდა თავის ოქროებს, ასევე იოსება ეფერება დარჩენილ დღეებს...

დიდი სიამოვნებით გადათვლიდა ამ წვიმიან დღესაც და უცებ, გაუთვითცნობიერებელმა შიშმა გული შეუკუმშა, დაუმძიმდა. თითქოს შიგ გამდნარი ცხელი ტყვია ჩაუსხესო. იოსებას დაუმძიმდა გახარებული გული.

შიში!

შიში, რისი?

... ეს იმ მძორი გენერლის თვალებია. დიახ, „სმეხის“ ქმედების მიერ შეურაცხყოფილი ქლოშინას თვალები, რომლებიც, მისი წარმოდგენით, პირადად მას უყურებდნენ, თითქოს იმ დასაწვავ კამერაში სხვა არავინ ყოფილიყოს. სურათი კი ისეთი შეიქმნა, თვით დუმილის ღმერთიც ვერ შეიკავებდა თავს სიცილისაგან.

რა ქნას წვრილ ცოლ-შვილიანმა საბრალო იოსებამ, იმ ახვარამა გენერალმა მართლა რომ დაუმატოს სამი წელი?

„ჰოი, მაღალო ღმერთო, შენ მოხედე და იხსენ წვრილშვილის პატრონი, შენი საბრალო მონა იოსება... არა, რაღა მაინც და მაინც მე ამომიღო თვალში?“ — ამ ფიქრებით გაწამებული შუახნის, შავგვრემანი, დაბალი ტანის პატიმრის სევდის ტბად ქცეული შავი ქლიავის მსგავსი თვალები უფრო მეტად დაუსევდიანდნენ.

„სამი წელი!“ — საშინელი ფიქრი უორონის ისედაც წამებულ სულს: „ღვთის წინაშე რაიმე ცოდვა ხომ არ მიმიძღვის?“ — ფიქრებით იტანჯება საბრალო იოსება.

გაიხსენა მთელი თავისი წარსული — როგორ დაიჭირეს ლილით ვაჭრობაზე, როგორ უხდიდა უბნის ინსპექტორს თვილიას დღეში სამ თუმანს, შემდეგ ვიღაც კაპიტანმა, ვვარად წოწორიამ მოთხოვა ფული, აქაო და წილი მეც მეკუთვნისო, გაჯიუტდა იოსება, ჯერ იყო და სამი თუმნის ადგილზე ემძიმებოდა, ახლა გასავალს კიდევ ხუთ თუმანს უმატებენ.

„არ გწამთ ღმერთი, განა ლილაში რამდენი უნდა ვივაჭრო ღღეში, რომ რვა თუმანი გაძლიოთ?“ — აყვნენ იოსებას უარს ინსპექტორი თვილია და კაპიტანი წოწორია. ლამის ხელით შეურაცხყვეს ერთმანეთი. ბოლოს კაპიტანმა დაარღვია ქრთხმის აღების „შინაგანაწესი“—იოსება მაშინ დაუპატიმრეს. როდესაც იატაკქვეშა საწარმოდან ლილა გამოჰქონდა.

ატყდა ხმაური.

დალუქეს მთავარი მეწარმის — ბესიონას საამქრო.

ხმაურს თბილისიდან „ობეხეს“ ბრიგადა ჩამოჰყვა, როგორც

მგელს გაბოფებს [illegible]ცელგაფატრული ძროხის ლეში, ასევე თბილისიდან ჩამოსული მილიციის მუშაკები გაახელა ფულის შოვნის წყურვილმა.

საქმის დასამძიმებლად აღარაფერს ზოგავდნენ. იცოდნენ, მონაწილეთა სიმრავლით დანაშაულიც მძიმდება და „რთველიც“ მეტია.

ჯერ იყო და საქმეში მონაწილეებს სასიკვდილო განაჩენი დაუხატეს, ხოლო როდესაც დარწმუნდნენ მოსალოდნელი სასჯელით დამბლადაცემულთ აღარ ძალუძთ წინააღმდეგობის გაწევა, დაიწყეს შუამავლის ძებნა. ბოლოს, როგორც იყო, აღმოაჩინეს ორივე მხარისათვის „სანდო“ პიროვნება, იმავე ქალაქის შინსახკომის უფროსი ცერცვაძე, რომელსაც ბესიონასაგან ხშირად მიუღია საჩუქრის სახით ქრთამი.

დაიწყო მორიგება.

შეთანხმდნენ:

ორი მილიონი ფულის საფასურად, ძირითად დამნაშავეებს გაანთავისუფლებდნენ, მაგრამ ერთი პირობით, ზემდგომებს, ქრთამის აღებაში ეჭვი რომ არ შეჰპარვოდათ, რამდენიმე „წვრილფეხა“ უნდა ჩაესვათ.

სწორედ ამ რამდენიმეში მოჰყვა საბრალო იოსება.

პირადად დიდმა ბესიონამ ურჩია: შენ სასჯელი მაინც არ აგცდება, თუ დაჯდები ორ-სამ წელიწადში გამოგიყვანო. თანაც შენს ცოლ-შვილს და შენც ჩვენ შეგინახავთო. ეს იყო — მოსამართლემ რატომღაც შეპირებული ხუთი წლის ნაცვლად რაღაც მიზეზით რვა მიუსაჯა.

შემდეგ?

სამი წელიწადი ჯოჯოხეთში ყოფნა.

„ჰოი, გადაშენდა ციხის მომგონი!“ — ასე, ყოველ დილას წყევლით იწყებდა ლოცვას იოსება საბრალო.

განა კი შესაძლებელია ადამიანის ენამ გამოხატოს ყოველი ის, რაც მისმა სულმა და ხორცმა განიცადა?

საღამოობით ძილისწინ, მატლებივით შემოსეული ფიქრები ფუთფუთებენ: „კი, მართალია, სასჯელი გაუნახევრეს, მაგრამ ეს ახვარი გენერალი სამი წლის დამატებას რომ პირდება?.. და მერე რისთვის, დიახ, დიახ, დაუჯერებელია, სიცილისათვის!.. წყეულიმც იყოს ის ქლოშინა ურჩხული!“ — გაიფიქრა და თავისივე ფიქრის შეეშინდა, გენერალმა არ გამიგოსო.

გაღიმა: „ჰოი, რა საბრალო ყოფილხარ, მშიშარა ადამიანო“. „არა, მე მშიშარა არ ვარ, უბრალოდ არ მინდა სიცილისათვის დამიმატონ სამი წელიწადი ციხე!“ „განა გონიერება შიშია?!“

„ღმერთო, რა ქვეყანაში ვცხოვრობ, სიცილისათვის სამი წელიწადი?“... არა, არა, მოგონდა, სიცილისათვის კი არა, დაუმორჩილებლობისათვის — შინაგანაწესი დაარღვია — შემოსულ უფროსებს არ წამოუდგა ფეხზე.

„ღმერთო ჩემო, მთელი ჩემი სიცოცხლე, ლილით ვაჭარი, პა-

რიკმახერივით ვიდექი ფეხზე, ახლა რამ გადამიტრიალა ტვინი?“

„კი, კი, სწორია, აკი მთელმა კამერამ გადაწყვიტა: ფეხზე არაკინ არ ადგესო!“

„მაშ, რაო, მარტო მე იოსებას უნდა გამეტეხა პირი?“

„არა, არა, ღმერთმა მაშოროს შერცხვენილი კაცის სახელი!“ მოაგონდა:

ერთ მის მეზობელზე, ქუჩაში თითით როგორ უჩვენებდნენ დამსმენი არისო.

„არა, არა, მამაჩემის სული ნუ წამიწყდება, სულ რომ ამომიწყვიტონ ოჯახი, დამსმენის სახელით იოსება ვერ იცოცხლებს!“

თვალწინ წარმოუდგა „სმეხის“ მიერ მოწყობილი სპექტაკლის შემდეგ გენერლისა და მისი თანმხლები პირების გაოგნებული სახეები...

გაეღიმა.

შემდეგ კვლავ წარმოუდგა, თავისი წვრილშვილიანი ოჯახი, ცოლი — საყვარელი სარა.

... „ღმერთო, ამას რას ჩავდივარ, რას, თუ ვის ვწირავ სამი წლის თავისუფლებას?“

ყურში ჩაესმა საშინელი კივილი:

„კაცობას!“

„კაცობას, იოსებ!“

„კაცობას, იოსებ იუდეველო!“ — ეს მისი სულის კივილი იყო. დაეშანა.

მეტად დაეშანა: ფეხზე ადგომაზე ცოტა მეტი მაინც ყოფილიყო მისი „დანაშაული!“ აბა, სად და ვისთან გაამხილოს, ფეხზე არ ავდექი და ამისათვის სამი წელი მომისაჯესო?

განა ფეხზე ადგომისათვის ღირს სამი წლით პატიმრობის აკიდება? ამას არც მისი ცოლის ძმა აბრაშა დხუჯერებს და არც მისი საქმის თანამოზიარე შალომა... და თუ დაუჯერეს, სულელად ჩათვლიან, დიახ, სულელად. ფეხზე ადგომისათვის სამი წელიწადი?!

შეეშინდა:

„ღმერთო, რვა თვე მაქვს დარჩენილი, ახლა თუ სამი დამემატეს, კიდევ სამი წელიწადი და რვა თვე მომიწევს ჯდომა!“ — ტანში გაეკრჭოლა...

„არა, არა, ებრაელობა აღარ მიგუებს, ფეხზე ადგომისათვის სამი წელი როგორ დაამატებინეო“, — ფიქრები აგიზგიზებული ცეცხლივით წვავდნენ იოსება საცოდავს.

ავადმყოფობის უფლება

იოსება საბრალო თავისი მწველი ფიქრებიდან პავშის კენესამ გამოარკვია.

... ილიამ ჭიქით წყალი მიუტანა პავშის, რომელსაც სიცხისაგან ალი ედებოდა.

— სიცხე აქვს, ექიმს გამოუძახეთ! — გაისმა კოსტიას ხმა.

— ექიმი! — ვიღაცამ გაიმეორა.

— ამ შუაღამეს სადაა ექიმი?

— მორიგე! მორიგე! — გაისმა ყოფილი მასწავლებლის ყვირილი და კარებზე მუშტების ბრახუნი...

დასიცხული პავში ბოდავდა:

„მე ვარ დამნაშავე“... „კლავა!“... „ნადეჟდა“...

— ბოდავს! — „სმეხმა“ ავადმყოფს შუბლზე დაადო ხელი, — სულ ცოტა ორმოცი გრადუსი მაინც აქვს, — ჩაილაპარაკა ქურდმა.

— მორიგე! მორიგე! — ყვირის და კარებზე მუშტებით უბრახუნებს ყოფილი მასწავლებელი.

პავში ბოდავს. სიცხე აქვს მაღალი...

— მორიგე! მორიგე! — ყვირის და კარებზე მუშტებს, გამეტებით უბრახუნებს ყოფილი მასწავლებელი...

— რა გაღრიალებს? — კორიდორში გაისმა კაკოიას ხმა.

— ექიმს გამოუძახეთ! — კარების სარკმელში შემოანათა ზედამხედველის შეშინებულმა თვალებმა.

— ... მაღალი სიცხე აქვს!

— დილას ვნახავთ...

— ეი, შენ, პარაზიტო, ახლავე თუ ექიმს არ მოიყვან, დილას სიცოცხლე სანანებელი გაგიხდება!

— რომელი ხარ?

— ამას გპირდება კოსტია ბესსმერტნი!

— მივდივარ, ექიმი არ არის, მაგრამ ექთანს მოვიყვან, — გაისმა მორჩილი პასუხი და ციხის ლაბირინთებში მიმავალი კაკოიას აჩქარებული ფეხის ხმა.

— სველი ტილო დაადევით შუბლზე, — ურჩია თოფურიას მღვდელმა.

ყოფილმა მასწავლებელმა ავადმყოფს გაწურული ტილო დაადო სიცხით გათანგულ შუბლზე. ავადმყოფი ბოდავდა.

— საცოდაობაა პატიმრის ავადმყოფობა, — ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

— გაჩერდი, თუ კაცი ხარ, სიკვდილი ყველგან ერთია, — გამოელაპარაკა გვერდით მწოლი.

— რას ამბობ, გარეთ დამიტირებენ მაინც, აქ კუბოსაც არ გაღირსებენ!

— რას გიშველის კუბო, ცრემლები, თუ ქელეხი?

— შველით არაფერს არ გიშველის, ეს არის, ჭირისუფალს დარდს დაუოკებს.

— არა, ძმაო, იმ დალოცვილ თავისუფლებას მაინც არაფერი სჯობია...

— წარმოიდგინე, ჩვენს სახელმწიფოში გარეთ ყოფნას აქ ჯდომა მირჩევნია, — საუბარში ჩაერთო, მორფის ეიფორიით გალაღებული ბესსმერტნი.

— რას ლაპარაკობ, კოსტია, — ჭურდს გამოედავა სტუდენტი.
— მირჩევნია, ჩემო კარგო, მირჩევნია, რადგან ჩვენს ქვეყანაში თავისუფლება არ არსებობს!
— როგორიც გინდა იყოს, მაგრამ თავისუფლება მაინც თავისუფლებაა! — გამოექომაგა სტუდენტს მღვდელი.
— რომელ თავისუფლებაზე შეიძლება ლაპარაკი ქვეყანაში, რომელშიც ადამიანისათვის აუცილებელი მინიმუმის მოპოვება ძხოლოდ მონურ შრომის ფასად არის შესაძლებელი?
— ... გარეთ, სადაც გინდა, იქ მაინც წახვალ!
— სად წახვალ?
— სადაც შენს სულს გაუხარდება!
— მაგალითად, საბერძნეთში, ინდოეთში, თუ იტალიაში?
— ისეთი რამ კი არ უნდა ისურვო, რაც კანონით არის აკრძალული!
— დიდად პატივცემულო სტუდენტო, მიპასუხეთ, მაშ რომელ თავისუფლებაზე მელაპარაკებით? — ირონიულმა ღიმილმა, ჭურდის ფერმკრთალ, სევდიან სახეზე, სუსტი ვარდისფერი აამზიურა.
— გარეთ თოფიანი კაცი მაინც არ ამიკრძალავს სიარულს...
— ჩემო კარგო, გაიგე, თავისუფლება მხოლოდ ტყეშია!
— სად? — გაოცდა სტუდენტი.
— იქ, სადაც შველი, როდესაც უნდა, სადაც მოეწადინება იქ იბალახებს!
— ... მიეპარება მგელი და შესანსლავს, — საუბარში ჩაერთო მღვდელი.
— დიახ, მამაო, ესეც თავისუფლებაა! — გამარჯვების სიტყვა იზეიმა ჭურდმა.
— ასეთ რამეს თავისუფლება კი არა, პატივცემულო ბესსმერტნი, ძალადობა ჰქვია!
— დიახ, დიახ, ძალა გვანიჭებს თავისუფლებას, — არ თმობდა „გამარჯვებულის“ პოზიციას კოსტია.
— გეშლება, შვილო ჩემო!
— რა, მამაო?
— ძალით განხორციელებული ყოველი სურვილი ბოროტებაა და არა თავისუფლება!
— გეთანხმებით, მაგრამ ამ სახელმწიფოში, ისევე როგორც ტყეში სხვანაირად შეუძლებელია!
— გამოდის შენ, ვინც თავისუფლებას იცავ, ძალადობას ქადაგებ?
— მამაო, ღმერთმა ერთი სიცოცხლე მოგვანიჭა და ამ ერთ სიცოცხლეში მირჩევნია, მე ღირსეულმა ვიბატონო, ვიდრე უღირსმა მართოს ჩემი წმინდა სული!
— იქნება შენ კი არა ის არის ღირსეული? — არ თმობდა სტუდენტი.
— ბრმა უნდა იყო, ვერ გაარჩიო, ჩვენი სახელმწიფოს მოწინავე ფენის — კომუნისტების ელიტის სახე, თუნდაც იგივე გულა-

გელი, გენერლისა, ბეცი უნდა იყო, მაბეზღარა, მლიქვნელი, მატყუარა, ზარმაცი, ლიოხა და მისნი მსგავსნი ღირსეულად აღიარო! თქვენი პატიოსანი მოქალაქე — კომუნისტი ყველა წმინდას გაყიდის, სულში ჩაგიძვრება, რომ მოგინდოს და შემდეგ შენი სულის ნავაჭრით, კიდევ ერთი საფეხურით აიწიოს ზემოთ! სწორედ მათ „პატიოსნებას“ აქ, ჩვენს თვალწინ, შეეწირა ოთხი ადამიანის სიცოცხლე!
— კოსტია, — მსჯელობის გაგრძელება დააპირა ხულიგანმა.
— მაცალე! განა ვის შემოაქვს, პატიმრისაგან მიღებული ქრთამის სანაცვლოდ აკრძალული ნარკოტიკები? განა ვინ გვამარაგებს სპირტიანი სასმელებით?... დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, ამ სიმდაბლეს ხელს ზემდგომნი უწყობენ, რადგან მონაგრის ნაწილი მათი ხვედრია!
— განა ყველა ასეთია? — სცადა გამართლება მღვდელმა.
— საუბედუროდ, მამაო, დღეს ჩვენს სახელმწიფოს სწორედ ასეთები წარმართავენ. ყველა დანარჩენი, ვიზეც თქვენ გინდათ მითხრათ, მხოლოდ ფეხქვეშ გათელილი მონის ხვედრს იზიარებს! გამიგეთ, არ ვარ კაცთმოძულე, მაგრამ ასეთების გვერდით არ შემიძლია სიცოცხლე! დიახ, ამიტომაც ვარჩიე პატიოსანი ჭურდის ბეი
გი' ' '

ფიქრებმა გული ატკინა: ნეტავ როგორ არის დედა? საბრალო, სულ მარტო დარჩა.

რა სასტიკი ყოფილა სიცოცხლე!

როგორი ირონია ყოფილა, ჩემი ბავშვობის უდარდელი ღიმილი. რა იქნება ხვალ?

საოცარია, ყველაფერი განსაზღვრულია. ზუსტად ისე როგორც იქნება, მაგრამ მე კი არ ვიცი და არც არავინ არ იცის...

ფიქრებს მიჰყვებოდა-ტკივილიან ფიქრებს... რამდენი რამ გაიხსენა. რა საოცარი ყოფილა წარსული: დიდი ტკივილიც კი ღიმილით გაგონდება, დიახ, საამო ღიმილით გაგონდება. რა ხდება, რა არის სიცოცხლე?

ღმერთო ჩემო, რისთვის ყველაფერი ეს?!

გენერლის ჩანაფიქრი

კოსტიამ არ მიიღო გენერლის პირობა, უარი თქვა ქურდების სისხლით ნაყიდ თავისუფლებაზე. ციხეში მომხდარი მკვლელობის გამოძიება კი დასრულებას ითხოვდა. საქმეს ერთი გრემოება ართულებდა. იმ შემთხვევაში, თუ ძიება ობიექტურად წარიმართებოდა, გამოაშკარავდებოდა პირადად გენერლისა და ნაწილობრივ ციხის ადმინისტრაციის დანაშაული, რომ მკვლელობა მოხდა შურისძიების მიზნით და თვით გენერლის სცენარით. მან „იაზვა“ კოსტიას მოსაკლავად შეაგზავნა, მაგრამ ქურდების ატამანი მეტად გამჭრიახი აღმოჩნდა, ვიდრე თვით „ყოვლისშემძლე“ მაღალი ჩინოსანი. მოხდა პირიქით, დაიღუპნენ „იაზვა“ და „გიურზა“, ასევე დაუფიქრებელ ნაბიჯს შეეწირა, „მეგრელო“ და აზატა.

გენერლის მხარეზე იყო ძალაუფლება, რასაც კოსტიამ პატიმართა ერთსულოვნება დაუპირისპირა. ქურდის ერთი დაძახებაც კი საკმარისი იყო — მთელ ციხეს დაეწყო განგაში, რომლისაც ასე ეშინოდა არამარტო ციხის ადმინისტრაციას, არამედ თვით ვეება გულაგის იმპერიას.

გამოუვალმა მდგომარეობამ ჩიხში მოამწყვდია გენერალი. საქმე უნდა დასრულებულიყო.

მოსკოველმა ჩინოსანმა კარგად იცოდა, მკვლელობაში ბრალი პირადად მას მიუძღოდა, ამიტომ არცერთი ციხის მუშაკი არ ისურვებდა სხვისი დანაშაულის თავის თავზე აღებას. სხვა შემთხვევაში კი გენერალს განადგურება ელოდა.

გულაგელ ჩინოსანს ერთი გზა დარჩა, თავიდან მოეშორებინა დაუმორჩილებელი პატიმრები, რათა ძიება წარემართა მისთვის სასურველი მიმართულებით.

მძიმე მდგომარეობაში მყოფ გენერალს ბედმა გაუღიმა, ციხის სპეცგანყოფილებამ მიიღო საიდუმლო განაწესი „გამოუსწორებელი“ პატიმრები განსაკუთრებული დანიშნულების სამუშაოზე გაეგზავნათ.

თვით გენერალმა და ციხის ადმინისტრაციამ კარგად იცოდნენ, ასეთი ბანაკებიდან ცოცხლები თითქმის არ ბრუნდებიან.

გენერალმა დაიბარა ციხის ოპერრწმუნებული ძიკა სერგია.

— ამხანაგო სერგია, — გაბადრული სახით დაიწყო ჩაის ჭიქა არყით გახალისებულმა გენერალმა.

— გისმენთ, ამხანაგო გენერალ-მაიორო, — ძიკამ ყურები რადიოლოკატორებივით მიუშვირა უფროსს.

— ახლა ყველაფერი შენს გამჭრიახობაზეა დამოკიდებული!

— მზად ვარ სამსახურისათვის! — სიტყვები კენჭებივით გადმოყარა და სმენად იქცა.

— დასამალი არაფერია, მკვლელობაში ყველას მიგვიძღვის ბრალი! — სცადა ჩინოსანმა თავისი ბრალდების ყველასათვის გადაბრალება.

— რა თქმა უნდა, — სიტყვის შეყოვნებით დაუდასტურა ძიკამ, თუმცა კარგად იცოდა, მკვლელობაში ყველაზე მეტი დანაშავით გენერალ-მაიორს მიუძღოდა. ამჟამად კი მისი დასტური „რა თქმა უნდა“, არც ქაღალდზე იყო ფიქსირებული და ჩინოსანს არც მოწმე გააჩნდა, საჭიროების შემთხვევაში დასამოწმებლად. ცარიელა სიტყვებით თანხმობა კი რას უშავებდა, მით უმეტეს, რომ გენერალი მისი მომავალი კარიერისათვის მეტად საჭირო გახლდათ.

— თქვენ მიიღეთ საიდუმლო განაწესი?

— რის შესახებ? — განგებ გაიოცა სერგიამ.

— ეტაპის!

— დიახ, გუშინ მივიღე.

— როგორც კომუნისტური პარტიის ჯარისკაცს მოგეხსენება, ჩვენ ვდგავართ საბჭოთა ადამიანის უშიშროების სადარაჯოზე!

— ეს ჩემი წმიდათა-წმიდა მოვალეობაა, ამხანაგო გენერალ-მაიორო!

— ჩვენი უწმინდესი ვალია გავწმინდოთ ჩვენი საზოგადოება გარეწრებისაგან!

— სრული სიმართლეა, ამხანაგო გენერალ-მაიორო!

— გამოუსწორებელი ელემენტები უნდა მოვაშოროთ იმ ხალხს, ვისი გამოსწორების იმედი ჯერ კიდევ არ დაგვიკარგავს!

— ნამდვილად, ამხანაგო გენერალ-მაიორო!

— თუ გყავს ასეთი პატიმრები?

„ეჰე“, გაიფიქრა სერგიამ — „განწირულთა სია მე უნდა შემადგენინოს?“ — და რადგან პასუხი უნდა დროზე გაეცა, გაიფიქრა: „თქმით არა დაშავდება!“ თანაც იგონებდა ვინ როდის და რა დაუშავა. ისიც გაითვალისწინა, რომ გენერალს პირადი ხელმოწერით უნდა დაემოწმებინა „დასჯილთა“ გასაგზავნი სია.

— გვყავს!

— მაშინ, ჩამოთვალეთ, ვინ მიგაჩნიათ ასეთად? — ჯიქურად აჯახა კითხვა გულაგელმა.

— ბესსმერტნი! — იყო ოპერის უყოყმანო პასუხი, რადგან იცოდა გენერალს სიგიჟემდის სწყუროდა კოსტია ბესსმერტნის ფიზიკური განადგურება.

გენერალს სახეზე კმაყოფილების მზე მოეფინა.

— კიდევ?
— დუნაევსკი, იგივე „სმეხი“.
— კიდევ? — გააგრძელა კითხვა-პასუხით მეტად კმაყოფილმა გენერალმა.
— მეცხრე კამერიდან, გალოიანი ვაგრამი, იგივე „კრისა“.
— კიდევ, კიდევ!
— მეთერთმეტე კამერიდან იუსუპოვი, იგივე „ვალეტი“, მეხუთედან ქართველიშვილი გიორგი იგივე „თამბეგა“, მანუკიანი ანდრო იგივე „გიჟო“...
— კიდევ ვინ გამოგვრჩა?
— მაპატიეთ, ვერ ვიგონებ? — დამნაშავესავით წაილუღლუღა ოპერრწმუნებულმა.
— ამხანაგო ძიკა, თქვენ ოპერატიული მუშაკი ბრძანდებით, თქვენს ნიშსა და თავდადებას მოსკოვში ჩასვლისთანავე დავაფასებ, — შეპირებით წაახალისა სერგია, თუმცა კარგად იცოდა, სერგიას გამჭრიახობა სწორედ ოპერატიულობაში აკლდა.
— გმადლობთ, ამხანაგო გენერალ-მაიორო!—ფეხზე წამოიჭრა და სარივით გაიჭიმა ძიკა სერგია.
— დაბრძანდი, დამეთანხმები, ჩვენ...
— რა თქმა უნდა, — სიტყვის თქმა არ აცალა უმცროსმა უფროსს.
— ასეთ ვითარებაში, როგორიც დღეს შეგვექმნა, სინდისის თაყვანისმცემელნი უფრო საშიშნი არიან, ვიდრე თვით თავზეხელაღებული რეციდივისტები, რადგან მათ კიდევ შეიძლება რაღაც მოვუხერხოთ. აი, სინდისის ხალხს კი ვერავითარი შეპირებით ვერ მოისყიდი!
— სრულ ჰეშმარიტებას ბრძანებთ, ამხანაგო გენერალ-მაიორო!
— ჩემის აზრით, ასეთები არიან, ყოფილი მასწავლებელი ილია თოფურია და მიხეილ პავში.
— სრულ ჰეშმარიტებას ბრძანებთ...
— აბა, კიდევ ვინ არის საშიში?
— ვერ ვიგონებ... — მცირე ყოყმანის შემდეგ აღიარა ოპერმა.
— მშიშრები!
— მშიშრები? — გაოცდა ძიკა სერგია.
— ნუ გიკვირთ, რადგან, მშიშრებს ოდნავი დაშინებითაც კი შეიძლება ალაპარაკო ის, რაც შენ გინდა!
— მესმის, სწორედ ასეთები გამოგვადგება! — მიუხვდიო გენერალს იფიქრა სერგიამ.
— პირიქით, ამხანაგო სერგია არ გამოგვადგება.
— თუ კი რასაც გვინდა, იმას ვალაპარაკებთ? — გულუბრყვილოდ წამოროშა ძიკა ოპერმა.
— ჩემო კარგო, ცოტა შორს გაიხედე, დღეს შენ ალაპარაკებ, რასაც გინდა იმას, ხვალ სხვა ალაპარაკებს, რასაც უნდა იმას, ზეგ

კიდევ სხვა ალაპარაკებს შენს საწინააღმდეგოს და ასე ყველას შ. უძლია ალაპარაკოს!
— ახლა მივხვდი თქვენი ღრმა აზრის ჰეშმარიტებას.
— მაშ, კიდევ ვინ უნდა გავაყოლოთ ეტაპს?
— ვინ? — დაიბნა სერგია.
— რა მოგივიდა, ამხანაგო სერგია!
— არა, ვერ ვიგონებ...
— იოსება აბრამის ძე მოშიაშვილი!
— სწორია, მშიშარაა, რასაც უბრძანებ იმას იტყვის!
— რომელი რიცხვისათვის უნდა იყოს ეტაპი მზად?
— თვრამეტისათვის.
— დღეს ცამეტია...
— დიახ, ამხანაგო გენერალ-მაიორო!
— დაიმახსოვრე...
— გისმენთ?
— ხვალ, დილიდანვე ყველა ქურდი კოსტია ბესსმერტნის კამერაში მოათავსეთ!
— ამხანაგო გენერალ-მაიორო, ასეთ კამერაში წესრიგს ვერ დავამყარებთ!
— ახლაც ვერ ვამყარებთ, სამაგიეროდ, საჭიროების შემთხვევაში „შუმოკს“ ვეღარ ატეხავენ...
— მესმის!
— დღესვე გაამზადეთ საქმეები!
— არის, დღესვე გავამზადო საქმეები, — თქვა და სიხარულისაგან ეწია, აქაო და გენერალმა ყველაზე მეტი ნდობა მე, ძიკა სერგიას, გამომიცხადაო.
— ათ საათზე დანიშნული მაქვს თათბირი, თქვენ მიიღებთ პიროვნულ დავალებას — შეარჩიოთ ხალხი ეტაპისათვის.
— გმადლობთ, ნდობისათვის, ამხანაგო გენერალ-მაიორო!—გაიხარა ძიკა სერგიამ.
— ჩვენი დღევანდელი საუბრის შესახებ კრინტი არავისთან, გასაგებია?
— გასაგებია, ამხანაგო გენერალ-მაიორო, — მიუგო სიხარულით ფრთაშესხმულმა ოპერმა.
— ამხანაგო სერგია, — შინაურულად ხელი მხარზე დაადო ოპერს გენერალმა, — როგორც გინდა, რანაირადაც გინდა, მაგრამ ყოველ ეტაპში მოხვედრილის საქმეში, რაც შეიძლება მეტი დარღვევები უნდა აღმოჩნდეს!
— ისე გავაკეთებ, წყალი არ გაუვა!
— ეცადე ძველი რიცხვებით.
— არის ძველი რიცხვებით!
— აბა შენ იცი... ხო, კინაღამ დამავიწყდა, ეტაპირებულთა სიას „პერეპიოლკა“ დაუმატე...
— „პერეპიოლკა?“

— ცოდვანი არიან, გზაში დაჭირდებათ, — თქვა და ეშმაკურად თვალი ჩაუკრა.

— მეხუმრებით, თუ...?

— რა დროს ხუმრობაა, მიუხედავად იმისა რომ „პერეპიოლკაა“, ჯიუტიც არის და პრინციპულიც!

— გასაგებია, — იფეთქა გენერლის ნდობით გალაღებულმა ოპერმა და კარებში გაბარებული გავარდა.

ერთი საათის შემდეგ თათბირს ესწრებოდნენ თვით გენერალ-მაიორი, პროკურორი, იუსტიციის მესამე კლასის უფროსი მრჩეველი იან იაკობის ძე ლოზინსკი, გამომძიებელი ზორო აშორდია, ოპერ-რწმუნებული ძიკა სერგია, ციხის უფროსი ნოე თორია, დაცვის უფროსი აბდულა მაკოევი და ციხის ექიმი, ციხის უფროსის მეუღლე მარუსია პავლეს ასული იუდინა.

ციხის უფროსმა სახელდახელოდ შედგენილ კომისიას წარუდგინა „გამოუსწორებელ“ პატიმართა სია: ბესსმერტნი კონსტანტინე ანდრიას ძე, დუნაევსკი ივანე ბორისის ძე, ზედმეტ სახელად „სმეხი“, გალოიანი ვაგრამ აშორთის ძე, ზედმეტ სახელად „კრისა“, იუსუპოვი ვადიმ ლაზარეს ძე, ზედმეტ სახელად „ვალეტი“, ქართველიშვილი გიორგი დავითის ძე, ზედმეტ სახელად „თამბეგა“, მახუკიანი ანდრო სარქისის ძე, ზედმეტ სახელად „გიჟო“, თოფურია ილია ალექსის ძე, პავში მიხეილის მარკის ძე, იოსება აბრამის ძე მოშიაშვილი და ვლადიმერ ვიაჩესლავის ძე გურევიჩი, ზედმეტ სახელად „პერეპიოლკა“.

გენერლის განმარტების შემდეგ კომისიამ დაადგინა: როგორც გამოუსწორებელი პირნი, ზემოთ დასახელებული პატიმრები იქნან ეტაპირებულნი.

ადამიანებს არ ჰირდებათ მგლები — თვითონ ადამიანები არიან მგლები

გარეთ ეტყობა კარგი დარი იყო, რადგან ციხის ფანჯრის „სადრუნჩეში“ შემოპარული მზის ერთადერთი სხივი საკანში მხიარულად კიაფობდა.

საოცარია, კამერაში მსხდომთ ეს ერთი სხივი რაოდენ ბედნიერებას გვრიდა. რომ გეკითხათ რომელიმე მათგანისათვის რატომო, ვერცერთი ვერ გიპასუხებდათ, თუმცა ეს ერთი ობლად შემოჭრილი სხივი მათ გათოშილ გულებს სიხარულის სითბოთი ავსებდა.

ხალისმა დილის გასეირნებისას იმატა. პატიმრებმა იხილეს მზე თავისი შეუდარებელი და განუმეორებელი დიდებულებით.

კაკოია ზედამხედველმა ნახევრად ბნელი ტალანით პატიმრები საპირფარეშოში წაიყვანა. ხუმრობა არავის არ წყინს. ხშირად დასაკლავად განწირული ხბოც აკუნტრუშდება, ასე იყვნენ იმ დღეს პატიმრებიც — მხიარულობენ. მარილიანი ანეგდოტებითა და უხამსი სიტყვებით ეფერებოდნენ ერთმანეთს.

კამერაში მხიარულები დაბრუნდნენ. ყველა ხუმრობის წამომწყები „სმეხია“. ხან ვის ამოიჩემებს და ხან ვის. „სმეხის“ სიტყვებს არავინ არ თაკილობს, პირიქით გულიანად იცინიან, ხარხარებენ...

... იოსება მივიდა თავის საწოლთან, ის იყო ასწია დილას გასწორებული საბანი... ისე სწრაფად და იმხელაზე გადახტა, რომ ასეთი ნახტომის გაკეთებას თვით ხტომაში ჩემპიონიც კი ინატრებდა. დიახ, ნახტომი გააკეთა კამერის ერთი კუთხიდან მეორე კუთხემდის. თურმე შიში რაოდენ ძალას აძლევს ადამიანს?!. მისი თვალები უაზრო შიშს გამოხატავდნენ... იოსება ცახცახებდა, სახეზე მიტკლის ფერი ედო... აღმოჩნდა, გასეირნებაზე გასვლისას „სმეხს“, გრძელი დაგრეხილი რეზინი ისე ჩაუდია საწოლში, რომ ოდნავ შეხებაზეც კი გველივით იშლებოდა და იკლაკნებოდა — იოსებას კი ქვეწარმავლის გულის წასვლამდის ეშინოდა.

ატყდა ხარხარი. თვით იოსება ისე იყო შეშინებული, რომ კიდევ დიდხანს ვერ მოეგო გონს. ვერ მიმხვდარიყო, ეს მოჩვენება იყო თუ სინამდვილე...

საუზმის შემდეგ დაიწყო პატიმართა კამერიდან კამერაში გადაყვან-გადმოყვანა, „გადახარისხება“, ძველებმა გამოცდილებით იციან ასეთი „გადახარისხება“ ეტაპის მაუწყებელია. საღამოსათვის № 37 კამერაში თავი მოუყარეს კოსტია ბესსმერტნის, „კრისას“, „თამბეგას“, „გიჟოს“, „ვალეტს“, „სმეხს“, „პერეპიოლკას“, ილია თოფურიას, მიხეილ პავშის და იოსებას საბრალოს.

„მართალია, ყველანი მისჯილები ვართ“ — ფიქრობდა ატამანი ბესსმერტნი, — მაგრამ კამერაში თავმოყრილთაგან, მე, „სმეხი“, „პერეპიოლკა“, ილია თოფურია და იოსება მოშიაშვილი აქ მომხდარი მკვლელობისათვის ძიებაში ვიმყოფებით, ძიებაში მყოფთ კი ძიების დასრულებამდის ეტაპით ვერ გაგზავნიან, მაშ რა ხდება? — ქურდმა საკუთარ კითხვას პასუხი ვერ გასცა, გულმა გუმანით უგრძნო ცუდი. ფიქრებმა ცაზე უეცრად ქარით მორეკილი ღრუბლებივით სახე მოუქუფრეს.

ილიამ ბესსმერტნის უგუნებობა შეამჩნია, მაგრამ მიზეზს არ შეეკითხა, იცის, საჭიროების შემთხვევაში თვით ქურდი ეტყვის.

კამერაში მოჩვენებითი სიმშვიდე სუფევს, მაგრამ შინაგანად დაწყებული ციხის მარადიული მდგმურებით — ქურდებით, დამთავრებული იოსება საბრალოთი — ყველა ღელავს. როგორც ნადირი, ქვის კუბოს ბინადარნიც ქვეშეცნობით გრძნობენ მოსალოდნელ განსაცდელს. ქურდებს შორეული ეტაპის არ ეშინიათ, პირიქით, ამითი თავიც კი მოსწონთ, მაგრამ ისიც კარგად უწყით, კოლონიებიდან, რომლებიც განსაკუთრებულ მაღაროებს ემსახურებიან, ცოცხლები არ ბრუნდებიან. ამიტომაც ასეთი გზიდან ყოველი ცდილობს თავის დახსნას.

კოსტია ბესსმერტნის ზუსტად უნდა დაედგინა, სად, რომელ კოლონიაში იგზავნებოდა ეტაპი.

გაჭირდა საუბარი. კითხვებზე ისმის გალიზიანებული პასუხები. ყოველი ცდილობს საკუთარ ფიქრებთან დარჩენას.

მსჯავრდადებულნი ეძებენ გამოსავალს.

ბესიონასაგან პასუხის მოლოდინში აწრიალებული იოსება კამერაში ნარებს შორის სასიარულოდ დატოვებულ მცირე გასასვლელში ბოლთას სცემს.

შორეული გზისთვის ვის როგორც შეუძლია ისე ემზადება. მოგებულები ნივთ-ტომარაში გულისყურით ალაგებენ გზაში საჭირო-აუცილებელ ნივთებს, წაგებულები ზრუნავენ, სად, რა და როგორ იშოვონ.

იოსება-საბრალოს სიარული ვიღაცას ნერვებს უშლის:

— რას დაწრიალებ! — გაისმა ღრენა.

— რატომ უყვირი? — იოსებას გამოექომაგა „სმეხი“.

— მომშალა მაგის წრიალმა!

— შენს საქმეს მიხედე, მაგას თავისი გასაჭირი ყოფნის!..

იოსებას ეშინია, ჩემი მიზეზით ჩხუბი არ ატყდესო და თავის ადგილას ნარზე უსიტყვოდ წვება.

გაურკვეველი შიშის მოლოდინმა ყველა იქ მყოფს ნერვები სიმებივით დაუჭიმა.

და ასე დაძაბულობაში მიედინება დრო.

დაძაბულობა მატულობს.

ფიქრები!

ფიქრები!

უწყვეტი ფიქრები სიცოცხლის გადასარჩენად. ფიქრებში ეძებენ გამოსავალს ისე, როგორც ცეცხლის რკალში მომწყვდეული თრითინა ეძებს და ვერ პოულობს. — არა, ვერც ქვის კუბოს მდგმურები პოულობენ და ამიტომ კვლავ ფიქრი. ფიქრი გაუთავებელი და დაძაბული.

ფიქრობენ და ეძებენ. ასეა დღე, ასეა ღამე, ასეა თვეები და წლები და მაინც ვერ პოულობენ!

საშინლად დატანჯული სიცოცხლე, თუ კატორღა?!

ამ სამყაროში ასეა, გაუთავებლად, ვიღაცის ნების აღმსრულებელი ხარ და არა ქვეყნად ღვთისგან მოვლენილი თავისუფალი არსება — ადამიანი!

სუნთქავ, ჭამ, სვამ, შრომობ პირუტყვის მსგავსად ისე, როგორც ვიღაცა მოგთხოვს, თუ გიბრძანებს და შენც დამჯერე, უღელში შებმული პირუტყვივით ეწევი ჭაპანს. ასეთ ცხოვრებას ვიღაცამ, კანონის სახელით, შეარქვა სასჯელის მოხდა და შენც იხდი სასჯელს კი არა, წამებას, როგორც ავადმყოფი იხდის საშინელ სენს — შავ ჭირს.

დრო კი მიედინება,

დრო ითვლის დღეებს და საათებს,

ილია თოფურიამ გადაწყვიტა, მარტოდ დარჩენილ ლედას ეტაპში გამგზავრება არ აცნობოს: „აბა, რა აზრი აქვს?“ — ფიქრობს ახალგაზრდა, — „შეწუხდება მოხუცი, დაიწყებს სირბილს ნათესავ-მეგობრებში, ფულის სესხებას..., არა, არა, რა საჭიროა, ჩემი სისულელის გამო, ჩემმა დატანჯულმა მშობელმა ვიღაცეების წინაშე თავი დაიმცირო?!. დე, მოხდეს მოსახდენი... ჩავალ და იქიდან მოვწერ. თუ სიცოცხლე მიწერია, დედის შეწუხების გარეშეც დავბრუნდები“. — მიიღო ასეთი გადაწყვეტილება და დამშვიდდა. დამშვიდდა და ფიქრებმა სხვა მიმართულებით წაიყვანა.

„გაუმართლა საბრალო მიხეილ პავშის, საავადმყოფოდან ეტაპში ვერ წაიყვანენ“, ახალგაზრდას სადღაც გულის ხიღრმეში სითბო ჩაეღვარა.

გაიღო კარები, შემოვიდა მიხეილ პავში: სხვა შემთხვევაში დამხვდურნი, მოსულს შეკითხვებით დაახვევდნენ თავბრუს, ახლა შეკითხვისათვის არავის არ სცალოდა.

პავშიმ ჩურჩულით რაღაც უამბო ილია თოფურიას, შემდეგ ორივენი მივიდნენ კოსტიასთან. კვლავ ჩურჩული. ეტყობა პავშიმ ცუდი ამბავი მოიტანა...

ამ სურათს სულგანაბულნი შეჰყურებდნენ. თვითეულს აინტერესებს რა ხდება, მაგრამ დუმან, რადგან იციან, თუ საჭიროა კოსტია ეტყვის. გაიღო კამერის კარებში დატანებული მცირე სარკმელი. ვიღაცამ იდუმალი ხმით დაიძახა:

— კოსტია!

კოსტია სასწრაფოდ მიიჭრა კარებთან და ყური მიუშვირა ღია სარკმელს. საიდუმლო ჩურჩული.

წამები.

წამები დაძაბული. მოლოდინით აღსავსე საშინელი წუთები.

კამერაში დაძაბულობა მატულობს...

იოსება-საბრალოს ყურში ჩაწვდა: ეტაპს ურანის საბადოებზე აგზავნიანო, თუმცა წარმოდგენა არ ჰქონდა რა არის ურანი. მაგრამ სხვათა ნათქვამიდან იცის, თუ ბედი გაუღიმებდა და გადარჩებოდა სახლში კბილებ — და თმადაცვენილი დაბრუნდებოდა.

აწრიალდა. ხან ვის ეცა და ხან ვის. გაუთავებლად წერს „ქსივს“ — წერილს. ბოლოს როგორც იყო, ლიოხამ წერილის მიტანაში ათასი მანეთი მოსთხოვა. სხვა რა გზა ჰქონდა, იოსება-საბრალო დათანხმდა, მხოლოდ ერთი პირობით, წერილი პირადად ბესიონასათვის უნდა გადაეცა.

ღმერთო რა გაათენებს ამ ღამეს? დარწმუნდა, გენერალი ეტაპში სიცილისათვის აგზავნის. იოსება-საბრალოს ფიქრები ცეცხლივით სწვავენ:

„არა, სამ წელიწადს აღარ დაუმატებენ, მაგრამ ვიღას უნდა კბილებ — და თმადაცვენილი — ქაჩალა იოსება-საბრალო?!“

უთმოსა და უკბილოს გახსენებაზე, ცოცხლად წარმოუდგა, ყოფილი მედოლე მენახეს მოხარშული კომშივით ყვითელი სახე, ტანთ გააჟრჟოლა.

ო, რა ცეცხლით სწვავენ იოსება-საბრალოს მტანჯველი ფიქრები.

„ღმერთო, არ შეგიშლებოდე!“ — ეშინია ფიქრებით გაწამებულ იოსება-საბრალოს, „ჯერ იყო და ლილით ვაჭრობისათვის, შეპირებული ხუთი წლის მაგივრად, რატომღაც რვა მიუსაჯეს, ახლა სიცილისათვის სასიკვდილოდ ურანის საბადოებზე აგზავნიან. რისთვის ასე გამეტება? რაო, ამ ქვეყნად აღარ არის სამართალი?

ღმერთო გადააშენე ის გენერალი და მთელი მისი მოდგმა, მისი ლენინ-სტალინიანად. ცეცხლში დამწვარა მთელი საბჭოეთი, გაგონილა სიცილისათვის სიკვდილი?

ამათ დაერია შავი „ტიფა“.

„ბარბინა“ მაგათ!

„ბარბინა“ ამ ქვეყანას, ყველა ჩემნაირი გაჭირვებულის გამოკლებით. „ბარბინა“ მთელ წითელ სამყაროს!“ — ფიქრობს და აღარ ეშინია არავინ გამიგოსო ჩემი ფიქრები.

ძლივს მიიზლაზნება საშინელი დარდით დატვირთული ღამე.

ეჩვენება: ცა გაივსო შავი ყორნებით, არა, ეს ყორნები კი არა შავი კუბოები ფაფრინავენ. ყოველ კუბოში იოსება-საბრალოს ნეშტი ასვენია. აბა, ერთი კუბო რას ეყოფა, ასე უსამართლოდ წამებულსა და ჯვარცმულს. იოსება-საბრალო მარტო სარამ და მისმა შვილებმა კი არ უნდა იტიროს. არა, არა, ასე გაწამებული და განწირული მთელმა ქვეყანამ უნდა დაიტიროს. ყველამ უნდა დაიტიროს ვინც ფეხზე დგას, დადის და ვისაც ცრემლის ღვრის უნარი აქვს.

ხედავს: ერთი კუბო კვლავ ყორნად გადაიქცა. ყორანი ძერასავით დაეშვა, კლანჭებით მკერდი გაუფატრა და კაუჭიანი ნისკარტით მფეთქავ გულს მოაგლიჯა ხორცის ნაჭერი, ახლა კი პირში უტენის საშინელი ხმით მოკიჟარ ბახალებს... გლეჯს და გამყივანი ხმით, ადამიანის ენით, ჩასძახის: „ეს შენ ლილით ვაჭრობისათვის... ეს შენ სიცილისათვის“-ო, ეს უკანასკნელად რა მწარედ ჩასცხო, რა ულმობელად ამოაგლიჯა გულის კიდევ ერთი ნაწილი... ეს რა საოცრება ხდება, ყვავის თავი გადაიქცა ბელადის სახედ... ღმერთო როგორი მკაცრი გამოხედვით უყურებს!.. რა დაემართა ამ ოხერს, სურათებში სულ ბავშვებს ეალერსება, მე რა დავუშავე, რატომ მიყურებს ასე მკაცრად?.. უეცრად, ბელადის სახე კვლავ კაუჭ ნისკარტად გადაიქცა, გააღო მტაცებელი პირი, მთლიანად უნდა ამოაგლიჯოს გული! — წამოხტა...

— რაო, უქმური ხომ არ გეზმანა? — ალერსიანი ღიმილით ეკითხება ყოფილი მასწავლებელი.

— სიზმარი იყო? — კითხულობს გონსმოსული იოსება-საბრალო.

— რამდენი ხანია გაღვიძებ, რა ნახე ასეთი?

— თფუი, თფუი მაგას! — და ლოცვას ბუტბუტებს იოსება-საბრალო.

— მომიყევი, სიზმრის ახსნა ვიცი...

— არა, არა, დაგენაცვლე, ის რაც ერთხელ ვიხილე, მეორეც ღმერთმა ნუ დამანახოს...

ნელა მიიზლაზნება საშინელი ფიქრებითა და დარდით დატვირთული ღამე.

არსაიდან საშველი!

უბედურს არც ლოცვა შველის და არც ცრემლი!

უკანონობის საუკუნე! — კივის უკუნის მსგავსი შავი ზეცა.

ჯოჯოხეთის მდინარედ მომდინარე მდუღარე კუპრში ეწამება ბრალიანი და უბრალო ადამიანის თესლი.

კომუნისტების საშინელი საუკუნე! — ფიქრებმა სიზმართა სამყაროში შეაპარეს ტკივილებით გადაღლილი იოსება-საბრალო.

დაღამდა.

დაძაბულობა თითქოს მოიხსნა. არა, კი არ მოიხსნა, უბრალოდ დაღალნენ, რამდენი ხანი შეიძლება იყოს ადამიანი ასე დაჭიმული?

კოსტიამ იცის, სასიკვდილო ეტაპიდან თავის დასახსნელად საჭიროა აქტიური მოქმედება. ქურდებმა მოიწვიეს „სხოდკა“—თათბირი. პირველი სიტყვა, ქურდულ სამყაროში პირველს ბესსმერტნის მისცეს:

— ძმებო, ქურდებო! ჩვენი პროფესია მსოფლიოს ყველა საზოგადოებაში სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება, ამიტომაც თვითეულს მოგვისაჯეს ჩადენილი დანაშაულისათვის, მაგრამ არცერთი ჩვენთაგანისათვის სიკვდილი არ მიუსჯიათ, ეს იმიტომ, რომ ქურდობა არ ითვალისწინებს ასე მკაცრ სასჯელს.

ჩვენ ქურდული კანონებით ვცხოვრობთ, გვეკრძალება მუშაობა როგორც გარეთ, ასევე ციხეში, ეს კი არ აწყობს ჩვენს სახელმწიფოს, ამიტომაც გულაგიდან მოავლინეს გენერალი როდიონოვი ჩვენი ქურდული სამყაროს ლიდერების გადასაბირებლად — დაგვეწყო თუნდაც ფიქტიურად მუშაობა. კარგად იცით, გენერალმა ეს ვერ მოახერხა, სამაგიეროდ ახლა გაწბილებული ცდილობს იძიოს შური. ჯერ იყო და მკვლელებად ქურდების მტრები „იაზვა“ და „გორილა“ შემოგვიგზავნეს. ღმერთი სამართლიანია, მოხდა პირიქით, მოკლულ იქნენ მკვლელები! იცოდეთ, ამ მკვლელობაში უდიდესი ბრალი გენერალს მიუძღვის და მასთან ერთად მთელს ციხის ხელმძღვანელობას. არცერთ მათგანს არ ჰქონდა უფლება, ღამის სამ საათზე ქურდულ კამერაში „გაფუჭებული“ ქურდების შემოშვებისა. ეს დანაშაულია. ამიტომ შემომთავაზა „დიდმა“ ჩინოსანმა თავისუფლება, ოღონდ კი მიმეცა ყალბი ჩვენება, თითქოს მკვლელობა თამაშით ატეხილ ჩხუბის ნიადაგზე მოხდა. კოსტია ბესსმერტნი არ არის ის პიროვნება, რომელიც თავის ძმების — ქურდების სისხლით ნაყიდი თავისუფლებით იცხოვრებს! როგორც ხედავთ, ჩვენს „აღმზრდელებს“ ერთი გზა დარჩათ, ჩვენ გაგვის-

ტუმრონ სასიკვდილო გზაზე, რათა სამუდამოდ დაფარონ თავიანთი დანაშაულის კვალი.

ქურდებო, მხოლოდ ამისათვის უნდა დავიხსნათ თავი სასიკვდილო ეტაპისაგან! მე დავასრულე, — თქვა და ფეხმორთხმით დაჯდა თავის ადგილას.

— ციხის ექიმი წუწკია, ვიცი მასთან ფულით კეთდება საქმე! — აზრი გამოთქვა ყველა მდგომარეობაში დინჯმა „თამბეგამ“.

— კი, მეც ვიცი, მასთან კეთდება საქმე, — აზრი დაუდასტურა „თამბეგას“ „გიჟომ“.

— რაკი იცით, რომ ამ ექიმთან საქმე კეთდება, მაშინ თქვენვე მიხედეთ ამ საქმეს, — დაასკვნა კოსტიამ.

— მეეშვება, რადგან ეტაპი გენერლის მითითებით იგზავნება! — ჩაერთო მსჯელობაში „სმეხი“.

— ვსინჯოთ, ნათქვამია, ცდა ბედის მონახევრეაო, — „სხოდკას“ ურჩია „ვალეტმა“.

— თუ ასეა, დროს ნუ ვკარგავთ, შევაგროვოთ „ობშჩიაკი“ — დასკვნა კოსტიამ.

— უარი რომ თქვას? — გაფრთხილდა „გიჟო“.

— ყოველი თავ-თავისას დაიბრუნებს, — განმარტა „სმეხმა“.

— სწორია, შეგროვებით საქმე არ გაფუჭდება, — უდასტურებს „კრისა“.

— ქურდებო, — „თამბეგა“ ფარული, ჯიბიდან იღებს ოქროს ბეჭედს, — ეს ბრილიანტის თვლიანი ბეჭედი შავი დღისთვის მქონდა შემონახული, რადგან საქმე ქურდების სიცოცხლეს ეხება, „ობშჩიაკში“ ვდებ! — ბეჭედი კოსტიას წინ დაუდო.

— ჩემგან ეს მედალიონი აიღეთ, — კისრიდან ჩამოიხსნა და იქვე დადო კოსტია ბესსმერტნიმ.

— ოქროა? — კითხულობს გაკვირვებული „სმეხი“.

— თანაც ბრილიანტის თვლებით, — ამბობს „გიჟო“.

— აიღეთ ეს ოქროს საათი, — იცით, წაგებული ვარ, ამბობს „ვალეტი“.

— ეს ვერცხლის სამაჯური და ორი ათასი მანეთი, — სამაჯურთან ერთად ფულს ყრის „სმეხი“.

— ესეც ჩემგან, — ნიკოლოზის დროინდელ ოთხ ცალ ოქროს თუმნიანებს ჰყრის „კრისა“.

— ესეც ჩემგან აიღეთ, — ოქროს სათუთუნედან იღებს პაპიროსებს „გიჟო“ და ჯიბეში იწყობს.

— ამ სიმდიდრით, თვით ჯოჯოხეთის უსტაბაშსაც მოვისყიდი! — თავმომწონედ ამბობს „კრისა“.

— ჯოჯოხეთს კი მოისყიდი, შენ მაგათი მოსყიდვა თქვი! — ამბობს ბესსმერტნი.

— „გიჟომ“ ჩაიბაროს, ამ ექიმთან ის უფრო კარგად არის,

— აბა, შენ იცი „გიჟო“-ჯან, ჩვენი ბედი შენს ხელთ არის! — ავალებს კოსტია.

— ბემურაზი ქალია, მაგრამ მე ყველა ღონეს ვიხმარ!

იმ ღამეს „სხოდკა“ დილის ოთხ საათამდის გაგრძელდა.

მარუსია

ციხის სანნაწილის პატარა კარადაში წამლები აწყვია. სამედიცინო ტახტზე მჯდომი ექთანი ხარშავს ნემსებს, თან ციხის მთავარ ექიმს, მარუსია პავლოვნას უყვება, ქალაქვაჭრობის დირექტორის მეხა სესკურიას საყვარლებმა როგორ სცემეს ერთმანეთს.

— ნეტა რა ნახეს იმ ბებერში ასე საინტერესო? — ამბობს და სარკის წინ მარწყვივით ტუჩებზე ისობს პომადას.

— ფული, თუმცა იმასაც ამბობენ, როგორც მამაკაცი, ბევრ ახალგაზრდას ჯობიაო, — ეშმაკური ღიმილით განმარტავს ექთანი.

— საინტერესოა, — ამბობს ქერა თმიანი ლამაზი ქალი.

— მართალია, სახე მეტად მახინჯი აქვს...

— რომ იცოდე, ქალს სწორედ მამაკაცის სიმახინჯე ახელებს! — თან სარკეში, თავის ლამაზ სახეს თვალებით ეკითხება, ხომ სიმართლე ვთქვიო.

შემოსულმა ბადრაგმა მოახსენა:

— პატიმარი ვაგრამ გალოიანი მუცლის ტკივილს უჩივის, — მოახსენა და სამხედრო წესით გაიჭიმა.

— შემოიყვანე! — სარკიდან თვალმოუწყვეტლივ ბრძანა ექიმმა.

— არის, შემოვიყვანო! — სამხედრო წესით გასულს შემოჰყავს „გიჟო“.

— გამარჯობა, ექიმო! — „ძველ ნაცნობს“ ესალმება და ინტერესით შეჰყურებს სარკეში მაცქერალს.

— რაო, ეტაპში წასვლა არ გინდა? — კითხვა მიახალა ლამაზმა ქერამ.

— მე სხვა საკითხზე გაწუხებ, — მოუჭრა მოსულმა.

— მითხარი, რა საკითხია?

— პირისპირ უნდა ვილაპარაკოთ! — დამჯერებლად ეუბნება ქურდი.

— საიდუმლო საქმე ჰქონია, — თვალის ჩაკვრით ამბობს ექიმი, — დაგვტოვეთ!

პატარა ტანის შავთვალება ექთანი, ეშმაკურად ულიმის „გიჟოს“ და გადის, მას მიჰყვება ჯარისკაცი.

— სბა, მითხარი შენი საიდუმლო! — ეკითხება ყურადღებად ქცეული ლამაზი.

— ეტაპიდან უნდა დაგვტოვო! — აჯახა ქურდმა.

— შეუძლებელია! — მტკიცედ პასუხობს ქალი.

— შენთვის შეუძლებელი არაფერია!

— არის, რადგან ეტაპი გენერლის ბრძანებით არის შედგენილი.

— მე როგორც ვიცი, განაწესით მხოლოდ ფულით გადმობირებულები მიჰყავთ, ვინც თანახმაა მძიმე სამუშაოზე!

— ეს რეციდივისტებს არ ეხებათ! — ცრუობს ექიმი, თუმცა იცის, პატიმარმა სიმართლე უთხრა.

— შენ უნდა გააკეთო! — მკაცრად ეუბნება ქურდი.

— მიბრძანებ? — ირონიულად უღიმის ლამაზი მარუსია.

— არა, თხოვნაა, იმიტომ, რომ, — უჩვენებს ჯიბიდან ამოღებულ ბრილიანტის თვლიან ბეჭედს, — შენისთანა ლამაზის ბროლის თითებს აი, ეს უნდა ამშვენებდეს!

ქალის სახე ინტერესით აენთო, ხოლო როდესაც ქურდმა თითზე ბეჭედი წამოაცო და ძვირფასმა ქვის სხივებმა თვალი მოჭრა, ლამაზი სახე მტაცებლისას დაემსგავსა. ფიქრმა, ბეჭედი როგორ დაესაკუთრებინა, ცისფერ თვალებში გველის ცივი მზერა ჩაუყენა. „გიჟომ“ უკან დაიხია, თითქოს ქვეწარმავლის შეეშინდაო.

— კარგია, — სულშეგუებებული ამბობს მტაცებლად ქცეული გველის ცივი მზერა, კარგია, — იმეორებს და თვალს ვერ აშორებს ძვირფას ნივთს.

— კარგი რომ არის, ამიტომ უნდა გააკეთო, — უჩურჩულებს, ბრილიანტის „ჯადოს“ შედეგით კმაყოფილი ქურდი.

— კარგია, — აღტაცებას ვერ მალავს და მის სახეს სევდა შავი ვუალივით ჩამოეფარა, — რომ ვერ გავაკეთო?

— თუ მოინდომებ გააკეთებ! — აქეზებს ქურდი, — კანონა ჩვენს მხარეზეა, ეს ბეჭედი კი სულ ცოტა ორმოცი „ნაჭერი“-ათასი, მაინც ღირს!

— კარგი. — მღელვარედ ამბობს ქალი და მარჯვენა ხელს მთელი ძალით უჭერს ბეჭედწამოცმულ მარცხენას. უჭერს, რომ უკეთ შეიგრძნოს ბრილიანტის სიახლოვე, — დაგტოვებ, მხოლოდ, ერთი სიტყვა! — აწეული თითის ტუჩებზე მიდებით აფრთხილებს მარუსია.

— „გიჟოს“ დღეს პირველად იცნობ, — თავს იწონებს ქურდი.

— ვიცი, ვიცი...

ქურდმა, კარები, შიგ ჩატოვებული გასაღებით ჩაკეტა და მაგიდაზე ძაუყარა „ობშჩიაკზე“ შეგროვილი. ქალი განძეულის სიმდიდრემ გააოგნა.

— ეს ყველაფერი შენია! — ჩურჩულებს ქალის სიხარბით გახელებული ქურდი.

— ჩემი? — არ ჯერა ქალს.

— შენი. ერთი პირობით, ამ ეტაპზე არცერთი ქურდი არ უნდა წავიდეს! — გადაჭრით მოითხოვს „გიჟო“.

— მე მხოლოდ შენ... — სიტყვა არ დაამთავრებინა ქურდმა.

— დამიბრუნე, ბეჭედი! — მკაცრად მოითხოვს ქურდი.

— რატომ? — ნირი წაუხდა ქალს.

— ეს ყველაფერი შენია მაშინ, თუ ეტაპზე არცერთი ქურდი

არ წავა! — იმეორებს ჰატიმარი. ქალი გრძნობს, უარის შემთხვევაში ქურდი მოტანილს უკან წაიღებს.

— კარგი, კარგი. გავაკეთებ! — ძვირფასეულებით მოხიბლულს სუნთქვა უჭირს.

— ეს კი ჩვენებური პასუხია, — დაკმაყოფილდა „გიჟო“. ახლა კი თავს ნება მისცა, ქალის დეკოლტედან ამობურთული ვარდისფერი სხეულისათვის თვალი ჩაეყოლებინა. ლამაზის გამოცდილმა თვალმა წამსვე შენიშნა პატიმრის „მოშივებული“ მზერა. ჯერ უფრო მეტად გამოუჩინა „ნანატრი“ სხეულის ნაწილი, შემდეგ უცებ გაუღო კარები:

— გავაკეთებ! — ამბობს ქალი და უცებ მოაგონდა, რომ ძვირფასეულობა მაგიდაზე დარჩა. ქურდის მოტანილს უჯრაში ყრის, — წადი, გავაკეთებ!

— ექიმო, რაც მომიტანია ქურდების საკუთრებაა, ღალატის შემთხვევაში!..

— გითხარი, გავაკეთებ! — ქალმა გაუღო კარები. დეკოლტედან მეტად გამოუჩინა თბილი ვარდისფერი სხეული.

— მჯერა, — ამბობს ქურდი და კარებში გამოსულს, მზერა ქალის მკერდზე, ბუზსაჭერზე ძაკრული ბუზივით რჩება.

ქალმა კვლავ ჩაკეტა კარები... გამოიღო უჯრა. განძეულს აღტაცებული დასცქერის: „ღმერთო, ეს რომ ხელიდან გავუშვა, რა ღათ მინდა სიცოცხლე?“ — ყოველ ნივთს ცალ-ცალკე მოეალერსა. „ასეთი შემთხვევა სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ თუ მოგეცემა. რა გზითაც არ უნდა იყოს, უნდა დავიტოვო!“ შეწყია უჯრა. დგას და ფიქრობს. კონკრეტულად არ იცის რას. ფიქრები აერიენენ. არა და არ იქნა, ფიქრებში ნათელი ვერ გამოკვეთა: „რადაც არ უნდა დამიჯდეს უნდა გავაკეთო, მაგრამ როგორ?“ — ძლივს მოისაზრა: „გაბედოს და მითხრას უარი!“ — მიდის ტელეფონთან. იღებს ყურმილს. კრეფს ნომერს: „ნო!.. სასწრაფოდ უნდა მოხვიდე!.. აქ, ჩემს კაბინეტში... 'არა, აქ გეტყვი... გაიგე, არ შეიძლება!.. არცერთი წუთი, ახლავე!“ — დაახეთქა ყურმილი: „იდიოტი!“

არეული ფიქრები.

გადის რამდენიმე წუთი...

კიდევ რამდენიმე წუთი... კარებს ვიღაც აწვება. კარებთან მისული ქალი გაქვავდა, ისე როგორც გაქვავდებიან გამდნარ ფოლადთან მისულები: „თუ სხვა არის?“

მიდის მაგიდასთან. შესწია განძიანი უჯრა. კარებთან შეჩერდა:

— რომელი ხარ?

— მე ვარ, — მოისმა ნოეს ხმა. გააღე კარები. შემოდის ნოე თორია. შემოსული ცოლს ამჩნევს უჩვეულო აფორიაქებას. შეშინებული ეკითხება:

— რა მოხდა?

— დაკეტე კარები! — ბრძანებს მტაცებლად ქცეული ქალი.

— რა მოხდა? — გაკვირვებული კითხულობს ცოხის უფროსი და თან ქალის მორჩილი, გასაღებით ჩაკეტავს კარებს.

ქალი მაგიდაზე ალაგებს ქურდის მოტანილს:

— გინდა ეს ყველაფერი ჩვენი იყოს? — ეკითხება გაოგნებულ ქმარს.

— საიდან?

— მე გეკითხები, გინდა?

— რა უნდა გავაკეთო?

— ამ ეტაპზე არცერთი ქურდი არ უნდა გაუშვა! — ამბობს და ქმარს უსწორებს მტაცებლის თვალებს.

— მე ეს არ შემიძლია!

— ნო! — მკაცრად ამბობს ცოლი...

— გაიგე, ძალა არ შემწევს! — ამბობს გველის შიშით დადამბლავებული ნოე თორია.

— და შენც მამაკაცი გქვია? — აშკარა ზიზღით ეუბნება ცოლი ქმარს.

— მარუსინკა, — სცადა მეუღლის მოფერება ქმარმა.

— უნდა გააკეთო! — ამბობს ქალი და მარჯვენა ხელით ეალერსება ძვირფას ბეჭედს.

— კი, მაგრამ, როგორ?

— მე ქალი ვარ და არ ვიცი, ვიცი უნდა გააკეთო!

— ისე რომ დავიტოვოთ? — ბოროტმა ღიმილმა სახე დაუბრიცა თორიას.

— იყვირებენ!

— მაშ...

— ... ჯობს...

— რა?

— არა, არა, არ ვიცი, ნოიჩიკ, ვიცი მხოლოდ ერთი, რაც ხელით მიჭირავს ვერ დავთმობ!

— კი, ბატონო, ჯერ კიდევ დრო გვაქვს. მოვიფიქროთ!

ახლად მოსულმა აზრმა ქალს გონება გაუნათა:

— იქნებ მე ვთხოვო? — ხმამაღლა ამჟღავნებს თავის ფიქრს ქალი.

— რა თქვი? — სიტყვები კარგად ვერ გაარჩია ქმარმა.

— ... ის ისეთი წუწკია... — ხმამაღლა თქვა და შემდეგი სიტყვები ფიქრში განაგრძო: „როდესაც ხელზე მკოცნის მთელი სხეული ციებიანივით უცახცახებს... თუ საჭირო იქნა!“ — და შეწყვეტილი აზრის სანაცვლოდ, თავი, საკუთარ ლოგინში ქლოშინასთან ერთად წარმოიდგინა... ზიზღი და ვნება ერთმანეთში აერია: „თუ დამთანხმდა, ერთხელ მაგასთან წოლით არაფერიც არ მომივა, სამაგიეროდ უამრავი სიმდიდრე დამრჩება!“...

— ო, ზარატუსტრა, რა კარგად ნაცნობხარ ქალებს!?

ქმრის შეშინებულმა სიტყვებმა ცოლი ფიქრებისაგან დაიხსნა:

— რა თქვი, საყვარელო?

— შენ შენი მხრით ეცადე, მე ჩემსას ვცდი. მაგრამ გახსოვდეს, ეს რომ დავკარგო, — ქალმა ხელი განძეულისაკენ გაიშვირა, — შენს გვერდით ველარ მიხილავ!

— რას ამბობ, მარუსინკა? — ცოლის სიტყვებით თავზარდაცემულმა ციხის უფროსმა ძლივს მოახერხა სიტყვების წარმოთქმა.

ცოლმა სწრაფად, ფრთხილად და მოხერხებულად განძეული აბრეშუმის თავსაბურავში გამოახვია:

— ეს არის ჩემი საბოლოო სიტყვა! — თქვა და ოთახიდან გავიდა.

— საით, მარუსინკა? — ციხის უფროსის სიტყვები ჰაერში გამოეკიდა.

სიკვდილიც სიცოცხლის ნაწილია

მზე ჩვენი პლანეტის სიცოცხლის წყაროა!

მზის სხივი ატანს მიწის სიღრმეს და აღვივებს მასში ჩაგდებულ თესლს, რომ იხაროს და ნაყოფი მოისხას.

ყოველი, რაც იბადება, იზრდება, სავსედ იფურჩქნება, შემდეგ ბერდება, კვდება და იხრწნება. სახარებაში წერია: „თესლი, რომელიც არ გაიხრწნება, ნაყოფს არ მოგცემს“, ამიტომაც სიკვდილიც სიცოცხლის ნაწილია.

ჩრდილი მხოლოდ სიცხით დათანგულს შველის. დიდი ხნით ჩრდილქვეშ მოქცევა გაფერმკრთალებაა, ანუ სიკვდილისაკენ პირის მიბრუნება.

ღვთის ნებით, მზე ერთნაირად აცხუნებს კეთილსა და ბოროტს.

დილეგი, ამ ქვეყნად ადამიანის მიერ მოწყობილი ჯოჯოხეთის ნაწილია, სადაც დანაშაულისათვის ათავსებენ ადამიანებს, მაგრამ არავის აქვს უფლება ცოცხალს წაართვას მზე. არცერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსში არ წერია დამნაშავენი სასჯელით გათვალისწინებულზე მეტად დაისაჯონ!

გულაგში თავს იყრიან ბოღმა-ჯაცუნები და თვითნებობის წყალობით, რომელიც ამ სისტემაში ასე საოცრად არის გახარებული, იკლავენ სატანურ წყურვილს — აწამებენ ადამიანებს. აქ ყალიბდებიან სადისტები.

გულაგის მომსახურეთა უმრავლესობა მსხვერპლის წამებით ერთობა. ყოველი მიყენებული ტკივილი იწვევს ბოროტი სუბიექტის აღტყინებას. ვით ნადირს ახელებს ეშვის გამოკვრით გაფატრული სხეულიდან გადმოდენილი სისხლი, ასევე მას — ჯალათს — აღაგზნებს უბედურის წამება.

(ღმერთო, საიდან ადამიანის ადამიანისადმი ამდენი ბოღმა და გაბოროტება?!)

ოცნება!

ოცნება მზის მსგავსი მაცოცხლებელი ძალა.

ჩვენს სახელმწიფოში ადამიანთა ოთხმოცდაათი პროცენტი მხოლოდ ოცნებით აღწევს სიხარულს. ოცნებით იკლავს წყურვილს და ასე იმიტომ, რომ არ გააჩნიათ რეალური სიცოცხლე.

მეტად ღარიბი და მეტად საოცარი არსებაა ადამიანი. ღარიბი იმიტომ, რომ უმეტესი დარჩენილია ბუნების ამარა, საოცარი იმი-

ტომ, რომ გააჩნია უდიდესი ძალა, — სიკვდილმისჯილსაც კი შეს-
წევს ძალა ოცნებით შეივსოს სინამდვილით დაცარიელებული სუ-
ლი მაშინაც კი, როდესაც ჯალათს მიჰყავს დასახვრეტად, სიკვდილ-
მისჯილი ოცნებობს სასწაულით გადარჩენაზე. ეს არის მისი პატარა,
მოკლე სიხარული სიკვდილის წინ. ადამიანს აქვს უნარი ოცნებით
აისრულოს ის, რასაც სიცოცხლეში ვერასოდეს ვერ აღისრულებს—
„გაიხაროს!“

არა, ოცნების გარეშე უბედურთა სიცოცხლე არ იქნებოდა
ლამაზი, მეტიც — ადამიანის სული დაემსგავსებოდა ბნელ უდაბ-
ნოს, სადაც დარიალებენ მორიელები, გველები, ხვლიკები და შხა-
მიანი ობობები.

ოცნება მხოლოდ ცოცხლებს შეუძლიათ და ის ადამიანის მა-
ტყუარა საწოვარაა!

შუადღეს. მზეს მოკლებულ პატიმრებს სძინავთ. ზოგიც ტკბილ
ოცნებებს მისცემია. სუნთქავენ „პარაშის“, ოფლისა და დეზინფექ-
ციაში გატარებული ლოგინ-ტანსაცმლის მძიმე სუნით გაჟღენთილ
ჰაერს.

... ილია პავშიზე ფიქრობს. აოცებს მისი ხასიათი: საიდან ამ-
დენი ჯიუტი პესიმიზმი, თუ სიძულვილი სიცოცხლის მიმართ?

ადამიანებს პავშიზე მეტი დაუკარგავთ, მაგრამ სიცოცხლის
ნიშანდებულ თვისებებს არ კარგავენ — შეიძლება არც ისე ხალი-
სიანები, მაგრამ მაინც ცოცხლობენ: დადიან, ეძებენ, უყვართ, ხა-
რობენ, აგროვებენ სიმდიდრეს ან დავრდომილთა ხელის მომართ-
ვით ინუგეშებენ თავს.

მაშ, რა დაემართა მიხეილ პავშის?

ილიამ, ერთი თვალის გადავლებით მოიგონა პავშის წარსული,
მისი ნაამბობი და დარწმუნდა — ამ კაცს არ გააჩნია ოცნების უნა-
რი — მისი სულისა და ხორცის პოეზია, ერთადერთი რამ, ნადეჟდას
სიყვარული იყო, ეს გახლავთ სიყვარული ოცნების, პოეზიის გა-
რეშე. დიახ, მას იმდენად უყვარდა ნადეჟდა, რომ მასში პოეზიის
ადგილს არ ტოვებდა. ეს იყო ცოცხალი სიყვარული.

ის, რაც პავშის საერთოდ სიყვარულისათვის გააჩნდა, გახარჯა
ნადეჟდას კონკრეტულ სიყვარულში და აი, დაიღუპა ნადეჟდა და
ყველაფერი დასრულდა.

ილია კვლავ მიუბრუნდა თავის აბეზარ ფიქრებს.

„ჩემთან წავიყვან სახლში... რომ არ გამომყვეს?“ — შიშით
უსვამს კითხვას საკუთარ თავს, — „გამომყვება“ — იიმედებდა თავს
ყოფილი მასწავლებელი, — „მეტად შემეჩვია, როგორც ვიცი, ჩემს
მეტი არც არავინ ჰყავს. ასე, რომ ჩემს გარეშე გაუჭირდება. მასზე
რამდენიმე დღით ადრე ვთავისუფლდები. რა მოხდა, მოვუცდი და
ერთად წავალთ“ — მოაგონდა, თუ რა გახარებული ინტერესით
იგონებდა ოდესაში გაცნობილ ქართველს, — „არა, არა, ჩვენთან
წავიყვან“. — და ეს აზრი, როგორც მასპინძელმა, მე პირველმა
უნდა მივაწვდინო... „კი, კი, ასე აჯობებს, სხვა შემთხვევაში, ისეთი

თავმოყვარეა, შეიძლება შეურაცხყოფად მიიღოს და არ წამოვი-
დეს“.

გადახედა მძინარ მეგობარს. სახეზე ბედნიერი ღიმილი მოე-
ფინა: „რა სულელი ვარ, განთავისუფლებამდის ჯერ კიდევ დიდი
დროა, ამ ხნის განმავლობაში ვინ იცის, კიდევ რა და როგორ შე-
იცვლება: ხომ შეიძლება გავცივდე და მოვკვდე?“ — წარმოიდგინა,
აქ სიკვდილი და დასაფლავება... ის სასაფლაოს მსგავსი ადგილი,
ოთხი გაუშალაშინებელი ფიცრისაგან ნაჭედ კუბოში ასვენია მისი
ფერდაკარგული შიშველი ნეშტი, — (აქ მესაფლავეები ტანსაც-
მელს თავისთვის იტოვებენ).

წარმოუდგა საკუთარი თავის დასაფლავება და შეებრალა დე-
და. ასე ეგონა, ცრემლები, რომელიც მას მისი სიკვდილის წარმო-
დგენით გაევსო თვალის უპეები, დედის ცრემლები იყო.

გაუკვა ფიქრებს, დედის გახსენებაზე მოაგონდა პირველი სიყ-
ვარული. მთელს ტანში საოცარი სითბო ჩაეღვარა. გაღიმა და მის
მეხსიერებაში გაცოცხლდნენ საამო სურათები: პატარა არის ილია.
ალბათ, ხუთი წლის. შემოდგომის პირველი დღეა, უჩვეულოდ
მზიანი, წინანდალში დედა და შვილი ჰავჰავაძეების სასახლის პარკ-
ში შედიან. დედას უჭირავს მისი პატარა ხელი. პარკში შემოსულთ
შემოეგება ჩაის ვარდის ზღაპრული სურნელი. ღვთიური არომატით
დაბანგულთ გამოეგებნენ ვიღაც ქალი და პატარა, წითელკაბიანი
გოგონა.

ქალმა, რომელმაც დედა გადაკოცნა, უთხრა: „გაიცანი, გუგუ-
ლი“ და ილიაც გადაკოცნა. წითელკაბიანი გოგონა იცინის. ილია
იშმუშნება. გოგონა თამამია, მოჰკიდა ხელი და მიყავს ყვავილნარ-
ში... მისდევენ პეპლებს...

ეს იყო პირველი დღე, მის ერთ ბედნიერ სიცოცხლეში, როდესაც
იგრძნო საოცარი ბედნიერება.

არ ვიცი, პოეზია რით განსხვავდება ქართველი კაცის ოცნე-
ბისაგან.

შწამს, ოცნება — ეს პოეზიაა!

არა, ღმერთის გარეშე შენი მოვლენა შეუძლებელი იყო და
ამიტომაც შენი მისია ღვთის მიერ გამიზნულის ამქვეყნად კეთებაა...
და ვაი, რა წარღვნა მოგვევლინება იმ დღეს, რომელსაც შენი მოუ-
თოკავი გონების აღვირი დარჩება შენივე ჯიშის რაინდის მტკიცე,
ქრისტიანული მარჯვენის გარეშე!

კოსტია ხვდება გენერალ როდიონოვის სვლებს

— გავიგე, „გორილასაც“ ამ ეტაპით აგზავნიან, — ამბობს
„კრისა“.

— ამ ნაგავს უჩვენოდაც მოუვლიან, — პრაქტიკულად ასკვნის
„ვალეტი“.

— ეტყობა, ამ ბინძურმა კარგა ბლომად დაუშავა, თორემ ასე
არ გაიმეტებდნენ, — ამბობს „თამბეგა“.

— მეტი რაღა გინდა, თავის მძორის გადასარჩენად „ინტელიგენტისაგან“ წაღებული ფული სულ მაგათთვის ჩაუბარებია, — ვარაუდობს „კრისა“.

— მაშ, რა ეგონა, შერჩებოდა? — ბრაზობს „სმეხი“.

— ცხადია, იუდას არავინ არ გააჩერებს, აბა, ვის უნდა ზედმეტი მოწმე? — საქმის ცოდნით ამტკიცებს „ვალეტი“.

— ეჭვიც არ მეპარება, — ამბობს კოსტია...

გაიღო კარები, შემოდის გახარებული „გიჟო“.

— როგორ არის საქმე? — ეკითხება მოუთმენლობით სულწასული „ვალეტი“.

— აი მომენტ, — ამბობს სიხარულით თავბრუდახვეული „გიჟო“, თან საკუთარ სიმღერაზე აწყობილი ცეკვისმაგვარი მოძრაობით ჩაუსკუპდება ქურდებს.

— აღარ იტყვი? — სული დაელია „კრისას“.

— ქურდებო, ერთი იმ ქალთან ლოგინში მაგორავა და მერე...

— ძმაო, შენ ჩვენს მოთმინებას ცდი? — იღრინება „ვალეტი“.

— ერთი შენი თვალები მოწამლულიყო იმისი ფაფუკი ვარდისფერი სხეულით, მერე ვნახოთ, როგორ იჭიკჭიკებდი!

— მართლა გიჟია ეს ოხერი, — მოთმინებას ჰკარგავს „თამბეგა“.

— „თამბეგ“-ჯან, მართლაც, რომ გიჟი ვარ, იმ ბემურაზმა გამაგიჟა!

— აღარ იტყვი? — ღელავს „კრისა“.

— აზრზე მოდი, ხიდზე გადი, როგორი „ობსილა“ გინდა, ქალმა ჩემნაირ დამშეულს „ვიტრინაზე“ ბარძაყები გადმოგილაგოს?.. გესმის, შენი თავი შენ უნდა დაიჭირო. მახლას, ასეთ რამეს, თუ სიკვდილი არ სჯობდეს, — ლოყაზე ხელი მიირტყა, — აი, ეს მოკვდეს...

— გასაგებია, „გიჟო“, მაგრამ ხალხი პასუხს ელოდება, — სერიოზულად უხსნის კოსტია...

— კი, ბატონო, ვიწყებ, საქმის ბოლო რომ იცოდეთ, აიღო!

— „საღოლ“! — მოწონების ნიშნად გაისმა „ვალეტის“ შეძახილი.

— ყველანი ვრჩებით? — კითხულობს „კრისა“.

— ყველანი „კრისა“-ჯან, ყველანი! — ნახევრად სიმღერით პასუხობს „გიჟო“.

— აი, ახლა კი ერთი სიტყვაც არ გამოტოვო, რამდენჯერ, როგორ და რანაირად გიჩვენა ვარდისფერი ბარძაყი... — „სმეხს“ წინადადების დასრულება არ აცალა „ვალეტმა“.

— ძუძუებიც როგორ გადმოგიყარა, ისიც მოყევი!

— თქვენც არ შამაწყვეტინოთ, თორემ იმ ოხერმა, ისედაც დაბნეული ჭკუა სუმთლად ამირია. „მახლას“, „დუბაკმა“ (ბადრაგი) შამიყვანა. მე ვებნები: დარაგოი მარუსია პავლოვნა, შენთან პირისპირ უნდა ვილაპარაკო, იმანაც შავთვალა ექთანი ციცო და „კანვოი“ გარეთ გაისტუმრა... გავიდნენ და ისიც მებნება: „აბა, მითხარი რა

გინდა?“... მე ვებნები: „უნდა დამტოვო“, ჯერ იცინა, შემდეგ მებნება: „არა“... მე სერიოზნი სახეს ვიღებ და ვებნები: „გააკეთებ!“... მებნება: „არა!“ მაშინ ვიღებ „თამბეგას“ მიერ მოცემულ ბეჭედს და შორიდან ვუჩვენებ, ბრილიანტის სხივები ჭკუას ურევენ. ბასტა! ვგრძნობ დარტყმის დროა, ბეჭედი თითზე წამოვაცვი. მიქელანჯელოს „სკულპტურა“ გინახავს, ისე გაშეშდა. ვა, შამეშინდა, ვფიქრობ, ჭკვაზე ხომ არ შაცდა მეთქი? დგას გაშეშებული და ხმას ვერ იღებს... მებნება: „კარგი, დაგტოვებ!“... მე ვებნები: „მე მართო არა, ყველანი!“ ის მებნება: „არა, საქმეში გენერალია ჩარეული“... მაშინ არც ვაციე და არც ვაცხელე, ვებნები: „მაიტა ბეჭედი!“... ის ორივე ხელს გულში იხუტებს და მებნება: „მაიცა“, ამ დროს ვკეტავ კარებს და რაც „ობშჩიაკზე“ შაგვიკრეფია, მაგიდაზე ვაწყობ. აი, თვალები, პროექტორივით გაუხდა...

— აი, საღოლ! — „გიჟოს“ ტაქტიკურ დარტყმას იწონებს „ვალეტი“.

— თვალები, აი გიჟი კობრა რომ არის, ისეთი გაუხდა!

— მაშ, რა მოუვიდოდა, ამოდენა რამე ერთად რომ აჯახე! — ამბობს „სმეხი“.

— ჩემიამზეკ, შამეშინდა, ვამბობ, ვაი თუ გაგიჟდა... ბოლოს როგორც იყო ენა ამაიდგა და მებნება: „კარგი დაგტოვებთ!“ — თანაც ის სატანამ ძუძუები ლამის სუმთლად არ გადმომიყარა... შემდეგ ვითომ ეგ რა მამივიდაო... ვითომ ფარავს, ის კი უფრო მეტად ჩანს. ძიეხვდი, ყველაფერს „ზაკაზად“ აკეთებს... მემრე, ვითომ „ჩულქებს“ ისწორებს, ბარძაყები ლამის წელამდის გაიშიშვლა, ვაიმე რაც მე მამივიდა...

— რა მოხდა? — კითხულობს მოყოლის ეშხით დაძაბული „სმეხი“.

— ... ნიფხავიდან სამოთხის კარებში შესასვლელი მუჭი ფერი არ დამელანდა...

— თუ მართალს ამბობ, დაიფიცე! — ეჭვობს „კრისა“ „გიჟოს“ მონაყოლს.

— ერთი ტყუილი თუ ვთქვა, არ მეღირსოს თავისუფლება! — გულწრფელად ამბობს „გიჟო“.

— ძაინც არა მჯერა! — ამბობს „ვალეტი“.

— ეგ ოხერი, ისე ყვება „კაიფში“ ჩამაგდო, აცალეთ რა! — თხრობის შეწყვეტით განაწყენებული იმდურება „სმეხი“.

— ხალხმა იცის, „გიჟო“ ტყუილს არ იტყვის!

— მიდი, გააგრძელე, — ვეღარ ითმენს „სმეხი“.

— „მახლას“ ლამის სული წავიწყმიდე...

— უნდა გერეკა, მაგისი დედაც ვატირე! — გიჟდება „სმეხი“.

— მართო ჩემი საქმე რომ ყოფილიყო, კიდევ ხო, ხალხს ვღუპავდი!

— რას გიზამდა?

— რომ იყვიროს? — „იხნასილოვალი?“ რას შვები?

— ეგლა აკლია, ქურდი „იზნასილოვანიაზე“ დაჯდეს! — დინჯად ასკვნის „თამბეგა“.

— მაგის დედაც ვატირე, კაცი ერთხელ ცოცხლობს და ერთხელ კვდება! — პასუხობს „სმეხი“.

— მორჩი? — „გიჟოს“ ეკითხება „თამბეგა“.

— „მახლას“, სიტყვა მამცა დაგტოვებთო, მეც წამოვედი.

— რას იტყვი, კოსტია? — მომხდარის გაანალიზებას ცდილობს „თამბეგა“.

— კარგია, — მცირე პაუზის შემდეგ ასკვნის ატამანი, — მაგრამ სიფრთხილე მაინც გვმართებს!

— აიღო, „ატვეჩაია!“ — ქურდულად აზროვნებს „კრისა“.

— რომ აიღოს და გაგაგზავნოს კიდეც, რას შვები? — კითხვას სვამს ატამანი.

— ეს ისეთი ხალხია ყველაფერს იკისრებენ! — კოსტიას სიტყვას უდასტურებს „სმეხი“.

— როგორ, ნამუსი აღარ არის? — უკვირს „კრისას“.

— ჩეკისტის, ისიც ჭალის, ნამუსი გაგონილა? — ცხარობს „სმეხი“.

— მართალია კოსტია, დიდი სიფრთხილე გვმართებს, — მხარს უჭერს ატამანს „თამბეგა“.

— ყველა შემთხვევისათვის მზად უნდა ვიყოთ! — ამბობს კოსტია.

— მზად უნდა ვიყოთ, სხვანაირად არ შეიძლება! — იმეორებს „ვალეტი“.

— მზად ვიყოთ, მზად ვიყოთ, რა „გეტეოს“ ნორმებს ვაბარებთ? — „შაყირობს“ „სმეხი“.

— ქურდებო, საქმე სერიოზულადაა, მოდი დავსხდეთ და კიდევ ერთხელ ვილაპარაკოთ, — შემოაქვს წინადადება „თამბეგას“.

— ყველამ გამოთქვას თავისი აზრი, „სხოდკამ“ კი დაასკვნას! — წერტილს უსვამს კოსტია.

— პირველი სიტყვა კოსტიამ თქვას, — „სხოდკას“ იწყებს „თამბეგა“.

— ჯერ არ ვიცით, ექიმი რას და როგორ მოიმოქმედებს, მანამ კი, ჩემის აზრით, არცერთი ქურდი კამერიდან არ უნდა გავიდეს!

— სწორია, თუ ერთად ვიქნებით უკანონოს ვერ გაგვიბედავენ! — ატამანს ეთანხმება „თამბეგა“. — კიდევ ვის აქს სიტყვა?.. არავის?.. გადაწყდა, სანამ ეტაპი არ გაიგზავნება არცერთი ქურდი კამერიდან არ გავა! — ასეთი გადაწყვეტილების შემდეგ ქურდები თავთავიანთ ადგილებზე მოთავსდნენ...

— იოსებ! — „შაყირს“ არ ეშვებოდა „პერეპიოლკა“, — ლიოხამ ან იმერელმა რომ გითხრას ცხრაჯერ ადექი და ცხრაჯერ დაჯექიო, რას იზამ?

— პატიმარი ვარ დაგენაცვლე, რას ვიზამ და ცხრაჯერ ავდგები და ცხრაჯერ დავჯდები...

არ არსებობს ბოროტება, რომელსაც ერთი ფეხი მაინც არ აკლდეს

ციხის ოპერრწმუნებულის მაგიდასთან ფორმაში გამოწყობილი გენერალი ზის. ზის მედიდურად. სახეზე ნათლად ეხატება ქვეშევრდომებისადმი ბატონკაცური დამოკიდებულება, თუმცა ხშირად კატის კნუტივით მოიკუნტება. ასე კი მაშინ ხდება, როდესაც ვინმე გაბედავს და გადაკვრით მოაგონებს, რომ კამერაში მომხდარი მკვლელობა მისი „გენიალური“ ოპერაციის შედეგი იყო... იჯდა გენერალი და ნანობდა. ნანობდა უსაშველოდ, ეს რა დამემართაო. ახლა ზის და ფიქრობს, საკუთარი დანაშაული როგორ დაფაროს, მაგრამ იცის, კვალის დაფარვა მარტო არ კმარა, თავის დანაშაულში უნდა ჩაითრიოს ყველა, ვინც მოწმეა მისი დანაშაულის, რათა შემდეგში ვერავინ შესძლოს მისი წამოყვედრება.

ზის ამხანაგი, ზოგისთვის მოქალაქე გენერალი და ობობასავით ქსოვს აბლაბუდას, მაგრამ ქვეშევრდომები ფრთხილობენ: ვინ არის გიჟი, თავისთავზე აიღოს სხვისი ცოდვა?!

აქვე ზის იუსტიციის მესამე კლასის მრჩეველი იაკოვ ლვოვიჩი ლოზინსკი, რომელიც გულაგის ხელმძღვანელობამ მკვლელობის გამოსაძიებლად მოავლინა. ამ ორი მაღალი რანგის ფიგურის გარშემო შემოკრებილან ციხის უფროსი ნოე თორია, ოპერი ძიკა სერგია, გამომძიებელი ზორო აშორდია. თითოეულმა მათგანმა იცის, „ინტელიგენტი“ „გორილამ“ ფულისათვის მოკლა, ახლა კი სხედან და აზრობენ, ვის რამდენი ერგება. ოპერი და ციხის უფროსი თანახმანი არიან — არ აიღონ წილი, სამაგიეროდ დაწინაურებას თხოულობენ, რაზეც გენერალიც და მრჩეველიც თანახმა არიან.

გენერალი დარწმუნებულია და ცდილობს სხვებიც დაარწმუნოს, რომ კოსტიას მოშორებით დანაშაულის კვალი ჩაიფარცხება.

მაგიდასთან მჯდარმა გენერალმა თავისი საწუხარი ფიქრი დაასრულა, თანაც მოიფიქრა, რა სიტყვებით დაეწყო პატიმართან საუბარი.

— შემოიყვანეთ! — ბრძანა საყელოშეხსნილმა ჩინოსანმა და სცადა მიეღო საპატიო და მრისხანე სახე, რადგან დარწმუნებული იყო, ასეთი დახვედრა გავლენას მოახდენდა მღვდელზე.

ბადრაგმა შემოიყვანა მამა თედორე.

— თავისუფალი ხარ!

— არის! — ორი სიტყვა ორი გასროლასავით წამოისროლა ახალგაზრდა ჯარისკაცმა და სამხედრო წესით გავარდა.

— რაზე ზიხარ? — შეეკითხა მღვდელს იუსტიციის მესამე კლასის მრჩეველი.

— ავადმყოფს ლოცვა ვურჩიე, — მორიდებით უპასუხა ხმადაკარგულმა პატიმარმა.

— თაღლითი ხარ?

— ლოცვა განა თაღლითობაა? — განაწყენდა მღვდელი.

— მაშ, რა არის, თუ კი წამალზე ხელს ააღებინებ და ლოცვას დააწყებინებ?

— წამლების სმა მე არ ამიკრძალია!

— ხომ ატყუებდი?

— ნუ მაკადრებთ ასეთ სიტყვას.

— განა არ იცი, რომ ცარიელი სიტყვებით არცერთი ავადმყოფობა არ ინკურნება?

— ვერ დაგეთანხმებით, — მოკრძალებით, მაგრამ მტკიცედ მიუგო თედორემ.

— მაშ, გჯერა, რომ ცარიელი სიტყვებით ჰკურნავენ? — ირონიით კითხულობს იუსტიციის მესამე კლასის მრჩეველი.

— მოქალაქე უფროსო, ლოცვა ცარიელი სიტყვა როდია...

— მაშ, რა არის? — გაოცდა პროკურორი.

— ლოცვა რწმენაა!

— რწმენა?

— ლოცულობს ის, ვისაც სწამს. წარმოიდგინეთ, გაჭირვების ჟამს, სხვა გამოსავალს რომ ვერ პოულობს, ურწმუნონიც კი ლოცულობენ.

— შეიძლება, მაგრამ რას შველის?

— შველის! — მაშა თედორეს სიტყვებმა გააოცა მრჩეველი.

— თუნდაც თქვენი მარქსი, ხომ ასაბუთებს, რომ რწმენა, სხვა რომ არა იყოს რა, შობს იმედს, იმედი კი ორგანიზმს ახალისებს, მობილიზაციას უკეთებს ორგანიზმის ყველა რეზერვს, რაც აუცილებელი პირობაა სნეულებასთან საბრძოლველად, სხვაც არა იყოს რა, ყველა ჩვენი წინაპარი ლოცვამ მოიყვანა დღევანდელ დღემდის!

— მაშ, ლოცვამ რატომ ვერ უშველა რომანოვებს? — სცადა თავის გამოჩენა მრჩეველმა.

— მაპატიეთ, მაგრამ უნდა გითხრათ, აქაც ცდებით.

— ვცდები, რატომ?

— ლოცვა რა შუაშია, ღმერთს შველა არ სურდა?

— არ სურდა? — გააოცა მღვდლის ახალმა თეორიამ პროკურორი.

— ერთი ის არის, რომ ღმერთი წუთისოფლად ცდის ადამიანს, მეორეც ის, რომ უზომო ფუფუნებამ გარყვნა ჭაბატონებული კლასი, გარყვნამ კი, როგორც ყოველთვის, გონება დაუბნელა უპირატეს მდგომარეობაში მყოფთ, დაიწყო ჩაგრულთა თვითნებური წამება, რაც ღვთის მიერ დადგენილი ნორმების საწინააღმდეგოა!

— თქვენი სიტყვით კომუნისტებიც და ღმერთიც ერთი იდეისათვის იბრძვიან?

— არა, კომუნისტები ღმერთს სიმართლის ფორმულას დაესესხნენ!

— დაესესხნენ?

— რევოლუციამ ღვთის სიმართლე თავისად გამოაცხადა და ბრმად აყოლილ ხალხს სისხლის მდიმარეები აღვრევინა!

— უსისხლოდ ვერ გავიმარჯვებდით!

— სწორს ბრძანებთ, ღვთის სიმართლე კი აიტაცეთ, მაგრამ განახორციელეთ სატანას გზით!

— სატანას?

— ნუ გიკვირთ, სისხლი სატანასია, ღვთის გზა შეგონებაა!

— შენ, გატყობ, პოლიტიკური ბრძანდები! — დაემუქრა მრჩეველი.

— დაჯექი! — მშრალად უბრძანა პატიმარს გენერალმა, რადგან სწორედ ეს მომენტი ცნო პატიმრის დასამუშავებლად. დიახ, პატიმრის მიერ პოლიტიკური ლაფსუსის დაშვება გენერლის თულფი იყო, — „გაბედოს და არ გააკეთოს რასაც ვეტყვი!“

— ვიცი, ღვთის მსახური ხარ.

— დიახ, მოქალაქე უფროსო, — რიდით მიუგო მღვდელმა.

— ისიც უნდა იცოდე, რომ მთავრობის გინების უფლება არ გაქვს!

— მე...

— ლენინს სატანა უწოდე!

— ლენინის სახელი არც კი მიხსენებია! — ლამის ატირდა მამა თედორე.

— ვიცი, ვიცი, რაც არის მაგ შენს გონებაში... — უღრენს პროკურორი.

— მჯერა, შეგეშალა და, როგორც ღვთის კაცმა, ჩვენთან ერთად ერთი კეთილი საქმე უნდა გავაკეთოთ, თანახმა ხარ?

— კეთილი საქმისათვის შემიწირია მთელი ჩემი სიცოცხლე!

— ნუ თაღლითობ! — იყვირა პროკურორმა...

— ჩვენი საზოგადოება უნდა დავიცვათ ბოროტებისაგან!

— რა თქმა უნდა.

— მძარცველი, ქურდი, თაღლითი, უნდა აღიგაოს პირისაგან მიწისა!

— გასაგებია...

—კუზიანს მიწა გაასწორებს! — მრისხანედ წარმოთქვა გენერალმა. საპასუხოდ მღვდელმა დუმილი არჩია, — გეძლევა საშუალება დიდი სამსახური გაუწიო ჩვენს კომუნისტურ საზოგადოებას, გსურს თუ არა?

— მე რა შემიძლია...

— რაც შეგიძლია იმას დაგავალებთ!

— თუ ასეა...

— კოსტია, „კრისა“, „თამბეგა“, „სმეხი“, „გიჟო“ ეს ის ხალხია, რომლებიც არასოდეს არ გამოსწორდებიან, — ჩინოსანმა პატიმრის დუმილი თანხმობად მიიღო, ამიტომაც უფრო დაჯერებულმა განაგრძო, — გახსოვთ, თქვენს კამერაში, რომ მკვლელობა მოხდა?

— იმ საშინელ ღამეს რა დამავიწყებს! — ღვთის კაცმა პირჯვარი გადაისახა.

— მაქეს ცნობა, რომ მკვლელობა მოხდა თამაშის ნიადაგზე...
— სიცრუეა!
— როგორ?
— კამერაში მკვლელები ღამით შემოაგზავნეს...
— რას როშავ! — თავი ვერ შეიკავა მღვდლის სიტყვებით გაწბილებულმა გენერალმა, — მკვლელობა თამაშის ნიადაგზე მოხდა!
— დამიჯერეთ, მოგატყუილეს, მოქალაქე გენერალო! — გულწრფელად აღმოხდა ღვთის კაცს.
— თქვენ ასე ამტკიცებთ, თქვენი კამერიდან კი რვამ მოგვცა საწინააღმდეგო ჩვენება!
— რვავე სტყუის!
— ვერ გაბედავენ!
— არ გჯერათ, პირზე დამაყენეთ!
— შემიძლია გაჩვენო მათი დაკითხვის ოქმი, — ასეთი არგუმენტით დაბნეულმა, თუ შეშინებულმა მღვდელმა სიტყვა ვერ დაძრა, გენერალმა კი განაგრძო, — ახლა შენ დაგკითხავენ, მიეცი საჭირო ჩვენება, — პატიმართან ახლოს მიიწია და საიდუმლოდ წასჩურჩულა, — თუ კეთილგონიერებას გამოიჩენ, სულ მალე გაგანთავისუფლებ!
— გმადლობთ, — უფრო მეტად დაიბნა მღვდელი.
— დაიწყეთ დაკითხვა, სუბიექტი მზად გახლავთ! — თქვა და გავიდა გარეთ, გენერალს სხვებიც გაჰყვნენ, მაგიდასთან დარჩნენ გამომძიებელი აშორდია და შამა თედორე. აშორდიამ უსიტყვოდ დაიწყო დაკითხვა:
— გვარი, სახელი, მამის სახელი, როდის და სად დაიბადე? — გამომძიებელმა, შეავსო რა ანკეტური ცნობები, დაიწყო ოქმის კითხვა. მღვდელი გაოცდა, დაკითხვის ოქმი წინასწარ იყო შედგენილი, გამომძიებელი მხოლოდ კითხულობდა დაწერილს.
მოხუცი ვერ გაერკვა, რა ხდება, თუ სხვისი ჩვენებაა, ჩემი სახელი და გვარი რატომ დაწერეს? — ფიქრობდა და უკვირდა, რადგან ასეთი რამ ჯერ არ გაეგო.
ზორო აშორდიამ, დაამთავრა რა კითხვა, დაკითხვის ოქმი დაბნეულ პატიმარს გაუწოდა:
— მოაწერე ხელი! — უბრძანა ოქროს ეშვებიანმა.
— რას მოვაწერო? — იკითხა გაკვირვებულმა მოხუცმა.
— შენს მოცემულ ჩვენებას! — უთხრა გამომძიებელმა, თანაც თავხედურად და ირონიულად გაუღიმა.
— მე არავითარი ჩვენება არ მიმიცია, — აღელდა მოხუცი.
— ახლა არ მიკარნახე? — პირზე დაადგა გამომძიებელი.
— ღვთის შიში იქონიეთ! — შეშინებულმა მიმართა კანონის თავხედ დამცველს.
— მისმინე, აქ რაც წერია, შენ მიკარნახე! — მოგონილი ბრალდებით პირზე დაადგა გამომძიებელი ზორო აშორდია.
— რას ბრძანებთ, ერთი სიტყვაც არ დამიძრავს!

— მაშ, სიტყვა არ დაგიძრავს? — ცივად მიუგო კანონის დამცველმა, გამოდის რაც აქ წერია, მე გამოვიგონე?
— არ ვიცი ვინ, ვიცი რომ ამ ჩვენებაში ჩემი ნათქვამი ერთი სიტყვა არ ურევია! — გადაჭრით მიუგო მღვდელმა. გამომძიებელი ამ სიტყვებმა თითქოს დაამშვიდაო, ამიტომაც მღვდელს ოდნავ გაესაგონად მიმართა:
— მამაო, გირჩევ მოაწერო ხელი!
— არა, ვერ მოვაწერ! — მღვდელმა ოქმი გამომძიებლისაკენ გასწია.
— რატომ, მამაო? — კიდევ უფრო ხმადაბლა იკითხა ნაყვავილარმა ოქროს ეშვებიანმა.
— იმიტომ, რომ ეს ჩემი ჩვენება არ არის!
აშორდიას ცდა მღვდლისათვის ყალბ ჩვენებაზე მოეწერინებინა ხელი, სრული კრახით დამთავრდა. აბა, რა იცოდა სამართლის დამცველმა — გულაგელმა, რომ მორწმუნისთვის ყველაზე დიდი ცოდვა ცილისწამება იყო!?
— უკანასკნელად გაფრთხილებ, მოაწერე ხელი, სხვა შემთხვევაში, რაც მოგივა, შენს თავს დააბრალე.
— გამიგეთ, ღვთის წინაშე ცოდვას ვერ ჩავიდენ!
— რომელ ცოდვაზე ბოდავ, ბებერო? — ქოფაკივით შეჰღრინა გამომძიებელმა.
— ცილისწამებაზე! — მშვიდად მიუგო ღვთის მსახურმა.
პატიმრის პასუხზე აშორდიამ ცივად გაიღიმა, თითქოს ეს არის, პატიმრის ნათქვამი არაფრად უღირსო, მაგრამ „ალერსიანი“ სახე წამსვე ბოროტად აენთო. პატიმრისადმი სიძულვილი თვალებიდან ციცხლის ნაპერწკლებივით დაკვესა:
— მაშ, ესეც შენ! — კბილებში გამოსცრა და მოულოდნელად მობრუნებული ხელი, მთელის ძალღონით ცხვირ-პირში თხლაშა.
— უგუნურო არსო, ეშმაკი დაუფლებია შენს საბრალო სულს! — თქვა მღვდელმა და მარჯვენა ხელით ცხვირიდან გადმოსკდარი სისხლი მოიწმინდა.
— ეშმაკი? — იღრიალა ოქროს ეშვებიანმა და გახელებულმა დასცხო. ურტყამდა ხან ხელებით, ხან ფეხებით, ასე მონაცვლებით. მოულოდნელობით გაოგნებულმა მოხუცმა სიტყვა ვერ დაძრა. აშორდიამ პატიმრის დუმილი ჯიუტობად ჩათვალა. რამაც კიდევ უფრო მეტად გააცოფა. — ისე ვით ცოფდება საკბილოს სისხლის სუნნაკრავი ნადირი.
დარტყმა...
დარტყმა...
კიდევ დარტყმა...
დარტყმა მონაცვლებით, ხან ხელებით, ხან ფეხებით.
გამომძიებლის ოთახში ისმის ყრუ, გამეტებული დარტყმის ხმები, რომელსაც ხანგამოშვებით ერთვის მოხუცის უნებლიედ წამოცდენილი კვნესა,

აშორდია ურტყამს.

— ურტყამს გამეტებით!

ურტყამს გვერდებში, მუცელზე, სახეში. პატიმარი სისხლში ამოიგანგლა.

გამომძიებელი ურტყამს უსუსურს და თან საკუთარი ბრაზის გასახელებლად ყოველ დარტყმას აყოლებს: „ესეც შენ! ესეც შენ!“

წამების წუთები გრძელდება. გრძელდება მანამ, სანამ ბოროტი წყურვილს არ მოიკლავს!

არა, ოქროს ეშვებიანმა გოროზმა ჯერ ვერ დაიოკა ბრაზი!

და კვლავ ურტყამს...

ურტყამს საოცარის გამეტებით, თუმცა კარგად იცის, კანონით ცემისათვის არა თუ მარტო ორგანოდან დაითხოვენ, ციხეშიც კი ამოაყოფიებენ თავს... და მაინც ურტყამს, რადგან ამ დაწესებულებაში ასეა მიღებული, რადგან ამ დაწესებულებაში ამ პირობით მიიღეს და ასე აღზარდეს!

ბოროტი ვერ შეურიგდა პატიმრის წინააღმდეგობას!

აშორდია, რომელიც გულაგის სამსახურმა გაანთავისუფლა ყოველგვარი ადამიანური გრძნობებისაგან, ურტყამს მოხუცს, ურტყამს ისეთივე გამეტებით, როგორითაც შველის ნუკრს იმეტებს მგელი...

გამომძიებელი სცემს უკვე საკუთარი ჟინის მოსაკლავად. სცემს, რადგან მისი ჩეკას ინსტიტუტში აღზრდილი სადისტური სული კმაყოფილებას მხოლოდ მსხვერპლის წამება-ტკივილებში ჰპოვებს.

არა, ამ კაცმა არ იცის შებრალება, მის სულს დაუფლებია სატანა!

მხეცი-ადამიანი განაგრძობს ატეხილი ჟინის დაოკებას, ღვთისმოსავი კი ლოცულობდა:

„ღმერთო, რა ცოდვისათვის ჩამაგდე ამ მხეცის ხელში?“

„ღმერთო, შენს დაწყობილ ქვეყანაზე საიდან ამდენი ბოროტი?“

„ღმერთო, რისთვის დაგჭირდა ნათელ ქვეყანაზე ასეთი სატანა?“

მღვდელმა დაკარგა გრძნობა.

ოპერაცია „შამათი“

გამომძიებელმა გულწასულს ჰიქით რამდენიმეჯერ შეასხა წყალი. პატიმარი ვერ მოეგო გონს. შემოსულმა გენერალმა ფეხით გადაბრუნა პირქვე დამხობილი:

— არ მოაწერა?

— არა! — მშრალად მიუგო „ორთა ბრძოლაში“ დამარცხებულმა.

— არ შემოგაკვდეს...

— ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება, — გამომძიებელმა დარეკა ზარი. შემოვიდა ბადრაგი.

— გისმენთ რიგითი ჯარისკაცი ზასი!

— პატიმარი კამერაში!

— არის, — ბრძანება მექანიკურად გაიმეორა და ხელში ატაცებული გულშეღონებული ოთახიდან გაათრია.

— კამერაში? — გაიკვირვა გენერალმა.

— ნახონ, იქნება სხვებმა ისწავლონ ჭკუა! — გენერალს, ეტყობა, ჭკუაში დაუჯდა ოქროს ეშვებიანი გამომძიებლის ჩანაფიქრი, ამიტომაც პაუზის შემდეგ ბრძანა:

— გამოუძახეთ პროკურორს, ციხის უფროსსა და ოპერრწმუნებულს.

დუმილი. დუმილი დაძაბული.

დუმილი სიავისათვის მზადების ფიქრში.

„აღმზრდელთა“ დუმილი „აღსაზრდელთა“ საწამებლად.

ასეთია გულაგის პრინციპი:

შეღავათი მხოლოდ მონებსა და მორჩილებს!

სხვებს? — კითხულობს გაკვირვებული ჰუმანური ქართული სული.

სიკვდილი! — ყველას გასაგონად გაჰკივის წითელი სამყაროს იდეოლოგია.

რამდენიმე წუთში გამომძიებლის კაბინეტში ყველანი მაგიდას უსხედან.

კვლავ დუმილი.

ისედაც დაძაბული ვითარება კიდევ უფრო მეტად დაიძაბა.

— თუ მოწმეებს ვერ ვიშოვით, ძიება მკვლელობაში დაგვადანაშაულებს!.. — პაუზის შემდეგ განაგრძობს გენერალი, — ამ საკითხთან დაკავშირებით ვის რა წინადადება გაქვთ?

— გამოსავალს მოწმეების დამუშავებაში ვხედავ! — პასუხობს იუსტიციის მესამე კლასის მრჩეველი.

— თქვენ რას იტყვით? — ოპერს მიმართავს გენერალი.

ციხის ოპერი ძიკა სერგია არ ელოდა გენერლის მიერ ესოდენ დაფასებას. ხუმრობა საქმეა ამხელა თანამდებობის პირის შემდეგ, როგორიცაა გულაგის პროკურორი, იუსტიციის მესამე კლასის მრჩეველი, ციხის უფროსი ჩინით პოლკოვნიკი და გამომძიებელი მაიორი, რჩევას პირველს მას — ლეიტენანტ ძიკა სერგიას ეკითხებიან! ოპერი სიხარულით აილეწა და „დიდი“ პატივით აფორიაქებული გრძნობის დაოკების შემდეგ, მიუგო:

— ვეთანხმები ამხანაგ პროკურორის აზრს!

— თქვენ რას იტყვით? — ახლა გამომძიებელს მიუბრუნდა გენერალი.

— ამხანაგო გენერალ-მაიორო, სანამ ქურდები აქ არიან, ჩვენს სასარგებლო ჩვენების მიცემას ვერავინ ვერ გაბედავს, ამიტომ ერთადერთი გზა მესახება მათი სასწრაფოდ ეტაპში გაგზავნა!

— როგორ შეიძლება მკვლელების საქმე გამოვიძიოთ მკვლელების გარეშე? — შენიშვნას იძლევა ციხის უფროსი.

— თუ გინდათ მიზანს მივაღწიოთ, ქურდები ძიებიდან საერთოდ უნდა გამოვთიშოთ, — ამბობს ზორო.

— მაშ, მკვლელობა ვინ ჩაიდინა? — არ ცხრება ციხის უფროსი. მოთამაშეებმა დახოცეს ერთმანეთი! — მშვიდი ღიმილით პასუხობს ზორო აშორდია.

— ძნელი იქნება ქურდების გაგზავნა, — იჩემებს ციხის უფროსი თორია.

— „შუმოკს“ ატეხავენ, — უდასტურებს ციხის უფროსს ოპერი ძიკა სერგია.

— მართალია, მაგრამ რაღაც საწინააღმდეგო ღონისძიება უნდა შევიმუშაოთ, — ქლოშინით ამბობს გენერალი.

— უხმაუროდ გავაგზავნოთ, — ღიმილით ადასტურებს გამომძიებელი და ასხივებს თავის ოქროს ეშვებს.

— კამერიდან როგორ გინდა გამოვიყვანოთ? — დაეჭვებული კითხულობს გენერალი.

— ცოცხლები არ გამოგყვებიან, — თავის აზრს იცავს ციხის უფროსი.

— მაქვს გეგმა! — დარწმუნებით პასუხობს ნაყვავილარი აშორდია.

— ბრძანეთ! — გენერალთან ერთად სმენად იქცა ყველა იქ მყოფი.

ზორო აშორდიამ დაიწყო თავისი ჩანაფიქრის გამჟღავნება:

— კამერაში მოსკოვიდან მოწერილობა უნდა წავიკითხოთ!

— რისი მოწერილობა? — გაკვირვებულ გენერალთან ერთად აშორდიას მიუბრუნდა ყველა.

— შევთხზათ!

— რა? — კიდევ უფრო მეტად იკვირვებს გენერალ-მაიორი.

— ყალბი წერილი!

— რის შესახებ? — აზრს ვერ იკრებს ჩინოსანი.

— რომ პატიმართა საჩივრების შედეგად მოსკოვი გვაიძულებს, მკვლელობაზე ჩავატაროთ განმეორებითი, უკომპრომისო ძიება!

— რისთვის? — აღმოხდა დაბნეულ გენერალს. იგივე კითხვა ისმოდა იქ მყოფთა გამოხედვაში.

— ქურდების ნდობის მოსაპოვებლად, — დარწმუნებით პასუხობს ნაყვავილარი.

— არ მესმის, განმიმარტეთ? — ბრძანებს ჩინოსანი და ყურადღებით უსმენს.

— თუ ქურდებს დავარწმუნებთ, რომ საჩივრის შედეგად მოსკოვმა იძულებული გაგვხადა ძიება სწორად წარვმართოთ, დარწმუნებულნი, რომ ეტაპში ვერ გავაგზავნით. მთელ ყურადღებას გადაიტანენ მათთვის სასარგებლო ჩვენების მიცემაზე. ამით მოვიგებთ დროს. დაკითხვა უნდა ვაწარმოვოთ დღე და ღამე, სხვადასხვა დროს დღისით, ღამით, დილას, საღამოს, ასეთი დაკითხვის რეჟიმს შეჩვეულნი უხმაუროდ გამოგვყვებიან, ხოლო ერთ მშვენიერ დღეს „დაკითხვის“ მაგივრად თავს ეტაპში ვუკრავთ!

— ბრწყინვალეა! — უკვირს გენერალს ძიკა სერგიას მხატვრული და მიგნებული გამოთქმა.

— კარგია, მაგრამ გზაში რომ თავს რამე აუტეხონ? — ფრთხილობს ციხის უფროსი.

— „სამაჯურებში“ გავაგზავნით, — ხარობს გენერალი.

— ქურდები თუ მოვიშორეთ, საქმეს მოევლება! — ასკვნის მესამე კლასის მრჩეველი.

— ეტაპი როდისაა დანიშნული?

— პარასკევს, — პასუხობს ძიკა სერგია.

— გვრჩება ოთხი დღე. — ამბობს ციხის უფროსი. თან ფიქრობს: „ქურდები თუ ასე უჩუმრად გავისტუმრეთ, ჩემს მარუსინკას შერჩება „მორთმეული“ განძიო.

— ამ სამ დღეში, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ქურდები უნდა დავარწმუნოთ, რომ დაკითხვა მიმდინარეობს მეტად მკაცრად და რაც მთავარია სამართლიანად, — აშორდიას ჩანაფიქრს აყალიბებს ჩინოსანი.

— ასეთ ვითარებაში ქურდების ეტაპში გაგზავნა ყოველთვის ექსცესების გარეშე გარანტირებულია, — თავის ვერაგობას იწონებს ოქროს ეშვებიანი ნაყვავილარი.

— იაკოვ ლვოვიჩ! — მიმართავს მესამე კლასის იუსტიციის მრჩეველს გენერალი, სასწრაფოდ შეადგინეთ წერილი!

— ადვილი საქმეა, — კმაყოფილებით ამბობს ლოზინსკი.

— კამერაში როგორც კი წაიკითხავთ წერილს, დამაჯერებლობისათვის, ყოველ პატიმარს პერსონალურად მოაწერიეთ ხელი, რომ გაეცნო წერილის შინაარსს! — ამბობს ჩინოსანი.

— ხელი, რისთვის? — უკვირს ძიკა სერგიას.

— დამაჯერებლობისათვის, რომ არ მიგვიხვდნენ ეშმაკობას! — სიტყვა „დამაჯერებელს“ ხაზს უსვამს გენერალი.

— საქმეს შევუდგები! — ფეხზე წამოდგა პროკურორი.

— ერთი წუთით, ყოველ ოპერაციას აქვს თავისი კოდური სახელი. ამ ოპერაციასაც უნდა შევარქვათ რამე. ვის რა წინადადება გაქვთ? — „კონკურსს“ აცხადებს წითური ჩინოსანი.

— პანტერა! — იძლევა წინადადებას ციხის უფროსი, რომელმაც ამ დღეებში წაიკითხა კიპლინგის „მაუგლი“.

— არ ვარგა, — უკმაყოფილოდ დაიღრიჯა ჩინოსანი.

— მგლების მოსატყუარი! — ამბობს ლოზინსკი.

— უფერულია! — პროკურორს უწონებს გულაგელი ქლოშინა.

— შამათი ცხენით! — წამოიყვირა თორიამ.

— ბრწყინვალეა! — უკვირს გენერალს ძიკა სერგიას მხატვრული და მიგნებული გამოთქმა.

ოპერი სიხარულით ცას ეწია, ხუმრობა საქმეა, მისი წინადადება, თვით გულაგის გენერალმა, იუსტიციის მესამე კლასის მრჩეველისა და მისი უფროსების აზრში გამოარჩია. ო, რა მნატვრულად მოუყვება თავის მეუღლე ელპიტე სარსანიას, თავის უდიდეს „გამარჯვებას“.

— მაშ ასე, — გენერალმა დახედა საათს. — ოპერაცია „შამათი ცხენით“ დაიწყო ათ საათსა და ორმოცდაოთხ წუთზე. — „გამარჯვების აღლუმს“ ამთავრებს გენერალი.

სამართალდამცავის უსამართლო ნაბიჯი თავსზევით ასროლილი ქვაა

საღილის შემდეგ პატიმრები ისვენებდნენ. ზოგი ოცნებებს მისცემია, ზოგიც ფამაშით ერთობოდა...

ხმაურით გაიღო კარი. კამერაში შემოაგდეს ცემით სიკვდილის პირას მისული მღვდელი.

— რა მოხდა? — ილია თოფურიამ ხელკავი შეაშველა ფეხზე ძლივს მდგომს.

— დამაწვინე! — ამოილუღლუღა ღვთის მსახურმა და ორი წინა კბილი სისხლიან ნაფურთხს ცემენტის იატაკზე მსუბუქი ხაკუნით გადმოაყოლა.

— ეს რა დღეში ჩაუგდიხართ? — თანაუგრძნო თოფურიამ და სუფთა ცხვირსახოცი გაუწოდა. მღვდელი თავის ადგილზე კვნესით წამოწვა.

— გმადლობთ, — ძლივს წაილუღლუღა ნაცემმა.

— ... რისთვის? — ეკითხება „მაგარი მუშტი“.

— კოსტიას დაუძახე! — წარმოთქვა მამა თედორემ და წამით გული შეუღონდა.

— წყალი!

— აჰა! — საყელო შეუხსნა კოსტიამ მღვდელს.

— გაიფანტეთ! — მიმართა, ნაცემის ირგვლივ შემოკრებილთ ატამანმა.

— ექიმი! — იძახის ვიღაც.

— არ გინდათ, — ბრძანებს კოსტია. — უარეს დღეში ჩააგდებენ, — „სმეხს“ ეუბნება, — მომეცი არაყი!

„სმეხმა“ მოუტანა არაყი.

კოსტიამ ნაცემს გაუხსნა პირი და რამდენიმე წვეთი თეთრი სითხე ჩაუსხა. ასე რამდენიმეჯერ. მღვდელმა გაახილა თვალები:

— კოსტია! — ძლივს წარმოთქვა და სულის მოთქმა სცადა.

— ნუ გეშინია, კეთილო კაცო, ჩვენ კიდევ დიდხანს ვიცოცხლებთ წითელი სატანას ჯინაზე, — მღვდელს ამშვიდებს ქურდების ატამანი.

მადლობის ნიშნად მღვდელმა ოდნავ გაუღიმა.

— ასე რისთვის გაგიმეტეს? — ეკითხება „მაგარი მუშტი“.

— განა ძაღლებში ჩავარდნილს ეკითხებიან, რისთვის დაგკბინესო? — უკვირს ატამანს ყოფილი მასწავლებლის ნათქვამი.

— ეს ხომ ის კაცი არ არის, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს?

— იტყვის! — ამბობს ბესსმერტნი, რომელსაც არ ასვენებს იდუმალი ფიქრი: „რა ხდება?“

— სამი დღე ვიყავი... — ძლივს ახერხებს სამი სიტყვის წარმოთქმას მამა თედორე.

— სად? — ეკითხება ყურადღებადქცეული ატამანი...

— დაკითხვაზე... ყველანი იქ იყვნენ...

— ვინ, ყველანი? — თვალებში შესცქერის მღვდელს კოსტია ბესსმერტნი.

— გენერალი, პროკურორი, გამომძიებელი, ციხის უფროსი, ოპერი...

— ასე რომელმა გაგიმეტა?

— გამომძიებელმა!

— რისთვის?

— არ დავემოწმე, რომ მკვლელობა თამაშის ნიადაგზე მოხდა...

— ნუთუ ამისათვის შეიძლება ადამიანის ასე გამეტება? — უკვირს „პერეპიოლკას“.

— ძაღლები! — იგინება ვიღაც.

— გაიღო კარი. შემოვიდნენ ოპერი და ლიოხა.

— ადექით! — ბრძანა სერგიამ.

ფეხზე არავინ არ ადგა. ძიკამ გაიღიმა, თითქოს არაფერი არ მომხდარაო.

— კარგით, ნუ ადგებით, მაგრამ ყურადღებით მომისმინეთ, — და დაიწყო მოსკოვიდან „გამოგზავნილი“ ქალალდის კითხვა:

„... პროკურორ ლოზინსკის და გამომძიებელ აშორდიას. გულაგის ხელმძღვანელობამ მიიღო უამრავი საჩივარი, რომელიც ეხება ქალაქ ფოთის ციხეში მომხდარ მკვლელობას. როგორც გვატყობინებენ, გამოძიება ცალმხრივად და ტენდეციურად მიმდინარეობს. ვბრძანებ: ძიება ჩატარდეს თავიდან, მთელი სიმკაცრით და კომუნისტური სისწორით, სხვა შემთხვევაში პასუხისმგებლობა გეკისრებათ პირადად თქვენ. გულაგის პროკურორი: ივანოვი“. რა დამთავრა კითხვა, კმაყოფილებით გადახედა კამერაში მსხდომთ. — გაიგეთ? — ეკითხება პატიმრებს ძიკა სერგია.

„გავიგეთ“, — ისმის კამერის საერთო პასუხი.

— გამოდით რიგრიგობით და მოაწერეთ ხელი!

— რას? — კითხულობს „მაგარი მუშტი“.

— რომ გაეცანით მოსკოვიდან მიღებული წერილის შინაარსს.

— რა საჭიროა? — უხალისოდ ამბობს „პერეპიოლკა“ და დგება ხელისმომწერთა რიგში.

— მოსკოვს სასწრაფოდ უნდა ვაცნობოთ პასუხი, რომ გაეცანით წერილის შინაარსს. ხვალიდან იწყება ახალი ძიება! — ამბობს ოპერი და ხელს აწერინებს რიგში მდგარ, მომავალი ძიების „სიმართლეში“ დარწმუნებულ პატიმრებს.

ზოგჯერ ეჰვიც კოულობს სიმართლეს

კამერაში ყველანი კარგ გუნებაზე არიან. ოპერის მიერ წაკითხულმა წერილმა მათ იმედი ჩაუსახა. ყოველ დაკითხულს თავიდან უწყობდა დაკითხვას კოსტია. მონაყოლი არწმუნებდა, რომ ძიება თავიდან დაიწყო და ყოველგვარი ძალადობის გარეშე მიდის. რამდენიმე კაცის შემდეგ თვით კოსტია გაიყვანეს. კამერაში მყოფნი მსჯელობდნენ აქ მომხდარ მკვლელობაზე, იხსენებდნენ დეტალებს, უკეთებდნენ კომენტარებს და ცდილობდნენ ეწინასწარმეტყველათ შემდეგ რა მოხდებოდა.

ილიას მიცემული ჩვენება აშორდიამ სიტყვასიტყვით ჩაწერა, რაც ყოფილმა მასწავლებელმა წაკითხვის შემდეგ საკუთარი ხელისმოწერით დაადასტურა.

ილია თოფურია დარწმუნებული იყო, მსგავსი ჩვენების შედეგად პასუხისგება არ ასცდებოდა არა თუ მარტო ციხის უფროსობასა და გამომძიებელ აშორდიას, არამედ თვით გულაგიდან მოვლენილ გენერალსაც. ამ ფიქრებმა ახალგაზრდა კაცს ეჰვი აღუძრა, ასეთ ვითარებაში გამომძიებელი აშორდია რატომ გრძნობს თავს ასე არხეინად!

ილია თოფურიამ, რაკი პასუხი ვერ მოუძებნა კითხვას, გადაწყვიტა — თავისი ეჰვი გაეზიარებინა კოსტია ბესსმერტნისათვის.

საღამო ჟამს გახალისებული ატამანი კამერაში დაბრუნდა. ფეხმორთხმით იჯდა თავის საწოლზე. ძიების მსვლელობით კმაყოფილს თვალები უბრწყინავდნენ. მაგრამ ილიას მღრღნელი ეჭვისავით არ ასვენებდა ბუნდოვანი ეჭვი. არცერთ კამერაში მყოფს, რომლებიც პირადად შეესწრნენ მკვლელობას, საჩივარი არ დაუწერია, მაშ ვინ დაწერა, ან ვისი ან რის საფუძველზე დაიწყო ხელახლა ძიება!..

— კოსტია, შენთან საქმე მაქვს, — ატამანს მიმართა „მაგარმა მუშტმა“.

— დაბრძანდი, გისმენ, — მოიპატიჟა ქურდმა და მოსასმენად უფრო მოხერხებულად დაჯდა.

— რა აზრის ხარ ძიებაზე?

— მგონი კორექტულად მიმდინარეობს...

— როგორ ფიქრობ, ძიების ასეთი მსვლელობის შედეგად რა მოელის გამომძიებელსა და ციხის ხელმძღვანელობას?

— დააპატიმრებენ არა მარტო მათ, თვით გენერალსაც!

— მაშ, თავს რატომ გრძნობს ასე არხეინად გამომძიებელი ზოგრო აშორდია?

— ეს მეც მაფიქრებს... — მიუგო ქურდმა.

— დამიჯერე, კოსტია, აქ რაღაც სხვა ხდება!

— რა!

— არ ვიცი რა, მაგრამ მწამს, ციხის უფროსობამ ახალი და მეტად სახიფათო თამაში წამოიწყო.

— შეიძლება, — დაემოწმა ბესსმერტნი და გონებაში დაიწყო ეშმაკობების ძებნა, რომლითაც შეეძლო ესარგებლა გამომძიებელს.

— გენერალიც ზედმეტად მხიარული მეჩვენა.

— „გიჟო“! — გაძახა იქვე მახლობელ კუტოკში ქურდებთან ბანქოს მოთამაშე გალოიანს.

— გისმენ, კოსტია, — თქვა და მიუჯდა ატამანს.

— ეტაპი როდის მიდის?

— არ ვიცი.

— ექიმმა რა გითხრა?

— არცერთ ქურდს ეტაპში არ გავუშვებო.

— დღესვე გაიგე, როდის მიდის ეტაპი!

— ეს ადვილი საქმეა. რა მოხდა?

— გაიგე და მერე გეტყვი!

— როგორც გაგიხარდება, — მიუგო „გიჟომ“ და გახარებულმა იმით, რომ კიდევ ერთხელ მიეცემა საშუალება დატკბეს ექიმის ბარძაყებისა და ძუძუების ხილვით, კარებს დაუწყო ბრახუნი.

— ილია, ამ თემაზე სიტყვა არავისთან არ დაგცდეს!

— არხეინად იყავი, — უპასუხა „მაგარმა მუშტმა“ და გაფრთხილებით ოდნავ ნაწყენი თავის საწოლზე წამოწვა.

ყოფილი მასწავლებლის ეჭვების შემდეგ, კოსტიას ფიქრი უფრო მეტად გაუძალიანდა. ასეთ საქმეებში მიუხედავად დიდი გამოცდილებისა, ვერაფრით ვერ აეხსნა, გამომძიებელი აშორდია რატომ გრძნობს თავს არხეინად.

არ ასვენებდა ერთი და იგივე კითხვა: „რა ხდება?“

მალე კორიდორიდან მოისმა კაკოია ზედამხედველის ხმა: „მოვდივარ!“

გაიღო კარებში ჩატანებული სარკმელი. გამოჩნდა ზედამხედველის თვალები. „გიჟომ“ რაღაც ჩასჩურჩულა და თან ხელში დაჭმუჭნული ფული ჩაუდო.

საპასუხოდ გაისმა ზედამხედველის: „ვეცდები“. სარკმელი დაიხურა.

— გელოდები! — მიაძახა „გიჟომ“ და იქვე კარებთან დაუწყო ლოდინი.

კოსტიას ერთობ ეთანაღრებოდა „გიჟოს“ დაწყებული საქმე. უკვირდა, ასეთი დიდი გამოცდილების ქურდი, როგორიც იყო „გიჟო“, როგორ მოტყუვდა და როგორ დაუჯერა საკმაოდ საეჭვო რეპუტაციის ექიმ ქალს. თავისი უკმაყოფილება ბესსმერტნის არა-

ვისთან გაუმჟღავნებია, რადგან ქურდული კანონით, „გიჟო“ იყო თავისი მოქმედების პასუხისმგებელი.

გაიღო კარები, კვლავ გაისმა ზედამხედველის ხმა:

— გალოიანი, ექიმთან!

— წავედი! — მოაძახა კამერაში მყოფთ და კარებში გაუჩინარდა.

ქვეყანაზე ცოდვა ევამ დაიწყო ადამის შეცდენით

— „გიჟო“, — კორიდორში მიმავალს ჩაულაპარაკა ზედამხედველმა.

— რა იყო?

— შენთვის ერთი მეტად საჭირო ცნობა მაქვს, მხოლოდ ჩემი სახელი არ უნდა ახსენო!

— თქვი! — „გიჟო“ ყურადღებად იქცა.

— ჩემი ცნობა განსაკუთრებულია.

— რა? — სახე დაელრიჯა ქურდს.

— ქურდების სიცოცხლეს ეხება.

— მერე მითხარი?

— ასი მანეთი უნდა...

— რა?

— სიკვდილ-სიცოცხლის ამბავია!

— ტყუილი არ გამოგივიდეს, თორემ ხომ იცი, მე „გიჟოს“ მეძახიან!

— არ გინდა ჩემთან ასეთი ლაპარაკი, კარგად იცი ტყუილები არ ვიცი.

— ქურდებს თუ არ შევეკითხე, ფულს ისე ვერ მოგცემ.

— ლიოხას თხოვნით მის მორიგეობას სამ საათამდის ვცვლი, ახლა სამის ნახევარია, მერე გვიან იქნება...

— ჰო, კარგი, აჰა! — ქურდმა „შავი დღისთვის“ შემონახული, შარვლის ქამრის გასაყარში ჩაკერებული ასიანი ამოიღო და მისცა ზედამხედველს.

— ექიმს სტაციონარში დაწვენა მოსთხოვე!

— სტაციონარში, რატომ?

— იქიდან ეტაპში ვერ წაგიყვანენ...

— გამაგებინე, რა იცი?

— ქურდებს ჩუმად გიპირებენ ეტაპში გაგზავნას!

— როდის?

— პარასკევს!

— ვინ გითხრა?

— ჩემი ყურით მოვისმინე...

— მართლა?

— განა როდის მომიტყუებიხარ?

— არა, ისე გითხარი...

— „გიჟო“!

— რა იყო?

— ჩემი სახელი არსად არ უნდა გამოჩნდეს, სხვა შემთხვევაში ქურდები, კაკოიას სახით, ერთგულ კაცს დაჰკარგავთ!

— შენ რა, ჩემთან პირველად გაქვს საქმე?

— ყოველ შემთხვევისათვის ვთქვი, — ექიმის კაბინეტთან მისულმა ზედამხედველმა კარებზე ფრთხილად დააკაკუნა.

ოთახიდან მოისმა ქალის ხმა: „შემოდი!“

შესულმა ზედამხედველმა მოახსენა:

— გალოიანი გელოდებათ!

— შემოიყვანე! — მშრალად ბრძანა ექიმმა. ზედამხედველმა პატიმარი შემოიყვანა, — დაგვტოვე!

— არის, დაგტოვოთ! — და კარებს მიაშურა...

— შორს არ წახვიდე! — კარებში გამავალი გააფრთხილა ექიმმა.

ზედამხედველმა იქვე კარებთან დაუწყო ლოდინი.

ქურდი კარებთან დგას ატუზული. ქალმა გაულიმა.

საოცარია, მსუბუქი ყოფაქცევის ქალის ღიმილს რატომ სდევს ესოდენ სიძლიერის ვნება — რაღაც ხორციელი, რომელიც მამაკაცის ძარღვებში აჯანყებს სისხლს!

საბრალო, ოცდაათი წლის „გიჟო“ უკვე ხუთი წელია, რაც ქალს არ გაჰკარებია.

ო, რა მწველი ცეცხლით იწვის ქურდი!

მოჯდოებული „გიჟო“ ტკბება, სანეტარო, ცოცხალი სურათით.

ქერა ქალი უღიმის ქურდს და გონებაში კი ქურდის მიერ მოტანილ ძვირფასეულის დასაკუთრებაზე ზრუნავს, რისთვისაც, თუ საჭიროება მოითხოვს, მზად არის საკუთარი სხეულიც კი დათმოს.

ქალი უღიმის იმ ეშმას ალერსით, რომელსაც განუზრახავს წმინდა ბერის შეცდენა. ჯადო-ღიმილმა ქურდს რეტი დაასხა, ეს ქალმაც იგრძნო. მიხვდა, სწორედ ახლა იყო საჭირო „შეტევაზე“ გადასვლა. დახელოვნებული მოძრაობით, ჯერ ძუძუები გამოუჩინა, შემდეგ კაბა ისე „გაისწორა“, რომ „ატეხილ“ ვაეს შიშველ ბარძაყებზე შეავლებინა თვალი.

სიმრუშის ალმა იფეთქა!

იწვის ქურდი!

... და ეს სიმრუშე ქალის ძარღვებში გადაიღვარა. ქერამ დაარწმუნა საკუთარი თავი: „არაფერიც არ მოხდება, დაჯიჯგნის გახელებული მამაკაცი...“

ჯიჯგნა, გახელება, თუ გაცოფება ეამება კიდეც ასეთ ქალს!?

ვაეს გაუჭირდა თავის შეკავება!..

არა!

— არა, დედამიწის ზურგზე, ადამიანის მეტს, არცერთ სულ-

დგმულს არ ძალუძს, ჩაგუბებული სიძულვილის სიყვარულად მოჩვენება!

მეტიც!

სძულს და ამ სიძულვილს, საძულველთან მრუშობით ჰკლავს.

ო, ღმერთო ჩვენო, სატანამ ბოროტებისათვის რაოდენ შესაძლებლობები მისცა ადამიანს?!

რა ღვთიური, წმინდა და ღირსეულია ის, ვისი სულიც არ ემონება ეშმასეულ ცდუნებას!

ქურდს თვალი გადაუბრუნდა. არა, მეტი აღარ შემიძლია... გადაწყვიტა ქალს დაეუფლოს, მაგრამ მყისვე თვალწინ წარმოუდგა ატამანის — კოსტია ბესსმერტნის მკრთალი სახე, თვალების გამოხედვა.

„გიჟომ“ ნაბიჯი შეიკავა. რა უპასუხოს ქურდებს? საკუთარი ბედის შეეშინდა. მოაგონდა ექიმთან მისვლის მიზანი.

„როსკიპი“ — გაიფიქრა და მშვიდად მიმართა ქალს:

— მარუსია ექიმო, სტაციონარში უნდა დაგვაწვინოთ.

— დავაწვინოთ, ვინ?

— ჩვენ, ქურდები!

— როდის?

— დღესვე!

— რატომ, რა მოხდა?

— ასე დაადგინა „სხოდკამ“!

— მე ხომ მოგეცი პირობა, არცერთ ქურდს ეტაპში არ გავაგზავნინებ-მეთქი.

— „სხოდკამ“ ასე გადაწყვიტა.

— როგორ?

— ან დაგვაწვინო, ან დაგვიბრუნო ჩვენი ნივთები.

ქალმა ფერი დაკარგა, თუმცა არ იმჩნევდა, ეტყობოდა, დეღლავდა. თითქოს დაიბნა კიდეც, ბოლოს, როგორც იქნა, მოეგო გონს:

— კარგი, დაგაწვენთ, მხოლოდ ორშაბათს.

— არა, დღესვე! — მკაცრად მიუგო ქურდმა.

— ორ დღეს რა მნიშვნელობა აქვს?

— პარასკევს ეტაპს გაგვიყენებენ!

— მაშ, გაიგეთ? — გველივით ჩაისისინა სატანად ქცეულმა.

— დაგვაწვენ თუ არა?

— ორშაბათამდის ვერ შეეძლებ!

— ახლავე დამიბრუნე ჩვენი ნივთები! — კბილებში გასცრა „გიჟომ“.

— რა ნივთები? — გაიკვირვა, მშვენიერება დაკარგულმა არსებამ.

— რომელიც მოგეცი!

— არაფერიც არ მოგიცია, — მშვიდი ღიმილით უპასუხა ქალმა და კაბა გაისწორა.

— ის, რაც მოგეცი, მარტო ჩემი ხომ არ გგონია?

— წარმოდგენა არ მაქვს რაზე ლაპარაკობ!

— ძვირფასეულობა, რომელიც ქურდებმა „ობშიაკზე“ შეკრიბეს!

— რომელი ხარ მანდ! — დაიყვირა ექიმმა. გამოცდილი „გიჟო“ დაიბნა.

კარებში შემოვიდა შეშინებული ზედამხედველი:

— გისმენთ?

— გაიყვანე, ეს გარეწარი! — ზედამხედველმა სცადა ბრძანების ასრულება.

— ხელი! — იღრიალა „გიჟომ“, — დამიბრუნე ჩვენი ნივთები! გაცოფდა ქურდი.

— ახლავე მოგვართმევ, — ცივი ღიმილით მიუგო ქალმა. აიღო ყურმილი. აკრიფა ნომერი, — ალო, აბდულ, სასწრაფოდ გამოგზავნე დაცვა!.. ხო, ჩემს კაბინეტში! — ექიმმა ბოროტი ღიმილით დადო ყურმილი და გაოგნებულ ქურდს ჩაუსისინა, — არ გინდოდა სიკეთე, აწი ვნახოთ!

— ახლავე დამიბრუნე ჩვენი ნივთები!

— არაფერი არ მოგიცია, გაიგე? — ექიმი პირზე ურცხვად დაადგა ქურდს. ამასობაში შემოცვივდნენ თვით დაცვის უფროსი და რამდენიმე ჯარისკაცი.

— გისმენთ, ამხანაგო კაპიტანო! — სამხედრო წესით მიმართა მაკოევმა ციხის უფროსის ცოლს.

— გაათრიეთ, ეს გარეწარი!

— მაშ ასე? — შეჰღრინა ქურდმა.

— სხვანაირად შენ არ გეკუთვნის, წაიყვანე!

„გიჟო“ მიხვდა, აქ ვერას გახდებოდა, რაღაც სხვა უნდა ეღონა, ამიტომაც კამერაში მშვიდობიანად დაბრუნება არჩია.

ქურდული შურისძიება

„გიჟომ“ „სხოდკაზე“ უამბო ქურდებს ექიმის-ფარი. ქურდებმა მიიღეს საიდუმლო გადაწყვეტილება, რის შემდეგ კოსტია-ატამანმა დანარჩენ პატიმრებს მიმართა:

— ჩვენ, ქურდებს, ციხის ხელმძღვანელობასთან ანგარიშები გვაქვს გასასწორებელი, რომელშიც თქვენ არ მინდა გაგრიოთ, ამიტომ გთხოვთ, ყველანი იმ მხარეს მოთავსდით და აქ რაც არ უნდა მოხდეს, ჩემი სიტყვის გარეშე არ ჩაერთოთ!

ატამანის სიტყვას ნიშნად თანხმობისა პატიმრებმა დუმილით უპასუხეს.

— კოსტია, მაქვს უფლება თქვენთან ვიყო? — „მაგარმა მუშტმა“ მიმართა ბესსმერტნის.

— არა! — ცივად მოუჭრა ქურდმა.

— არ მენდობი?

— შენ შენი ცხოვრება გაქვს, ჩვენ ჩვენი.

— მე მინდა... — ქურდმა „მაგარ მუშტს“ წინადადება არ დაასრულებინა.

— ერთ სიტყვას კოსტია ორჯერ არ იმეორებს! — მკაცრად მიუგო ატამანმა.

ყველანი თავთავიანთ ადგილებზე წამოწვნენ, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს.

„უნდობლობით“ განაწყენებულმა ილიამ პავშისთან გაამა ჩურჩული.

ქურდები დუმდნენ.

ო, ეს დუმილი როგორ ჰგავს წარღვნის წინა ღამეს.

დუმილი, რომელიც სიცოფეს იტევს გულში.

დუმილი ვით ცოცხალი ბოლმა.

გესმით, თვით ქურდს წაართვეს, იმას, ვისი პროფესიაც სხვისის დასაკუთრებაა!

საშინელებაა თავისი პროფესიის შელახვით შეურაცხყოფილი ქურდი.

მერე ვინ წაართვა? — კანონის დამცველმა კანონის დარღვევით! ეს დაცინვაა!

წაართვეს თავის საკუთარ სამყაროში — ციხეში. წაართვეს ქურდული სამყაროს ატამანს კოსტია ბესსმერტნის, წაართვეს ქურდულ სამყაროში სისასტიკით განთქმულ „გიჟოს“. წაართვა ციხის უფროსის ცოლმა, ციხის ექიმმა!

ქურდებს აღრჩობთ ბოლმა, როდის დადგება ღამე, რომ შური იძიოთ თავხედ „მართლმსაჯულების“ დამცველზე!

დუმან ქურდები, რაღაც საშინელის მომასწავებელი დუმილით.

დრო კი ძიიჩქარის მომავლის უსასრულო სამყაროში!

დრო თვლის საუკუნეებს,

თვლის წლებს.

თვლის დღეებსა და საათებს, წუთებს, წამებს...

დრო მიედინება...

ილია თოფურიას ფიქრებში ჩასძინებია. ხედავს სიზმარს: პატარაა, სადღაც მინდვრად ხაპოვნი ყვავილი დედას მიართვა. გახარებული დედა იცინის. ილიას უხარია, დედა რომ გაახარა... შემოდის მამა, ისიც გახარებულია. მოუყვანია ცოცხალი ციყვი... ეალერსება პატარა ცხოველს. უეცრად ციყვმა დაიწყო სწრაფი ზრდა. შიში შეეპარა... ციყვი ვეებერთელა მაჯლაჯუნად იქცა,

შიში მატულობს. მაჯლაჯუნა რაღაცას უპირებს.

ესმის ყვირილი.

ეს ვინ არის?

დედა ეძახის!

„არ მიხვიდე!“

„არ მიხვიდე, ილია!“

ილია ეპასუხება, მაგრამ ხმა ჩაუწყდა, ცდილობს, მაგრამ ვერ

აგებინებს. საშინელებაა, გინდა დაუძახო და არ შეგიძლია. გინდა მიხვიდე და ვერ მიდიხარ.

(ასეა მთელი სიცოცხლე, როგორც კოშმარულ სიზმარში!)

... დიდი წვალების შემდეგ გაეღვიძა. ცივ ოფლში სცურავს.

მადლობა ღმერთს, სიზმარი ყოფილა, გაიფიქრა და შვებით ამოისუნთქა.

რა ხდება, შიში რატომ მოეძალა „მაგარ მუშტს?!“

ნახევრად ბნელ საკანში, შეშინებული პატიმრები გალურსულან. კარებს მიბჯენილი „გიჟო“ ვიღაცას ეძახის:

— ექიმს დაუძახე... ავადაა პატიმარი! — ყვირის გაბრაზებული „გიჟო“.

„ვინ გახდა ცუდად,“ ფიქრობს ილია თოფურია. ათვალიერებს კამერაში მყოფთ, მაგრამ ავადმყოფს ვერ ამჩნევს... ნახა, „სმეხია“ ცუდად! რა მოუვიდა? — დააპირა მისვლა, პავში წასჩურჩულებს:

— არ მიხვიდე!

მოაგონდა, ქურდებმა რაღაც ჩაიფიქრეს.

— ექიმს დაუძახე! — მოთმინებას ჰკარგავს ქურდი.

დერეფნიდან პასუხად ისმის ჩაზნექილცხვირიანი ლიოხას ხმა:

— ძინავს ექიმს! — კამერაში იცინან, დღეს მორიგე ექიმი ციხის უფროსის ცოლი მარუსია პავლოვნაა.

— ახლავე გაღვიძე! — ყვირის პატიმარი.

— გამაფრთხილა, არ გამაღვიძოო, — კნავის შეშინებული ზედამხედველი.

— გიგე, კაცი კვდება! — ღრიალებს მოთმინებადაკარგული ქურდი.

— დილამდის მოითმინოს! — პასუხობს ჟღალთვალება, შავი ფერიჭამიებით სახე დაჭორფლილი ზედამხედველი.

— თუ ახლავე არ მოიყვან მთელ ციხეს დავაყენებ ფეხზე! — იმუქრება „გიჟო“.

— ხო, კარგი, მივალ, მაგრამ თუ არ მოვა, ჩემი ბრალი არ იქნება...

— ახლავე მოათრიე!— ცოფდება ქურდი.

— მივდივარ! — მიაკნავლა ზედამხედველმა. დერეფნის სიჩუმეში გაისმა ლიოხას აჩქარებული ნაბიჯების ხმა.

— რაო? კითხულობს „თამბეგა“.

— წავიდა! — პასუხობს ქურდი.

— ყველანი თქვენ-თქვენ ადგილებზე, — ბრძანებს ატამანი.

ქურდები იკავებენ წინდაწინ მინიშნებულ ადგილებს.

მოლოდინი.

მოლოდინში რიალებენ შიშის ლანდები.

კამერა გაილურსა, ისმის ვიღაც მსუბაქად სუნთქავს. იოსება— საბრალოს ტანთ გაყრყოლა: „არა, ჯოჯოხეთში ამაზე საშინელი რა უნდა მოხდეს?“ — ფიქრობს ლილით მოვაჭრე და ფიქრს ჩუმათ აყოლებს ლოცვებს:

ღმერთო...
ღმერთო...
ო, წმინდაო ღმერთო!...

„არა, სულ ტყუილია", — ფიქრობს იოსება-საბრალო, — „ეშმაკი არ არსებობს, ეშმაკი და სატანა თვით ადამიანია... და აი, იოსება უბედურიც ამ ეშმაკებს შორის აღმოჩნდა!"

აქ, ციხეში, ეშმაკები ორი ფერისაა. დაპირისპირებულნი ებრძვიან ერთმანეთს. წითელი ეშმაკები ეს კანონის დამცველებია, და მათი მოპირდაპირე „შავი" ფერის დამნაშავეთა სიმყარო.

„რა მოხდება?" — შეაკრთოლა ლილით ვაჭარს.

გაურკვევლობით დამძიმებულმა ღამემ პასუხი ვერ გასცა იოსება-საბრალოს.

დუმილი.

დუმილი რაღაც საშინელების მოლოდინში.

„გიჟოს" ყური მიუბჯენია კარებზე და დაძაბული უსმენს. არა, უბრალო ფაჩუნიც კი არ გამოეპარება.

ჭურდები ელოდებიან...

ფიქრი: „მოვა, თუ არა?"

და კვლავ გაუთავებელი და დაძაბული ლოდინი.

ჩუ!!

. . . . . .

ლიოხა ჯერ გაუბედავად, შემდეგ უფრო გათამამებული უკაკუნებს ექიმის კარებს. კაკუნი რამდენიმეჯერ მეორდება... კაბინეტიდან ისმის, მარუსია პავლოვნას უკმაყოფილო ბუზღუნი:

— რომელი ხარ?

— მე ვარ, ლიოხა!

— ხომ გაგაფრთხილე, არ გამაღვიძო-მეთქი! — ბრაზობს ქალი.

— პატიმარია ცუდად!

— ვინ?

— „სმეხი"!

— არაუშავს დილამდის მოითმინოს...

— „გიჟო" იმუქრება, „შუმოკს" ავტეხავო!

„ქალს უსიამოვნო ფიქრმა მორიელივით გადაურბინა — „შუმოკი", დამიწყებენ რატომ არ მიხვედი... „გიჟო" იყვირებს ქრთამი მივეცი, მე უარს ვიტყვი... ახლა კი მივალ, გაუზომავ სიცხეს, თუ აქვს დავაწვენ, არა და სიმულაციის ფაქტი სახეზეა, სიცხე არ აქვს!.. ასე აჯობებს, მე მართალი უნდა ვიყო" — გადაწყვიტა წასვლა.

— ჰო, კარგი, დამიცადე...

ლიოხა ექიმის პასუხმა დაამშვიდა, რაც მთავარია „შუმოკი" არ ატყდება... ალარ მოუწევს დღე და ღამე დერეფანში სირბილი. კმაყოფილი დგას და ელოდება... აბა, სად აქვს თავზეხელაღებულ ჭურდებთან ჩხუბის თავი!

გაიღო კარი. გამოუძინებელი თვალების ფშვნეტით გამოდის მარუსია პავლოვნა.

— რა ჭირს?

— არ ვიცი, ასე მითხრა, მაღალი სიცხე აქვსო.

— რომელმა გითხრა?

— „გიჟომ".

— სიმულიანტობენ, ეტაპში არ უნდათ წასვლა, — ხალათს იცვამს ექიმი და თან ელაპარაკება, — ამ დაცემულებს ჰგონიათ მომატყუებენ. ახლავე გაჩვენებ მაგათ სეირს, — იმუქრება მარუსია პავლოვნა. კარადიდან იღებს სიცხის საზომს და მიყვება წინ მიმავალ ლიოხას:

— იმ დღეს, — უყვება ქალი, — „გიჟომ" ცილიც კი დამწამა, ქრთამად ძვირფასი ნივთები მივეციო, იყვირა!..

— თავხედი! — ლიოხა ექიმს უდასტურებს ნათქვამს.

— ყველაფერს იკადრებენ, — ამბობს ქალი და უკვირს, ასეთი ცილისწამებით ენა რომ არ უდამბლავდება.

იგონებს მარუსია პავლოვნა: „არა, არ უნდოდა ჭურდებთან კომპრომისი, სცადა კიდეც მშვიდობიანი გზით ძვირფასეულის დასაკუთრება... გაეარშიყა, გენერალი ჭურდების ეტაპიდან დატოვებას შეჰპირდა. მარუსიამაც ირწმუნა, თუ დავნებდები, თხოვნას შემისრულებსო".

შეხვედრაც შედგა...

მიჰყვება მარუსია ლიოხას, თან არ ასვენებს ბრაზიანი ფიქრი: „არა, ამხელა თანამდებობის კაცი რა უპირო და უსირცხვილო ყოფილა?... აკი შეჰპირდა, არ გავაგზავნიო! გარეწარი, როგორც კი აისრულა სურვილი, ყოველგვარი ბოდიშის გარეშე დაურტყა უარი".

ბრაზობს მოტყუებული ქალი — მარუსია პავლოვნა: ეს კიდევ რა მოიგონა „პარტიას ვერ ვუღალატებ!" — ირონიულად ეღიმება ქალს, განა მისმა ბოთე ნიემ არ უამბო, როგორ ინაწილებენ „ინტელიგენტის" ფულებს!

„დაცემული წითური!" — ბრაზობს მოტყუებული, შეურაცხყოფილი ქალი და არც კი სწუხს, რომ სწორედ ამ დაცემულს...

მიყვება ციხის ტალანში ლიოხას და გულში უშვერი სიტყვებით ლანძღავს გენერალს მარუსია პავლოვნა...

ღამის სამი საათია.

პატიმრებს სძინავთ. ფხიზლობენ გუშაგები. ყოველ თხუთმეტ წუთში, რიგრიგობით გაისმის სადარაჯო ოჩოფეხება ხუხულებიდან ზარების ხმა:

დანგ!
დანგ!
დანგ!
დინგ!
დინგ!

დინგ-დონგ!
დონგ-დინგ!
ერთმა მეზობელს რაღაც გადასძახა...
და კვლავ:
დინგ-დონგ!
დინგ-დონგ!
დრო კი მიითვლის წუთებს და საათებს უსასრულო სამყაროში.

ნომერ ოცდაჩვიდმეტ კამერის კარებთან ექიმმა ზედამხედველს უბრძანა:

— გააღე! — ლიოხა ასხმაში არჩევს საჭირო გასაღებს... რატომღაც შიში შეეპარა, მაგრამ არ იცის რატომ, შიშს ქალთან არ იმჩნევს.

კამერაში გაისმა „გიჟოს“ ჩურჩული:

— მოვიდნენ!

მკვდარი სიჩუმე.

იოსება-საბრალოს მკაფიოდ ესმის საკუთარი გულის რიტმული ბაგა-ბუგი.

— რომელი არის ავად? — კითხულობს კამერაში შემოსული ექიმი.

— „სმეხი“! — თითქოს რიდით პასუხობს ყოველთვის უხეში „გიჟო“. მარუსიას უკვირს ქურდის მორიდება. „აა“ — ფიქრობს ქალი, — „გაგტეხათ წელში ეტაპში გაგზავნის შიშმა!“ თამამად შედის კამერაში. ლიოხა კარებთან რჩება.

— რა დაგემართა? — ეკითხება „ავადმყოფს“.

— მაღალი სიცხე აქვს, — პასუხობს „გიჟო“.

— ჩაუდე თერმომეტრი! — ექიმმა „გიჟოს“ გაუწოდა თერმომეტრი.

— „ვალეტი“ მიუახლოვდა ლიოხას, მოსრესილი პაპიროსი ჩაიდო პირში:

— წამიკიდე!

ლიოხამ აანთო ასანთი. ეს იყო ნიშანი ქურდების ჩანფიქრის დასაწყისისა. უცებ თითქოს დიდი ძაბვის ელექტრო დენის მოკლე ჩართვა მოხდაო, აფეთქებულმა „გიჟომ“ დასტაცა ხელი მარუსიას. ქურდს წამოეხმარა „სმეხი“. წამი და ქალი ლოგინზე წამოაწვინეს. ვიღაცამ არ იკივლოსო და პირზე ხელი დააფარა...

ჯერ იყო და ლიოხამ თვალებს ხრ დაუჯერა, მაგრამ რა დარწმუნდა, გაცოფებული „გიჟო“. მარუსიას ქვედა საცვალს ხდის, ციხის უფროსის რისხვა არ დამატყდესო და ექიმის მიშველება სცადა... მაგრამ ლიოხას თავს წამოაფრინდა „პერეპიოლკა“.

იყვირა ლიოხამ. „ვალეტმა“ ყელზე დანა მიაბჯინა:

— იყუჩე, თორემ ყელს გამოგღადრი! — ჩაუსისინა „თამბეგამ“.

„პერეპიოლკამ“ ლიოხას შარვალი ჩახადა, ისე როგორც ეს გაუკეთეს ერთ დროს მას.

დიდი ხნის, ქალს მონატრებული ქურდები, ჩადგნენ რიგში.

უხმაურო შფოთი, ხანგამოშვებით ისმის შეწუხებული ლიოხას კვნესა და ქალის ნეტარნარევი კრუსუნი...

გათენდა.

აღსრულდა შურისძიება.

კოსტია დარწმუნებული იყო: ციხის ხელმძღვანელობა მიიღებდა ზომებს, რომლის დროსაც გაირკვეოდა მიზეზი ამ ვანდალური შურისძიებისა... ქურდებს ხელთ ძლიერი თულფი ეჭირათ, კამერაში მომხდარი მკვლელობა და განძის მითვისება.

მარუსია სახლში წევს. თავს ადგას ცოლზე უზომოდ შეყვარებული ნოე თორია და მადლობას შესწირავს ბედს, რომ ცოლი „უვნებელი“ დაუბრუნდა.

მომხდარით დადამბლავებული, ცოლს ყოველ ხუთ წუთში ეკითხება:

— იმ მხეცებმა ძალიან შეგაწუხეს?

— ნოიჩკ, — თავს ისაწყლებს, წინა ღამეს თორმეტი სხვადასხვა გახელებული მამაკაცგამოვლილი ქალი და თან იხსენებს: „რომელი იყო, რომ ასიამოვნა?“... და კვლავ ჩაესმის ქმრის მომაბეზრებელი კითხვა:

— ძალიან შეგაწუხეს?

რა უპასუხოს აზრს იკრებს ქალი:

— ნოიჩკ, გთხოვ ნულარ მახსენებ იმ საშინელ წუთებს! — თან ცდილობს გაიხსენოს, რომელი იყო, ისე საოცრად რომ ასიამოვნა, „გიჟო“ თუ „თამბეგა?“...

— არ გახსოვს მაინც რომელი იყო? — არ ეპუება, ცოლის გაბახებით შეწუხებული.

— საიდან, როგორც კი შემეხენ, გრძნობა დავკარგე...

— ჩემი საბრალო ჩიტუნა, — ლამის ტირის ბოთე მეუღლე.

წლობით ნამარხულევი ქურდები კი ნებიერობენ და სიქაც არ აქვთ ერთმანეთს განცდები გაუზიარონ.

წუხანდელი სიგიჟით აფორიაქებულ იოსება-საბრალოს კი დაწყებული ლოცვა ჯერაც არ დაუმთავრებია. „იმახ შემო!“ — უკვე მერამდენედ უთვლის წყევლას ადამიანის მტანჯველ სატანის ოჯახს — გულავს!

რაც მოხდა, პავშის არ გაკვირვებია. „სხვანაირად არც შეიძლებოდა“, — ამბობს თავისთვის და წინ და უკან დადის კამერაში. — „ასეთი უპირობა გაგონილა, ციხეში ამოდენა განძეული გამოართვა პატიმარს და პირობა არ შეუსრულო?.. უარიც კი დაურტყა“ — უკვირს და დადის კამერაში წინ და უკან.

მღვდელი მთელი ღამე იფურთხება, დარწმუნებული, რომ

გარყვნილების ორგიები ეშმაკმა წმინდა სულის შესაბილწად მოუწყო!

ლოცულობს მამა თედორე, ლოცულობს და შიშით ფიქრობს: „ალბათ, ბრალი მიმიძღვის, თორემ ასე საზარელ სურათს რატომ შევესწრებოდიო“ — ფიქრობს და ცდილობს გაიხსენოს თავისი უნებლიე შეცოდება...

... „მაგარი მუშტი“ გაუნძრევლად წევს და ჭერზე ერთ წერტილს მისჩერებია. უკვირს: „რა მხეცი ყოფილა ადამიანი!“

ციხის უფროსის კაბინეტში მაგიდას უზის გენერალი. აქვე სხედან იუსტიციის მესამე კლასის მრჩეველი იაკოვ ლვოვიჩი ლოზინსკი, კაპიტანი ზორო აშორდია. და ლეიტენანტი ძიკა სერგია.

კარგა ხნის დუმილის შემდეგ გენერალმა დაიწყო:

— ამხანაგი თორია რატომ იგვიანებს?

— მეუღლეს ადგას თავზე, — პასუხობს ოპერი.

— უპირველესად ყოვლისა, სამსახურებრივი მოვალეობა, ამხანაგო სერგია! დიახ, არ უნდა დაგვავიწყდეს, ჩვენ კომუნისტები ვართ და ვდგავართ საბჭოთა ხალხების კანონის სადარაჯოზე, გასაგებია?

— გასაგებია, — ჯარისკაცის სიმარდით პასუხობს სერგია და მის მიერ წარმოთქმულის „შეცდომით“ გაწბილებული სარივით გაიჭიმა.

ლოზინსკის ღიმილი მოჰგვარა გენერლის მიერ პათოსით წარმოთქმულმა სიტყვებმა. ზორო აშორდია კი ეჭვიანობს: „ეტყობა მარუსკამ მართლა აიღო და არც ისე ცოტა... საჭირო ძვირფასეულის მიგნება... მერე კი მოვუვლით,“ — ეღიმება...

შემოდის დაღვრემილი თორია. დაღვრემილობა მრჩვენებითია, რადგან გულში მადლობას სწირავს ბედს, რომ ცოლი „უვნებელი“ დაუბრუნდა. კმაყოფილია ციხის უფროსი საზარელი ამბის „კეთილი“ დასასრულით.

— როგორ გრძნობს თავს მეუღლე? — მრჩვენებითი შფრუნველობით ეკითხება დაზარალებულ ქმარს გენერალი.

— თითქოს უკეთ...

— თუ თქვა, ვინ მიაყენა შეურაცხყოფა?

— არა, პირველივე წუთიდანვე დაუკარგავს გრძნობა.

— საბრალო ქალი! — მოგონილი გულისტკივილით ჩაილაპარაკა ჩინოსანმა.

ციხის რა ზორო აშორდიამ, ნოე თორიას როგორი გაგიქებით უყვარს ცოლი, ხმამაღლა ამბობს:

— ბედი რომ გული წაუვიდა!

— რატომ? — ყურები ცქვიტა ნოემ.

— მამაკაცი გულწასულ ქალთან იმდენს ვერ მოიმოქმედებს! — ამბობს აშორდია და აელვებს ოქროს ეშვებს.

სიხარულით სახეგაბრწყინებული თორია თავს ულერწულად გრძნობს.

— აი, საბრალო ლიოხა კი, — ირონიას ვერ ფარავს გამომძიებელი და მის მიერ იქვე დაწერილ ბარათს გადასცემს გენერალს. გენერალმა წაიკითხა. დაჭმუჭნა ქაღალდი.

— ამხანაგებო, რადგან მარუსია პავლოვნას არაფერი არ ახსოვს, ძიების ოპერატიული გეგმა უნდა შეიცვალოს. გთხოვთ ყველამ დაგვტოვოთ! — ციხის უფროსი, ოპერი და გამომძიებელი გასასვლელად წამოდგნენ...

— ხელს არ შეგიშლით, — ამბობს ნოე თორია, გახარებული იმით, რომ მიეცა ცოლის მონახულების საშუალება.

— თავისუფალი ბრძანდებით. ამხანაგო აშორდია, თქვენ კი მჭირდებით, — ოპერი და ციხის უფროსი გადიან. — თქვენ, თუ არ ეცდები, სათქმელი გაქვთ? — მიუბრუნდა გენერალი გამომძიებელს

— დიახ, მაქვს...

— გისმენთ? — ამბობს ყურადღებად ქცეული ჩინოსანი.

— მგონი გალოიანი არ სტყუის!

— რაში?

— რომ ძვირფასეულობა მისცა მარუსია პავლოვნას!

— მოიცა, მოიცა, — ეჭვი იღვიძებს გენერალში, — „ალბათ, ამიტომ მთხოვდა ქურდების ეტაპიდან დატოვებას“ — გაიხსენა, თავიდან ქალის უარი, შემდეგ უეცარი დანებება, — ადვილი შესაძლებელია, — ეთანხმება გენერალი გამომძიებელ აშორდიას. რა წინადადება გაქვთ?

— უნდა შემოწმდეს! — გადაჭრით ამბობს ზორო და აელვებს ოქროს ეშვებს.

ხშირად გამოსავლის ძებნაში ხვდებიან გამოუვალ მდგომარეობაში

საღამოს გენერალს მარუსიას მონახულება მოუნდა, მაგრამ მოზღვავებულმა უსიამოვნო ფიქრებმა არ მოასვენეს: „ვთქვათ დადასტურდა მარუსიას მიერ ქრთამის აღება, რა თქმა უნდა, ექიმს დააპატიმრებენ, ხოლო ძიების პროცესში აუცილებლად ამოტივტივდება კამერაში მომხდარი მკვლელობა... ოო, მაშინ ფრთხილად ამხანაგო როდიონოვ, ველარაფერი ვერ დაგიხსნის!“ — გენერალს გააჟრჟოლა, — „ამის დაშვება შეუძლებელია!“ — მწარე ფიქრი წვავს ჩინოსანს. დადის წინ და უკან და წრიალებს გამოსავლის ძებნაში. ერთადერთი გზა რჩება, კოსტია ბესსმერტნის გაჩუმება, მაგრამ როგორ?. — ფიქრი აწვალებს წითურს. მახსოვრობაში გადაქექა დამნაშავესთან შეხვედრის ყველა მომენტი და დარწმუნდა, ამ ფანატიკოს ქურდს ვერაფრით ვერ მოისყიდის: „მაშინ, რა მაშინ?“ — ეშინია თავს გაუმხილოს საჭირო სიტყვა, მაგრამ თითქოს ვიღაცამ ყურში ხელი წაავლო და იმ გარიყულ სიტყვასთან ძალით მიიყვანა: „მოკვდეს“ — შეეშინდა. თუმცა გრძნობს, ამ სიტყვას ვერსად ვერ გაექცევა: „ასეა საჭირო მისი თანამდებობის შესანარჩუნებლად. აბა, გარეწ-

რისთვის ციხეში ხომ არ წავა?“ — დარწმუნებული განაგრძობს ფიქრს: „უნდა მოკვდეს!“ და კვლავ შიშით ისმის კითხვა: „როგორ, რა გზით?“ — დაუმძიმდა გული. აზროვნებამ ნათელი დაჰკარგა და ბურუსში გაეხვია. ფიქრი კი ჯიუტია. არ შორდება. არ შორდება და საშინელი სიტყვაც გამოიკვეთა: „საწამლავი!“ — როგორც იყო თავს მოერია, თითქოს სიმსუბუქეც იგრძნო: „საწამლავი უნდა შეუგზავნოს“ — და განაგრძობს შეწუხებული ფიქრს: „ვისი ხელით? ამ ფულის სიყვარულით და რწმენა წარყვნილ ქვეყანაში ვის გინდა ენდო?.. ქურდის მოსპობის გზა კი გამოიძებნა, მხოლოდ სიკვდილი, მაგრამ როგორ უნდა შეასხა ხორცი“...

სასტუმროს ნომერში, სადაც გენერალი როდიონოვი ცხოვრობს, გაისმა ტელეფონის ზარის ხმა. წითური შეჩერდა: „მივიდეს თუ არა?... იქნებ ვინ არის?“ — გაიფიქრა და მივიდა. ყურმილში ესმის ლოზინსკის ხმა: „ამხანაგი ზორო რესტორანში გვეპატიჟება“... „რაღაც ვერ ვარ ხასიათზე“, — დაამირა უარის თქმა, მაგრამ თვითონვე გაუკვირდა, „სასწრაფოდ ჩაიცვი!“ ისმის იუსტიციის მესამე კლასის მრჩეველის ხმა, — „დალევ და ყველაფერი თავის ადგილზე დაეწყობა. მოვდივარ, ჩაცმული დამხვდი!“. — ლოზინსკიმ ყურმილი დადო. წითურმა კი წარმოიდგინა ტუჩებთან მიტანილი თეთრი სითხით სავსე ჭიქა. თითქოს გადაჰკრა კიდეც... გრძნობებით შეხურებულმა ჩაცმა დაიწყო.

გენერალი როდიონოვი ეძებს გამოსავალს. იპოვა კიდეც, მაგრამ ეშინია. ეშინია რადგან ეს გამოსავალი სახიფათოა — კიდევ ერთი მკვლელობა? — არა, არც მკვლელობა და არც სიკვდილით დამძიმებული ცოდვა არაფრად არ მიაჩნია. მისი შედეგის ეშინია — არ გაუგონ და პასუხი არ აგებინონ, ამიტომაც კვლავ ფიქრობს და ეძებს გამოსავალს... შემაწუხებელმა აზრებმა ჩიხში მოამწყვდია. იქით გზა აღარ არის — ბესსმერტნის მხოლოდ სიკვდილი გააჩუმებს!... მკვლელობა ისე უნდა მოხდეს, თვითონ არ ეცეკვას, — „საოცარია“, — ფიქრობს წითური, — „მე, გულაგის გენერალი, ამხელა თანამდებობის პირი, რამდენი ხანია ვებრძვი ვიღაც ნაძირალა ქურდს და ვერაფერი ვერ მოვუხერხე, პირიქით, მე გავები მახეში, ყოველ წამსა და წუთს მოსალოდნელია კამერაში მომხდარი მკვლელობის გახსნა... მაშინ კი“ — ფიქრი არ აცალა, მანქანაში გვერდით მჯდომმა ლოზინსკიმ:

— რაო, რამ დაგაფიქრა, ივან ვლადიმეროვიჩ?

— ჩვენი პროფესიის კაცს განა საფიქრალი დაელევა? — სევდიანი ღიმილით პასუხობს ჩინოსანი.

— სად წავიდეთ? — სტუმრებს ეკითხება მასპინძელი აშორდია.

— სადაც ნაკლები ხალხია და მაგარი არაყი! — ნაძალადევი ღიმილით პასუხობს გენერალი.

— ჭალადიდში! — მძღოლს მისამართს აძლევს ნაყვავილარი.

ჭაობიხნ ტყეში გაყვანილ გზას მანქანამ მარჯვნივ გადაუხვია. სიჩუმეს არღვევს ბაყაყების მრავალხმიანი სიმფონია და ზოგჯერ მასში გარეული რომელიღაც ღამეული ფრინველის ძახილი.

სოფლის ოღრო-ჩოღროზე მანქანა თქარუნით მიხტუნავს, ზოგჯერ ჩაახველებს, შეჭიმუვლებს და კვლავ განაგრძობს გზას კოლხური მდინარის ნაპირზე.

— რა ჭქვია ამ მდინარეს? — კითხულობს ლოზინსკი.

— რიონი, — პასუხობს ნაყვავილარი.

— კავკასიურ ხასიათთან შედარებით წყნარი ჩანს, — ამბობს გენერალი.

— ახლა კი, წყნარია. მაგრამ თუ აიშვა...

— იცის მომატება? — სასხვათაშორისოდ იკითხა იუსტიციის მესამე კლასის მრჩეველმა.

— ისე გაბოროტდება, ამ დამბას გადაევლებული ნაფოტივით დაატარებს მეგრულ ოდა-სახლებს.

— ადამიანის ცოდვაც ბევრი ექნება?

— კი აქვს...

— ვისი ცოდვა? — სიტყვა ცოდვამ ფიქრიდან დაიხსნა წითური.

— ადამიანების! — პასუხობს ნაყვავილარი და აელვებს ოქროს ეშვებს.

სიტყვა ცოდვის გაგონებაზე ჩინოსანს გაატრეოლა: „ცოდვა თუ მდინარეს მოეკითხება, მაშინ მითუმეტეს ადამიანსაც!“ — ფიქრობს გენერალი: „არა, მე არ მომეკითხება, რადგან მე საზოგადოების ხორცმეტებს ვსპობ, რიონს კი უნდა მოეკითხოს, რადგან ის ბოროტსა და კეთილს ერთნაირად ახრჩობს. ამიტომაც,“ — ფიქრს განაგრძობს გენერალი, — „თუ დროზე არ მოვსპე, დამღუპავს ეს გარეწარი, დიახ, დიახ, ბესსმერტნის გაჩუმება უნდა ვიჩქარო!“ — ასკვნის, საკუთარი ლოგიკის ჭეშმარიტებით გამართლებული გენერალი...

... და ფიქრებიდან კვლავ ლოზინსკიმ გამოარკვია:

— ივან ვლადიმეროვიჩ, მოვედით!

მანქანიდან გადმოსულმა გენერალმა იკითხა:

— სად ვართ?

— ჭალადიდში — პასუხობს ნაყვავილარი. — აქ მაგარი არაყი, კარგი საცივი და ღომი იციან.

— მთავარია, რომ არაყი აქვთ! — ეპასუხება გენერალი და კმაყოფილ სახეზე ნათელი ეფინება.

— ოჯახურ საჭმელებს აკეთებენ! — თავს იწონებს ოქროს ეშვებიანი. გენერალს კი უკვირს: „რა ოჯახური და რა რესტორნის? ნეტა რა განსხვავებაა?!“

ცალკე „კაბინაში“ შემოსულებს, სუფრა აშორდიას ნაცნობმა, ახალგაზრდა გაცმა, ლოჩო სიგუამ გაუშალა.

ლოჩო, ისე მიდი-მოდის, იატაკს ფეხს არ აკარებს, ასე გეგო-

ნება სუფრას ცოცხალი ადამიანი კი„არა, ვიღაც იდუმალი ჯადოქალა შლისო.

როგორც კი სუფრაზე არყით სავსე ჭურჭელი დაიდგა. წითური გამხიარულდა, ძარღვებში ნეტარი სითბო ჩაეღვარა. სასიმოვნოს მოლოდინში ხელები მონდომებით დაისრისა და ჭიქები შეავსო...

ნიავივით მსუბუქად მოსრიალე ლოჩო კი ახვავებს და ახვავებს! სუფრას. ახვავებს და ხატავს, როგორც უდიდესი მხატვარი. ხატავს და არც მგონია, ასე ბრწყინვალედ გაშლილი სუფრის დახატვა შესძლოს რომელიმე მსოფლიოში განთქმულმა ოსტატმა — ნატურმორტისტმა.

სიოსავით მსუბუქად მოსრიალე ლოჩო ნამატებით ავსებს სუფრას და მაგიდა უფრო და უფრო იხუნძება და იხატება—ქართული მასპინძლის სიყვარული.

— ამდენი რათ გინდა? — კითხულობს ლოზინსკი.

— თვალი ჭამს და თვალი სვამს, — პასუხობს აშორდია და აელვებს ოქროს ეშვებს.

„ლოჩო“ — ისმის ყოველი მხრიდან და ლოჩოც იქ არის. მიაქვს და სახიდან არ შორდება მუდმივად დახატული მლიქვნელური ღიმილი. მონური, მორჩილი გამოხედვა და ყოველი ამის სანაცვლოდ ერთადერთი რამ: „ფული!“

აგინე, აფურთხე შიგ თვალებში, რამდენიც გნებავს, მოექეცი ისე, როგორც მოგეხასიათება, ის მორჩილ ღიმილს სახიდან მაინც არ მოიშორებს, მხოლოდ გადაუხადე ფული!

ლოჩო!

ლოჩო!

ლოჩო!

ყოველი მხრიდან ეძახიან და ისიც მასთანაა. მიდის, მახსოვრობაში იწერს ყოველი მათგანის ნათქვამს, ამ ნათქვამიდან ასკვნის მათ ნაფიქრალსა და გულში ნადებს და შემდეგ, დათქმულ დროზე მონურად მოუყვება ზორო აშორდიას.

ლოჩო!

ლოჩო!

ლოჩო ყველგანაა ფიგაროსავით. ლოჩოს ყველაფერი ესმის. ლოჩო ყველაფერს იწერს. მაგიდასთან მსხდომთა საუბარმა კოლხეთის ისტორიიდან სამსახურებრივ თემაზე გადაინაცვლა.

— როგორ გრძნობს თავს შენს მიერ დამუშავებული ღვთის მსახური? — ეკითხება პროკუროორი აშორდიას.

— ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება! — სკეპტიკურად პასუხობს ზორო აშორდია.

— გავიგე სისხლს ახველებსო? — გამომძიებლის გულგრილობას ამძიმებს გენერალი.

— ხველება დაუწმინდავს ფილტვებს და მორჩება, — თქვა და თან ახლოს მიიწია ჩინოსანთან და მრავალმნიშვნელოვნად დაბალ

ხმაზე უთხრა, — ჩემო გენერალო, მთავრია ბესსმერტნის მოვუაროთ!

—... გეთანხმებით, თუ რაღაც არ მოვუხერხეთ, შეიძლება მეტად მძიმე და გამოუვალი მდგომარეობა შეგვექმნას, — ასკვნის, მესამე კლასის იუსტიციის მრჩეველი.

— გეთანხმებით, იაკოვ ლვოვიჩ, მაგრამ როგორ მოვიქცე, ფიქრით გამისკდა თავი, დამიჯერეთ, დღე და ღამე არ მძინავს, მაგრამ ვერაფერი ვერ მოვისაზრე... ციხეში თავს ვერ ჩავიგდებ, — ღელავს გენერალი და ტუჩებთან მიტანილ სავსე ჭიქას ცლის.

— როგორც არ უნდა იყოს, უნდა მოახერხო, ამას მკარნახობს გონება და ჩვენი დიდი ხნის მეგობრობა, ჩვენი დამოკიდებულება. დიახ, მე გულახდილად გეუბნებით, მოსკოვს რა პასუხი ჩავუტანო? რა ვუთხრა? რას ვაკეთებდი? სხვა რომ არა იყოს რა, უკეთეს შემთხვევაში მომარტყამენ საყვედურს, ხოლო ჩემს მაგივრად სხვას გამოაგზავნიან. მერე და ვინ იქნება ის სხვა? რას და როგორ მოიმოქმედებს?... განსაზღვრე ყოველივე ეს და მიპასუხე, როგორ მოვიქცე?

— მართალი ბრძანდებით, — მორჩილი და უღონობით ჩაწყვეტილი ხმით პასუხობს მუქად ქცეული დონდლო გენერალი, — მე რაღა ვქნა, ვერ მიპოვნია გამოსავალი!

— თქვენ რას იტყვით ამხანაგო ზორო? — ეკითხება აშორდიას პროკუროორი.

— ამ საქმის მოგვარება ძალზე ადვილია, ამისათვის შეწუხებაც კი არ ღირს — მშვიდად პასუხობს ნაყვავილარი.

— როგორ? კითხულობს გაკვირვებული ლოზინსკი.

— ადვილად შეიძლება? — უკვირს გენერალს სიტყვები: „ადვილად შეიძლება“, ხომ არ მომესმაო.

— ამიხსენით, როგორ? — ლოზინსკი მიიწია აშორდიასთან.

— „შმონი!“ — ქურდულ ჟარგონზე ამხელს საიდუმლო ჩანაფიქრს გამომძიებელი.

— არაფერი არ მესმის, — ამბობს გენერალი, თან იკრებს გონებას და ცდილობს უკვე მორეული არყის ჯადოდან თავის დაღწევას.

— მეთანხმებით თუ არა, ბესსმერტნი უნდა მოკვდეს? — სახე საკუთარი თვალებით გააცივა ნაყვავილარმა.

— კი, ბატონო, — ამბობს ლოზინსკი, რომელსაც კითხვა არ დააცალა გენერალმა...

— თანახმა ვარ, უნდა მოკვდეს, მაგრამ როგორ? — ქლოშინებს შეშინებული გენერალი, რომელსაც ესაა გაუჩნდა იმედის ნატამალი.

— უმტკივნეულო სიკვდილის ერთადერთი ხერხი საწამლავია! — თვალები ნადირივით მწვანედ უელავს აშორდიას.

— საწამლავი? — გააჟრჟოლა იუსტიციის მრჩეველს.

— როგორ გინდა მისცე? ძალით ხომ ვერ ჩაუყრი პირში? აქ კი ძმას ვერ ენდობი — ვეღარ იკავებს თავს გენერალი.

—როგორც გავიგე, ბესსმერტნი სისტემატიურად სვამს წვეთებს, — გველივით დაბალ ხმაზე, სისინებს გამომძიებელი.

— რის წვეთებს? — კითხულობს გაკვირვებული ჩინოსანი.

— ეს არ არის საინტერესო, მთავარია რომ ღებულობს, — ზორო აელვებს ოქროს ეშვების მზეს.

— „შმონი“ რაღა შუაშია? დაბნეული აცეცებს თვალებს ლოზინსკი.

— გასაღებია! — აშორდია მიუგდებს ყინულივით ცივ სიტყვას.

— რისი გასაღები? — გაოცებას ვერ ფარავს გენერალი.

— მომისმინეთ! — ამბობს აშორდია. სახიდან მოეხსნა ღიმილი. გაუქვავდა. ნაყვავილარს თვალების სიღრმეში რაღაც ბოროტი ჩაუდგა, — ვაფორმებთ, ჩვეულებრივ ოქმს, რომ კამერიდან მიღებული ცნობებით, ქურდებმა მიიღეს, რაღაც ახალი ნარკოტიკული ნივთიერება, — აზრის გამოსახატავად, სიტყვების ძებნაში აშორდიამ დაყოვნა.

—ამ საბაბით ვიწყებთ ჩვეულებრივ პროფილაქტიკურ ჩხრეკას.

— მერე? — ვეღარ ითმენს, ყურადღებად ქცეული, დონდლო და როყიო სხეულის პატრონი წითური გენერალი.

— ამიხსენით, რისთვის? — ღელვას ვერ იკავებს გენერალი.

— რომ ჩხრეკის დროს იმ სასმელ წვეთებში შევურიოთ საწამლავი! — სიტყვებს ნაყვავილარმა თვალებიდან მწვანე ცეცხლი გადმოაკვესა.

— რა? — ვერაგულმა ჩანაფიქრმა გასცრა ლოზინსკის.

— ბრწყინვალეა! — ხარობს ჩინოსანი, მაგრამ რა თვალი შეავლო ნაყვავილარი აშორდიას ყინულივით ცივი სახის ღიმილს, შიშმა სიხარულის ცეცხლი ჯერ დაუოკა, შემდეგ ჩაუფერფლა. გაიფიქრა: „ეს კაცი რომ გადამეკიდოს?!“ — და გული თითქოს ბაწრით გაუთოკესო, შეეკუმშა. სცადა გაღიმება, მაგრამ ღიმილის ნაცვლად სახე მხოლოდ დაეღრიჯა... და გაურკვეველი გრძნობისათვის თავი რომ დაეღწია, სავსე ჭიქა არაყი ყელში ერთი მოთქმით გადაუშვა... „მართლაც, რა ბრწყინვალე საშუალებაა არაყი!“ გაიფიქრა და აშორდას ჩანაფიქრს **დაუწყო ანალიზი.**

ლოზინსკის კაპიტანი აშორდიას თვალებიდან გადმოკვესილმა ნადირის მწვანე ცეცხლმა რაღაც მისტიკური და შემაძრწუნებელი გაფრთხილება დაუტოვა: „ღმერთმა მაშოროს ამ კაცთან სიახლოვე!“

ბესიონასაგან პასუხის მოლოდინში იოსება-საბრალო მეტად დაიძაბა—ნერვები გვარლივით დაეჭიმა, შიშმა იმაზე, რომ სასიკვდილო ეტაპში მიყავთ, მოსვენება დაუკარგა. დადის და ფიქრობს: „როგორ, რა გზით დაიტოვოს თავი?“. დადის და ფიქრი წამითაც არ ასვენებს: „რით უშველოს თავს?... სიგიჟე ხომ არ მოიგონოს?... გაუძლებს კი?“ — მოაგონდა სიმწარე, რომელიც მასთან კამერაში მოხვედრილმა შეშლილმა აგემა... შეშინებული იგონებს იოსება შეშლილის ოინებს: ხელის გულზე დაიწყობდა ასანთის ღეროებს, წაუ-

კიდებდა ცეცხლს და გახარებული ხტუნაობდა და ყვიროდა: „ჭიაკოკონა! ჭიაკოკონა!“ ..იოსებას კი ცხვირს სწვავდა ადამიანის დამწვარი ხორცის სუნი „არა არა, ამას ვერ შეძლებს!“ — ეუბნება თავის თავს და იწყებს ფიქრს გამოსავალის ძებნაში... რაღაც სხვა უნდა მოვიმოქმედო, მაგრამ რა? იქნება პროტესტის ნიშნად, როგორც ერთხელ „გიურზამ“ გააკეთა, თავი დანით დაისეროს? რა თქრიბლით სდიოდა სისხლი... ასე რომ შესძლოს წამსვე წაიყვანე! საავადმყოფოში... მაგრამ აქ ვინ მოგცემს დანას?... აქ დანა მხოლოდ ქურდებს აქვთ, ან რას იტყვი, რისთვის გჭირდება... სხვაც არა იყოს, ჭრილობა ალბათ ღრმა უნდა იყოს, თორემ უბრალო ნაკაწრისათვის სტაციონარში არავინ არ დაგაწვენს!... არც ასე გამოდგება, მაშ რა ქნას? აწი ეტაპი ყოველდღეა მოსალოდნელი... „ღმერთო, დამიფარე ამ სასიკვდილო გზიდან!“ — ლოცულობს ეტაპში გაგზავნის შიშით მუჭად ქცეული იოსება-საბრალო.

საწოლზე თითქოს რაღაც შეფოფრთხიალდა, ფიქრებით ძილწართმეული იოსება დაიძაბა, კიდევ რამდენიმე მოთოკილი მოძრაობა...

წამები...

კამერაში გაისმა საშინელი ხროტინი.

შეშინებულმა იოსებამ მისვლა ვერ გაბედა.

— ილია, ილია! — გაისმა იოსებას შეშინებული ჩურჩული.

— რა იყო? — ძილიდან გამოერკვა „მაგარი მუშტი“.

— ნახე! — და მიუთითებს იმ ადგილისაკენ, სადაც მღვდელი თედორე წევს.

ილიამ ყური მიუგდო...

ისმის ხროტინი.

ილია მივიდა. დასცქერის მღვდელს. თედორეს თვალები ღია აქვს, შესცქერის სურვილით სავსე თვალებით, მაგრამ არ ძალუძს სიტყვის წარმოთქმა...

— მამაო, რა მოხდა? — ეკითხება ილია თოფურია.

— მღვდელი ხმას არ იღებს. თითქოს ოდნავ შეინძრაო, — ეს სიტყვის თქმის სურვილია, რომელიც აღარ შეუძლია.

საცოდავად შეჰყურებენ ილიას სიტყვის თქმის მოსურნე თვალები, მაგრამ არა, პარალიზებულს ენა არ ემორჩილება.

თითქოს შეინძრა.

თვალებიდან უღონობის ცრემლი გადმოუცურდა.

თოფურია მიხვდა, მღვდელს დამბლა დაეცა. მივარდა კარებს, უბრახუნებს:

— ექიმი, სასწრაფოდ ექიმი! — ყვირის „მაგარი მუშტი“.

— რა გინდა? — ტალანიდან ისმის კაკოიას ხმა.

— მამაო თედორე ცუდადაა!

— ცუდად? — იკითხა ზედამხედველმა და ამასწინათ მომხდარით შეშინებული გვერდზე გაუდგა კარებს.

— შენ, რომელი ხარ?

— მე ვარ, ილია თოფურია!

—...პატიოსანი ბიჭი ხარ და მშობელ დედას გაფიცებ შარში არ გამხვიო!

— რა დროს შარია, კაკოია, კაცი კვდება!

— ახლავე, — მოაძახა კაკოიამ და გაქრა.

მამა თედორეს ეტყობა ლაპარაკიც აღარ ესმის. ხროტინებს ტვინში სისხლჩაქცეული და დამბლადაცემული.

კამერა ფეხზე დადგა.

— ექიმს დაუძახეთ? — კითხულობს ბესსმერტნი.

— კაკოია წავიდა...

„თამბეგა“ მივიდა ავადმყოფთან. ყურაღღებით შეათვალიერა:

— არ გადარჩება! — უიმედოდ ჩაიქნია ხელი.

სუსტი ელექტო შუქით განათებულ კამერაში პატიმრები თავს წამოსდგომიან მომაკვდავს...

გარეთ ღამეა.

ბნელი უკუნი ღამე...

ისმის ციხის დარაჯების ზარებით გადაძახილი:

დანგ...

დანგ...

დანგ...

დანგ-დინგ,

დინგ-დონგ...

იბადებიან ადამიანები და კვდებიან. და ასე ყოველ წუთსა და წამს. ყოველ საათს. დრო კი მიდის თავისი ჩვეული ნაბიჯებით...

დანგ...

დანგ...

გაისმა გასაღების ჩხაკუნი.

ღია კარებში გამოჩნდა: ციხის უფროსი ნოე თორია, ოპერრწმუნებული ძიკა სერგია და დაცვის უფროსი აბდულ მაკოევი თავისი რამდენიმე ჯარისკაცით.

— ვინ არის ავად? — იკითხა დაეჭვებულმა ციხის უფროსმა.

— დააგვიანეთ! — ირონიულად ამბობს კოსტია ბესსმერტნი.

— დავაგვიანეთ, რატომ? — უკვირს ციხის უფროსს.

— საბრალო ღვთის მსახურმა განუტევა სული! — უპასუხა ჭურდმა...

— როგორ? — უნებლიედ წამოცდა ციხის უფროსს...

— ეს მაშინ უნდა გცოდნოდათ, როდესაც ცემით გინდოდათ მიეცა ყალბი ჩვენება! მკაცრად უპასუხა ჭურდმა დ დაჯდა თავის ადგილას.

მორიგი ქეიფის მეორე დღეს, ძიკა სერგიას კაბინეტში ორნი არიან, აშორდია და გენერალი როდიონოვი. საუბარი მიდის პირისპირ. ერთი ერთზე, მოწმის გარეშე. საუბარი მეტად საიდუმლო და საგანგებოა:

— საკმარისია, სავსე ჭიქა წყალში გახსნილი ამ საწამლავის თუნდაც ერთი კრისტალის ერთი წვეთი ხსნარი მოხვდეს ადამიანის ორგანიზმში, რომ წამებში მოისპობა სიცოცხლე! — ამბობს აშორდია და აელვებს თავის ოქროს ეშვებს.

— ასე ძლიერია? გაკვირვებული ხარობს, ბესსმერტნის მომავალი მკვლელობით აღტაცებული გულაგის გენერალი და როგორც კრავის შესაჭმელად გამზადებული მგელი, ენით ილოკავს ტუჩებს.

— სეკუნდი და სიცოცხლე დამთავრებულია! — სისინებს ნაყვავილარი.

მელად ქცეულ გენერლის მიზანია, საწამლავი ბესსმერტნის სხვისი ხელით მიაღებინოს და როგორც უფროსი, უმცროსს — აშორდიას არიგებს:

— ხელი რომ არ მოგვეცაროს, რაც შეიძლება მეტი უნდა ჩაუყაროთ!

ნაყვავილარი ხვდება ჩინოსნის ვერაგობას, რატომაც სრულიად მოურიდებლად და ჯიქურად ახლის:

— ამ საქმის ნდობა სხვაზე არ შეიძლება!

— სხვა არავითარ შემთხვევაში! — გამომძიებელს მხარს უბამს გენერალი.

— ეს მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ! — აშორდია აელვებს ოქროს ეშვებს.

— მე? — კითხვას იმეორებს უფსკრულში გადაჩეხილი გენერალი.

— მხოლოდ თქვენ! ივან ვლადიმეროვიჩ, რადგან ბესსმერტნის სიკვდილი ყველაზე მეტად თქვენ გჭირდებათ! — უხსნის აშორდია.

— ჭურდის სიკვდილი ყველა ჩვენთაგანის საჭიროებაა! — ცდილობს სასწორის თავის მხარეზე გადმოწონას ჩინოსანი.

— გენერალო, მე თქვენ სულელი ხომ არ გგონივართ? — ირონიულად იღიმის ნაყვავილარი.

— რატომ? — ნაძალადევად იკვირვებს შეცბუნებული ქლოშინა გენერალი.

— თქვენთვის საჭირო მკვლელობა მე გინდათ ჩამადენინოთ?

— ჩვენ ხომ საერთო საქმისათვის ვზრუნავთ? — უჩვეულოდ გაბზარული ხმით ცდილობს ჩინოსანი გამომძიებლის გადარწმუნებას, მაგრამ რა ხედავს აშორდიას სახის გამომეტყველებას, სჯერა, რომ უთხრეს ის სიმართლე, რომელსაც ვერავინ ვერ შეცვლის.

აშორდიამ ადვილად შეამჩნია, — წითურის მომავალი მკვლელობის შიშით ჭამოწვეული ყოყმანი, რატომაც სცადა როყიოს შეგულიანება:

— ნუ იდარდებთ, ყველაფერი ისე მოეწყობა, როგორც ზღაპარში!

— გასაგებია, — მექანიკურად პასუხობს გენერალი, თან თავს იიმედებს: „საწამლავი მან მომიტანა, ესე იგი თანამონაწილეა.., არა,

ვერ გამცემს“ და ორთა კავშირის გასამაგრებლად ორიოდ სიტყვით ელაქუცება, — მე თქვენი იმედი მაქვს!

მძორიპამია ტურასავით ფრთხილობს როდიონოვი, თუმცა იმასაც ხედავს, ბადეში უკვე მოხვედრილია და ეს ბადე ზორო აშორდიას ნასროლია.

— რაც ხდება, მარტო მე და თქვენ ვიცით!

— რა თქმა უნდა, მარტო ჩვენ! — ქაჩალ თავზე ორი ღერი თმა აებურძგნა გენერალს.

— და ასეც მოკვდება! — ბეჭედს სვამს ნაყვავილარი.

— დუმილი როგორც საფლავში! — საფლავის ხსენებაზე ტანთ გასცრა გენერალს.

... აირივნენ სხვადასხვა ფერის შხამიანი ბუშტები. თვითოეულ მათგანში იკვეთება ადამიანთა სახეები: აგერ წითური, დონდლო და როყიო ტანის გენერალი როდიონოვი, აქვე აგურისფერი გველივით დაიკლაკნება მოსკოველი პროკურორი ლოზინსკი, არ ასვენებს ვეება მორიელი, თვალებიდან ცეცხლს აფრქვევს და ხარხარებს აშორდიას ნაყვავილარი ნაცრისფერი სახე.

დაფრინავენ შხამიანი ფერადი ბუშტები და ყოველ მათგანს კავშირი აქვს მილიონობით იოსება-საბრალოსთან!

მოძრაობენ შხამიანი ფერადი ბუშტები და მათი სასიკვდილო შეხების ეშინია ლილით მოვაჭრე იოსება-საბრალოს.

უკვე მერამდენე დღეა, იოსება ეძებს ეტაპიდან დარჩენის გამოსავალს. ეძებს მაგრამ არა, გამოსავალი არ ჩანს.

საბრალოს შორეთიდან ვიღაცის ხმა ჩასჩურჩულებს: „უბედურო, ლოცვა თუ დაგიხსნის შხამიანი ბუშტების ჯოჯოხეთიდან“.

და ლოცულობს იოსება-საბრალო.

ლოცულობს ხან დამხობილი და ხანაც ხელებაბყრობილი.

ლოცულობს და შესთხოვს ყოვლისშემძლეს — დაიხსნას ფერადი ბუშტების შხამიანი სამყაროდან!

ფიქრობს და ლოცულობს იოსება.

დადის და ლოცულობს.

დგას და ლოცულობს.

წევს და ლოცულობს. იოსება-საბრალო ემუდარება შემოქმედს დაიხსნას სასიკვდილოდ ეშმაკისაგან განწირული გზიდან.

წევს და ფიქრობს, ფიქრებს ფიქრებში არჩევს: „ფულის ხათრით. ლიოხა ბესიონას მიუტანდა წერილს. კი, აუცილებლად მიუტანდა... თუ ასეა, პასუხი რატომ არ ჩანს? ...აბა რას მომიტანდა“—საკუთარ თავს ეპასუხება საბრალო: „ განა ვერ ხედავდი, როგორ ქალივით აკივლეს?... არა, როგორ მიუვიდა გული ამ მახინჯ მძორზე?“.

„კი, არ მიუვიდა!“ — იოსებას ეპასუხება სამყაროს იდუმალი გული, — ეს იყო შურისძიება საკუთარი დამცირებისათვის!... ეს იყო საპასუხო გაბოროტება!... ეს იყო შხამი, რომელიც ადამიანებს უჩნდებათ ერთმანეთთან მახინჯ დამოკიდებულებაში!

წევს იოსება-საბრალო და ფიქრობს: როგორ დაიხსნას თავი სასიკვდილო ეტაპიდან...

დილას „პადიომზე“ არ ადგა, არც „გასეირნებაზე“ წავიდა. ესეც სარისკო იყო, რადგან ციხის განაწესს არღვევდა.

კაკოია-ზედამხედველს თვლით ერთი პატიმარი დააკლდა:

რომელი არ გამოვიდა „გასეირნებაზე“? — კითხულობს ზედამხედველი.

— მოშიაშვილია ავად, — პასუხობს ვიღაცა.

— ავად? რა მოუვიდა? — უკვირს კაკოიას იოსებას ავადმყოფობა.

— ავადაა, — პასუხობს იგივე ხმა.

ზედამხედველმა მახსოვრობაში აღიდგინა „მშიშარა“ ლილით მოვაჭრის სახე: გაბრაზდა, „როგორ თუ გაბედა და ავად გახდაო?“...

— გამოდი, მოშიაშვილო! — ყვირის ზედამხედველი, მაგრამ საბანში გამოხვეული იოსება დუმს, — ადექი! — ბრაზი ერევა ზედამხედველს, — ადექი მეთქი! — უკვე ბრძანებს კაკოია.

საბანში გამოხვეული იოსება-საბრალო დუმს.

— ადექი! — ყვირის ცოფმორეული ზედამხედველი, მაგრამ საბანში საგულდაგულოდ გამოხვეული ლილით მოვაჭრე ჯიუტად დუმს.

მთელი ხმით გაჰყვირის „აღმზრდელი“, იოსება კი წევს და ისე დუმს, თითქოს ეს ძახილი ვიღაც სხვას ეკუთვნის და არა მას.

ბრაზობს კაკოია-ზედამხედველი, კამერაში შედის: „ძალით გამოვათრევ.“ — ფიქრობს გაბრაზებული ზედამხედველი... გადადგა კიდეც რამდენიმე ნაბიჯი... ვიღაცამ თუ რაღაცამ შეაჩერა?!

ვინ?

რამ?

რა მოხდა?

„შინაგანაწესს არღვევს ეს მშიშარა, ესა!.. ძალით გამოვათრევ“ — საკუთარ თავს აქეზებს კაკოია-ზედამხედველი... მაგრამ რატომ გაქვავდა? ვეღარ დგამს ნაბიჯს?... ოო, მოაგონდა „აქ ორი დღის წინათ ლიოხა გაუპატიურეს!“ — შეშინებული კაკოია გველნაკბენივით კარებისაკენ გადახტა.

მიხვდნენ პატიმრები.

მიხვდნენ პატიმრები, რამაც შეაშინა კაკოია.

იცინიან.

სიტყვა-ქილიკობენ.

— „პრაგულკაზე!“ — ყვირის გამოცნობით ნაწყენი ზედამხედველი. ფიქრობს: „ჯანდაბას მაგისი თავი, არ უნდა და ნუ წამოვი!“, თან ყველას გასაგონად აფრთხილებს: „იცოდე გაყვანა არ მომთხოვო!“

იოსება-საბრალო კი საბანში გამოხვეული დუმს.

ზედამხედველს კამერა საპირფარეშოში მიჰყავს.

დაიწყო ჩხრეკა!

შიგნავენ ყველაფერს, ამტვრევენ ჩემოდნებს, ყუთებს, ჭრიან ფეხსაცმელებს, პალტოებს... ისვრიან ნივთებს, გლეჯენ...

დღეს „შმონი“ განსაკუთრებულია, ყველა წინათ მოწყობილ ჩხრეკასთან განსხვავებით ჩხრეკას ესწრებიან გულაგის გენერალი როდიონოვი, გულაგის პროკურორი, იუსტიციის მესამე კლასის მრჩეველი ლოზინსკი, გამომძიებელი აშორდია, ოპერი სერგია და თვით ცეხის უფროსი — ნოე თორია.

... ჩხრეკენ, მაგრამ უფროსობას არ ასვენებს უსიამო ფიქრის ჭია:„ გუშინ, მღვდელი გარდაიცვალა, მართალია ექიმმა აქტი შეადგინა, პატიმარი ინფარქტმა შეიწირაო, მაგრამ ამდენ პატიმარს ხომ ვერ დაამუნჯებ, ყოველი მათგანი გამომძიებელ აშორდიას აღანაშაულებს: „ხელი რომ არ მოაწერა ყალბ ჩვენებას, იმიტომ სიკვდილის პირამდის სცემესო“.

სცემეს კი არა, ცემით მიასიკვდილესო!

„მღვდლის სიკვდილით ვინ რას დაგვაკლებს, მთავარია ქურდების ატამანი — ბესსმერტნი მოისპოს!“ — ფიქრი აიმედებს მართლმსაჯულების მოხელეებს გულაგის გენერალსა და გამომძიებელ აშორდიას.

ერთი ფიქრი. მხოლოდ ერთი ფიქრი: „ბესსმერტნი უნდა მოკვდეს!“

გამომძიებელი აშორდია მიდის ბესსმერტნის საწოლთან. აი ის საბედისწერო, პატარა შუშაც: „ნეტა რა არის შიგ?“ — ფიქრობს ზორო ნაყვავილარი და კვლავ აკვირდება წვეთებს. შემდეგ ხსნის საცობს, ისველებს თითს, ენის წვერზე ისინჯავს: „არა, არაფრის გემო არ აქვს?“ უკვირს ნაყვავილარს. მოიხმობს წითურს:

— ივან ვლადიმეროვიჩ!

წითური ზეწარივით თეთრია, ამას ამჩნევს ზორო და გვერდში თითის ჩხვლეტით ამხნევებს:

— ნახეთ!

— რა ნახეთ? — კითხულობს დაბნეული ჩინოსანი.

— გასინჯეთ, იქნებ თქვენ მაინც ამოიცნოთ?

— გავსინჯო? — შიშს ანთხევს თვალებიდან გენერალი.

— მე გავსინჯე, მაგრამ ვერაფერი ვერ გავუგე... იქნებ თქვენ მიხვდეთ! — ეუბნება დ აძლევს პატარა ბოთლს, თუ შუშას.

— ვნახოთ, ვნახოთ! — თავისთვის მექანიკურად იმეორებს გენერალი. ხსნის საცობს. დასველებულ თითს ენის წვერზე ისინჯავს... — არაფრის გემო არა აქვს?...

— ჩაყარე! — ბრძანებით უჩურჩულებს ქლოშინას ზორო.

გენერალი გონს მოეგო. მოსულმა ფიქრმა დაიმედა: „დაბეზღებას ვერ გაბედავს, თვითონაც მონაწილეა,“ — გენერალმა პატარა შუშაში ჩაუშვა რამდენიმე თეთრი ფერის კრისტალი.

— ხედავთ რა უცებ გაიხსნა?

— ვხედავ! — გონებას იკრებს ქლოშინა.

აკი გითხარით, არავითარი კქალი!—აშორდია შუშას დებს თავის ადგილას.

ფიქრმა: „კოსტია აღარ იცოცხლებს,“ — გენერალს საამო სითბო ჩაუღვარა.

ჩხრეკენ!

ჩხრეკენ მონდომებით!

ჩხრეკენ განურჩევლად ყველას.

ორი შეშინებული თვალი წამით არ ტოვებს აშორდიასა და როდიონოვის არცერთ ნაბიჯს, — ეს იოსება-საბრალოს თვალებია.

იოსება მახსოვრობაში იწერს გენერლისა და გამომძიებლის ყოველ ნაბიჯს, თუ მოძრაობას, მათ ყოველ ჟესტს, მათ მოქმედებას აღიბეჭდავს როგორც ფოტო ფირი.

... ჯარისკაცმა ლილით მოვაჭრე გააშიშვლა. სინჯავს მის ტანსაცმელს, ქვეშაგებს, ნივთებს. სინჯავს მთელი გულისყურით. იქნება იპოვოს რამე და დააწინაურონ?!

— შენ აქ საიდან? — კითხულობს იოსებას იქ აღმოჩენილი შეცბუნებული აშორდია.

— ეძინა! — მოახსენა ჯარისკაცმა.

— რატომ არ ხარ „გასეირნებაზე?“ — უკვირს და ცეცხლი ეკიდება. დაწვა ეჭვმა: „ხომ არ დაინახა?“ — მაგრამ საშინელ ეჭვს ცვლის იმედის ეჭვი: „ეძინაო“... თან ფიქრობს: „ისე მოხერხებულად ჩაყარა, გვერდით ვიდექი და ვერ შევამჩნიე!“... თუმცა... ფიქრს განაგრძობს ზორო: „სიფრთხილეს თავი არ სტკივა!“...

— ჩაიცვი! — ჯარისკაცი უბრძანებს იოსება-საბრალოს.

იოსება იცვამს და ფიქრობს: „ნუთუ ეტაპში დღეს მივყავართ?... არა, არა, არ წავალ, რადაც არ უნდა დამიჯდეს, არ წავალ!“ — მტკიცედ გადაწყვიტა ლილით მოვაჭრემ და ნაგრად გამოეხვია საბანში.

— რატომ არ ხარ გასეირნებაზე? — ეკითხება გამომძიებელი.

— ავადა ვარ, — პასუხობს ლილით მოვაჭრე და კვლავ ცეცხლივით წვავს შავი ფიქრი: „მივყავართ“.

— რა გჭირს?

იოსება დუმს. არ იცის რა უპასუხოს...

წამები...

წუთები...

რა უპასუხოს, როგორ ჯობია?

— რა გჭირს? — კითხვას უმეორებს გამომძიებელი. და ეს ხმა ესმის, როგორც ხმა მოღწეული შორეთიდან.

— არ ვიცი... ცუდად ვარ, — ამბობს იოსება-საბრალო და არეული თვალების გამომეტყველებით მაგრად გამოეხვევა საბანში.

„მართლა ავადაა“ — ფიქრობს აშორდია და ყველანი გადიან კამერიდან.

გასეირნებიდან № 37 კამერის პატიმრები ხმაურით დაბრუნდნენ. ყოველი მათგანი ცდილობს მჩხრეკელთა მიერ არეულ ნივთებს დაუბრუნოს საჭირო ადგილი და ფორმა.

აწყობენ ნივთებს და იგინებიან.

აგინებენ თავგამოდებით. ერთი ცდილობს მეორეს აჯობოს გინებაში. ახვევს სართულებს.

თავის საწოლზე წამოწოლილი კოსტია „თამბეგას“ და „გიჟოს“ ესაუბრება. ეტყობა კარგ ამბავს ამცნობს, რადგან სახე მეტად კმაყოფილი აქვს.

— როგორ არ გახსოვს, № 21 კამერაში ახალგაზრდა მეზღვაური?

— საშუალო ტანის, ქერა? — იგონებს „თამბეგა“

სტაციონარში რომ გადაიყვანეს? — ახსენებს „გიჟო“.

იმ პატარა ბიჭის მამა ადმირალი ყოფილა!

— ადმირალი, როგორ გენერალი ადმირალი? — უკვირს „გიჟოს“.

— თავი კი ისე ეჭირა, გეგონებოდა გლეხუჭას შვილი იყო, — აფასებს „თამბეგა“.

— მამამისის ნაჩუქარი საათისათვის მოუკლავთ!

— ვის? — ცნობისმოყვარეობა გაუცხოველდა „თამბეგას“.

— სხათისათვის კაცი მოკლეს? — უკვირს ციხეში მკვლელობის მიზეზი „გიჟოს“.

— მერე და სამხედრო-საზღვაო ფლოტის პროკურატურა რა შუაშია? — კითხულობს „თამბეგა“.

— ის საწყალი წითელფლოტელი ყოფილა...

— ეტყობა ვიღაცამ უჩივლა, — ამბობს „გიჟო“.

— თუ მოგვისწრეს, გვეშველება, — აიმედებს „თამბეგა“.

— ქალაქში უკვე ჩამოსულები არიან, დღეს თუ ხვალ დაგვკითხავენ! — ამბობს კოსტია.

— ჩვენ? — არ სჯერა „გიჟოს“.

— ყველას, ვინც კი მასთან კამერაში იყო.

— მაშ, ჩვენს ამბავსაც მოვახსენებთ! — ასკვნის „თამბეგა“.

— მაშ, ამ ლამპლებს უნდა შერჩეთ საწყალი „ინტელიგენტის“ სიცოცხლე და ნაოფლარი? — ბრაზით იბერება „გიჟო“.

კოსტია ბესსმერტნის უცებ აუტყდა სიცილი.

— რა იყო? — ეკითხება, ატამანის უადგილო „სიხარულით“ გაკვირვებული **„თამბეგა“.**

— საოცარია, — განაგრძობს სიცილს ქურდი.

— რა არის საოცარი? — ახლა „გიჟოს“ უკვირს.

— ეს რა ქვეყანა მოაწყო ლენინმა!

— როგორ? — უკვირს „გიჟოს“ და თან სიცილში ჰყვება ბესსმერტნის.

ჩვენ, ქურდები, დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლები უფრო მეტს ვზრუნავთ კანონებისათვის, ვიდრე თვით სახელმწიფოს წარმომადგენლები!

პასუხად „თამბეგა“ დაბალ ხმაზე ღიღინებს:

„მიდის, მიფრინავს წუთისოფელი,
ბრუნავს ქვეყანა, ტრიალებს ჩარხი,
მიჰქრის სიცოცხლე, მისდევს სიკვდილი,
ათასნაირად ირევა ხალხი“...

დილით კარგ ხასიათზე მყოფმა კოსტიამ, მთელი კამერის გასაგონად განაცხადა: სამხედრო-საზღვაო ფლოტის ზედამხედველობითი პროკურატურა ციხის ტერიტორიაზეა! ძმებო, დაიწყება დაკითხვები, ყველა, ვინც კი კაცური კაცია და აქ კამერაში შეესწრო მკვლელობას, თავისი სინდისის წინაშე ვალდებულია თქვას სიმართლე. გახსოვდეთ, სხვა შემთხვევაში მოკლულთა სულები არ მოგასვენებენ!

... როგორც ყოველ დილას, თავის საწოლის თავთან მდგარ პატარა შუშიდან, რამდენიმე წვეთი გადაისხა ჭიქაში, გააზავა წყალში. აურია და მხიარული ხმით შესძახა:

— გაუმარჯოს ქურდებს! — არაყივით გადაუშვა ყელში. ეს ის წუთი იყო, როდესაც ყველა კამერაში მყოფი უყურებდა კოსტია ბესსმერტნის. კოსტიამ დაცალა თითქმის ჭიქის ნახევარი. ხელი პირიდან არ მოუშორებია. გაშეშდა. თვალები, როგორც შიშის დროს, გაუფართოვდნენ. მოღიმარი კაცი წამებში ქვად იქცა. ტუჩები გაულურჯდნენ.

კამერაში მყოფნი უყურებენ, მაგრამ ვერცერთი ვერ მიხვდა რა მოხდა.

ქურდი მოწყვეტილი დაეცა საწოლზე.

ვიღაცამ იყვირა: „კოსტია!“...

უსულო კოსტია ბესსმერტნის გვამი თავის საწოლზე გაშხლართული დაეცა... სანამ პატიმრები გონს მოეგებოდნენ, კამერის კარებში შემოსულმა მეზღვაურის ფორმაში გამოწყობილმა საამო სახის, დაახლოებით ორმოცდაათ-ორმოცდათხუთმეტი წლის მამაკაცმა განაცხადა:

— მე ანტონ მირონის ძე ზანოზა ვარ, შავი ზღვის სამხედრო საზღვაო ფლოტის ზედამხედველობითი პროკურორის თანაშემწე,— შემოსულის დაკვირვებულმა თვალმა შეამჩნია, კამერაში მყოფთა შეშფოთებული სახეები, — რა მოხდა?

— მოკვდა! მთელი ხმით შეჭრიალა „პერეპიოლკამ“.

— გაგიჟდი! — იყვირა **„გიჟომ“ და მივარდა** ბესსმერტნის.

— ანდრეი პავლოვიჩ! — ზანოზამ მოიხმო ერთ-ერთი მისი თანმხლები, მეზღვაურის ფორმაში, ინტელიგენტური, მაგრამ, ფერმკრთალი სახის, დაახლოებით ორმოცდაათი წლის მამაკაცი.

— გისმენთ ანტონ მირონოვიჩ? — გაიჭიმა სათვალებიანი.

— გასინჯეთ, რა მოუვიდა! — ზანოზა მიუთითებს ბესსმერტნის გვამზე.

— მესმის! — ამბობს ინტელიგენტი და ათვალიერებს მიცვალებულის გვამს,

დუმილი.

მკვდარი დუმილი.

მთელი ყურადღება ექიმზეა. რას იტყვის?

— მოკვდა!

— რისგან? — კითხულობს გაკვირვებული ზანოზა.

— თუ არ ვცდები, სწრაფმოქმედი საწამლავის მიღების შედეგად!

— რითაა მოწამლული?

— ამას ექსპერტიზა დაადგენს, — ამბობს ექიმი და დაკვირვებულ მზერას არ აშორებს მიცვალებულს.

— ამხანაგო პროკურორო, — მიმართავს აშორდია ლამაზი სახის მამაკაცს, — ორი დღის წინ გვაცნობეს, კამერაში ქურდებს მიუღიათ ძლიერმოქმედი ნარკოტიკული ნივთიერება.

— გუშინ ჩხრეკაც კი მოვაწყვეთ, — ემოწმება გამომძიებელს გულაგის გენერალი.

— თუ იპოვეთ მსგავსი რამ? — თავშეკავებით, მაგრამ მკაცრად კითხულობს ლამაზი სახის მამაკაცი.

— არა, დაბნეული პასუხობს წითური ჩინოსანი.

— ინფორმაციისათვის მადლობა, — ცივი ირონიით შემოხედა პროკურორს თანაშემწემ.

— ვინ იცის, რამ მოწამლა, — წამოროშა გენერლის სასიამოვნოდ ციხის ოპერმა ძიკა სერგიამ.

საამო სახის პროკურორის თანაშემწე ექიმს რაღაცას უჩურჩულებს, რაზეც ექიმი ჩურჩულითვე პასუხობს.

— ჰგავს ციანის კალიო!

— ფიქრობთ ნარკოტიკებით მოწამვლა გამორიცხულია?

— აბსოლუტურად! — დარწმუნებით ჰასუხობს ხანში შესული.

— გმადლობთ...

— გვამს გავატანინებ! — ჩქარობს ბესსმერტნის გვამის გატანას აწრიალებული გულაგელი გენერალი.

— გმადლობთ, ექპერტებს დაველოდები! — მშვიდად პასუხობს ზანოზა და გამჭოლ მზერას ხანჯალივით ასობს მწითურს.

— გამოუძახეთ ქალაქის ექსპერტებს! — ცდილობს ბრძანების ტონით წარმოთქმას შეშინებული ქლოშინა ჩინოსანი.

— ნუ წუხდებით, ჩვენი ექსპერტები მოგყვება! — განმარტებით თავზარს სცემს მეზღვაური გენერალს. ჩინოსანმა აღარ იცის როგორ მოიქცეს. ლაპარაკობს მხოლოდ იმიტომ, რომ კამერაში მყოფთ გაიგონ ის, გულაგის გენერალი ლაპარაკობს:

— აი, სადამდის მივყავართ ნარკოტიკებს!

— ვინ არის დამნაშავე? — კითხვას სვამს ციხის უფროსი, — განა თვითონ არ იკეთებენ? — ცდილობს მზრუნველი სახე მიიღოს ნოე თორიამ.

— ოქეენ! — მშვიდად და ცივად პასუხობს საამო სახის მეზღვაური. პირდაპირი პასუხით დაბნეულ თორიას ენა წაერთვა, საამო სახისამ კი განაგრძო, — განა ვინ აძლევს თუნდაც იმ ნარკოტიკების შემოტანის საშუალებას? არა, იქნება სხვა, მაშ, გთხოვთ დამისახელოთ!

დგას უნადაბმული თორია. დგას ფერდაკარგული ისე, ვით შეიძლება იდგეს კუბოში მწოლი მიცვალებული.

— საუბედურო სიმართლეს ვერსად ვერ წაუვალთ, — გონებას იკრებს აშორდია. ნაყვავილარმა ძლივს მოასწრო სიტყვების წარმოთქმა, რომ შუა კამერაში გამოვიდა მეტად აღგზნებული იოსებაა-საბრალო:

მოქალაქე პროკურორო! — მიმართა იოსება-საბრალომ ლამაზი სახის მამაკაცს.

— გისმენთ? — პროკურორი ყურადღებად იქცა.

— აი ეს შუშა გასინჯეთ, თუ შიგ საწამლავს იპოვით, გამომიძახეთ, მაშინ მე გეტყვით ვინ მოწამლა კოსტია!

— თქვენი გვარი?

— მოშიაშვილი იოსებ აბრამის ძე!

— გმადლობთ, მე გამოგიძახებთ, — კმაყოფილია პატიმრის სიტყვებით პროკურორი.

მხილების შიშით თავზარდაცემულ გენერალს მეტყველება დაუდამბლავდა, თვალთ დაუბნელდა. თავი დაცემისაგან ძლივს შეიკავა. აშორდიამ კი თვალებით სცადა იოსება-საბრალოს გაჩუმება.

ლილით მოვაჭრის საღმა აზრმა გაუნათა გონება: „ძიება დაიწყება, ეტაპში აღარ წამიყვანენ!“ ხოლო ჭეშმარიტი აზრით გათამამებულმა უფრო გაბედულად შეუტია ოქროს ეშვებიან ნაყვავილარს:

— ნუ მიბრიალებ თვალებს, არ მეშინია შენი! — აშორდიას თითქოს მეხი დაეცაო და იმის დასტურად, რომ ეს სიტყვები მას არ ეკუთვნის, გაიღიმა. — ეს იყო მკვდრის ღიმილი. კამერა გაოცდა: მათ წინაშე იოსება-საბრალოს ნაცვლად სულ სხვა კაცი იდგა. ეს იყო იოსება-ვაბედული! ეს იყო იოსება-თავზეხელაღებული!

„იოსება?“ — როგორც ერთს, აღმოხდა პატიმრებს.

„მოშიაშვილი!“ — როგორც ერთს აღმოხდა ციხის ხელმძღვანელობას.

სადღა იყო მშიშარა იოსება-საბრალო. — მათ წინაშე იდგა საკუთარ ლეკვებს გადაფარებული ძუ ვეფხვი!

აშორდიამ მთელი სიცოცხლის მანძილზე დღეს პირველად იგემა წაყენებული ბრალდების დარტყმის სიმწარე.

ᲗᲐᲕᲨᲘ

მიხეილ პავში სიყვარულისათვის დაიბადა. მას შეეძლო სილამაზისა და მშვენიერების აღქმა და განცდა. აირჩია გულის სწორი, ამ საოცარი სიყვარულის ნაყოფი იყო კლავა.

პავშის თითქოს არაფერი აკლდა, მაგრამ იყო ერთი მეტად სე-

რიოზული რამ: იმ სახელმწიფოში, რომელსაც რევოლუციის მონაპოვარი ერქვა, შრომის ასანაზღაურებლად ორი პირობიდან ერთი მაინც აუცილებელი გახლდათ: უნდა ყოფილიყავი კომუნისტი ან ქურდი.

არა, სხვანაირად ცოლ-შვილს ვერ შეინახავდი!

ახალგაზრდობის წლებში, პავშის ინტელექტუალურმა ბუნებამ პირველი აირჩია — შევიდა პარტიაში. წერდა სტატიებს, ხალხს მოუწოდებდა საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისაკენ, მაგრამ საბედისწერო ოცდაჩვიდმეტ წელს, როდესაც სხვაგვარი აზროვნებისათვის მშობლებს ციხეში ამოხადეს სული, მიხეილმა პროფესია შეიცვალა — დაიწყო ბუღალტრობა...

შემდეგ მძვინვარე ომი და მისი საშინელი შედეგები: მეუღლისა და ქალიშვილის დაღუპვა.

და დაიწყო წამება!

წამების გზა ყოფილა სიცოცხლე!

და ბედნიერი ხარ მხოლოდ მაშინ, თუ ამ წამებას რწმენად გაიხდი — შეიქმ ჯვარცმული! სხვა შემთხვევაში სიცოცხლეს აზრი არ აქვს: უნდა ემსახურო და გახდე მისი თანაზიარი!

პავშიმ იმ საღამოს ერთი თვალის გადავლებით გადახედა საკუთარი ცხოვრების განვლილ გზას და დარწმუნდა: თუ ბედი არ გწყალობს, სიკვდილიც ზურგს შეგაქცევს!

დიახ, სიკვდილი, რომელიც ყოველ სულდგმულს მისდევს. აღსასრულს, რომელსაც ყოველი ემალება და გაურბის. დიახ, თუ ბედი არ გწყალობს, ეს მუდრეგიც არ გისურვებს!

მწარედ გაეცინა, სიკვდილი განა არ ინდომა და რა გამოუვიდა. ამ მის განწირულ სურვილს ემსხვერპლნენ საყვხრელი მეგობრები, თვით კი გადარჩა, როგორც შიშველი სირცხვილი!

ამას წინათ, რაც კოსტიასაგან გაიგო: თურმე სამხედრო-საზღვაო ფლოტის პროკურატურამ დაიწყო ძიება, ათასგვარ ფიქრებს აყოლილს ჩაეძინა.

სიზმარი:

სიზმარში ხედავ, გესმის. მეტყველებ, იხსენებ, დადიხარ, განიცდი — სიზმარში მოქმედებს ცოცხალი ორგანიზმის ყველა კომპონენტი და თუ ასეა, სიზმარი ჩვენი სიცოცხლის რეალური ნაწილი ყოფილა!?

არავითარი მოჩვენება, ის რაც არის და გადადის წარსულში, როგორც სიცოცხლის ერთი ნაწილი.

სიზმარი თუ მოჩვენებითი ზმანება?

თუ ცხადისაგან დიდი უპირატესის განსხვავებით: მხოლოდ-სიზმრად შეიძლება იხილო გარდაცვლილი საყვარელი ადამიანი, მხოლოდ სიზმრად შეგიძლია იწინასწარმეტყველო ხვალინდელი დღე!

ხედავ, განიცდი, როგორც ცხადში, თუ უემურია, გამოგეღვიძება და გეშველება, — გჯერა, რომ ეს სიზმარეული მოჩვენებაა, მაგ-

რამ თუ მხიარული გეზმანა, განიცდი, რატომ ასე ხანმოკლე აღმოჩნდა ნეტარი ხილვა!

იმ ღამეს პავშიმ ნახა სიზმარი:

დგას ღრუბლებით დაბნელებულ სამყაროს პირას, მეორე მხარეს ლურჯ ცას ოქროსფერი სხივებით აფერადებს მცინარი მზე.

ორი სამყაროა პირისპირ: ნათელი და უკუნი.

ერთში პავშია, სადაც მოედინება ბნელი და მრისხანე მდინარე. მოედინება და მოაქანებს ათასნაირ ნანგრევთან ერთად განწირულ ადამიანთა სხეულებს.

ისმის გოდება.

ითხოვენ შველას!

ხელებით ეპოტინებიან მზის ოქროსფერ სხივებს, ლამის დააღწიონ ბნელსა და მღვრიეს, მაგრამ არა, თავს ვერ იმაგრებენ და სხივს ხელმოსხლეტილნი კვლავ ეშვებიან მრისხანე სტიქიის ტალღებში.

უეცრად, გაფანტულ ღრუბლებში გამოჩნდა უშველებელი სიმაღლის კლდე. კლდეზე ვიღაც დგას. დგას სახე მხიარული და შიშველი. იწყებს ცეკვას.

უყურებს პავში და გრძნობს ვიღაც ნაცნობია, მაგრამ ვინ?

ლურჯი ცის ფონზე მზის სხივებში იკვეთება ქალის სახე, როგორც ნეტარი სიყვარული.

რა ბედნიერებაა პავში რომ ხედავს ამ სახეს!

ვინ არის ეს ნაცნობი და საყვარელი?

არა, არა, ვერ მოიგონა, იცის მხოლოდ რომ მეტად ნაცნობია!

აკვირდება.

აკვირდება მთელი გონების დაძაბვით, მაგრამ არა, ვერ მოიგონა.

მეორე მხარეს კი მოედინება შეშლილი შავი მდინარე, რომლის მრისხანე ტალღებს გაუტაცია ფატანჯული სახეები.

პირველნი ზღაპრულ ჩანგის ხმას აყოლილნი გალობენ ნეტარ სიმღერას, რომელიც ასე საოცრად ჰგავს ბავშვობის დროინდელ დედის ძილისპირულ ნანას.

მეორენი, განწირულნი ბედისაგან გოდებენ, ითხოვენ შველას, მაგრამ წამებას არ უჩანს ბოლო!

ღმერთო ჩემო, ეს მზეა, თუ ადამიანის — ქალის ნაცნობი სახეა?

ღმერთო!

ნადეიდა!?

ნადეიდა!

გაქრა მზე!

გაქრა ლურჯი ცა...

ვეება კლდის ნანგრევებს კი მიაქანებენ შავი მდინარის მრისხანე ტალღები.

დედამიწის ზურგზე გაისმის ხარხარი.

საშინელმა ხმაურმა ცას მოსწყვიტა დაკიდებული მთვარე.
მთვარე თუ ადამიანის სახე?
რა ნაცნობია?
ვინ არის, ვინ?
ჩუ, ხარხარებს?
იცნო!
იცნო!
არა, ვერ გაერკვა. რა ნაცნობი სახეა, მსგრამ ვინ არის, ცდილობს და ვერ მოიგონა.
ცას მოწყვეტილი ადამიანის სახედ ქცეული მთვარე გაიტაცა შავი მდინარის მრისხანე ტალღებმა.
პავშის გაეღვიძა. პირსახოცით ცივი ოფლი შეიმშრალა.
სიზმარი ყოფილა!
უხარია, თუ წყინს?
უხარია. რომ მზეში ნადიკოას სახე იხილა: „ღმერთო, იქნება ცოცხალია?“ — ფიმეფო თიქრმა გაუელვა და წამსვე, ვეიბა სიმძიმის ხინჯი აწვალებს: „ზღაპარია. განა საკუთარი თვალით მხილველმა არ მიამბო, გერმანელებმა როგორ ჩაძირეს ორი გემი!“
ზღაპარია!
სისულელე!... მაგრამ, რა მაგრამ? ის ვინღა იყო, შავმა მდინარის ტალღებმა რომ გაიტაცეს?...
„გაუმარჯოს ჭორდიბს!“, — კამერაში უკანასკნელად გაისმა კოსტია ბესსმერტნის ხმა.
— კოსტია! — იყვირა და პავშიმ, ამ წუთას შეიცნო, სიზმრად კლდეზე მოციკვავის სახე.
ეს იყო კოსტია ბესსმერტნის, საკუთარ ლოგინზე დაცემული ვვამი.

დრომ არ იცის შესვენება და არც ცოცხლებს ძალუძთ ჩამორჩენა

შიმოდგომის სუსხიანი დღეა. შუბლშეკრული ცა მოწყენილი და სევდიანია.
ზღვიდან უბერავს ცივი ქარი.
საღამოს ხუთ საათზე, ზიოამხიდვილებს, ციხის ეზოში გამოჰყავთ ეტაპით გასაგზავნი პატიმრები. კაკოიას უშირავს პირადი საქმეები:
შუა ეზოში დგას „ჩორნი ვორონი“ — პატიმართა გადასაყვანი სპეციალური მანქანა. ციხის ახალი ოპერრწმუნებული, მიხო სულაბერიძე, პატიმრებს პირადი საქმეების მიხედვით აბარებს სპეციალურ ბადრაგს:
— თოფორია ილია! — იძახებს ოპერი სულაბერიძე.
— მე ვარ! — პასუხობს პატიმარი და ზურგჩხნთამოკიდებული შედის დახურულ მანქანაში.
— პავში მიხეილ!

— მე ვარ...
— მოშიაშვილი!
— მე ვარ...
— გალოიანი!
— მე ვარ...
— გურეგიჩი!
— სადარაია!
— ქართველიშვილი!
— დუნაევსკი!
— იაბლოჩკინი!
— კულუმბეკოვი!
ბადრაგის ზემდეგმა ჯერ მანქანაში გადათვალა პატიმრები, შემდეგ იმდენივე პირადი საქმე გადათვალა და მანქანის კაბინაში საჯდომზე დადო.
— წავედით! — გასცა ბრძანება ზემდეგმა, ჩაუჯდა მანქანაში და საქმეები მუხლზე დაიწყო.
მანქანამ რამდენიმეჯერ წაიღუღუნა, შემდეგ ათქარუნდა, შეჰღმუვლა... ციხის შენობიდან გამორბის ციხის ახალი უფროსი მეძველია.
— სულაბერიძე!
— გისმენთ, ამხანაგო პოლკოვნიკო.
— მოშიაშვილი დატოვეთ!
— არის დავტოვოთ მოშიაშვილი! — იოსება-საბრალოს საქმე მიაქვს ოპერს. მანქანიდან გადმოდის სახეგაბრწყინებული ლილით მოვაჭრე... გადმოდის და თან მანქანაში დარჩენილ ილია თოფურიას პირდება:
— ხვალვე ვაცნობებ...
— წამოდი! — უხეშად ხელს ჰკრავს ოპერი, ლაპარაკით შეყოვნებულ იოსება-საბრალოს. გახარებული იოსება უკან მისდევს თავის „მხსნელს“.
მისდევს გახარებული. მისდევს და ესმის, როგორ ჭრიალით იღება ალაყაფის რკინის ჭიშკარი... მანქანამ ღმუილით დატოვა ციხის ეზო, იოსება-საბრალოს კი სიხარულით ლამის მუხლები მოეკვეთოს. ცახცახებს მთელი ტანით. მზადაა მთელი ქვეყნის გასაგონად იყვიროს:
„გადავრჩი!“
„გადავრჩი!“
სხვებს რა მოუვათ?
არა, ეს მისი სადარდებელი არ არის, მთავარია თვითონ გადარჩა!
ისინი?
ღმერთმა უშველოს!

ასეთია, თუნდაც მეტად კეთილი ადამიანის ბუნება: „მე და მერე სხვები!“

ო, რა საშინელი თვისებაა, მაგრამ მეტად საჭირო.

ყინავს იანვარი!

ქარი ძვალსა და რბილში ატანს.

რუსეთის ტრამალებზე და სერებზე რიტმული ტაკა-ტუკით მიჰქრის თვალებანთებული მატარებელი... ხანკამოშვებით ისმის კივილი და კვლავ მონოტონური ტაკა-ტუკი.

... ყინავს.

მაგრად ყინავს. ქარი კი ხან ტირილითა და ხანაც კივილით მოსთქვამს ტელეფონის მავთულებზე.

მიჰქრის მატარებელი და „სტოლიპინის“ ვაგონით მიაქანებს კუპეში ერთმანეთს ჩახუტებულ პატიმრებს.

ვიწრო კორიდორს ანათებს დაღლილი სინათლე. ვაგონის კარ-ფანჯრები რკინის გისოსებითაა დაცული. კორიდორში წინ და უკან დადის, თვეობით ვაგონში ყოფნით გაფერმკრთალებული, მორიგე ჯარისკაცი. დადის და ელოდება, რომელი კუპედან შემოსთავაზებენ პერანგს ან შარვალს, ნატეხ შაქარზე ან პურზე გადასაცვლელად. ბადრაგს, პატიმრებთან ყოველგვარი კავშირი ეკრძალება, თუმცა უფროსობა წვრილმანის გაცვლის უფლებას მაინც რთავს, რაც შეეხება ძვირად ღირებულ ნივთების გაცვლას, იგი რიგით ჯარისკაცებს ეკრძალებათ, რადგან ეს უკანასკნელი უფროსების უფლებამოსილებას განეკუთვნება.

კუპეში ნახევრად ბნელა, რკინის გისოსებით დაცული კარებიდან მორიგე თვალყურს ადევნებს პატიმრებს.

რიტმული ტაკა-ტუკით მიაროვეს ღამეს და მიჰყვირის მატარებელი რუსეთის ყინვიან სერებსა და ტრამალებს.

ბნელა.

ქარი უფრო მეტად ამძაფრებს ყინვას.

ერთმანეთს ჩახუტებულ პატიმრებს სძინავთ. ზოგს საამო სიზმრებით, ზოგსაც კოშმარული ხილვებით. ზოგს მიტოვებულ მშობლებზე ჩაყოლილი დარდით, ზოგსაც ფიქრმა წაართვა ძილი.

„კანონის დამცველები,“ — ფიქრობს ყოფილი მასწავლებელი ილია თოფურია, — „სასაცილოა მაგათი ტრიბუნალი, სატირალი რომ არ იყოს, უდანაშაულოდ მოკლული ოთხი სიცოცხლის სანაცვლოდ, მთავარი დამნაშავე გენერალი როდიონოვი მოსკოვში გაიწყვიტეს, ცხის უფროსი და ოპერი ზედამხედველებად ჩამოაქვეითეს. ხოლო რესპუბლიკის ცხე-კოლონიების სამმართველოს გამომძიებელ აშორდიას, რომელსაც ჯიბიდან ამოუღეს თითქოს და გაქცევის მცდელობისათვის მოკლული ოცდაორი წლის ყმაწვილის ოქროს საათი, მიუსაჯეს ოთხი წელი.

პროცესზე დადგინდა: ახალგაზრდა, სწორედ ამ საათის დასაკუთრებისათვის მოკლეს. ეს საათი გამომძიებელმა ამ სასტიკი მკვლელობის დაფარვისათვის ქრთამად აიღო.

სამართალდამცავნი, ალბათ, მექრთამე გამომძიებლისათვის ამ ოთხ წელსაც არ გაიმეტებდნენ, რომ წინ არ გადაღობებოდათ მოკლულის მამა, ადმირალი კონდრატიევის პიროვნება და საჩივარი.

ღმერთო, ეს რა ჯოჯოხეთი ყოფილა გულაგი?!

საიდან ამდენი ზნედაცემული?

საიდან ამდენი ცინიზმი ადამიანთა მიმართ!

ყინავს.

ყინვით გათოშილ ქარიან ღამეში მიჰქრის მატარებელი და მიჰკივის რუსეთის ტრამალებსა და სერებს.

მატარებელი მიარწევს ერთმანეთს ჩახუტებულ მძინარ პატიმრებს. დაღლილი სინათლით გაშუქებულ კორიდორში დადის მორიგე და ელოდება, თუ რომელ პატიმარს გაუჭირდება, რომ პერანგისა თუ ფეხსაცმელების სანაცვლოდ მისცეს პურის ნატეხი, თუ ჭიქა წყალი.

ილიას წარმოუდგა დედის ცრემლებით სავსე თვალები.

ო, რამდენი მუდარა, სევდა და ტკივილი იყო ამ საყვარელი ციცინათელების სიღრმეში... არ ვატკინოვო გული და თავს იკავებდა. არა, არ უნდოდა ცრემლი ეჩვენებინა დაუჯერებელი შვილისათვის.

„მარტოა ახლა მოხუცი, — დარდობს შვილი, — მარტოა ერთადერთ პატიმარ შვილზე დარდით.“

მიჰქრის მატარებელი ჩრდილოეთის ყინვიან უდაბნოში. ისმის მატარებლის რიტმული ტაკა-ტუკი. მიჰქრის და აკვანივით არწევს, ყოფილ მასწავლებელს კი არ ასვენებს სევდიანი და ტკივილიანი ფიქრი:

„ღმერთო, რამდენი ჩემნაირი, ასე გალიაში ნადირივით გამომწყვდეული გაუტარებიათ ამ გზით. სამას წელზე მეტია დამნაშავეებად დაღდაკრულ უბედურთ მოერეკებიან ამ მკაცრ და უჟმურ ჩრდილოეთში. მოერეკებიან და უბედურთ მუსრს ავლებს შიმშილი, არაადამიანური შრომა და ეპიდემია...

და ასე, ბორკილდადებული ხელებით, წამებულთა სიცოცხლის ფასად, დაცემულთა ძვლებით ჩაყრილ საძირკველზე, ჩრდილოეთის სიღრმეში წინ მიიწევენ გზები, შენდება გიგანტური ჰესები და ქარხნები, საბჭოეთი კი მსოფლიოს ამცნობს თითქოს ეს გაუგონარი ხუთწლედური ძვრები ენთუზიაზმ-კომკავშირელთა ნამოღვაწრია!

სიცრუეა!

საშინელი, უსირცხვილო სიცრუე!

სიცრუე მთელი მსოფლიოს თვალწინ!

... ყინვიან ჩრდილოეთისაკენ კივილით მიჰქრის მატარებელი. მიჰქრის თამამად, რადგან ამ გზას შპალების ნაცვლად დაგებული აქვს ადამიანთა ძვლები.

ღმერთო, რამდენი უდროოდ დასრულებული სიცოცხლე და-

რჩა აქ! რამდენი ტკივილი და დარდია აქ ჩადებული ქალაქებისა თუ პესების საძირკვლად?!

ტკივა გული ახალგაზრდას და კვლავაც ახალი ფიქრები თავიდან მოედინებიან, როგორც კალაპოტიდან გადმოხეთქილი მდინარე:

„სიყვარულისათვის ასეთი უღმერთო წამება?... რატომ?... რისთვის?... არა, მაინც რა უბედური ბედისა ვყოფილვარ!

პირველმა თვითონ მითხრა მიყვარხარო... სულელს როგორ მიხაროდა.. რა ბედნიერად ვთვლიდი თავს...

მერე?

...ვიღაც სხვასთან გამოვიჭირე ლოგინში... და თურმე, მე ეს უნდა მეპატიებინა!“...

ახალგაზრდას მფეთქავი გული თითქოს დაუთოკესო... სიცოცლის ქანქარას ძგერა გაუჭირდა.

ძილისპირული ბურანიდან „თამბეგას“ ჩურჩულმა გამოარკვია:

— **გძინავს?**

— არა, — პასუხობს მწარე ფიქრებიდან თავდახსნილი.

— ნახე?

— ვინ?

— „გორილა“ გაატარეს!

— „ინტელიგენტის“ მკვლელი?

— სიტყვა არ დაგცდეს, თორემ გაფრთხილდება, — ჩურჩულებს მეგობრის მკვლელობისათვის შურისძიების წყურვილით გახელებული ქურდი.

— გვერდით კუპეში მოჰყავთ, — მოჩურჩულეებს შეუერთდა პავში.

— შენც ნახე? — ინტერესით კითხულობს „თამბეგა“.

წუხელის ბადრაგის უფროსს დიდი ხანი ესაუბრებოდა, — ამცნობს პავში. მოხუცს თვალები უჩვეულოდ უელავს. გაზზორა კიდეც...

— ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს, — იღრინება „თამბეგა.“

— აბა, ჩვენ კი არ გამოგველაპარაკება, — ამბობს ილია.

— ვის უნდა ამ ბინძურებთან ლაპარაკი! — ბრაზობს ქურდი,

— თუ ხელთ მოვიგდე, გავახარებ „ინტელიგენტის“ სულს...

— „რაზგოვორჩიკი!“ — მოჩურჩულეებს აფრთხილებს ფერმკრთალი მორიგე და განაგრძობს ვიწრო კორიდორში სიარულს.

— **დროა დავიძინოთ! — ამბობს „თამბეგა“ და კედლისაკენ შეტრიალდა.**

— ტანთ მაჟრჟოლებს, — ამბობს პავში, უცნაურად ამთქნარებს და დაბამბულ ჯუბაში გამოხვეული კედლისაკენ მიბრუნდა.

მიჰქრის და ქარიან ღამეს კივილით მიაპობს ჩრდილოეთისაკენ მიმავალი თვალანთებული ორთქლმავალი.

დრო კი მიითვლის თავისას.

მიჰქრის მატარებელი და მიაგელვებს მძინარ ადამიანთა სიცოცხლეებს!

მიჰქრის და მიაქროლებს ბედნიერთა სიცილითა და მხიარულებით გახალისებულ გულებს!

მიჰქრის და მიაქროლებს უბედურთა დარდითა და ტკივილებით გაწამებულ სულებს!

პირველნი ზრუნავენ, როგორ გაატარონ სიხარულში ხვალინდელი დღე. მეორენი იტანჯებიან, როგორ დაიხსნან თავი უბედურებისაგან!

ღმერთო დიდებულო, რატომ არგუნე ერთს სიხარული და ბედნიერება, მეორეს მხოლოდ ცრემლები და ტკივილი?

ღმერთო, ნუთუ ადამიანისათვის მართლა საჭირო იყო ამდენი ტკივილი?

ღმერთო სიცოცხლე ხომ ტვირთია, მაშ რატომ ერთს ასე მსუბუქი და მეორეს ასე განუსაზღვრელად მძიმე? ან იქნება ყველას არ ძალუძს ბედნიერების ზიდვა?!

იქნებ, სიხარული და ტკივილი, ეს შენი სადღაც მისატანი ტვირთია, რომელიც შენს მიერ შექმნილთ საზიდავად გაუნაწილე?

მაპატიე ღმერთო, მაპატიე, თუ მართლა სადღაც მისატანი შენი ტვირთია, მე შენი შვილი და შენი მორწმუნე უსიტყვოდ, დაუკვნესავად ვზიდავ, რამდენ ხანსაც ეს შენთვის იქნება საჭირო!

დიდება შენდა, ღმერთო!

დიდება!

მიჰქრის კივილით თვალანთებული და მიაქროლებს ასეულ ადამიანთა სიცოცხლეს. **მიაქროლებს სიცილსა** და წუხილს, მიაქროლებს ბედნიერთა და უბედურთ, მიაქროლებს იმედით სავსე მომავლისაკენ.

ყველა, განურჩევლად ყველა, ახალგაზრდა თუ მოხუცი, დიდი თუ პატარა, ბედნიერი თუ უბედური იმედით არიან — უკეთესის მოლოდინში, დაელოდოს ხვალინდელ დღეს? მაგრამ ხვალაც რომ უარესი შეემთხვას?... და მაინც უკეთესის მოლოდინში ყვავის **იმედი!**

მერე სანამ ასე?

სიკვდილამდის, — პასუხობს არსთა არსი.

ასე უნდა იყოს, რადგან ასეა შექმნილი და სხვანაირად არ შეიძლება.

...და კვლავ უიმედოთა იმედი?!

იმედი — ძალა, რომელიც შემოქმედმა მისცა არსებობისათვის წუთისოფლის სტუმრებს — ადამიანებს!

მატარებელი კი კივილით მიაპობს რუსული ზამთრის ყინვიან ღამეს. მიჰქრის და უკან იტოვებს ტრამალებსა და სერებს, ტყეებსა და მდინარეებს, უკან იტოვებს ქალაქებს, იტოვებს გაცრუებულ ოცნებებს!?

დრო კი მიედინება, მან არ იცის დასვენება და შემობრუნება, ის მიილტვის წინ, წინ უსასრულო სამყაროში.

ერთმანეთს ჩახუტებულ პატიმრებში ერთს აძაგძაგებს...

„პერეპიოლკას“ გაეღვიძა. მხარი უნდა შეიცვალოს, მაგრამ მისი ყურადღება უჩვეულო ხმამ მიიპყრო... რა ხდება? ეძინება... არა, რაღაც შემაწუხებელი არ აძლევს ძილის საშუალებას... აგერ გვერდით ისმის. დახედა მძინარს... ეს ხომ პავშია? რა დაემართა?... ასე უჩვეულოდ რატომ სუნთქავს?... „პერეპიოლკამ“ ხელი მძინარს შუბლზე დაადო... სიცხე აქვს!... კი, კი, სიცხე აქვს, მაღალი სიცხე!

— ილია, ილია! — ჩურჩულით ისმის შეშფოთებული „პერეპიოლკას“ ხმა.

— რა იყო? — პასუხის გაცემა ეზარება ჯერ კიდევ ნახევრად მძინარ თოფურიას.

— ძია მიშა ავადაა!

— რა მოუვიდა? — თანდათან ძილისაგან ერკვევა ყოფილი მასწავლებელი.

— დაადე ხელი, — ილია შუბლზე ადებს ხელს.

— კი, სიცხე აქვს!

— რა ვქნათ?

— მიხეილ მარკოვიჩ, მიხეილ მარკოვიჩ! — ანჯღრევს, „მაგარი მუშტი“, მაგრამ ვერ გამოარკვია.

— საით, საით მიდის, დაუძახეთ! — უშინაარსო, არეულ სიტყვებს ამბობს პავში.

— რაო? — უკვირს „პერეპიოლკას“ ძია მიშას პასუხი.

— ბოდავს! — ამბობს მასწავლებელი და რკინის გისოსებს თითებით ჩაბღაუჭებული იძახის, — მორიგე! მორიგე!

— რა გაყვირებს? — საპასუხოდ ისმის უხეში ხმა.

— წამალი გვინდა!

— რა წამალი?

— სიცხის!

— ვის აქვს სიცხე?

— ჩემს ამხანაგს.

— არ მაქვს წამალი, ჩემს უფროსებს კი სძინავთ!

— გააღვიძე!

— აკრძალული მაქვს.

— მაშ მოკვდეს? — უკვირს თოფურიას.

— არ ვიცი, ჩემი საქმე არ არის...

— აბა, რა არის შენი საქმე? — ბრაზობს „მაგარი მუშტი“.

— თქვენი თვალთვალი! — ამბობს გულქვა მორიგე და განაგძობს კორიდორში სიარულს.

— როგორ მოვიქცეთ? — კითხულობს ბადრაგის გულქვაობით შეწუხებული ილია.

— კარგია ოფლი რომ წამოუვიდეს, — ამბობს „პერეპიოლკა“.

— რაც შეიძლება მეტი დავახუროთ! — ილია თავის ბამბიან ჯუბას ახურავს სიცხიანს.

— აჰა, ჩემიც დაახურე, — იხდის ჯუბას აბალგაზრდა.

— მიხეილ მარკოვიჩ, მიხეილ მარკოვიჩ! — ცდილობს ილია სიცხიანის გამოღვიძებას.

— რა მოხდა? — იღვიძებს „თამბეგა“.

— ძია მიშა ავადაა!

— რა მოუვიდა?

— თუ გაცივდა...

ავადმყოფს შუბლზე ხელს ადებს „თამბეგა“:

— კი, მაღალი სიცხე აქვს, — მორიგეს სთხოვეთ წამალი მოგცეს!

— არ მაქვსო.

— ჯალათები! — ამბობს ქურდი და უწმაწურად იგინება.

— მიხეილ მარკოვიჩ, მიხეილ მარკოვიჩ! — ცდილობს მეგობრის გაღვიძებას „მაგარი მუშტი“.

საპასუხოდ, რკინის გისოსებით ამოქოლილ კუპეში გაისმა დაბალი, მაგრამ საამო და გაბზარული ტენორი:

«Ямщик не гони лошадей
Мне некуда больше спешить.»

რამდენი ხანია პავში ამ ხალხთან ცხოვრობს, იზიარებენ ერთმანეთის ჭირსა და ლხინს, მაგრამ არცერთ მათგანს წარმოდგენაც არ შეეძლო, თუ ამ საბრალოს შეეძლო ასე ტკივილითა და სევდით აღსავსე სიმღერა.

მიჰქრის მატარებელი და რუსულ ყინვიან ღამეში იფანტება საოცარი სევდა. იფანტება უიმედობა და ტკივილი. და ეს სევდა არავის არ ესმის, ეს ტკივილი არავის არ აწუხებს!

— ვინ მღერის? — გაბრაზებული იღრინება მორიგე, რომელსაც თურმე წუთით ძილმა მოპარა თვალი.

— კი არ მღერის, ბოდავს! — პასუხობს შეწუხებული ილია თოფურია.

მორიგე შეჩერდა. ფიქრობს: „მაბრიყვებენ, თუ მართლა ბოდავს?... არა, ასე დალაგებული ბოდვა?“.

უსმენს.

ყველანი უსმენენ. უსმენენ საკუთარ წუხილს:

«Мне некого больше любить,
Ямщик не гони лошадей»:

ო, როგორ სევდასა და წუხილს გამოხატავს სიცხიანი პავშის ეს სიმღერა, თუ სულის ტკივილი!

არვის, თხრობის არცერთ ოსტატს, არცერთ მხატვარს არ ძალუძს ასე ცოცხლად და სახიერად სევდის გამოხატვა — ეს შეუძლია მხოლოდ სიმღერას. ასეთი სიმღერის შესრულებას არ ჭირდება კარუზო და სარაჯიშვილი. დიახ, ეს სიმღერა წუხილის ნაშობია და მისი გულწრფელი სახიერება მხოლოდ წუხილს შეუძლია.

ადამიანებო, თქვენ ძალგიძთ სხეის სევდასა და ტკივილებში აღმოაჩინოთ მშვენიერება. ამ უკანასკნელში თქვენ შეგიძლიათ იპოვოთ სილამაზე და ახერხებთ მისით დატკბობას!

ადამიანებო!

ადამიანებო, საშინელებაა სხვისი ტკივილებით დატკბობა!

თქვენ მოგწონთ მარგარიტა გოტიეს სიკვდილი, რადგან ის სიყვარულისთვისაა განწირული. აღტაცებაში მოყავხართ ქეთევან დედოფლის სიმტკიცეს, რადგან მან სიკუთარი სიცოცხლის ფასად იხსნა ერის სარწმუნოება. თქვენ ადიდებთ ექიმ ჟორდანიას, რადგან მან თავი გასწირა უცნობი ბრაზილიელი გოგონას სიცოცხლის გადასარჩენად!

დაფიქრდით, ადამიანებო, სიკვდილი როგორ შეიძლება იყოს მშვენიერება? და თუ ასეა, მაშ ასე გონებადაკარგულნი რატომ ებღაუჭებით საკუთარ სიცოცხლეს?!

შუალამეში მიჭრის მატარებელი და მიაქროლებს ადამიანთა სიცოცხლეებს.

სიცხით გათანგული პავში მღერის.

დგანან წუხილის შვილები და თვით უსმენენ ცოცხალ წუხილს.

— გააჩუმეთ! — ცოფს აფრქვევს მორიგე.

— მაღალი სიცხე ხქვს, გაიგე, ბოდავს!

— არა, ხის ჯარისკაცს არ სჯერა, ასე ჰგონია ასულელებენ.

— გააჩუმე, ვიღაც ოხერისათვის ჰაუპტვახტში არ ჩავჯდები! — ცოფდება ჯარისკაცი.

— მიხეილ მარკოვიჩ, მიხეილ მარკოვიჩ! — ცდილობს სიცხიანი გონს მოაგოს ორ ცეცხლს შორის მოხვედრილი ილია თოფურია.

— აა? რა იყო! — წამით გონს მოეგო...

— როგორ ხარ?

— მცივა, — მოასწრო თქმა და კვლავ უგონობაში გადაეშვა.

— ოფლი მოარჩენს, იქნებ მდუღარე გავახერხოთ? — იძლევა რჩევას „თამბეგა“.

— ძამიკო, გესმის ძამიკო!

— რა გინდა? — იღრინება მორიგე.

— ერთი ტოლჩა მდუღარე გაგვიხერხე.

— ამ შუალამეს რა დროს მდუღარეა, — ლამის აყეფდეს ჯარისკაცი.

— მომიტანე და კარგ პერანგს მოგცემ...

— რა პერანგია? — შემობრუნდა დაინტერესებული მორიგე.

— ნახე! — იხდის პერანგს პატიმარი.

— ნახმარია? — სახე დაემანჭა ჯარისკაცს.

— გუშინ პირველად ჩავიცვი, ნახე ამერიკულია, აი ფირმის ნიშანი!

— მაჩვენე! — ბადრაგი სინათლეზე ათვალიერებს „ნობათს“ — კარგი, მოგიტან, — და ნაშოვნით კმაყოფილს მიაქვს ტოლჩა.

— რაო? — ჩურჩულით კითხულობს, მეგობრის ავადმყოფობით შეწუხებული რამდენიმე ხმა.

— მოიტანს, — გულზე მოეშვა „პერეპიოლკას“.

— ძაღლი! პერანგი რომ არ აეღო, ისე ვერ მოიტანდა? — იგინება ვიღაც.

— არ შეეძლო!

— რატომ?

— კომკავშირის აღზრდილია...

— ჰავლიკ მოროზოვის ძმა! — თან გინებით პირს ისუფთავებს მოროზოვის სახელით წაბილწული.

— დაიჭი! — მდუღარე მოაქვს მორიგეს.

— მიხეილ მარკოვიჩ, დალიე!

— მომაწოდე ტოლჩა! — „თამბეგა“ მათარიდან ტოლჩაში რამდენიმე ყლუპ კონიაკს ასხამს...

— კონიაკი? — უკვირს ილია თოფურიას.

— შავი დღისთვის მაქვს შემონახული... უებარი წამალია...

— მიხეილ მარკოვიჩ, მიხეილ მარკოვიჩ! — ცდილობს სიცხიანის გონსმოგებას ყოფილი მასწავლებელი.

— რომელი ხარ? — ბურანში ერკვევა სიცხიანი.

— მე ვარ, ილია...

— რა გინდა, ილია? — გონებას ძაბავს ავადმყოფი.

— სიცხე გაქვს, ოფლი უნდა მოიდინო!

— რა?

— ... ოფლი უნდა მოიდინო!

— სად ვარ?

— ეტაპით მივყავართ, — პავში კვლავ მიეცა უგონობას, — მიხეილ მარკოვიჩ, მიხეილ მარკოვიჩ! — ცდილობს ილია სიცხიანის გონს მოყვანას.

— ნადეჟდას, ნადეჟდას დაუძახეთ...

— აჰა, დალიე... სიცხე გაქვს, გესმის სიცხე! — მდუღარეს აძალებს თოფურია.

— სიკვდილს დაუძახეთ, სიკვდილს! — ბოდავს სიცხიანი.

— გააჩუმე! — ბრაზობს ჯარისკაცი.

— ბოდავს! — სასოწარკვეთით უხსნის ილია და კვლავ ცდილობს ავადმყოფის გონზე მოყვანას, — მიხეილ მარკოვიჩ! გესმის?..

— რომელი ხარ?

— ილია ვარ, აჰა დალიე!

— ეს რა არის?

— მდუღარე, ოფლი უნდა მოიდინო!

პავშიმ ძლივს გაახილა აზრიანი თვალები:

— მომეცი! — პავშიმ მოსვა რამდენიმე ყლუპი. კონიაკიანმა

ძდუღარეძ ᲫარღვებᲨᲘ დაუობინ. ესიაᲡოკᲡა, — კარგია, — ამბობს კმაყოფილი და კვლავ სვამს.

— ნუ გეშინია, ხვალ კარგად იქნები!

— კიდევ დამალეევინე!

— აჰა, — პავში ტოლჩას ცლის, — გმადლობთ, — ამბობს და წვება. ილია, რაც გააჩნია ყველაფერს ახურავს.

ღმერთო, თუ შემცდარი სულის გამოსწორება გინდოდა, განა ვერ შესძლებდი, რატომ მიანდე ეშმაკს?!

„ღმერთო, შენ მოხედე ტანჯულთ, გვიხსენ სატანხსაგან!“ ლოცვად გაისმის რუსეთის ყინვიან ღამეში.

პავშის ჩაეძინა. შეწყვიტა ძაგძაგი. თანაბრად დაიწყო სუნთქვა. მიჰქრის მატარებელი.

მეგობრის ავადმყოფობით შეწუხებული ილია თოფურია ფიქრებს მისცემია: „ამ საბრალო „პერეპიოლკად“ შერქმეულს ადამიანად არ თვლიან. მან კი სრულიად უცხოსთვის უკამასკნელი პერანგი გაიხადა... სულელს მეზიზღებოდა, ეს კი სიყვარულის ღირსი ყოფილა“ — ფიქრობს ილია და გურევიჩის ადამიანობით გაკვირვებულს სიამით ევსება გული.

ფიქრობს ილია თოფურია და ფიქრებში ბოდიშს უხდის მკაცრი ბედით მიწასთან გასწორებულ უბედურს. „ზიზღი კი არა, შებრალების ღირსია... უპერანგოდ დარჩა, არ გაცივდეს, ჩემსას მივცემ“.

— ვლადიმერ! — „პერეპიოლკას“ ნამდვილი სახელი ჩურჩულით გაისმა კუპეში.

ვლადიმერ გურევიჩს ესმის თავისი ნამდვილი სახელი. ამ შერქმეულს შეჩვეულმა იუცხოვა და წაიყრუა, — ვლადიმერ! — განმეორებით ისმის „პერეპიოლკას“ სახელი.

— მეძახი? — გაბედა პასუხი გურევიჩმა.

— ჰო, მოიწი!

— რა გინდა? — მიუჩოჩდა გულისძგერა შეწყვეტილი.

— აჰა, ჩაიცვი! — ილიამ გაუწოდა სუფთა პერანგი.

— ეს რა არის?

— პერანგი!

— პერანგი! — უკვირს გურევიჩს.

— ჩაიცვი, არ გაცივდე!

— შენ?

— კეთილი ბიჭი ყოფილხარ, მეც კეთილი გულით გაძლევ, აიღე!

— გმადლობთ, — გულაჩუყებული ძლივს იკავებს ცრემლებს.

პაუზა.

პაუზა გრძელდება.

დრო კი შეუსვენებლივ მიედინება. არც აჩქარება, არც შეყოვნება, მიდის უსასრულეთში და მიითვლის საათებსა და თვეებს, წლებსა და საუკუნეებს.

— ვლადიმერ!

— რა იყო? გული ეკუმშება გურევიჩს.

— არ გძინავს?

— არა.

— არც მე მეძინება.

— რატომ, ილია?

— უკვე მერამდენე ღღეა დედა სიზმარში არ მასვენებს...

— რა ნახე?

— არ მახსოვს, ვიცი რომ დედა ვნახე... ვლადიმერ!

— რა იყო?

— ცუდი ხომ არ შეემთხვა დედას?

— არა, არა, — სწრაფად და დამაჯერებლად პასუხობს ვლადიმერი.

— გმადლობთ, ვლადიმერ, — მშვიდდება ილია,

— მადლობა მე უნდა გითხრა.

— შენ, რატომ?

— სამი წელიწადია, ამ წყეულ სახელს „პერეპიოლკას“ მეძახიან. დღეს პირველმა დამიძახე ნამდვილი სახელი.

— იცი, სულ მინდა შეგეკითხო...

— რა?

— ვლადიმერ!

— გისმენ! — აჩქარებული გულისძგერით კითხულობს საამო სახის ვლადიმერი.

დუმილი.

დუმილი...

— ის რაც გჭირს, აქ დაგემართა, თუ ასე მოხვედი?

კვლავ დუმილი.

ბრძოლა საშინელ ფიქრებთან!

თუ მოვუყვები მომეშვება, დამალვით სიმძიმეს ვერ მოაკლდება, პირიქით დამიბალღამდება გული და მეც ბალღამად გადავიქცევი.

მოვუყვები და მომეშვება!

წამით მთელმა წარსულმა თვალწინ გაუელვა. ჯერ გული შეეკუმშა, შემდეგ ძლიერ აუძგერდა. გაუჭირდა სუნთქვა. არა, სუნთქვა კი არა, საშინელ წარსულთან პირისპირ შეხვედრა გაუჭირდა.

საოცარია, როგორ ხდება, რომ არის მომენტი, როდესაც სიკვდილი ხსნა არის, მაგრამ ადამიანი მაინც სიცოცხლეს არჩევს. არჩევს სიცოცხლეს, რომელზეც სიკვდილი ბევრად უფრო დიდი ბედნიერებაა?!

ნუთუ მართლა ასე ძვირფასია ის, რაც ერთ დღეს აუცილებლად საუკუნოდ უნდა დასრულდეს?!

ო, მაშინ რა დიდი სულმდაბლობა ყოფილა ზოგიერთის გადარჩენა და რა საშინელი დაცემა ყოფილა ზოგიერთის სიცოცხლე?!

ვლადიმერ გურევიჩის მახსოვრობაში წარსულმა კინოკადრებივით ნაწყვეტ-ნაწყვეტად გაიელვა.

იგონებს გურევიჩი.

იგონებს და იტანჯება: მოყვეს თუ არა!

— თუ არ გინდა, ნუ მოყვები, — ამშვიდებს ილია გურევიჩს.

— არა, არა, უნდა მოგიყვე, ჩემი გული შენ, მხოლოდ შენ უნდა მოგანდო. დე, შენ იყავი ჩემი სულიერი მამა, რათა ვეზიარო განწმენდას!

მოგონებები და ფიქრები.

ფიქრები და მოგონებები.

ზოგჯერ პაუზა.

კვლავ მოგონებები და საშინელი, მდელვარე ფიქრები, როგორც ორი ვეება ურჩხულის შეტაკებით აზვირთებული ოკეანის ტალღები.

რა საოცარია, და ყოველი ეს ამ ერთი ბეწო, პატარა გულში!

დაძაბული ახალგაზრდა მოეშვა. ლამაზი სახე მეტად გაულამაზდა. თითქოს ტანთაც დაპატარავდა. ისე როგორც პატარავდება წმინდა ბერი დიდი ხნის მკაცრი მარხვის შემდეგ.

დუმილი: საიდან დაიწყოს?

ფიქრები: როგორ მოხდა, ისე მოყვეს? ეს აღსარებაა და ტყუილის თქმა ცოდვაა!

გაუჭირდა თხრობის დაწყება.

ასეა, დაწყება ჭირს. ერთმანეთს ებრძვის ორი სხვადასხვა შეხედულება, თუ გრძნობა: ერთი, რომელსაც ჰქვია თავმოყვარეობა, მეორე დაცემასთან შერიგება. ამ ორის ერთმანეთთან ჭიდილში იფეთქა მესამემ, რომელსაც არა აქვს სახელი, რადგან ის ჯვარედინზე დგას და ელოდება საით წავა, აი მაშინ, იმ მესამესაც დაერქმევა თავისი სახელი.

ლამაზი სახის ახალგაზრდამ გადაღლახა რაღაც მეტად მძიმე და დაიწყო:

— მე და კლავას ერთმანეთი მესამე კლასიდან გვიყვარდა. ერთხელ, მოზარდმაყურებელთა თეატრში, ჩვენი ქალაქის რაიკომის ინსტრუქტორის შვილმა, კოლკა ნიკოლაევმა კლავას ძალით აკოცა. როგორც კლავას მეგობარმა, თავხედი ჩხუბში გამოიწვია... ერთიერთზე ვცემე. მეორე დღეს ნაცემმა ქუჩის ბიჭები დამასია. ოთხნი იყვნენ, ვერ გავუმკლავდი. ქვით ვცადე შემოტევის მოგერიება. ამ ჩხუბში კოლკას მარცხენა თვალი დაეკარგა. იმ დღესვე დამპატიმრეს. სასამართლოზე, მამაჩემს გადამტერებულმა ინსტრუქტორმა თავისი გაიტანა. თექვსმეტი წლისას მომისაჯეს სამი წელი.

კოლონიაში კლავა ხშირად მნახულობდა. ერთხელ, როდესაც სასჯელის დამთავრებას ექვსი თვე მაკლდა, კლავამ უჩვეულოდ ბევრი ნამცხვარი მომიტანა. ეს იყო ჩვიდმეტ აპრილს. მომაგონდა, თვრამეტში მისი დაბადების დღე იყო. გადავწყვიტე „სიურპრიზი“ გამეკეთებინა. საღამოს კოლონიიდან გავიპარე... იქ დამხვდა კოლ-

კა. კვლავ ჩხუბი, რისთვისაც წელიწადნახევარი დამიმატეს, ხოლო როგორც კი შემისრულდა თვრამეტი წელი სრულწლოვანთა კოლონიაში გადამიყვანეს. ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ უფროსების მიერ პატიმრის მკვლელობისათვის ატყდა „შუმოკი“, სხვებთან ერთად, მეც შორეულში მიკრეს თავი. ეტაპით თითქმის მთელი თვე გვახეტიალეს. სისტემატიურმა შიმშილმა ძალზედ დამასუსტა. ეს იყო ზუსტად სამი წლის წინათ. შიმშილით დაცემულს პური მესიზმრებოდა, ვეღარ გავძელი და ღამით „პაიკა“ — ულუფა-პური მოვიპარე. პური გაფუჭებული ქურდის „გიურზას“ ულუფა აღმოჩნდა.

— „გიურზას?“

— იმ „გიურზასი“, რომელიც ამასწინათ ჩვენს კამერაში მოკლეს... მეორე დღეს მან აბანოში შემიტყუა... იქ, კი... — ვლადიმერს გაუჭირდა თხრობის გაგრძელება. ბოლოს, როგორც იყო თავს მაინც სძლია, — ვყვიროდი, ვითხოვდი შველას, მაგრამ „გიურზას“ შიშით არავინ არ გამომესარჩლა, მითუმეტეს, რომ „პაიკის“ ქურდი ვიყავი. როდესაც მხეცმა თავისი ჟინი დაიკმაყოფილა, კიდევ სამმა მისმა მეგობარმა... — ვლადიმერმა მძიმედ ამოისუნთქა. სახეზე ადამიანის ფერი აღარ ედო. ეტყობა, მძიმე წუთების თავიდან განცდა მეტად ძვირი დაუჯდა, მაგრამ მაინც მოახერხა განეგრძო, — მეორე დღეს გადავწყვიტე თავი მომეკლა, სხვა რომ ვერაფერი შევძელი ღამით გადავხტი აკრძალულ ზონაში. მეგონა მომკლავდნენ... არ გამიმეტეს, სამაგიეროდ დამიმატეს კიდევ ორი წელიწადი... კვლავ შიმშილი... უქალობით დამშივებულები არ მასვენებდნენ, მაჭმევდნენ, მაცმევდნენ და მეც შევეჩვიე... ვცდილობდი თავი ქალად წარმომედგინა, შევიძინე კიდეც რამდენიმე ქალური თვისება...

— „პერეპიოლკა“ რაზე შეგარქვეს?

— აკი გითხარი, „გიურზას“ შემდეგ კიდევ მისმა სამმა მეგობარმა მოიკლა ჟინი... ხოლო შემდეგ, როდესაც ერთ-ერთს შეეკითხნენ, ხომ არ გაგიძალიანდაო, მან სარკასტული ღიმილით უპასუხა: „მორჩილი იყო, როგორც „პერეპიოლკა“.

— კარგი, ნუღარ გააგრძელებ!

— შეგეზიზღე?

— რა სისულელეს ლაპარაკობ!

— მაშ, რატომ გამაჩუმე?

— ვლადიმერ!

— რა, ილია?

— შენ უნდა გადაეჩვიო!

— გამოვა რამე?

— რას ამბობ, ვლადიმერ, ცოცხალ ადამიანს ყოველთვის ეშველება. გესმის, ყოველთვის!.. მთავარია, შენი თავი აიყვანო!

ვაჟს უიმედოდ გაეღიმა, მაგრამ გაბრწყინებული თვალებით მაინც წარმოთქვა:

— გმადლობთ, ილია! — ის ტიროდა.

ილიამ აცალა, ცრემლი ხომ სულის ტკივილებს მალამოა... იტიროს და მოეშვება, — ფიქრობდა ყოფილი მასწავლებელი.

მატარებელი რომელიღაც სადგურში გაჩერდა. დიდხანს დგას. დრო კი მიითვლის თავისას...

პატიმრებმა შუადღეს გაიგეს, ჩასულან მოსკოვში.

ცოდვათა სამყაროში

მოსკოვი!

საბჭოთა სახელმწიფოს დედაქალაქი, ივანე მრისხანესა და სტალინის სამყოფელი. აქ დამწიფდა რევოლუციის დაღვრილი სისხლი. აქ აიდგა ფეხი ჯერ კიდევ უნახავმა სიკვდილმა: აქ დაიბადა ათასცხრაასოცდაჩვიდმეტი წელი!

მოსკოვი!

კვლავ „ჩორნი ვორონი“ და ნაცნობი ბრძანებები.

დგას მაღალი გალავანშემოვლებული ხუთსართულიანი შენობა — გამანაწილებელი მოსკოვური ციხე „კრასნაია პრესნია“.

დგას რკინის ჭიშკარჩაყოლებული რკინის „სადრუნჩეებით“ ფანჯრებაფარებული.

დგას მონათა სამყარო, მარად გაუღიმარი და თვალდათხრილი. დგას ცოდვებით დამძიმებული, როგორც ცოცხალი კუბო. დგას და არ ეკარება მზე, თითქოს რცხვენიაო მნათობს ამ სამყაროს შეახოს თავისი მაცოცხლებელი სხივი.

დგას როგორც ჭიანჭველების ბუდე ადამიანებით გამოტენილი. დგას დაწყევლილი ალაგი, სადაც იღვრება ცრემლი და ისმის განუკითხაობით ატეხილი წუხილი და გოდება.

დგას ალაგი დამნაშავეთა სამყაროს სამყოფელი, აქ ღიმილიც მკვდარია და სიხარულიც. დგას ვეება შენობა, რომ ადამიანები მოსწყვიტოს ადამიანურ სამყაროს, რომ გასტეხოს და დაურღვიოს სულმაგარი ციხესიმაგრე. რომ გასტეხოს წელში და დუკარგოს საკუთარი მე და მონადქცეული დაუბრუნოს ნათესაობას — ადამიანებს.

პატიმრები შეყარეს „ვაგზალში“ — (ადგილი, სადაც ახარისხებენ ახლად მოყვანილთ).

ჩხრეკა!

გრძელი, მეტრი სიმაღლის, მაგიდით გადატიხრული დიდი ოთახი. გაშიშვლებული პატიმარი ვალდებულია, მოკუნტული გაძვრეს მაგიდის ქვეშ დატოვებულ გასაძრომში. მაგიდის მეორე მხარეს მდგარი ჯარისკაცები სინჯავენ ტანსაცმელს, რომელსაც იცვამენ ქვეშ გამოსულები.

აქეთა მხარეს დგას ციხის ზემდეგი. მრგვალ სახეზე უბრწყინავს ნახევრად მოჭუტული გველის ორი თვალი. ჩაჭყლეტილი ცხვირი ვენერიული ავადმყოფობის ნაკვალევია, დადორბლილი ტუჩები ზიზღის ნიშანი. შავი გამელოტება დაწყებული თმა ამცნობს, მიაღწია ორმოცს.

ზემდეგს ევალება, მაგიდის ქვეშ გამავალ პატიმარს შეხედოს უკანალში, სწორი ნაწლავით ხომ არ მიაქვს აკრძალული რამ.

გაისმა ზემდეგის ბრძანება:

— გაჩერდი! — მაგიდის ქვეშ შესული „პერეპიოლკა“ გაშეშდა... ზემდეგს ეამა. ცხოველი ტკბება ახალგაზრდა, მსუქანი მამაკაცის ვარდისფერი უკანალით. აცახცახებული თითებით გაუშალა დუნდულები. აღგზნებული, მთრთოლვარე თითებით ეალერსება... ბიჭმა, ელვის სისწრაფით მუშტი სახეში თხლიშა. ზემდეგი იატაკზე გაიშხლართა.

ილია თოფურია სიხარულით აენთო: ამ წუთას მოკვდა „პერეპიოლკა“ — ეს ვლადიმერ გურევიჩია!

იანვრის 18 რიცხვია, ჩანთიდან ვიღებ რვეულს, ფანქრის ნატეხს და ვავსებ დღიურს:

„გუშინ მოყვანილ პატიმართა ჩხრეკამ, საექიმო შემოწმებამ და აბანომ ღამის სამ საათამდის გასტანა. ყველანი № 48 კამერაში მოგვათავსეს. პავშის სიცხე აღარ აქვს. ვლადიმერს მიუხედავად იმისა, რომ მის უდანაშაულობას იქ დამსწრე ოცდაორი პატიმარი დაემოწმა, ციხის ოპერმა კარცერში ხუთი დღით მაინც ჩასვა. ეტყობა ასეთ საქმეებში ზემდეგი წინათაც იყო შემჩნეული, თორემ ვლადიმერი თავის „დანაშაულს“ ხუთი დღით ვერ გამოისყიდიდა, მით უმეტეს, რომ კანონი ციხეში ციხის მუშაკზე თავდასხმისათვის სასჯელს ათ წლამდის ითვალისწინებს.

ნაშუადღევს ქურდებმა „თამბეგას“ „პადაგრეევი“ — მოსაკითხი გამოუგზავნეს. ქურდმა მე და პავში სადილად მიგვიწვია, აქვე აღმოჩნდა „ქსივიც“ — წერილი, რომელშიც ამცნობდნენ: „ინტელიგენტის“ მკვლელი „გორილა“ აქ არის. თუმცა არაფრით არ ამჟღავნებდა, მე მაინც მივხვდი, ქურდი მეგობრის მკვლელზე ნადირობდა.

ძილის წინ ფიქრებს მივეცი: მეშინია ეტაპში მანამ არ წაგვიყვანონ, სანამ ვლადიმერს კარცერიდან გაანთავისუფლებენ. საოცარი სიბრალული გამიჩნდა ამ უბედურის მიმართ, ასე მგონია შემიძლია ვუშველო.

ღამემ მშვიდად ჩაიარა.

20 იანვარი: დილას, საუზმის შემდეგ, წეროს ტანის მოყვანილობის ზემდეგმა დაჭყლეტილი ხმით დაიწყო გვარების ამოკითხვა. „გაყავთ „თამბეგა“... შემდეგ პავში... აი, ჩემი გვარიც ამოიკითხეს... ნომერი სამოცი კამერა: თამბაქოს ბოლით დანისლული, ჰაერდაგუბებული საშუალო სიდიდის ოთახი. კედლიდან კედლამდის გადაჭიმული, ბაღლინჯოებით გამოტენილი, ორსართულიანი ხის ნარები. პატიმართა სიმრავლის გამო სუნთქვა ჭირს. „თამბეგამ“ თხვის გვერდით ორი ადგილი გამოანთავისუფლა. მე და მიხეილი იქ მოვთავსდით.

ჩანთიდან ვიღებ რვეულის ნაგლეჯს და ფანქრის ნატეხს. მინდა შევავსო დღიური. მიხარია, სწორედ იმ სიხარულით, რომლითაც მიხაროდა სკოლაში წასვლის პირველი დღე.

მიკვირს, რატომ აქვს ბედნიერებას დასასრული, ან რატომ არის ტანჯვა დაუსრულებელი?.. ვის ჭირდება ან ერთი ან მეორე?!. მეძინება.

23 იანვარი: წუხელის ვიღაცეებს მთელი ღამე არ ეძინათ. ძილში მესმოდა თამაშით ატეხილი დავა... ზედამხედველმა დილის ხუთ საათზე აგვყარა. კვლავ ჩხრეკა, გადაყვანა-გადმოყვანა, ნივთების გადმოყრა და ბალიშების გაფატვრა...

ეძებენ.

ეძებენ მონდომებით. ეძებენ ბანქოს ქაღალდს. მაგრამ არა, ვერ პოულობენ. ოპერმუშაკები გაკურებულნი ტოვებენ საკანს. მათი გასვლა და თამაში წამსვე განახლდა.

მიკვირს, სად ჰქონდათ შენახული ბანქოს ქაღალდი?.. თურმე ნუ იკითხავთ, კედელზე გაკრული წესდების უკან დაუმალიათ.

მეცინება, რა დიდებული დაპირისპირებული წყვილია, პატიმრები და გულაგის მსახურნი. ჩვენი სახელმწიფოს იდეოლოგია აძაგებს ერთს — დამნაშავეებს და ადიდებს მეორეს — გულაგის მსახურთ!

... იქ, ზემოთ ნუთუ არ იციან, რა ხდება აქ?

არა, შეუძლებელია მთავრობა იყოს ასე ბრმა. მაშ, რაშია საქმე?

გულაგი ამ მთავრობის მაცოცხლებელი სული და გული — იაფფასიანი მუშახელის წყარო. გულაგი სხვაგვარად მოაზროვნეთა ცოცხალი კუბო — ფაბრიკა, რომელშიც შემოსული ადამიანი გადამუშავების შემდეგ ჰკარგავს საკუთარს და იწყებს დიდი იმპერიისათვის საჭირო აზროვნებას!

საღამოს „თამბეგა“ მეძახის:

— ნახე „გიჟომ“ როგორი „პადაგრეევი“ გამოგვიგზავნა. ნარზე გაშლილ სუფრაზე აწყვია რამდენიმე ცალი მაღალხარისხოვანი ძეხვეული, ლორის საკმაოდ დიდი ნაჭერი, ჰოლანდიური ყველი, თეთრი პური, წარმოიდგინეთ ხიზილალაც კი...

— „გიჟო“ „კრასნაია პრესნიაშია?“

— წუხელის ასმეხუთმეტეში თამაში მოიგო, — მეუბნება და სითბო ჩამდგარი თვალებით მიღიმის, — ძია მიშას დაუძახე, — თან სამალავიდან ამოაქვს ბოთლი „სტოლიჩნი“.

— ესეც „გიჟომ?“ — ვეკითხები, „თამბეგა“ თავს მიქნევს...

ბოთლი არაყი დავცალეთ. კარგ ხასიათზე დავდექი... საუბარში „თამბეგას“ ჩაეძინა. პავში გაზეთის ნაგლეჯით ხელში თავის ადგილზე წამოწვა.

საღამოა. ფოთის ციხიდან წამოსულებიდან დავრჩით ოთხნი: მე, პავში, „თამბეგა“, და ვლადიმერი, „გიჟო“ ასმეთერთმეტეში. ყოფილა, ნეტავ თუ ერთად მოვხვდებით?

გზაში, მაღალი სიცხით დასუსტებულ პავშის ჩასძინებია... მე ძილი არ მეკარება. არ მასვენებს ფიქრი: როგორ არის დედა... საკუთარი ფიქრების შემეშინდა.

... იანვარი. დილის ათი საათია. ისმის გასაღების ჩხაკუნი. მძიმედ იღება კამერის კარები. ზედამხედველს უჭირავს პატიმართა პირადი საქმეები. ლეიტენანტი სათითაოდ იღებს და ხმამაღლა კითხულობს გვარებს... გული მელევა, ვაი თუ არ გამომიძახონ?

ღმერთო ჩემო, რაც უფრო დიდხანს დავრჩები ამ დასაწვავ ციხეში, მით უფრო მეტხანს ვერ გავიგებ დედის ამბავს... „თოფურია“, — გაისმა ლეიტენანტის ცივი და გაბზარული ხმა: „ბარგით!“ — მე მზად ვარ. ჩემს გვერდით დგანან: პავში, „თამბეგა“, კარცერიდან შემოგვიერთეს ვლადიმერი. გახარებული გვეხვევა. საბოლოოდ თხუთმეტი კაცი მივყავართ ერთ დიდ უნომრო ოთახში. ვხვდები ციხეში გაცნობილ ორ ნაცნობს. მძიმე ჰაერის გამო სუნთქვა ჭირს. აქ რამდენიმე ხანს ვართ, შემდეგ მივყავართ აბანოში. ლეიტენანტი მეუბნება წვერი გავიპარსო. მე ვუხსნი რომ ტრაურს ვატარებ, მანაც არ დამიჯინა.

ექიმები გვსინჯავენ სწორედ ისე, როგორც, ალბათ, სტამბოლის ბაზარზე სინჯავდნენ ვაჭრები ქართველ ტყვეებს. ლამაზი სახის ექიმმა ქალმა თვალი მომტაცა. ვაკვირდები, სახეზე ვკითხულობ უხეშობას. არავითარი ქალური სინაზე. გულაცრუებული თვალს აღარ ვადევნებ...

ვიბანავეთ, ჩასაცმელში დეზკამერიდან გადმოყრილ ტანსაცმელში ვარჩევ ჩემსას, ცხვირს მწვავს შმორად ქცეული ცხელი ორთქლის სუნი. კვლავ საკანი ნომერ ორმოცდაექვსი, თამბაქოს ბოლით დამდგარი ნისლი...

საღამოს ისევ გვარებით გვიძახებენ. კვლავ დიდ ოთახში მივყავართ. აქ გროვად ყრია ჯარისკაცების ნახმარი დაბამბული ჯუბები და შარვლები. ცოტა ხანში თექის ჩექმებიც შემოიტანეს. ვიღაც ამბობს: ომსკში მივყავართ, ზოგიც ურალს გვიქადის...

საკანი ნომერი ცხრა. ციხის შენობის ქვედა სართული. ჩემს ციხის მეგობრებს შორის ვწევარ. მგონი ვისაუზმეთ. ერთი რუსი აყლაყუდა არ მასვენებს, შეუსვენებლად მელაპარაკება, ვერ ვგებულობ რას ლაპარაკობს. დაეხებულ კითხვებზე თუ გავცემ პასუხს. რადიოში ისმის მენდელსონის სავიოლინო კონცერტი. ამიტაცა აზრმა: ახლა ხომ საღამოს ცხრა საათია, ამ კონცერტს იქნებ დედაც ისმენს?.. როგორ გვიყვარდა! ღმერთო რა ბედნიერებაა, თუ ორივენი ერთი და იგივე დროს ვისმენთ ჩვენს საყვარელ მუსიკას. ეს თითქმის იგივეა, რომ ერთად ვიყოთ!?

ღმერთო, თურმე ადამიანი რა უბრალო რამით შეიძლება გახდეს ბედნიერი!

წუხელის ვნახე სიზმარი: დედა მეალერსებოდა, მურო, — ჩვენი ძაღლი, სადღაც გაიქცა, ვეძებე და ვერ ვიპოვე... სამი ოქროს საათი, ოქროს ძეწკვებით კედელზე დაკიდე... აქვე ხეზე ვეებერ-

ბელა გველი ხეს შემოხვეულია... შეშინებული გავრბივარ. ძლივს მივაღწიე სამშვიდობო ადგილს... გამეღვიძა. დილაა.

... იანვარი. მოდიან „პერედაჩებით", მიყავთ ნახვაზე. ჩემთან არავინ არ მოვა, მე ისიც არ ვიცი, როგორ არის ჩემი საყვარელი დედა... ვიტანჯები.

ქართველო, შენ მაშინ ხარ ცოდვა, როდესაც შენს სამშობლოს მოგაშორებენ!

როგორ გვიყვარს სამშობლო, როგორ გვწყურია მისი თავისუფლება, მაგრამ სიტყვის თქმისაც კი გვეშინია და ამ თქმას გვიკრძალავს ჩვენივე თანამემამულე იოსებ ჯუღაშვილი, რატომღაც სტალინად შერქმული.

ზედმეტსახელები ხომ ქურდებს და პოეტებს აქვთ, იოსები არც ერთია და არც მეორე, მაშ რატომ შეირქვა?

ერთმა ქართველმა რით დაგვამუნჯა მილიონები?

ერთი ქართველი რით გვაიძულებს ვაკეთოთ ის, რაც მხოლოდ მას უნდა? და განა მარტო ჩვენ ქართველები, ამ ერთმა მილიონები აიყოლია, ჰიტლერიც კი დაამარცხა, რომელმაც ევროპა დაიჩოქა და მსოფლიოს დამონებით დაემუქრა!

რა იქნებოდა, რომ იმ ქართველს ტვინი არ გადაბრუნებოდა და ცოტნე დადიანის მსგავსად თავისი სამშობლოსათვის — საქართველოსათვის ეზრუნა?

ამბობენ, საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრიაო, მაშ, ღმერთო, რატომ არ გამოიმეტე თავისუფლება? ან, როგორც „ახალ აღთქმაში" წერია, იქნებ ტანჯვა და მოთმინება, მართლა, ბედნიერებაა?!

რა საოცარია სიცოცხლე, არ იცი რისთვის დაიბადე, არ იცი რას ემსახურება სიცოცხლე, რა საჭიროებისათვის დაწესდა სიკვდილი? არ ვიცი რა მოხდება ხვალ? ... ო, რა უბედური იქნებოდა ადამიანი რწმენის გარეშე!

დიდება შენდა ღმერთო, დიდება!

31 იანვარი: ეტაპისათვის დილიდან გვამზადებენ. საათის თერმომეტზე ჩხრეკაზე გაგვიყვანეს. კაპიტანი მაჩერებს:

— წვერი რატომ მოგიშვია?

— მგლოვიარე ვარ, მოქალაქე უფროსო.

— ქართველი ხარ?

— დიახ.

— მერე, თქვენ ხომ ქრისტიანები ხართ?

— კი, ბატონო, ვართ...

— ჩვენ, რუსებიც, ქრისტიანები ვართ, მაგრამ გლოვის დროს წვერს არ ვატარებთ!

— მოქალაქე უფროსო, გლოვის დროს არც წვერს იპარსავენ და არც თმას იკრეჭენ!

კაპიტანმა თავი დამანება, თუმცა ვატყობდი, ვერ მიმხვდარიყო, რა დამოკიდებულება ჰქონდა წვერსა და თმას გლოვასთან.

ჩხრეკის შემდეგ სამოცდათორმეტი კაცი ერთ კამერაში შეგვყარეს. დაახლოვებით საღამოს თერთმეტ საათზე დაგვიძახეს, ბარგიანად!

ღამეა.

პროექტორებით განათებულ „კრასნაია პრესნიას" ეზოში თვალდათხრილი დევებივით დგას ციხის შენობის რამდენიმე კორპუსი. თოვლი ყველაფერს უშველებელი ზეწარივით გადაეფარა. მიხაკისფერ ტანსაცმელში ჩაცმული ჯარისკაცები სიბნელეში შავ სილუეტებად დარიალებენ. ჯაჭვებით დაკავებული ხეგეშილი ძაღლების ყეფა-გნიასში გაისმის ბრძანებები: „ხუთ-ხუთად დაეწყვეთ!" სხვადასხვა ნივთებით დატვირთული პატიმრები ეწყობიან. მე და „თამბეგას" საგანგებოდ პირველ რიგში გვაყენებენ. „თამბეგა" იცინის:: „ხედავ როგორ გვიფრთხილდებიან?"

— რატომ? — ვეკითხები „თამბეგას".

— საქმეში ხუთი გაქცევა მიწერია... და კიდევ ბრძანება: „ერთმანეთს ხელიხელში გაუყარეთ!.. ყურადღება, ნაბიჯი მარჯვნივ, ნაბიჯი მარცხნივ ითვლება გაქცევად, ბადრაგი გაუფრთხილებლად იხმარს იარაღს, გასაგებია?" — პასუხად ისმის რამდენიმე ასეული პატიმრის არეული ხმა: „გასაგებია!"... და კვლავ ბრძანება: „ბადრაგო, ბრძოლისათვის მოემზადე!" — რუსული ღამის სიჩუმეში ისმის შაშხანების საკეტების რაჩხა-რუჩხი, ხორცს მოწყურებული ძაღლების ყეფა, ღრენა და გნიასი. გაიღო ალაყაფის კარები.

„ნაბიჯით იარ!"... კოლონა დაიძრა. ისმის თოვლში მიმავალთა ხრაშუნი. „სდექ!". ჭიშკართან მისული კოლონა შეჩერდა: „პირველო ხუთეულო ნაბიჯით იარ!". ეზოდან გამოვდივართ. ვაგონების სახურავებზე შავად იხატება ტყვიამფრქვევთა სილუეტები. საგანგებოდ მიდგმული კიბით შევდივართ პულმანის ტიპის საბარგო ვაგონებში. აქ ნარები სამსართულიანია. შუაში დატოვებულია ვიწრო ადგილი, ორივე მხარის კარებთან გაკეთებულია ნახვრეტი — ეს მოსასაქმებელი ადგილია.

„თამბეგა" ნარების შუა ადგილს იკავებს, მე სიმყუდროვისათვის ადგილი კედელთან ვარჩიე.

— ზამთარში კედელთან გაიყინები! — გვირჩევს „თამბეგა", ოთხივენი „თამბეგას" გვერდით ვთავსდებით.

ბადრაგი გვაფრთხილებს:

— სმენა იყოს, ადგილზე ჩასვლამდის კარები არ გაიღება!

— მდუღარე?

— არავითარი მდუღარე, მივდივართ ჩქარი სვლით.

— რამდენი დღე ვიქნებით გზაში? — კითხულობს ვიღაც.

— ამას როცა ჩავალთ, მაშინ გეტყვი, — სიტყვამახვილობს ლეიტენანტი.

— თუ ვინმე ავად გახდა?

— მოითმინოს!

— ავადმყოფობის მოთმენა სად გაგონილა?

აქ, ჩვენთან, ყველაფერი შეიძლება! — თავმომწონედ იცინის ლეიტენანტი.

— მორჩა, — სარკასტულად იცინის ქერა ზემდეგი, — მშობლიური მოსკოვი უკან დაგვრჩა!

მიგნებული გამოთქმაა: „კანონი ტაიგა, პროკურორი დათვი!" ვიხსენებ გაგონილს და ვგრძნობ, მივუავართ სხვა სამყაროში!

2 თებერვალი: ეტაპში უმეტესად თავს იყრის ერომანეთისათვის უცნობი ხალხი, ამიტომაც არ ამხელენ ვინაობას. ციხის მუდმივი მცხოვრებნი — ქურდები აქ ცხოვრების წესით განსაზღვრავენ ამა თუ იმ პიროვნების ღირსებას. თავის გამქღავნებას განსაკუთრებით ერიდებიან კანონიერი და გაფუჭებული ქურდები. იციან მათი შეეფერა უმეტესად ერთ-ერთის სიკვდილით მთავრდება.

მიდის მატარებელი, ვაგონებით მიყავთ უფლებააყრილი ადამიანები.

კივილით მიჰქრის მატარებელი და მიიწევს ყინულეთის სამყაროსაკენ. ვაგონებში გაჩაღებულია ბანქოს ქაღალდისა და „კავკასიური შახმატის" თამაში (ასე უწოდებენ ზარის თამაშს).

აგებენ: ფულებს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, ლუკმა პურს. აგებენ საკუთარ თავს. აქ თამაშს არც ზედამხედველი გიშლის და არც ოპერი, არც მშობლები და არც მეგობრები. აქ თამაშობენ თავისუფლად როგორც მოესურვებათ. აქ აგებენ მოგების ყინით და რჩებიან შიშველნი, მშიერნი, აქ კარგავენ პატივს. საშინელებაა, თუ პატიმრობაში შეგარქვეს „ზაიგრინი" — ვინც წაგებული ვერ გადაიხადა. მიუხედავად იმისა, რომ წაგებას არ გიკრძალავს, ის ვისაც შეუძლია ყველაფრის წაგება, ღირსებააყრილია!

3 თებერვალი: ძილში ჩამესმის ყვირილი... გამეღვიძა. ჩვენს ქვემოთ ნარებზე იდუმალი მოძრაობაა.

— რა მოხდა, „თამბეგ?"

— წაგებულს ყელი გამოჭრეს.

ასეა ამ სამყაროში, უფლება არ გაქვს წააგო ის, რასაც ვერ გადაიხდი. უფრო სწორად სიცოცხლის ფასია.

კივილით მიჰქრის მატარებელი. გეგონება, ჩრდილოეთს მიახლოვებული ავბედითობით თავის თავს ტირის. მიჰქრის მატარებელი და მიაქანებს ცოდვილსა და უცოდველს, ბოროტსა და კეთილს. მიაქროლებს ბოღმას, მიაქანებს რისხვას. აქ არ იციან შებრალება. აქ მკაცრად იცავენ ჩრდილოეთის კანონს: ოდნავი დარღვევისათვის სიკვდილი!

4 თებერვალი: მეთერთმეტე დღეა მივდივართ. „კრასნაია პრესნიაში" მიღებული ექვსი დღის ულუფა გათავდა. ვიზოგავთ, თუ ვინმეს რამე შემორჩა.

შიმშილი!

მდგომარეობა, რომელიც ადამიანს თავს აეიწყებს. შიმშილი

ადამიანსაც მხეცად აქცევს. ბევრს არ შეუძლია შიმშილის გაძლება. დიახ, ეს მეტად მძიმე ტვირთია.

შიმშილობა ვინ იცის კიდევ რამდენ დღეს?

შუაღამეა. მატარებელი რომელიღაც სადგურში დგას... დილას პატიმრებმა ატეხეს ყვირილი. ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდებათ, კედელს ურტყამენ. ხმაურმა ადგილობრივ მაცხოვრებელთა ყურადღება მიიქცია. უკვირთ. კითხულობენ რა ხდება. ბადრაგი პასუხის ნაცვლად ხიშტით ერეკება. ვაგონებიდან ყვირილი მატულობს. რამდენიმეჯერ გაისმის გამაფრთხილებელი სროლა.

გინება. ხვეწნა-მუდარა და კვლავ გინება. პატიმართა დამცველებს არ ადარდებთ უბედურთა შიმშილი. მათ აწუხებთ მხოლოდ ერთი, ვინმე არ გაიქცეს... ერთმა ადგილობრივმა სცადა გორო პური გადაეცა პატიმრებისათვის, მაგრამ ბადრაგის მიერ გასროლამ გაარიდა. დაგარდნილი პური მაწანწალა ძაღლებმა გაიტაცეს. ამ სურათს პულმანის ტიპის ვაგონის კედელში ჩატანებული სარკმლიდან უყურებენ შიმშილით სიქაგაცლილი პატიმრები.

ყვირილი.

გინება.

ბადრაგის ხელმძღვანელობის მიერ არავითარი რეაქცია. მხოლოდ ერთი რამ: თვლით ჩაბარონ. პატიმრის არც სიკვდილი აწუხებთ, მთავარია თვლით ჩააბარონ იმდენი, რამდენიც ჩაიბარეს.

5 თებერვალი: დილას გამეღვიძა. გუშინდელს აქეთ პირში ლუკმა არ ჩაგვიდვია. შიმშილმა კუჭი ამიწვა... ვხვდები მატარებელი დგას. უცებ რაღაც მესიამოვნა, მაგრამ ვერ ვხვდები რა. „თამბეგა" მეუბნება:

— წავედით!

მატარებელი დაიძრა.

— რა იყო?

— დღეს და შემდეგ აღარ გვექნება!

— რა, „თამბეგ"?

— საჭმელი...

— რაო, კიდევ შემოგვრჩა რამე?

— ცოტა, — „თამბეგა", პატარ-პატარა ნაჭრებად ჭრის ღორის დამარილებულ ცხიმის მოზრდილ ნაჭერს. გვირიგებს ჯერ ჩვენ, შემდეგ იქვე მყოფ რამდენიმე პატიმარს, ეს ის ხალხია, რომელთა დახმარება ქურდმა საჭიროდ ჩათვალა:

— რა იცი, ვინ არიან? — ვეკითხები ყოველთვის ფრთხილ „თამბეგას".

— მთელი გზა ვაკვირდები, კარგი ხალხი ჩანს.

— ხვალ შენც რომ არ გექნება?

— ასეა აქ, მე ქურდი ვარ, თქვენ თავს მუშაობით გაიტანთ, მე კი ქურდული კანონით მუშაობა მეკრძალება, ასეთებს გაჭირვების დროს თუ არ დავეხმარე, მე ვინ შემინახავს?

7 თებერვალი: მეცამეტე დღეს ქალაქ სოლიკამსკში ჩამოგვი-

ყვანეს მშივრები, დაუბანელნი, უმოძრაობით დახუთულნი და პირუტყვის ვაგონებში ნჯღრევით გაწამებულნი.

ქალაქი სოლიკამსკი. თოვლში ღრმად ჩაფლული სამყარო, ხის შენობებით. მანქანამ თოვლის ლაბირინთებით რამდენიმე ქუჩა გამოგვატარა. აგურის, თუ ქვის მხოლოდ ორი, თუ სამი შენობა. სუფთა ჰაერი გვიღვივებს ჭამის მადას. ყინავს, მაგრამ გარეთ ყოფნა მაინც ყველაზე ძვირფასი სიამოვნებაა.

თავისუფლება ადამიანის მარადიული ოცნება!

თავისუფლება — სიცოცხლის არსი!

მანქანა ხის მაღალ ჭიშკართან შეჩერდა. ვახტიდან გამოდის ქურქში გამოხვეული მორიგე. ძაღლიანმა ჯარისკაცებმა დაიკავეს „საბრძოლო“ პოზიციები.

ისმის ბრძანება: „თითო-თითოდ ჩამოდით!“ — გადმოვდივართ მანქანიდან და იქვე ჩაკუნცხულები ველოდებით შემდეგ ბრძანებას. ისევ ჩხრეკა და დაგეშილი ძაღლების ყეფის ხმა. თვლით შევყავართ ციხის ეზოში. დგას ხის ვეებერთელა მორებისაგან შეკრული, ორსართულიანი რამდენიმე კორპუსი. ირგვლივ შემოვლებულია აკრძალული ზონა, მაღალი ხის ღობით და ოჩოფეხებზე შემდგარ ხუხულებში თოფიანი ყარაულებით. ფანჯრებიდან გვითვალთვალებენ, ვინ ჩამოიყვანეს, ჩვენ ვუთვალთვალებთ, ვინ გვხვდება. პატიმრობაში ეს აუცილებელია და თავის გასატანად, რომ მტერს მოერიდო და მოყვარეს დაუკავშირდე.

ისმის გადაძახილი, მოკითხვა: „საიდან მოდიხართ?“... ოთხივენი ნომერ მეთვრამეტე კამერაში ვხვდებით. აქ აბანო თვეში ერთხელ ყოფილა, ისიც თუ ვიღაც კარგ ხასიათზეა. აქმევენ დღეში ორჯერ, დილას ხუთასი გრამი პური, ოცი გრამი შაქარი და მდუღარე, უფრო სწორედ ოდნავ თბილი წყალი. შუადღეს „ბალანდა“.

როგორც კი კამერაში მოგვათავსეს მოვითხოვეთ პური — ჩვენი კუთნილი ულუფა. თურმე ნუ იკითხავთ, მოსკოვს ათი დღის ნაცვლად, პროდუქტი მხოლოდ ექვსი დღის მოუცია, გზამაც დამატებით სამი დღე დაიგვიანა, მაგრამ ჩვენს ულუფას ვერ მივიღებთ, რადგან ერთ ადგილას წერია, რომ მოგვცეს ათი დღის პური, ხოლო მეორე ადგილს ექვსი.

ყვირილი.

გინება.

მოდის ციხის ოპერი: დაბალი კუნთმაგარი, მოწითალო ფერის ქერა, წვრილი სისხლჩამდგარი ჭროღა თვალებითა და ღილაკის მაგვარი ცხვირით.

— რატომ ყვირით?

„თამბეგა“ მეუბნება: აუხსენი რაც მოხდა.

— მოქალაქე უფროსო, მოსკოვში მხოლოდ ექვსი დღის ულუფა მოგვცეს, აქ კი მეცამეტე დღეს ჩამოგვიყვანეს!

— მერე ჩემი რა ბრალია?

— ხალხი შიმშილობს!

— მე რა შუაში ვარ?

— ადამიანები ვართ!

— დიახ, ადამიანები, მაგრამ არ დაჭავიწყდეს უფლებააყრილები!

— გაიგეთ, შვიდი დღე პირში ლუკმა არ ჩაგვიდვია!

— მე არ მაქვს უფლება მოგცეთ ის, რაც ერთხელ უკვე მიღეთ! — ამბობს ჩაფსკვნილი, სისხლჩამდგარი თვალებიანი ქერა.

— საქმე იმაშია, რომ გვეკუთვნის!

— ვინ ამბობს, რომ გეკუთვნით?

— უფროსმა ბადრაგმა ხომ გიჩვენა, ერთ დოკუმენტში წერია მივიღეთ, მეორეში რომ არ მიგვიღია.

— ხვალ ციხის უფროსი მოვა და გაარკვევს.

— თქვენ არ გაქვთ ამის უფლება!

— რაო, უფლებას შენგან ვღებულობ?

— ჩემგან კი არ ღებულობთ, ჩვენ თქვენი პატიმრები ვართ!

— პური მოსკოვმა არ მოგცათ, ჩემგან რა გინდათ?

— თუ ასეა, გაგვიშვით მოსკოვში! — ვიღაც ანგლობს კამერაში.

— გაიმეორებ და კარცერში წახვალ! — იმუქრება ჩაფსკვნილი.

— არ გამოვა! — წამოდგა „თამბეგა“.

— შენ ვინ ხარ?

— ყური მიგდე და გაგაგებინებ, თუ ნახევარ საათში, კუთვნილ, ჩვენს ღვიძლ პურის ულუფას არ გააჩენ, ძვირი დაგიჯდება!

— კარცერში! — იღრიალა ჭროღათვალება ქერამ.

— „თამბეგას“ მეძახიან, შეგიძლია დღეს ჩამსვა, მაგრამ ხვალ სამსახურიდან გაგაბუნძურებენ!

— მე, შენი გულისათვის?

— დიახ, შენ, მაგრამ ჩემი გულისათვის კი არა, უპატიოსნო სამსახურისათვის.

ვიღაცამ იმის დასტურად, რომ ქერა მართლა ძაღლია და არა ადამიანი, კამერაში დაიწყო ყეფა. ყველანი ფეხზე წამოდგნენ. შეშინებული ღილაკისმაგვარ ცხვირიანი, სასწრაფოდ გავარდა. ზემდეგმა კარები ჩარაზა.

— გშიათ? — კითხულობს „თამბეგა“.

— გვშია! — ერთსულოვნად პასუხობენ პატიმრები.

— მაშ, ყური მიგდეთ, თუ უფროსობას ჩვენი ძალა არ ვაჩვენეთ, ეს ის ხალხია, ვინც მანეთისათვის გაგწირავს!

— სწორია! — გაისმის თანხმობის ხმები.

— მოდი დავარწმუნოთ ჩვენს ძალაში!

— დავარწმუნოთ!

— მოემზადეთ! — პატიმრები იღებენ რკინის ჯამებს, კოვზებს,

ნარიდან აგლეჯილ ფიცრებს, იღებენ ყოველივე იმას, რასაც შეუძლია გამოიწვიოს ხმაური, — მზად ხართ?

— მზად ვართ!

— მაშ, დავიწყოთ!

ატყდა საშინელი ხმაური: ისმის ჯამების კაკუნი, ნარიდან აგლეჯილი ფიცრების კარებზე ბრახუნი, ყვირილი, კივილი, სტვენა. ყოველივე ამას აკეთებენ თავგამოდებით. ვისაც როგორც შეუძლია. ამასობაში შემოაგდეს „ქსივი". სხვა კამერებიდან კითხულობენ, ვინ და რაზე დაიწყო „შუმოკი". „თამბეგამ" აცნობა პასუხი, როძელზეც აწერს თავის სახელს.

აწრიალდნენ ციხის მორიგეები. დერეფნებში ატყდა სირბილი, მუქარა, მაგრამ კამერის კარების გაღება და შემოსვლა ვერ გაბედეს. პირიქით, საქმე მეტად გართულდა, ნომერ მეთვრამეტე კამერას შემოუერთდა მთელი ციხე.

სოლიკამსკის გამანაწილებელი ციხე საშინელმა ხმაურმა მოიცვა. „შუმოკის" დაწყებიდან ერთი საათიც არ იყო გასული, რომ თვით ციხის უფროსი ქამოცხადდა. საშუალო ტანის, ლამაზი, მაგრამ მარჯვენა ლოყაზე ღრმა ნაჭრილობევი შავგვრემანი პოლკოვნიკი.

— ბიჭებო, ვინ გაწყენინათ? — ძლივს გაგვაგონა მოსულმა ხმა.

— ღვიძლ ულუფას არ გვაძლევენ! — ყვირილით პასუხობს ვიღაც და თან განაგრძობს ხმაურს. სხვა კამერებში რა გაიგეს კამერაში უფროსი მოვიდაო, ხმაურს კიდევ უფრო უმატეს.

ეს იყო დაყრუება!

ეს იყო ხმაურით გამოწვეული საშინელება!

— ეს იყო ხმაურის ჯოჯოხეთი!

— „ტამბეკ" — რუსული აქცენტით და ძველი ნაცნობივით მიმართავს **პოლკოვნიკი ქურდს: ვააჩუმე** თორემ არაფერი არ მესმის!

— პურს მოგვცემ? — ეკითხება „თამბეგა".

— ვინა გგონივარ, აბა, პატიმარს უპუროდ დავტოვებ?

— უფროსო, გცოდნია, რომ „თამბეგას" მეძახიან, პირდაპირ გეტყვი, თქვენი ხელობის ხალხს ვერ ვიტან, თუმცა შენდამი სიმპათიით განვეწყე, მომეცი პატიოსანი სიტყვა!

— გაძლევ! — ამბობს პოლკოვნიკი.

— ძმებო, კარგი კაცი ჩანს, ვენდოთ?

— ვისაც შენ ენდობი, ჩვენც ვენდობით! — პასუხობენ შიმშილით ქანცმილეული პატიმრები.

— მაშ, გავჩუმდეთ! — ჯერ კამერაში, შემდეგ მთელს ციხეში დადგა სიჩუმე.

ყველამ გაიგო, მიდის მოლაპარაკება.

— მოქალაქე უფროსო, — უხსნის „თამბეგა", — „კრასნაია პრესნიადან" ათი დღის ნაცვლად ექვსი დღის ულუფა გამოგვატანეს, აქ კი მეცამეტე დღეს ჩამოგვიყვანეს.

— მორიგეს რატომ არ აუხსენით?

— როგორ არა, ვუთხარით, მაგრამ ყურიც არ გვათხოვა!

— ვინ არის მორიგე? — გვერდით მდგარ ლეიტენანტს ეკითხება უფროსი.

— ოპერი.

— გასაგებია. „ტამბეკ", რამდენი დღის ულუფა გეკუთვნით?

— შვიდი, მოქალაქე უფროსო.

— მჯერა შენი, — ნაჭრილობევი მიუბრუნდა ლეიტენანტს, — დღეს ეტაპით რამდენი კაცი ჩამოიყვანეს?

— ოთხას ორმოცდა თვრამეტი.

— სასწრაფოდ დაურიგეთ ორ-ორი ულუფა!

— მოქალაქე უფროსო, ჩვენ შვიდი დღის გვეკუთვნის!

— დანარჩენს ზეგ მოგცემთ, თანახმა ხართ?

— რა თქმა უნდა!

— ამდენი პური რომ არ გვაქვს, — აწრიალდა მორიგე ლეიტენანტი.

— პურის საცხობში მიდი. ერთი პატიმარი არ დარჩეს უპუროდ, გასაგებია?

— მესმის.

— შეასრულე!

— არის, შეგასრულო! — ლეიტენანტი სწრაფად გადის.

— კიდევ რა გინდათ? — კითხულობს პოლკოვნიკი.

— შაქარი და სხვა, რაც კი შედის მშრალ ულუფაში, — პასუხობს „თამბეგა".

— შაქარს ხვალ მიიღებთ, რაც შეეხება სხვას, ჩვენ მხოლოდ დამარილებული ქაშაყი გვაქვს, გინდათ?

— თანახმა ვართ, — ეროსულოვნად ხარობს კამერა.

— „ტამბეკ"! — ეტყობა უფროსს მოეწონა ეს სახელი, — თუ კიდევ რაიმე გაუგებრობა იქნება პირადად მე მაცნობე!

— გმადლობთ, მოქალაქე უფროსო.

— მე თანამშრომლებს გავაფრთხილებ.

— გმადლობთ...

უფროსი კამერაში მსხდომთ მიუბრუნდა:

— აბა კარგად იყავით! — და კმაყოფილი სახით გადის.

მოგვიანებით კამერაში შემოიყვანეს, ოცდაორი-ოცდასამი წლის ახალგაზრდა, ლამაზი სახის, დიდი ხნის ციხეში ჯდომით გაფერმკრთალებული ქურდი, სახელად ბოჩია, რომელსაც ზედმეტსახელად ბრტყელთავას ეძახდნენ. ამ ახალგაზრდამ სახელი თავისი **ქურდული სამართლიანობით გაითქვა — გაფუჭებულ** ქურდებს, სადაც წაასწრებდა, იქ არბევდა. მისი ერთადერთი პრინციპი იყო, სასტიკად დასჯოს წესების დამრღვევი ქურდი. ბოჩიამ მთელი თავისი ბავშვობა ციხეში გაატარა, ამ პერიოდში კი თბილისის ქურდულ სამყაროს სათავეში „თამბეგა" ჩაუდგა. ასე, რომ ბოჩიას „თამბეგას" სახელი მხოლოდ ციხეში ქონდა გაგებული, მაგრამ როგორც მათი წესია, „სასალოვკაში" მოხვედრილ კოლეგას „პადაგრეკი" მოუტანა.

როგორც მოგეხსენებათ კამერიდან კამერაში გადასვლა უფროსების ნებართვის გარეშე აკრძალულია, მაგრამ თუ ღამის მორიგეს მისცემ ფულს ან რაიმე ნივთს, ამ აკრძალვის დარღვევა ადვილია. ბოჩიაც სწორედ ასეთი გზით მოხვდა „თამბეგასთან“.

„შესტიორკამ“ ამოალაგა: სამი გორო პური, დამარილებული ლოსის ხორცის ნაჭერი, ცოტა შაქარი და მთელი ქისა წეკო. ასეთ ადგილას, როგორიცაა სოლიკამსკის ციხე, ასეთი ნობათი დიდი საჩუქარი იყო.

კამერაში ყველას უხაროდა, რადგან იცოდნენ „თამბეგა“ ზედმეტ ლუკმას ყველას ერთნაირად გაუნაწილებდა.

— ციხის უფროსი როგორი კაცია? — ეკითხება „თამბეგა“.

— ჭურდებს ჰატივს სცემს, — მოკლედ პასუხობს მოსული, — მოვწიოთ?

— რა გაქვს?

— „პლანი“.

— არ მინდა...

— საჩხვლეტი არ მაქვს და არც ვეტანები...

— არც მე...

10. თებერვალი: წუხელის თოვდა. დილას გამოიდარა. მზე ყინულის ლოლუებზე ამსხვრევს სხივებს და უხილავი ხატავს ზღაპრულ ხალიჩას.

საოცარია, როგორც ბუტაფორიული ძეხვი ახარებს თვალს და არას რგებს კუჭს, ასევე მზე ყინვაში, ახარებს თვალს და არას არგებს გათოშილ სხეულს.

ცივა.

ცივა საოცრად.

ასეთ ყინვაში ფიქრებსაც სცივათ. სცივათ მოგონებებსაც ცხელ და უდარდელ ზაფხულზე. აქ ყინვა თეთრია, როგორც სიკვდილი და არასოდეს არ არის შავი. შავი ფერის შიშია და წამება. უბედურების მოლოდინიც შავია, როგორც სუდარა და კუპრი, როგორც წუხილი, რომელსაც საშველი არ უჩანს.

მზე თვალს ახარებს, ტანს კი ჰზარავს ყინვით ატეხილი სიცივე.

ასეთია ჩრდილოეთი.

ხმაურით გაიღო კამერის კარი: „ბარგიანად“ გვეძახის ზედამხედველი. დაფაცურდნენ კამერის მდგმურნი. ყველა შეუდგა საკუთარი ნივთების შეკვრას. უხარიათ კოლონიაში წასვლა. იქ, თუ იმუშავებ, ერთ დღეს სამად გითვლიან. სიხარულს ჯანიანები ჯანზე მოჰყავს. წყურვილი ერთია, რაც შეიძლება მოკლე დროში დაამთავროს სასჯელი. ისმის შეძახილები: „წავედით“!... და ხეიბართა ოდნავ გაღიმებული, იმედს მოკლებული სახეები. მათთვის სულერთია, ჯდომა აქ ციხეში, თუ კოლონიაში, მათთვის სასჯელი ჩვეულებრივ მიედინება, ისევე როგორც კალენდარში, არავითარი შემოკლება, ზარიდან ზარამდის... მათ სასჯელის შეკვეცის უფლებას ჯანმრთელობა არ აძლევს. რჩებათ ერთადერთი იმედი: ამნისტია!..

იმედი, რომ შეიძლება მოხდეს რევოლუცია?... ანუ მოკვდეს ბელადი?... და მაშინ... რა, მაშინ?

ამნისტია!

მაგრამ...

რა, მაგრამ?

ამნისტია არ ეხება: რეციდივისტებს, განზრახ მკვლელებს, ბოროტ ხულიგნებს, დიდი თანხის გამფლანგველებს, სახელმწიფო ქონების დამტაცებლებს, სამჯერ და მეტჯერ ნასამართლევს... ამნისტიაზე საუბარს ამშვენებს, ვისაც „ეხება“ იმათი თვალების გახარებული ბრწყინვალება და ბედნიერი ღიმილი...

ისინი?

ვინ, ისინი?

ვისაც არ ეხება, შურით კვდებიან. ასეა: ეს-ესი სიხარულით ტაქვავს, მეორე შურით ილევა, თუმცა იქ, ზემოთ ამნისტიაზე, არავის ფიქრითაც არ უფიქრია. ისინი მხოლოდ ზრუნავენ, რაც შეიძლება მეტი ხალხი დააპატიმრონ — სახელმწიფოს ჭირდება იაფფასიანი მუშახელი!

ზედამხედველს უჭირავს პატიმართა საქმეები. იძახებენ გვარებს. კამერიდან გამოდიან ზურგზე ბარგმოკიდებულნი და დგებიან რიგში.

ყინავს.

ყინავს. როგორც ამბობენ, ყინვა ჭრიჭინებს. დაასრულეს კითხვა. გავყავართ ეზოში, თეთრ ქათქათა თოვლზე გადმოღვრილ მზის სხივებს თვალს ვერ ვუსწორებ. ასეთ ამინდში ადამიანებს თვალები ისევე უწვრილდებათ, როგორც კატებს შუადღისას, რომ თვალმა გაუძლოს თოვლზე ატეხილ მზის ნათებას... აი, ვახტიც. ახლა აქ უნდა მოვიცადოთ, სანამ ციხის მორიგე ბადრაგს პატიმართა პირად საქმეებს ჩააბარებს... და კვლავ ამოკითხვა: გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი და ადგილი... სტატია, წელი... რაზე, როგორ და ბოლოს პატიმრის სახე შეადაროს საქმეში ჩაკერებულ სურათს, პირდაპირ და პროფილით.

...ისმის გაცოფებული ყვირილი. შემდეგ მრავალსართულიანი გინება. თითქოს ქარმა გახეთქაო, ფეხის დარტყმით იღება კარები. ვახტიდან გამორბის წელსზემოთ შიშველი შავგვრემანი ახალგაზრდა...

ღმერთო, ეს რა არის? ასეთ ყინვაში წელზემოთ შიშველი?... ეს, ეს, ეს რა არის? რა ხდება? მუცელზე მობმული აქვს კონსერვის ნახმარი ქილა... ეს რაღა არის?...

ღმერთო, ეს წითელი რა არის?

ნაწლავი!

შემზარავი სურათია.

ზედამხედველი სასწრაფოდ ვახტში გვერეკება... იქიდან ქუჩაში და კვლავ შაშხანების საკეტების ჩხაკუნი და ძაღლების ყეფა-გნიასი. ვცდილობ გავარკვიო ეს რა საშინელება ვნახე... ვეკითხები.

მაგრამ არავინ არაფერი არ იცის. ყველას ყურადღება ბადრაგის ბრძანებითაა დაკავებული. მე კი მზარავს, რაც ვიხილე.

კითხვები: „სად მივყავართ?“

პასუხი: „არ ვიცი... ან იქ... ან სადღაც!“...

„თამბეგა“ ყურში ჩამჩურჩულებს: „წინ გადი!“, არ ვეკითხები რატომ, ვიცი რომ ასეა საჭირო, ჩემს მხრივ გადავცემ პავშისა და ვლადიმერს: „წინ წამოდით!“... როგორც იქნა ჩავიკუნცხეთ წინა რიგში.

— თითო-თითოდ, მანქანაზე ადით! — ბრძანებს უფროსი ბადრაგი და პატიმრები ადიან მანქანის ძარაზე. ჯერ მიდის „თამბეგა“ შემდეგ მე, შემდეგ პავში, ვალოდია და ასე შემდეგ. ყველანი ერმანეთის გვერდით, მანქანის ძარაზე კაბინასთან ვთავსდებით. „თამბეგა“ კმაყოფილი ჩამჩურჩულებს: „აქ ქარი არ შეგვაწუხებს“. მეც ვხვდები, აი, თურმე რატომ იყო საჭირო წინ წასვლა.

გზა ტაიგაში: ირგვლივ ტყე, თუ ტყის გაუთავებელი უდაბნო თოვლში გატკეპნილი გზებით... რა ლამაზად იხატება თეთრი ქათქათა თოვლის ზედაპირზე მარადმწვანე გაუთავებელი ფერი!... პატიმრობა რომ არა, მზით გახარებული ზამთრის ტაიგა რა ზღაპრული სილამაზეა!

ჯერ აღტაცება. შემდეგ, შემდეგ მოწყენა და დაღლილი ერთფეროვნებით კვლავ საკუთარ ფიქრებთან დაბრუნება...

ფიქრები: „ადგილზე ჩავალ თუ არა, პირველ რიგში დედასთან წერილს გავაგზავნი... როგორ გავახარებ მოხუცს... რა ბედნიერი იქნება... ალბათ, წერილს კოცნას დაუწყებს. „თამბეგას“ რა უჭირს, ამბობს ციხე ჩემი სახლიაო, პავშის არავინ არ ჰყავს, აი ვლადიმერი, სხვაა, მას დედა, მამა და სატრფო, ბებიაც კი ცოცხალია... ისინიც გაიხარებენ... მაგრამ, რა მაგრამ?... არა, არა, ის დაივიწყებს თავის საშინელ წარსულს. თავიდან დაიწყებს ახალ ცხოვრებას... განა ჩემს თვალწინ არ გაარტყა ბილწს? კი, კი დღეს ის სულ სხვაა... ახალი ადამიანი გახდება!...

მიდის მანქანა. მზემ ლურჯი ცა გადასერა და აი, დასავლეთისკენ დაეშვა. მოწყენილობა დაეტყო, დაჰკარგა დილის ბრწყინვლება. ფერიც დაეკარგა და სითბოც.

ვიღაცას შარდზე უნდა გასვლა, მაგრამ არ აჩერებს: „სამასი კილომეტრი გვაქვს გასავლელი, სათითაოდ ყოველს რომ გაუჩეროს, როდის ჩავალთ?“... და ელოდებიან, როდის გაუჭირდება ყველას ერთად...

მიდის მანქანა. არც ძახილი. არც სიცილი... ყინვამ ორმოცს მიატანა. საღამოსათვის მოიმატებს.

გააჩერეს მანქანები. ბადრაგი იჭერს „საბრძოლო“ პოზიციებს მანქანიდან გადმოდიან პატიმრები.

შიში!

შიში, რომ ვერ საქმობს!... „თამბეგა“ სიცილით მამშვიდებს:

„ასე იცის ყინვაში დიდი ხნის მგზავრობამ. დაისვენებ და მორჩები.“...

მიდის მანქანების კოლონა. მძღოლებმა შუქები ჩართეს. კიდევ ცოტაც და სულ დაბნელდება.

ო, როგორი სიბნელე იცის ტაიგაში!

ვიღაც თვლემს...

„მოვედით!“ — ხმამაღლა აცხადებს ბადრაგი, მაგრამ სად, რომ არაფერი ჩანს?

სადღაც სიბნელეში შუქმა გამოანათა, ალბათ, ვიღაცამ კარი გააღო, გზამ და ყინვამ დაგვღალა. პატიმრებს ფეხები დაეხუთათ. ადგომა გვიჭირს. ასეთ დროს არც ფიქრები გაწუხებს, არც შიშილი. ნატრობ მხოლოდ დასვენებას სითბოში, გამოეხვიო დაბამბულ ჯუბაში და მიეცე ტკბილ ძილს.

რა ნეტარებაა ძილი!

ძილი ხომ სიკვდილთან მიახლოვებაა, მაშ იქნებ სიკვდილიც ნეტარებაა? მაინც ყველაზე დიდი ნეტარებაა ძილი.

ძილი!

ძილი თბილ რუსულ ღუმელზე, ან მზის სხივებითა და ქარით გაფუებულ ბუმბულის სქელ, ბებიას ხელით გამლილ ლოგინში როდესაც დედა ნაბანავებს ჩაგაწვენს და გიყვება ზღაპარს: „ასფურცელაზე“, თუ „ოჩოკოჩზე“, „ცეროდენაზე“, თუ „ბოროტ დედაბერზე“... როდესაც ძილისპირულ ოცნებაში თვალწინ წარმოგიდგება პატარა, ქათმის ერთ ფეხზე შემდგარი ხის ხუხულა. ხან საით შეტრიალდება და ხან საით. შეგიპყრობს შიში... მაგრამ დედა გვერდით გიწევს და გეალერსება... არა, დედის გვერდით ბოროტი ვერას დაგაკლებს და შიშიც გაგიქრება... შემდეგ, ნაზი და ზეციური ხმით ჩაგესმის ნანა... შემდეგ შემოგეხვევა ბურანი — სიამოვნების გაურკვევლობა.

ო, რა დიდი ბედნიერებაა სიამოვნების ბურანში ყოფნა!

საოცარია, ვერ არკვევ რა გსიამოვნებს, მაგრამ გრძნობ დიდ განუსაზღვრელ სიამოვნებას... ასეთია დედის მოყოლილი ზღაპრის ბოლო!?...

...კვლავ ვახტი. ნამძინარევი მორიგე გვიღებს კარებს. ჩხრეკა. კამერაში სულ ორი პატიმარია. შევდივართ. არც ადგილის ძებნა, არც ზრუნვა ვახშამზე. მხოლოდ ძილი, ძილი, რომ დასვენო ყინვით გათოშილი სხეული, რაც შეიძლება მალე და თბილად.

12 თებერვალი: „თამბეგა“ მაღვიძებს. პავში იცინის. ვლადიმერს მოაქვს „მდუღარე“, პურის და შაქრის ულუფები. „თამბეგა“ პავშის აძლევს ზურგჩანთას. საიდანაც იღებს პროდუქტებს, თან ღიმილით მეუბნება: „შენ რა მაგარი ძილი გცოდნია“, — ჩემი რვეთვის პატიმრობის მანძილზე ეს იყო ღრმა ძილის პირველი ღამე.

საუზმე.

საუბარი.

კამერაში ორნი დაგვხვდნენ. ერთი დამატებითი ძიებიდან თა-

ვის ყოფილ სამყოფელს უბრუნდება, მეორე, კოლონიიდან მოს-
კოვში დამატებით ძიებაზე მიჰყავთ.

ერთი „ზნამენკიდან“ მოდის, იქ თბილისელ ქურდს შალიკო
ქოიავას გაფუჭებული ქურდები დაურბევია, მეორე უხტიმში ბრუ-
ნდება. აქ არეული ბანაკი ყოფილა: გაფუჭებული, კანონიერი, „წი-
თელ ქუდა“ — პედერასტები და ვინ მოთვლის კიდევ ვინ. „თამ-
ბეგა“ იმახსოვრებს, რომ შემდეგ ისე მოიქცეს, როგორც ეკუთვნის
კანონიერს.

აქვე გავიგეთ დილას რომ შიშველი, წელზე კონსერვის ქილა
შემობმული პატიმარი ვნახეთ, ქურდი ყოფილა, ეროვნებით უზბე-
კი. სახელად იური. ეს ახალგაზრდა გაფუჭებულ ქურდებს, სადაც
მიუსწრებდა, იქვე არბევდა. ბევრი მათგანი სიცოცხლისთვისაც გა-
მოუსალმებია, მაგრამ, როდესაც კუჭის წყლულით დაავადებული
სტაციონარში დააწვინეს, მტრებმა დიდი თანხით დაახარბეს და ქი-
რურგმა ავადმყოფს კუჭი ამოაჭრა. ახლა ოცდასამი წლის საბრალო
შეჭამს და რამდენიმე წუთში, კანსგარეთ გამოყოფილი ნაწლავით
ქილაში საქმობს. ამ უბედურს ცოცხალი ადამიანის მხოლოდ თვალ-
ები შერჩა. დადის და იცინის ძვლებზე გადაფარებული ტყავი.

საშინელმა კივილმა საუბარი შეგვაწყვეტინა. ყური მიუგდეთ...

ქალები?

რა ხდება?

ქალები ხმაურობენ!

იცინიან ზედამხედველები. ქალები აჯანყდნენ, მოთხოვნით:
„სანამ მამაკაცებს არ მოგვიყვანთ, არ ვიმუშავებთ!“

საშინელებაა სირცხვილდაკარგული ქალი. ის ხომ დაცემულ
მამაკაცზე ბევრად უფრო საზარელია!

2 მარტი: ღამე სიცივემ არ დაგვაძინა. ქარი ყინვას ამძვინვა-
რებს. მოაქვთ „ბალანდა“. პატიმრები ჯამებით რიგში დგებიან. ერ-
თი მთხოვს ულუფა დავუთმო. ამ საშინელ ნახარშს არცერთი ჩვენ-
თაგანი არ ჭამს. „თამბეგა“ ნებას აძლევს ოთხივეს ულუფა აიღოს.
გახარებული „დახადიაგა“, ადამიანის მსგავსი, ლასლასით მიდის
კარებთან მზარეულს უჩვენებს, თავიანთი ულუფა დამითმესო,
ჩვენც დასტურის ნიშნად თავს ვუქნევთ.

„დახადიაგა“ ბედნიერია!...

ღმერთო, ნუთუ ჯოჯოხეთში ამაზე მეტი ხდება?

3 მარტი: საკანში შიმშილი და სიჩუმე სუფევს. პროდუქტები
ჩვენც გაგვითავდა.

არც მივყავართ და არც ვიცით როდის წაგვიყვანენ.

„თამბეგამ“ გაყვანა მოითხოვა... ბრუნდება სახეგაბრწყინებუ-
ლი, ინდიგოს შარვალი „ბუხანკა“ პურში და მოხარშულ კარტოფი-
ლში გაუცვლია.

5 მარტი: დილას ბარგიანად დაგვიძახეს. „თამბეგა“ მაფრთხი-
ლებს, ყველანი ერთ „ლაგერში“ შევალთ. ციხის წესით, ყოველი
ირჩევს იმ ქვეგანყოფილებას, რომელშიც მისი „ფერია“. კანონიერი

— კანონიერთან, უკანონო — უკანონოსთან. ხელმძღვანელობას
უფლება არა აქვს „ფერები“ აურიოს, რადგან ასეთ დარღვევას ხში-
რად საშინელი ხოცვა მოსდევს. ჩვენ სამივენი ერთ ადგილზე ვიყავით,
სადაც „თამბეგა“ იქ ჩვენც.

ოცდაცხრა კაცი დაგვსხეს მანქანის ძარაზე. ნერობის ციხიდან
დილის თერმომეტ საათზე გაგვიყვანეს. მივდივართ. თოვლი, ყინვა
და ტაიგა. ქარი და კვლავ გაუთავებელი ტაიგა. უკვე სამი საათია. გზას
ბოლო არ უჩანს. შეკითხვებზე: „როდის მივალთ?“, ბადრაგი პასუ-
ხობს: „როდესაც მივალთ, ნახავ“. და კვლავ გზა, გაუთავებელი იდუ-
მალებით მოცული ტაიგა.

საღამოვდება. მზე დასავლეთის ჰორიზონტზე დაიკარგა. დაიწ-
ყო ბანაკები. გაჩეხილი ტყეები. შავებში ჩაცმული, ყინვითა და ქა-
რით დაღარული მონათა სახეები. ეს უფლებააყრილთა უშველებე-
ლი არმია, წითელი საბჭოეთის მშენებელი ძალაა, რომელსაც მად-
ლობას არავინ არ ეტყვის. სამყარო, რომელიც ბედმა არგუნა მი-
ხეილ პავშის, ილია თოფურიას, ვლადიმერ გურევიჩსა და „თამბე-
გას“ მსგავს მილიონებს. ეს სიცოცხლის მსგავსი არსებობა თუ
მონობა, თუ ადამიანთა ხელებით ნაშენი ჯოჯოხეთი!

ღმერთო, მე მაინც მჯერა შენი!

ღმერთო, მე მაინც ვლოცულობ!... „ჭირითაც ვიქადით, რამეთუ
ვიცით, რომ ჭირი ქმნის მოთმინებას, გამოცდილება — იმედს, ხოლო
იმედი არ არის შემარცხვენელი, ვინაიდან ღმერთის სიყვარული
ჩაგვისახა“...

ღმერთო, თუ მოთმინება საჭიროა. მე მოვითმენ!

ღმერთო!

ღმერთო!

ღმერთო, მოვითმენ!

...მძღოლს გზა აერია. ვეძებთ... სიბნელე ხელს გვიშლის... ვიპო-
ვეთ, მაგრამ მანქანამ აღმართი ვერ დასძლია... ატყდა თოფების სა-
კეტების ჩხაკუნი, ძაღლების ყეფა-გნიასი. მანქანიდან ჩამოგვყარეს.

ყინავს.

ვაწვებით მანქანას... ვიღაცას მეტი არ შეუძლია... ბადრაგმა
ჩასცხო კონდახი... წაიქცა... ვაყენებ... ძლივს დგას ფეხებზე. ეს მი-
ხეილ პავშია... ვეხმარები... ვიღაცა იცინის. ჯერ ვღიზიანდები. შემ-
დეგ გაღიზიანება ჩაქრა და კვლავ მანქანას ვაწვებით.. ტყის ნაპი-
რას გამოჩნდა სილუეტი. ვინ არის, თუ რა არის? ბადრაგის ყვირი-
ლი და გამაფრთხილებელი სროლა. სილუეტი, თუ მოჩვენება გაჰქ-
რა... მალე სულ ახლოს, თითქოს მიწიდან აღმოცენდაო, ბეუტავს
სინათლე, ჯერ ერთი, შემდეგ ორი... სამი... მრავალი — ეს დასახ-
ლება დიროვატიჩაა.

ტყე შრიალებს.... საათნახევარი ვახტთან ვდგავართ... ეძებენ
უფროს ვახტიორს... ვდგავართ ყინვაში... არა, მიღება არ შეიძლება,
ბერე რა რომ გავიყინებით, მთავარი კანონია: უფროსი ვახტიორის
გარეშე პატიმართა მიღება არ შეიძლება. ამათ ლექსიკონში მცნე-

ბა ადამიანი-პატიმარი ამოღებულია. პატიმარი აღარ არის ადამიანი! აქ პირუტყვს მეტ პატივს სცემენ. და მე ყურში ჩამესმის ბავშვობის დროინდელი სიმღერა:

«Широка страна моя родная,
Много в ней лесов, полей и рек...»

... კი, კი, მართლაც რა უთვალავი ტყე და მდინარე გვქონია?!. მაგრამ:

«Я другой такой страны не знаю,
Где так вольно дышет человек.»

და მართლაც ისუნთქე, აჰა ისუნთქე რამდენიც გინდა იმდენი?!
ისუნთქე!
ისუნთქე!
ღმერთო!
ღმერთო, დიდებულო, ვისია ეს ქვეყანა?!

6 მარტი: ოთხივენი დავრჩით დასახლება დიროვატიხაში. აქ ძირითადად ცხოვრობენ ჩელდონები. ჩელდონი, ნიშნავს კაცი დონიდან — „ჩელოვეკ ს დონა“. ამათ წინაპრებს — დონის კაზაკებს — პუგაჩოვის ამბოხებაში მიუღიათ მონაწილეობა. რისთვისაც ეკატერინე მეორეს დასასჯელად ჩრდილოეთ ურალში გადმოუსახლებია. როგორც კი რომელიმე უბანზე ტყე თავდება, ბანაკი გადააქვთ ახალ უბანზე, ასეთ შემთხვევაში პატიმრებს ადგილობრივი მაცხოვრებელი ჩელდონებიც მიჰყვებიან, რადგან მათი ძირითადი საქმიანობა ტყის ჩეხვა-დაცურებაა და პატიმართა კოლონიების მომსახურება — „მომარაგება“ აკრძალული სხვადასხვა „გასართობით“, როგორიცაა: ჩაი „ჩიფირისათვის“, არაყი, ნარკოტიკები და სხვა საწამლავები...

განა კი ღირს სიცოცხლე?

11 მარტი: ბურანში მესმის ზარის ხმა. შემდეგ მეხანძრის ყვირილი: „ადექით!“... მიჭირს თვალის გახელა... ჩამთვლიმა... ვიღაც უხეშად მანჯღრევს... ეს ზედამხედველია:

— რატომ არ დგები?
— წუხელის სამ საათზე დავწექით!
— გუშინდელი ეტაპიდან ხარ?
— დიახ.
— შენ რაღას უცდი? — მიუბრუნდა პავშის.
— ესეც ეტაპიდანაა...
— ეს? — დაადგა ვლადიმერს.
— ამ მხარეს ყველანი წუხანდელი მოსულები ვართ, — ზედამხედველი და მეხანძრე უსიტყვოდ გადიან... მჭიდროდ გამოვეხვიე საბანში და ძილს მივეც თავი...

— ადექი, არ მოგშივდა მაინც, — მაღვიძებს მიხეილი.
— რომელი საათია?
— პირველი დაიწყო...
— ვდგები, — ვამბობ და ვიგონებ სად ვარ.
— უჩქარე, თორემ მდუღარე გაცივდება...
— „თამბეგა“ სად არის?
— კარცერში.
— რისთვის?
— ზედამხედველმა ძილი არ აცალა...
— და?
— ... თავი გაუტეხა, — სექციაში შემოსული ახალგაზრდა რუსული აქცენტით კითხულობს:
— „ტამბეკ“ აქ ცხოვრობს?
— „თამბეგა“ კარცერშია, — პასუხობს პაუში. ახალგაზრდა უსიტყვოდ გადის.
— ვინ იკითხა „თამბეგა“?
— სომაკას „შესტიორკაა“, ვასკა ჩოფურა, — პასუხობს ვიღაც.
— „თამბეგასაგან“ ვიცოდი, ამ ქვეგანყოფილებაში, სასჯელს სამი ქურდი იხდიდა: როსტოველი სერგეი, მოსკოველი ტოლიკა და ლენინგრადელი „სომაკა“... ამედი მომეცა, კოლეგას არ ჩატოვებენ.

შემორბის ვლადიმერი:
— ილია, კანცელარიაში გვეძახიან!
— მოვდივარ! — მე, ვლადიმერი და პავში გავდივართ. ბანაკში ათამდის ერთსართულიანი ხის ბარაკია. თვითეული ბარაკი გაყოფილია ოთხ სექციად. ყოველ სექციაში აგურის ღუმელია, რომელსაც თვალყურს ადევნებს მორიგე მედღეე. მივყვებით ორი მეტრო სიმაღლის თოვლში გაჭრილ გასასვლელსა, თუ გზას, რომელიც ასე გავს ეგვიპტურ პირამიდებში დახლართულ ლაბირინთებს... მივდივართ. პატიმრები გვაკვირდებიან. ასეა აქ დაწესებული, ახალმოსულებს აკვირდებიან. შევდივართ ვახტის გვერდით მდგარ ხის შენობაში, საიდანაც სამუშაოზე აგზავნიან ბრიგადებს.

სამუშაოების დარგში უფროსის მოადგილე პეტრე გუბინი მეკითხება:
— სად მუშაობდი?
— სკოლაში.
— რას ასწავლიდი?
— ლიტერატურას.
— რომელ კლასებში?
— მერვე, მეცხრე, მეათე.
— სერიოზული კაცი ყოფილხარ, ასეთი საქმე როგორ დაგემართა?
— მოხდა, ასე...
პაუზა.
— დაბალი კლასები რომ მოგცეთ, შეგიძლია ასწავლო?

— მე მგონი კი... — კაპიტანი მიხვდა თავის უტაქტობას.

— იმიტომ გეკითხებით, რომ აქ რუსულად უნდა ასწავლოთ!

— კი, რუსულად შევძლებ...

— კარგი, უფროსს დღესვე მოველაპარაკები... ზონის გარეთაც გვჭირდება მასწავლებელი... უხტიმის სამმართველოში ექვსი ქვეგანყოფილება შედის, სწავლა ყველგან უნდა იყოს. მე მგონი დიროვატიხა პირველი იქნება. თავისუფალი ხარ. იქვე მიხეილ პავში, როგორც სამოც წელს გადაცილებული, ჩვენს სექციაში მედღეევედ დანიშნეს, ვლადიმერი კი სამრეცხაოში გააწესეს.

ბარაკში მისულს მაცნობეს, ქურდები გთხოვენო. ვიკითხე რომელ ბარაკში ცხოვრობენ, მაგრამ წასვლა არ დამცალდა, გამომძახებელმა მაცნობა, ვახტზე მიბარებენ.

იქ კვლავ კაპიტანი გუბინი დამხვდა:

— თოფურია, პატიოსანი კაცი ჩანხარ, თანაც მე ქართველებს ვენდობი, უხტიმში ჩვენი მომარაგების უფროსს მინდა გაგაყოლო, რას იტყვი?

— მოქალაქე უფროსო, ისეთ რამეს ნუ დამავალებთ, რაც მე, როგორც ადამიანს, შეურაცხმყოფს, დანარჩენს არ დაგზარდებით.

— დასახლების მაღაზიისათვის საქონელია მოსატანი, აბა, შენ იცი, არ შემარცხვინო!

— გმადლობთ ნდობისათვის.

— გახსოვდეს, ჩემი პასუხისმგებლობით გიშვებ.

— გმადლობთ.

— რამდენი გაქვს დარჩენილი? — მეკითხება თავმოტვლეპილი დაცვის უფროსი.

— ორი წელიწადი და შვიდი თვე.

— თუ წესიერად იქნები, თავისუფალი სიარულის უფლებასაც მოგცემთ!

— გმადლობთ, მოქალაქე უფროსო.

— დღეს იქ მოგიწევს დარჩენა, ფრთხილად იყავი, — მაფრთხილებს გუბინი.

— მესმის.

— ზაიცევ! — იძახის დაცვის უფროსი, სტეფანე გიორგინი.

— გისმენთ! — შემოდის ჩოფურა ქერა ჩელდონი.

— ეს გამოგყვება!

— ქართველი ხარ? — მეკითხება ზაიცევი.

— გახლავართ.

— მაშ, წავიდეთ! — გავდივართ ვახტის გასასვლელში, მე ივანე თეოდორეს ძეს მეძახიან, — აგრძელებს საუბარს ჩოფურა ჩელდონი...

— სასიამოვნოა...

თავისუფლება?.. რაც მთავარია თოფიანი კაცი არ მომყვება. ღმერთო ჩემო, თავს რატომ ვგრძნობ ასე უცნაურად?.. მივდივარ და მიკვირს, მიკვირს თავისუფლება, რა საშინელებაა, რომ ასეა?..

— სადაური ხარ?

— თბილისელი.

— ის ჩიათურელი იყო, — რუსული აქცენტით მეუბნება ივანე.

— ვინ?

— აქ პატიმარი იყო, ჩიათურელი ბიჩიკო აბაშიძე. ერთი თვის წინ განთავისუფლდა, ხომ არ იცნობ?

— არა.

— სანდო კაცი იყო, — ამასობაში მივუახლოვდით საჯინიბოს. მეჯინიბე-პატიმარმა დაგვახვედრა ცხენებშებმული მარხილები.

— ექვსი მარხილით წავედით, ჩვენ კი ორნი ვართ, მე წინაზე დავჯდები, შენ კი ბოლოზე.

— დანარჩენი?

— ერთმანეთს მიჰყვებიან... სტვენა იცი?

— ვიცი.

— თუ რამე დაგჭირდეს, დამისტვინე!

— გასაგებია.

— ვიჩქაროთ, თორემ ღამე მოგვისწრებს.

— რამდენი კილომეტრი გვაქვს გასავლელი?

— ოცდაათი... წავედით! — მოაძახა და შოლტი გადაუტყლაშუნა ჰაკს.

დიროვატიხიდან უხტიმისაკენ მიმავალი გზა, მდინარე კამის შენაკადს მიყვება, იგი ახლა გაყინულია და თოვლით არის დაფარული. კილომეტრი არც კი გვქონდა განვლილი, რომ დასახლება დასრულდა. დაიწყო სოჭისა და არყის ხის ნარევი ტყე... თუმცა აქ მთაგორიანი ადგილებია, ჭაობი მეტად ჭარბობს. ზაფხულში, რომელიც აქ მხოლოდ ერთი თვე იცის, აქაურობა კოღო-ქინქლებითაა სავსე, რომლის ნაკბენმა თვეობით იცის ქავილი. აქ არ იცის გაზაფხული და შემოდგომა. ეს თვეები თოვლიანია.

მიიზლაზნება ჩვენი ქარავანი. ასეთ სიარულს მიჩვეული ცხენები ნაბიჯს არ აუჩქარებენ და არც შეანელებენ. მიდიან ერთი სვლით.

მიდის ჩვენი ქარავანი. მე ვაკვირდები გზას, ვცდილობ დავიმახსოვრო, სად რომელი გადასასვლელია, თან არ მასვენებს დარდი, რატომ არ გავაფრთხილე პავში. შეწუხდება მოხუცი. დამიწყებს ძებნას... იქ „თამბეგა“, აქ კიდევ მე... მაგრამ თავს ვიმშვიდებ, მიხვდება და ვახტს მიაკითხავს, იქ კი ეტყვიან.

მივსრიალებთ და მიხარია, რა კარგად აეწყო ჩემი ცხოვრება. და წამსვე გამიჩნდა წუხილი, დედასთან გასაგზავნი წერილი რომ დამრჩა?.. და კვლავ იმედი, იქ, დავწერ!.. ასე კარგად რომ მოვეწყვე, იმ წერილში ხომ არ მეწერა!.. მთავარია, რომ კარგად მოვეწყვე... და კვლავ შიში, „თამბეგას“ რომ სასჯელი დაუმატონ?.. მაგონდება ქურდის ნათქვამი: „უფროსებს, თუ პირველი დარტყმა არ აგემე, თავზე დაგაჯდებიან“... სიმართლეს კი ჰგავს, მაგრამ თა-

ნამშრომელზე თავდასხმისათვის მკაცრი სასჯელია!.. და მაინც მამშვიდებს იმედი, ქურდები კოლეგას არ ჩატოვებენ.

ექვსი მარხილისაგან შემდგარი ქარავანი მიყვება ტაიგაში გაჭრილ გზას... მაგონდება გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“... იქაც ქარავანია, მხოლოდ აქლემების. ერთ-ერთ აქლემს ბეჰანი ჰქვია. მე ჩვენს ქარავანში არცერთი ცხენის სახელი არ ვიცი. ამ ცხენების ბედი როგორ ჰგავს იმ აქლემების ბედს. მთელი სიცოცხლე ეზიდებიან ტვირთს, მაგრამ ერთი განსხვავებით, ისინი სიცხიან უდაბნოში, ესენი ყინვიან ტაიგაში.

ფიქრებიდან კვამლმა გამომარკვია, „ნეტა რა არის?“, ვფიქრობ და ვუთვალთვალებ, მინდა დავიმახსოვრო... გვერდით ჩავუარეთ, შენობა ისე ღრმად არის თოვლში ჩაფლული, ვერ ვხედავ.

მიდის ჩვენი ქარავანი და ჩემი ფიქრებით დახუნძლული მეც მივყვები. ბედნიერია ცხენი, თუ კარგი პატრონი ჰყავს. დროზე აჭმევს, ასმევს... ნეტავი, ახლა რას ფიქრობს ცხენი, რომელსაც მე მივყავარ?.. იქნება დედა აგონდება?.. რაღაცა გრძნობა ხომ უნდა გააჩნდეს?.. არა, თუ კი შიმშილს, წყურვილსა და ძილის დროს გრძნობს, რატომ არ შეიძლება სხვა გრძნობებიც გააჩნდეს?.. თუნდაც მოაგონდეს თავისი ბავშვობა?.. პირუტყვებს რომ ენა ჰქონდეთ, რამდენ საინტერესო ამბებს გავიგებდით?!. მსმენია, მობერებულ ცხენებს აქ ადამიანების საკვებად იყენებენო... მთელი სიცოცხლე ასე წვალების შემდეგ, ალბათ, სიკვდილი ბედნიერებაა?!. „შენთვის?“ — ჩამესმის იდუმალი ირონიული ხმა... და კვლავ მაწუხებს ფიქრი: ყოველი სულდგმული ასე თავგანწირვით რატომ ებღაუჭება სიცოცხლეს.

საოცარია, რა ახარებს ადამიანს, რომელსაც სიკვდილი სამუდამო კატორღით შეუცვალეს? განა რას იხილავს? განა რას მოისმენს, თუ არა პირუტყვის მსგავსად, წლიდან წლამდის, ყოველ დილა-საღამოს დაძალებასა და შიმშილს, კატორღულ შრომასა და დამცირებას?.. ღმერთო ჩემო, ნუთუ ამისათვის ღირს სიცოცხლის გაგრძელება, იმ სიცოცხლისა, რომელიც ერთ დროს უნდა დასრულდეს?!

რისთვის?!

არა, არა, ეტყობა სიცოცხლე მარტო სიამოვნება და ფუფუნება როდია, ეტყობა სიცოცხლე სიცივეც არის და შიმშილიც. ეტყობა სიცოცხლე იმედიც არის! იმედი ხვალინდელ დღეზე! იმედი, რომელიც არასოდეს არ აღსრულდება, მაგრამ შენ მაინც ბედნიერების მოლოდინში დაასრულებ ტანჯულ სიცოცხლეს?!

ღმერთო!

ღმერთო, შენ უკეთ იცი, ჩვენ ხომ შენი შვილები ვართ!

მომაგონდა მამა და ბიძა. როგორი განუსაზღვრელი სიყვარულით მიყვარდა ისინი! მხოლოდ იმიტომ, რომ სხვაგვარად აზროვნებდნენ, დააპატიმრეს. დააპატიმრეს იმიტომ, რომ სიცოცხლე თა-

ვისებურად ესმოდათ. ბიძა დახვრიტეს, მამას კი დაკითხვის დროს ცემით ამოხადეს სული.

ჰოი, წყეული ოცდაჰვიდმეტი წელი!

ჰოი, წყეული ლენინ-სტალინის საუკუნე!

ჰოი, წყეული კომუნიზმი!

... ჯერ წარმომიდგა მიხეილ პავში ჩიკ-ჩიკა, შემდეგ მიხეილ პავში თავის საშინელ წარსულში და ბოლოს პავში — ბედსშერიგებული.

... საბრალო, სასჯელს ჩემთან ერთად ამთავრებს. სად წავიდეს? ვისთან მივიდეს? სიცოცხლის თავიდან დაწყებას ვერ შესძლებს, ის სამოცი წლისაა... მაშ რა ქნას?

ქარავანი გაჩერდა. ჩემს მარხილში შებმულმა ცხენმა თავი შეანჯღრია, თითქოს რაღაცა უნდა ჩამოიბერტყოსო. შემდეგ წინა ფეხი რამდენიმეჯერ თოვლში ჩასცხო და გაირინდა... დგანან ცხენები ყინვაში და ასდით ორთქლი. ზაიცევი დინჯად მომიახლოვდა.

— როგორ არის საქმე, ხომ არ გაიყინე?

— არა, ვფიქრობ.

— ნუ გეშინია, ცოტაც და მივალთ. იქ ას-ასს თუ არა „ბრაგას“ მაინც ვიშოვნით.

— მე რომ ალკოჰოლი მეკრძალება?

— ის სულ სვამდა...

— ვინ?

— ჩიათურელი ბიჩიკო აბაშიძე. მთავარია სმის დროს გონება არ დაკარგო, ისე კი რამდენიც გინდა იმდენი სვი... თქვენსკენ კარგი ჩაჩა იციან?

— კი, იციან.

— ოიოი, ოიოიი, რა ცეცხლივით მაგარია.

— კი მაგარია.

— გამოვიგზავნიან?

— ალბათ.

— მაშინ არ დამივიწყო...

— არა, — სიცილით ვეუბნები მე.

— ფული გაქვს?

— ცოტა.

— მეც ცოტა მაქვს... წავედით, — თქვა და წინა მარხილისაკენ, რატომღაც სირბილით გაიქცა, რომელიც ასე საოცრად ჰგავდა აქლემის ძუნძულს.

მივსრიალებ. ნანასავით ჩამესმის მარხილის ფუძეების თოვლზე შრეალი.

12 მარტი: დილას ადრე ავდექით. „ბრაგის“ ნასვამზე თავი მისკდება. ზაიცევმა საწყობიდან საქონლის მიღება მაინც მოახერხა. მას ფაქტურები უჭირავს, თვლა და წონა მე მომანდო. შუადღისას წამოსასვლელად მზად ვართ.

საწყობის გამგე მეკითხება:

— ოდეკოლონი გინდა?

მექანიკურად ვპასუხობ:

— მომეცი.

— რამდენი?

— ორი.

— ორი? — უკვირს, ლოთობისაგან ცხვირგალურჯებულ საწყობის გამგეს.

— კი, ორი.

— ორი გზაში არ გეყოფა!

მივხვდი, ოდეკოლონს აქ სასმელად ხმარობენ.

— მე პირის გასაპარსად მინდა!

— გასაგებია, — ამბობს გამგე და გაკვირვებისაგან მხრებაწეულს მოაქვს ორი შუშა.

— მორჩი შენს საქმეებს? — მეკითხება „ბრაგის“ ზედმეტი სმით თვალებში სისხლჩამდგარი ზაიცევი.

— წერილი! — წამოვიძახე და გავრბივარ იქვე მახლობლად დაკიდებულ საფოსტო ყუთისაკენ...

— წავედით!

— წავედით!

— მოდი, თითო-თითოც დავლიოთ?

— რა? — ხელით მაჩვენებს ოდეკოლონის შუშას, — დავლიოთ! — ვეთანხმები, რადგან არ მინდა ხათრი გავუტეხო... გაპარსვის შემდეგ ამ სითხის წასმა სასიამოვნოა, მაგრამ დალევის რა მოგახსენოთ, საზიზღარზე საზიზღარი!.. და როგორ გამიკვირდა, დალევის შემდეგ ზაიცევმა სიამოვნების ნიშნად ენა რომ გააწკლაპუნა!

„ცხოველი“ — გავიფიქრე გულში და ზიზღისაგან სულში რაღაც გადამიბრუნდა... კი, არ დავმალავ ძარღვებში საამოდ შემახურა.

— წავედით! — დაიძახა ოდეკოლონის ეშხით გახალისებულმა ზაიცევმა და სირბილით გასწია წინა მარხილისაკენ.

... მივდივართ. მხვდება უკვე ნაცნობი ადგილები... აი, ის ალმართიც... ის მაღალი ბებერი სოჭი... გადასახვევი, სადაც გუშინ შევჩერდით... მივდივართ და წინა დღეს გამოვლილ ადგილებს ვესალმები.

მივდივართ და ოდეკოლონი „კარმენით“ შეხურებული სიცივეს არ ვგრძნობ. ალბათ, ორი საათიც არ არის გასული... წინა მარ-

ხილი გაჩერდა. ველოდები, ზაიცევი როდის დამიძახებს, ან როდის გადმოვა, მაგრამ არც ერთი და არც მეორე. ერთი-ორჯერ დავუძახე. არა, პასუხი არ ისმის. მიკვირს. მივდივარ წინა მარხილთან... რას ვხედავ, ზაიცევს ღრმა ძილით სძინავს, გვერდით კი რამდენიმე ოდეკოლონის დაცარიელებული შუშა უგდია. რაღა მიხვედრა უნდოდა, სიწუწკემ სძლია და დათვრა. როგორ მოვიქცე?.. ცხენები გაჩერდნენ, ეტყობა წინას, — მიუხედავად მისი განსწავლულობისა, — მიმართულების მიცემას მაინც საჭიროებს. დიდი ხანი არ მიფიქრია, როგორც კი დავრწმუნდი ზაიცევის გაღვიძება შეუძლებელი იყო, ჩემს მარხილზე გადავათრიე, მოხერხებულად ჩავსვი, მე კი წინაზე მოვთავსდი და განვაგრძე გზა.

მივსრიალებთ. საათიც არ არის გასული, ბედზე უკან მოვიხედე, რას ვხედავ?! უკანა მარხილი თითქმის კილომეტრით დაშორებული დგას. ვაჩერებ ქარავანს. გავრბივარ. მარხილი ცარიელია... სად გაქრა?!. გარემოს ვათვალიერებ... ლამის გული შემიღონდეს, ვაი, თუ უკან დაბრუნებამ მომიწია!.. და იქ, სადღაც მოშორებით, თვალის მისაწვდომზე რაღაც შეინძრა... მივირბინე, კი, ეს ზაიცევია, რომ გამიჭირდა საყელოში წავავლე ხელი. მოვათრევ. არც კი გაღვიძებია. როგორც იქნა მარხილზე მოვათავსე. დავიძარით. ახლა უკვე შიშით, ყოველ ათ-თხუთმეტ წუთში უკან ვიყურები... მოვიხედე... უკანა მარხილი ისევ დგას... მადლობა ღმერთს, რომ დროზე მოვიხედე და ცხენიც გრძნობს პატრონის გადმოვარდნას, თორემ ვინ იცის, რამდენი გზის გავლა მომიწევდა ფუჭად!.. საბედნიეროდ. ამჟამად ყველაფერი კეთილად დასრულდა... სულელური ფიქრი მართობს, რა იქნებოდა ენა ჰქონებოდა ცხენს, დაძახება შეეძლოს!.. ზაიცევი იქვე მახლობლად გდია... არა ასე არ გამოვა!.. საღამოვდება, ასე ყოველ კილომეტრზე თუ გადმოვარდა, როდის ჩავაღწევ?!. რაღაც უნდა მოვიფიქრო... ვფიქრობ...

მოვიფიქრე: ზაიცევს მარხილზე დავაბამ... ვეღარ გადმოვარდება!..

ტაიგის იდუმალ სამყაროში მისრიალებს ჩვენი ქარავანი. მისრიალებს და ფიქრს ცვლის ფიქრი. ხან რას ვიგონებ და ხან რას, ხან რაზე ვფიქრობ და ხანაც რაზე... სინამდვილეს ცვლის ოცნება... ზოგჯერ ვცდილობ ჩავწვდე ბუნებისა თუ უზენაესის საიდუმლოს... მიჩნდება კითხვები: რისთვის, როგორ, რანაირად?.. ვპასუხობ, მაგრამ პასუხი არ მაკმაყოფილებს...

დრო კი მიდის. მისთვის არაფერი არ იცვლება. ის ისე მიედინება, როგორც უზენაესმა დააწესა. მიედინება და ჩვენც, როგორც ცოცხალი ადამიანები, მივყვებით მიმავალ დროს. დროში იცვლებიან ჩვენი დღეები, სიცილი, თუ ცრემლი, სიხარული თუ წყენა, დაბადება. სიკვდილი .დროს მოაქვს მომავალი, თუ ხვალინდელი დღე და დროს მიაქვს დღევანდელი, რაც წარსულად გადაიქცევა...

მიცვალებულები?

არა, ისინი დროის გარეშე რჩებიან, როგორც მარადისობა!

ბევრს ჰგონია, მოვკვდებით და საიდუმლოს ფარდა აეხდება. არა, არც აქ და არც იქ ჩვენ უზენაესის შექმნილებს, თვალი არასოდეს არ აგვეხილება, რადგან ღმერთის შექმნილები ვართ და არა შემქმნელები!.. ჩვენს იქით ხდება რაღაც იდუმალზე იდუმალი, ამოუცნობზე ამოუცნობი — სირთულე, რომელსაც ჩვენს სიცოცხლეში მყოფი ვერ ამოიცნობს!

დაღამდა. სიბნელეში მისრიალებს ჩვენი ქარავანი. ზოგჯერ გაისმის, შინისაკენ მიმავალი ცხენების ხალისიანი ფრუტუნი. ცა ვარსკვლავებით მოიჭედა. ვუცქერ მნათობებს, ასე მგონია, მუქ ლურჯ ყინულზე არის დახატული. არ გააჩნიათ სიცოცხლე, სიცივით ჩაუქრათ ციმციმი. ჩვენთან, სამხრეთში, ცა თბილი მეჩვენებოდა, თითქოს სიბნელეში ვარსკვლავები სიცოცხლით ციმციმებენ!

რატომ მგონია სამხრეთის ცა ცოცხალი, აქ კი უსულო, განა დედამიწას ყველგან ერთი და იგივე ვარსკვლავები არ დაჰნათის?!

საათს დავხედე. თერთმეტი სრულდება. სადავეს მოვქაჩე. ცხენი გაჩერდა. გაჩერდა ქარავანიც. გადმოვედი. დავხედე მარხილზე დაბმულ ზაიცევს, შევანჯღრიე. არავითარი რეაგირება...

განვაგრძე გზა... ორის ნახევარია. სიცივემ გამცრა. ხომ არ დავლიო ერთი შუშა?.. მისრიალებს ქარავანი... მგონი ჩვენი დასახლება დიროვატიხა!..

სიხარულმა გამახალისა.

ვიძახი, ვახტიორი აღებს კარებს. ყურში ჩამესმის: „მოვიდნენ“!. არ ვიცი რატომ, ვთვლი მარხილებს. ექვსია. კაპიტანი პეტრე გუბინი მომიახლოვდა:

— რატომ შეგაგვიანდათ?

— არ ვიცი, თითქოს ნორმალურად მოვდიოდით...

— ზაიცევი სად არის? — მეკითხება დაცვის უფროსი გიორგინი.

— ბოლო მარხილზეა...

— დაუბია! — იცინის ვიღაც...

მესმის ძახილი: „ზაიცევ!“ და კვლავ ხარხარი... მაგრამ არა, ზაიცევს სძინავს, ღრმა და უდარდელი ძილით. სასწრაფოდ შეიქმნა კომისია, რა და რა საქონელი და რამდენი ჩამოვიტანეთ. მე ვხვდები, ეს ჩემი შემოწმებაა, თუ რამე დაკლდა ზაიცევი მე გადმომბრალებს!

ვდელავ. თვლით და წონით, როგორც ზედნადებშია, ზუსტად ისე ვაბარებ... თენდება... შეაჯამეს, ყველაფერი რიგზეა.

— ოდეკოლონი რატომ არის ზედმეტი? — კითხულობს მაიორი გიორგინი.

— ბევრია?

— თერთმეტი შუშა!

— თავისთვის წამოიღებდა, — ეპასუხება გუბინი.

— რამდენი დაულევია? — იკვირვებს დაცვის უფროსი...

— რამდენი? — კითხულობს კაპიტანი.

— აქ ცხრა დავთვალე!

— იმიტომაც სძინავს მკვდარივით!

გუბინმა მხარზე ხელი დამკრა:

— გმადლობთ, ქართველო!

— მადლობა თქვენ ჩემგან გეკუთვნით, მოქალაქე უფროსო.

— მართალი გითხრა, ვღელავდი: „განა ეშმაკი რითი არ მასხრობს!“... წადი და დაისვენე. ნირობიდან განათლების ინსპექტორი ჩამოვიდა, შენი ვინაობა რომ გავაგებინე, შენთან გასაუბრების სურვილი გამოთქვა.

— გმადლობთ, მოქალაქე უფროსო!

— მოქალაქე უფროსო კი არა, — პეტრე გუბინი ყურში ჩამჩურჩულებს, — პიოტრ ვასილევიჩ!

გახარებული მივდივარ. სექციაში ყველას სძინავს. ღუმელს უზის თვალებაწითლებული პავში.

— მოხვედი? — გახარებული შემომეგება.

— მოვედი, — მინდა ავუხსნა, ასე გაუფრთხილებლად რატომ მომიხდა წასვლა, მაგრამ მიხეილი არ მაცლის:

— მითხრეს...

— „თამბეგასი“ რა იცი?

— ხვალ გამოუშვებენ.

— ვინ გითხრა?

— „სიმაკამ“... აქ იცი ვინ მოიყვანეს?

— ვინ?

პავში ყურში ჩამჩურჩულებს:

„გორილა“!..

გათენდა. ბანაკის მდგმურნი სამუშაოებზე დარიგდნენ. მორიგე მედღეეები შეუდგნენ სექციების დალაგებას. პავშიმ ბრიგადირის ლოგინის გადასაფარებელი ბარაკის პარმალზე გაიტანა, მაგრამ დაბერტყვა ვერ მოახერხა, მოსიარულეებმა შეუშალეს ხელი. მიდის მოშორებით. აქ შეიძლება... ბერტყავს.

ღუმელთან მდგარ საწოლიდან წამოხტა ახალგაზრდა. მიიხედ-მოიხედა... იგონებს, დღეს ნირობიდან ჩამოსულ განათლების ინსპექტორს უნდა შეხვდეს. სწრაფად იცვამს. ხალისიანი გარბის პირის დასაბანად. პირსაბანთან ორი, თუ სამი ღამის ნამორიგალი დგას... ილიამ წყალი წელსზემოთ შიშველ ტანზე შემოისხა. ცივია, მაგრამ სახალისო... გვერდით მდგარი პატიმარი დახარბებული უყურებს და ლამის ლოკოკინასავით დაბამბულ ჯუბაში ჩაძვრეს. „გაბედულად შეისხა შიშველ ტანზე წყალი!“ — ფიქრობს მობუზული. არა თვითონ ვერ გაბედავს და ჭუჭყიან თითებს ისვლებს, რომ თვალებში ამოისვას. ძლივს მოახერხა და ამოისვა. პატიმრობით დამონებული მობუზული ბრუნდება სექციაში. ილია გამორბის. მზიანი დილა ახალისებს. ... მერე რა, რომ სამშობლოს რამდენიმე ათასი კილომეტრით არის დაშორებული!.. მერე რა, რომ

პატიმარია!.. სულ მალე დაამთავრებს სასჯელს, დაბრუნდება დედასთან და თავიდან დაიწყებს ახალ სიცოცხლეს! ახედა მზეს, მოეჩვენა, რომ დედა ულიმის. გაუხარდა, თან უკვირს, მზე როგორ ჰგავს დედას?!

დედა!

დედა — იმედი!

დედა — განუმეორებელი ბედნიერება! დედა — მარადუჭკნობი სიყვარული!

დედა — სიცოცხლე!!! ნეტავ თუ მიიღო წერილი?.. როგორი გახარებული იქნება... არა, ჯერ ვერ მიიღებდა, წერილი ხომ მხოლოდ გუშინ გააგზავნა... ათ-თხუთმეტ დღეში ჩაიღწევს... ფიქრებით გახალისებული სახის მშრალებით შემოდის სექციაში.

პავშიმ ილიას ლოგინი გაასწორა.

— როგორ მოახერხე ადგომა, შენ ხომ განთიადზე დაიძინე?

— საქმიანი შეხვედრა მაქვს, მიხეილ მარკოვიჩ!

— ვიცი. საუზმე გაგიმზადე, — ორ საწოლ-შორის ტუმბოზე აწყობს ლორის რამდენიმე ნაჭერს, ორ ულუფა პურს, რამდენიმე ნატეხ შაქარს, — ახლავე მდუღარესაც მოვიტან!

— ლორი საიდან?

— ქურდებმა მოგვიკითხეს.

— ეგ „თამბეგასი“ იქნება!

— „თამბეგას“ კარცერში გაუგზავნეს, ეს კი „სიმაკამ“ მოგიკითხა...

— მე?

— ასე გადმომცა ვასკა ჩოფურამ.

— ვინ ვასკა ჩოფურამ?

— „სიმაკას“ „შესტიორკამ“...

— მარკოვიჩ, არც მე ჩამოვსულვარ ხელცარიელი! — ილია ტუმბოზე დგამს ორ შუშა ოდეკოლონს, — როგორია?

— „ყარმენი“, — კითხულობს პავში, — საიდან?

— უხტიმში ვიყიდე, დალევ?

— ამ საზიზღრობას, არასოდეს!

— მეც შემეზარა!

— გასაპარსად შევინახოთ...

— რატომ არ ჯდები?

— მე უკვე მივირთვი, — პავშის სიტყვა არ დაამთავრებინა ილიამ...

— მაშ მიირთვი?

— კი...

— თუ გინდა უჭმელი არ წავიდე, აქ ჩემს გვერდით დაბრძანდი!

— მე ხომ...

— გინდა უჭმელი წავიდე? — იმუქრება თოფურია.

პავშიმ რამდენიმეჯერ გამოსცადა ილია თოფურიას სიტყვა, თუ თქვა, შეასრულებს!.. ძაჯდომა არჩია.

საუბარი...

იმედები...

პავში კი ნანობს... არა, რატომ არ უჯერის?.. ნუთუ ერთხელ ნათქვამი ტყუილი საკმარისია არ დაგიჯერონ?.. მე ხომ მარტო პურითაც იოლად გავალ, ეს კი ახალგაზრდაა. მის ორგანიზმს კვება სჭირდება!.. რატომ არ უნდა დამიჯეროს?..

— აბა, წავედი!

— კეთილად, — ამბობს პავში და მადლიერების სავსე გრძნობით აცილებს ახალგაზრდა მეგობარს.

„კეთილი მოხუცია“, — ფიქრობს მიმავალი ილია თოფურია.— „აქ უმრავლესობა ლუკმა პურისათვის თვალს დაგთხრის, ეს საბრალო კი ყოველთვის ცდილობს, აქაო და ახალგაზრდა არისო და ზედმეტი ლუკმა შეგაჭამოს, ჯანა ბევრი მამაა ასე განწყობილი საკუთარი შვილისადმი?“ — მიდის ილია თოფურია და ფიქრობს: „რა ბედნიერი იქნებოდა კაცობრიობა, რომ ყველა ბატონ მიხეილს ჰგავდეს!.. და რა უბედურია, რომ უმრავლესობა გენერალ როდიონოვს ჰგავს“?..

ეს ვინლაა?..

ვახტისაკენ მიმავალ კუნთებმაგარ ილიას, დიროვატიხას ბანაკის მკვიდრნი ინტერესით აკვირდებიან... აქ წესადაა მიღებული, გაეცნო მოსულს — გაიგო მისი ღირსება — ნაკლოვანება და ამის შემდეგ შესაფერისად მოეპყრა...

ვახტის კარები გაიღო.

— შეიძლება?

— თოფურია? — კითხულობს უფროსი ვახტიორი.

— დიახ, თოფურია გახლავართ.

— გუბინმა დაგიბარათ დამიცადოსო.

— გმადლობთ! — ამბობს ილია თოფურია და იქვე გრძელ სკამზე ჩამოჯდა. გაკვირვებულ ვახტიორს ვერ აუხსნია, პატიმარმა რისთვის გადაუხადა მადლობა!.. ვერ მიხვდა, მაგრამ სხალგაზრდა კაცისადმი პატივისცემით განეწყო.

გრძელ სკამზე ზის ილია თოფურია და განაგრძობს ფიქრს: ... „საიდან ამეკვიატა ეს სიტყვა“: სიცოცხლის მეთვალყურე!.. გარკვეული აქვს ღმერთის მცნება, სატანასი, კეთილის, ბოროტის, მაგრამ ამ სიტყვაში ვერ გაერკვია: სიცოცხლის მეთვალყურე?!. საიდან? ვინ უნდა იყოს?.. მოიცა, ეს ხომ ის არის, ვინც ადამიანებს ცხოვრებაში თავიანთი მოქმედების შედეგად აკუთვნებს ცოდვილსა, თუ უცოდველს?.. მადლიანსა და უმადურს? კეთილსა და ბოროტს?.. ასე თუ ისე, ვიცი ღმერთი სად არის, ვიცი სატანაც, მაგრამ ეს სიცოცხლის მეთვალყურე სად შეიძლება იყოს? ვინ არის?.. ფიქრობს და რწმუნდება მსგავსი სიცოცხლეში არ შეხვედრია და ალბა მარტო არ შეხვედრია, არც კი სმენია... მოიცა, მოიცა. იქ,

სამოთხისა და ჯოჯოხეთის გასაყარზე, ვინ დგას, ვინ არის ის, ვინც მოსულს ცოდვა-მადლს წუთისოფელზე ნამოქმედარით აუწონის და ამის მიხედვით მიუჩენს მარადიულ სამყოფელში ადგილს?

კი, კი, ასეთი მეთვალყურე ჩვენც ადამიანებსაც, გაგვაჩნია. დიახ, ჩვენ ცოცხალ ადამიანებს: საზოგადოების მიერ შექმნილი კანონები, რომლითაც მოსამართლეები ხელმძღვანელობენ!

მოსამართლის ხსენებაზე ილიას ტკივილმა მჭრელი დანასავით გაუარა გულში, ადამიანო, რა უმწეო ყოფილხარ, რომ ასე საპატიო ნდობას ბინძურ ქრთამში ახურდავებ!.. უბედურო არსო, ფულისათვის შეგიძლია ერთის დანაშაული უდანაშაულობად და მეორის უდანაშაულობა დანაშაულობად აქციო!.. უბედურო შეგიძლია, ხელის ჟუჟუში გასცვალო ნდობა და სინიდისი!

ნუთუ, ცხოვრების მეთვალყურე ეს სამართალია?

ვახტში გაისმა ტელეფონის ზარის ხმა. ილია ფიქრებიდან გამოერკვა.

— გისმენთ? — პასუხობს ვახტიორი, — დიახ აქ არის... მესმის! — დებს ყურმილს, — თოფურია, კანცელარიაში! — გასასვლელ კარებთან მისულ ილიას ვახტიორი აფრთხილებს, — ზონის გარეთ ყოფნა მხოლოდ საღამოს რვა საათამდის შეუძლია, მოაწერე ხელი! — ილია ხელს აწერს, — იცი კანცელარია სად არის?

— არა.

— თეთრად შეღებილ შენობას თუ ხედავ?

— ვხედავ.

— მის გვერდით სახლს რომ ვაცდები, ჩასახვევზე მეორე სახლი კანცელარიაა...

— გმადლობთ, — ამბობს თოფურია.და ჩქარი ნაბიჯით მიდის თეთრად შეღებილი სახლისაკენ...

— კარგია რომ ადრე გაგეღვიძა და მოხვედი, — მოსულს ეუბნება გუბინი და მიჰყავს ბარაკის ტიპის ერთსართულიან შენობისაკენ, — ეს ჩვენი დასახლების სკოლაა... როგორც ვიცი ინსპექტორი დიდად განათლებული არ ბრძანდება, მაგრამ შენ ნუ აგრძნობინებ, თორემ, როგორც ყველა მდაბიო, გადაგემტერება!

— გასაგებია, — მოკლედ პასუხობს თოფურია.

— გაგაცნობ, მაგრამ თქვენს გასაუბრებას არ დავესწრები, რადგან ვიცი თავის გამოჩენას ეცდება, ასეთი ცდა კი ყოველთვის ცუდად მთავრდება...

— გასაგებია, — ამბობს ილია და პარმაღიდან შედიან სკოლის ეიწრო დერეფანში. გუბინი აღებს სამასწავლებლოს კარებს. სკამზე ზის ყასბის შეხედულების, დიდი ტანის მელოტი მამაკაცი. მუცელზე იმდენი ცხიმი ადევს, რომ სუნთქვა უჭირს. ცეცხლივით წითელ სახეზე ორი წვრილი ნაპრალიდან იჩხვლიტება ორი ცისფერი მოუსვენარი ნემსი. ეს მისი თვალებია.

— ლეონტი ინოკენტოვიჩ, ჩვენ მოვედით!

— მობრძანდით, — გუბინი და თოფურია შედიან.

— ეს ახალგაზრდა გახლავთ ჩემი კანდიდატურა!

— დაბრძანდით!

— გმადლობთ, — ამბობს თოფურია და ჯდება.

— თუ ნებას მომცემთ, მე დაგტოვებთ.

— როგორც გენებოთ, — ამბობს წითური. გუბინი ეშმაკურად ჩაუკრავს თვალს ახალგაზრდას და გადის... ნეტა რა ეროვნებისაა, ფიქრობს ილია თოფურია. აკვირდება. ცდილობს დაადგინოს, მაგრამ იბნევა... საოცარ ზონზროხას თვალები ყალმუხური აქვს, ცხვირი მონღოლური. სახის მოხაზულობა შუა აზიური, გამოთქმა?.. არა, ასეთი გამოთქმა, თუ კილო საერთოდ არ სმენია... სახის ფერი საოცრად წითელი... აკვირდება და ცდილობს დაადგინოს რა ეროვნებისაა... დარწმუნდა, ეროვნების დადგენა შეუძლებელია. თუმცა რა საჭიროა, რომელსაც პასპორტში გარკვევით უწერია: „რუსი“... ილია ზის, მაგრამ ზონზროხა ტანის წითური რატომღაც მაინც ეუბნება, — დაჯექი!

— გმადლობთ, — ...

— სადაური ხარ?

— თბილისელი...

— ქალაქში ცხოვრობ?

— დიახ, ქალაქში.

— სწავლობ, თუ დაამთავრე?

— უნივერსიტეტის მესამე კურსიდან გახლავართ...

— პუშკინი და ტოლსტოი გეცოდინება?

— კი, ვიცი...

— კიდევ ვინ იცი?

— რუსულ მწერლობაში?

— დიახ, რუსულ!

— დოსტოევსკი, ლერმონტოვი, ტურგენევი, კოროლენკო...

— საზღვარგარეთული ლიტერატურიდან ვის იცნობ?

— გოეთეს, ბაირონს, შექსპირს, ბალზაკს...

— შენ დაწყებით კლასებში უნდა ასწავლო...

— მითხრეს...

— იმიტომ, რომ სხვა არ გაგვაჩნია, — გაეღიმა ამ სიტყვებზე ზონზროხას.

— გასაგებია...

— ახალი დადგენილებით, ყოველ წელიწადს თითო კლასი მოგვემატება, — ილია დუმს. — რამდენი წელიწადი გაქვს დარჩენილი?

— ორი წელი და რვა თვე...

— კარგი, მე თანახმა ვარ ასწავლო!

— გმადლობთ, ლეონტი ინოკენტოვიჩ!

— ჩვენ კიდევ ბევრჯერ შევხვდებით... დიროვატიხა ჩემი უბანია... ახლა თავისუფალი ბრძანდებით, — კარებთან მისული თოფურია შემობრუნდა.

— ვლადიმერ ინოკენტოვიჩ, როდის და სად უნდა გამოვცხადდე?

— კარგია, საქმიანი კაცი ჩანხარ. ლუდმილა! — ხმამაღლა დაიძახა პარტანოვმა.

ოთახში შემოდის ოცი-ოცდახუთი წლის ხალგაზრდა ქერა ქალი.

— გისმენთ, ვლადიმერ ინოკენტოვიჩ?

— გაიცანით, თქვენი კოლეგა ილია თოფურია!

ლამაზი სახის და მოხდენილი ტანის ქალმა, ახალგაზრდა კაცი თვალით აზომ-დაზომა. სახის გამომეტყველებაზე შეეტყო, მოეწონა, თოფურიას გაღიმებულმა გაუწოდა პატარა ფუმფულა ხელი:

— ლუდმილა!

— ძალიან სასიამოვნო, მე ილიას მეძახიან, — თქვა ახალგაზრდამ და ხელი მსუბუქად ჩამოართვა.

— სასწავლო ნაწილის გამგე ვარ, ვასწავლი სიმღერასა და ცეკვას...

— დიდად სასიამოვნო, — გულწრფელი ღიმილით პასუხობს ილია თოფურია...

— თუ გცალიათ, წამობრძანდით, გაგაცნობთ ჩვენს სკოლას და მის საქმიანობას?

— მიგულეთ თქვენს განკარგულებაში, — ლუდმილა და ილია მიუახლოვდნენ გასასვლელ კარებს. ლეონტი ინოკენტოვიჩი მოუბრუნდა მიმავალთ:

— მშობლები გყავს?

— დედა.

— ჰაჰა თუ გამოგიგზავნონ, არ დამივიწყო!

— აუცილებლად გამომიგზავნიან და აუცილებლად თქვენს წილს შეგინახავთ, — ილია და ლუდმილა სიცილით გადიან.

და დარჩა სატანა გაცურებული

გათენდა ნაღვლიანი დილა. მრუმედ ნაცრისფერი, მძიმე ციდან ცვივა თოვლი. არსაიდან ხმა, თვით ხალხმრავალ ზონაშიც კი სიჩუმე სუფევს.

დღეა, როგორც ცოცხალი მწუხარება. ეს დღე ამ მხარეში ადამიანთა ცოდვით ატეხილი ბუნების წუხილია.

ბარდნის. ყინვა მოეშვა, თითქოს დათბა. სკოლის დერეფანში გაისმა ზარის სუსტი წკრიალი. დასრულდა ბოლო გაკვეთილი. თბილი კლასიდან გამოდიან ორი რვა-რვა, ერთი თორმეტი და სამი თვრამეტი წლის ყმაწვილები. ყველანი ერთ კლასში სწავლობენ, ისე, როგორც სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები ერთ ქალაქში.

— ილია მასწავლებელო, დღეს რომ მოგვიყევით, იმ მოთხრობას ხვალ დაასრულებთ? — კითხულობს რვა წლის ბიჭუნა.

— აუცილებლად! — სიმედებს თავის მოსწავლეებს ილია თოფურია.

— ვინ არის იმ წიგნის ავტორი, თქვენ რომ წასაკითხად მირჩიეთ? — კითხულობს თვრამეტი წლის ახალგაზრდა.

— ვიქტორ ჰიუგო!

— გმადლობთ, ჩვენს ბიბლიოთეკაში თუ არის, დღესვე ავიღებ...

— აქ თუ არა ნირობში მაინც იქნება, — ამბობს მეორე თვრამეტი წლის ყმაწვილი.

— ნახვამდის, ილია მასწავლებელო! — ეთხოვება ყველაზე პატარა ტანის მოსწავლე. ბავშვები სახლებში დარიგდნენ. ილია გამოდის დერეფანში.

— დაამთავრეთ გაკვეთილები? — ეკითხება გაღიმებული ლუდმილა.

— კი, დავამთავრე, — ღიმილით პასუხობს თოფურია.

— თქვენ ოთხი გაკვეთილის ნაცვლად ხუთი ჩაატარეთ!

— ბავშვები ისეთი ინტერესით მისმენდნენ, დამენანა შეწყვეტა...

— კარგია, რომ კეთილი გულის ბრძანდებით.

— ბავშვების სწავლა განა კეთილი გულია?

— მაშ, რა არის?

— მოვალეობა...

— თუმცა მშრალი სიტყვაა, მე მაინც გეთანხმებით...

— შეიძლება...

— მაგრამ ყოველი როდი ფიქრობს ასე!..

დუმილი.

— ახლა საით აპირებთ წასვლას? — კითხულობს ლოყებზე ალმოდებული ლუდმილა.

— საღამოს რვა საათამდის მიგულეთ თქვენს განკარგულებაში!

— გმადლობთ... გუშინ უფროსის ცოლს ვთხოვე თქვენი თავისუფალ დასახლებაში გამოშვება...

— გმადლობთ, ლუდმილა... — ამბობს ილია და ცდილობს ღრმად ჩახედოს ქალს თვალებში.

— შემპირდა, ალბათ, ამ თვის ბოლოს მოგივათ... — ამბობს ქალი და დანაზებული თვალებს ხრის.

— ეტყობა ბედმა გამიღიმა.

— რატომ?

— კეთილი სასწავლო ნაწილის გამგე შემხვდა!

— ჩემი თანამშრომლის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, ჩემი მოვალეობაა, — ამბობს ლუდმილა და იცინის.

გაუბედავი დუმილი.

— მოდით შევთანხმდეთ!

— რაში? — ეკითხება თოფურია.

— უპირველეს ყოვლისა, ვილაპარაკოთ შენობით?
— შენობით?
— დიახ, შენობით!
— როდესაც მარტონი ვართ, სიამოვნებით...
— რატომ, როდესაც მარტონი?
— თუნდაც იმ ერთი მიზეზით, რომ აღმზრდელები ვართ და ჩვენი მოსწავლეები ჩვენგან სწავლობენ!
— თქვენ მართალი ბრძანდებით... დღეს რას ვაკეთებთ, რა წინადადება გაქვთ?
— ეს თქვენთვის მომინდვია.
— აქ, ამ დასახლებაში, ცხოვრობს თქვენი თვისტომი, გინდათ გაგაცნოთ?
— მეტად მასიამოვნებთ...
ღუმილი...
— მაშ, რაღას ვუცდით, წავიდეთ!
— წავიდეთ...
ქალი და ვაჟი გაუყვნენ სოფლის ბოლოსაკენ, რბილი და ფაფუკი თოვლით დაფარულ გაუკვალავ გზას. დღე საღამოსაკენ გადაიხარა. შეწყდა ციდან თოვლის ცვენა. გარემომ კიდევ უფრო მეტად მოიწყინა, თუმცა მიმავალ ქალსა და ვაჟს მოწყენილობა არ ეკარება, მათ უნდათ ერთმანეთი.
მიდიან, რბილ ფუმფულა, თოვლით გაუკვალავ გზაზე და ტოვებენ თავიანთ ნაკვალევს...
— დიდი ხანია, რაც აქ ცხოვრობს?
— ვინ?
— ჩემი თვისტომი! — ამბობს ვაჟი და თვალებს ვერ აშორებს ლოყებზე ალმოდებულ ქალს.
— როდესაც ის მოვიდა, მაშინ პატარა ვიყავი...
— რამდენი წლის?
— არ ვიცი... მახსოვს დედას ძალიან მოსწონდა, — იცინის ლუდმილა.
— ახლაც მოსწონს?
— ახლა ვიღას მოეწონება, ორი წელია ლოგინს არის მიჯაჭვული.
— თუ ყავს ვინმე?
— ერთი აქაური ჩელდონკა უვლის, — ახალგაზრდები საუბრით მიადგნენ, ფიჭვის მრგვალი მორებისაგან შეკრულ ერთსართუ-ლიან სახლს.
— აი, მისი სახლიც! — ამბობს ქალი. ილია შეჩერდა. გული საშინლად აუძგერდა. ღელავს, ახლა შეხვდება ქართველს. ნეტა ვინ არის? რატომ მოხვდა აქ?.. როგორ შეიძლება საქართველოდან ასე შორს, ასე მიყრუებულ ალაგას იცხოვროს განთავისუფლებულმა ქართველმა?.. რისთვის დატოვა, თუ დაატოვებინეს სამშობლო, ან აქ რამ დააყოვნა?

— რატომ გაჩერდით?
— შეეკითხეთ, იქნება სულაც არ სურს ჩვენთან შეხვედრა?
— პირიქით, გაუხარდება, წამოდით!
ლუდმილა ადის პარმაღით, კარებზე აკაკუნებს. ოთახიდან ისმის მამაკაცის დაბალი ხავერდოვანი ბარიტონი:
— მობრძანდით!
ქალი და ვაჟი შედიან რუსული ღუმელით გახურებულ ოთახში.
რა დიდი სიამოვნებაა ყინვის შემდეგ სითბო!
— კეთილი იყოს ჩემი ფეხი! — ქართულად ამბობს ახალგაზრდა.
— ღმერთმა სიკეთე ნუ მოგიშალოს, — მღელვარებისაგან ძლივს ახერხებს ამ სიტყვების წარმოთქმას ტყვეობაში დაბერებული ლომი.
მძიმე დუმილი — ასეა მაშინ როდესაც დაუძლურებულ ლომს გადმოსცვივა ცრემლი.
ხანგრძლივი მღელვარე დუმილი, რომელშიც სიყვარული სანთელივით იწვის. ასეა მაშინ, როდესაც ორი ქართველი სამშობლოდან შორს ხვდება ერთმანეთს... დუმილი იმისათვის, რომ გულში დაოკდეს სისხლის ატეხილი გრძნობა.
— სადაური ხარ, შვილო? — ძლივს მოაბრუნა ენა ფაფარდაცვენილმა.
— თბილისელი, — პაუზა, — წარმოშობით ახალსენაკიდან ვარ...
— რა გვარის? — მღელვარებას ვერ ფარავს დავრდომილი.
— თოფურია!
— გიორგის რა ხარ? — კულმინაცია.
— შვილი!
ზეცაში გაისმა ვეება ზარების გრგვინვა. ჯერ ხმამ დაიწყო ზრდა-მატება. შემდეგ იწევა ზევით, ზევით, ზევით თვალუწვდენელობიდან გადმოეშვა და სადღაც უფსკრულში დაიკარგა!..
— უფალო, დიდება შენდა, უფალო, დიდება შენდა, — მხოლოდ სამყაროს გასაგებად ბუტბუტებენ, ლოგინში მწოლის დამშრალი ტუჩები.
არა, არა, სხვა არვის არ ესმის ეს ლოცვა, თუ ბედის გაოცება!?
დუმილი კარგა ხნით.
დუმილი გრძელდება... მკერდქვეშ კი ბორგავს ნანატრი საათის ხილვით შეშლილი სული. ბორგავს და ვეღარ ეტევა ჩვეულ სადგომში. ბორგავს აწყვეტილი, რომ გადმოსკდეს და ლაღად გადაეშვას უსასრულეთში!
გაცოცხლდნენ წარსული სურათები: ცემა!.. სახსრების გადამსხვრევა!.. ბოთლზე დასმა!.. მარწუხით ფრჩხილების ამოგლეჯა... შორეულში ისმის ჯალათის შემზარავი ხმა: „თქვი!“... „არ იტყ-

ვი?"... „მაშ არ იტყვი?"... და კვლავ სახსრების გადამსხვრევა და მარწუხებით ფრთხილების ამოგლეჯა.. ეწამება და წამებაში ჩაესმის საკუთარი ხმა, თუ სულის ვედრება: „აღარ შემიძლია"... „უფალო დაასრულე ჩემი სიცოცხლე!"... მაგრამ ჯალათი არ გაცლის სიკვდილს. არა, არ გაცლის, ეშინია ხელიდან არ გაუსხლტეს მსხვერპლი! და მატულობს ჯალათისა თუ მახინჯის გახელება, რომ სათვალიანის სულში სატანამ გაიღიმოს!..

გონს მოეგო.

დასრულდა დუმილი.

— რატომ დგახართ, დაბრძანდით! — მოგონებით ატეხილი დიდი ტკივილების დაოკების შემდეგ ნებივრობს არჩილ დადიანი.

— გმადლობთ, — ამბობს აღელვებული ილია თოფურია და ძლივს იკავებს თავს, — ო, როგორ უნდა გაფრენა-დაბრუნება საამო წარსულში — ბავშვობაში, რომ კვლავაც პატარას მოეალერსოს დედა და მამა... მაგრამ არა, გაფრენას ვერ ახერხებს, სამაგიეროდ აგონდება: ღამით ვიღაცეებს კიბეებზე როგორ ჩაჰყავთ მამა... ქუჩიდან დაძრული მანქანის მსუბუქი ღმუილი და ოთახში დედის გულამოსკვნილი ქვითინი.

არა, არ ახსოვს ილია თოფურიას მსგავსი წუხილი!

წუხილი და გლოვა კუბოსა და სიკვდილის გარეშე!

წუხილი, რომლითაც ცა თავზე ჩამოენგრა!..

— პატიმარი ხარ, შვილო?

ილია გონს მოაგო დაბალმა ხაევრდოვანმა ბარიტონმა.

— დიახ, — პასუხობს ისე. როგორც ბავშვობაში, დანაშაულს წასწრებული პასუხობდა მამას.

— რამდენი გაქვს?

— ბატონო?

— რამდენი გაქვს?

— რა?

— რამდენი მოგისაჯეს?

— ხუთი... მე ქალმა...

— არ გინდა, ჩემზე უკეთ სხვამ ვინ იცის საბჭოური სამართალი!

და კვლავ დუმილი.

დუმილი ღრმა და შინაარსიანი — ღრმა, როგორც უძირო ორმო, რომელიც ივსება ტკივილებით.

... ერთ დროს ლამაზი ჩელდონკა სუფრას შლის.

— ბატონო ჩემო, ნუ წუხდებით!

— ეს შეხვედრა ჩემი უკანასკნელი ბედნიერებაა!.. მარია, ამოიღე ჩემი ბოთლი! — ხანში შესული ლამაზი ქალი მაგიდაზე დგამს არყით სავსე ბოთლს.

— რევოლუციამ დამინგრია ოჯახი... დავკარგე დედა, მამა, და, ძმა და მაინც გული მთლად არ გამტეხია, ავად თუ კარგად ვცხოვრობდი, მაგრამ როდესაც დავკარგე რწმენა საქართველოში

სიკეთის გახარებისა, ვეღარ გავუძელ და მოვკვდი. მე ის მიცვალებული ვარ, რომელსაც შერჩა მეტყველების უნარი! — ჩემი სული გარდაიცვალა, მხოლოდ ხორცი ცოცხლობს! გესმის. ზომბი ვარ, ზომბი! (სადღაც სამხრეთში, მიცვალებული რაღაც თილისმური მოქმედების შედეგად დადის). ჩვენი ოჯახი მიწასთან გაასწორეს, მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოს საამაყო ფენას — თავადობას ვეკუთვნოდით. ჩამოგვართვეს მამულები, პირუტყვი, სახლი, წაიღეს ყველაფერი, რისი წაღებაც შეიძლებოდა. დედამიწის ერთ მეექვსედზე დამყარდა ჩეკას იმპერია! — მღელვარებისაგან საბრალომ ძლივს ამოისუნთქა. — ამ საშინელების ერთ-ერთი მსხვერპლი, აგერ შენს თვალწინ სამშობლოდან ათასობით კილომეტრებით მოწყვეტილი სნეული ლოგინს არის მიჯაჭვული... მაგრამ ეს საშინელება მარტო ჩემს ოჯახს, რომ შეჰხებოდა, არას ვიტყოდი, გესმით, მთელს ერს წაართვეს ყველაზე, ყველაზე ძვირფასი უნეტარესი და წმინდა — ქრისტეს რწმენა! — გამოაცალეს ის სული, რომელმაც საქართველო დღემდის მოიყვანა!.. და, აი, ოცდაშვიდი წლიდან ციხე და გადასახლება გახდა ჩემი სახლი და კარი. მე დავკარგე სამშობლო, იმათ კი ვინც ციხეს გადაურჩა, თავაუღებელი შრომის შედეგად ღებულობს ჯამაგირს, რომელიც მარტო პურის ფასად თუ იკმარებს. ვერცერთი ოჯახი, მე მხედველობაში მაქვს პატიოსანი მშრომელი, ჯამაგირით თავს ვერ გაიტანს. ეს შეუძლებელია არა იმიტომ, რომ ფუფუნება სურს, არა, ის ამ ჯამაგირით მინიმუმსაც ვერ უზრუნველყოფს, — ირონიულად გაეღიმა არჩილ დადიანს, — და დააწყებინეს ქრისტიან მორწმუნეს ქურდობა და ქრთამის აღება!.. თუმცა რა უნდა მოსთხოვო იმ მთავრობას, რომელიც სათავეში სისხლითა და თაღლითობით მოვიდა!

— სისხლითა და თაღლითობით? — უკვირს ვაჟის მზის მხურვალებად ქცეულ ლუდმილას.

— რევოლუციამ თხუთმეტი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მაშ, ეს რა არის, თუ არა სისხლი? ესერების გარეშე ბოლშევიკები რევოლუციაში ვერ გაიმარჯვებდნენ, და აი გამარჯვების შემდეგ, ლენინის ბრძანებით ხვრეტენ ყველა მის თანამებრძოლ ესერს, რიგითებს კი კატორღაში აგზავნიან, განა ეს თაღლითობა არ არის? რევოლუციის დაწყების წინ ბოლშევიკებმა მასებს ლოზუნგებით მიმართეს: ქარხნები მუშებს, მიწები გლეხებს, გამარჯვების შემდეგ კი პირში ჩალაგამოვლებული დატოვეს — ქარხნებიცა და მიწებიც თვით დაიტოვეს. მაშ, რა არის ეს, თუ არა თაღლითობა? სწორედ აქედან დაიწყო მოტყუებულთა სამართლის ძიება. შიშით, რომ სიცრუის გზით მოსულ ტირანიას დაამხობენ, საჭირო შეიქმნა საუკუნეებით ჩამოყალიბებული ქართული ზნეობის გარდაქმნა. სწორედ ამიტომ ყოველგვარი ეროვნული, როგორც კაპიტალისტური სამყაროს გადანაშთი, უზნეობად გამოაცხადეს და იმ ქვეყანაში, სადაც სტუმრად მოსულ მოსისხლე მტერსაც კი საკუთარი სიცოცხლით იცავდნენ, მასპინძელიცა და სტუმარიც სულში

უძვრება ერთმანეთს, რომ ხვალ ჩეკაში დაიბეზღოს, რომ ამ სამარცხვინო ნაბიჯის საფასურად მიიღოს თანამდებობა, რომ გაპარტახებულ ქვეყანაში სხვისი უბედურების ხარჯზე გამოიძღოს დამშეული კუჭი... და ვაი, და ვაი რომ ეს სამარცხვინო ნაბიჯი პოპულარული გახდა, უდანაშაულოს დანაშაულს უგონებენ მხოლოდ იმიტომ, რომ დაინარჩუნოს მისი ქონება ან ლამაზი ცოლი!.. და დაიწყო ჩეკაში სამსახური უნიჭო და დამსმენმა, ზარმაცმა და ქურდმა. საუბედუროდ, ბევრს ნებისყოფამ უმტყუნა, მიზნის მისაღწევად ზნეობას უზნეობა ამჯობინა. მთავრობა შიშით ქართულ სახელმწიფოს აქუცმაცებს: ერის მიწებს ჩუქნიან რუსებს, აზერბაიჯანლებს, სომხებს, შუაქართლში ქმნიან ოსეთის ავტონომიურ ოლქს. და ვაი, რომ ყოველივე ამას აკეთებენ გადარჯულებული ქართველის ხელით. დარწმუნებული ვარ, ბოროტებით შექმნილ სახელმწიფოს ასეთი სვლაც აწყობდა, რადგან პარტიის მოწინააღმდეგეს გაუჩნდა შიში, ხოლო გაპარტახებულ სახელმწიფოს პატიმართა ვეებერთელა არმია — იაფფასიანი მუშახელი. ასე დამკვიდრდა ბოლშევიკური სახელმწიფოს მთავარი მამოძრავებელი ბერკეტის — ჩეკას ზნეობრივ-ფსიქოლოგიური კრედო — უზნეობა! და დაიწყო ყვავილობა უნიჭობამ და უზნეობამ, მწერლებს და მეცნიერებს ანიჭებენ „საპატიო“ წოდებებს არა ნიჭის, არამედ პოლიტიკური მრწამსის მიხედვით. გაჩნდა ყალბი სახელწოდებები: „სახალხო არტისტი“, „სახალხო მხატვარი“, „სახალხო მწერალი“, „წითელი პროფესორი“. დაბეზღების შედეგად სიკვდილის ულმობელი ხელი მუსრს ავლებს ჯავახიშვილებსა და ტაბიძეებს, მიქელაძეებსა და ახმეტელებს, პოეტი იაშვილი თავს იკლავს, ხოლო რობაქიძე ემიგრაციაში აფარებს თავს.

ურწმუნო და ბორიტი მყარად დადგა სახელმწიფოს საჭესთან!

— გთხოვთ, დამშვიდდეთ, ტყუილუბრალოდ რატომ იშლით ნერვებს?

— რატომ ტყუილუბრალოდ, ეს ჩემი ცხოვრებისეული ფილოსოფიის ანალიზია. მწამს, სულ მალე, რამდენიმე ათეულ წელიწადში ეს სახელმწიფო ისევე დაინგრევა, როგორც ვეზუვის ვულკანმა დაანგრია ქალაქი პომპეი! დიახ, მწამს და არ შემიძლია ეს რწმენა არ ვიზეიმო!

— ბედნიერი ბრძანდებით, თუ გწამთ, და მაინც რამ ჩაგინერგათ ეს რწმენა?

— პირველი, ბოროტი და მანკიერი დიდი ხნით ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფოს მართვას. მეორე, იმ ქვეყანაში, სადაც ყველა ყაჩაღი და ქურდია, სხვა ვინ უნდა ძარცვოს თუ არა ერთმანეთი? და მესამე, ბოროტში დაგროვილი ძალა სხვა რაში უნდა დაიხარჯოს თუ არა ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტაში?.. შიშილობის ქამს ვირთაგვები ერთმანეთს ჭამენ!.. და ყოველივე ამას დავუმატოთ ომი!

— ომი?

— დიახ, დიდი სამამულო ომი, როგორც მას უწოდა სტალინმა!

— ამ ომში ხომ კომუნისტებმა გაიმარჯვეს?

— მთავარი გამარჯვება კი არ არის, მთავარია რა მოუტანა ამ გამარჯვებამ!

— მტერი დაამარცხა, სხვა რა უნდა მოეტანა?

— ომი როდია მარტო ფიზიკური განადგურება და ნგრევა, ან ერთის მიერ მეორის დამარცხება, ომი ხელოვნური შერჩევაა, რომელიც სპობს კეთილსა და ზნეობრივს, და ახარებს ბოროტსა და უზნეოს. გაიგეთ, ომი სახელმწიფოს მორალური ხრწნაა, ხრწნა კი სიკვდილი!

— ხრწნა?

— გატყობთ არ გჯერათ, მაშ მომისმინეთ: ყოველ ერს თუ სახელმწიფოს მე ორ ნაწილად გავყოფდი. პირველნი არიან უმაღლესი ზნეობისანი, მზადმყოფნი სამშობლოსათვის თავის გასაწირად, ანუ, ეგრეთწოდებული ნაღები ფენა. მეორეში შევა ყველა დახარჩეხი, ლაჩარი, პასუხისგების უნარს მოკლებული, ობივატელები და ის ადამიანები, რომელნიც საკუთარი კეთილდღეობისათვის ყველაფერს დათმობენ!.. დაიწყო დიდი სამამულო ომი, გამოცხადდა საყოველთაო მობილიზაცია. დააკვირდით რა ხდება, პატრიოტი და ზნემაღალი პირველი მიდის მტერთან საბრძოლველად და პირველსავე ხვდება პირველი სასიკვდილო ტყვია, მეორე ფენის წარმომადგენელი თავს იტოვებს — არ მიდის ფრონტზე, ზნემაღალის ზურგს აფარებს თავს!

შედეგი?

საშინელია, მოხდა ხელოვნური შერჩევა, განადგურდა საზოგადოების ნაღების უმეტესი ნაწილი — ზნემაღალი, გადარჩა მეორე ფენა ზნედაბალი. და სახელმწიფოს შინაური მტრისაგან დასაცავად დატოვებულ, ჩეკას მიერ გახრწნილ საზოგადოებას მიემატა ომით გადარჩეული. უზნეოთა ვეებერთელა არმია. დასრულდა ომი. იძალა მექრთამეობამ, გამფლანგველობამ, ქურდობამ. მიპასუხეთ, გახრწნილი ადამიანებით დატენილი სახელმწიფო ვინ და როგორ უნდა მართოს?... ექვიც არ მეპარება, სახელმწიფო ვერ გაუძლებს უზნეობის უმძიმეს ტვირთს და დაინგრევა!.. თუმცა სწორი გზით სვლაში სახელმწიფოს ხელს შეუშლის პოლიტიკა!

— პოლიტიკა?

— რატომ გიკვირთ, პოლიტიკა ხომ ის სარბიელია, რომელზეც ადამიანები ერთმანეთს ვერაგობაში ეჯიბრებიან!.. ასე, რომ არ იყოს, განა ტირანი სტალინი სხვა პარტიებს აკრძალავდა? პოლიტიკა უბრალოდ ხერხია, ერთმა მეორეს გამოსტაცოს ძალაუფლება. მიპასუხეთ, სხვა რა მიზანი ჰქონდა პატარა საქართველოში რამდენიმე სხვადასხვა პარტიის არსებობას, მაშინ, როდესაც ყველა მათგანი ერთსა და იმავეს, საქართველოს თავისუფლებას ქადაგებს?.. კეთილდღეობას ადამიანის შრომა განაპირობებს და არა პოლიტიკა, შრომას კი სიყვარული, რაც ქრისტიანული სარწმუნოების

ძირითადი პრინციპია. განა კარგი მოსავლის მოყვანას პოლიტიკა განაპირობებს? განა პოლიტიკა პატიოსნებას ამკვიდრებს? არა!... წარმოიდგინეთ, როგორი ზნეობრივი მშვენიერებაა, როდესაც მასპინძელი სტუმრად მოსულ მოსისხლე მტერს დაიცავს საკუთარი სიცოცხლით! ან როგორი ზნეობრივად მკაცრი დიდებულებაა, როდესაც თემის ადათის ღალატისათვის ხევისბერი ჰკლავს საკუთარ შვილს! ან რაოდენ რაინდულია, როდესაც სამშვიდობოს მყოფი ცოტნე დადიანი მოვა და ჩაუწვება ტირანის მიერ დასჯილ შეთქმულებს!.. აი, ასეთმა ადამიანებმა უნდა მართონ ქართული სახელმწიფო და არა პავლიკ მოროზოვის, თუ გამდიდრების მანიით დაბრმავებულმა მექრთამეებმა! განა შეიძლება ჰარტიაში ქრთამით შესულმა მართოს თუნდაც რაიონი?..

საქართველო დღეს უზნეობით დაავადებული მომაკვდავი ორგანიზმია. დაბრჩენია ვიყვირო: ქართველებო შეჩერდით, თქვენ უფსკრულის პირას დგახართ!.. დიახ, ვოლტერმა კაცობრიობას უზრუნველყოფილი ცხოვრებისათვის ელდორადოს სახელმწიფო შესთავაზა, მე ზნეობრივ ელდორადოს გთავაზობთ!

ჩვენ რომ ჩვენი წინაპართა საკადრისი სახელმწიფო ავაშენოთ და ვმართოთ, ამისათვის მარტო იდეალური კანონების შექმნა რადი კმარა, მთავარია ამ კანონიერების გამტარებელი იყოს ზნემაღალი. გაიგეთ, ქართველებს გვაკლია ის, რაც კომუნისტებმა დაგვაკარგინეს — ზნეობა! ამ უკანასკნელის აღსადგენად ერთადერთი გზაა, ერი გულწრფელად დაუბრუნდეს ქრისტეს სარწმუნოებას!

— სხვა სარწმუნოების მორწმუნეებმა რა ქნან?

— ირწმუნონ თავიანთი სარწმუნოება, მე არცერთი სარწმუნოების წინააღმდეგი არ ვარ და იცით რატომ, ყოველი მათგანი ქადაგებს სიკეთეს, არცერთი მათგანი არ იზიარებს ჩეკას ამორალურ ზნეობას!... დამიჯერეთ. ჩეკას ინსტიტუტებით გარყვნილი სანამ არ აღიდგენს დაკარგულ ეროვნულ ზნეობას, ვერ შესძლებს მართოს თავისუფალი საქართველო! და თუ მაინც მოახერხა, ის არ იქნება ქართული!..

მოისმა მოურიდებელი კაკუნი. ოჯახის დიასახლისმა კარები გააღო. ოთახში წითურ ახმახს შემოჰყვა სამი ძლიერი აგებულების ახალგაზრდა.

ამკარა იყო, ლუდმილა მოსულებს იცნობდა, რადგან მიესალმა, თუმცა მოსულებმა მისალმებას არ უპასუხებს. მეთაურმა უხეშად იკითხა:

— რომელია დადიანი?

— მე! — იყო დავრდომილის პასუხი.

— ჩაიცვი! — მკაცრად ბრძანებს მოსულთა წინამძღოლი.

— შენ რა, ვერ ხედავ კაცი ავად არის? — გამოეენთო მოსულს ჩელდონკა.

— დაპატიმრებული ხარ! — ღვარძლით ამბობს მოსული.

— მე?

— აი, ორდერი! — მოსული უჩვენებს ორდერს. ავადმყოფს ირონიულად გაეღიმა. ღიმილით შეურაცხყოფილი მოსული ლოგინში მწოლს უყვირის, — ადექი! — მაგრამ არა, ავადმყოფი ყურებსაც არ იბერტყავს. მორჩილებასა და მისადმი ცხოველურ შიშს შეჩვეული ჩეკისტი ბრაზდება. ყვირის, — ადექი! — შიშის მაგივრად, მოხუცს, მოსულის გაბრაზებაზე აუტყდა სიცილი. მოთმინების ზღვარს გადასული შინსახსკომელი წონასწორობას ჰკარგავს, — გაჩუმდი! — კივის ჩეკისტი. ავადმყოფს სიცილის ცრემლები მოსდის. საშინელი სურათია, დავრდომილი დააპატიმრეს, მას კი სიცილის ცრემლები აღრჩობს. ხომ არ შეიშალა?

— გაჩუმდი! — ღრიალებს სამხრეეიანი და მოთმინებადაკარგული ცდილობს ძალით ააყენოს. წითურმა ლოგინში მწოლს ღონივრად ჩაავლო ორთავე ხელი, — ადექი!

გაისმა ჩელდონკას კივილი:

— ხელები, მხეცო!

და საშინელება, ავადმყოფის სახეზე სიცილი გაიყინა. თვალები გაუშუშდა, ისე როგორც ეს ხდება კინოკადრის გაჩერების ჟამს. წამები...

საშინლად დაძაბული წამები! და არავინ არ იცის რა მოხდა.

სიცილი გაიყინა. შიშით თავზარდაცემულმა ჩეკისტმა, თითქოს გახურებულმა რკინამ დასწვაო, ავადმყოფს ხელები მოსწყვიტა...

რა მოხდა?

შეშინებული ჩეკისტი, ყველა იქ მყოფს თვალებში შესცქერის: „რა მოხდა?“

ჩელდონკა ავადმყოფთან მიდის:

— არჩილ! არჩილუშკა! — ქალმა ლოგინში მწოლს გაუბედავად შეახო ხელი.

პატარა, რუსული ღუმელით გახურებულ ოთახში გაისმა ქალის კივილი:

„მოკლეს!“...

ღიმილშეყინული სახე ნელნელა თეთრდება. მინად ქცეული თვალები გაშეშდნენ.

ღმერთო, ნუთუ სიკვდილი იმდენად სულმოკლეა, რომ სიცილსაც არ აცლის?!

არჩილ დადიანს ილია თოფურიამ დაუხუჭა თვალები.

ალზევება

ღამეა. საათის ისარი პირველს გადაცდა. დღის აუტანელი შრომით გადაღლილ პატიმრებს სძინავთ. ანთებულ ღუმელთან მჯდარი მედღევე თვლემს. ხანგამოშვებით გაისმის ღამის მორიგეების მიერ შემოღებული კარების ღრჭიალი. შემოსული მახვილ მზერას მოავლებს ყოველ საწოლს და დარწმუნებული, რომ არავინ არ თა-

მაშობს, გადის. გარეთ კი ყინავს. თბილი სექციიდან გამოსულები ესწრაფვიან შემდეგ სექციაში შესვლას.

დრო მიედინება თავისი ჩვეული სვლით, ცვლის ყველაფერს თვითონ კი არასოდეს არ იცვლება — სამყაროს ცვლა მისი უცვლელობაა... ყინვიან ღამეში დგანან ოჩოფეხებზე ატუზული ხუხულები. ცხვრის ტყაპუჭებში გამოხვეული ყარაულები ხანგამოშვებით ჩამოჰკრავენ სოფხიზლის ზარებს:

დინგ, დინგ, დინგ...

დონგ, დონგ, დონგ...

დინგ-დონგ. დინგ-დონგ, დონგ-დინგ... ნიავით გატაცებული ზარის ხმები იკარგება ტაიგის იდუმალ და ბნელ სივრცეში. ბოროტად ანათებენ კაშკაშა პროჟექტორები — მამხილებელნი მსჯავრდადებულთა გაქცევისა!.. ხუხულებში სცივათ. ფეხს ფეხით იცვლიან ყარაულები და თვალს არ აშორებენ აკრძალულ ზონას.

სძინავთ კატორღული შრომით გადაღლილ, მიტოვებულ ოჯახებზე დარდით დატვირთულ პატიმრებს. სძინავთ სიზმარეულ კოშმარებში ნატკენი სულით.

... ვახტიდან გამორბის მორიგე. გარბის მიხვეულ-მოხვეულ, მაღალ თოვლში გაჭრილი ბილიკით... ანთებულ ღუმელთან მჯდარ პავშის რაღაცას ჩასჩურჩულებს, პავში უკმაყოფილო ბუზღუნით უახლოვდება ილია თოფურიას საწოლს, ფრთხილი ხელის კვრით ცდილობს გააღვიძოს. მოფერებით ისმის მოხუცის გაბზარული ტკბილი ხმა:

— ილია, ილია...

ახალგაზრდას გაეღვიძა:

— რა არის?

— ვახტზე გიხმობენ!

— ვინ?

მოსული მორიგე განუმარტავს:

— კაპიტანი გუბინი.

— ახლავე, — ამბობს ახალგაზრდა.

წუთიანი პაუზა. გაერკვეს რა ხდება. შემდეგ დახედავს საათს და თავისთვის ჩაილაპარაკებს: „ორი დაწყებულა... ამ შუაღამეს ნეტა რა ცეცხლი მოეკიდა?“ — ფიქრობს და თან იცვამს...

— ძილს ღამითაც არ გაცლიან! — უკმაყოფილოდ ბუზღუნებს შედღეგე პავში, — რა არის ასე გადაუდებელი, დილამდის ვერ მოითმენდა?..

— სადღაც წასასვლელი იქნება!

— გააგზავნონ თავიანთი სალდათები, ნახეს რა უფასო ფოსტა!..

ილია პირსაბანთან სახეზე წყალს შეისხამს. მშრალებით შემოდის სექციაში.

— ცივა, — ამბობს თოფურია.

— აჰა, თან წაიღე!

— რა არის?

— პური და წუხანდელი მორჩენილი ლორის ნაჭერი!

— ის ხომ შენი ულუფა იყო?

— რომ მდომებოდა... — მაგრამ ილია სიტყვის დასრულებას არ აცლის.

— წავედი! — ამბობს და ნაწყენი გადის.

ანთებულ ღუმელთან რჩება გაცრუებული მიხეილ პავში. უჭირავს ქაღალდში გამოხვეული პურის და შაშხის ნაჭერი, დგას და სევდიანი გასცქერის ილიას მიერ მოხურულ კარებს.

ახალგაზრდა სწრაფი ნაბიჯით გაუყვა ვახტისაკენ მიმავალ გზას. მიდის და თან არ ასვენებს ფიქრი: „ნეტა რა უნდა ამ შუაღამეს?... რა არის ასე სასწრაფო და გადაუდებელი?“ — უეცრად თითქოს თავში ურო დასცხესო: „ბატონ არჩილთან ყოფნის გამო ხომ არ მიბარებენ?... მე რა შუაში ვარ?... ვერაფერსაც ვერ მომაკერებენ, განა კოლონიის უფროსის ცოლის და, სკოლის გამგე ლუდმილა იქ არ იყო?“ — უსიამოვნო ფიქრებით გართულმა შეაღო ვახტის კარები.

— მოხვედი! — კმაყოფილი უღიმის გუბინი.

„არა“, — ფიქრობს ილია თოფურია. — „ბატონი არჩილის გამო არ მიბარებენ!“ — შვებით ამოისუნთქა.

— რატომ დგახარ, დაჯექი!

— გმადლობთ, — ილია ჯდება გრძელ სკამზე და თან თვალებს არ აშორებს კაპიტანს.

— ნირობაში უნდა წავიდეთ!

— სკოლა? — კითხულობს გაკვეთილების გაცდენით შეწუხებული თოფურია.

— მოესწრები, სასწრაფო საქმეა!

— ცუდი ხომ არაფერია? — კითხულობს გაურკვეველი ეჭვით ნაკბენი ილია.

— არა, ბუღალტერი ჯერ კიდევ გუშინ უნდა ჩამოსულიყო...

— ვინ ბუღალტერი? — უკვირს ახალგაზრდას, რადგან იცის კოლონიის მთავარი ბუღალტერი ადგილზეა.

— ყოველი წლის დასაწყისში, ჩვენი კოლონია, სამმართველოს აბარებს ბალანსს, რასაც ჩვენი ბუღალტრები ვერ აკეთებენ..

— რატომ ვერ აკეთებენ?

— იმიტომ რომ ძნელია, და აი ყოველი წლის დასაწყისში იძულებული ვარ ნირობიდან ჩამოვიყვანო სპეციალისტი. ამას წინათ მოველაპარაკე კიდეც. შემპირდა ჩამოვალო, არ ჩამოვიდა, სამმართველო კი გვაჩქარებს, ცენტრს ანგარიშები უნდა წარვუდგინოთ... ის კი ბალანსის შედგენას ათი-თხუთმეტი დღე უნდება. საჭმელსასმელს ვინ ჩივის, სამიათასი ნაღდი უნდა მიართვა, თანაც ისე გათამამდა მატყუებს კიდეც...

— პიოტრ ვასილევიჩ, ასეთი კაცი თქვენ აქ გყავთ!

— როგორი კაცი?

— რომელიც ბალანსს შეადგენს!
— აქ. სად?
— ჩვენს კოლონიაში!
— ვინ?
— მედღევე მიხეილ პავში!
— რა იცი, რომ შესძლებს?
— ის ხომ, ოდესაში კავშირში განთქმული საწარმოს მთავარი ბუღალტერი იყო!
— ოდესის?
— დიახ, უდიდესი სპეციალისტი!
აქ მილიონობით კუბომეტრი ხეტყეა, მექანიკური დამუშავება, ხელით დამუშავება, დაცურება, აქ კიდევ ხანძარი... ტრაქტორები, გემები,.. არა, ვერ **შეძლებს!**
— პიოტრ ვასილევიჩ დამიჯერეთ. შესძლებს და სხვას რომ თავი დავანებოთ სამ ათას მანეთსაც არ გადაიხდით!
— რომ ვერ შესძლოს?
— შესძლებს!
— აქ ისეთი სამუშაოა, თუ ნაცნობი არ არის, ვერ შესძლებს!
— ის ისეთი კაცია, შესძლებს, — რა შეატყო კაპიტანს ყოყმანი შეაგულიანა, — თუ არა და ხვალ წავალთ, განა ნახევარი დღით მარა შეიცვლება?
— გავრისკო?
— გასარისკიც არაფერია, უკიდურეს შემთხვევაში ხვალ წავალთ!
— რაც არის, ის არის, დაუძახე! — გახარებული ილია ნასროლი ბურთივით გავარდა ვახტის კარებში... სექციაში შესულმა ძლივს მოითქვა სული:
— მიხეილ მარკოვიჩ!
— რა მოხდა? — კითხულობს შეშინებული პავში.
— მითხარი, გიყვარვარ?
კითხვით დაბნეული პავში შიშით ამბობს:
— რატომ მეკითხები?
— მიპასუხე, გიყვარვარ თუ არა?
— მე შენს მეტი არავინ არ მყავს!
— მაშ წამოდი!
— სად?
— იქ გაიგებ!... — ეუბნება და აწვდის დაბამბულ ჯუბას.
— სექციას რა ვუყო?
— ეგ ჩემზე იყოს, ჩაიცვი! — პავში კისერზე შემოიხვევს ილიას ნაჩუქარ თბილ ყელსახვევს, მოისხამს დაბამბულ ჯუბას, მიდიან ვახტისაკენ და თან არ ასვენებს ფიქრი: „სად მივყავარ?“
— ხომ უნდა ვიცოდე, სად მივდივარ?
— შენ უნდა შეადგინო ჩვენი კოლონიის წლიური ბალანსი!
— ბალანსი?

— დიახ, ბალანსი!
— **როდის?**
— დღეს, ახლავე!
— კი, მაგრამ...
— არავითარი მაგრამ... მე ვიცი გიყვარვარ, ესე იგი ჩემი სიყვარულისათვის გააკეთებ!
— თუ შენთვის საჭიროა ვეცდები... — თოფურია და პავში შედიან ვახტში.
— მოვედით!
გუბინმა პავშის ახედ-დახედა, შემდეგ მიუბრუნდა თოფურიას, რომლის თვალებში მხოლოდ ერთი კითხვა იკითხებოდა: „ეს ვინ მომიყვანე?“ — ილია მიუხვდა კაპიტანს:
— პიოტრ ვასილევიჩ, აუხსენით საქმის შინაარსი!
გუბინს მეტად სჯეროდა ილია თოფურიასი. რამდენიმეჯერ ოვითონაც დიდი ინტერესით მოუსმენია მისი გაკვეთილებისათვის, მოერია საკუთარი თავის ეჭვებს, გადაწყვიტა ახლავე აეხსნა საქმის ვითარება:
— ჩვენთან დამზადებულია ოთხ მილიონამდის სხვადასხვა ზომის და ხარისხის ხეტყე...
— საბუთები გაქვთ?
— რა ოქმა უნდა!
— მაშ, რაღაა სალაპარაკო, მაჩვენეთ!
— არ დაგავიწყდეთ, სხვადასხვა სამუშაო ჩატარებულია ზოგი ხელით, ზოგიც მექანიკურად. ყველას თავისი ფასი აქვს, აქვე დანახარჯი პატიმართა კვების, ტანსაცმლის, დაცვის და ასე შემდეგ...
— ტარიფები გაქვთ?
— გვაქვს...
— ხელა ვაყოვნებთ, მიჩვენეთ საბუთები!
— წამობრძანდით!
ღამის სამ საათზე, მიხეილ პავში, თავისი პატიმრობის ათი წლის მანძილზე, ზონის გარეთ, პირველად გაიყვანეს ბადრაგის ეარეში...
ნამძინარევი პატიმარი უღებს ბუღალტერიის კარებს. გუბინი მიუჯდა მთავარი ბუღალტრის მაგიდას:
— ამ კარადაშია გასული წლის საბუთები, — ეუბნება პავშის კაპიტანი და აღებს კარადის კარებს.
— ვნახავთ, — კარადიდან გამოღებულ საქაღალდეებს ათვალიერებს პავში. საოცარია პროფესია, ციფრების დანახვაზე პავშის სახე შეეცვალა, ისევე როგორც გამოსათვლელ ფანქანაზე თითის დაჭერით იცვლება ჯამი და სხვაობა, ასევე მის სახეზე იცვლება რაღაც. ციფრები მისი სამყაროა—სიცოცხლის ნაწილი. დასაქერის ციფრებს და ამ ციფრებში კითხულობს საოცარ, სხვებისათვის გაურკვეველ შინაარსს. მშრალი ციფრებისადმი ასეთი სიყვარულით მზერა, სხვა ვის შეუძლია, თუ არა პროფესიონალ ბუღალტერს?!

— მოიყვანეთ მთავარი ბუღალტერი! — ბრძანებს გუბინი.

— ნუ შეაწუხებთ, საბუთები აკურატულადაა შედგენილი, დილასაც მოესწრება!

— ბალანსი შეგიძლიათ შეადგინოთ?

— როდისთვის გნებავთ?

— დაახლოებით ერთ კვირაში! — ამბობს გუბინი და თან უკვირს, რატომ უთხრა ერთი კვირა, წარსადგენად კიდევ ცამეტი დღე აქვს!

— მე მგონი უფრო ადრე მოვახერხებთ... მხოლოდ მოანგარიშეები და მემანქანეები დამჭირდება!

— მოითხოვეთ, რაც დაგჭირდებათ, ნურაფერს მოერიდებით! — ამბობს იმედით გახალისებული გუბინი.

— გმადლობთ, — ამბობს პავში.

— როდის შეგიძლიათ დაიწყოთ მუშაობა?

— თქვენის ნებართვით უკვე დავიწყე!

ბუღალტრული საბუთებით სავსე საქაღალდეებით დგას პროფესიული სიამაყით ანთებული მიხეილ პავში. დგას როგორც გმირი, რომელიც მიიყვანეს თავის ხმალთან, რომლის აწევა სხვებმა ვერ შეძლეს!

არა, ასეთი პავში ილიას ჯერ არ უნახია. მის თვალწინ იდგა სულ სხვა ადამიანი. სახის ნაკვთები თითქოს არ შეცვლილა? მაშ რა შეიცვალა? რამ გახადა პავში როგორც პიროვნება უცხო ილიათოფურიასათვის?

„რატომ არის ეს ნაწამები მოხუცი ასე უცხო?“ — ფიქრობს ილია და თავისდაუნებურად თვითონაც ინთება სიამაყის ცეცხლით: მიხეილ პავში ხომ მისი მეგობარია?!

— ხომ არ გჭირდებით? — კითხულობს გუბინი.

— არა, — მშვიდად პასუხობს ციფრების ოკეანეში ღაღად მოცურავე პავში.

— წავიდე?

— ერთი სათხოვარი მაქვს, — ეუბნება კარებთან მისულ გუბინს.

— ბრძანეთ!

— ორი მოანგარიშე და მბეჭდავი ადრე მოვიდეს!

— ბუღალტერიის ყველა თანამშრომელი თქვენს განკარგულებაშია!

— გმადლობთ!

ილიას თვალებს მთელი ღამე ძილი არ გაჰკარებია. არ ასვენებს ერთი ფიქრი: ბალანსს როგორ გაართმევს თავს პავში!... საოცრად უსაზღვროა ადამიანისა თუ ფიქრების სამყარო: გინდა გახდები შეფი, გინდა მთავარსარდალი, გინდაც კრივში მსოფლიო ჩემპიონი. რასაც მოისურვებ, იმას მიაღწევ, საჭირო მხოლოდ ერთი რამ არის, სურვილი! საინტერესოა, რასაც ოცნებაში აღწევ, იმას

ცხოვრების სინამდვილეში რომ მიაღწიო, როგორი იქნებოდა სიცოცხლე?... ამბობენ უინტერესოო... ნუთუ მართლა, უინტერესო იქნებოდა?... აგონდება ინგლისელი პოეტის უილიამს დრელმონდის ლექსი ყვავილზე: „დასჭკნა იმიტომ ასე სავსედ რომ გაიშალა!“... სავსედ გაშლა თუ მიზნის მიღწევაა, მაშასადამე ჭკნობა სიკვდილის პრელუდია ყოფილა?!... ილიას თვალწინ ეხატება არჩილ დადიანის ჯერ საკუთარი ფილოსოფიით ანთებული თვალები, შემდეგ მკაფიოდ ჩაესმის წითური ჩეკისტის ხმა: „თქვენ დაპატიმრებული ხართ!“... და საპასუხოდ არჩილ დადიანის ხარხარი... ჩუ, თავისთავს ეუბნება ილია და არკვევს ეს ფიქრი იყო, თუ სიზმარი? არა, ვერ გაერკვა, რომელი იყო ფიქრი და რომელი სიზმარი... რაღაც ხმები ჩაესმის. ხმაური გრძელდება... „რა ხდება?“ უკვირს ილიას. სექციის კარები თითქოს ქარმა გახეთქაო, კონვერტით ხელში შემორბის ვლადიმერი:

— ილია, წაიკითხე!

— მითხარი, რაშია საქმე? — უხალისოდ ეუბნება ილია.

— დააპატიმრეს!

— ვინ?

— ვისი გულისთვისაც მე ვზივარ!

— მერე?

— ჩემი უდანაშაულობა დადასტურდა!

— ?!...

— კი, კი, სულ მოკლე ხანში გამანთავისუფლებენ, თვით რესპუბლიკის პროკურორს მიუცია პირობა!

— თუ ასეა, მომილოცნია!

— აი, დედა მწერს!—აღტაცებული ამბობს ვლადიმერი. უკვირს, ილია ამ სასიხარულო ცნობისათვის ასე გულგრილი რატომ დარჩა?... უეცრად კბენს მოგონება: ერთ ღამეს, ვლადიმერი სამრეცხაოდან როგორ გაიყვანა „პანტერამ“ და შეიყვანა საშრობში... ახსოვს, მაშინ სიბნელეში ვიღაცის სილუეტს მოჰკრა თვალი, მაგრამ ვერ გაარჩია. ახლა კი ხვდება... ეს ნამდვილად ილია იყო... კი, კი ნამდვილად ილია იყო, ამიტომაცაა ასე გულგრილი! — ვლადიმერს საოცარი ალით აეწვა ლოყები, —წავედი! — უჩვეულოდ მიაძახა და გავარდა გარეთ...

ილია ფიქრებმა დანისლეს...

— თოფურია! ვახტზე — ეძახის ვიღაც.

— მოვდივარ! — პასუხობს და იცვამს. თან მდურვით თავისთვის ამბობს: „სულ დამავიწყდა“. მიდის და ფიქრობს: “მეოთხე დღეა პავშის მიერ შედგენილი ბალანსი წამმართველოში წარადგინეს, ნეტა რა პასუხია?“..

გარეთ მზიანი დარია. თეთრ ქათქათა თოვლზე გადმოღვრილი მზის სხივები თვალს ჭრიან. მხედველობა ვერ უძლებს სინათლეს და რამდენიმეჯერ ჭუტავს თვალებს. ჯერ ნელ-ნელა, ნახევრად მო-

ჰუტული უყურებს, შემდეგ უფრო მეტად ახელს და აჩვევს თოვლის სითეთრეს მხედველობას.

ვახტში- ლუდმილა ხვდება.

— დაგეძინა?

— დამეძინა...

— წავედით!

— სად?

— იქ გაიგებ, — ეშმაკურად ამბობს ქალი და ხელს მკლავში უყრის...

— მითხარი, სად მივდივართ?

— ო, რა მოუთმენელი ხართ ქართველები! — ამბობს და თან კვდება სიცილით. ილია თოფურიას უკვირს, სასაცილო რომ არაფერი უთქვია, რა აცინებს? — ლუდმილა კი უყურებს ილიას და იცინის.

— რა გაცინებს?

— მიხარია და ვიცინი...

— რა გიხარია? — კიდევ უფრო მეტად უკვირს ილია თოფურიას.

— ყველაფერი მიხარია. ნახე რა კარგი დღეა! — ლუდმილას ვაჟის მკლავი მკერდზე მიუბჯენია და მიჰყვება ბედნიერი... ვაჟი გრძნობს ქალის მკერდის სიფაფუკეს. გრძნობს და ედება საამო ცეცხლი, ასე ჰგონია, ვეებერთელა ღვარცოფმა აუმოქმედა სხეულის ყველა ტურბინი... მიჰყვება ილია და უკვირს. კარგა ხანია ამ ქალთან დადის, მაგრამ ასეთი ცეცხლი არასოდეს არ მოსდებია... მიჰყვება და გრძნობს, ვეღარ უწევს თავს კონტროლს. მანამ როგორც კი შეიპყრობდა რაღაც სურვილი, მოიგონებდა დედას, ნათესავებს, ტრადიციას, შეეძლო თავის შეკავება, ახლა კი არა, არ შეუძლია, მეტიც, თავს უძლურად გრძნობს... ლამის აქვე ჩაიკრას გულში...

— ?!...

დედის სახემ დააშოშმინა, რა მოუვა საბრალოს, ლუდმილა რომ რძლად მიუყვანოს?... „ნუთუ ისევ ქალი?“ — ფიქრობს და ტკივილი წვავს ილია თოფურიას.

— რატომ გაჩერდი? — შეყვარებული თვალებით უცინის ლუდმილა.

— სად ვართ?

— შედი! — ეუბნება და ბრძანების ნიშნად პარმაღის იატაკზე უბაკუნებს პატარა ფეხს, თან აყოლებს, — შედი!

შედიან.

ილიას სახეში ხვდება, ოთახში არყის ორთქლით გაჟღენთილი, დაგუბებული სითბო. მაგიდას უსხედან: კოლონიის უფროსი პოლკოვნიკი ზანოზა, კაპიტანი გუბინი, დაცვის უფროსი გიორგინი და მიხეილ პავში.

— თქვენმა კანდიდატურამ გაამართლა! — გახარებული ეუბნება გუბინი და შემოსულთ უდგამს სკამებს.

„პავშიმ ბალანსი კარგად შეადგინა!“ — ხარობს ილია. გუბინი არყით ავსებს ჭიქებს.

— გმადლობთ! — ამბობს ლუდმილა და გახარებული გვერდით სკამზე სვამს ილიას.

— მადლობა შემდეგ, ჯერ დაცალეთ ჭიქები! — ამბობს გუბინი.

— გაუმარჯოს ბედნიერებას! — ამბობს გახარებული ლუდმილა და ჭიქიდან არაყს აქრობს.

— შენ რატომ არ სვამ? — უკვირს კოლონიის უფროსს.

— გმადლობთ, — ამბობს ილია და უხერხულად იშმუშნება.

— მორცხვობას შეეშვი, რადგან უფროსები გპატიჟებენ, ყველაფერი კანონიერია!

— კეთილი ხალხის სადღეგრძელო იყოს, — ამბობს ილია და ცლის ჭიქას.

— კარგი „სალდათი“ ხარ! — ილიას საქციელს იწონებს უფროსი და თვითონაც ცლის ჭიქას.

— შეიძლება ვთქვა სადღეგრძელო? — კითხულობს ალეწილი ლუდმილა.

— ჩვენს ქვეყანაში პირველი სიტყვა ეკუთვნის ქალებს! — ამხნევებს ცოლის დას პოლკოვნიკი ზანოზა.

— მე ვსვამ ჩემი სიყვარულის სადღეგრძელოს! — ლუდმილა თვალებში შესცქერის ილიას. ილია მორიდებით გახედავს უფროსს. თითქოს მეხი გავარდაო, ისმის ზანოზას ყვირილი:

— „გორკა!“

არყით და სიძის ტრადიციული შეძახილით გამხნევებული ლუდმილა დაეწაფა ვაჟის ტუჩებს. ხანგრძლივი, ხანგრძლივი კოცნა.

ვაჟს ორი ცეცხლი წვავს. ერთი, რომელიც მოშივებულ სხეულში დაუნთო ლუდმილამ და მეორე, რომელიც ოჯახის აღზრდამ დანერგა მის ხასიათში. პირველი საოცარი წყურვილია: დაეწაფოს ქალს, დაიოკოს გზნება და ჩაუქროს ძუს ნეტარების ხურუში, მეორე რიდია საზოგადოების წინაშე. რიდი, რომელიც ყველგან თან ახლავს ოჯახში ზრდილს.

უზენაესო, ნუთუ ცოდვაა ხალასი ბუნებით მოვლენილი ნეტარება? და თუ ცოდვაა, მაშ, რისთვის მოგვანიჭე? ნუთუ მხოლოდ და მხოლოდ გამოცდისათვის? და თუ მარტო გამოცდისათვის, ეს ხომ მეტი ცოდვაა?!

სხედან მაგიდასთან არყის ჭინს დამონებულნი და ხორცის ვნებით აღგზნებულნი. ერთნი სტომაქს ივსებენ თეთრი სითხით, რომ დამბლადაცემულმა გონებამ ვეღარ შესძლოს აზროვნება, მეორენი უცდიან დროს, რომ ახალ სიცოცხლეს დაუდონ საწყისი!

ჰოი, სიცოცხლეო, რაოდენ რთული, დახვეული ლაბირინთებით გვატარებ, რამდენი სხვადასხვა ცეცხლით სწვავ ჩვენს სხეულს, საბრალო და სულმოკლე ადამიანმა რითი განსაზღვროს, რომელია

სწორი, რითი განსაზღვროს რომელია საჭირო, რომელი წარწყმედს სულს და რომელი მოგვიტანს საუკუნო ნეტარებას?!

— ამხანაგო, პოლკოვნიკო, თქვენის ნებართვით...

— ნებართვები სამსახურშიც კმარა, აქ მხოლოდ თავისუფლება! — ზანოზა ივსებს ჭიქას და სასწრაფოდ ცლის.

— ზუსტად ასეა, — ემოწმება დაცვის უფროსი სტეფანე ეგნატეს ძე გიორგინი და ცლის ჭიქას.

— ჩემი აქ მუშაობის ხუთი წლის მანძილზე, ჯერ არ მახსოვს, ჩვენს მიერ წარდგენილი ბალანსი არ დაეწუნებინოთ, უკეთეს შემთხვევაში შესასწორებლად მაინც არ დაებრუნებინოთ, მიუხედავად იმისა, რომ ამას აკეთებდნენ მოწვეული უმაღლესი რანგის სპეციალისტები. და არა მარტო ჩვენთან, ასე იყო მთელს ჩვენს სამმართველოში შემავალ შრომა-გასწორების კოლონიებში...

— რაც სიმართლეა, სიმართლეა. — ამბობს პოლკოვნიკი, მაღლა წევს სავსე ჭიქას, — ხედავს ღმერთი! — ელვის სისწრაფით ცლის ჭიქას.

— სწორია! — ემოწმება გიორგინი, მაგრამ ჭიქის მთლიანად დაცლას ვეღარ ახერხებს, ტუჩების კიდეებიდან გადმოღვრილი არაყი საყელოში ჩასდის.

— ამხანაგები დამემოწმებიან, — აგრძელებს დაწყებულ სიტყვას კაპიტანი გუბინი, — ჩვენს მიერ მოყვანილი სპეციალისტები ბალანსის შედგენას სულ ცოტა თხუთმეტ დღეს მაინც ანდომებდნენ. — ჭამა-სმას ვინ ჩივის, სამი ათასი ნაღდი მიჰქონდათ და მაინც დაწუნება, თუ შენიშვნები, თავიდან წვალება. გუშინ, თათბირზე სამმართველოს უფროსმა, ყველას გასაგონად მადლობა გამოგვიცხადა. დიახ, მადლობა საქმიანი, შეუცდომელი ბალანსისათვის!.. ამ ბრწყინვალე შედეგს ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ ჩვენს პატივცემულ მიხეილ მარკოვიჩ პავშის!..

— ურაა! — ყვირის პოლკოვნიკი ზანოზა და ელვის სისწრაფით ცლის ჭიქას.

— ურაა! — სიტყვის სწორად გამოთქმას ვეღარ ახერხებს დაცვის უფროსი გიორგინი და პირის ნაცვლად სავსე ჭიქა მიაქვს სადღაც ყურთან. აღებს პირს, თან გრძნობს, რომ ყური პირი არ არის და უაზრო გადმოკარკლული თვალებით არყის ჩასაღვრელად აგრძელებს პირის ძებნას.

სვამენ...

სვამენ და სუფრას უსხედან. სვამენ თავდავიწყებით. სვამენ დაცემამდის, რომ ვეღარ მოახერხონ ნაბიჯის გადადგმა, სვამენ მხოლოდ დალევისათვის!.. და უსასრულეთში საუკუნეების მანძილზე ისმის ისევ რუსი პოეტის გულწრფელად გადმომსკდარი სიტყვები:

«Луна все также будет плыть и плыть.
Раняя веса по озерам.
А русь все также будет пыть.
Валяясь пяным под заборам.»

მთვრალი სუფრა, როგორც ერთი განუყოფელი ორგანიზმი. სუფრა არყით დამბლადაცემული. მხოლოდ ერთი სურვილი: რაც შეიძლება მეტი არაყი ჩაისხას.

ქალის წყურვილია: მალე ჩაუგორდეს ვაეს ლოგინში. ო, როგორ წვავს ეს შეშლილი სურვილი, თუ ჯიშის სისხლით ატეხილ ორგია!

გრძელდება არყით თრობა. გრძელდება გონის დაკარგვამდის გრძელდება, სანამ შესწევს უნარი მიაგნოს პირს.

არა, ხურუშით დაბრმავებული ქალი ვერ ფარავს ატეხილ ხორცის გზნებას!.. მთვრალია ძუ და აღარ ძალუძს სიტყვით ულაყის გაყვანა...

სვამენ!

სვამენ ჩელდონები. სვამენ ჩელდონურად. მთვრალ სუფრასთან მჯდარ კაჟისკუნთებას ძარღვებში აშლილ სისხლს კი აკავებს სამხრეთულ ოჯახში აღზრდით დანერგილი მორიდება.

— თქვენი გამარჯვებისა იყოს, ძვირფასო მიხეილ მარკოვიჩ! — ასრულებს სადღეგრძელოს გუბინი.

— ურაა! — ყვირის პოლკოვნიკი ზანოზა და უდიდესი დაძაბვით ახერხებს ჭიქის დაცლას.

— უარიიიია! — სიტყვის სწორად გამოთქმას ვეღარ ახერხებს გიორგინი... ასწია ჭიქა და კვლავ ვერ აგნებს პირს... ვერ აგნებს და ეტყობა გადაეწურა საკუთარი პირის პოვნის იმედი... ჭიქა მაგიდას დაახეთქა... ახლა ადგომა დააპირა, მაგრამ ამასაც ვერ ახერხებს. მოიკრიბა უკანასკნელი ძალ-ღონე, ოდნავ აიწია, მაგრამ არა, მძიმეა არყით დატვირთული სხეული.

შექებით გახარებულ პავშის სიხარულის ცრემლებით ევსება თვალები:

— გმადლობთ, — ძლივს ამბობს. იცის რა მეტის დალევა არ შეუძლია, დგამს ჭიქას და ჯდება.

— გაუმარჯოს თავისუფლებას! — ყვირის, მაგრამ ჭიქის დაცლას ვეღარ ახერხებს ზანოზა.

— გაუმარჯოს! — ლუღლუღებს გიორგინი. ახერხებს წამოდგომას, მაგრამ ვერ შეძლო ნაბიჯის გადადგმა. დგას უმწეო ჩვილივით და ელის მაშველს... იმაგრებს თავს წელსზემოთ წინ გადახრილი, ამოვარდნამდის მისული თვალების უაზრო ხედვით კარის ნაცვლად ფანჯარასთან მიდის... გუბინი შეეშველა. მიჰყავს კარებთან. გაიყვანა პარმალზე. ისმის დაცემის ხმა... და შემდეგ უდარდელი ხვრინვა.

ზანოზას სკამზე დაეძინა...

— მიხეილ მარკოვიჩ, წაეედით! — ამბობს გუბინი.
— ილია, წაეედით! — თავის მხრივ ამბობს პავში.
— ილია დარჩება!
— მე... — რაღაცის თქმას აპირებს მასწავლებელი...
— ხომ გაიგონე, უფროსმა თქვა დარჩები! — ილია კითხვის ნიშნით უყურებს გუბინს.
— დარჩი, ვახტიორს გავაფრთხილებ, — გუბინს ზანოზა მიჰყავს მეორე ოთახში, — ძილი ნებისა, — ამბობს გუბინი და გადიან...
— აი, ჩვენც მარტონი დავრჩით! — ილია დუმს, — ილია! — ჩურჩულებს ვნებამორეული ლუდმილა. ვაჟი ნეტარებს ქალთან, მაგრამ შიშით წვავს ფიქრი:
— ნატალია ისიდოროვნამ რომ მოგვისწროს?
— იცის!
— რა იცის?
— მე რომ შენთან ვიქნები!
— ჩემთან? — ილია ცდილობს გაათვითცნობიეროს ქალის ნათქვამი, მაგრამ ლუდმილას კოცნა არ აცლის... ქალი და ვაჟი, ორთავენი იწვიან ერთი ცეცხლით. ქალს უნდა მამაკაცი, მამაკაცს უნდა ქალი. ორთავეს უნდათ ერთმანეთი. ეს უმაღლესი ნეტარებაა!
ვნებით გონწართმეული ელის ვაჟის სხეულის შეხებას...
... დასრულდა ღამეული გზნება. დაოკდა ცეცხლი. განვლილი წუთებით ნეტარებს ორთავეს ხორცი. ქალი სავსეა და ამ სისავსით ტკბება, ვაჟი დაიცალა და ამ დაცლითაა დამცხრალი.
— რომ მოვიდეს? — კითხულობს გონსმოგებული ილია.
— არ მოვა...
— რა იცი?
— თავის კაცთანაა წასული...
— საყვარელი ყავს? — უკვირს ილიას.
— განა ვის არ ყავს საყვარელი? — უკვირს ქალს.
— შენ? — აჯახა კითხვა ვაჟმა.
— მე ხომ ჯერ არ ვარ გათხოვილი?
— რომ გათხოვდები?
— მოიწი, ყურში უნდა გიჩურჩულო! — და პასუხის ნაცვლად, ხანგრძლივი, ხანგრძლივი კოცნით ვაჟიც თან გადაიყოლია ნეტარების ოკეანეში.

ლინჩის კანონით

მაისის თვის მზიანი კვირა დილაა. თოვლი ახალი გამდნარია, მაგრამ დაჩრდილულ ადგილებში ცაზე შემორჩენილი ღრუბლებივით ჯერ კიდევ უდგია სული... საამო მზე უხვად ღვრის ოქროსფერ სხივებს. ბარაკებიდან გამოფენილი პატიმრები ჯგუფ-ჯგუფად დგანან.

საუბარი: ვინ ვისთან რამდენი წააგო და ვინ ვისთან რამდენი მოიგო... ვიღაცეები მოუსვენრად დადიან. სიარულში ერთი აზრია, სად რა იშოვნოს და რითი გამოიძღოს მშიერი კუჭი. ლუკმა პურის შოვნის იმედგადაწურული, გასაცოდავებული სახეები და მაძღრების კმაყოფილი თავხედი გამოხედვა...
გულაგი საბჭოთა სახელმწიფოში მეორე სახელმწიფოა, კოლონიები კი სიდიდის მიხედვით, ამ სახელმწიფოს ქალაქები და სოფლები. აქაც ბელადი თავისი მოადგილეებით და თანაშემწეებით. აქაც საკუთარი „კონსტიტუცია“ ანუ, ეგრეთწოდებული შინაგანაწესი და, რაც მთავარია, აქაც, როგორც ვეებერთელა საბჭოეთში, „კონსტიტუციას“ სურვილისამებრ არღვევს თვით „ბელადი“, ან რომელიმე სამმართველოს, თუ კოლონიის უფროსი. აქაც საკუთარი „ჩეკა“ ოპერის უშუალო ხელმძღვანელობით და აქაც ზარმაცნი და დაკემულნი დაბეზღებით იმკიან პრივილეგიებს... და კიდევ აქ, დიდი საბჭოთა სახელმწიფოსაგან განსხვავებით, გულაგის აღსაზრდელი ძირითადი ბირთვის პატიმრებს გააჩნიათ საკუთარი კანონი, რომლითაც ფაქტიურად ცხოვრობენ. ეს ქურდების დაუწერელი კანონია, რომელიც სახელმწიფო კანონებისაგან განსხვავებით, აუცილებლად სრულდება!.. აბა, ვინ დაიჯერებს, რომ ქურდი კოლონიაში ქურდობას კრძალავს?.. აბა, როგორ დაიჯერონ, სახელმწიფო შვილს მამის დაბეზღებისაკენ მოუწოდებს, ხოლო ქურდი მაბეზღარას, როგორც დაცემულს, სასტიკად სჯის?!
ღმერთო, რა ხდება ქვეყანაზე?
ღმერთო, საით მივექანებით?
... ფუსფუსი. საიდუმლო ამბების თხრობა, სად და რომელ კოლონიაში ვინ ვის როგორ გაუსწორდა.
წუხელის პავშის გამოუცხადეს, ლოგინი მომსახურეთა პერსონალის ბარაკში გადაიტანოს, პავში კი ამას მხოლოდ ხვალ გააკეთებს, რადგან ილიამ მიიღო თავისუფალ დასახლებაში გასვლის ნებართვა, მეგობრებმა გადაწყვიტეს ბოლო კვირა ღამე ერთად გაატარონ.
... მხიარული მზიანი დილაა. გახარებული მიხეილ პავში საუზმისათვის ემზადება.
— მიხეილ მარკოვიჩ, მოდი ზონის გარეთ ვისაუზმოთ!
— ზონის გარეთ, სად?
— სამხედრო სასადილოში კვების ნება დაჩრთეს...
— ეგ შენ, მე?
— სადაც მე, იქ შენც!
— უხერხული არ იქნება?
— მზარეული დამიმშაკაცდა...
— როგორ მოახერხე?
— უფროსს ორ-ოთახიანი ბინა მივაცემინეთ...
— შენ?
— ლუდმილამ...

— თუ ასეა, მოვდივარ!

ჩრდილოეთის სიმკაცრეშიც გაზაფხულს თავისი განუმეორებელი მშვენიერება აქვს. მიდიხარ და გრძნობ, ბუნება იღვიძებს. თითქოს განსაკუთრებული არაფერი ხდება, მყუდროებაში კი ისმის დიადი გამოღვიძების ხმაური. ხმაური, რომელსაც არ აქვს ხმა. ხმაური, რომელსაც ვერ მოისმენ. ხმაური, რომელსაც ვერ ნახავ, მაგრამ გრძნობ მთელი შენი სხეულით. გრძნობ გამოღვიძების ხმაურს. გრძნობ და შენც შენდა უნებურად იდუმალი კავშირით უერთდები ბუნების ამ დიდებულ გაზაფხულის დღესასწაულს — გამოღვიძებას!

... საოცარია, მოვა გაზაფხული და თითქოს ბებერი სიცოცხლე ახლიდან იწყება!

საოცარია გაზაფხული!

სექციიდან გამოსულ მეგობრებს პატიმრები პატივით ესალმებიან. ყველამ გაიგო, თოფურია მასწავლებელია, რომელსაც რაიონის განათლების განყოფილებამ საუკეთესოდ ჩატარებული გაკვეთილისათვის მადლობა გამოუცხადა, პავშის კი ბუღალტრულ საქმიანობაში გასარკვევად, თუ საკონსულტაციოდ თვით უმაღლესდამთავრებული სპეციალისტები აკითხავენ.

მოდიან მეგობრები და ესალმებიან პატიმრები, მისალმებაში იხატება პატივისცემა და რიდი, ეს კი ის ძალაა, რომელსაც ქედს უხრიან...

ვიღაცამ ილიას ხელში ჩასჩარა წერილი და გაუჩინარდა...

— რა იყო? — ეკითხება პავში.

— მგონი წერილი გადმომცეს! — თან უკვირს და თან ღელავს თოფურია.

— წაიკითხე!

— არა, აქ არ შეიძლება!

— თუ კი შენთვისაა განკუთვნილი?

— რადგან საიდუმლოდ გადმომცეს, შინაარსიც საიდუმლოდ უნდა დარჩეს...

ილიამ შეაღო ვახტის კარები. ორთავენი შედიან.

კვირაობით საგანგებო საშვის გარეშე, ზონის გარეთ პატიმრების გასვლა აკრძალულია, მაგრამ მეგობრებს უსიტყვოდ ატარებენ, რადგან ასეა უფროსების მიერ ნაბრძანები...

ოო, პირველად ზონის გარეთ თავისუფლად გასული პატიმარი რაოდენ დიდ სიამოვნებას გრძნობს. მიდის და ჩვეულებისამებრ არ მიჰყვება თოფიანი კაცი. მიდის, მიდის და სიარულს არავინ არ უშლის, სადაც მოესურვება, იქ შევა, შეუძლია რამდენ ხანსაც უნდა, იმდენი ხანი იდგეს. და რასაც უნდა იმას უყუროს. ეკრძალება ერთადერთი ის, რასაც კრძალავს საზოგადოების საერთო წესი...

მეგობრები შედიან სასადილოში. სამხედროებმა საუზმე უკვე მოისტუმრეს. დარბაზს დამლაგებელი ასუფთავებს.

— გამარჯობა, ლონია — სარკმელიდან ეძახის ილია შეფ-მზარეულს.

— გამარჯობა. ილია ალექსეევიჩ! — პასუხობს გახარებული, წითელი როგორც შემწვარი გოჭი და უფრო მეტად წითლდება, — მაგიდასთან დაბრძანდით, ახლავე გეახლებით.

შემოსულები ქუჩაში გამავალ ფანჯარასთან მდგარ მაგიდას მიუსხდნენ.

— ნახე ერთი, რა წერილი გადმოგცეს?

— ახლავე, — ამბობს ილია და ჯიბიდან ამოღებულ საიდუმლოდ გადმოცემულ წერილს კითხულობს: „ქურდების განაჩენს ვეარავინ შეცვლის, ის უნდა აღსრულდეს! როგორი მდგომარეობაც არ უნდა იყოს, სანამ პირადად არ შემხვდები, ფოთის ციხეში მომხდარ მკვლელობაზე არაფერი არ იცი. ღმერთი ჩვენთანაა. „თ“.

— როგორ, თუ არ ვიცით, განა არ შევესწარით? — ამბობს წერილის შინაარსით გაკვირვებული პავში.

— იმიტომაც გვაფრთხილებს, სანამ პირადად არ შევხვდებით..

— განა მკვლელობა გენერალმა არ მოაწყო?

— მოვუცადოთ, ალბათ, ასეა საჭირო...

— ვინ წერს?

— მე მგონი „თამბეგა“.

— რა ხდება?

— ვის განაჩენზეა ლაპარაკი, რა ხდება?

— რაღაც სერიოზულია, მაგრამ არ ვიცი რა...

— წუხელის ნახე?

— ვინ?

— „გორილა“ ზონაში შემოიყვანეს...

— „გორილა?“

— ჩვენს ბანაკში მოათავსეს.

— ამას წინათ ერთი ღამე გაათენებინეს და ისევ გააქრეს, ახლა ისევ გამოჩნდა...

— მაშინ უხტიმში წაუყვანიათ, იქაურ უფროსობას არ მიუღია, შემდეგ არც ზნამენკამ მიიღო... და აი წუხელის კვლავ ჩვენთან დააბრუნეს...

— მე თუ მკითხავ, პატიმრის მკვლელ პატიმარს არც აქ დაედგომება!

— სხვაგან სად უნდა წაიყვანონ?.. ასე თქვეს, მეხანძრედ გაგზავნესო...

— რას მიირთმევთ? — ღიმილით კითხულობს შემწვარი გოჭივით წითელი და თეთრი ჩაჩით იმშრალებს მოდენილ ოფლს.

— რითიც გაგიხარდება! — პასუხობს ილია, — გაიცანი ჩემი მეგობარი, გიყვებოდი, მიხეილ პავში.

— ვიცი, ვიცი, მთელი ნირობის ბუღალტერია შესძრა, ლონია! — ხელს ართმევს თეთრჩაჩიანი.

— მიხეილ მარკოვიჩ! — პასუხობს პავში.

ილია ზის და უხარია, რადგან ამდენი ხნის განმავლობაში დღეს პირველად მოისმინა პავშის მიერ წარმოთქმული საკუთარი სახელი და გვარი: „დაუბრუნდა მიხეილ მარკოვიჩი თავის თავს!“ — ფიქრობს ილია თოფურია და კმაყოფილი იღიმება...

— ილია ალექსეევიჩ, ჩემი გოგონა თქვენით აღტაცებულია!

— გმადლობთ, — თავმდაბლად პასუხობს ახალგაზრდა...

— და განა მარტო ჩემი გოგონა, მთელი სკოლა თქვენს ქებაშია... ახლავე, მოგართმევთ, თან ვისაუბროთ. — ამბობს და სამზარეულოში შერბის შემწვარი გოჭივით წითელი...

— დიდი გოგონა ყავს?

— მეოთხე კლასშია... ისეთი ინტერესით მისმენენ, ზოგჯერ მენანება, გაკვეთილი რომ მთავრდება...

— შენ ისეთი ამბების მოყოლა იცი...

ილიას მოსვლით გახარებული ლონია კიდევ უფრო მეტად გაწითლდა, წითელ სახეს ოდნავ აფერმკრთალებს ქერა, თითქმის თეთრი ბუსუსები. ლონია მოქნილი პეწით ლანგარიდან მაგიდაზე ალაგებს შემწვარ ერბო-კვერცხსა და ღორის ხორცში ჩაშუშულ კარტოფილს...

კოლონიაში პატიმრებისათვის დამზადებული სადილების შემდეგ მომაჯადოვებელია სამხედროებისათვის დამზადებული საუზმის სურნელება...

— უფროსისათვის მქონდა შემონახული, კარგია რომ არ მოვიდა...

— რომ მოვიდეს?

— ლუდმილა და უფროსი უკვე წავიდნენ...

— სად?

— ნირობში თათბირზე... ილია ალექსეევიჩ, — ეშმაკურად თვალს ჩაუკრავს, თანაც საიდუმლოდ უჩურჩულებს და ხელი ისე უჭირავს, თითქოს ჭიქა ეჭიროს, — შეიძლება?

— მხოლოდ ას-ასი!

— ახლავე, — ამბობს თეთრჩაჩიანი და გახარებული შერბის სამზარეულოში...

— კარგად ცხოვრობენ, — ამბობს პავში.

— თუ კი აქ ცხოვრებას. კარგი ქვია...

— რატომ, ყოველს თავისი სამყარო აქვს...

სამზარეულოდან ისმის ლონიას საკმაოდ საამო ტენორი:

— მე ნუ მიცდით, მიირთვით...

— მხოლოდ თქვენთან ერთად! — ამბობს ილია.

— მზარეულს ჭამა ეკრძალება! — სიცილით ამბობს სამზარეულოდან გამოსული შეფ-მზარეული. ხელისა და ფეხის მსუბუქი მოხდენილი მოძრაობით, არყით სავსე დალუქულ ბოთლის ძირს ურტყამს მარცხენა ფეხის ქუსლს. ისმის ბოთლის ყელიდან ამოვარდნილი საცობის ხმა: „ყლუმპ!“. საკუთარი საცირკო ნომრით გახარებული ლონია ხმამაღლა შესძახებს: „სხვა რა უნდა საწყალ

მეზღვაურს, ვაგონი არაყი და ქაშაყის კუდი!“... და თავმომწონედ, აფთიაქის სიზუსტით ჭიქებში ასხამს ას-ას გრამს. — წავედით! — შესძახებს და ჭიქიდან აქრობს არაყს.

— შენს ახალსახლობას გაუმარჯოს!..

— იბედნიერე! — სადღეგრძელოს უერთდება პავში და ცლის ჭიქას...

— თითოც?

— არა, გვეყოფა!

— მხოლოდ თითო-თითო?

— საქმე გვაქვს, ლონია, — და რა ნახავს წითურის უკმაყოფილო სახეს, — მოვესწრებით, შენს ახალ ბინაში!

— შაშ, მაპატიეთ, — ამბობს განაწყენებული თეთრჩაჩიანი.

— არ გეწყინოს, — ეუბნება ილია თოფურია.

— საწყენი რა არის, მიკვირს!

— გიკვირს, რა? — კითხულობს პავში.

— პირველად ვხედავ კაცს, რომელიც არაყზე უარს ამბობს...

— მოვესწრებით! — ამბობს ილია...

— მე მზად გახლავვართ... გავიქეცი, თორემ სადილი დამეწვება...

— ახლა საით? — კითხულობს ასი გრამით გახალისებული პავში.

ახალგაზრდას სახეზე სევდა მოეფინა:

— ბატონი არჩილის გარდაცვალებიდან დღეს მეორმოცე დღეა, მოდი გავიდეთ სასაფლაოზე?

— სიამოვნებით!

სასადილოდან გამოსული მეგობრები გაუყვნენ დასახლების ბოლოსაკენ მიმავალ გზას. პავში გახარებული იმით, რომ თოფიანი კაცი თან არ მიჰყვება, მიდის და ინტერესით აკვირდება ყოველ სახლს, ეზოს. აკვირდება და იმახსოვრებს. ილია მიყვება, მიყვება, მაგრამ უკვე ნაცნობი გზით. აგონდება პირველად აქ ლუდმილა გაატარა ბატონ არჩილთან გასაცნობად, რა საოცარი დღე იყო ის დღე, თოვლი ყინვა და სიჩუმე. მოგონებამ ტანთ სიცივე გასცრა და ჩიტივით შემოუფრინდა უსიამოვნო ფიქრი: „იქნებ ეს სიჩუმე ბატონი არჩილის სიკვდილის მომასწავებელი იყო?“ — და კვლავ განაგრძობს ფიქრებს: სიცოცხლეში ყველაფერი მოაქვს დროს, იქნებ ბატონი არჩილის სიკვდილიც დროით მოსულმა აუცილებლობამ მოუტანა?... თუ ასეა, სიკვდილის წინ, გარშემო რაღაც იდუმალი ცვლილებები უნდა დაწყებულიყო!... იქნება ეს ცვლილება სწორედ ის შემზარავი სიჩუმე იყო? — სჯერა მასწავლებელს, თუ ბუნებას დააკვირდები, შეისწავლი, შესაძლებელია იწინასწარმეტყველო როგორც საზოგადოების, ისევე პიროვნების მომავალი... რა, როგორ, რომელ წელს და რომელ თვესა და საათს... მოკლე ანალიზის შემდეგ უჩნდება კითხვა: „საჭიროა კი იცოდეს ადამიანმა რა მოელის ხვალ?... მაშინ ხომ დაეკარგება ინტერესი, ყველა სპორტულ

თამაშებს, უბრალოდ აღარ იქნება საინტერესო ხვალინდელი დღე!... თავს მიანებებ მომავალზე ზრუნვას და ვინ იცის კიდევ რამდენი რამ შეტრიალდება?“ მიდიან მეგობრები და ილია ტკივილით იგონებს იმ თოვლიან, იდუმალი სიჩუმით აღსავსე საშინელ დღეს...

— ეს მისი სახლია, — ჩერდება ილია. ჯერ იყო და დაეპირა გვერდი აევლო, მაგრამ ფიქრმა: „იქნება ჯერ არ წასულა“... ადის პარმაღზე. აკაკუნებს, თან აგრძელებს ფიქრს: „იქნებ დაავიწყდა?.. და ახლა სულაც აღარ ფიქრობს ერთ დროს ლამაზი ჩელდონკა ბატონ არჩილზე?“... ილია კაკუნს იმეორებს... უეცრად ჩაესმის ხარხარი. ნუთუ ბატონი არჩილის ხმა ესმის?... არა, არა. ეს ქარია, რომელიც ასე უცებ ამოვარდა და კვლავ ჩაესმის თოფურიას საშინელი ყვირილი: „გაჩუმდი!“... ეს კი იქვე მახლობლად რაღაცით შეწუხებული ღორის ბოხი ჭყვიტინია... დასცხა, შემდეგ ცივმა ოფლმა გადაუარა. ილია სასწრაფოდ გამოვიდა გზაზე...

— ეტყობა წავიდა!

— თორმეტი საათია, წასული იქნება, — ამბობს ილია და დასახლების ბოლოს ტყისპირა მაღლობისაკენ აგრძელებს გზას... გაცდენ დასახლებას. სოფლის დასასრული მწვანე ფერით მუქდება. ეს ტაიგაა თავისი იდუმალი და მოარული ლანდებით. ტაიგა თავისი მკაცრი კანონებით, სადაც ერთის სიკვდილიდან იწყება მეორის სიცოცხლე!

გაუხვიეს მარჯვნივ. ილიას გული გამალებით უცემს. აწუხებს ერთადერთი კითხვა: „დაივიწყა თუ არა?... აკი ამბობდა დონზე ნათესავები მყავსო?“... სასაფლაოზე, იქ, სადაც ბატონი არჩილის საფლავი ეგულება, დგანან ორნი!...

— არჩილუშკა, ხედავ შენმა თანამემამულემაც მოგაკითხა, — ალერსნარევი ცრემლებით შეიცხადა ქალმა, — არჩიულუშკა, მეგობარო, ჩემო თვალის სინათლევ, რატომ დამტოვე მარტო?... გახა ამას მპირდებოდი, — გულამოსკვნით იცრემლება ქალი, — გმადლობთ, რომ არ დაივიწყეთ ჩემი არჩილი, — შეკავებული მოთქმით ამბობს მარია. სევდიანი ილია პატივისცემით გამსჭვალული დგას საფლავთან და ყურში ჩაესმის სულმნათი რუსთაველის თითქოს ნაცნობი ხმა:

„ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!
ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა!
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა!?
და მაგრა ღმერთი არ გასწირავს, კაცსა, შენგან განაწირსა.“...

„სად დაიბადე“, ფიქრობს ილია თოფურია, — და სად მოგიწია სიკვდილმა. ვის ცრემლებს უნდა დაეტირე და ვისმა ცრემლებმა დაგიტირეს?... ნუთუ ამიტომ უხაროდათ შენს მშობლებს შენი დაბადება?... და ვინ იცის როგორი სიხარულის ცეცხლით იწვოდნენ?... ნუთუ მხოლოდ იმიტომ დაიბადე, რომ ასეთი საშინელი სიკვდილი გრგებოდა? ან იქნება თვით ზენამ რუსთაველის პირით გაგვაფრთხილა მომავალი ბედის

„ვერაგობაში?“... ფიქრობს, და თვალწინ უდგას ბატონი არჩილის ანთებული თვალები... ილია ცდილობს მოიგონოს წამებულის ნაბრევი, რომელმაც ასე მოაჯადოვა. მაგრამ არა, ვერ ახერხებს... ვერ მოიგონა, სამაგიეროდ ესმის ჩელდონკას ხმა:

— თქვენ არ ვიცი როგორი წესი გაქვთ, ჩვენ კი გთხოვთ პატივი დაგვდოთ ჩემი არჩილის სულის მოსახსენიებლად!

— აუცილებლად! — ამბობს თოფურია, და ვერ ახერხებს წამებულის თვალების მოშორებას.

— თქვენც გთხოვთ, — მიმართავს ჩელდონკა ფიქრებში წასულ პავშის. პავშის ქალის სიტყვები არ ესმის. დგას საფლავთან, უცნობისადმი ღრმა პატივისცემით და აგრძელებს ფიქრს: „ნადეჟდას და კლავას საფლავიც არ ეღირსათ. მათი სხეული, ალბათ, დიდი ხნის წინათ შესანსლეს გაუმაძღარმა თევზებმა და ახლა შიშველ ჩონჩხს ზღვის ტალღები დააქანებენ.“ — პავშის საკუთარი თავი შეეზარა, — „როგორ ეფიცებოდა ერთგულებას და განა ასე აღასრულა ფიცი?... როგორი სიმდაბლეა, ისინი აღარ არიან. მიხეილ პავში კი ჭამს, სვამს, იცინის, დასაძინებლად ეძებს თბილ ადგილს... დღეს, საუზმის დროს თავი ბედნიერადაც კი იგრძნო“...

ღმერთო!

„ეს რა უბედურება დამატყდა თავზე, ღმერთო!?“...

— მიხეილ მარკოვიჩ! — ძლივს გააგონა ილიამ ფიქრებში წასულ პავშის.

— ა?

— პატივი ვცეთ, ბატონი არჩილის ხსოვნას!

— ჰო, ჰო, რა თქმა უნდა, — ამბობს ფიქრებიდან გამოსული დაბნეული და თან წყევლის საკუთარ თავს: „არა, როგორ ვერ შევძელი სიკვდილი?“...

...როგორი უსუსური იქნებოდა სიცოცხლე, რომ ადამიანის ფიქრებში ატეხილ სურვილებს შესძლებოდა მისი ტიტანური ძალით შექმნილი კანონების დარღვევა!... არა, სიკვდილი სწორედ იმით არის ძლიერი, რომ ემორჩილება მხოლოდ დროს და სიცოცხლის უდიდეს ძალას. სიყვარულსაც კი არ შესწევს ძალა მისი დამარცხებისა!... განა რა არის დედა-შვილის სიყვარულზე უფრო ძლიერი, მაგრამ როდესაც დედას უკვდება შვილი, თუმცა უდიდესი ტკივილების შემდეგ, მაინც ურიგდება სიცოცხლეს. ურიგდება, ეჩვევა ჯერ საკუთარ უბედურებას — შვილის სიკვდილს. შემდეგ ნელ-ნელა იწყებს ლტოლვას ამქვეყნიური სიამეებისადმი ისევე, როგორც გონდაკარგვამდის მისულ შეყვარებულს უკვდება სატრფო. გადის დრო და ისიც ეხვევა ახალი სიყვარულის აბლაბუდაში!..

საოცარი კანონი აქვს სიცოცხლეს: ყოველი სიკვდილიდან იწყება ახალი სიცოცხლე!.. მაშ, რატომ ეჩვენებოდა პავშის, თითქოს სიცოცხლე და სიკვდილი მოსისხლე მტრები იყვნენ?.. არა, ახლა კი ამ ფიქრების შემდეგ დაებადა საკმაოდ უცნაური და დაუჯე-

რებელი აზრი: „სიკვდილი სიცოცხლის გაგრძელებაა!.. რა საოცარი იქნება“, — ფიქრობს პავში, — „თუ სიკვდილი, მართლა, სიცოცხლის გაგრძელებაა, ესეიგი, სიცოცხლე სხვა ფორმაში გადასვლაა, მაშინ ხომ იქ, სადღაც სხვა სამყაროში, აუცილებლად შეხვდება ნადეჟდასა და კლავას!.. როგორი ირონიით დაუწყებენ ყურებას!.. ფიცის გამტეხ მამას!“ — ასეთი ფიქრებით დასევდიანებული პავში უკან მიყვება დასახლებისაკენ მიმავალ ოთხკაციან მგლოვიარე მსვლელობას.

შუაღამე გადასულია. პატიმრებს სძინავთ მშვიდი, უდარდელი საამო ძილით... ღმერთო, ნუთუ ასე საჭიროა ადამიანების თავიანთი მომავლისადმი ასე სიბრმავე?.

ღამის მორიგეები, შემოვლისას, დარწმუნდნენ რა ბარაკში ყველაფერი რიგზეა, დაბრუნდნენ სამორიგეოში და შეუდგნენ დომინოს სამმანეთიანი ხელის თამაშს. სექციებში კი სძინავთ პატიმრებს. სძინავთ ნასვამ თოფურიასა და პავშის.

ამბობენ, ღამეული არისო ყოველი მტაცებელი. ღამეულია შურისმაძიებელიც. ღამეულია „ჩეკაც“... და კიდევ ღამეულია...

გაიღო სექციის კარები. მედღევეს, რომელიც თვლემს, კვლავ შემოსული მორიგეები ჰგონია და ფეხზე წამოხტა. შემოსულთა წინამძღოლმა დუმილის ნიშნად თავის ტუჩებთან თითი მიიტენა:

— ჩუ!

მედღევე მიხვდა და დაჯდა... არა, კი არ დაჯდა, ცუდის წინათგრძნობით დაეგდო.

მოსულები გარეთ ტოვებენ მეთვალყურე-მაცნეს. სექციაში შემოდიან რვანი: „თამბეგა“, „ბოჩია“, „სიმაკა“ თავთავიანთი თანმხლებ-თანამოზიარეებით. ყოველი მათგანის სახე უძრავია, თვალების მკაცრი გამოხედვით, ისევე როგორც მგელს, როდესაც საკბილოს ამოირჩევს, ეშინია თვალის დახამხამების, რომ არ გაუსხლტეს მსხვერპლი. დგანან უსიტყვოდ. ერთმანეთს დუმილით ესაუბრებიან. ორი მეტრის სიმაღლის ახმახს, რომლის მუშტის დაკვრაც საკმარისია კამეჩის წასაქცევად, უჭირვს სამართებელივით გალესილი ტყის საჩეხი ნაჯახი. „თამბეგამ“ შეიხსნა ჯუბა. გამოუჩნდა ქამარში გარჭობილი ვეებერთელა თვითნაკეთი დანა. ასე ორ-ორი თვითნაკეთი დანა აქვს გარჭობილი რვავე შემოსულს. ასე აქვთ დაკანონებული. რომ არვინ ხელი არ შეუშალოს განაჩენის აღსრულებაში... და თუ გაბედა, ატყდება ჩეხვა!!!...

— ადგილებზე! — იძახის ბოჩია, — ქურდები იკავებენ თავთავიანთ ადგილებს, იმ საწოლის გარშემო, რომელზეც მშვიდი და უდარდელი ძილით სძინავს „გორილას“. ქურდები შემოვიდნენ თავიანთი განაჩენის აღსასრულებლად!.. ეს იციან ქურდებმა და, თუ ვერ აღასრულეს, პასუხს აგებენ ქურდული სამყაროს წინაშე.

მშვიდი და უდარდელი ძილით სძინავს „გორილას“, ვისი სიცოცხლეც რამდენიმე წუთში უნდა ჩაქრეს.

„სიმაკამ“ მისცა ნიშანი. ახმახი მგრგვინავი ხმით ყვირის:

— ადექით! — ხმა ძლიერი და საშინელი. ყველას ეღვიძება. თვალებს იფშვნეტენ. არავინ არ იცის რა ხდება. აცეცებენ გაოცებულ თვალებს, რომელშიც ინტერესით მოსჩანს შიში: „რა ხდება?“...

„გორილა“ წამოხტა. აენთნენ ვეება ნაკვერჩხლები. გადმოაფრქვიეს რისხვა, მაგრამ ახმახის ხელში სამართებელივით ალესილმა ნაჯახმა ნაკვერჩხლებს რისხვა ჩაუქრეს: „არა, არა, აქ შებრძოლება არ გამოვა“, — ფიქრობს ვეება ჯირკოს მაგვარი და ანათებს ორ შიშით დამცხრალ თვალს.

მტრული დუმილი, საერთო შიშის ფონზე.

დუმილი. დუმს ერთი და მეორე მხარე. ერთნი უყურებენ, როგორც მომწყვდეულ მხეცს, აბა საით დააპირებს გაქცევას, მეორე ეძებს გამოსავალს. გახელებას შიში ნელნელა ასუსტებს ისე, როგორც წყალი ცეცხლს. „გორილამ“ დანას მოუჭირა ღონიერი ხელი: „გადავხტე?“ — გაიფიქრა და თვალებში გაუელვა რა ნაჯახმა, დარწმუნდა: ვერ გაიქცევა... შიში უფრო მეტად ჩაუდგა სახსრებში, გრძნობს ძალა, რომლის იმედი ჰქონდა, ტოვებს... „რა ქნას?“ მაგრამ მოფიქრების უნარს უკარგავს „სიმაკას“ სახეზე გამოსახული დაბრეცილი სიძულვილითა და მუქარით აღსავსე ღიმილი.

„თამბეგამ“ კბილებში გასცრა:

— დაიწყე!

ბოჩიამ წინ წადგა ნაბიჯი:

— ძმებო! — ხმამაღლა დაიწყო ქურდმა, — შეშინებული, მაგრამ ცნობისმოყვარე ოცდაათი ნამძინარევი ყურადღებად იქცა, — ამან, ადამიანის მკვლელმა ძუკნამ. — და ხელი ლოგინზე წამომჯდარ „გორილასაკენ“ გაიშვირა, — თვით პატიმარმა, რომელიც პატიმრებს თოფით ადგა, ფულისათვის, ტყვეთ, სიცოცხლეს გამოასალმა პატიოსანი ქურდი „ინტელიგენტი“. მართალია? — ბოჩია ეკითხება „გორილას“. მაგრამ შიშით დამბლადაცემული „გორილა“ ენას ვერ იღებს. მხოლოდ თავზარდაცემული თვალების ცქერა, — იცოდეს ყველამ, ის ვინც მსგავს საქციელს ჩაიდენს, ასევე დაისჯება!

— ახმახმა წინ წამოდგა ნაბიჯი. „გორილა“, ჯიშმაგარი ხის ვეება ჯირკო. დამბლადაცემულია. დაკორძილი, კუნთმაგარი სხეული დაუმჩვარდა. ჯერ იყო და გათეთრდა, შემდეგ ნაცრისფერმა იძალა და კიდევ უფრო მეტად მოეშვა...

— სიკვდილი ძუკნას! — იგრგვინვა ახმახმა და მაღლა შემართული ნაჯახი დაუშვა „გორილას“ თავზე. თავი შუაზე გაიპო. ჯერ ორ თეთრ ნახევრებად... და უცებ ეს თეთრი ნახევრები გაწითლდნენ — შადრევანივით იფეთქა სისხლმა.

ღმერთო, რამდენი სისხლი ჰქონია ადამიანს?

სექციაში მყოფთაგან არც ერთი არ განძრეულა. ზოგმა ასეთი

სურათის ყურებას ვერ გაუძლო და თვალები დახუჭა... შემოსუ
ლები კერპებივით სახეუძრავნი უხმაუროდ გავიდნენ. არც ქურდე
ბის წასვლის შემდეგ არავის არ უცდია გასვლა. მომხდარით თავ-
ზარდაცემულთ თვალებიდან გაუქრათ ინტერესი და დარჩა შიში
და ძრწოლა!

არა, იმ ღამეს სექციიდან არავინ არ გასულა და კიდევ დიდ-
ხანს ისმოდა „გორილას“ საწოლიდან იატაკზე დაცემული სახლის
წვეთების კაპ-კაპი.

არის შეცდომა, რომელსაც მხოლოდ სიკვდილი შლის

გაზაფხული მიიწურა. ზაფხულმა შემოდგა ფეხი. მზის მოლო-
დინში აღმოსავლეთი ისფრად აილეწა. ზონაში გაისმა ზარის ხმა —
ნიშანი სამუშაო დღის დასაწყისისა. ისმის მორიგე მეხანძრეების
ყვირილი: „ადექით!“

უჭირთ პატიმრებს ნეტარი ძილიდან გამოსვლა. მთქნარება.
გაზმორება. უწმაწური გინება... და კვლავ მეხანძრეების ყვირილი:
„ადექით!“...

ვისაც შერჩა ჯერ კიდევ საკუთარი მე, პირსაბანთან იკავებს
რიგს, სხვები რკინის ჯამებითა და კოვზებით სასადილოში მიეშუ-
რებიან. საშრობთან პატიმრები შეიყარნენ. შემინებულ თვალებში
ინტერესი ჭარბობს. კარებში მდგარი მეხანძრე შიგ არავის უშვებს.
აქვე მდგარი „კარაიედი“ ყვება:

— გარეცხილი თეთრეული მიმქონდა. ვხედავ კარები ღიაა.
შემეშინდა. საშრობი ხომ არ გატეხეს მეთქი... ვახტიორს ვაცნობე.
მორიგე ეშვით მიყურებს, თან მეუბნება:

— რატომ პირველმა შენ ნახე და არა სხვამო. მე ვეუბნები,
ვთქვათ, პირველი სხვამ ნახა. ამითი რა იცვლება მეთქი?... მეუბ-
ნება, ის იცვლება, რომ მაშინ პასუხს ისას მოვთხოვდითო... ამ ლა-
პარაკში მოვედით. პირველი ის შევიდა. წამიც არ დაუყოვნებია
დაფეთებული, უკან გადმოხტა... შევიხედე, რას ვხედავ...

— რა მოხდა? — კითხულობს ბულალტერიაში მიმავალი პავში.

— „პერეპიოლკამ“ თავი ჩამოიხრჩო! — პასუხობს ვიღაც.

— რა? — გაგონილს არ უჯერის პავში.

— „პერეპიოლკამ“ თავი ჩამოიხრჩო!

— სად?

— აგერ საშრობში.

პავში შედის საშრობში. აყროლებული ცივი ორთქლის სუნი
უსიამოვნოდ სცემს. მეხანძრემ პავშის შესვლაზე უარი არ უთხრა,
მაგრამ გააფრთხილა:

— ხელი არაფერს ახლო!

— არა, — მექანიკურად პასუხობს მიხეილ მარკოვიჩი.

საკიდარზე დაკიდებულ პატიმართა ტანსაცმელს შორის ჭერზე
გამობმული თოკით ჰკიდია ენაგადმოგდებული და თვალებგადმო-

კაკლული, სიშავემდის გალურჯებული ვლადიმერის გვამი. ნახულით
თავზარდაცემული პავში საზარელ სურათს თვალს ვერ აშორებს
თითქოს ვიღაც უხილავი ძალით აიძულებს უყუროს: „რატომ, რამ
აიძულა ასეთი საშინელი ნაბიჯის გადადგმა?.. როგორ უხაროდა დე-
დის წერილი, რომელშიც განთავისუფლებას ამცნობდნენ?.. რამ
აიძულა ასე სასტიკად მოპყრობოდა საკუთარ თავს?“ — ფიქრობს
პავში და პასუხს ვერ პოულობს... ისმის ჩოჩქოლი. პატიმრები გაი-
შალნენ. საშრობში შემოდის ოპერი და ვახტიორი. კოლონიაში
ასეთი სურათები არც ისე იშვიათია, მაგრამ ოპერი მაინც თავზარ-
დაცემული ჩანს.

— გამოუძახეთ ექიმს! — ბრძანა მოსულმა.

— უკვე გავაგზავნე, — პასუხობს კარებში მდგარი მეხანძრე.

— როგორ უხაროდა განთავისუფლება, რატომ გასწირა ასე
თავი? — ფიქრს ხმამაღლა ამხელს პავში.

— რა იცი, რომ მან გასწირა? — ეშვით პასუხობს ოპერი.

— მაშ, ეს რა არის?

— იქნება ჩამოახრჩვეს?

— ჩამოახრჩვეს? ვინ? რისთვის? — ახლა პავში ოპერს ვერ
აშორებს თვალებს.

— გავიგებთ, — ამბობს ოპერი. ისმის ჩოჩქოლი, საშრობში
შემოდის ზონის ექიმი სტეპან ნიკოლაევიჩი.

— გამარჯობათ, — ამბობს შემოსული და საშინელი სურათის
მნახველი უკან იხევს.

— ნახეთ, ძალა ხომ არ არის ნახმარი!

ექიმმა ჯერ მიცვალებულს ირგვლივ შემოუარა, შემდეგ იქვე
მიყუდებული კიბე მოითხოვა...

— ჩამოხსენით! — უბრძანა ექიმმა კარებში მდგარ მეხანძრეს.

— არ შემიძლია, — ტანთ გააჟრჟოლა კარებში მდგარს.

— ახლავე, — ამბობს იქვე მყოფი „კარაიედი“, რომელიც მარ-
თლა ჰგავს ხის ქერქიჭამია ხოჭოს. ორნი ეხმარებიან. მიცვალებუ-
ლი იატაკზე დაასვენეს. სტეპან ნიკოლაევიჩი ყურადღებით ათვალი-
ერებს გვამს...

— რას იტყვი? — მოთმინება არ ყოფნის ოპერს.

— ჩანს თვითმკვლელობაა...

„როგორ უხაროდა განთავისუფლება, რატომ, რატომ გაიმეტ-
თავი ასე სასტიკად?“ — პავშის არ ასვენებს ქინიანი ფიქრი.

— გაჩხრიკეთ! — ბრძანებს ოპერი.

ვახტიორი მიცვალებულს უსინჯავს ჯიბეებს:

— ინებეთ! — აწვდის საგულდაგულოდ გამოხვეულ ქაღალდს.

— წერილი? — ოპერი კითხულობს ვლადიმერის ჯიბეში ნა-
პოვნ წერილს: „ძმაო ილია! მაპატიე, რომ ძმას გიწოდებ, მაგრამ
ძლიერ მინდა ჩემი სიცოცხლის ამ ბოლო წუთებში გიწოდო ძმა.
ვიცი ჩემნაირი ბინძური გეზარება. გთხოვ დამიჯერო, სულით ყო-

ჯელთვის სპეტაკი ვიყავი... აკი მოგიყეევი როგორ გამაუბედურეს. ჩემი ცოდვა იმათ კისერზეა ვინც შიმშილი და კატორღული შრომა დაუწესა პატიმარს... მე არ აღმომაჩნდა ძალა გულაგის საშინელებიდან დამეხსნა თავი. ვიცი ჩემს გამაუბედურებლებთან ერთად მეც მიმიძღვის ბრალი.

რატომ, რატომ ვერ გავუძელი?!... დედის წერილი, რომელიც მამცნობდა განთავისუფლებას საბედისწერო აღმოჩნდა.

ჩემი გაუბედურების დღიდან თავი შემეზარა. რამდენჯერ ვცადე თვითმკვლელობა... ვშოულობდი თავის ჩამოსახრჩობად თოკებს, გულზე დასაცემ დანას, მაგრამ როგორც კი საქმე აღსრულებამდის მიდგებოდა, შეშინებული უკან ვიხევდი. რაოდენ პარადოქსულია, მაგრამ ჩემივე ტანჯვის შესამსუბუქებლად დავიწყე ქალის თამაში... შენ პირველი იყავი ვინც დამარწმუნა, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის დაკარგული... დხვიჯერე, ვირწმუნე, ჩემს ცხოვრებაში წაიშალა საშინელი წარსული... რომ იცოდე რა ბედნიერი ვიყავი ის უცოდველი რვა თვე... მაგრამ ბედნიერებამ განა დიდი ხნით გამანებივრა?... უბედურს გონება დამიდამბლავა — „პანტერას“ წინადადებაზე უსიტყვოდ გავყევი. ჩემდა გასაოცრად, ხორცის აღტყინებამ გამაკეთებინა ის, რაც მე არ მინდოდა. და კვლავ ამერია გზაკვალი. და ვაი, რომ უკვე შემოუბრუნებლად... იმ დასაწვავ ღამეს, როდესაც „პანტერამ“ საშრობში შემიყვანა, შორიდან ვიღაცას მოვკარი თვალი... ვიგრძენი ის შენ იყავი. მას შემდეგ შენთან შეხვედრას ვერიდებოდი. დღეს შემოვლის ფურცელზე ხელი ყველამ მომიწერა. ხვალ დილას ვახტზე მივიტან და მე თავისუფალი ვიქნები. მაგრამ ვაი თავო ჩემო რად გინდა თავისუფლება მაშინ, როდესაც წაბილწული ხორცით ვერ ვიცხოვრებ ჩემს საყვარელ წმინდა ადამიანებთან. ვერ ვეჩვენები. გადაწყვეტილი მაქვს აქედან ცოცხალი არ გავალ. სიკვდილი ერთადერთი მდგომარეობაა, რომლის დროსაც ცოდვას არ ჩავიდენ!... მე კი ისე მწადია განწმენდა!

ღმერთო, შემინდე ცოდვანი ჩემნი, რომელსაც საკუთარი სურვილების წინააღმდეგ ჩავდიოდი!

ღმერთო, ღმერთო, შემინდე ტკივილები, რომლებიც მშობლებს მივაყენე!

გადაწყვეტილია, თავს ვიკლავ. გამოგიტყდები სიკვდილის მეშინია და ისიც ვიცი, როდესაც თოკზე დავეკიდები. მეტკინება, მაგრამ ამ ტკივილს სიამოვნებით ავიტან, რადგან ჩემს თავს სასიკვდილო განაჩენი თვით მე გამოვუტანე. ამიტომაც ვბედავ გიწოდო ძმა!

იბედნიერე, გეთხოვები, უბედური ვლადიმერი.

P. C. ვიცი მორწმუნე ხარ, გევედრები, არ დაიზარო. ზოგჯერ ილოცე ჩემი წამებული სულისათვის. და კვლავ ჩემი ტკივილების დასამშვიდებლად გთხოვ, ჩემი დედიკოს წერილი, რომელსაც გიტოვებ, როგორც დედის უკანასკნელი ალერსი, საფლავში ჩამატანო“.

ცოცხალია

ზაფხულის დაღლილი დღე იწურება. მიხეილ მარკოვიჩ პავშიმ ეს არის, საბუღალტრო სემინარიის მსმენელები დაითხოვა. ფიქრებში წასული უზის მაგიდას: „თორმეტ დღეში სასჯელს დაამთავრებს... რა უცებ ჩაიქროლა ჯოჯოხეთურმა ათმა წელმა?...“ უკვირს, თითქოს გუშინ დაიწყო მისი უბედურება და აია ათი წლის წინათ... ფიქრებიდან გამოარკვია მაგიდაზე ვიღაცის დარჩენილმა უბის წიგნაკმა. „ნეტა ვისია?“ გაიფიქრა, მაგრამ ადგომა დაეზარა, — „ვისიც არის მოვა ხვალ და წაიღებს“... და კვლავ მოეძალა ფიქრები: „განთავისუფლდება, მაგრამ მერე რა ქნას, ოდესაში დაბრუნდეს?... რა უნდა იქ?... ყოველი ქუჩა, ყოველი სახლი ნადექდასა და კლავას მოაგონებს, ეს კი საშინელი ტკივილი იქნება“, — გაიხსენა საყვარელ დერეფასოვსკაიას ქუჩაზე შეხვედრები, თეატრიდან გამოსულმა როგორ აკოცა... შემდეგ ხელის მოწერა... კლავას დაბადება“.. გული საშინლად აუძგერდა: „არა, არა, მხთ გარეშე ოდესაში ვერ დაბრუნდება. არა თუ ცხოვრება, უბრალოდ გავლაც კი საშინელ ტკივილებს მოჰგვრის... აქ დარჩეს?... აკი უფროსმა შესთავაზა მთავარი ბუღალტრის ადგილი და ბინა, სხვა რა არის საჭირო ახლად განთავისუფლებულისათვის?... არა თოფით თუ არ გაიძულეს, აქ ვერ იცხოვრებ!“ — უეცრად სახე გაებადრა: „ილია თოფურია ხომ ღმერთმა შეახვედრა“. აგონდება: ძონძებში გამოხვეულს როგორ აერია ფეხი, მომავალს გზა ვერ დაუთმო, ქერამ წიხლი ჩასცხო, პავშის ეშინია და ხმას არ იღებს. მოხუცის დუმილი აღიზიანებს გულქვას და ახლა მუშტსაც უთავაზებს. პავშის ცხვირიდან გადმოსკდა სისხლი... თოფურიამ ვერ გაუძლო ძალადობას... დასცხო ქერას... საკუთარ სისხლში ამოგანგლული ქერა მიჰყავთ... შემდეგ მათი პირველი საუბრები... ციხე. კოსტია ბესსმერტნიმ როგორ დაალევინა არაყი... ილიას როგორ მოუყვა თავის უბედურებაზე. ახსოვს, ამ წუთიდან გულზე მოეშვა და პავშიმ დაიწყო სიცოცხლისაკენ შემობრუნება. თოფურია იქცა პავშის სულის ნაწილად... საოცარი ბიჭია ილია, დღე და ღამე დედას დარდობს და ამ დარდში მასაც უნაწილებს კეთილი გულის სითბოს. რვა დღეა, რაც სასჯელი დასრულა, ახლა პავშის განთავისუფლებას ელოდება... საქართველოში აპირებს მის წაყვანას... ბევრჯერ გამოუყვანია აპათიიდან... ქართველი პოეტის სიტყვებით ანუგეშებდა:...

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან — შვილნი სოფლისა,
უნდა კიდევაც მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს!“...

— „მე გაუბედურებულ ოდესელ ებრაელს მელოდება განთავისუფლებული ქართველი ილია თოფურია“. — პავშის გონება ნისლიანით ბურანმა მოიცვა. ეჩვენება რომ რაღაცეებს ხედავს, თუმცა გამოკვეთილად არაფერს... არეულ, ბუნდოვან სახეებში ამოიზარდა შავი გრანიტის მაღალი მთები, მთებს შორის დარჩენილ ველზე ყაყაჩოებიდან აინთო ცეცხლი. ცეცხლი საშინელ ხანძარში გადაიზარდა. პავშის უჭირს ნაბიჯის გადადგმა. სახეს წვავს ცეცხლის ალის მხურვალება. ეშინია. ცდილობს გაქცევას, მაგრამ ვერ ახერხებს. ცეცხლი გუგუნით მოიწევს. შეჰზარა. თვალების გახელა უჭირს. სცადა გაქცევა, მაგრამ დაეცა... სადაცაა ცეცხლი შთანთქავს... ალი სახეში სცემს... შეეხო. შიშით თვალები გაახილა. რას ხედავს: იქ, სადაც ცეცხლი გიზგიზებდა ედემი ჰყვავის. ედემში ისმის ნიავის ნეტარი გალობა, გალობს ნიავი, რომელსაც არც სახე აქვს და არც სხეული... მაგრამ მღერის, როგორც ხორციელი არწევს ედემის ნაირ-ნაირ ვარდებსა და ეგზოტიკურ ხეებს. არწევს და ოვოაებრივი გალობით ავსებს მიდამოს. ნიავის გალობა ნაზი. მშვიდი ნეტარებაა, რომელსაც თან სდევს ოდნავი სევდა...

გალობს უსახო და უხილავი, გალობს როგორც ცოცხალი არსება. გალობს საოცრად მომმაჯადოვებელ სიმღერას. და ამ სიმღერაში ჰანგებით მიმოაბნევს ზღაპრულ ნეტარებას. პავში ივსება სიხარულით, მთელ სხეულში აოჩქროლდა სისხლი... ძგერს გული. ძგერს და კიდევ უფრო მეტად უმატებს ცემას..:

რატომ ფეთქავს ასე ძლიერ?

ღმერთო ეს რა პატარა გული ჰქონია, რომ ვეღარ იტევს სიხარულით აღელვებულ სისხლს?... გულმა კიდევ უფრო მეტად უმატა ძგერას. პავშის ეშინია არ გასკდეს ერთი ბეწოს ოდენა სიცოცხლის ბურთი... უეცრად გაიხსნა საბუდარი და თეთრ მტრედად გარდასახული გული სილურჯემდის ცისფერი მზის სხივებით გაბრწყინებულ სივრცეში **გაიჭრა.**

ლაღობს სივრცეში **გაჭრილი.**

ლაღობს და თამაშობს. აიწევა ზევით, ზევით, კიდევ უფრო ზევით და უეცრად ცას მოწყვეტილი ქვასავით დაეშვება ძირს, რომ შემდეგ კიდევ უფრო მეტად აიწიოს და კიდევ ერთხელ ცასმოწყვეტილი ქვასავით დაეშვას.

...„ვეყო თამაში “! — ეძახის სიმღერით გალაღებული პავში. ცდილობს გული დააბრუნოს საგულეს. მაგრამ არა, გული არ უჯერის და ცის სივრცეში განაგრძობს ნავარდს.

„რატომ არ მჯერის? ნუთუ საკუთარმა გულმა დამტოვა?“ — ტკივა მწარე ფიქრი პავშის... შიშმა შეჰზარა, — „ეს საით მიფრინავს, რა უნდა იმ მხარეს, რა?“ — იტანჯება უგულოდ დარჩენილი და ცდილობს გაფრენილის საგულეში დაბრუნებას. მაგრამ!... გალაღებულმა დაუსაბამო სივრცის კამარა ფრთებით შეხსნა და გაუჩინარდა.

გასცქერის სივრცეს საგულეცარიელი. აღარც გული, აღარც

მზის ბრწყინვალებით სავსე სილურჯე, აღარც ღვთიურ ედემში ნიავის საოცარი გალობა და აღარც ყვავილების ბედნიერი ღიმილი...

დედამიწამ გახსნა პირი. „ნუთუ ჯოჯოხეთის კარებთან ვდგავარ?... უკვირს და არ ეშინია...

— მიხეილ მარკოვიჩ, მიხეილ მარკოვიჩ!

— აა! — ძილიდან ერკვევა პავში.

— რა მაგრად ჩაგძინებიათ, — ახლად გამოღვიძებულს თავს ადგას ილია თოფურია და უღიმის თავისი განუმეორებელი ღიმილით.

— ჩამძინებია...

— რა გესიზმრათ ისეთი, რომ ძლივს გამოგაღვიძეთ?

— რაღაც აბდა-უბდა, — თვალებს იფშვნეტავს პავში, — ნეტავი **რომელი საათია?**

— **რვა.**

— რამდენი საათი მეძინა? — უკვირს პავშის.

— **წავედით, თორემ გვაგვიანდება!**

— **სად?**

— დაგავიწყდათ, რა შეპირდით ლუდმილას?

— **არა, არ დამვიწყებია!**

— **მაშ ნუ ვაგვიანებთ!**

— **ილია,...**

— **ბატონო?**

— **გულახდილად უნდა გითხრა, არ მომწონს შენი და იმ ქალის დამოკიდებულება!**

— **არ მოგწონთ? რატომ?** — მოულოდნელი პასუხით გაოცებული ილია სკამზე ჩამოჯდა.

— **როგორც ვიცი, თქვენს დედიკოს ასეთი რძალი არ გაუხარდება...**

მიუხვდა მეგობარს ილია.

— **ჩვენს შორის ყველაფერი გარკვეულია!**

— **რა არის გარკვეული?**

— **არც იმას და არც მე ცოლქმრობაზე არავითარი პირობა არ** მიგვიცია, — ილია მაგიდიდან იღებს ვიღაცის მიერ დარჩენილ უბის წიგნაკს. მექანიკურად შლის, სურათიდან უღიმის ვიღაც ქალის არც ისე ლამაზი, მაგრამ ეშხიანი სახე:

— **თითქოს მინახავს? — ამბობს თოფურია.**

— **გინახავს? — უკვირს პავშის.**

— **ნახეთ! — ილია მეგობარს გაუწვდენს სურათს.**

პავშიმ სურათი გამოართვა. დახედა. სახეზე უხილავმა ტალღამ გადაუარა. „რა მოუვიდა?“ — უკვირს ილიას. **პავში სასწრაფოდ იკეთებს სათვალეებს. დახედა... მოხდა რაღაც მოულოდნელი.** მიხეილ მარკოვიჩს თვალები გაუფართოვდა. გააღო პირი, თითქოს ეს არის ვიღაცას უნდა დაუძახოსო... შემდეგ გაფითრდა, რო-

გორც გახამებული თეთრი ზეწარი და იქვე მოწყვეტილი იატაკზე გაიშლართა. წამით ილია დაიბნა... შემდეგ გონს მოეგო, მივარდა გულშეღონებულს:

— ძიხეილ ძარკოვიჩ, მიხეილ მარკოვიჩ! — ძლივს მოახერხა.

სკამზე პავშის დასმა. სახეში შეასხა წყალი.

— რა მოხდა? — კითხულობს გონსმოსული.

— გული შეგიღონდათ.

— გული? — და ცდილობს მოიგონოს რა მოხდა.

— ეს სურათი გაჩვენეთ!...

— სურათი მაჩვენე?

— დიახ, — ილია აწვდის იატაკზე დავარდნილ სურათს.

პავში აკვირდება:

— ღმერთო ჩემო, რა საოცარი მსგავსებაა! — ჩურჩულებს ნახულით გაოგნებული პავში .

— ვის გავს?

ოთახში ეძოდის პავშის მსმენელი, უხტიმის ერთ-ერთი სავაჭრო ორგანიზაციის ბუღალტერი ივან აკიმოვიჩ როგოვი.

— თქვენთან, მგონი, უბის წიგნაკი დამრჩა...

— ვისია ეს სურათი? — ჯიქურად ეკითხება მოსულს ილია თოფურია.

— ჩემი მაღაზიის გამყიდველია, — ნახევრად ირონიული სიცილით ამბობს როგოვი, — ან როგორც რუსულად იტყვიან თანამცხოვრები.

— რა ჰქვია?

— ნადეჟდა, რატომ მეკითხებით?

— რა გვარია? — კითხულობს სახე შეცვლილი პავში.

— სუმბატოვა!

— ცოცხალია? — ჩურჩულით აღმოხდა პავშის და იქვე გულშეღონებული მიესვენა.

ამბავი, პავშიმ რომ ათი წლის დაკარგული ცოლი იპოვნა, ნირობის შრომა-გასწორების კოლონიების ყველა მდგმურს მისწვდა. თვით მიხეილ მარკოვიჩი, ბედნიერი ბიჭივით ლაღობს. თითქოს გაახალგაზრდავდა კიდეც. ყველას უთმობს ყურადღებას და ცდილობს შეძლებისდაგვარად სასიამოვნო პასუხი გასცეს. თუმცა მისი საერთო დამოკიდებულება შეიზღუდა, რამდენიმე სიტყვის შემდეგ ცდილობს მოსაუბრის მოშორებას. არა, საუბარი კი არ ეზარება. უბრალოდ არ შეუძლია, ნერვიული დაძაბულობა არ აძლევს ამის საშუალებას, უფრო სწორად ნადეჟდასთან მომავალი შეხვედრით გახარებული სიმარტოვისაკენ მიილტვის. ცდილობს, მოიფიქროს, როგორ შეხვდება სანატრელს, რას ეტყვის და მის პასუხზე თვითონვე თხზავს, რა პასუხს გასცემს... ასეთი ოცნების ჟამს ხშირად შეეპარება შიში: „ვაი, თუ იგივე სახელითა და გვარით ვიღაც სხვა ცხოვრობს?“... ასეთი ფიქრით შეძრწუნებული, თავის დასამ-

შვიდებლად დახედავს სურათს და დარწმუნებული, რომ სინამდვილეში მისი ნადეჟდაა მშვიდდება... და კვლავ მიეცემა საამო ოცნებას: როგორ შეხვდება და რას ეტყვის და კვლავ მიშით გული ეკუმშება: „გზაში რომ ხიფათი შეემთხვას?“...

საერთოდ პავშის ნადეჟდასთან შეხვედრის წინ ორი დღე, სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი იყო. ხან იგონებდა ნადეჟდასთან ბედნიერი დღეების დროინდელ სიმღერებს და ჩუმად ღიღინებდა, ხან სანატრელს ოცნებაში გაუმართავდა დიალოგს და საკუთარი პასუხით კმაყოფილი ხმამაღლა იცინოდა, ხანაც განმარტოვებული უხმოდ ტირის. უდაო იყო, ნადეჟდასთან შეხვედრის მოლოდინით პავში ნერვიულ სტრესში იმყოფებოდა.

და კვლავ ფიქრი: „გზაში რომ რაიმე ხიფათი შეემთხვას?“...

„ღმერთო, დამიფარე უჟმური ეჭვებისაგან!“ — ზენას ემუდარება პავშის ნაწამები სული.

სექტემბრის თვის პირველი თოვლი უხმაუროდ გადაეფარა. ჩრდილოეთ ურალის მთა-ველს. ყინვამაც მკაცრად დაჰკრა. დაისადგურა სიჩუმემ. აფრენილი ჩიტების ფრთების ფრთხიალიც კი შორს ისმის ტაიგის სიღრმეში.

ილია თოფურია ნაცნობი გზით მიჰყვება როგოვს ნადეჟდასთან შესახვედრად. ილიამ, როგორც როგოვის სიტყვებიდან გაარკვია, ნადეჟდა დარწმუნებულია, რომ მიხეილ მარკოვიჩი არ არის ცოცხალი.

თოფურიასა და როგოვს მიასრიალებს მარხილში შებმული ნაცრისფერი ჭაკი. გზაში საუბარშა ილია დააეჭვა როგოვის პატიოსნებაში, „მეტად გაუზრდელი და უხეშია, თანაც საშინლად ეგოისტი,“ — ფიქრობს თოფურია, — „ასეთი ადამიანი, ალბათ, წესიერად ალერსსაც ვერ შესძლებს... სულ გამორჩენაზე უჭირავს თვალი!... ასეთმა კაცმა არ შეიძლება ვინმესთვის სიკეთე გაიმეტოს!“...

საუბრობენ ახლად გაცნობილნი, საუბრობენ და რაც მეტად ეცნობა თოფურია როგოვს, მით უფრო მეტად უკვირს: „ასეთ გაუზრდელ უხეშ ეგოისტთან რა საერთო აქვს ასეთ ღვთაებრივ არსებას, როგორსაც, თავის საუბარში უხატავდა პავში ნადეჟდა ანდრეევნას?“ — ისიც იცის, ამ შემთხვევაში ილიას შეხედულებას არავითარი აზრი არ აქვს, რადგან მისი ერთადერთი მისია ნადეჟდას ჩამოყვანაა. თოფურია ინტუიციით გრძნობს, როგოვს არავითარი სურვილი არ აქვს ნადეჟდა ანდრეევნა შეხვდეს მიხეილ მარკოვიჩს. და იმასაც ხედავს, როგოვი ამ შეხვედრაზე უარს ვერ ბედავს, მხოლოდ იმიტომ რომ პავშის მსმენელია და ამ შემთხვევაში ბევრი რამ არის მასზე დამოკიდებული. ილია როგოვს გზაშივე შეუთანხმდა, ცნობას იმაზე, რომ მიხეილ მარკოვიჩი ცოცხალია ნადეჟდას პირადად ახარებს.

როგორც გაირკვა, როგოვს ჰყავს საკუთარი ცოლშვილი, რაც შეეხება ნადეჟდა პავლოვნას, ის მისი მხოლოდ საყვარელია და სხვა არაფერი. ეს ორი ერთმანეთს სამსახურებრივმა მდგომარეობამ და-

ახლოვა. ივან აკიმოვიჩი იმ გაერთიანების ბუღალტერია, რომელშიც ნადეჟდა ანდრეევნა მაღაზიის გამგედ მუშაობს.

უხტიმს გვიან საღამოს მიაღწიეს.

მოსულებს ნადეჟდა თავის ბინაში დახვდა. მცირე საუბრის შემდეგ, ილია თოფურია ქალმა გააოცა — ეს არსება სრულიად ეწინააღმდეგებოდა, როგორც სულიერად, ასევე ფიზიკურად იმ პორტრეტს, რომელსაც პავში თავის საუბრებში უხატავდა. ვაჟს უკვირს: „ასეთი ქალისათვის როგორ შეიძლება ისეთმა კაცმა, როგორიც არის მიხეილ პავში, თავი სასიკვდილოდ გასწიროს?“... ცდილობს საკუთარი თავი დაარწმუნოს: ალბათ, შეხვედრის ამ, ძცირე დროში ვერ შესძლო ყველა იმ დადებითი თვისების დანახვა, რაც პავშიმ თხუთმეტი წლის ცოლქმრული ურთიერთობის პერიოდში აღმოაჩინა“... ილია, ძალიან გააკვირვა კიდევ ერთმა მეტად საგულისხმო გარემოებამ. ამბავს, რომელიც ათასნაირი მიხვეულ-მოხვეული შესავლის შემდეგ ნადეჟდას აცნობა, რომ მისი მეუღლე ცოცხალია და შესაძლებელია მასთან შეხვედრა, ქალში დიდი აღფრთოვანება არ გამოუწვევია... არა, არა, ილია დარწმუნდა, მეუღლის პოვნის ამბავმა, ქალი დიდად არ გაახარა. ასევე მიაჩნია, პავშის მიერ საუბრებში დახატული ნადეჟდა სხვა იყო, ხოლო ნადეჟდა, რომელსაც ის ახლა ხედავს სულ სხვაა. უკვირს და ვერ მიმხვდარა: მის მეგობარს რა მოეწონა ამ ქალში? უფრო სწორედ, ასე გაგიჟებით რამ შეაყვარა?... მთელი გულისყურით აკვირდება და მსგავსი რომ ვერა აღმოაჩინა, დაასკვნა: ალბათ, მხატვრების მსგავსად, ყოველი პიროვნება ყოველ ადამიანს თავისებურად ხედავს!?...

ყოველივე ამის მიუხედავად შეთანხმდნენ: ნადეჟდა ხვალ დილას ილიას გაყვება პავშისთან შესახვედრად...

მიდიან, გზაში საუბრობენ და ილია ხედავს, ქალი არც თუ შეუმჩნევლად ღელავს და რაც უფრო მეტად უახლოვდება პავშის ადგილსამყოფელს, ეს მღელვარება მატულობს, — „თუ იღვიძებს ძველი სიყვარული?“ — ზეიმობს ვაჟი. თოფურიამ გადაწყვიტა, რაც შეიძლება მეტი მოეთხრო ნადეჟდას სიყვარულის გამო პავშის წამებაზე, რადგან დარწმუნებულია, მეგობრის გასაოცარი სასიყვარულო ისტორია მოხიბლავს ქალს და გაუღვიძებს წლობით დაძველებულ სიყვარულს...

ჩრდილოეთის სტიქიის სიმკაცრით გახალისებული ტაიგა ამაყად დგას და თავის გულჩათხრობილ სამყაროს კიდევ უფრო მეტად იდუმალს ხდის. ნაცრისფერი ჭაკი, თეთრი ქათქათა თოვლით გადაპენტილ ტყეში მიასრიალებს მარხილს.

ილია ქალს უყვება მეგობრის გაუგონარ ამბავს. მთელი მონდომებით ცდილობს არ გამორჩეს მთავარი მაინც. ბოლოს, როგორც იყო, ნაჟედა ანდრეევნამ გაამხილა თავისი ფიქრი:

— როგორიც იყო, ისეთივე მეოცნებე დარჩენილა.

ილია თოფურიაზე ქალის სიტყვებმა უსიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა, უკვირს, პავშის მეგობარს: „როგორია ის სიყვარული, რომელმაც ეს ორი სხვადასხვა, ერთმანეთის საწინააღმდეგო არსება დააკავშირა?“.

ილიამ იცოდა, მიუხედავად იმისა, რომ პავშის ჯერ კიდევ პატიმრობაში დარჩენილი აქვს რვა დღე, უფროსობამ მეუღლესთან შეხვედრისათვის ზონის გარეთ, ცალკე ოთახი გამოუყო, სწორედ იმ სახლის მახლობლად, რომელშიც ლუდმილა ცხოვრობს.

სევდიანი შემოდგომის საღამო სწრაფად დაბნელდა. ცის მუქი სილრმიდან ამოტივტივდნენ ვარსკვლავები. ჯერ თითო-თითოდ, შემდეგ ხუთ-ხუთად, ათ-ათად, ოც-ოცად იმატეს და სულ მოკლე ხანში, თითქოს უხილავი შავ ხავერდზე ოქროს სიმებით ქარგავსო, ცა ვარსკვლავებით მოიჭედა. ილიას თვალწინ წარმოუდგა, მრუმე ღამეში ციცინათელებით აფეთქებული თბილი, კოლხური საღამო.

ო, როგორ ტყუპისცალივით ჰგავდა ვარსკვლავებით გაბრწყინებული ჩრდილოეთის ცა, კოლხურ შემოდგომის საღამოში ჩაძირულს. მაგრამ ერთის მკვეთრი განსხვავებით: აქ ცაზე ვარსკვლავები, როგორც დახატულ ტილოზე უძრავნი ანათებენ, იქ კი, მის კოლხეთში, ციცინათელები ცელქი ბავშვების უმანკო სულებივით როკავენ

ილია თოფურიას მახსოვრობას ნადეჟდასთან პავშის. შეხვედრიდან ერთი მომენტი სამუდამოდ აღბეჭდა: მიხეილ მარკოვიჩი საგანგებოდ გამოყოფილ ოთახში ელოდა.

განათებულ ოთახში პირველი ნადეჟდა ანდრეევნა შევიდა. ქმარი ცოლს, რაღაც სიტყვით აღუწერელი ზოძრაობით მოეხვია. დაეცა მუხლებზე და შემდეგ... რამდენიმე ათეული წლის შემდეგაც. ილია თოფურიას ყურში ჩაესმოდა მეგობრის ბედნიერებით გადმომსკდარი ქვითინი.

ცოცხალი კაცის რექვიემი

იმ ღამეს ლუდმილა და ილია საუბრობდნენ პავშის გაუგონარ ხღაპრულ თავგადასავალზე. საუბრობდნენ და საუბარში ელოდნენ დილას; რათა ეხილათ ბედნიერი მეგობარი.

პავშის განთავისუფლებამდის კიდევ შვიდი დღე რჩებოდა... როგორც იქნა ინათა. კოლონიიდან მოისმა სამუშაო დღის დაწყების მაუწყებელი ზარის ჟინიანი და ყრუ ხმა... ილია გარეთ გასვლას არ ჩქარობს, დარწმუნებულია ნაწამები მეგობარი ჯერ კიდევ სანატორელთან ნებივრობს... მაგრამ სულმა მაინც არ მოუთმინა და გარეთ გამოვიდა. ფიქრობს: „ჩავუვლი, თუ ამდგარია, გამოვა და დამიძახებს“... იცის პავშის წესი — ექვს საათზე დგება!...

მიდის ილია ჯერ გაუკვალავ თოვლში. ისმის მისი ფეხის ნაბიჯების ხრაშუნი. მიდის და უჩვეულოდ უცემს გული... აი, სადაცაა ბედნიერ მეგობარს შეხვდება...

— „ღმერთო, ესოდენ დიდი წამების შემდეგ აბედნიერე მიხეილ პავში!“ — ჩურჩულებს ილია.

მიაბიჯებს თოვლში და აწუხებს ტკივილიანი ფიქრი: „საქართველოში აღარ წამომყვება, ალბათ, ოდესაში დაბრუნდებიან?“...

ფიქრებით გართულმა ვერც კი შეამჩნია როგორ ჩაუარა სახლს, რომელშიც წუხელის დატოვა ხადეჟდა და მიხეილი... ძალაუნებრივად მოხედა თითქოს ჩავლილ სახლს: „ვინ არის, პარმაღის კიბეზე აჩრდილის მსგავსი, რომ ჩამოცუცქულა?“—გზის გაგრძელება სცადა, მაგრამ თვითონაც არ იცის, რატომ შეჩერდა. საფეხურზე მჯდომს დააკვირდა. უკვირს: „ეს რა ნაცნობი სახეა?“ — უცებ თითქოს თავზე ჭერი ჩამოენგრაო, — „ეს ხომ?...“

— მიხეილ მარკოვიჩ! პარმაღის საფეხურზე მჯდომი საბრალო სული შეჰყურებს და დუმს, — მიხეილ მარკოვიჩ, რა მოხდა? — თითქმის ყვირის ილია თოფურია... ლახდი თუ მოჩვენება გაბრუებული შეჰყურებს და პასუხს არ აძლევს. ახალგაზრდამ თვალები ამოიფშვნიტა — იმედით, მოჩვენება თუ აჩრდილი იქნება გაქრეს!... გინახავთ ბელურას სევდა, როდესაც ზამთარში ბავშვები ჩიტს დაუნგრევენ ბუდეს? ასეთ დროს ყინვაში ფიქრების საშინელი ქარი, წუხილი და უსაშველობაა... არსაიდან, არსაიდან შველა. მხოლოდ უმწეობა. საშინელი უმწეობა!

რა საშინელებაა, როდესაც ნათელი დღე უკუნ ღამეზე უფრო ბნელია!

ო, რა ცოდვა ტრიალებს ასეთ ჟამს, ბელურას ერთი ბეწო გულში!

„ღმერთო, მოავლინე სიკვდილი, აღარ არის საჭირო სიცოცხლე!“ — ჩურჩულებენ ვიღაცის ტუჩები და სულ ახლოს საათის ძსგავსად ისმის რიტმული ტაკა-ტუკი. ეს მიხეილ პავშის დაობლებული გულია.

რა საშინელი დუმილი სცოდნია წუხილს?!

— რა მოხდა, მიხეილ მარკოვიჩ? — გაბედა კითხვის გამეორება ილია თოფურიამ.

პავშის უნდა პასუხის გაცემა, მაგრამ ძალა არ შესწევს, მხოლოდ როგორც ბრძოლებში უიმედოდ დაჭრილი მეომარი თვალებით სიკვდილს ემუდარება, რომ შეუწყდეს საშინელი წამება, — რა მოხდა? — კითხულობს მეგობრის ხილვით თავზარდაცემული.

— ...ვერ ვიცხოვრე...

— მერე?

— სხვა მყავს, ასეთ ქმართან ვერ ვიცხოვრებო! — ამ სიტყვების წარმოთქმისას, როგორც დიდი ტკივილების ჟამს, უბედურს სახე დაეღრიჯა, ეს იყო პავშის, ბედისადმი ირონიული დაცინვა.

— რა? — შეჰყვირა, გაგონილით აღშფოთებულმა ახალგაზრდამ და უღონობის გამო იქვე კიბის საფეხურზე ჩამოჯდა.

— ღმერთო, ეს რა მოვისმინე? — წუხს ადამიანის პირუტყვის დონემდის დაცემით განადგურებული ილია თოფურია.

— კლავა სად არის?

— დაიღუპა, — ძლივს წარმოსთქვა ეს ერთი სიტყვა და იქვე გულწასული მიესვენა. იმ ღამეს ობლად იქცა პავშის არსება.

იმ ღამეს პავშის მთელი სამყარო თავზე ჩამოენგრა.

აგონია

დრომ დასასრულისკენ გადაიხარა, მზე, სადღაც იქ, შორს ჰორიზონტზე იღუპება. უხმაუროდ მოაბოტებს სიბნელე. ძოდის, რათა შეცვალოს ნათელი, ძაგრამ დღევანდელი დღე ეკუთვნის პავშის. არა, ამ დღეს ვერავინ ვერ წაართმევს, ეს დღე ჯერ კიდევ ტკივილებისა და გულის ფეთქვის დროა.

ნადეჟდას ციხიზმით განადგურებული პავში კოლონიის საავადმყოფოში დაწვინეს. აქ სიჩუმეა და ცოცხალი საცოდაობის უაზრო თვალთ ხედვა. პავშის მოსვენებას არ აძლევენ მტანჯველი ფიქრები:... ილია თოფურია მეგობარს დღე და ღამე არ შორდება იცის, პავშის მზე აღარ იმეტებს ნუგეშს. ბუნების ასეთი განაჩენი საბოლოო და მკაცრია!

(ღმერთო, სულ მცირედი მაინც გაიმეტე!)

როგორ უნდა პავშის პატარა გულს გასკდომა, მაგრამ არა, არ შესწევს ძალა.

ერთადერთი ხსნაა გაუძლოს!

ჩრდილოეთის ქარი და ყინვა, ...აქ ადვილია სიკვდილის პოვნა, მაშ, სადა ხარ?... სად! — კივის პავშის საბრალო გული!.. და კვლავ მარტოსული პავში და მისი სასოწარკვეთილი ფიქრები: „ვისთვის შემიწირია სიცოცხლე!?“ — არ სჯერა მომხდარის: „იქნებ სიზმარეული კოშმარია?“ — ხელებით ისინჯავს სხეულს, — „არა, არა ცხადია.“ — სულში მწარედ ჩასძახის ღამედ ქცეული დღე... წამებას ვეღარ უძლებს, შეშლილი თვალების ცეცებით წამოხტება... და კვლავ ზრუნვით აწვენენ და კვლავ არწმუნებენ და სთხოვენ დამშვიდებას...

პალატაში ორი მცველითურთ შემოდის ლუდმილა :

— ილია! — მდურვით მიმართავს ქალი.

— როგორ მოახერხე შემოსვლა? — ეკითხება ვაჟი, რადგან იცის, ზონაში უცხო პირთა შემოსვლა სასტიკად აკრძალულია, მითუმეტეს ქალის.

— იან ინოკენტოვიჩს ვთხოვე!... როგორ არის? — ირონიით გაიქნია თავი ლუდმილამ სიცხიანი პავშისაკენ.

— ცუდად! — მშრალად პასუხობს თოფურია.

— დღეს მოხვალ?

— ალბათ ვერ შევძლებ...

— ხვალ?

— თუ ასე იქნა?...

— შენთვის ეს პატიმარი უფრო ძვირფასია, ვიდრე ჩემი სიყვარული?

— ამ პატიმარს ჩემს გულში თავისი ადგილი აქვს, შენ კი შენ — მკაცრად პასუხობს ილია.

— გამოდის ეს შენთვის უფრო ძვირფასი ყოფილა?

— ლუდმილა, როგორ შეიძლება ამ ორი რამის ერთმანეთთან შედარება?

— ესე იგი, შედარებაც არ შეიძლება?
— არა.
— მაშ, არ მოხვალ?
— როდის?
— ახლავე, ამ წუთას! — თვალებიდან ცეცხლს აფრქვევს ქალი.
— გაიგე, ამ უბედურს ჩემს ძეტი პატოროხი არ ჰყავს!
— მაშ, გიცხადებ, დღეს ჩემს ლოგინში შენს ადგილს სხვა დაიკავებს!

ვაჟს მწარე, გამანადგურებელი ირონიით გაეღიმა, რადგან ამ ქალში აღმოაჩინა არარაობა!

პასუხობს მეტად მშვიდად:

— შეგიძლია, თუ კი ასეთი რამ შესაძლებლად მიგაჩნია!..
— შეძიძლია! — კივის შეურაცხყოფილი ქალი და პალატიდან გასული მთელის ძალ-ღონით უჯახუნებს კარს.

„ცხოველი!“ — გაიფიქრა ვაჟმა და ბოდვებს აყოლილ პავშის დაუწყო დამშვიდება:

— მიხეილ ძარკოვიჩ დაწყნარდით!.. მიხეილ მარკოვიჩ!..

ო, როგორ მომაბეზრებლად ესმის, ზოგჯერ გონსმოსულ პავშის ილიას ეს თხოვნა, თუ მუდარა!

ღმერთო, როგორ მომაბეზრებლად სთხოვენ!..

უგონობაა დამშვიდება სთხოვო ღალატითა და მიტოვებით დაკოდილს!... და კვლავ ტკივილი: „ნუთუ მთელი სიცოცხლე სიცრუეს ველოლიავებოდი?.. ნუთუ გულწრფელი სიყვარულისათვის დავისაჯე?.. მე მის ძებნაში უიმედობამ თვითმკვლელობამდის ძიმიყვანა, ნუთუ ის უბედური დღეები უფრო მეტად შინაარსიანი აღმოჩნდა, ვიდრე დღევანდელი, როდესაც ვიპოვე დაკარგული?“

რა საშინელება ყოფილა ნიღაბჩამოფარებული ძოღალატის ხილვა!.. და კვლავ შეშლილი თვალების ცეცებით გარბის... კვლავ იქერენ. კვლავ ცდილობენ დაამშვიდონ და კვლავ „ვისთვის შემიწირია სიცოცხლე?“...

პავშის ჩაეძინა. ილიამ დახედა საათს. ორის ოცი წუთია. ოთხი დღე-ღამის უძილომ სცადა სიფხიზლე. მაგრამ ტანმა სძლია და წამოწვა, თვალები საშინლად ეხუჭება. ქუთუთოები დაუმძიმდნენ. სცადა გახელა. მაგრამ არა, ვერ ახერხებს. ო, რა საოცრად ეამა დაწოლა. ახსენდება ბავშვობაში, როდესაც ყური ასტკივდებოდა. დედა როგორი სლერსით ჩაუწვეთებდა ჩაის კოვზით შემთბარ ქაფურს... გაივლიდნენ წუთები და რა საამოდ ტოვებდა ტკივილი... დაღლილობაც ხომ ტკივილია?!

ძილისპირულ ეიფორიაში თავს არ ანებებს ასპიტად ქცეული ლუდმილას სახე... საოცარია, გაცხობის პირველი დღიდან რამდენსინაზე, რამდენი სიკეთე, რამდენი მოკრძალება და ალერსი იხატებოდა ამ თვრამეტი წლის არსებაში. ახლა საიდან ამდენი საპირისპირო თვისება?... საიდან ამდენი თავხედობა?... ეს, რა უთხრა: „შენს ადგილს სხვა დაიკავებსო!“... საიდან ამდენი უსირცხვილობა?

საიდან ამდენი უარყოფითი, ამ პატარა გოგონას, ჯერ კიდევ სიცოცხლის დასაწყისში?!

უძილობით გადაღლილ თოფურიას მალე ჩაეძინა. ჩაეძინა ძილის შეუდარებელი ნეტარებით. ჩაეძინა ძილით, რომლის დროსაც გონებას წართმეული აქვს აზროვნების ყოველგვარი ფუნქცია — ძილით, რომლის დროსაც ტვინი მხოლოდ ისვენებს. ძილით, როდესაც არ ხედავენ სიზმარს.

ფსიქიატრი ჩიკი ამტკიცებს: ტვინი სიფხიზლეში იწამლება. ხოლო საწამლავი გამოდის ძილის დროს — ალბათ ამიტომაა ძილი ასე ნეტარი.

ილიას მკვდარივით ეძინა.

ღამის ორ საათზე საავადმყოფოს მეფლეველ ილიას აღვიძებს, მაგრამ ვერა. ვერც ძახილით და ვერც ნჯღრევით ვერ გააღვიძა.

ასე მთელი ათი წუთი. ჯერ იყო და გაიფიქრა: „ვიტყვი ვერ გაიაოიძე მეთქი“... მაგრამ წასვლა ვერ გაბედა: „როგორ უთხრას ოპერს ვერ გავაოიძეო?“ და მიუხედავად იმისა, რომ ილიას დიდი ხათრი ჰქონდა, მტკიცედ გადაწყვიტა გააღვიძოს.

— ილია, ილია! — თან მთელი ძალღონით შეანჯღრია.
— აა. — ძილშიეე ვაისმა თვალდახუჭული თოფურიას ხმა. გადატრიალდა მეორე მხარეს და განაგრძო ძილი.
— ილია, ილია! — ღამის საწოლიდან გადმოაგდო მძინარი მეფლეველის ძახილმა. როგორც იყო ცნობიერებამდის მიაღწია. ილიამ იცის — უნდა გაახილოს თვალი. მაგრამ ტყვიასავით დამძიმებულ ქუთუთოებს ვერ წევს. ამიტომაც ძლივს წარმოთქვა:

— რომელი ხარ?
— მე ვარ. „სლიპოი“!
— რა ვინდა?
— ოპერი ვთხოვს
— ოპერი? თვალდახუჭული ილია საწოლზე ნახევრად წამოჯდა.
— ვინ ოპერი?
— ჩვენი კოლონიის ოპერი, ნიკოლაი ოსიპოვიჩი!
— მე? — ილიამ მოახერხა თვალების გახილა.
— „ორიოლას“ მკვლელობის საქმეზე მოსკოვიდან გამომძიებელია ჩამოსული.

დიდი ხანი პატიმრობაში გატარებულ თოთურიას არა ეი ვახსენებია. რომ ოდეს ორი ვეირაა რაც გაანთავისუფლეს. ნახევრად მძინარმა ძლივს მიაგნო პირსაბანს. შეისხა წყალი. ერთხელ, ორჯერ... ვიდეი. — ვინ არის ჩამოსული?

— გოლაგის გამომძიებელი.

ილიას გონება სწრაფად ამოქმედდა... ხო. თავისუფალი ვარ. პავშის ვიოლოდენი. გამომძიებელი „ორიოლას“ მკვლელობაზე... მკითხავენ ვინ და როგორ მოკლა... თუ როგორ სინამდვილეში იყო ისე მოუყვეიშა გარეწრის მკვლელობს. სასჯელს დაუმატებენ. არა. მკვლელებს კი არა შურისმაძიებლებს!... არა, არა, ასე არ ივარგებს. ვინ იცის ისინი რას და როგორ იტყვიან...

— იჩქარე, დიდი ხანია გელოდებიან. — წუხს „სლიპოი“.
— მელოდებიან?...
— მთელი ნახევარი საათია ვერ ქაგალვიძე...
ილიას გონება მთელი დატვირთვით განაგრძობს მუშაობას: „ჯერ ისინი უნდა ვნახო, და როგორც მეტყვიან“...
— უთხარი მოდის თქო!
— კარგი. — მორიგე მიდღევეს გულზე მოეშვა. სქელშუშებიანი სათვალე გაისწორა და სწრაფად გავიდა.
ილია თოფურია იზოლატორის შენობასთან მივიდა. მოშორებით კუთხესთან ჩამჯდარ ყარაულს ღრმა ძილით სძინავს. ილიამ მოიგონა „თამბეგა“ განსაკუთრებულ შემთხვევაში სტვენით როგორ ნიშანს იძლეოდა... დაისტვინა.. პასუხი არ ისმის. სტვენა განმეორდა. წამიც და იზოლატორის სარკმლიდან მოისმა „თამბეგას“ ნაცნობი ხმა:
— რომელი ხარ?
— მე ვარ ილია.
— რა იყო, ილია?
— „გორილას“ მკვლელობაზე, გულაგიდან გამოგზავნილი გამომძიებელი დაკითხვაზე მიხმობს.
— შენ არ განთავისუფლდი?
— პავშის ველოდები...
— ილია!
— გისმენ, „თამბეგ“?
— მთვრალი იყავი და არაფერი არ გინახია...
— გასაგებია...
— ძია მიშამაც ასე თქვას...
— ძია მიშა უგონოდ წევს საავადმყოფოში.
— რა მოუვიდა?
— გრძელი ამბავია... ვერ დაკითხავენ.. „თამბეგ“, სექციაში ოცდაათი კაცი იყო, ისინი რაღას იტყვიან?
— ილია!
— გისმენ?
— იქნებ მოახერხო — ოპერმა მნახოს?
— ვეცდები. — ილიამ წასვლა დააპირა.
— დაინტერესე, გასაგებია?
— გასაგებია. — ილიამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მიმავალ ქურდის ხმა წამოეწია.
— პასუხი მაცნობე!
— აუცილებლად:.. — ილია სწრაფად გაშორდა იქაურობას.
— რომელი ხარ? — გაისმა გამოღვიძებული მეთვალყურის ხმა, მაგრამ თოფურია უკვე შორს იყო...

ილიამ ვახტიდან გამოსვლისთანავე შეხედა ოპერის ფანჯარას. ელექტრონის შუქზე იცნო თეხზე მდგარი ოპერის სილუეტი, ვიდაც მაგიდას უჯდა, — „ეს, ალბათ, გულაგელი გამომძიებელია“, გაფიქრა და წასასვლელად გადადგმული ნაბიჯი შეაჩერა: „არა, ასე მოუფიქრებლად როგორ შევიდეს?“... ყურში ჩაესმა „თამბეგას“ ხმა: „იქნებ მოახერხო ოპერმა მნახოს“... „არა, იმ ვიდაც ოხერს ხომ არ ვეტყვი ნახე მეთქი“. და კვლავ ნათლად ესმის ქურდის ხმა: „დაინტერესე“... „ესე იგი ოპერს უნდა ელაპარაკოს... კი, ვეტყვი, მთვრალი ვიყავი მეთქი, მაგრამ ბიჭებს რომ ჩემი დამოწმება დასჭირდებათ?“... ამ ფიქრებში იყო გართული, რომ მჯდარი სილუეტი წამოდგა... გაურკვეველი მოძრაობები... თოფურია ხვდება: „ეტყობა მაზარას იცვამს“. მხოლოდ ახლა შეამჩნია ოპერს ქუდიც ახურავს. „ესე იგი წასასვლელად ემზადებიან... გამოვლენ და დამინახავენ, უკან რომ შებრუნდნენ?... არა, ჯერ ოპერს უნდა შეეხვეწო გამოდიან, ამ ბოძს ამოვეფარები“, სწრაფად იქვე მდგარ ელექტრონის ბოძს ამოეფარა.
ოპერის კაბინეტში სინათლე ჩაქრა. გაიღო კარი. ოთახიდან ბოლქვებად გამოვარდნილი სითბო და თამბაქოს ბოლი ცივ ღამის სიერცეში გაიფანტა. პარმაზე გამოიკვეთა ორი სილუეტი... გაისმა სანთებელას ჩხაკუნი. სუსტმა სინათლემ ოდნავ გაანათა უცნობი სახე.
— ღამე მშვიდობისა, ამხანაგო მაიორო. — გაისმა ოპერის ნაცნობი ხმა.
— ხვალამდის. — ბრძანების ტონით უპასუხა ცენტრიდან ჩამოსულმა და პარმაღის მარცხნივ მდგარ შენობისაკენ აიღო გეზი.
ოპერი რამდენიმე ხანი იდგა, თითქოს რაღაცის თქმას აპირებსო, ბოლოს ხელი ჩაიქნია და მარჯვნივ მიმავალ გზას დაადგა. თოფურია თრთხილად მიჰყვა. მიდის და თან ფიქრობს: „ახლა ვეტყვი, თუ დამთანხმდა ხომ კარგი, არა და ვეტყვი მთვრალი ვიყავი მეთქი“... გადაწყვიტა და ნაბიჯს აუჩქარა... რამდენიმე წამში წამოეწია. ოპერი სწრაფად შემობრუნდა. „შეეშინდა?“... გაიფიქრა ილიამ...
— შენ ხარ?
— დიახ...
— რატომ არ მოხვედი?
— პავში არის ცუდად...
— ახლა სად მიდიხარ?.
— თქვენთან!
ოპერმა საათს დახედა:
— გულაგიდან ჩამოსულ მაიორს შენთან შეხვედრა უნდა... ახლა უკვე გვიანაა
— ნიკოლაი ოსიპოვიჩ, მე თქვენთან მაქვს საქმე!
— ჩემთან?
— დიახ, პირადად თქვენთან.
— გისმენ?
— ნიკოლაი ოსიპოვიჩ, სანამ მაიორი დაკითხავდეს, „თამბეგას“ თქვენთან უნდა შეხვედრა.
— მე ხომ დავკითხე?

— წუხელის მთხოვა შემახვედრეო!
— შემახვედრეო...
— იქნებ ახლავე მოახერხოთ?
— ასე სასწრაფოა?
— ნიკოლაი ოსიპოვიჩ, გულახდილად მითხარით, მენდობით თუ არა?

ოდნავი შეყოვნების შემდეგ საიდუმლოდ წაიჩურჩულა:
— კი, გენდობი.
— „თამბეგას“ თქვენთან სერიოზული სალაპარაკო აქვს...
— თუ ასეა...
— ჩამოსულ მაიორს იცნობთ?
— ისე რა..
— როგორი კაცია?
— ისინი ყველანი ერთნაირნი არიან.
— ქურდებს, კარგა დიდძალი თანხა აქვთ!
დუმილი.
— თანხა?
— კარგი ბიჭები არიან, „გორილა“ კი თქვენც კარგად იცით როგორი გარეწარიც იყო.
ოპერი ჩაფიქრდა.
გრძელი პაუზა.
— ამბობ, ჩემთან უნდათ ლაპარაკი?
— „თამბეგას“ პირადად თქვენთან სურს ლაპარაკი...
— კარგი, წამო ვნახოთ! — თქვა და სწრაფად წამოვიდა ზონისაკენ.

გზაში არც ერთს და არც მეორეს სიტყვა არ დასცდენია. ვახტში შესულმა ოპერმა მორიგეს ბრძანება მიუგდო:
— კარცერიდან ქართველიშვილი ჩემთან!
— არის! — იყვირა ნამძინარევმა ვახტიორმა და გავარდა კარებში...

ილია თოფურია ოპერს კაბინეტში შეჰყვა.
— ახლავე ყველაფერი გაირკვევა, — ამბობს ოპერი თავისთვის და ანთებს სინათლეს.
— „თამბეგას“ სიტყვა ნაღდია...
— მაშ მენდობიან, — წაიჩურჩულა ოპერმა და როგორც სასიამოვნო რამის მოლოდინის ჟამს ხელებს თითებით დაუწყო სრესა.
— საკუთარი სიცოცხლით ვარ პასუხისმგებელი!
— „თამბეგ“, „თამბეგ“, — თავისთვის ჩაილაპარაკა ოპერმა და სკამზე ჩამოჯდა. — მაგრია?
— როგორც მათივე სამყაროდან ვიცი, ძალზედ მაგარი...
— მეც ასე მითხრეს.
— თქვენ საიდან? — დაინტერესდა თოფურია.
— მთელს ჩვენს ლაგერებში მაგარი სახელი აქვს...
— კოსტია ბესსმერტნი გაგიგონიათ?

— კი, ბუკოტკიდან ძალსოვს...
— ის დიდ პატივს სცემდა...
კარებზე გაისმა კაკუნი.
— შემოდი!
მორიგე ვახტიორმა „თამბეგა“ შემოიყვანა.
— თავისუფალი ხა... — მიმართა ვახტიორს ნიკოლაი ოსიპოვიჩმა.
მორიგე ვახტიორი უსიტყვოდ გავიდა.
— „თამბეგ“ — წამოიძახა ილიამ და გაბარებული მოეხვია შემოსულს.
სიყვარულით სავსე დუმილი.
დუმილი თბილი და მეგობრული.
დუმს ქართული სითბოთი გაოცებული ოპერიც...
— დაჯექი „თამბეგ“! — თქვა ოპერმა და მეგობრულად გაულიმა ქურდს.
— გმადლობთ, — ამბობს გაბალისებული „თამბეგა“ და ჯდება.
— მე თოფურიას ვენდობი, ამიტომ შენც ვენდობი!
— გმადლობთ, უფროსო, — ამბობს ქურდი.
— მაგრამ გაფრთხილებ, ჩემზე ცოტაა დამოკიდებული, მთავარი მაინც ჩამოსულია.
— ცდა ბედის მონახევრეა, — ამბობს „თამბეგა“.
წამიერ დუმილს ილია თოფურია აროვევს:
— თქვენ შეთანხმდით... ორივეს პასუხისმგებელი მე ვარ, — ამბობს ილია და გადის.
ქურდი ხვდება, რომ ილია პირისპირ სალაპარაკოდ სტოვებს. „იცის რომ ასეთ საქმეში მესამე ზედმეტია“, — ფიქრობს ქურდი და თან სინანულით გასცქერის კარებში გასულს: „ასეთი კარვი ვაუკაცი რატომ არ არის ქურდიო!“.

სექტემბრის თვის ცხრამეტ რიცხვს მიხეილ პავში გაანთავისუფლეს. შინისაკენ მიმავალი გზა უხტომზე გადის. მარხილის სადავეს უნის ზაიცევი. „ბრაგით“ ნამთვრალევს უჭირს ლაპარაკი. აქვე, სათბურტანსაცმელსზემოთ საბანმოხვეული პავში ზის. ილია ხშირ-ხშირად აფარებს ჩამოვარდნილ საბანს... ტაიგის იდუმალ, პირქუშ სიჩუმეში იფანტება მოგონებებით აფეთქებული თვალების სასოწარკვეთილი მზერა. თოვლზე მარხილის სისინსა და ნაცრისფერი ჭაკის ფლოქვების ბაკა-ბუკში ისმის რამდენიმე უშინაარსო სიტყვა: „ნუთუ“... „სიზმარია“... „შეუძლებელია!“...
— მიხეილ მარკოვიჩ, რა მითხარით? — ეკითხება ილია, მაგრამ ხმა არ აღწევს პავშის სმენამდის... სიჩუმეში ისმის ნაღვლიანი, ოდნავ ხრინწმოკიდებული სამთო ტენორით:

«Ямщик не гони лошадей...
Мне некуда больше спешить»...

ეს სიმღერა, თუ ტკივილი პავშის პასუხია მეგობრის შეკითხვაზე.. ილია დაეჭვდა. მეგობარს მაჯაში წაავლო ხელი. შიშით გაფიქრა: „სიცხე აქვს!“...

სამხურვალემ ავადმყოფს ტუჩები დაუთრთვილა... შორს გაჩნდა მბუუტავი სინათლე. ჯერ ერთი, ორი, ხუთი... — ეს დასახლება უხტიმია, ილიამ დახედა საათს: „რა დრო გასულა?“...

— სად განერდებით? — ძლივს ახერხებდა ორი სიტყვის თქმას ნაბახუსევი ზაიცევი.

— ექიმთან, — პასუხობს თოფურია... ამ რუს ინტელიგენტიან ბევრჯერ უკამთია, ორჯერ, თუ სამჯერ ღამეც კი გაათენა... ფიქვის მრგვალი მორებისაგან შეკრული სახლთან მარხილი გაჩერდა...

— ახლავე, — ამბობს ილია და მსუბუქად არბის ბარმაღის ოთხსაფეხურიან კიბეზე...

აკაკუნებს:

— რომელი ხარ? — ოთახიდან ისმის მამაკაცის რბილი ხმა.

— მე ვარ ილია თოფურია!

— ახლავე...

ილია ხან ერთ ფეხზე დგას, ხან მეორეზე, არა, არ ცივა, ნერვიულობს, მეგობარს მაღალი სიცხე აქვს.. გაისმის ვასაღების ჩხაკუნი. კარები გაიღო:

— მობრძანდით!

— ვლადისლავ პავლოვიჩ, მარტო არ ვარ, მეგობარი მახლავს!

— შემოიყვანეთ!

ილიას შემოჰყავს საბანმოხვეული პავში...

— დღეს გაანთავისუფლეს...

— მომალოცნია...

— წავედი! — გარედან ისმის ზაიცევის ხმა...

— გმადლობთ! — მიაძახა პარმაღზე გამოსულმა ილია თოფურიამ.

— წყალი! — ოდნავ გასაგონად ჩურჩულებს პავში და თვალებს უაზრო ცეცებით ჯდება სკამზე. მასპინძელი აწვდის წყლით სავსე ჭიქას.

— რა მოუვიდა? — კითხულობს ექიმი.

— ნერვიული ტრავმაა! — ყურში ჩასჩურჩულებს ილია.

ექიმი ავადმყოფს შუბლზე ადებს ხელს, შემდეგ ყურადღებით უსინჯავს მაჯას.

— აქ, რაღაც სხვაც არის, — ამბობს და გადის ციცქნა სამზარეულოში...

— მიხეილ მარკოვიჩ, როგორ ხართ?

— კარგად! — პასუხობს წყმით გოსსმასული და კვლავ ეარდება უგონობაში...

— სანამ ცხელი წყალი იქნება, დაავადოთ! — აწვენენ, — ბუწიე ბერანგი, მოვუსმინო!...

ექიმ. ყურადღებით უსმენს...

— ვლადისლავ პავლოვიჩ, რა ჭირს?

— ფილტვების ანთება, მეტად მძიმე ფორმებში...

დუმილი.

ადამიანები სიკვდილის შემდეგ ვერაფერს ცვლიან, მხოლოდ გლოვითა და ცრემლებით ინუგეშებენ თავს. ტკივილის დაოკება მხოლოდ დროს შეუძლია. მაგრამ პავშის მეუღლე ნადეჟდა არ მომკვდარა, ქალმა მეუღლის სიყვარული ხორცის წუთიერ აღტყინებაში გაცვალა. არად ჩათვალა ის დიდი გრძნობა, რომლისთვისაც მიხეილ პავში მთელი სიცოცხლე ანთებული სანთელივით იწვოდა. ნადეჟდამ სიწმინდეს სულში ჩააფურთხა!

ღალატი!

ღალატი, ამქვეყნიურ წამებათა შორის უსასტიკესია... ნადეჟდამ პავშის გული მოპარა და ახლა სახედაღრეცილი რქიანი ეშმაკები საბრალო გულს, ერთი წამების სასაფლაოდან მეორე წამების სასაფლაოზე მიასვენებენ. საცოდაობის პროცესიას მხიარული სიცილით მიაცილებენ პავშის ყოფილი ცოლი ნადეჟდა პავლოვნა სუმბატოვა და ივან აკიმოვიჩ როგოვი.

პავშის გადარჩენის იმედი ექიმს აღარ აქვს, ამ უბედურის სიცოცხლეზე ამ ქვეყნად ერთადერთი ადამიანი ლოცულობს, — მისი მეგობარი ილია თოფურია.

ღამე ავადმყოფმა საშინელ ბოდვებში გაატარა. პავშის დასიცხულ გონებას არ ასვენებენ მოჩვენებები: მოგორავს ვეებერთელა ბურთისმაგვარი სხეული. ეს ვეება დევის მოჭრილი თავია. თავს გამოება ობობას მსგავსი გრძელი ფეხები. პირის ჭრილი ერთი ყურიდან მეორე ყურამდის. თეთრი კბილები სამ-სამი, ზემო და ქვემო ყბაზე. ორ ღრმა ორმოში ელავენ მოწითალო-ლურჯი ფერის ნაკვერჩხლები. თვალები მოძრავი ბრაზი. თავი, როდესაც იცინის ნადეჟდას ემსგავსება, თავმა პირიდან შავი სითხე გადმოანთხია, გადმონთხეულ სითხეს ელვის სისწრაფით გაუჩნდა ცეცხლი. ცეცხლი ცოცხალ არსებად გადაიქცა და ცაში აფრილი სისინით დასრიალებს. თავი მიწაზე ობობას ფეხებით დარბის და აწკაპუნებს კბილებს. თვალები უელავს, როგორც ორი შხამიანი ბურთულა, თუ ბოროტი ბრაზი. ორი თვალი ხან წითლდება, ხან ლურჯდება და ხანაც ყვითლდება. ბრაზობს ვეება თავი. ყურების მაგივრად ორთავ საფეთქელთან ტკიბასავით მიკრობია ორი პატარა მაიმუნი და იკრიჭება. წარბების ნაცვლად ძაფივით წვრილი გველები ფუთფუთებენ... შეშინებული პავში შრბის თქალუწვდენი სიმაღლის კოლონებიან დარბაზში. თეთრი მარმარილოს იატაკზე დგანან შავი გრანიტის უხეშად თლილი ბიზონები. ბიზონები თვალებიდან ამოქროვენ ცეცხლს. ციდან მთისმის ზარების ხმა. ბიზონებმა თავები შეაქანეს, შემდეგ თვალებიდან ჯამდნარი ფოლადი გადმოანთხიეს და დაიწყეს ცეკვა. ჯერ ნელა, შემდეგ უმატეს ტემპს... უფრო სწრაფად, კიდევ უფრო სწრაფად!.. ცეკვა გადაიზარდა შეშლილ მოძრაობაში. პავშის უშნია ამ სიგიჟეში ბიზონებმა არ ჯასრისონ. ხან სად ირბენენ და ხან სად. უეცრად მეტად მოულოდნელად. ბნელი ციდან გაისმა საშინელი გრგვინვა. მიწა შეტორტმანდა — შეირყა. პარმარიგოს კოლონები და

დარბაზი ინგრევა... პავში გარბის, უკან მოსდევს შავი ბიზონი... ობობას ფეხებიანი ვეება დევის თავი, თუ ნადეჟდა ხარხარებს... ისმის შემზარავი კივილი. საიდანღაც გამოხტა ერთი ბეწო კატის კნუტი. კნუტი საოცარის სისწრაფით იზრდება, თითქოს დევები ბავშვის რეზინის სათამაშო ბურთს ბერავენ. კნუტი დიდ მთას გაუტოლდა... პავში ცდილობს გაიქცეს... არა, ფეხს ვერ დგამს. გაჭვავდა, კატამ ჩაასო ბრჭყალები. პავში ყვირის: „მიშველეთ!“

— მიხეილ მარკოვიჩ! მიხეილ მარკოვიჩ!.. — ავადმყოფი თითქოს გონს მოეგო. მიიხედ-მოიხედა. ილიას ვერც კი ამჩნევს. რაღაცას მთელი გულისყურით უსმენს...

— მოდის? — შეშინებული ჩურჩულებს.

— ვინ მოდის? — ეკითხება შეცბუნებული ილია.

არა, პავშის მეგობრის შეკითხვა არ ესმის... მეტად დაძაბული ვიღაცას, თუ რაღაცას უსმენს. სახეზე თითქოს სავსებით ნორმალურად გამოიყურება. ისე, როგორც წარსულში უნახავს თოფურიას.

— კიბეებზე ამოვიდა? — შეშინებულ პავშს კარებისაკენ აქვს თვალები მიპყრობილი.

ილია მიდის ფანჯარასთან და იყურება. არავინ არ ჩანს:

— დამშვიდდით, არავინ არ არის!

— ილია!

— გისმენთ...

ლოგინზე წამომჯდარი პავში შეშფოთებული ყვირის:

— დრო შეაჩერე, დრო!

ილიას ეშინია ავადმყოფი არ გაცივდეს. ლოგინში აწვენს...

— დამშვიდდით, მიხეილ მარკოვიჩ.

— დრო? — უიმედოდ აღმოხდა მეგობრის ძალას დამორჩილებულს...

— გემუდარებით, დამშვიდდით...

უცებ ავადმყოფი თითქოს გონს მოეგო:

— ... ვიცი. ვიცი, შეუძლებელი დაგავალე, დროს ვერავინ და ვერაფერი ვერ შეაჩერებს! — ამბობს და სადღაც სივრცის სიღრმეში კარგავს მზერას.

— ყველაფერი კარგად იქნება, — ცდილობს პავშის დამშვიდებას თოფურია.

— აგერ შემოვიდა!

— ვინ? — ტანთ გააჟრჟოლა ახალგაზრდას... ხმაურით გამოღვიძებული ეშმი სიბრალულით უყურებს მომაკვდავს...

— ვერ ხედავთ. თეთრებში ჩაცმული მელოდება!

— ვინ, გელოდებათ? — ეკითხება მისტიკით თავზარდაცემული ილია.

პასუხის ნაცვლად პავში განაგრძობს:

— მაშინ, როდესაც წასაყვანად მეწვიენენ, ასევე მზად დავუხვდი ჩეკისტებს, — ირონიით იცინის გონსმოსული. — ასევე ვხვდები დღეს წასაყვანად მოსულს: მზად გახლავარ, ბატონო სიკვდილო! — სცადა წამოდგომა, მაგრამ ანთებული პავში უცებ მოეშვა... ბალიშზე უღონოდ მიესვენა. ეტყობა სუნთქვა უჭირს. სცადა ღრმად ჩასუნთქვა, არა, ვერ მოახერხა... რაც უფრო მეტად ღრმად ცდილობს ჩასუნთქვას, მით უფრო მოკლედ გამოუდის... თითქოს მკერდის სიღრმეში რაღაც გაეჩხირა და ცდილობს გაჩხერილი ამოსუნთქვას ამოაყოლოს, მაგრამ არა, არა, ვერ ახერხებს...

მეგობრის ტანჯვით სასოწარკვეთილი ილია ძლივს იკავებს ცრემლებს...

ავადმყოფს მოკლე-მოკლე სუნთქვები გაუხშირდა... ჩასუნთქვა-ამოსუნთქვებს შორის დაეწყო პაუზები. ჯერ მოკლე-მოკლე, შემდეგ გაუგრძელდა... შეწყდა სუნთქვა.

წამები!

საშინელი წამები, მაგრამ სიცოცხლის საოცარი ძალა არ ნებდება: ცდილობს როგორმე ჩაისუნთქოს!.. ცდილობს მთელის მონდომებით.. უჭირს... და როგორც იქნა მოახერხა: ჩაისუნთქა ასე კიდევ ორსამჯერ. შემდეგ დიდის წვალებით ჩასუნთქულ ჰაერთან ერთად მთელი სხეულიდან რაღაც თვალით უხილავი აღმოხდა და წამსვე მთელი სხეულით მოეშვა. როგორც ბუდიდან ამოვარდნილ ბარტყს, ზრუნვით აიყვანენ ჩიტები, ასევე პავშის სიცოცხლის გაწამებული სული თეთრფრთიანმა ანგელოზებმა, დუმილის საოცარი სიმფონიის თანხლებით გადააფრინეს საუკუნო სასუფეველში.

პავშის დაეძინა მარადიული ძილით. სძინავს უშფოთველად, სიმშვიდესა და უძრაობაში. ყველა ამ ქვეყნიური წამება არარაობად იქცა, აღარც დარდი, აღარც ტკივილები, აღარც მარტოობა და აღარც გაუთავებელი ზრუნვა მომავალზე. მხოლოდ ძილი წუხილისა და განცდების გარეშე.

გათენდა და მისი ცხოვრების საფასურად სხვის ოთახში ვსისმა ილია თოფურიას გულამოსკვნილი ქვითინი. ექიმი დგას წუხილითა და პატივისცემით...

დუმილი...

ეს წუხილის საოცარი მალამო... შემდეგ მიდის და მიცვალებულს უხუჭავს თვალებს.

მძიმე დუმილი, რომელიც ასე შეშვენის სიკვდილს!

სეკდიანი ეპილოგი

გათენდა ნაღვლიანი დღე.

წუხს მნათობი: მიხეილ პავში ვეღარასოდეს იხილავს სიცოცხლის დედოფალს — მზეს! (და განა რად ღირს ადამიანის თვალთ მოკლებული ნათება?!)

ილია საბჭოში, სასაფლაოსა და „სასახლის“ მოსაგვარებლად დილიდან წავიდა. საუზმე არც მასპინძელსა და არც სტუმარს არ გახსენებიათ. მიდის ილია და ფიქრობს: „პავშის სიკვდილი გააგებინოს თუ არა ნადეჟდა პავლოვნას?“... გული კი უარს ეუბნება: „რა აზრი აქვს?“ — ფიქრობს ილია: „იქნება გაუხარდეს კიდეც,

განა ნადეჟდამ, სიყვარული წამიერ და ბინძურ აღტყინებაში არ გაცვალა?“... და მაინც გადაწყვიტა. რჩევა ვლადისლავ პავლოვიჩისაგან ძიეღო.

რამდენიმე ფორმალური დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ სასაფლაოზე ადგილი გაძოუყვეს. „სასახლესაც“ დილისათვის დაამზადებენ. ყველაფრის საფასური გადაიხადა, მაგრამ როგორღა იმგზავროს, აღარ დარჩა ფული!... „არაუშავს“, — თავს ინუგეშებს, — „დედას დეპეშით ვაცხობებ და გამომიგზავნის, მართალია, მოხუცს უჭირს, მაგრამ, აბა, რა ექნა, ძეგობარს სადღაც ტყეში კუბოს გარეშე ხომ არ მიაბარებდა მიწას... საბრალო მიხეილ მარკოვიჩი“... ფიქრობს ილია თოფურია და გული ევსება სიბრალულის ცრემლით.

მიცვალებული ტახტზე ასვენია. პავშის აცვია კოსტუმი, რომელიც. პატიმრობაში დახახოგი ფულით, ნადეჟდასთან შესახვედრად შეიძინა.

ილია და ვლადისლავი, თუ რაიმე უნდათ, თვალებით ანიშნებენ ერთმანეთს, ზოგჯერ ჩურჩულით წარმოთქვამენ... ასეე მიღებული მიცვალებულის პატივსაცემად...

— ეს შენ! — ამბობს ვლადისლავ პავლოვიჩი და მაგიდაზე დაუდებს ფულს.

— ძე? — უკვირს ილია თოფურიას.

— უფულოდ ხომ ვერ იმგზავრებ?

— თქვენ რა შუაში ხართ...

ვლადისლავ პავლოვიჩმა ისე შეხედა ილიას, რომ ახალგაზოდას თავისი სიტყვების შერცხვა. ექიმი მიუხვდა ვაჟს, — აბა, რათ ძინდა ფული... ჩემი სიხარული იმ სასაფლაოზეა, სადაც ხვალ შენს ძეგობარს მიუძღვნენ ბინას.

— ვინ, ვლადისლავ პავლოვიჩ?

— ჩემი მეუღლე, ძეგობარი და სიყვარული! — ვლადისლავ პავლოვიჩს გამოაქვს ჩარჩოში ჩასმული სურათი. ილია აკვირდება ქალი ბედნიერი ღიმილით იყურება, — „რა წათელი და წმინდა თვალები აქვს“ — ფიქრობს ილია.

— რა ბედნიერები ვიყავით მაშინ!

— სად ცხოვრობდით?

— ლენინგრადში...

— შვილები გყავთ?

— არ გვეყოლა... ჩვენი ქორწინების ათი წლის თავზე დამატიმრეს...

— რისთვის?

— სტალინზე ანეგდოტი მოვყევი... სამი თვის პატიმრობის შემდეგ სამეულმა დახვრეტა ოცი წლის პატიმრობით შემიცვალა...

— ანეგდოტისათვის ოცი წელი?

— ვინ იცის კიდევ რასა და რას არ მაბრალებდნენ... გადასახლებაში აქ, ამ წყეულ ალაგას, მოვხვდი... შიმშილითა და დეზინტერიით დღეში ათი-თხუთმეტი კაცი კვდებოდა... ექიმად გამაწესეს...

ერთხელ სიკვდილს უფროსის ტიფით დაავადებული ბიჭუნა გამოვსტაცე, რის შემდეგ კოლონიის უფროსის შუამდგომლობით თავისუფალ დასახლებაში გამიშვეს... ძალე ჩემი ვეროჩკაც ჩამოვიდა. ჩამოვიდა, — ამბობს ბედნიერი. მაგრამ სევდიანი ღიმილით, — და აღარ წავიდა. ვერ მიგატოვებო, — ვლადისლავ პავლოვიჩს თვალები ცრემლებით აევსო. უჭირდა მეუღლეზე საუბარი, მაგრამ ნათლად ჩანდა სიამოვნებდა კიდეც, რადგან მასზე საუბარი იყო საოუთად შენახული ხსოვნა...

მძიმე დუმილი...

— მერე?

— სამი წელი ვიცხოვრეთ... შემდეგ კი...

— რა მოუვიდა?

— ინფარქტი... და აი, ახლა მეც ვეღარ მივატოვებ, — ვლადისლავ პავლოვიჩმა ცრემლები ვეღარ შეიკავა. ჩუმად ქვითინებს...

ქვითინი ობლობაში და შემდეგ მძიმე დუმილი.

დუმილი, მარტოობის სულისა!

— ყველანი იქ მივალთ! — ამბობს მშვიდად და დაჯერებით ილია თოფურია...

— ალბათ? — ირონიითა და ეჭვით ეღიმება ვლადისლავს...

კარებზე გაისმა კაკუნი:

— მობრძანდით! — ოთახში შემოვიდა მეზობლის ქალი — მარია ვილჰელმოვნა. მამით გერმანელი, დედით რუსი. ქალმა კალათი დადგა მაგიდაზე.

— ვლადისლავ პავლოვიჩ, ცოტა რაღაც მოვიტანე... მინდა თქვენს გარდაცვლილ მეგობარს ჩვენი წესით მივაგოთ.

— გმადლობთ, დაბრძანდით!

— გმადლობთ, როდის ასაფლავებთ?

— ხვალ.

მარია ვილჰელმოვნა მაგიდაზე ალაგებს მოხარშულ კარტოფილს, ლოსის ხორცის შაშხის ნაჭერს და სახლში გამომცხვარ გორო პურს... გაღიმებული. თავმომწონედ მაგიდაზე დგამს პურის არაყს.

— მობრძანდით, — ამბობს მარია ვილჰელმოვნა.

ილია ამჩნევს, თუ როგორი შეყვარებული თვალებით უყურებს მარია ვილჰელმოვნა ვლადისლავ პავლოვიჩს.

— ჩვენც გვაქვს ცოტა რაღაც, — ამბობს ვლადისლავ პავლოვიჩი და გამოაქვს ღორის ხორცის ამერიკული კონსერვი... წყლიან ჯამში ყრის ამერიკული კვერცხის ფხვნილს...

დილის თერთმეტი საათია. ნაცრისფერი ცა თოვისათვის ემზადება. ვასკა „ჩოფურამ“ ჩაის ჭიქა არაყი გადაჰკრა, პირი გააწკლაპუნა და გარეთ გავიდა.

მიცვალებული მარხილზე დაასვენეს. სამგლოვიარო პროცესიას წინ მიუძღვის ლაგამს ჩაჭიდებული ვასკა „ჩოფურა“. მარხილს მი-

ჰყვებიან ილია თოფურია, მარია ვილჰელმოვნა და ვლადისლავ პავლოვიჩი...

სასაფლაომდე სიტყვა არავის დასცდენია. კარგ ხასიათზე მხოლოდ ვასკა „ჩოფურაა“... „აცხონოს ღმერთმა“, — ფიქრობს „ჩოფურა“, — „დღეს კარგად გამომივიდა“ და გრძნობს, რა სიამით უვლის არაყი ძარღვებში.

სასაფლაო: მოწყენილი სევდიანი ადგილი. აქ ბევრნი არიან, მაგრამ ყოველთვის დუმან. აქ მოსულებიც უმეტეს დუმან. აქ სევდაა და წუხილი, რადგან ეს ადგილი ყოველ მოსულს ელოდება!.. ზოგჯერ თუ გაისმის საოცარი უძლურებით გამოწვეული უსაშველო ტკივილის მაუწყებელი ტირილი და მოთქმა.

საფლავი ვლადისლავის მეზობლებს გაუთხრიათ. მარია მესაფლავეებს კალათით უდგამს საჭმელსა და არაყს.

მიცვალებულს დუმილით გამოეთხოვენ. ვასკა „ჩოფურამ“ და ვლადისლავმა კუბოს სახურავი დაახურეს. გაისმა ლურსამნზე ჩაქუჩის დარტყმის ხმა. კუბო თოკებით ჩაუშვეს სამარეში. გაისმა ქვაზე მოხვედრილი ნიჩბის მკაცრ ხმა და კუბოზე დაცემული ბელტების გულშემზარავი ყრუ გრუხუნი.

დუმილით სავსე წუხილი.

ილიამ უსიტყვოდ, მეუღლის საფლავთან მდგარ ვლადისლავ პავლოვიჩს მკლავში ხელი გაუყარა და წამოიყვანა. მარიასაც უნდა მეზობელს მკლავში გაუყაროს ხელი. მაგრამ აქ, სადაც მისი მეუღლე განისვენებს, ვერ ბედავს. ვლადისლავი უსიტყვოდ მიჰყვება ილიას.

მოსულებმა სასაფლაო დატოვეს... აქ დარჩა კუბოს სიმაღლის ახლადგათხრილი მიწანაყარი.

დილის რვა საათია. ავტოსადგურში მიმავალი ილია თოფურია არც თუ ისე სასიამოვნო სუნმა გამოარკვია — ეს უხტიმის სასადილოა... შორიდან მოისმის ძაღლების ხროვის მოახლოებული გნიასი... მოგორავს ხროვა, როგორც ძაფის ვეებერთელა მორგვი. ხან ღრენით იკუმშება, და ხან ყეფით იშლება, რომ შემდეგ უფრო მეტად შეიკუმშოს და მეტის გამეტებით გადმოანთხიოს ბრაზი და რისხვა...

ყმუილი,

ყეფა.

ღრენა, თუ მუქარა... ხროვამ ქარიშხალივით ჩაიქროლა — მიწაზე ისე გადაიარა, როგორც ცაზე გრგვინვამ... ხროვას ჩამორჩა ერთი ისე სუსტი როგორც ძვლებზე გადაფარებული ტყავი. დაჯდა. არა, ვეღარ გაედევნება. შიმშილმა ძალა გამოულია. ზის და სევდიანი გაჰყურებს სასადილოს — იქნება ვინმეს გაუვარდეს ლუკმა... „რა საამო სურნელებაა“, — ფიქრობს ძვლებზე გადაფარებული ტყავი... ლუკმას არ გაიმეტებენ, სუნით მაინც დაიოკებს შიმშილის მტანჯველ გრძნობას!.. იცის ამაზე არავინ არ სცემს, მაგრამ სურნელება არ ჰკლავს, პირიქით ალიზიანებს, შიმშილს!..

... რა საამო სიზმარივით აგონდება დედის ალერსი, ტკბილი რძე და მზიან დილას და-ძმებთან უზრუნველი თამაში... დღეს აღარც ალერსი, აღარც და-ძმასთან თამაში, აღარც უზრუნველი მიმავალი ხვალინდელი დღისა, მხოლოდ ხეტიალში ნაპოვნი ლუკმა. მაგრამ მარტო პოვნა არ არის საკმარისი. ძალა უნდა გქონდეს ნაპოვნი რომ შეინარჩუნო. სიცოცხლე ბრძოლაა, თუ გინდა გადარჩე მოძმეს ლუკმა პირიდან უნდა გამოსტაცო. თუ ძალა არ გაქვს სასტიკი შიმშილი მოგიღებს ბოლოს — გაზაფხულზე დაბადებული ზამთრამდის ვერ მიაღწევ. ასეთია მაწანწალას სიცოცხლე... და, ალბათ, ასეა საჭირო, რადგან ყველაფერი ისე იბადება და ცხოვრობს, როგორც საჭიროა?!..

ზის ძვლებზე გადაფარებული ტყავი და სევდიანი თვალებით შეჰყურებს სასადილოს შენობას... გაიღო კარები, გამოდის მთვრალი ჩელდონი... მღერის, თუ ყვირის რაღაც სიმღერის მაგვარს... უცებ კიბეზე ჩამოსული შეჩერდა. პირი მაგრად მოკუმა... სასწრაფოდ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, მაგრამ არ დასცალდა, პირიდან ასაქმა. გადმოანთხია არაყნარევი ფაფის მსგავსი... გადადგა რამდენიმე ნაბიჯი... დაეცა. სცადა წამოდგომა. არა, ვერ ახერხებს. არც არვინ გაუწოდა საშველად ხელი. ჩაეძინა. ტუჩები არყის სიმხურვალით ატეხილმა თეთრმა დუჟმა დაუფარა. ძვლებზე გადაფარებული ტყავი ახერხებს მისვლას... შეუდგა სალაფავს...

საოცარია ბუნება: საიდან და როგორ გაიგო შორს გასულმა ხროვამ, რომ სადღაც აქ გაჩნდა ლუკმა?.. მოისმა მოახლოებული გნიასი. ყეფითა და ღრენით ხროვა თავს დაატყდა ძვლებზე გადაფარებულ ტყავს. წკმუტუნი, თუ კივილი საშველად?.. დაგლეჯენ!..

ილიამ მოგლიჯა მესერი და დაერია გაცოფებულ ძაღლებს. მაწანწალები გარბიან. ძვლებზე გადაფარებულმა ტყავმა არ იცის, გაიქცეს, თუ... ხროვას სალაფავი მოეთავებინა. პატარა სევდიანი. საბრალო არსება მუდარით შეჰყურებს ადამიანს...

ვაის აგონდება დედა... დედას უყვარს ძაღლი. სახლშიც კი ყავთ „მურო“... „მოიცა საბრალოვ“... ალერსით ეუბნება და შიდის სასადილოში... პირუტყვმა შეიგრძნო კეთილის ალერსი. კუდის ქიცინით ელაქუცება... უხარია, რომ წიხლი არ ჩასცხეს... ილიას ჯამოაქვს კარგად მოზრდილი ხორცის ნაჭერი... გადაუგდო... „შეჭამე!“ — ეუბნება, მაგრამ საბრალო არსებას ეშინია, ხორცს პირს ბრ აკარებს, რადგან იცის, ასეთ დაკარებას ყოველთვის მოსდევს ცემა — ცემა სიკვდილამდის!.. ვაჟი ხვდება პირუტყვის შიშს... ეალერსება: „ნუ გეშინია, ჭამე!“ — ხორცის ნაჭერი ახლოს მიუგდო... ძაღლი ხვდება სიკეთეს და ჭამს... ორმად ჩაიგდო პირში. ეჩქარება ლუკმა ჩაუშვას ცარიელ კუჭში: „ნუ ჩქარობ. ჩემთან არავინ არ წაგართმევს!“... ძაღლს დაახლოებით ესმის თქმულის შინაარსი... როგორც იქნა. ბოლო ლუკმა ჩაყლაპა... ახლა მადლობას უხდის კუდის ხშირი ქიცინით... „ხომ დანაყრდი, ახლა მშვიდობით“. — ამბობს ილია. მოიგდო ნივთრომარა მხარზე და მიდის ავტოსადგურისაკენ, ის სამ კილომეტრზეა... მიდის და გრძნობს

ვილაც მოჰყვება. მოიხედა, ეს ძვლებზე გადაფარებული ტყავია. ილია უჯავრდება და აგრძელებს გზას. ძაღლი მაინც მიჰყვება. ვაჟი ჯერ უჯავრდება, შემდეგ ესვრის ქვას. ძაღლი დაჯდა, გაკვირვებული უყურებს მხსნელს: „რა მოუვიდა. რატომ მიჯავრდება?“... ადამიანი აგრძელებს გზას და სტკივა გული, რომ არ შეწევს ძალა თან წაიყვანოს საბრალო...

კეთილი ჰორიზონტზე დაიკარგა. ზის ძვლებზე გადაფარებული ტყავი და სევდიანი თვალებით აცილებს განგებით მოვლენილ წამიერ სიკეთეს...

რედაქტორი — ვ. ბაბალიკაშვილი

კომპიუტერული დ. ჭოლოკავა
უ. შაქარაშვილი

ელადეცა წარმოებას 1.XII — 1992 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.V — 1993 წ.

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „ორნატი“

დაიბეჭდა ავტორის ხარჯით

ტირ. 10.000

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების